

191  
УЧЕБНИК  
СРЕДНЕГО  
1926

2028000

№ 10-11 (30-31)

2

1926

114  
1926

პრინციპებით ყველა იყვანება, წყაროდან  
საქართველოს  
საბჭოთაო

408



№ 10-11 (30-31)

წელიწადი მესამე.

სოციალ-დემოკრატიული სალიბერალური, საზოგადოებრივი  
და საშრომლო ჟურნალი

საბჭოთაო—დემოკრატიული

თბილისი. 1926 წელი



გამოცემა „სახელგაში“

ს. შ. უ. ს. პოლიგრაფიული ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 582. მთავლიტა 1790 ტირაჟი 2.000.

## მტკვრის სიკვდილი

ვზაზე მოგდევნ ვიწრო კლდეები,  
მტკვარო შორიდან თავს შემაბრალებ.  
გმოსაყვს ნაძვებზე მოსახვეები,  
როცა შორდები მთიან ნაპრალებს.  
ბევრი გიბრუნავს გულში მორვენი.  
როგორც მოზვერი, ზმუი, ბულრაობ.  
ნაფოტებივით მოგაქვს მორები,  
მტკვარო მზისაგან დაუმდულრაო.  
ერთხელ კოჯორის მთებსაც ეჭიდე,  
გადალახული გქონდა კიკეთი.  
ებლა მცხეთასთან რკინებს გიქედენ,  
გულო, სავსეო მიწის სიკეთით.  
გხვდება მოქნილი სარმა-სარმაზე  
და ცეცხლი გიელის ელვის, კინოსი..  
ალარა გწყალობს მტკვარო არმაზი,  
ალარც თვალევი წმინდა ნინოსი.  
ქვის ჯებირების მოგდეს ლაგამი  
და შემოგავლეს რკინის კედლები,  
ვინ იცის ტალღებს სად დაიბამებ,  
საესეს ცხუნარე მზის ნალევრდლებით.  
შენს დატყვევებას მთები სტირიან.  
წაეიდა ის დრო, მორჩა საშველი..  
როცა ნათლავდი წარმართ მირიანს,  
როცა ვიმღერდა ბარათაშვილი.  
მტკვარო გტირიან მთებში ფიჭვები  
ჩახვეულები ისევ ტივებათ.  
და რომ გაბამენ შავი ბიჭები,—  
ეს არასოდეს გეპატიება.  
მთებო კლდიანო, თქვენი ნაქერი

ტფილისს არ ახსოვს ასე პატარა..  
 ზაჰესს აენტო ცეცხლი ქაჯური  
 და ელვა აქაც ჩამოატარა.  
 — მტკვარი დაშრაო, რეკავს დარია.  
 — ეს როგორ მოხდა.. ნეტავ, როგორა..  
 — მტკვარი დაგუბდა, მტკვარი მკედარია.  
 და ძველებურად ველარ მოგორავს.  
 მთებში ღოუბლები დადნენ წუხილით,  
 ნაძვებმა კლდეებს ჩამოურბინეს..  
 მტკვარო, დაჯადგეს ქედზე უღელი,  
 მტკვარო, შეგაბეს რკინის ტურბინებს.  
 ჯერ არ უნახავს ცეცხლი მზიანი  
 შენს ღრმა ნაკვალევ ხეებს ქვიანებს..  
 რას იტყვის ტალღა ალაზნიანი—  
 უფროსი ძმა რომ დაიგვიანებს.  
 მშვიდობით მტკვარო, შენი გმირული  
 ძახილი მთიან ხეებში ჩარჩა..  
 დაეცი როგორც თავგანწირული—  
 დილომთან ვეფხვი დაეცა შარშან.

1926—17 XI ტფილისი.

## სივოსხლისთვის

ხშირია ღამით, როს ადამიანს  
 აედევნება ფიქრების გროვა,  
 არ-ყოფნის წამი გულში გაგვიარს  
 და უნებური ცრემლები მოვა.  
 მაგრამ მე ლექსებს არ დავწერ მაშინ,  
 არ ვიტყვი:—ქვეყნათ არვის ვახსოვარ!  
 მე უფრო მიყვარს მძვინვარე ქარში  
 სიკოცხლის მგვრელი ლექსის გასროლა.  
 დღეს უნაყოფო ფიქრებს ვინ გაცლის!  
 იგი ცხოვრებამ გაატიალა...  
 მწამს, სიხარული ნიჭია კაცის  
 და ეს ქვეყანა--საფხე ფიალა.  
 გაბოროტებულს, რამდენჯერ ღამით,—  
 ჩემს სხეულიდან სისხლიც მიღვრია...  
 მაგრამ ცხოვრება თავისი შხამით  
 კომუნარ-პოეტს მე მიმიღია.

## კოგუნარ ქალს

მიტოვებული ბალი არ ხარობს  
 და ჩემმა გულმაც შემოიბინდა,  
 ვით უდაბნოში მწყურვალ მგზავრს წყარო,—  
 შენი ალერსი ისე მოგინდა.  
 გავიდა მწარე დღეების გუნდი,  
 აღარ გჭირია ტრიალი თოფის;  
 მოდი ალერსით დადნი, დადუმდი  
 და გადამზალე ყვაელი ტრფობის.  
 რა ვქნა ეს გული თუ ჩაითრია  
 დღეს სიყვარულის მშლავრმა მორევმა;  
 ჩვენ ხომ ნაჯახით არ ვაგვეთლია  
 ჩვენი დღეები, ჩვენი ცხოვრება.

## ფიქრი სოფელზე

(აკინძული სტრიქონები)

სალამოა.

ცალის თვალთ იჭვრიტება ზეცა.  
ჩამობინდდა,  
მისი ცივი ფრთა შეშხო, შეცა.  
გულში სევდა,  
როგორც ზღვაში ზვირთი, მოიკეცა;  
დაწვა მძიმეთ:  
(ა, მთა, მდღელო, ოთახი და შეცა...  
ჩემთვის მაინც  
ეს სალამო უჭევე დარდით მოდის;  
იმედია,  
გულში რომ სცემს, თან სიმძიმეც ლოდის!...  
შორეული  
ღედის სახე, ეზოს, წაბრილ ოდის...  
მოციმციმეთ  
სდგანან ჩემს წინ!.. თუმც მნახვენ როდის?!  
აბლა არსად  
არ მძიმს ასე ეს გარემო ცივი,  
არ ვაპირებ  
მე გაქცევას, ზვედრზე არა ვჩივი,  
მენატრება  
სწრაფი წინსვლა, ვით ლოკომოტივი,  
მშვიდი ძილი  
კი მიხრის თავს, ფიჭვით ანატკივი...  
მაინც ფიჭვით  
იმედები, ვით ზღვა, გაღიშალა...  
მიფჭრი, იქით...  
გამწით, თორემ სიმზნე დაიცალა!..  
და მოკლდება  
გასაველედი ტყე, მინდორი, ქალა...  
ეს მანძილი  
მზიბლავს, როგორც სიყვარულის ძალა!..

## თქვენდავი

ვხედავ მონაშეთ და დაასველეთ  
ქუთუთოების ყველა ღილები  
და როცა კენჭებს აყრი დასავლეთს  
შენ ვიხარია და ილიმები...

ამბობ რომ სულში ჩავიჯდა დარდი  
რომ ფიქრში დგები და იმოსები;  
რომ შენც გათეთრდი და გაფერმკრთალდი  
როგორც მიდამო ალბატროსების.

გზებზე მივდენით ღრუბლების ფარას  
ჩვენს გვერდით ისევ ნაცნობი ხეა...  
ვხედავ სახეზე სიჩუმე გფარავს  
და უცნაური ფოთლების რხევა.

ვიცი ეს სახე ისე წმინდაა  
და ისე თეთრი როგორც არაკი:  
თქვენ ქალბატონო, გრძნობთ რომ მომინდა  
და ისევ თქვენზე მალაპარაკეთ—

თორემ არ ვიცი როგორ გავიგო  
ასეთი რბილი და ლურჯი ცქერა.  
ან მთვარის ღილებს რატომ ჩამოგავს  
ეს დალალები წაბლივით ქერა.

ვიცი გახარებთ შარაზე დგომა  
როცა მეც მოვსდევთ და მოვაცილებთ  
როცა მინდვრებზე დგას შემოდგომა  
ბავშვივით თეთრი და მოქანცული.

დღესაც შარაზე ნიაფი ქროდა  
არხვედით ლანდებს თქვენ ხიდან—ხემდე  
ვიცი რომ სადღაც მიიჩქაროდით  
და სახეს ისევ ფოთლებში ხვევდით.  
თვალებს აყრიდით ნაცნობ ნაპირებს  
თითქოს თვალებში ქონდათ იარა.





მინდა სიცოცხლე ისევ დაგპირდეთ  
 ისევ მინდვრები გადავიაროთ.

შენ ჩაუარე ნაცნობ შესახვევს  
 სადაც ნაცნობი ბუნქნარი თრთოდა  
 მე მოგიკვევი ტრფობის შესახებ  
 პატარა ლექსი, პატარა ოდა.

ვიგრძენი ბედი რომ არ გადახმა  
 რომ თვალებს ისევ თვალეში ვხევედი.  
 შენ მიდიოდი ნაძვებს გადაღმა  
 და ფოთლებივით ღიმილს არხევედი.

ასე ვამზობდი მაშინ როდესაც  
 გული დამწიფდა და გამემსკვალა  
 როცა მინდოდა და მიხაროდა  
 სოფლის მთები და საისლე ქალა.

მაგრამ სულ სხვაა როცა ქალაქში  
 გამოვიტეცი და გადმოვარდი  
 ეხლა არ ვიწვევ ფიქრებს სალაშქროდ  
 და არ იცინის თვალეში დარდი.

როცა დღეები გადმოვალაგე  
 ვიგრძენი სითბო მე ახალ დილის  
 ვიგრძენი რომ ვარ სხვა მოქალაქე  
 უფრო ამაყი და ავირდნილი.

შენ კი იქ ფიქრებს ალაგებ ოთხად  
 ალბად სიზმრებიც ვერ დაამთავრე  
 ალბად სიცოცხლეს ახრწობ ოთახში  
 და ფანჯრებიდან ვიცინის მთვარე.

მე იქ თვალეში ვერ მოვითავსე  
 შენ კი ლაღდები ასეთ გართობით!  
 როცა ეხვევა მიმინოს თასმებს  
 კედელზე ძველი ყირიმის თოფი.

იყავით ისე როგორც ვინდოდეთ  
 მოგონებებიც ასე დატივით...  
 მხოლოდ ის მაკრთობს რომ არ შეგინდოს  
 დრომ, და ეს ყოფა არ გაპატიოს.

მე თქვენგან ბარათს მოველი ისევ  
 თუმც დაგივიწყე და ნაპირს აეცდი!..  
 ვთხოვ დააწერო ბარათს: თბილისი  
 ორჯონიკიძის 130.



მ ე ს ა მ ე .

ერთხელ—ცამეტი წლის წინათ—ჩვენი კლასი ალლავერდში წაიყვანეს სპი-  
ლენძის მადნების სახეწებლად. ოცი ქალი ვიყვიეთ—ყველანი მერვე კლასის  
მოსწავლენი. უკვე დაბინდდა, სადაბლოს რომ გავცილდით და დებედას ხეობა-  
ში შევედით. ცალკე ვაგონი გვქონდა. უცებ ვაგონში უცხო მამაკაცი შემოვი-  
და—უფულო შემოვიარდა:

— მადემუაზელ!—და ისე დაბლად დაგვიკრა თავი, თითქო მეფეს ესალ-  
მებოდაო, —მადემუაზელ, მიღ პარდონ—ათასი ბოდიში. ეს არის, ეხლა გავიგებ,  
რომ თქვენ ჩვენი ქარხნების დასათვალთვლებლად მობრძანდებით. ვთხოვთ მიც-  
ნობდეთ: მე გახლავართ ამ ქარხნების ინჟინერი ჟან შოვერ. გეახელით გასაც-  
ნობად და დასაბმარებლად. მიმსახურეთ—ა ვოტრ დისპოზისიონ, მედამ, მედ-  
მუაზელ ე მესსიე!

ჩვენს წინაშე იდგა ახალგაზრდა, მალალი, სრული, ქერა და ლამაზი ვაგეა-  
ცი—თითქო მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ქალი. პირისახე—თეთრი და  
ქალაღდივით სუფთა, ტუჩები—მუჭი წითელი და მსუქანი, ტანიც ქალივით მო-  
ნაზული—გასიებული, ფუნთუშა და ჩათქვირებული. მხოლოდ ხმა და მიხერა-  
მოხერა ჰქონდა ვაგეაციისა—თამამი და მოურიდებელი, ამავე დროს თავაზიანი,  
მოქნილი და რბილი.

კლასის ზედამხედველი—ქვრივი კნენია—და გეოგრაფიის ხნიერი მასწავ-  
ლებელი ზრდილობიანად დაუხედნენ. მაგრამ, რადგან ფრანგული არ ეხერხებო-  
დათ, მე მომიშველიეს.

დაესხედით და ბაასი გავებით. ჩემსას ვერაფერს ჩავურთავდი—მცხვენოდა  
და მეშინოდა. შოვერი კი არ მასვენებდა: ერთს რომ ჩემს უფროსებს ეტყოდა.  
ხუთს მე მიკითხებოდა: სადაური ვარ? რა მქვიან? ვისი შვილი ვაო? სადა ვცხოვრობ?  
მეც ვიწურობოდი: თან მინდოდა ჟანს აეყოლოდი, მისი ვინაობაც გამეგო, თა-  
ნაც კნენიასი და მასწავლებლისა მერიდებოდა, რომელნიც უკვე მიბღვეროდნენ.  
ჩემი ამზანაგები აფუსფუსდნენ, აკოყდნენ, ქურღულად უმზერდნენ უცნაურად  
ლამაზ მამაკაცს, მაგრამ სალაპარაკოდ ვერ გვეკარებოდნენ.

ხეობა გაღრმავდა, დაეიწროვდა, ამაღლდა, დაბნელდა. დებედას წყალი  
ჰშუთის, ჰლრიადებს და მატარებელს ზოგჯერ ძირს ულოკავს, უფრო ხშირად კი  
ზრახით ასკდება და აჭაფებული კბილებით ჰლამობს ჩვეს კბენას თუ ჩათოე-  
ვას. მთვარი—თითქო კეკემალულობას გვითამაშებო—ხან წინადან მოგვივლის,  
ხან უცნიდან მოგვდევს, ზოგჯერ კი ლამის სარკმელში შემოაკორდეს.

ჟან შოვერი გამუდმებითა ლაპარაკობს. ორ საათში იმდენი გვიამბო, რომ  
მე ორ დღეშიც ვერ ვიტყოდი. ჩემიც თითქმის ყველაფერი ვაიგო: სახე-  
ლი, გვარი, გენეალოგია, თავდადასავალი და მომავლის ინტენტი. ეხლაც არ  
მესმის, ლმერთმანბი, რად ვუამბე ისე მალე იმდენი? მაგრამ, რა ვუყო, კიდევ  
ბევრი რამ არ მესმის—რად, როგორ ან რისთვის მოხდა ყოველივე, რაც იმ  
დღის აქეთ მოხდა.

ყველაფერი თავის ადგილას უნდა ითქვას.  
ფრანგებს ერთი მშვენიერი თქმა აქვთ—coup de foudre—მების დაცემა.  
ტარიელს დაეცა ასეთი მენი, პირველად რომ დაინახა ნესტან დარეჯანი.

რა თქმა უნდა, გული არ წამსვლია. მაგრამ იმ კაცის პირველივე ნახვამ,





ქართული

სადმე ბნელ კუთხეში დროს იხელთებდა და ისე მაკოცებდა, თითქო ხატს ემთხვიაო. და ეხლა, ეანმა რომ დაიწვია, შალვას მთხვევა მომაგონდა. გამახსენდა, მაგრამ უშალვე დაძაიწიყდა--თვითონ შალვაეც და მისი ცივი სისხლიც.

მთელი ქარხანა და ეზო იწვის ელექტრონით და ადუღებული ლითონის ზეჟით.

რამდენიმე რიგად ჩარიგებულა თუჯის ათიოდე უუზარმაზარი ბურთი. თითოს მხოლოდ ერთგან აქვს ვახსნილი პირი. და ამ პირებიდან ქვაბები ცეცხლის ქარიშხალს უბერავენ--თითქო განუწყვეტელ ალითა და მილიონ ნაპერწყალით იფურთხებიანო. ვეება შენობის სიღრმეში მანქანა კაკუნობს. ეანი წინ მიგვიძღვის და გვიხსნის:--ამ ქვაბებში ვყრით პირველად გადამდნარ ჯავარს, კუბფერშტეინს. ამ მიღებით ნავთი ჩამოდის, ამ მიღებით კი ძლიერი ქარი უბერავს, რომელსაც მიაქვს ქვაბიდან მსუბუქი ნივთიერება, მძიმე კი--სპილენძი--სუფთავდება და შიგვე რჩება.

ათასა რამე გვაჩვენა და აგვიხსნა. მერე ერთ ფურნესთან მიგვიყვანა, რომელიც ოთახის ოციო და ოთახივით იდგა განმარტოვებული. ორივე მხრიდან პირი დაღებული ჰქონდა. ფურნეში დამდნარი სპილენძი ბრწყინავს და შიგნიდან ისეთი სიციხე გამოდის, რომ ხუთ ნაბიჯზედაც ვერ ვეკარებით. და ჩემი ლოყები და გულიც იმ ფურნესავით იწვის. ვუმზერ ჩემს ძეგობრებს. იმთავაც დამდნარი სპილენძის ფერი ადევთ.

წელამდე შიშველი მოშები ტანზე წყალს ისხამენ, მერე უგრძელეს ტარიან თასებით იღებენ ფურნიდან ლითონს და ფუთიან ქალიბებში ასხამენ. შემდეგ ისვე გრილდებიან, ლითონისათვის უურნისეკენ მიორბიან და საეეე თასებით უშალვე გამოორბიან.

— აი, ეს არის დასრულებული სპილენძი, თითქმის ასპროცენტიანი. -- იმთავრებს ეანი, მაგრამ მე უურს აღარ ვუგდებ, ან ვუგდებ, მაგრამ აღარაფერი შესმის.

ეან შოვერი ვახშვად გვპატრონობს, მაგრამ უარს ეეუბნებით. ვავანში ჩვენც გვიწყვია ღვინო და სანოფავე.

ჩვენი ვავანი აქვეა. ერიაშულით ვეთხოვებით ეან შოვერს.

— ა დმენ! ორევეარ! ძილი ნებისა!

ქვემო სკამზე დაეწეკი გაუხდელი. უკანა სარკმელიდან ქარხნის ხმაური და ხანძარი შემოდის, მეორედან--მთვარე მომებჯინა და დებედას ბურტყუნი მაქანავებს. ლელვარის ხევიდან გრილი ნიავი მოჰქრის. და ჩემი ანთებული, უძრავი თეალებიც მთვარეს აქვს მიბჯინილი. ვადის ერთი საათი, ორი, სამი, ძილი არ მეკარება. ლულის ნაცულად ეანი დამტრიალებს. მისი სახე ცხელი ლურსმანივით ჩამიჯდა თავში და აღარ მშორდება. მცხელა. პაერი მაკლია. მიხდა გავგრილდე. გარდა ამისა... ეინ იცი, ეეების აქვეა სადმე.

ზეზე ვდგები და მთვარეულივით მიეიპარებო. ყველას სძინავს. დარაჯი ბერინავს. უხმოდ გავალე ერთი კარი, მეორე და...

— სე მუა, -- მე ვარ. ნუ გამიწყრებით. აღარ შემეძლო უთქვენოდ გაძლება. ეანი ლანდივით სდვას კიბის ძირში და ნიავივით ჩურჩულებს. მე ხმას არა ვცემ, ოღონდ ორივე ხელს ვუშვერ წელანდელივით. და იმანაც წელანდელივით ორივე ხელი მომხვია და ჩამიტაცა.

ფეხაკრფით მივდივართ, ქურდებივით შივიპარებით. საით, ვისთან, რა იმედით? არ ვიცი, არ შესმის, არცა ვფიქრობ.

ლიანდაგს გავყევით, ბაქანთან მარცხნივ მოვუხვიეთ და ქვითკირის კუზიან ხიდზე ავედით.

— ძალიან ძველი ხილია. -- ანოილო ხმა ეანმა. -- აი, ეს გზა, მარჯვნივ, ამ მთაზე ადის და სანაინის მონასტერში მიდის. ისიც ძალიან ძველია.



ქართული

მე ისევ ვსდუმვარ. ხიდის ქვეშ დებედა სჩქევს. ჩვენ შარტანძრე გაცხებებით და ვიწრო ბილიკით უთავო კლდის ძირს გავეყვით.

წყლის ნაპირას, მცირე მოლზე. პალტო გამიშალა, დამსვა და თვითონაც მომიჯღა.

ეხლა გალმა ვართ. მეორე ნაპირზე, ქარხნის შუქზე, ჩვენი ვაგონი მოსჩანს. ნეტა ხომ არ გაიღვიძეს? ხომ არ მომიკითხეს? ხომ არ მეძებნენ?

— ნუ შეშინდებით, მა შერ, — თითქო გაიგო ეანმა ჩემი შიში, — მაგრად სძინავთ. არც მე ვარ ავანჯაკი.

საშინელი და სანეტარო ორი საათი გავატარეთ. ერთმანეთში აგვერია ჯოჯოხეთიც და სამოთხეც. ეანი ჯერ ნოიწვედა, მაგრამ თავი აილაგმა და მცირედიც დიდ ბედნიერებად ჩაითვალა. შემდეგ ისევე ჩუმად და ფეხბარეფით დაებრუნდი, როგორც გავიპარე.

მაშ ასე: ეან შოვერი მიყვარს, იმასაც ვუყვარვარ — გატაცებით, გაგიყვებით, თავდაფიწყებით. მაგრამ ვინ არის ეს კაცი, რომ ერთი ნახვით ავედევნე, ჩავეხუტე და ჩემი ქალწულობა ჩავებარე — თითქმის უკლებლივ, თითქმის უკანასკნელ მიჯნამდე? არ ვიცი. არ ვიცნობ. თავის თავზე ბევრი მიაბნო, ხელში კი მცირედი შემჩნა.

ეან შოვერი პარიზელია. იქაური პოლიტენიკში დაამთავრა. ფრანგულმა საზოგადოებამ, რომელსაც ეს ქარხნები ეკუთვნოდა, აქ გამოჰგზავნა. ეანი მდიდარია. სავარჯიშოდ წამოვიდა ამ სიშორეზე, თორემ თვიური ხუთასი მანეთი მისთვის არაფერია. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. ჰყავს დედ-მამა და ძმები.

მაფიქვებდა, ცოლად გამოიყვებო.

— ეან, — შევეკითხე იმ მოლზე, — განა ჩემზე უკეთესი არავინ შეგხვდათ პარიზში?

— შეიძლება ათასიც შემხვდა, ალბად შემხვდა. მაგრამ... იცით რა არის *coud be foudre*?

— ვიცი, წამიკითხავს.

— ჰო და — ე ბიენ — სწორედ ეგ მეხი დამეცა.

— მეც, მეც, ჩემო ეან, მეც ეგ მეხი დამეცა, თორემ შუალამეს... ამ ველურ ხეობაში... მარტოდ მარტო უცხო მანაკაცთან!

ეხლაც არ ვიცი, — და იმ დღიდან ასჯერ მაინც ვკითხე ჩემს თავს, — რამ გამებდევინა, რამ გამაბრიალა, რამ ამრია აგრე რიგად, რომ მე, პატიოსანი ოჯახის პატიოსანი ქალიშვილი, ასე ქარაფშეტულად და ფუქსავატურად გავეყვი თითქმის უცნობ მამაკაცს? მეხმა მიყო, მეხის დაცემამ! მაგრამ არ ვნანობდი, რადგან სასიხანულოც არაფერი მქონდა. პირიქით, მადლობასაც ვსწირავდი ვანგებას, რომ ასე მადლიანად დაატრიალა ჩემი ბედის ჩარბი.

მხოლოდ ოიერაქზე ჩამეძინა. რომ გავიღვიძე, სიციხე დამეტყო. მე და ჩემი ერთი შორეული ნათესავი ელო ვაგონში დავრჩით, სხვები კი ზევით, — ალღვერდის მაღაობებში ავიდნენ. ეანიც გაპყვა და იქიდან ექიმი გამოიგზავნა. მაგრამ საექიმო არაფერი მქონდა. სალაპოზე დაბრუნდნენ. ჩვენი ვაგონი დამის მატარებელს მოვანიბთ და წამოვედით. ეან შოვერიც წამოვეყვა — ქალაქში საქმე მაქვსო.

მეორე დღეს ეანი სახლში მეწვია — დიდი თავიგულით და ტკბილეულობით. იმ დღიდან დავრწმუნდი, რომ ეან შოვერი აღარ ხუმრობდა. ჩემი მამა და დედაც შიშობდნენ.

— ვინ იცის, შეილო, ვინ არის, ან რა უდევს გულში?

ჩვენს ელოს კი თითქო ჩემზე მეტად უხაოდა. მწველოდა და მილოცავდა.

— შენისთანა ლამაზს სწორედ მაგისთანა ქმარი შეგუერის.

მართლა, შალვა შურმანიძე დამაინფიცდა. საწყალი დანიშნული! შეჩვეული იყო და შინაურულად შემოდიოდა ჩემს ოთახში. ერთხელ, ინდენი ყვავილი რომ დაინახა და ენასაც მოჰკრა თვალი, შიშნაკამი ხმით მკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

დასამალი აღარაფერი მქონდა. ყოველივე ვუამბე გარდა პირველი ღამის ამბავისა, ამის შემდეგ შალვა უარესად დაშინდა და მოიბუზა.

იმ საღამოს ეანი და შალვა ჩემს ბინაზე შეხვდნენ ერთმანეთს, და მეც უნებურად ერთხელ კიდევ შევადარე ერთი-მეორეს. ეანმა გაიცნო, რაღაც გამოჰკითხა, და ნაცემ კატასავით შეშინებული და კუთხეში აბუზული რომ დაინახა, უმალ ისე მიიფიცა, თითქო იმ კუთხეში ჩემი დანიშნულის ნაცვლად სკამი იდგაო. ეანი კი სდულდა, მფუთქავდა, იცინოდა, გვაცინებდა, სტოცლობდა და გვაცოცხლებდა.

შალვას გაპარვა არავის გაუგია. ეანი მეუბნება:

— დღევანდელ დღიდან საბოლოოდ ჩემი ხარ. ეხლავე ვეტყვი შენს მშობლებს.

და ჩემი მოხუცებულნი რომ გამოვიდნენ, ზემურად გაიჭიმა და უმაღვე დაიწყო:

— მადამ ე მუსსიე!—და ჩემი თავი სთხოვა.

საწყალი დედა ჩემი! ატირდა, მეც ამტირა, მამაც ააქრებლა.

რაღა გაეპარებლო: გინაზიური კაბა გავიხადე და თითქმის მაშინვე თეთრი საქორწილო ჩავიცვი.

ღმერთო ჩემო, ღამის მატროს იმ უმანკო ტანისამოსმა! აი, ეხლაც მაგიდაზე მიდვას ჩემი მაშინდელი ფოტო-სურათი: ნაცრის ფერი კაბა, შავი წინსათარი, მხრებზე და წინაც შავივე მოსასხამი, სადაღ დაფარცხილი თმა, გულუმბრყვილო პირისახე, სუფთა თვალები და... უმანკობა, ფაქიზობა, საღაობა და რწმენა ყველგან, ყველაფერში, ყოველ ხახსა, ასოსა და წერტილზე!

ვერა, ველარა ვწერ. აღარ შემიძლიან, დანარჩენი მერე იყოს, მერე!

მეორე სურათიც აქვე სდვას— იმავე ხანებში გადაღებული: თეთრი საქორწილო კაბა, თეთრი გრძელი თავსაკრავი, თეთრი ყვავილები თმებში და ისევ თეთრი თავიგული ხელში.

ქორწილი, ზემი, ლანდო, მოლოცვა, შამპანური, დალოცვა— ყოველივე ისე მოხდა, როგორც მეგონა. საღამოზე სადგურზე გავედით. ისევ ლანდო, მეგობრები, ვაცილები, შამპანური, ხელსახოცების ქნევა, ცრემლი და ლოცვა. შალვა არ მოვიდა, ბედი არ დამილოცა. არცა მწყენია. რომ მოსულიყო, გამივიროდებოდა კიდევაც.

მატარებელში ცალკე კუბე გვქონდა. ჩვენ, ქალები, მრავალი წლის განმავლობაში ვეშადებდით ხოლმე ამ დღისთვის და ამ ღამისთვის. სანამ ეს წამი დადგებოდეს, მარტო მისი გახსენებაც გი გაიკრეოლებს. ხანდელიში კი სულ სხვა რანე ყოფილა. არაფერი დარჩენილა ჩემს სიოვნაში იმ ღამისა, გარდა უხეში ტყვილისა. რასაც მოველოდი, რამდენიმე თვის შემდეგ მოვიდა.

ეანი ზემო ქარხანაში— ელავერდში გადასულიყო, და ჩვენც იქ დავსახლდით. ადგილ-მდებარეობა ხევ-ხევიანი, კლდოვანი, ოღრო-ჩოლოო და აქნტილი. აქ არის ლელვარის მთის ქუსლი. აქ არის მთავარი კანტორა, დირექცია, მალაროები, საწყობები, სახელოსნოები და ქარხანა „პირიტკი“, რომელიც ჯავარს აღნობს და შემდეგ კვეით, „მანესის“ ქარხანას უგზავნის ხელახალ გადამნობისათვის.

ეანმა მეორე დღესვე გამიმართა ნადიმი და გამაცნო იქაური საზოგადოება: ინვენერები, შტეიგერები, ბულჰალტერები, ექიმი და დანარჩენი მოსაძახუ-



ქართველთა

მწიგნობართა კავშირი

რენი. დაიწყო ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრება. არც გონების საკვები, არც ნათესაობა. ახალ ნაცნობთა უმრავლესობაც მარტოხელოა. ეანი დილით მიდის ქარხანაში, ორი საათით ბრუნდება და საღამომდე ისევ დაკარგულია. სახლში მუდამ სანძი ვართ: მე, მოახლე და მზარეული. ზოგჯერ ქალაქიდან ელო ან დედა ამოდიან და მალე უკანვე მიდიან.

ეანი ფრანგი იყო, ნამდვილი ფრანგი: მოძრავი, მზიარული, მომქმედი, თავაზიანი და მზრუნველი. შინ დაღლილი ბრუნდება, მაგრამ მოსვენების მაგივრად მუდამ იმის ფიქრშია, როგორ გავართო და გავაცირო ჩემი ცოლიო. ვინ იცის, რას არ იფიქრებდა, რას არ კადრულობდა. მეც უხებურად შევეთვისე იქაურ ცხოვრებას. სახლის დალაგებას რომ მოვრჩებოდი, შიორის პალტოს ჩაეცვამდი და ეანს ვესტუმრობოდი. პირველ ხანებში გამიტაცა კიდევაც იმ ქარხანამ.

აი, მთიდან დაშვებული ბრემსბერ, ით ჯაგარი ჩამოდის და პირდაპირ სამსხერვეში ჩადის, იქ მანქანა ჯაგარს ამტვრევს და დიდი კოშკის-ოდენა ლუმელებში ჰგზავნის. აქ მას უმატებენ ძველის-ძველს, შეფე ერეკლეს დროინდელ ნადულს — ბერძნულ წიღებს, კიდევ რალაც ქანისებს და ისე ადუღებენ, რომ ახლო ნისვლაც კი მიძინელებდა. ღუმელიდან დამწვარი გოგირდის, ციციბისი და კიდევ რალაცის მზრჩოლავე სუნი ამოდის. ვერიდები ამ ალაგს. ისევ ღუმელის ძირში სჯობია. იქაც ცხელია. თითქმის შიხვლად მუშაობენ. სამაგიეროდ ლაშხია, როცა ხერულიდან დამდნარი წიდა ან სპილენძი წამოვა. წითელი წყალის მსგავსი წიდა არხში ჩადის, უმაღვე მაგრდება, იმსხერვეა და წყალთან ერთად ქვეით ხევში ჩადის. კუმეურშტეინს კი აციებენ და ჰაერში დაკიდული გზით ქვეთა ქარხანაში ჰგზავნიან, სადაც ხელმეორედ აღნობენ. საბერველი მანქანა ისე გუგუნებს, რომ ლაპარაკიც ძლივს მესმის. გარდა ამისა, აქაც მუდამ მტვერი და მოზნამული ჰაერია. ისევ მალაროში ბეტიალი მირჩვენია.

მახსოვს, პირველად რომ შევედი. ეანმა ჭრაქი მომცა, თვითონაც ჭრაქი დაიჭირა და „ელინის“ მალაროში შემეყვანა, როელიც იქვე, ქარხნის ეზოსთან იწყება. გრილმა ჰაერმა ისე დაჰბერა, თითქო საყინულეში შევედიო. სიცივე თანდათან მატულობს. მალაროც ვიწროვდება, დაბლდება, ბნელდება. გულში შიში მგზარება, მაგრამ თავს ვიმეგრება. ან ოისა უხდა მეზინოდეს, აქვე არ არის ჩემი ეანი!?

თითქო დედამიწის გულისკენ მიდის ეს გზა, თითქო უბსკრულში ჩავდივარ. ზევიდან წვეთი ჩამოდის. ველარაფერს ვხედავ. ბრმა ცხენივით მივდევ ჩემს ქმარს. საღლაც ნაკადულის ზდა ისმის.

— ხაბარდა-ა-ა! — ჰკვირიან საღლაც წინ დროგამოშვებით. გზიდან გადავდივართ და ველოდებით. ჭრაქი თითქო თავისთავად მოდის. რალაც ბოიალი ისმის. გვერდით ცხენი ვაგვიელის — დატვირთულ ვაგონს მოაგორებს. ზოგჯერ გვიოაბი ვადართოვდება, ამაღლდება, მკირე მოედანი გამოჩნდება. აქ თავს იფრიან პატარა გვირაბები, აქ აწყვია სამარაგო იარალი და დინამიტი. ჯაგარი-სგან დაცლილ ბუდეებს ქვით ავსებენ, გათხოილ გვირაბებს ბოძებითა და ხარბებით ამეგრებენ. ერთგან დიდი ხნით შეეჩერდით.

— ხაბარდა-ა-ა! — ვაჰკვირიან ლანდები და მორბიან. ჭრაქ ბი უცნაურად ციმციმებენ, ანთებულ ბურთულებივით დაჰბტინ. უცებ აქვე ახლო საშინელი გრიალი გაისმა — თითქო ზარბახანი გავარდაო. მეორე, მესამე, მეათეც. დინამიტით ანგრევენ აქაურობას.

ნიშანი მოგვეცეს — გათავდაო. ისევ მივდივართ. მერე ბობლვით ავდივართ კლდეში ვამოთხრილ საფეხურებით. ისევ მივდივართ, ისევ ავდივარ, ვფხვავთ, ვტრიალებთ და რალაც ჯოჯობეთორ ქსელში ვებმებით. ეანი მახნეებს, მჩვენებს, მ-ხსნის და მარიგებს. წინ შტეიგუო მივიძღვის. ორივენი თავბობურულ ავაზაკებს ჰგვანან, რომელნიც დასაცემად მიდიან. აღბად მეც ამათვე ვგვავო.







საქართველოში

მედიკალინური

მეტე გზა აღარ იყო. ბათუმამდე გავაცილე და დედასთან დავბრუნდი— ისე დავბრუნდი, როგორც ქერივი ბრუნდება სასაფლაოდან.

გადავწყვიტეთ: ვიმშობიარებ, მოგვეთულება და ჩვეალ პარიზში— ჩემს დედამთილ-მამამთილთან— და ეანიც იქ დამიხვედება.

ეაჭი გამიჩნდა. ეანის სურვილი აფასრულე და ევენი დაგარქვი. უკვე შეხზე ვიდექი, უკვე ჩავალაგე და მეორე დღეს ვაპირებდი წასვლას. დავიგვიანე: „შებენა“ და „ბრესლაუმი“— ორმა ჯავშნოსანმა— სოოლა აუტეხეს შავი ზღვის ქალაქებს; და ბოსფორის სრუტეც დაიკეტა. და იმ დღიდან გალიაში მომწვედელი ჩიტებით აფეხართხალდი.

ხან იაპონიის გზით დავაპირე გავსლა, ხან რუმინეთის ხერგლით მოვიწოდომე გამბრომა, ხან თეთრი ზღვით და ხან კიდევ სვედეთით, მაგრამ ყველა კარები მოჭრილია.

— ნუ ჩქარობ, — მიჩვედნენ, — ომი დღეს თუ ხვალ გათივდება.

ასე გავიდა ერთი წელიწადი. ბოლოს, როგორც იყო, სკანდინავიისა და ინგლისის გზით ჩავედი პარიზში, ჩავედი მხოლოდ იმისთვის, რომ იქ გამეგო ეანის დატყვევება და მისი მამის სიკვდილი.

ომის გათივების მოლოდინმა და ეანის სიყვარულმა ექვსი თვე გამაძლევინეს უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხში. აქ კი შეიღი მეზოდებოდა და მშობლები მიცდიდნენ.

იქ ვიგრძენი პირველად მშობელი მიწისა და სისხლის ყვილი. უჩინარმა ძალამ თითქო თოკით დამითრია. არ ვიცი, ვერ ვიტყვი, რას ვიქმოდი, როგორ ვიგრძნობდი ჩემი მიწის ძახილს, გვერდით რომ ეანი მყოლოდა. მგონი ვერ ვიგრძნობდი, ან ადვილად გავუძლებდი.

საბრალო, საბრალონი ვართ დედაცაცები: სქესის ძალითა და პატარა ბავშვის თითებით ისე მძლავრად ეყვევართ დაბმული ჩვენს კმრებს, რომ ყოველივე დანარჩენს— ჩვენს მიწას, ენას, მშობლებსა და ნათესავებს სულ ადვილად ვივიწყებთ. გულმა მაინც გამომიწია და მეც დავბრუნდი. თითქო მიხაროდა კიდევ ეანის ტყეობა. უჭირს, უძნელდება, სამაგიეროდ ცოცხალი დამარჩება და უვნებელი დამიბრუნდება მეთქი.

იმ ხანიდან მუდმივი, შავი მოლოდინი ჩასახლდა ჩემს გულში.

აღლაყვრი მიყრუებული. უკაცური ქვეყანა იყო, ეხლა კი დედა-ქალაქში ეცხოვრობდი. მაგრამ იქ ეანი მყავდა, ეანი— ჩემი ერთი, სიცოცხლე, მიზანი და დედა-ბოძი. ეხლა კი... ამ დიდ ქალაქში ჩემი სიცოცხლე დღითი-დღე იღევა, დნება, ქაობდება. როცა ეინმეს მოვლოდები, ერთი საათი ერთ კვირას უდრის. მე კი ოთხი წელიწადი გავატარე ასეთ მოლოდინში, ოთხზე მეტიც.

დედა ფილტვების ანთებით გამიხდა ავად და გარდამეცვალა. იმ დღიდან მე და მამა კვირაში ორჯერ მაინც ხელი-ხელს ჩაკვიდებდით და ვერის სასაფლაოზე ვავიდოდით. ერთი საათის შემდეგ დალილ მოხუცს ძლიერ-ლა მოვაჩანჩალებდი. ერთხელ ძლიერ-ლა ავიყვანე. საფლავზე დაჯდა, მერე დანებო და... იქვე მიწაში ჩაჭებოა თვისი სული. დავრჩი მარტოდ-მარტო. მხოლოდ ეანის დაბრუნება და შეილი-ლა შემრჩენ ცხოვრების მიხნად და ნუგეზად. და ჩემი ცხოვრებაც, უკლებლივ ყოველივე, ჩემს პაწაწა შეილს შევსწიო.

აი, მისი სურათებიც წინ მიწყვია. თორმეტი ფოტოსურათია მაგიდაზე გაშლილი— ერთი წლიდან მოყოლებული თორმეტამდე. ეხლაც დაეცქერი და მიკვირს— როგორის უცნაურობით იზრდება, იშლება და იცვლება წლით-წლამდე ეს პაწაწა სულიერი. თითქო ერთი სურათი მეორეს არცა მგავს და, ამავე დროს განსხვავებაც არ მოსიანს. რამდენი სხვაობა, რამდენი უცნაურობა და ნაირობაა ამ ერთ სახეში! თითო სურათს თითო სახელი დავარქვი: აი, პირველი სურათი— „მიკვირის და ვერ გამიგია“. მეორე— „თვალი ამეხილა“. სამი

წლისა რომ შესრულდა— „ეს რა ამბავი ყოფილა!“ ამას მისდევს „მეც ბიჭი ვარ!“ ხუთისა რომ გახდა— „რას მიბღვერი!“ აი, „რა მშვენიერია!“ ავერ— „ნეტა მამა სად არის?“ „ჰა გენაცვალე დედილოც“. ამას მისდევს „მეც ბიჭი ვარ!“ მერე— „შენ ვინ გეკითხება?“ შემდეგ— „ფრთხილად, თორემ...“ და უკანასკნელი— „მშვიდობით, დედილო“.

უკანასკნელი სურათი რამდენიმე თვის წინად გადავალბინე, ამიტომ... ვერა, ველარა ვწერ. კმარა! დანარჩენი მერე იყოს, მერე!

საქართველოში გერმანელები<sup>\*</sup> ჯარი შემოვიდა. დავრბივარ უფროსებთან— ხან ერთთან, ხან მეორესთან, გრაფი შულენბერგი ძპირდებოდა— ყოველივეს გაგივებთო. გრაფი ფონ-კრესსი თითქო თვალებით მისაყუდღურებს— ქართველი ქალი ფრანგს რად გაჰყვითო. ბოლოს, ფონ-კრესსმა დამიბარა და ძითხრა: თქვენი ქმარი ცოცხალიაო.

— როდის ენახავ?

— როცა გავიმარჯვებთ.

— ნება მომივით წავიდე და ენახო.

უარი მითხრა და დამაიყუდა— ომი მალე გათავდებაო. მე და შალვამ ერთმანეთი დაგიფიწყეთ. ოთხ წელიწადში ორჯერ შემხვლა და უბრალო სალამიც ძლივს გაიმეტა. იმ ხანებში რუსეთიდან დაბრუნდა.

— ქმარი როგორა გყავს, რა ისმის?— მკითხა ერთხელ ქუჩაში.

— ტყუიდა ჰყავთ გეომანიში.

— კარვად იყავი.

— მშვიდობით.

მეტე არათფერი, ან მეტი რა უნდა ყოფილიყო! რადგან ომის გათავების იმედი თითქმის გადამიწყდა, ამიტომ მისი დასოულების ამბავიც საამური მეზივით დამეცა. უკანასკნელ ნივთებს ვაგროვებ, ჩალის ფასად ვყიდი და ბათუმისკენ მიქრო. გერმანელები და ოსმალები მიდიან, საძაგვიროდ ინგლისელები, მალაელები და ინდოელები მოდიან. ინგლისელ გენერალთან მივრბივარ, ვუამბობ, ვიმეოვებ და ვცხვ წები— ეხლაცე საურაბგუთში გამგზავნეთ ნეთქი. გენერალმა დასაჯდომად რომ არ დამპატიყა, მე თვითონ დავეგეტი. ის კი სიგარას აბოლებს და პასუხად მხოლოდ თავს იქნევს— არაო. რადენიმე დღის შემდეგ ისევ ვუამბობ, საბუთებს ვაჩვენებ, ნათქვამს მეხუთეჯერ ვიმეოვებ და ისევ ვეხვეწები. გენერალი სიგარას თვალებში ძიბოლებს, ისევ თავს იქნევს და უსიტყვოდ მიპასუხებს— არაო. ეხლაც არ მესმის, როგორ მიცხავლე:

— უბრდელი ვინმე ჰყოფილხართ.— და წამოვდექი. გენერალი ცხენივით ქიხინებს და მიკითხება:

— საქართველოში ბევრია შენისთანა ლამაზი გოგონა?

ზიზლით გადავხედე და წამოვიდი. საფრანგეთის კრეისერი მოდის. გემზე ავდივარ და კაპიტანს ვეძებ. ჯერ ხმაც არ ამომიღია, მაგრამ ისე მიხვდებიან, თითქო ნათი ოჯახის წევრი ვყოფილიყავი. შემდეგ, ჩემი ვინაობა რომ ვუამბე, ნაპირზედაც აღარ გაიშვებს: თვითონვე გადმოიტანეს ჩემი ბარგი და ერთი თვით, სანამ ტულონში ჩამიყვანდნენ, გემის დედოფლად გამომამცხადეს. ომის დროს დედაცაკი უნახავი ვინმეა საშენდრო გემზე, მაგრამ ეხლა ომი გათავებულა. გარდა ანისა, ქართველი „ნობლი“ ვარ, ფრანგის ცოლი და ფრანგის დედა. არასოდეს დამავიწყდება ის ერთი თვე. ბათუმი— სტამბოლი— სმირნა— პიოცი— ბრინდიზი— ნეაპოლი— ბალერმო— ტულონი— აი ჩვენი გზა. მიდის გემი და ხმელთაშუა ზღვაში ოსმალო-გეომანელებს ცოცხივით ჰკვის. და მეც ბავშვივით მიხაროიან „ჩვენი მტრების“ დამარცხება— აღბად იმიტომ, რომ მუქმანი ფრანგი მყავდა.





ქართული

ბოლოს, ტულონში მივედით. მეორე დღეს პარიზში ჩავდინავ. წინა დღით ეანს დეპეშა გაუფუგხავნე. რა თქმა უნდა დამხედება, ლიონის სადგურზე დამხედება. ტყვეობიდან უკვე დაბრუნდებოდა და გულის ფანქრალით მოაქლოვდება. სადგურზე ათავინ არის—არც ეანი, არც მისი ხათესავი. „ყველაფერი არეულია, —გავიფიქრე,—ალბად ღოზე ვერ მიუტანეს დეპეშა“. და ავტობობილით მივდივარ სენ-გეომენის ბუღვარზე. აი, შოვერას ექეს-სართულიანი სახლიც. აჰა, მისი ბინაც. ვაკაქუნებ. მოახლე გამოდის.

— ეან შოვერ?

— არ დაბრუნებულა, მადამ.

„ალბად ქალაქშია, ჯერ არ დაბრუნებულა“. —ფეიქრობ და შევდივარ. ეანის დედა ტირილით გადამხეხია:

— ეანი დაიკარგა. რუსეთში წავიდა და დაიკარგა.

— ეანი დაიკარგა! რუსეთში წავიდა, —ისიც ამ დროს! აფურთხულ ცეცხლის ზღვაში შესტოპა! სკამზე დავეცო და კარგახანს ხმას ველარ ვპოულობდი.

— ღმერთო ჩემო, ეანის შვილი! —გაახსენდა მოხუცს ჩემი ეეენ, რომელიც, ჩვენი ტირილის გავლენით, თვითონაც ცრემლს იწმენდავდა.

საწყალი ეეენ, ძლიეს ჩამოვიყვანე ამ სიშორეზე და ჯერაც ვერა მანახ თავისი მამა!

ეანის დედ-მამას, ძეგებსა და დებს მეც შეიუეროდი: დავდივართ ათას სახედრო შტაბებში, საელოებში, აღმოსავლეთისკენ მიმავალებთან, იქიდან ჩამოსულებთან და დავეჭებთ ეანის კვალს. ბოლოს, როგორც იყო, მივავენით. ომი რომ გათავდა, ეანი პოლონეთში გადავიდა. იქიდან საქართველოსკენ წავმოვიდა (ჩემსკენ, ჩემთან!). მაგრამ სადღაც უკრაინაში გაიჩხირა და წითელ ზღვაში შესტოპა. უკანასკნელად კივეში უნახავთ, როცა ეს ქალაქი წითლების ხელში გადავიდა.

ცხადია, უნდა დავბრუნდე. ან მეც ცეცხლში უნდა შეეტოპო, მეც ეანის ბედი უნდა გავიზიარო, ან კიდევ ისევე საქართველოში დავბოუნდე და იქიდან გავიგო მისი ბედი. მეორე როგორ მოვიქცევი—ეა შემდეგში გამოჩნდება.

მეორე გზა ავირჩიე. ეანის მშობლებიც დამეთანხმნენ, ფულიც მომცეს, მაგრამ ზედ დაურთეს: ეეენ ჩვენთან დარჩებო.

— არა, არ დარჩება. —შტაკცედ მოუჭერი. —უშვილოდ მე არსად წავალ.

მეტი გზა არ იყო: დასთავს და გამოამისტურეს. დიდის წვალებით დავბრუნდი საქართველოში და აქედან ათასი ძაფი გავაბი რუსეთთან, პასუხიც მალე მივიღე: ეან შოვერი ბრბოლაში მოჰკლეს ადესის მახლობლათო, ასეთივე ცნობა მომივიდა პარიზიდანაც—ეანის დედისაგან, რომელიც მაინც მპატიობდა, —ალბად ეეენის დანებება უნდოდა.

თითქო შიწა გამისკდა და თან ჩამიტანა. მეც დავჭერივდი, ეეენიც დამიობოდა. იოგვლიე —ბინდა, უკუნეთი. არც გზა სასიარულოდ, აღარც ახრი საცხოვრობლად, არც მიზანი მისაღწევად. მემნელება ჩემი დარდის აწერა. არც საჭიროა. ერთ ოთახში შევიკეტე. მავები ჩავიკეი და ჩემს შვილს—ერთად-ერთ ნუგეშა, იპედსა და მიზანს ჩავაცვიდი. „რა ფუყოთ, —ფეიქრობდი, —ჩემისთანა ახალგაზრდა ქერივი ამ ეავად რამდენიმე ბილიონია. ყველანი სძლებენ, მეც ვავძლებ.“ ერთხელ მოულოდნელად შალეა მეწვიდა.

— დაქერივდი, ირინე? —მკითხა და ბნელ კუთხეში ჩამოჯდა.

— დავქერივდი.

ეეენი დასვა მუხლ-ბზე და აათამაშა. ერთი საათი მაინც ართობდა, მე კი ვერა მხედავდა, თითქოს იქ არც კი ვყოფილიყავი. მეორე წამოდგა, თავი და-



ქართული

მიქნია და წავიდა. ან მისი მოსვლა რა იყო, ან უსიტყვოდ გულზე მტეხულა — არ მესმოდა. მერე გავიგე: ეს იყო დასაწყისი ძელი ამბავის განახლებისა.

კვირასი ორჯერ-სამჯერ მოდიოდა, მე ერთ სიტყვას მოპივებდა, ექვსს კი საჩუქარს მოლტანდა და ისევ წავიდოდა. ზოგჯერ შვილს წაიყვანდა, ატყვევდა, რამეს ჩუქებდა და ეზოდან ამოჰსაგნიდა. რა თქმა უნდა, მივუბუდი. ისიც ვიცოდი, რომ მისი დუმილი და ბავშვთან თამაში შეიძლება ორი წელიწადიკ გაგძელებულიყო. მაგრამ მე თვითონ არ შემიძლო დაახლოვებისთვის თუნდ ერთი ნაბიჯი გადამედგა. აიკ გუნებაში მქონდა რამე, არც გულში, არც თავმოყვარეობა მაძლედა საამისო უფლებას.

არსებობს ერთი ტიპი დედაკაცის: მეტად თავმოყვარე, ამაყი, თითქმის ამპარტყანია. მუდამ მობურთონი ა-იან, მუდამ სუსხი აცყაით, მუდამ ზედ აწერიოთ: „არ მომეყარო, არაფერი გამიბედო, მე საშენო არა ვარ.“ ასეთი ქალის გულში ზოგჯერ ტრალეღია სტრიალიებს. უნდათ, მაგრამ ვერც თვითონ პბედაიენ, არც სხვას აბედინებენ. მეც ასეთი ხასიათი დამიდგა ე-ნის სიკვდილის შემდეგ. მხოლოდ ერთხელ წამისნალტი ფეხი — ალლავერდში. ეან შოვერთან. მაგრამ ეს ხომ სათვალავში არ არის ჩასაგდები. ყოველი მხრიდან მესმოდა: ძალიან ლამაზი, მაგრამ მიუყარებელი ქალი ხარო. ათასნი მეხვეოდნენ, მაგრამ ირგვლივ თითქო ჯადოსნური რკალი მერტყა — იმ რკალის გადმოლაბვას ვერა პბედავდნენ. იშვიათად თუ ვინმე თამამი გადმოაბიუებდა, მაგრამ უშალვე უკან დაიხედა.

ორი წელიწადი ვავიდა რაც ეანი მომიკვდა. ჩემი პირისახის სუსხმა თანდათან იკლო (რა ჩემი ბრალია, დროს სცოდნია სევედის წაშლა და ამორცხვა!) მაინც წინანდელზე მეტი სიმტკიცე და აპპარტავნება დამჩემდა. ბევრმა გააციონო, გამზომა, მაგრამ ძიჯნას ვერავენ გადმოაიკოლა.

“ანომალია ხომ არა მაქვს?” — მრავალჯერ ვკითხე ჩემს თავს. არა, არავეითარი. ადამიანური არაფერი მაკლია. ყოთხელ შალვა ლეკიშვილმა გვერდით მოჯდომა გამიბედა და მკითხა:

— არა თხოვდები, ქალო?

ებლაც არ მესმის, როგორ და საიდან მოიკრიბა ამოდნა გამბედიობა? მე მხრები შევიშუშე და გაველიმე.

— თუ არავინ მთხოულობს...

— რომ გითხოვოს ვინმემ?

— ვინ გამოგგხვანა მაქანკლად, შალვა?

— ჩემი თავის მაქანკალი ვარ.

— ხუმრობ, თუ...

— რა დროს ხუმრობაა! ათი წელიწადია გელოდები.

— როგორც ვატყობ, ეგ მოლოდინი მაინცა-და-მაინც არა გტანჯავდა. —

ფეხხელიტე მე.

უცერ ლაჩრული გამბედიობით წამოხტა, თავის კანიდან გამოეარდა, თავგანწირვით დამეტაკა და იტვე დამიმორჩილა — დატყიაზავად, უპასუხოდ, ხეპრულად, უხეზად.

ჩვენ, ქალები, ხშირად ვიპეორებთ: მამაკაცები არ გვეცნობენო, მაგრამ ისიც მართალია, რომ დედაკაცები ჟფრო ხშირად სცდებიან მამაკაცის დეკასებაში. აკი ვთქვი, შალვას ბავშვობიდანვე შევეხარდე მეთკი. დობდლო, დუნე, მშიშარი, მორჩალი და უნიათი — იი წინანდელი შალვა ლეკიშვილი. ებლა კი ჩემივე თავალწინ ყვევის კერცხიდან მიმინო გამოიჩიკა. სხვებისთვის, გარეგნობით, შალვა ისევ ის დარჩა, ვინც უწინ იყო. ემთვის კი, ინტიმურ ცხოვრებაში, უცნაურად გარდიქმნა და მეც გარდაქმნა.

მაგრამ ჩემი ახალი ქპარი ერთი მხრივ უცვლელი გამოდგა: ისევ ჩემი,



უბეში, თითქმის მუდგო. დღისით მოსამსახურეობა დამაკასრა, ხოლო ღამით— დედაკაცობა. ბევრს ვეცადე გამება მეგობრული, სულიერი ძაფებიც, მაგრამ ვერაფერს ვაგხდი. მისი სული უკვე დაჩლუნგებულიყო, ან იგი არასოდეს ჰქონია, ხოლო მისი გონება ერთ სათითვეშიც ხალვათად დაეტეოდა. გარდა ამისა, შალვას ხასიათში ახალი რამ აღმოვაჩინე: გულცივი სასტიკობა, მოუღუნავი სემკაცრე და გავიგვარებული ეჭვიანობა.

ისედაც ახლოს არავის ვიკარებდი, ეხლა კი პირსახეშიც ისე ვერავის შევხედავდნო, რომ შალვას იქვე არ გაჰსიებოდა და გასცდომოდა ეჭვის ღვიძლი. ამის გამო სამიოდე ნაცნობი ძამაკაცოც დავივიწყე. მაგრამ თვითონ შალვა ვერ ივიწყებდა ერთ ვინაქს— ენ შოვერს. ჩემი პიოველი ქმარი მაჯლაჯუნსასავით დააწვა გულზე და დღე-ღამით აწამებდა, აბრზობდა, ჭვარზე აკრავდა.

შალვა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე გაეგო ჩემი და ეანის სქესობრივი ცხოვრების წვრილმანები, და თუ დამტყუებდა რამეს, ცხელ საღ-ტასავით შემოივლიდა გულზე, მეც შამფურზე ამაგებდა და, გაშმაგებული, ვნების ღამეს დამიუეებდა. ვეოიდებოდი, ვსდუმდი, მაგრამ დუმილი აღსარებაზე უარესი იყო. ყველაფერში ჩლუნგი ფანტაზია ჰქონდა, მაგრამ ამ მხრივ მისი შემოქმედებითი ძალა უსაზღვრო და უღლეელი გამოდგავა: ისეთ სასიზღრობას იგონებდა, ისეთ საძაგელ სურათებს ჰვინიდა, რომ მე ყურებში თითებს ვიკობდი და გაქცევას ვლამობდი. ეს კიდევ არაფერი: ღმა ოწმენა ჩაიდო გულში, ვითომ მე, სულ ცოტა, ასი საყვარელი მანაც მყოლოდა, ვითომ ენლაც მყავს, აზღებსაც ვეძებ, და ეს რწმენა, ვერ იქნა, ვერ ამოყუვადე გულიდან.

სანამ მივთხოვდებოდი, ივენს შეიღვიეთ ეპკობოდა. შემდეგ კი შეიძულა და შეიზიზლა, რადგან ეანის შვილი იყო. ეოთი წლის შემდეგ ისევ მეყოლა ამაზედაც თაებრედი მაწყევილია. აიჩემა: სანდრო (ეს სახელი დავაოქვით) ჩემგან არა გყავსო. და ეკრა არ ვავიდოდა, რომ ვინაქსთვის არ მიეშვავსებინა. უფრო ხშირად სანდროს მამად სრულებით უქნობს გამოაცხადებდა და სულ-თამაშთავივით დამადგებოდა: გამოუყედი, მიამბე, დამამშვიდო. ყოველივეს ვერ ვიტყვი, —გრძელია, ძნელია, საშინელია, საზარელია.

ჩემმა ქმარმა თავის მოუქვენრობით და სადიტურ ეჭვიანობით ერთ რამეს მიადწია: ეან შოვერს და ჩემს წარსულს მინელბული ხავლი ამაყარა და მიმქაალი, დამინდული მოგონებანი ისე გააცხაველა, რომ წარსულის ღანდები ცოცხალ და ნამდვილ სუოათეად მოაჩვენა. ეანი ცოცხალი იყო და თვალ-დან აღარ მშოოდებოდა. მე ხშირად ვხედავდი ჩემს ეანს, ზოგჯერ ვებაასებოდი კიდევაც, ვვალერსებოდი და... ძალიან ხშირად ჩვენს საწოლშიც ვწვეენდი — ჩემსა და შალვას შუა. რა იყოდა ჩემმა ცოცხალმა ქმარმა, რომ ჩემი მკლავები მას კი არ ეხვეოდნენ, არამედ მკედიარის ღანდსა და იღუმალ მოჩვენებას!

უნდა გამოვტყდე: შალვა მანაც მიყვარდა — თავისებურად, დროგამოშვებით, უცნაურად, აბირებულად. ჩემს თავს ჩავაგონე და მე თვითონაც დავიჯეო-რე, ვითომ არ შეიძლებოდეს, რომ ცოლს არ ჰყვარებოდეს თვისი ქმარი და თვისი შვილის მამა. და მეც ნამალადევად, იძულებით შევიყვარე ჩემივე სიყვარულის წყურვილი, ჩემი შალვას ღანდი, რომელიც სულ არა ჰვავდა ჩემს ცოცხალ ქმარს. საზარელია: ორი ქმარი გიყვარდეს, და ორივესი მხოლოდ ღანდი, მხოლოდ მოჩვენება!

მაგრამ დათრობას გამოფიზილებდა მოსდევს. შალვას ღანდის სიყვარული იშვიათი იყო, ხანმოკლე და წარმავალი. ეანი კი დღითი-დღე ცოცხლდებოდა, საძარიდან ამოდოდა, მიზრავდა და მიჰყობდა.

ღანდების გარდა ნამდვილიც მექარა ხელში — ჩემი შეიღები, ეენი და სანდრო. და მეც მათთვის ვცხოვრობდი, მხოლოდ მათით მელგა სული.



შალვა რკინის გზაზე მსახურებდა. მეც მომქონდა ოჯახში: კარგი ხაზეა ვიცოდი და თვეში რამდენიმე თუმანს ვაკეთებდი. ასე გავიდა სამი წელიწადი.

რუცბე მოწმენდილმა ცამ დაიქუხა და ჩემს სულში ცეცხლის გრიგალი შემოიკრა.

ერთბელ — მაგონდება: მაისის დღე იყო — ახალგაზრდა ვინმე შემოვიდა ჩემს ბინაში და წერილი მომაწოდა.

— ვისგან არის ეს წერილი? — ვეკითხე.

— ეან შოვერისგან.

გაშვერილი ხელი მოჭრილივით ჩამავარდა თეძოზე, მეც ჩავიკეცე, მერე წამოვიწიე და ისევ ჩავიკეცე, თან ორივე ხელს ისე ვასავსავებდი თვალებთან, თითქო სულთაძუთავს ვიგვირიებდიო. შემდეგ ენა ძლივსლა ვიპოვე და შევხრიალე:

— ეან შოვერი მკვდარია... მოკვდა! დიდი ხანია მოკვდა!

ესლა ის ახალგაზრდა დაიბნა დამაშტერდა.

— არ მესმის. აი, ზედაც სწერია: ეან შოვერისგან — დე ეან შოვერ.

წამ ოვეარდი და მაჯაში ვეცი.

— თქვენ ნახეთ, თქვენ თვითონვე ნახეთ შოვერი?

— არა, არ მინახავს. წერილი ახალგაზრდა მომიტანა და მითხრა: ეან შოვერის ძმა ვარო.

— პარიზში?

— დიალ, პარიზში. გახსენით წერილი, ქალბატონო.

მთრთოლვარე თითებით გაეხიე და ამოვიღე. შიგვე, — ფოტო სურათი.

— ენა, ეანი!

ისევ ჩავიკეცე და დავეცქერდი.

— ეანია, რა თქმა უნდა, ეანია!

მკერდამდრს არის გადაღებული. ოდნავ გასუქებულია, მობერებულია. ტუჩებზე რალაც სატანჯველი დასწოლია. თმაც შესთხელებია. ან რა საკვირველია! ჯერ ოთხიოდნე წელიწადი ტყვედ იყო, მერე... მერე სად იყო — არ ვიცი. ამას წერილში ამოვიკითხავ.

— ეან, ჩემო ეან! — ვბუტბუტებ და წერილს დავეცქერი. — ეანის ხელია, ეანისა!

აეირიე, აეიშალე, გონება ველარ მოვიკრიბე. ხან აედგები, ხან ისევ დაეჯდები, ხან წერილს გკითხვლობ, ხან კიდევ სტუმარს მეხუთეჯერ ვეკითხები:

— მაშ ეანი ცოცხალია?.. მაშ არ გინახავთ?.. რატომ არ დაბრძანდებით?.. (სტუმარი კი დიდხანია თვითონვე დაჯდ) მაშ ყავას არ მიირთმევთ? (პირველად ვეკითხები, ჯერ უარი არ უთქვამს)... მაღლობელი, დიდი მაღლობელი. — და კინალამ ხელზე ვაკოცი. რომ გადიოდა, წერილს გკითხვლობდი და ჩემთვის წავებურტყუნე:

— მშვიდობით... ნახვა?დის.

და მისი გვარი და სახელი, სამჯერ მაინც ნათქვამი, უმაღვე ამომივარდა ხსოვნიდან.

ეეუნი სკოლიდან დაბრუნდა. რამდენჯერმე მთხოვა საქმელი. სანდრო ღნავეის, კალთებს მაგლეჯავს. მე კი არაფერი მესმის: ეანის წერილს ვკითხვლობ — ერთბელ, ორჯერ, სამჯერ. ვკითხვლობ და ველარ ვძლები. ზოგი მაშინვე მავიწყდება, ზოგი არ მესმის, ზოგ სტოიქონს თვალს ველარ ვაშორებ.

— ცოცხალია, ცოცხალი! — ვიძახი და გიყვივთ ვიციანი.

— ვინ, დედილო, ვინ არის ცოცხალი? — მეკითხება ეეუნი.

— ცოცხალია მეთქი! — და კინალ.მ დაფუმატე. — მამა, მამა შენი!



— ვინ მეთქი, დედოღო?

გონს მოვედი. ნიაღვრებით მოწოლილი სიხარული უკანვე ჩავიბრუნე და გულგრილად ვუპასუხე:

— არავინ, შეილო. ჩემს შორეულ ნათესავს ძმა დაეკარგა. ვგონა, მოკვდაო. ცუცხალი გამოდგა. მეტი არაფერი. წამო, ყავა დალიე.

ჩვენი ყავესა სვამს, მე კი მას ვსინჯავ—შეათასჯერ ვათვლიერებ და ქანს ვივონებ, თანაც უნებურად ვიღიმები. როგორა ჰგავს მამას! ყველაფერი, ყოველივე იმისია: თმაც, პირის ფერიც, თვალებიც, ცხვირიც, ტუჩებიც და ნიკაპაც, ტანიც და სიმარდეც, სიტყვა-პასუხაც და მიხერა-მოხერაც—ქანია, ცოცხალი ქანია! ვენაცვალე ჩემს ბიქს! ტოლი არა ჰყავს სკოლასა და ჩვენს უან-ში! პირველია მშვენივით, მკუთით, ნიჭითაც და კოდნითაც! ოოჰ, ნეტა ჩემს გულში ჩაიხედოს ეხლა! თუმცა—არა, არა! ღმერთმა დამითაროს, ღმერთმა!

წერილი და სურათი სავარძელში ჩავმალე. ქმარს ეტყედი. შალვაც ვეღარა მცნობს. სიხარულს ვმალავ, მაგრამ არ იმალება: ყველგან ჟონავს წყალივით—თვალეში, ლოყებზე, ხმაში, მთელ ტანსა და მიხერა-მოხერაშიც.

— რა ამბავია, რა მოხდა?—მეკითხება.

— არაფერი.

და რომ არაფერი შემამჩნოვს, ვერიდები და ვემალები, საღამოზე, შალვა რომ წავიდა და ჩემ ა ბიჭუკებმაც ჩაიძინეს, დანამალი გამოვიღე და სამჯერ კიდევ წავიკითხე—უფრო დინჯად და გულდასმით. ეხლა გონება შეკუმშული მაქვს. ხსოვნა წანაკითხს ღრუბელივით იწურავს, და ყოველი სტრიქონი, ამბავი და სიტყვა ღურსმანივით მერქობა თავში.

ღმერთო ჩემო, წერილი კი არ არის, ნალევრდალია, გაბმული კენესაა, ცრემლის მორევია!

ქანი მართლა ჩამოსულა ადესამდე. იქ შემთხვევით ოდნავ დაქრილა. წითლებს ჩაუვარდა ტყვედ. ვოლგის ნიღამოებში ვადაძვ ხავენს. გაიქცა და კოლჩაკს მიემბრო. შემდეგ ოდოეთში მოისურვა გადასვლა, მაგრამ პაპირების მახლობლად აზივლებმა დაატყვევეს. ოთხი წელიწადი ჰყავდათ. როგორც მე მაწვალეს, ეკვიპტელებიც კი არ აწვალდნენ ებრაელებს. ხარკით მამუშავებდნენ და მპირს მინახავდნენ. შემდეგ გამოიქცა და აელანისტანისა და ინდოეთის გზით ფრანგულ ინდო-ჩინეთში ჩამოვიდა. მას აქეთ ოცი წერილი მაინც მომწერა, მაგრამ ერთიც ვერ მივიღე. თვითონვე უნდოდა ტფილისში ჩამოსვლა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო.

„გავიგე შენი გათხოვება. საცდელურს ვერ გეტყვი, რადგან ზნეობრივი უფლებაც გქონდა და კანონიერიც. წრფელის გულით გისურვებ ბედნიერებას. მაგრამ—გამოეტყდები—ამის გამო ჩემი დარდი არ ნელდება. მეგონა: ამოდენა ტანჯვის შემდეგ ჩემი ერთგული მეგობრისა და შეილის სიყვარულში დავისევნებ მეთქი. იქნება არ დაიჯერო, მაგრამ გეფიციები ჩვენს წარსულს, პატიოსნებასა და ეტენის თავს, რომ ეხლა ათასჯერ ნეტად მიყვარხარ, ვიდრე წინ, ვიდრე მაშინ, როცა ვანუყოფილად მიკუთვნოდი. ჩვენი მაშინდელი სიყვარული—მების დაცემა რომ დაეარქვით—უბრალო. კაბუკური გატაცება ყოფილა შედარებით ჩემს ეზღანდელ გავრეებასთან. ჩემი წარსული წამება გვერდით რომ ამოვუყურო იმ-ქვეყნიურ ჯოჯობეთს, ის ცოჯობითი ალბად სამოთხედ მომეჩვენება. მაგრამ წარსული ტანჯვაც დტყვანდელთან შედარებით სამოთხეა. არაფერი მკალია—ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, დიდი სიმდიდრე—გარდა ორი არცებისა: ჩემი შეილისა და შენი თავისა. მაგრამ უშენობა როგორმე უნდა მოვიხილო—თუ ძალმიძს მონელება სიცოცხლის დაკარგვისა. შეილის დაკარგვას



კი, გამოგიტყუდები, სიყვდილამდე ვერ შევუროგდები. მეტსაც ვმეჭყრისა ადრე მოგვლი, ესეც ეყენის დარდით მოზღდება.

ამის შენდევ ნუ გაიკვირებ. თუ დაუმალაიად გეტყვი: ჩემი გამოკოცხლება მხოლოდ შენ შეგიძლიან. მაჩვიე შეილი, ჩემი შეილი, ჩემი ეყენის მანვერე თუნდაც ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, თუნდ ერთი საათით, და თუ შენს თავსაც დამანახებენ—მხოლოდ დამანახებენ—სიცოცხლის ვიდა გამსამდებია. ეს არის ჩემი ნატვრა. თუ არ შენისრულდა, იგი ნაიდრევედ ჩაზიყვანს საფლავში და თვითონაც ჩამყვება. დანარჩენი შენც იცი. „კონ იცის—გავიფიქრე—იქნება ბედი მიწერია“, და თქვენთვის წინდაწინვე ავიღე ვიხა. გაურდა ამისა, გოგზავნი ორას გირვანქა სტეოლინგის ჩეცს. ნუ მაწყვიტებ: შენც ჩაიცი და ეყენსაც მოახმარე. კარგი განათლება მიეცი, ფრანგულიც შეასწავლე. შემდევშიც არ მოგაკლებ მზრუნველობას. გემუღარები, ნუ მომერიდები. რამდენიც დაგჭირდეს, შენატყობინე. შენც იცი, რომ ქართველი ხალხიც ფრანგებივით მიყვარს. და თუ ეყენი პატიოსანი ქართველი დადგა, მეც გავებედნიერდები.

ბევრი ვეცადე რუსეთში შემოსვლას, მაგრამ ამაოდ. მიცნობენ ეინცა ვარ, ანიტოა ნებაოთია არ მომცეს. ბოლოს ვთხოვე: ბათოში ჩავალ და ჩემი შეილი გემზე მაიხაც ამოუშვით მეტეკი. ისეც უპაო. ერთი-ღა დაგვრჩენია—თუ, რა თქმა უნდა, უკანასკნელსა და ერთად-ერთ თხოვას ამისრულებ:—ან შენ მომიყვანე შეილი, ან სხვის გამოატეგე—თუნდ ერთი დღით, მხოლოდ ერთით!

და როცა შეხვან რადიო დეპეშა მომივა—ერთი სიტყვა, ერთად ერთი—„მოვდივართ“, იმ დღეს დაეიბადები ხელმორედ ახალი ცხოვრებისათვის, ახალი ბედნიერებისათვის. და როცა ამ დეპეშას ჩაბარებ რადიო-სადგურს, ჩემს პასუხსაც მოუცადე. ომ, რა მკვავა ნატვრას! მაგრამ ნატვრის მეტი ოალა დამრჩენია!

ვაოცნი ეყენს ასი ათასჯერ, შენ კი ამდენჯერვე გემთხვევი ხელზე, მხოლოდ ხელზე, ოადგან ყოველივე დანარჩენი სხვის ეყუთენის. სალამი შენს კმასაც. შორიდან ვართმევ ხელს და ვეუბნები, უუდიდესი მარგალიტი ჩავიყარდათ ხელში, უცნობო და ბედნიერო კაცო. თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, თორემ ჩემსავით ინანებთ.“

გვერდით გადავდე წერილიც, სურათიც, ჩემ სახელზე დაწერილი ჩეკიც და ისეც დაეფიქრდი.

ვუთბოა შალვას? გადაეუთარგმნო ეს წერილი? რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! არც ამოდენა ფული დაიბაღება, არც კმრის ორგული ვარ. და ერთი საათის შემდეგ, შალვა რომ დაბრუნდა, გვერდით მოვისვი და გადაეუთარგმნე. მხოლოდ ზოგი სტრიქონი დაეუშალე: სიყვარულს რომ მეწერდა და წასვლის დარიგებას რომ მამლედა.

შალვამ ისე მოისმინა ეს ამბავი, თითქო ვინმე ნაცნობისაგან მოკითხვა გადასცესო. მაინც ჩაეფიქრდა. მერე სიტყვა:

— ფულის აღებაზე უარს ვერ ეტყვი—შეილისთვის გიგზავნის. მაგრამ შენზე მანეთიც არ დახარჯო. ეყენი, თუ გინდა, გაუგზავნე, ეს შენი საქმეა. მაგრამ შენ ვეოსად გაგიშვებ.

- რა თქმა უნდა. არც ვაპირებ.
- ეხლა დავიძინოთ.
- დავიძინოთ:

და დავიძინეთ. დმერთო ჩემო, რა ბრშები ყოფილან მამაკაცები! იკვირიან—კარგად გიცნობთ ქალებსაო, თქვენი გულთაინხილაეები ვართო. ნამდვილად კი ფუტკრის თვალიც არა ჰქონიათ.

ნუ ხანძარში ვიწვი. ლამის წამოვეარდე, ლანის კივილი აესტეზო. შალვას კი სწორედ ეხლა მოუნდა. უბეზად, შეტყვით, ქიბუნჯით გავაგდე. გაბრუნდა





ქართული

საქართველო

და ახერხებდა. მე კი... მე თითქოს მხოლოდ ესლა შევამჩნიე შალვას ხერხეცა, სიმუნჯეც, ბაჯბაჯიცა და ათასი ნამძვილი და მოგონილი ნაკლიც.

ამავე დროს, ჩემს თვალში რომ შალვა კლებულობდა, ეანი ცოცხლებოდა, იზრდებოდა და ჩემს გულს, ბინას და მთელ მსოფლიოს აფებდა. იმ დღიდან დაეკარგე სულის მშვიდობა. ხან სიხარულისგან ვგრივებოდი, ხან უშიზეზოდ უღარდობდი, ხან კიდევ ვკაპასობდი და ვვინჩლობდი. ჩემს თავს ველარა ვცნობდი და ვერც სხვები მცნობდნენ. მართა შალვა იყო გულდინჯი და გულგრილი. ვერცა მკრძნობდა რამეს, ვერც ჰხედავდა.

ფული მეორე დღესვე მივიღე. შალვა ჯერ მაგრად იყო. მერე იმ ფულიდან ასი მანეთი ისესხა, შემდეგ—ორასი, ბოლოს ხუთასიც აიღო. და ეს ფული ამხანაგობას გადასცა—პაწაწა სხლის ასაშენებლად. მე კი იმ ფულიდან ჩემს თავზე მანეთიც ვერ დავბარჯე.

გაეცე პასუხი ეანს თუ არა? ჯერ მეშინოდა—ორგულობა არ გამომვიდეს მეთქი. მერე ვითქვარე: ჩემსა და ჩემს წაოსულზე სტრიქონააც არ დავწერ. მაგრამ მოკლევ ვარ უბედურ მამას შვილის ამბავი და ფულის მიღება შევატყობინო მეთქი. ასეთი გადაწყვეტილებით მივუჯექი მაგიდას.

მაგრამ—ღმერთო, მაპატიე!—სამი დღე ვწევე და თორმეტი თაბახი დავწერე. მეორე არასოდეს არც ერთ ქალს არ დაუწერია ასეთი წერილი, ასეთი ბოდვა. უთქმელი აღარაფერი დამრჩა: ოთხი წელიწადი—მოლოდინი, ერთი წელიწადი—ძებნა, ორი წელიწადი—გლოვა, შემდეგ—უბედური გათხოვება, ბედის მორჩილება, სიცოცხლე შეილისთვის და...—ეს იყო მთავარი, ეს!—და ჩემი სიყვარული მარადიული, საბედისწერო, დაფიქვარი და უძლეველი. ეს იყო დაწერილი ბოდვა და ვაგიება. ახას ვგრძნობდი. მაგრამ შემოღობაც იცის თვისი სიგიჟე, როგორ თავს ვერ იმაგრებს და აწყვეტილ ეინს ველარ ილაგმავს. დავწერე, ჩემი და ეენის სუათიც დაუჯრთე და ქურდივით შევიპარე ფოსტაში. როცა ჩავბარე და დავბრუნდი, თმაში წაევიღე ბელები და ვავიწიე. სამჯერ ჩავიციე და სამჯერვე ვავიხადე. მინდოდა იმ წერილის დამრუნება, მაგრამ ბოლოს მოედუნდი და ისე დავემორჩილე ბედს, როგორც პიოველად—როცა შალვას მივთხოვედა.

ასე გამთელდა ჩანგრეული ხიდი. ეანი იმ ნაპირიდან მიძახდა, მე იმ ნაპირიდან გავუწვიოე ხელები. იმ ხიდზე გავალა ვაკლდა—მეტი აღარაფერი.

ჩემს კივილს უაოესი გამოძახილი მოჰყვა. ისევ ვუპასუხე. ოპ, რა სულელი ვიყავი, რა სულელი და მშიშარა! ეხლაც არ მესმის, ვის ვასულელებდი, ვის ვატყუებდი! სიყვარულის ცეცხლი მამედო, ეანსაც მოვუკიდე, მაგრამ მაინც ვწეოდი: ქმრის მოლაღატე ხუ გგონიეარ, ეანი ჩამოვალ მხოლოდ იმისთვის, რომ შეილი გაჩენო და დავბრუნდე. შემომფიცე, რომ ხელს არ მახლებ და არც მე შეპაცდენ.

რა თქმა უნდა, შემომფიცა. რა თქმა უნდა, მეც დავიჯერე. დავიჯერე თუ ძალით დავაჯერე ჩემი თავი? ვინ იცის, ვინ ვაიგებს? მაკრამ არა—ესლა მანც ხუ ვლალატომ სიმართლეს—მევე ძალით დავაჯერე ჩემი თავი, ვითომ დავაჯერე. თვლი დავხუტე, წყალში შეეტოპე და ვითქვარე: ეგების ისე ვაეიდე იმ ნაპირზე, რომ უხეც კი არ დავისველო მეთქი. მაინც ვყოყმანობდი—საბოლოოდ თვალი ვერ დავხუტე.

— ელო, გზა მიჩვენე.—მეთავერ შევხევეწე, თუმცა ჩემს ხმას აქამდე მუდარის კილო აიას ცნობია.

— წადი, ქალო, შეილი აჩვენე და დამბრუნდი.—მეთავერვე შირჩია ნათესავმა.

ორჯერ თუ სამჯერ სიტყვა გადაფუკარი შალვას.

— შენ გაგიყვდი თუ მე გგონივარ ვიცი? — შემომიტია და გამაჩუმა. — თუ ავრე გინდა, სხვას გააყოლე შენა შევილი.

— სხვას? არასოდეს, არასოდეს!

ერთხელ მომასწრო: ეანის ლჯანასკნელ წერილს გკითხულობდი. მისი სურათიც წინ მედო. შალვამ ის სურათი აიღო, წერილიც გამომტაცა, ორივე დაფხოიწა და ეხოში გადაჰყარა. ეანი მეკითხებოდა — ლჯანასკნელად მეკითხებოდა: მოდიხარ თუ არა, ან როდის წაპოხვალ? ავდექა, ჩავიცი და რადიოსადგურზე გავედი. მხოლოდ ოთხი სიტყვა დაეწერე, ოთხად-ოთხი: „მოკლავართ გეოცნით. ფული. ირინე.“ და იმავე დღიდან პასპორტისთვის დაეწევეზრუნვა.

ნერვიულმა ცაებ-ცხელებამ ამიმატა. დილით-დიღამდე თითქო ნესებზე ვიწექი და ვიჯექი. ეეენხდაც არაფერი იცის. არც საჭიროა. მარტო ელო მშველის, მამზადებს, თან ხშირად მამზნევეებს:

— ნუ გეშინიან, წადი. შალვას მე დავამშვიდებ და, თუ მეტის-მეტად ახირდა, შეგატ-ობინებ. შენს ვაეიკოს სანდროსაც დედასავით მოვევლი.

ფული მომივიდა. პასპორტიც ჯიბეში მაქვს. შალვა ორი კვირით ქუთაისშია გაგზავნილი. ზუთი დღის შემდეგ უნდა დაბრუნდეს. გემი ხვალ ღამით გადის. ხვალ დილით უნდა წავიდე ბათუმში. ყველაფერი ჩალაგებულია. ელოს ჩემთან სძინავს მე კი არ მეძინება. რეტიანივით დაპოზივლებ, თან მიხაიან, თანაც ესტირი და ყველაფერს ვეშვიდობები. მერე დავჯექი და შალვას წერილი დავფურცე. თავს ვიმართლებ: მეტი გზა აღარა მაქვს, უნდა ბავშვი ვაჩვენო მამას. კანონიერი სურვილი რომ არ შეეუსრულო, ფულს აღარ გამოგზავნის და შვილი უსწავლელი დაბრჩება. შენ კი იმდენი არა გაქვს, რომ ჩვენც ვიცხოვროთ და ორივე შვილიც ხერიანად გაეხარდოთ. ეანი კი იმდენს მოგვცემს შემდეგ-შიც, რომ სანდროსაც შესაფერავანიოლებას მიეცემა. მაგარმ საუბედულო ის არის, რომ მე უნდა შევხედე ჩემს პირველ ქმარს და შენ აღბად არ დავჯერებ, რომ გულში ბილწი არა მაქვს რა. ეანი — მამაკაცი — დიდიხანია მოკვდა ჩემს გულში. ცეცხლი ჩამქრალია და არც ერთი არ მოვიდომებთ იმის გაღვიყებას (კითომ გასჭრიდა ეს საბუთი?). გარდა ამისა, მე ძალიან კარგად მესძის მოვალეობა დედისა და ცოლის (ომერთო ჩემო, რა ბავშვური ტიტინია!). ესეც რომ არ იყოს, პარიზში იმდენი მხეთუნახავია, რომ ეანი ჩემთვის არ მოიცლის (ან მართლა მე ვარ ტუტუცი, ან შალვა მგონია ვაეი.) ერთი სიტყვით, ასი ჯალბი, ჭრელი და მქრელი საბუთი მოვიტანე შალვას დასამშვიდებლად. ვარწმუნებდი, ორიოდე თვის შემდეგ უბიწოდ დაგბრუნებდი მეტკი. ვაჯე-უბდი, მაგოამ დღესაც არ ვიცი, მე კი მჯეროდა ჩემი ფიცი? ის კი ვიცი, რომ იმ დროს ჩემში სიყალბე იყო ჩანერგული: თან სიყვარულით სავსე გული მამქონდა ჩემ ეანთან, თანაც — გონებით, — მარტო გონებით — ერთგულების შეგნებას მივიპოვიდი.

მხოლოდ რიკრავებე ჩავიძინე. დილით ადრე გამაღვიძეს. ტელეფონის სადგურზე მიბარებენ. ოცი წუთის შემდეგ იქა ვარ — პირდაუბანელი, ვაწეწილი, აზლილი და დაფეთებული.

— იო რე, შენა ხარ?

— რა ვინდა, შალვა?

— როგორა ხარ? სანდრო როგორ არის?

— კარგათა ვართ. რა მოხდა, რა ამბავია?

— არაფერი... საიშისო არაფერი. დღეს მინდა წამოვიდე.

— დღეს? აკი იწერებოდი, ერთი კვირის შემდეგ ჩამოვალო.

— ჰო, მაგოამ... საუბე გაეთავე. აბა, კარგად იყავი.

— ნახვამდის. მეტი არაფერი?



— არაფერი.

სასმენი ჩემოვკიდე. ტელეფონის მსახური შეკითხება:

— რა დაგემართათ, ცუდად ხომ არ გახდია?

— არაფერი... გმადლობთ.—და ლასლასით გამოვედი.

ელო დაუაყურადა, შეშინდა. მეც დავრეტყავდი. — ჩქარა, ჩქარა! — განჭარბებით ერთმანეთს და სადგურისკენ მივქრით. სხვა-სხვებით ვაჯროვებთ ცნობებს. გემი გავა ღამის ორ საათზე, შალვა კი ჩამოვა თორმეტზე — ორი საათით ადრე. ბინა დაკრძალი დაუხედება. სახამ იტრიალებს, სახამ ელოსთან მივა და ყოველივეს გაიგებს, გემი უკვე ზღვაში გავა.

უკვე ვაგონში ვართ. ღამის გავვიყუდე. სანდრიკოს ასჯერ მაიკ ვკოცნი და ელოს ვაბარებ. მატარებელი იძვრის. ყოველივე ვათავებულა, უკანასკნელი ნაბიჯი გადადგმულია!

— მაშ ბათონი მიგდივართ, დედილო? — შეათეჯერ შეკითხება ეყენი.

— არა, შეილო, ეხლა გეტყვი მართალს. — და ყოველივეს ვუაძიობ, თან ეანის სურათსაც ვაჩვენებ და წყრილებს ზოგ ალავსაც ვუკითხავს. ეყენი გაოცებულია. თითქო უხარიახ, თითქო მოიღრუბლა კიდევაც.

როინის სადგურზე რომ ჩავდივართ, მე და ეანი ზემო სკამზე ავედით. საბანს ვიხრავთ და ქურდებივით ვიშვლებით. ქუთაისიდან მომავალი შალვა აქ უნდა იყოს. უკვე თვალს მოვკარო. ბაქანზე სდვას და ჩვენს მატარებელს ათვალთქრებს. მერე ჩვენსკენ მოდის.

— დაიხურე, დაიხურე! — ეყენს შერბზე ვიკრავ და ისე ვებვივით საბანში, რომ ჩვენი აღარც თავი მოსჩანს, აოც ეყენი. რა უნდა შალვას ჩვენს მატარებელში? რად დადის? ვის დაეძებს? მხოლოდ შემდეგ ვაიგეგე. ჩემი ქმარი ბრმა და სქელტყავა კაცია მეთქი — ვწერდი ზემოთ. ნაგრამ იმ დღეებში ქუთაისში რალაც იღუმელმა ძალამ თვალს აუხილა და კამეჩის ტყავიც გააძრო. გუმანით მიხვდა, აღლოთი მიავნო ხიფათს. ტელეფონით დარწმუნდა, რომ მე ჯერ არსადღ აესულვართ. მიგრამ თორმე გული ეუოჩებოდა: ჩქარა დაბარუნდი, თორემ წაგია. და შალვამაც სანსახარის დავალება შუაზე გასწყვიტა და ტფილისისკენ გამოსწია. ფიქრობდა: ხელიდან არ წამიფეხსო, და ჩვენი მატარებელი გაჩხობკა. მე და ჩემი შეილი სულშეგუბებულნი, განაბულნი ვიწეკით და ერმანეთს ისე ვეხუტებოდით, თითქო ვინმეს ჩვენი გაყრა უნდოდაო. ათი წუთი ათ საათად გადაგვექცა. ბოლოს, ჩვენი მატარებელი დაიძრა. „ძლიეს! მადლობა უფლსა!“ და ხიდს რომ ვაიციდით. მხოლოდ მაშინ ვადავიხადეთ საბანი. მაშინაც ვეგეზინოდა: ისიც ბათონი ხომ არ მოდის? ეყენმა დიდი სიფრთხილით დახვერა მატარებელი. მერე ორივენი ისე აეტყვით და გავგაქვით ნერვიულ სიხარულისკან, რომ იმ ვაკონის ძვხავრეი ვაოცებით ვვათვალთქრებდენ და, აღბად, ჩვენს ხრდილობაზე მაასობდენ.

ბათონში შინი დაკვიბრუნდა. გემზე მდევრებივით ავცვივდით და კაიუტაშიც ისე ვავინაბეთ, როგორც მატარებელში. გული მიგველია შინითა და მოლოდინით — თითქო რალაც მოვიპარეთ და ჩარკას ველოდებოდითო. გემმა ძლიეს მოიხსნა ლავამი და ნელ-ნელა ვავიდა ზღვაში. დაკიბული ნეოვები უკვე მომეშვა. მოულოდნელად ავტირდი და შეილიც ავტირე.

თითქო სიხმარში მისცურავდენ ქალაქები: კონსტანტინოპოლი — ნეაპოლი — მარსელი — ლიონი — დიკონი. მაჯისცემა თანდათან ნეკატება. გული ლამის საგულედან ამოვარდეს. ხელის ბარგი უმიზეზოდ სანჯერ თუ თახჯერ ვავშალე და შევკარი. ეყენს ისე ვკოცნი და ვებვიევი, თითქო მართმევედნებო. ავა პარიზის მიდამოებიც. აგერ მიწანი ჩამქვრალი ფორტი აი, ვარ-დე-ლიონიც — ლიონის სადგურიც. ვაფაციცებით ვეძებ ეანს. მარსელიდან დეპეშა მივეცი. ბაქანი ნელ-ნელა იცლებს. ეანი არსად მოსჩანს.

— სად არის მამა, დედილო? რატომ არ დაეხებდა?

— ალბად არ ეცალა, გენაცვია. წაიღეთ, ჩვენს სახლს მეც ვიპოვნი.

ავტომ თხუამეტ წუთში გ გვიღვანა სან-ერმენის ბულვარზე. აი, ჩენი სახლიც. მეორე სართულზე სირბილით ავდივარ. შვილი უკან ჩამოშრია. ზარს ხელი მივადე, მაგრამ ვეღარ დაერეცე. ვდგე ვარ და ვისვენებ. ვლამობ გული დაეიმევიდო, მაგრამ უცნაური რამ შემართებია: მუხლი მეჭრება, სული მეხუთება, გონება მერუვა. რალაც საშინელსა ვკრძნობ, მაგრამ რას—ვერ გამოვიგია.

ზარის რეკა ბალდანიის რახუნად მომესმა კარებში მოახლე სდგას და მიმხერს.

— მადამ?—მეკითხება.

— ეან როვერ... ეან როვერი შინ არის?—და ჩემი ხმაც ხის კაკუნად მომეჩვენა.

— მისი ცოლი ბრძანდებით, არა? მობრძანდით, გელოდებიან.—ისე მეუბნება, თითქო მოსამძიმრე შეიპატივებო.—აქეთ... იქით... ანტრე, მადამ.

ოდნავ განათებულ ოთახში შევედი, სამიოდე ნაბიჯი წავდგი, ხელები მოსახვეწად გავიშვირე და... უმაღლესი მენაკრავივით გავექავედი.

— ირენ! ირენ!—ჰკვივს ეანი.

მე კი უკანვე წავტორტმანდი და, ფეხმოჭრილი, თვალბინდიანი, მოლიპულ იატაკზე დავეცი. და ჩემი ტანის ბრაზები მე თვითონაც გავიგონე. მერე რა მოხდა—აღმრავერი მახსოვს.

\*

რკინის ქეთთაოები ძლივს-ლა ავწიე. ჩემს წინაშე ფეხ-მოკლე და მალილ-ჭურგა სკამი სდგას. იმ სკამზე კუნძია მიკულებული, და ის კუნძი ჩემს ეანსა ჰგავს—ეან როვერს. ორივე ფეხი ბარძაყებში აქვს მოჭრილი. მკლავების მაგიერ ცარიელი სახელოები ჰკიდია. თმა—ბამბასავით თეთრი, თვლების ალაგას—ყინულის ბურთულები, ცალი ყური—მოჭრილი თუ მოშალი. სდევს ცოცხალი კუნძი და დამცქერის. თვლები რომ ავახილე, საზარლად აკივდა და აფართხალდა:

— დედა, მიშველე, მიშველე!—მერე ჩემსკენ მოიბრუნა თავი და ყოჩანივით დამჩაავლა:—ირევენ! მანერ ირე-ე-ენ! ძლივს დამიბრუნდი, ძლივს!

და ისე ატოკდა, თითქო ჩემთან გადმოხტომა და ჩემი ჩახუტება უნდოდაო. თვლებზე ხელები ავიფარე და ატორიდი. ეანის დედა შემოვარდა, მომეხვია და ისიც ატირდა. თან მამშვიდებდა, თან ჩემზე უარესად ქვითინებდა.

ექიმიც შემოვიდა. ჩემი შვილიც შემოჰყვა, მაგრამ ნაშინვე გაატრიალეს. მისი სლუკუნე კარების უკან მისწყდა. ეანი კვლავ ფართხალებდა და გაჰკიოდა:

— მინიშვით!... მიმიყვანეთ!... ირენ, მა შერ ირენ!

მე თავი დამანებეს და ეანის დამშვიდებას შეუდგნენ. მინდოდა მეც მივსულიყავი და მენუგეშებინა, მაგრამ ვერ წამოვდგი. ეანი მეორე ოთახში შეავარეს და ძლივს-ლა გააჩუმეს. მსურდა გამეკო ყოველივე, ყოველივე: სად იყო ამდენ ხანს ეანი? როგორ დაგონჯდა? რად ჩამომიყვანეს მოტყუებით?

ერთი საათის შემდეგ, როცა ეანიც დამშვიდდა და მეც მოვსულიერდი, ვეხაკრებით შევედი მეორე ოთახში და ჩემს ნაქმოეს—ოდესლაც დახატულ ვაჟაკს, ეხლა კი ნაკაკარს, კუნძს თუ მორს—თვალ-ბუჭულა ჩაეხვებე. ვეხვე-ოდი და ვკოცნიდი, თან პირსახეს ცრემლით ვუსველებდი. ისიც მკოცნიდა. სტოკავდა და ბალივით სლუკუნებდა. ჩემი ცრემლი ცხარე იყო, ხოლო კოცნა—ცივი, ნაძალადევი, უგემური.

გვერდით მივუჯექი და ნელ-ნელა დაეამშვიდე. შემდეგ—ნათლეთებით. ენა-ჩლუნგად და უფრო გადაკვრით ვიდრე დალაგებით—თვისი ამბავი მიამზო.



მისი დედაც იქვე იჯდა და შეიღს მშველოდა. და ქანის ამბავი უფრო დიდის ნაამბობი იყო, ვიდრე შეიღისა, რადგან უბედურმა ხელ-ფეხთან ერთად გონებისა და ხსოვნის დიდი ნაწილიც დაჰკარგა.

ქანი ტყვედ ჩაუვარდათ წითლებს. ზამთარი იყო. ქანი გაიპარა, მაგრამ დიდხანს არ უფლია: მდინარეზე ყინული გაუტყდა და წყალში ჩაეარდა. ვიღაც გლეხმა ამოიყვანა და თავის ქოხში წაიყვანა. ქანმა იმ ქოხში დასტოვა თვისი ვაჟინული ხელფეხი და ყური. ეს კიდევ არაფერი, საზარელი ის იყო, რომ ქანი დაამუხდა. ვიღაცამ გორგოლა გაუყვია. უხელფეხოს ზედ შესდებდნენ და გზაზედ გააგორებდნენ. ეკდო იქ და ათხოვრობდა. გვერდით ვინმე უპატრონო ბავშვი ჰქაედა. უხელფეხოს ხან ის ბავშვი სცაოცვავდა, ხან ვინმე გამვლელი. მათხოვრობდა და ხან სამადლოდ, ხან კიდევ ორიოდ გროშით ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. შეეგდებდნენ ჭრემზე და ბარგივით წაიღებდნენ. ორი წელიწადი მოუნდა თურქისტანამდე ჩასულას. იქიდან ან საქართველოში აპირებდა ჩამოსვლას, ან აელანისტანში გასვლას. ექვსი თვე იჯდა კასპიის ნაპირზე. იმედი რომ გადაუწყდა, შუა აზიისკენ გაბრუნდა.

ზოგჯერ პატარა დაბაში ნახევარი წელიწადი ევდო.

საურბე გზა ხშირად იკარგებოდა, რადგან დიდ გზას ასცდა. მოქონდათ აქლემით—ხან უდაბნოში, ხან გარდუვალი მთებია. ასე იარა გერათიდან ყანდაღარამდე. აქედან ქაბულზე აუხვია. ვაეიდა კიდევ ორი წელიწადი. ბოლოს, ხეიბარის ხეობით ინდოეთისკენ დაეშვა. დიდ ქალაქებში საფრანგეთის საკონსულოებსა და ვაქრებს მიადგებოდა ზოლმე და ძალოვით შეჰპოვოდა. მაგრამ ყველაზე გვერდს უხვევდნენ, ან მპორსავით ფეხს წაქრავდნენ. ქანი მაინც მოდიოდა, მოჰგოვავდა, მოეთრეოდა, მოფოვბავდა. და ხელ-ფეხი რომ აღარ შერჩა, კბილებით-ლა ეჭიდებოდა სიცოცხლეს. ბოლოს განგას ხეობას დაჰყვა და კალკუტაში ჩაეიდა. მთელი წელიწადი იმათხოვრა და უტრიალა ნათესად-გურს. ბოლოს, ერთმა შეზღუაურმა გემზე აიტანა და ინდოჩინეთში—ქალაქ საიგონში გადაიყვანა. ზის ქანი ფრანგულ ქალაქში და ინდოჩინეთში—ქარილი და წყურტუბი არაეის ესმის. ვენები კი მოდიან და მოდიან—იმის ქვენიდან და იმის ქვეყანაში. თვეს თვე მისდევს და წელიწადს წელიწადი. ქანი კი ზის თუ ჰდგია ზღვის ნაპირას და ელოდება იმ წუთს, როცა ვინმე იტყვის: „ეს კაცი ფრანგი უნდა იყოს. იქნება იქ. საფრანგეთში, ნათესაევი ჰქაეს, ეგების კარგი ოჯახის შვილიც არის. ავიყვანოთ გემზე და გავგზავნოთ. მაგრამ არავინ ზედაც არ შეჰხედავს. ყველა თავის გზით მიდის. ერთხელ—როცა დაავიწყდება ქანს ის დღე—ერთხელ შორიდან ნაცნობს მოჰქა თვალი.

— არისტო! ჩემი ძმა, ჩემი ღვიძლი ძმა! ღმერთო, მიშველე!

ქუჩის მეორე ნაპირზე მოდის. ვილაცას ესაუბრება. ორიენი საზღვაო აფიცრები არიან. მოდიან. დამიპირდაპირდნენ: მე გერე ვწყურტუხებ, ვბრიალებ, მერე მგელივით ვლპუი და ვიჭაქებ. ალბად არ ესმის. გამცდა და წაეიდა. დაეილუპე, ეხლა კი საწუღამოდ დაეილუპე მეოტი—გაეიფიქვე და უქანასკნელი ძალონე მოეიკობე და უცებ... ოო, იმ წამის გახსენებაც კი მაერგოლებს—უცებ მეაფიოდ და მალაღი მით ამოვიძახე:

— არისტო! არისტო! მიშველე! მიშველე!

ჩემი ძმა გველნაკებნივით მოურიადლა და გამოიქცა. მერე რა მოხდა—აღარა მახსოვს-ოა. თვალთ დამიბნელდა, გული წამიეიდა. დიდმა მღელვარებამ ენა ამოვიდგა და ჩემი უბედური თავი ჩემს უბედურ მშობელ-ნათესაეებს დაუბრუნა.\*

უკვე გვიან იყო ქანმა რომ დაასრულა ლაპარაკი. შემოაყვანეს იენი. ათი წელიწადი ვუმერგავდი მამის სიყვარულს, საწყალი ბიჭიყო: ნეტა გახიცი-დის ოდესმე ისეთ სიხარულს, როგორსაც განიცდიდა უქანასკნელ დროს, როცა



გაიგო, რომ იმის მამა ცოცხალი და მალე ჩაეხუტებოდა ერთმანეთს. წელიწადი დაინახა, მხოლოდ თვალი მოჰკრა, და მე რომ გული წამოვიდა, ისიც ატრიადა. ძლივს დაიშვიდეს. ეხლა ჯერ კარებში გაიჩხირა, მერე გამოეგანა და მკერდში ჩამიმალა თავისი დამსხვრეული იმედი და სიხარული.

— ევენ, ევენ! — ჰქოდა, და ფართხალებდა თანი. — ჩემი შვილი! ჩემი შვილი!

— შიდი, გენაცვალე, შიდი. — ვაჯერებდით მე და ჩემი დედამთილი, მაგრამ ვერ დავაჯერეთ. ძალით მივიყვანეთ, მაგრამ გასტლტა და გაიქცა.

— ვაი ჩემო თავო, ვაი შენ, უბედურო! — ისევ აქვითინდა მამა, ძილის დრო მოვიდა. ეანის ოთახში მარტო ერთი საწოლია. ჩემი საწოლი არსად არის. დედამთილს ვეკითხები.

— მადამ, — აიშუშნა მხრებში — აგერ თქვენი საწოლი. — და ეანის ლოჯინზე მიმითითა.

სირცხვილისა და ბრაზისაგან სისხლი ამენტო.

— მადამ, ალბად დაგავიწყდათ, რომ მე ქმარი მყავს.

— აგერ თქვენი ქმარი, მადამ. — და ეანზე მიმითითა. — თქვენ ჯერ არა ხართ გაყრილი.

— სცდებით, მადამ. მე ქმარს კი არ დავუბრუნდი, არამედ მამას შვილი ჩამოვუგვანე საჩენებლად.

— თქვენც იცით რისთვისაც ჩამოხვედით. მეც დედაკაცი ვარ და თქვენი მიწერ-მოწერაც ხეპირად ვიცი.

— მართლა? — უარესად ავღუღლი მეორე სილისაგან. — თქვენ ხომ არ მწერდით იმ წერილებს ეანის მაგივრად?

— თითქმის. ეანის ძმის ხელით იწერებოდა ის წერილები. ღამე მშვიდობისა, მადამ. თქვენ გონიერი დედაკაცი ხართ და, იმედია, მალე შეუროგდებით თქვენს ახალსა და მძიმე საქმეს. ღამე მშვიდობისა. — და გავიდა.

ეხლა კი ცხადია, ყოველივე ცხადია. უხეშად მომატყუეს. გამახსენდა ეჭიმის წელანდული სიტყვებიც: „თქვენოდ და უშვილოდ ეანი მოკვდებოდა დარდისგან. მისი სიცოცხლე ეხლაც თქვენს ხელშია.“ ეანს დაუბრუნეს შვილი, ცოლი, ლალა და მამა. დიდ ხანს ეოჯექი მარტოკა და ეტროდი დაკარგულ იმედს, სიცოცხლეს, ორივე ქმარს — ერთსაც და მეორესაც — და შვილებსაც — ისევ ერთსაც და მეორესაც. მეორე ოთახიდან კი გამდნარი რკინის წვეთებივით ეესხმოდა ტვინში ეანის წრიბინი:

— ირენ, ვიენ! ირენ, ვიენ! — ირინე, მოდი! ირინე, მოდი!

ბრაზმორეული შევეარდი. გახდილი ეანი უკვე ლოჯინში იდო. ისევ ფართხალებდა და ლეკვივით წამსუტუნებდა:

— ვიენ, მა შერ, ვიენ შე მუა. — მოდი, ჩემო ძვირფასო, მოდი ჩემთან.

სიბრაღლულმა ბრაზი გამიშრო. გაუბდელი მიეწევი და მიეწაულერსე.

— გაიხადე, გაიხადე! — ენით მოითხოვდა ცოცხალი კუნძი. ვცდილობდი დამემშვიდებინა, მაგრამ ამოვლ: უარესად კაპასობდა, ანზლობდა, ჰბორგავდა. ოოპ, რა მწვავეა მოგონება იმ წუთის! ეხლაც კი ვინთები და ვკანკა-



ქართული  
განმანათლებელი

ლებ. არასოდეს, არასოდეს არ ვაპატიებ ჩემს თავს. ასე უმსგავსოდ ვათელილმა და გაცრუებულმა, მაინც უცხად გადავწყვიტე ყოველივე: კისერი მოვიდრიკე, თვალები დავხუჭე და, გულხელდაკრებილი, მორჩილად წავედი ჩემი ავი ბედის დასახვედრად. გავიხადე და დაფწექი. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, თავზარდაცემული და აცახცახებული, კვილით წამოვხტი და მეორე ოთახში გავვარდი, თან ჯანის თავგანწირული კენესა გამომყვა:

— ო-ო-ო, მიზერაბლ, მიზერაბლ! — ვაი მე, უბედურო, უბედურო!

წელან, ხუთი წუთის წინათ მე, უბედურბმა, კისერი მოვიდრიკე, თვალები დავხუჭე და, გულხელდაკრებილი, მორჩილად წავედი ჩემი ავი ბედის დასახვედრად. მაგრამ, პირისპირ რომ მივედი, ბედმა თვალებში ჩამხარხარა და თვითონვე მკრა ხელი: ეან როვერი სრული ინვალდი გამოდგა. ციმბირის ყინვამ ყოველივე წაართვა ვარდა გააყვებული ენებისა და გაანჩლებული ეინისა. მეორე დლიდან მე და ეენი—ჩემი შვილი, ჩემი ჭკვიანი და ლამაზი ბიჭიკო—ერთმანეთს ჩავაცივდით:

— დედი, დაებრუნდეთ!

— შვილო, გავიპაროთ!

და გამოვიპარეთ. სასეირნოდ გავედათ. ლიუქენბურგის ბალის მაგივრად ჩრდილოეთის სადგურზე ავიპარეთ. ორი საათის შემდეგ ბელგიაში ავალთ. აჰა, საზღვარაც! ლმერთია ჩვენი შემწე! მაგრამ ლმერთმაც იმ ბელგიით კარი მომიხურა. უკანასკნელ სადგურზე ეანდარბებმა ვაკონიდან ჩაკვოყვანეს და უკანვე გავვებრუნეს: ეენი მამას უბრუნდება, რადგან ფრანგის შვილია, მე კი საპრობილეში მივეყვარ. რადგან სხვისი შვილი მოვიტაცე და ეან როვერს—ჩემს ნაქმრებს (აქამდე ჩემი კანონიერი ქმარი იყო, ეხლა კი ნაქმრედ გადაიქცა) ფული „მოვპარე“, რომელიც მან და იმის დედამ კაბებისთვის მარტქეს.

გამაპართლეს. მაგრამ მას აქეთ ჩემი შვილი, ჩემი ლეიძლი ეენი თვლითაც აღარ მინახავს. ქალები გულის სიღრმემდის იგრძნობენ ჩემს დარდას და უძირო სევდას, მამაკაცები კი მხოლოდ მიჰხედებიან.

მეტი აღარაფერი დამჩინოდა: ჩქარა შალვასკენ, ხანდრიკოსკენ! ქმარიცა მყავს და შვილიც. ნაკლი აქვს შალვას (ვის არა აქვს ნაკლი?), მაგრამ ქმარია, ჩემი ქმარი,—გამძლე, ერთგული და პატიოსანი მეგობარი. ხანდრო კი—ჩემი ფუნთუნა, ფუნჩულა და გიგი ბიჭიკო—ჩემი შვილია, ლეიძლი შვილი, ჩემი სისხლი და ხორცი. ჩქარა, ჩქარა! შინისკენ, საქართველოსკენ!

დეპეშა მივეცი? არა, რა საჭიროა! მივალ, მუხლებში ჩავეყვარდები და ვუამბობ, ყოველივეს დაუშალავად ვიტყვი. აღამიანია, კაცო! აღამიანურს აღამიანურად გაიგებს და მამატიებს. ოღონდ ჩქარა ჩავიდე, ჩქარა!

ბათონში ჩამოვედი და ეხლაც ისე ვარ ანთებული, როგორც სამი თვის წინად ვიყავი—აქვე, როკა გემის გასელას ვუცდიდი—ქურდივით მოკუნქული და განაბული. ოღონდ ეხლა ნარტო ვარ, მარტოდ-მარტო!

აჰა, ტფილისიც.—ჩემი ქალაქი, დიდი ქალაქი, დედა-ქალაქი! ოჰ, რა ძნელია დაბრუნება! ალბად ყველამ იცის ჩემი შერცხვენა—მგზავრებმაც, სადგურის მუშებმაც—ყველამ, ყველამ! მაგრამ არაფერია, ოღონდ მალე გავიდე.



ქართული

სადგურიდან, ავტე ავტოში, გაეირბანო ხუთიოდე ქუჩა და... აი, ჩვენი სახლიც... აჯერ, ჩემი ბინის საარკმელებიც, აივანიც. თვალით ვეძებ ვინმეს, უფრო ჩემს ბიჭიკოს, ჩემს ფუნქულას. სირბილით დავლიე კიბე, — როგორც იქ, პარიზში, იმ შავ ღამეს, როცა...

ღია კარებში ელო იბღვირება.

— ელო, ელუსი! — და დასავით ჩაუხვრე. ცივი სხეული შემრჩა მკლავებში — ცივი და ამრეზილი. — რა მოხდა, ელო, რა ამბავია?

— არაფერი... მაგრამ...

— სად არის შალვა?

— სამსახურში.

— სანდრიკო?

— სოფელში გაპგზავნა.

— გზა მომეცი, გენაცვა.

— დაიცა, ირინე. უნდა გითხრა... უნდა გითხრა, რომ... რომ შალვამ...

ისა... ცოლი შეირთო.

— ცოლი? — და კედელს მივაწყვიდი. — ცოლი?

— ჰო, ცოლი შეირთო... მე შემიერთო.

ეხლაც არ ვიცი, რატომ არ გავეწიწენე ჩიტვით, რატომ არ მივებრჩე კატის კნუტივით ის უშნო და ელამი ჰოტი? ან რატომ არ გადმოვვარდი იმ სიმაღლის კიბიდან? ნხოლოდ ერთი — ლა მაგონდება: ჯერ მინდოდა დამეყვირა. უცებ ვიგრძენი, რომ ეს იქნებოდა ნატკენის კივილი, ნაწყენის ბლაგილი, გმინვა დაჭრილი დედალისა. და უშალვე წამომეჭრა ჩვეული თავმოყვარეობა, ჩემი ქალური სიამაყე და საკუთარი თავის პატივი. მაინც ბოლომდე ვერ გავიტანე:

— ფერი ფერსა, ნადლი ღმერთსა! — მიუფუგდე და გამოვბრუნდი. უკანიდან კარის რახუნე მომყვა.

\* \* \*

ჩემი ამბავი გავათავე, ჩემო კარგო სანდრიკო (ჩემი შვილის სახელი დაგარტვით). ძალიან გამიძნელდა წარსულის გახსენება, მაგრამ იგი აუცილებელი იყო ჩემთვისაც და თქვენთვისაც. ასე დავკარგე ორივე ქპარი და ორივე შვილი. ეხლა ვმსახურობ — საწერ მანქანაზე ვაკაუნებ. ოცდაათორმეტსა შევსრულდი. ყველანა ამბობენ — და თქვენც მითხარით — ოც და ხუთზე მეტისა არ იქნებოთო. იმასაც ამბობენ — და თქვენც რამდენჯერმე მითხარით — ვითომ ჩემისთანა ღამაში ბევრი არ მოიძებნებოდეს, ვითომ მეტად დინჯო, ქკუიანი, ზრდილი და თავდაპერილი ადამიანი ვიყო, და თქვენც ამისთვის შევიყვარდიო. იწერებით: „მე თქვენი წარსული თითქმის არ ვიცი და არც მინდა გავიგო“. მე კი პასუხს ვერ მოგცემდით, სანამ „თითქმისის“ ნაცვლად ჩემს წარსულს არ გადავიშლიდით. გარდა ამისა, არა მჯერა, თითქო მამაკაცს შეეძლოს ქალის შეყვარება მისი წარსულის გაუჩხრეჯად. ან უნდა ვადაქტეოს მისი გული, ან თვითონაც დაიტანჯოს და ისიც აწამოს. კარგად წაიკითხეთ ჩემი დაწერილი და დიდ ხანს იფიქრეთ. როგორც შენდავთ, კრელი წარსული მქონია. ერთი რამეც უნდა გა-



ქართული  
ლიტერატურა

გახსენათ: თქვენ უნებური მონაწილე ხართ ჩემი დრამის. გავონდებათ, შარშან რომ პარიზიდან ჟანისაგან წერილი მომიტანეთ? დაგავიწყდით, განა! ასჯერ შევხედით ერთმანეთს, მივრამ ვერ მიცანით, ან კიდევ — ეს უფრო მართალი უნდა იყოს — არ გამახსენეთ თქვენი თავი, რადგან ამის გახსენებით არ გინდოდათ გვერძნობინებინათ ჩემთვის, რომ თქვენ გაგონილი გაქვთ ჩემი თავგადასავალი — ალბად სხვანაირად შეღებულ-შეთითხნილი.

ცხლა ყოველივე იცით. დანარჩენიც ასწონეთ და გადასტერით. მოძველებული წესი ჩამოგიტანიათ პარიზიდან, მეგობარო! ჩვენში წერილით აღარავინ აცხადებს სიყვარულს. მაინც მაღლობელი ვარ, რომ ჩემი ამბავი სიტყვით არ მათქმევინეთ. დაწერა ასჯერ უფრო იდეილი ყოფილა, ვიდრე ლაპარაკი.

საკვირველია, გული გამინათლდა, დამიმსუშუბუქდა. ალბად იმიტომ, რომ ჩემი ამბავი — მძიმე ტვირთი — მოვიხსენი. სამაგიეროს არა ვთხოვთ, არც გექნებათ სათქმელი. მეკითხებით, როდის განხოთო? ეს რვეული წაიკითხეთ და თქვენ თვითონ გადასტერით. ვინ იცის, იქნება სულაც არ მოინდომოთ ჩემი ნახვა?

მამ მშვიდობით ან ნახვამდის ჩემო... მეგობარო, ვერ-ვერობით მხოლოდ მეგობარო.

თქვენი... — რა დავირქვა, არც კი ვიცი. ისევ ბუნდოვანი სიტყვა დარჩეს —

თქვენი ირინე.

## პერსიის კავარი

\* \* \*

თვალეში აქვს შავი-ნახშიროვან წარბების ქვეშ, უღვაშები—დაგრეხილი, აკოკრებული, პირისახე—მოგრძო; შავგვრემანია და მგონი ლოყები ოდნავ ალის-ფერი უნდა ჰქონდეს.

აცვია: პრიალა ჩექმები, ყელში ჩვიდმეტჯერ გარმონივით ნაკეცი; შარვალი—განიერი, კაბასავით ფართე და მუხლებზე გადმოფენილი, წერილი, ოქროს ფერი ბუზმენტებით შემოვლებული; შუაში გაქრილი ხალათი.

ასეთია ფირანა, როდესაც თავზე თაბახი უძევს და ჰყვირის ხოლმე სპილენძის ხნით:

— წვანილი, თმახუჭუჭა წვანილი!..

და მას მუდამ, დღეში თითქმის ორმოცდაათჯერ აჩერებს ხოლმე ლამაზ ქალთა ხმა და თვალეში:

— რა ღირს, რა?..

— არაფერი, გენაცვა, მუქთად. აი დახედე...—უბახუბებს ფირანა, ლამაზ მანდილოსნის წინ დასდებს თაბახს და უჩვენებს თმახუჭუჭა წვანილს.

— მომეცით შაურის—შემკრთალივით ეუბნება ქალი; თმებიდან სახეზე რამდენიმე კულული უცვივდება, თვალეში ატყეპივით უმწიფდება, მარწყვივით ტუჩებზე ღიმილი გაურბის...

ახედავს ერთხელ, უღვაშებით გაუციონებს და წვანილს გაუწოდებს. სპილენძის შაურისან ჯიბის კალთაში ჩაიგდებს, თაბახს კვლავ თავზე დაიდებს და ისევ გაჰყვირის დახეპირებულ სიტყვებს...

რამდენი ლამაზი ქალი შეხვედრია, რამდენი ბაგე უნახავს ვაეის ტუჩებით დაუსტამბავი და რამდენი ვნებიანი ცქერა გამოჰყოლია შორიდან!

ხშირად მისი თვალი მოუტაცია მშვენიერ გულ-მკერდს, მეტადრე მაშინ, კაბის მხარი მკლავზე რომ გადმოეარდნიათ და რძისფერი, მარმარა სხეული რომ გამოისჩენიათ უფრო ღრმად, უფრო ვნებიანად.

მაგრამ მისთვის მოუტაციათ მხოლოდ თვალი, რადგან გული უკვე სხვისათვის უძგერს.

და მართლაც, თითქოს ხალის დაკარგულია. მის სახეს მზიარულების ელფერი აღარ ეკერის.



ამოდის მზე რივრაზე და მის გონებაშიც მზეებივით გადმოდიან: პირდარას თვალები, პირდარას ლაწვები, პირდარას სახე.

ყოველთვის, როდესაც ძმა-ბიჭებში ზის და ჩაის კიკებში ჩასხმულ ღვინოს აღნობენ ვენებიან ტუჩებზე, ფირანა ჩუმით არის და შესცქერის კვარტიანებს, რომ იცლებს სწრაფად, რომ იცლებს ახალ-ახალით.

— ფირან, იმღერე რამე.

— ფირან, რას მოგიწყენია! ხომ ხედავ, გული ღვინით გავგვესო! — ეუბნებიან ამხანაგები და ფირანაც გულმტკივნეულად დასძახებს ხოლმე ნაღვლიანი ხმით:

„რობელ მგოსანს ვთხოვო სამართალია,  
ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია?!“

და შემდეგ ისევ სიჩუმეს ეძლევა.

— გახსოვს, ფირან, „მამადავითობა დღე“, ცეკვაში ქალმა რომ დავლალა, თეთრი საკინძი რომ შეგვლებს ოფლის ფრად; გახსოვს? გახსოვს?... — შეეკითხა ამხანაგი და განცვიფრების ნიშნად ტაში შემოჰკრა.

— როგორ არა, გახსოვს. უპასუბა ფირანამ და თვალწინ წარმოუდგა მთელი სურათი...

ვიდრე ესენი ღვინოსა სვამენ, ეს სურათი მინდა გადავწალო. პატარა ამბავია სიყვარულისგან დახსოვებული, ჩვეულებრივი, უჩვეულო დღეს მომხდარი...

სურათი იხსნება მთაწმინდის მკერდზე, სადაც შაქრის თავივით გატიტვლებული სდგას დავითის ეკლესია.

მარჯვნივ ამართულია გორაკი გადმოწყვენილ თაბახივით, მარცხნივ კი კლდეს ვაბირილი აქვს გული და გაყვანილია შიგ ფოლადის ძლიერი ძარღვი.

არის ხეხილები, მწვანე ბალახი, ბუჩქები, ასკილის ყვავილები და ღორღიანი კალაპოტი წყალვარდნილის — ამომშრალი, უწყლობით დამშრავალი.

მე მინდა ვილაპარაკო მთაწმინდასა და სიყვარულის შესახებ: —

მთვარეს უყვარს მთაწმინდა. გადაჰხედავს პირველ ამოსვლისთანავე და მოგზაურობს მისი აღერსით გაყვითლებული.

ხშირად იღლება და მთის წვერს რომ მიაღწევს, ჩამოჯდება ხოლმე მის ნაპირზე და ბარათაშვილივით ფიქრობს მთაწმინდაზე. მერე მიდის.

ქალ-ვაენი რომ ამოდიან დაბინდების ეამს, ჩუმით უცქერიან გორებს, ხმას არ ეღებენ: ლოყა კი სწვავს ლოყას, თითები თითებს ამტვრევენ. მერე ეკლესიის კარებზე აცურებენ კენჭებს. კენჭი უნდა მიეკროს, თორემ გული დასწყდებათ. ჩუმად კი ფიქრობენ:

— ვუსყვარავ თუ არა?...

და როდესაც მარტო ამოდის ქალი ან ვაჟი, ავაკის საფლავთან მიდიან, ეყრდნობიან კედელს. მარცხენა ხელი შუბლზე უძევთ. დუმილით ოცნებობენ. ტუჩებზე უხმოდ დაფრებით სულიკოს სტრიქონები...

მათ არა ჰყავთ სულიკო...



ქართული

ეხლა კი სალამოა ღრუბლებით შემოსილი, მთები კი მწვანეა მთიანეთით.

ხალხი მოდის ნელი-ნელ და ეკლესიის ეზოში იკრიბება. ყველას საზეიმო სახე აქვს მიღებული. ბავშვებს აცვიათ სუფთად და, თმადეარცხნილები, შესკტერიან ნრავლად მიმავალ ხალხს.

აღმართია გრძელი და შემდეგ — დაკლაქნილი.

დაღლილი ქალები ვაყებს მკლავებზე ეყიდებიან. ეუბნებიან ვანაზებით:

— ამიყვანეთ.

— რატომაც არა! — უბასუხებს ვაგი. ხელებს ჰკიდებს მოყვანილ წელში, უნდა ილლიაში ამოიდოს, მაგრამ ეს როგორ შეიძლება? ამაზე არც ქალი ეთანხმება; კივილით გაურბის ვანზე.

იოხუნჯა ვაგმა. ეპატიება, ადგან ხუმრობა უყვარს.

მზე დიდი ხანია მთის იქით გადაეარდა, თვალები დასაქერად დაედევნა, მაგრამ გაუსხლტათ — ბინდმა შეუწალა ხელი.

აიშალა სალამოს ოცნებები მთაწმინდის გადახსნილ გულზე.

ეკლესიის კარებთან ყაწყელები ჯვუფად სდგანან. ზღვროდენ. სიმღერა შესწყვიტეს.

— ვავეარშიყოთ ქალებს! — ამბობს ერთი.

— შაშ, მაშ, უსათოოდ! — უბასუხებს მეორე. და ორივენი საკბილოს ეძებენ.

საყდრიდან თხუთმეტი წლის გოგონა გამოდის. თმები დაწნული აქვს და „ბანტებით“ შეკრული. ხელში სანთელი უჭირავს. თვალებს აცეცებს. აღბათ დედას ეძებს.

— ქალო, სანთელი ჩაგიქრათ! — მიამაბა ერთმა.

გოგონამ ჯერ სანთელს დახედა, მერე ტუჩები დაივრია და ირიბად გადასძახა:

— ფუჰ, სულელი! მე თვითონ ჩაეპქრე...

აკაკის საფლავის წინ უარდავია ვაშლილი, სპარსულად ჩამომსხდარან ხანში-შესული ცოლ-ქმარი. თმები ორივეს შესთეთრებიათ. ერთი სწევს ბურბუუს მეორე ჩიბუხს. ქარვის კრიალოსნები ორივეს კალთაში უძევთ. იქვე დაუკრეს დაირა. მოეწყოს წრე. ახმაურდა ტაში და ქალ-ვაგმა დაჟარა ლეკური. დაიღალა ერთი წყვილი. გამოდის მეორე. ცეკვავენ. ბოლოს, ფეხებს ძლივს-და ამობრავებენ. გამოდიან წრიდან.

— აბა ერთი მე დამღ-ღეთ! — ისმის გაბედული ხმა.

წრეში შევიდა ფირანი. წელზე ვერცხლის ქაშიანი აკვრია — მუშტის ოდენა გუმბათიანი. მოხდენილად დაუარა. ეცეკვა ერთი ქალიშვილი. დაიღალა. გამოვიდა მეორე. მანაც ნიატოვა. ისმის სიტყვები:

— ამას ვერავინ ვერ დაღლის.

— ეს იცით რა მოცეკვავეა?!

მაგრამ, წრეში გამოჩნდა ქალიშვილი ცისფერ კაბიანი. თვალები აქვს ღამისფერი, სახე ღია, — დაღლავით. მარჯნისფერი საყურეები უცინის მოღურე-



ქართული

საქართველოს

ბულ კელს. გული უცემს. სწრაფად შეიჭრა შიგ. გადაშალა მკლავები. ბროლი-  
ვით დათლილი აქვს თითები. ტანი — მსუბუქი და მოხდენილი. დაჟარა წრეს.  
მოულოდნელობით შემკრთალი ფირანა ჯერ ერთ ადგილზე დატრიალდა, მერე  
მხარ და მხარ გაჰყვა. ქალის მოხდენილ ნიკაპს დააქვერდა და თვალები დაე-  
ბურა. აღარავის ხედავს. დაირის ხმაც არ ესმის.

გადის წუთები. არც ერთი არ იღლება. მაყურებელთ ცეცხლი ეკიდებათ.  
ტანს მოუმატეს. შესცქერიან გატაცებით. ამბობენ:

- ქალი დაიღლება.
- არა, ვაფი დაიღლება.
- ვნახოთ.

ფირანას თეთრი საკინძი ოფლის ფრად შეეღება. შუბლზე წვეთები უგორ-  
დება. ქალი ძლივს სუნთქავს. მკერდზე გულის პირი უთრთის... არც ერთი არ  
ანებებს ცეკვას თავს.

მაგრამ, აი თვალები ერთმანეთს შეახვედრეს. დააქვერდნენ...

დაეცადოთ, რაღაცას კითხულობენ...

უცბათ ორივენი შემოტრიალდნენ და დასტოვეს წრე. ბნელოდა. ვერ დაი-  
ნახეს, ვინ მოკაცეა თითი. არ მოულოდნენ ასე მალე ცეკვის დამთავრებას.  
აბალგაზრდობა ნაწუნნი დარჩა განაგრძეს დაეკრა, მაგრამ მალე მიატოვეს. გუ-  
ლი აუტრუნდათ.

აკაის საფლავთან მოხუცები ისევე სხედან. ვახშობენ. სუფრაზე უწყვიათ:  
დროში, ხიზილალა, კარაქი, ნაზუქები... მოიბრძინა ქალიშვილმა ცისფერ კაბაში,  
ლამისფერთვალებიანმა. დალილია, ქაქანებს..

— სად იყავ, ქალო? ეკითხება დედა.

— ეცეკვავდი.

— ქამე რაღა, არა გშიან? — ეუბნება მამა.

— როგორ არა. — უპასუხებს და პირველათვე ნაზუქს დახედავს. დააქ-  
ვერდება. დაფიქრდება. ნაზუქზე ფირანას სახე ეხატება. ფირანა უღიზის, უცი-  
ნის თვალებით და უღვაშებით. ნაზუქს თვალი ველარ მოაშორა.

— რას ჩაფიქრებულხარ. რას უცქერი ავრე? — გაკვირვებული ეკითხება  
მამა და ჩიბუხის მილიდან ნელ-ნელა იზიდავს ბოლს.

— არაფერი... ისე... რა ტკბილი ნაზუქია. — უპასუხებს შემკრთალი და  
ეხვევა დედას, ეალერსება.

— ვახშობენ. ღამე აქ უნდა გაათენონ. ეზოში საერთო კრიამული ისევე  
გრძელდება. შორი-აბლოს სდგანან ორნი. ერთი ეკითხება:

— არ იცნობ იმას?

— როგორ არა. ღვინის საწყობი აქვს, მდიდარია.

— ის ქალი ვიღაა?

— იმის ქალია;

— რა ჰქვია?

— პირდარა.



ქართული

„მართლაც პირდარია“—ფიქრობს ფირანა და შესცქერის მისი მხე-  
ზე გაბრწყინებულ სახეს.

— რა ამბავია, ხომ არ დაგჭრა?—ეკითხება ამბანავი.

— გულში!.

დილა თვითონ გათენდება. ესენი აქ ლამეს გაათევენ. თავი დავანებოთ  
მათ. თუ გინდათ, წინდაწინვე ვიამბობთ როგორ დაბრუნდებიან სახლში. მაგ-  
რამ ამის ღრო არ არის. ფირანა დაკრილია.

ღანეებს ძლივს აღრჩობს ფიქრებში და, ისიც, თვალღია. დილა უთენდე-  
ბა ზღაპარივით ბუნდოვანი და წადილით სავსე. მზის სხივები მისთვის ბურუსის  
ბადება. როდესაც ძმა-ბიჭები ხვდებიან, ეკითხებიან:

— რას ფიქრობ, ფირან, სწუხარ რამეს?..

— არაფერს თავი მტკივა.

ისინი ფიქრობენ: ალბათ ფირანას რალაცა სტანჯავს. ვართობა სკირდე-  
ბა. შველა აუცილებელია. უნდათ გაიგონ, რაშია საქმე?

მიდიან სარდაფში. სვამენ ღვინოს. ითვრებიან.

და ებლა, როდესაც უკვე დაგიბატეთ მთაწმინდის სურათი და პატარა  
რომანი—ისინი უკვე შექეიფიანებულნი არიან.

ისევ კვარტიანებთან სხედან და უკანასკნელ კიქებს ელიან ტუჩები. აქ  
ფირანა გამოტყდა, რომ პირდარია უყვარს. ფხიწელი რომ ყოფილიყო, არ იტ-  
ყოდა. წამოიშალნენ.

ამბანავები მშობლებთან მიდიან, ქალი უნდა სთხოვონ.

პირდარას მამა გრძელ და განიერ ტახტზე ზის. ძირს ჩამოშვებულ  
ულვაშებს იგრებს, ახველებს ხრინწიანი ხმით და სტუმრებს იღებს თაღლითად:

— ქალს არ ვათხოვებ. საქმრო უკვე არჩეული მყავს.—უბნება მოკლედ  
მას ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს.

— ბაღში, კარგი ყმაწვილია ფირანა, მომგებიანი. თქვენს ქალსაც  
უყვარს.

— არა, არა... უყვარდეს, მერე რაო?!—ისევ გაიძახის თავისას და მხარ-  
თეძოზე წვება.

სტოვებენ ოთახს ხაბა-ამომშრალნი.

გარეთ უცდის ფირანა.

— ჰა, ცუდი ამბავი მოგაქვსთ?.

— თითქმის....

— რას ამბობს?..

— ჯერ არ ვათხოვებო....

წუხილს მიეცა; მერე ქეიფს. ჰკონია ღვინო დარდებს ჩაუკლავდა. ერთი  
დღე აღარ გაუტარებია ფხიწლად. ყოველ ცისმარე დღეს მთვრალს ისტუმრებს.

ერთ კვირა დილას ფირანა მორთულია—როგორც ყოველთვის: ტანზე  
ვერცხლის ქამარი აკვრია დაოქრული; მხარზე კრელი ბაღდადი აქვს გადაგდე-  
ბული.



ქართული ენციკლოპედია

ქართული ენციკლოპედია

ისანში მოხვდა შემთხვევით. იქ ბევრია ვიწრო ქუჩები, დანგრეული შენობები და უპატრონო ეზოები. ერთი კედლის კუთხეში დაჩოქილი კმაწვილები ყომაის თანაშობენ. აუარა გვერდით.

— გამარჯვება!— მიძახა ნაცნობებს.

— გაგიმარჯოს!— უპასუხეს.

— მოდი რალა, არ გინდა თამაში?

— რატომაც არა!

მივიდა. სახელდახელოდ თუმნიანი ამოიღო. კოჭები აჰყარა ერ.თხელ—დაჯდა ოთხი თოხანი. მოიგო. მეორეთაც მოიგო. მესამე ხელიც მისი იყო.

ამღვრეული თვალებით შეაჩერდნენ ყველანი. ლელავენ. მუტაში კოჭებს ურევენ; ირტყამენ გულში და ისე ჰყრიან, მაგრამ მაინც აგებენ.

იგებს ფულებს. ქალაღდებს ჰკეცავს, ვერცხლის ფული კი წინ, მიწაზე ჟყრია.

— შენ ძალიან მოგდის, აი!— ეუნიებიან შურით.

მას კი ელიძება. ულვაშებში ეცინება.

— მე თუმანს ჩამოვდივარ.— ამბობს ერთი.

— ვიღებ უპასუხებს ფირანა.

ჰყარეს კოჭები. დაეცა ძირს აღჩუ და თაფები.

— ხედავ, წაფაგე!

— მერე რა, შენ მაინც მოგებასა ხარ.

თამაშობენ კიდევ. და ბედმა პირი იბრუნა. აგებს ფირანა. უბიდან დაკეცილებს ალაგებს. სულ სხვების ხელში გადადის. ძარღვებში სისხლი ერევა, ღელავს. კოჭებს მიწაზე ახეთქებს, მაგრამ არაფერი შველის. ვერცხლის ფულიც წაუფიდა. წამოდგა. ჯიბეებში ხელი ჩაიყო. გამოქექა—ალარაფერია!

ჯიბეები გადმოატრიალა,— ცარიელია!

გადმოატრიალა ხელები, თვალები. წაგებულია. უნდა წაეიდეს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის. როგორ დასტოვებს ამოდენა ფულს!

უცბათ შემოტრიალდა. თვალები გაუბრწყინდა. ხელები წელზე იტაცა და ვერცხლის ქამარი შემოიხსნა.

— ქამარს ჩამოვდივარ!..

— რამდენში?

— ხუთ თუმანში.

გაუხარდათ. სიხარული გულში დამალეს.

ფირანამ კოჭები მოიმარჯვა. მარჯვენა ხელის მუტაში ურევს რამდენიმე წუთს. მუტს ირტყამს თეძოზე, შემდეგ მკერდზე და ჰყრის. წააგო...

ჰყარა მეორედ. კიდევ წააგო. სისხლი ყელში იწვება. სიბრაზე აღჩოხობს.

მესამედაც წააგო.

ხელი ჩაიქნია; წასულია მისი საქმე. წამოდგა გარეტიანებული. ქამარი წააგო! სირცხვილით გარეთ როგორ გამოვა! უვერცხლისქამროდ ხალხს როგორ დაენახებება!



ამხანაგებს ებეწება, არავისთან არ გაამხილონ. ისინიც ხელუფლის აღმავლენს.  
სიყრმეს უღვაშებზე იფიცუებენ.

და შორდება ნაწყენი, შერცხვენილი.

\* \* \*

დაბინდდა. საღამოს სიგრილემ ხალხი გაახარა, გამოვიდნენ გარეთ რომ ისეირნონ, გაერთონ, დრო გაატარონ.

დროს გატარება კი ბევრნაირად შეიძლება: ზოგს უყვარს ქეიფი ღვინით და სახანდრით, ზოგს ბანქოს თამაში დილამდე, უძილო თვალების ფშვნეტით. ზოგს კიდევ ქალებთან ლამეების თევა.

სარდაფები მარტო ღვინით კი არ არის სავსე. შიგ ხალხიც არის. ყაფა-ზებიც სავსეა ბოთლებით. და უყვართ ყარაჩოღლეებს ქეიფი ბოლოკით და წიწმატით, როდესაც სახანდარიც უკრავს.

ერთ სარდაფის აბრაზე მსხვილი ასოებით სწერია.

ღვინის სარდაფი
ბ ა ლ შ ო ს ი

შიგ კი, დაბლში, სდგას თვითონ ბალშო. გამობერილ მუცელით დაზგის ებჯინება, სუნთქავს მძიმედ. თითებზე სქელი ბეჭდები აქვს წამოკმული. ბეჭდები ბაჯალლო ოქროსია, ნამდვილი ოქროსი!

მაგიდები სავსეა ხელადებით. საერთო ყრიამულში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის ლოთიანი სიტყვები. რამდენიმე ყმაწვილი ჩამოდის კიბეზე. მიმართეს დაბლიდარს:

- ბალშო, გამარჯვება! ხომ გვიცნობ?
- როგორ არა, გენაცვალეთ, გიცნობთ, მაშ!
- ქეიფი გვინდა, ბალშო, ქეიფი!
- მოგიხდებათ, ჩემმა მზემ.
- ფული რომ არა გვაქვს?
- ვაქცაიცი ხალხი ხართ. სირცხვილია, ფული რომ არ გქონდეთ.
- ქამარი უნდა მოგყიდოთ, ვერცხლისაა, ოქროთი დაფერილი.
- ვერ ავიღებ. რა ვიცი ვისია.
- ნურათრისა გეშინია, შე კაი კაცო. ყოპარში მოვოგეთ. ფირანას ხომ იცნობ? იმისია, რაღა!

— ფირანასი? მართლა? აბა, მაჩვენეთ.

აჩვენეს ქამარი. რამდენჯერმე აატრიალა. მართლაც მშვენიერი იყო. მოეწონა. გული სიხარულით აფეხო; თანაც ეშმაკურად ეღიმება, — იგონებს ფირანას, ახალგაზრდა ყმაწვილს, პირდარა რომ სთხოვა.

— დასხედით. მოითხოვეთ რაც გინდათ. — უთხრა ბალშომ და ქამარი დაბლში ჩასდო, მერე ფიქრებს მიეცა. ბრაზობდა კიდევ.

— როგორ გაბედა ყოპარბაშმა ქალის თხოვა! რა ღირსია ის ჩემი სიძო-





ქართული

გამომცემი

ბის?!—ბუტბუტებდა თავისთვის და ელოდა სახლში წასვლის დროს, რომ ეხარებოდა ცოლისთვის და ქალისთვის ფირანას ამბავი, ფირანას თაღლითობა.

მაგრამ რას გაახარებდა ეს ამბავი პირდარას, ან მის დედას, როდესაც მან მთელ სიცოცხლეში პირველად გატეხილი ლამე ფირანაზე ფიქრებში გაატარა.

დედასაც ებრალებოდა თავისი ქალი, რადგან მასაც ახსენებოდა, თავისი სიქალწულე, სიცოცხლის იქროს ხანა. როდესაც გულში თავს ევლებოდა მშვენიერ ყმაწვილს, თვალწინ კი ბუსავით ეჯდა ბაღში—დიდრონი თვალებით, დარგვალეზული ტანით და კუნძის ფეხებით.

ამ პირველ უძილო ლამეს დედა უამბობდა ქალს საკუთარ სიყვარულის შესახებ და თავის თავსაც აბრალებდა მას.

და ლაშქები ტყდებოდა ისე, რომ პირდარას სახე სასთუმალს არ გყარებოდა და საურისფერი დილა იჭრებოდა ფანჯრებში ისე, რომ არც ერთი ფარდა არ ჰბუთავდა შინებს, არ ჰფარავდა ოთახს.

ბაღში კი იყო სასტიკი და მის ქონიან გულს არ სწევოდა გრძნობიერება, სიბრაღული.

დილით გეზად გადაჰხედავდა თავის ცოლსა და ქალს, მსუქანი ტუჩებით გაულიმებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა:

— მშვიდობით, ჩემო ძეგრფასებო! აბა, ვინძლო, ჭკვიანად მოიქცეთ.— და მიდიოდა თავის სარდაფში, სადაც მოქეიფეთა სხეულში ღვინო და სისხლი ერთმანეთს ამოძრავებდა, ახალისებდა.

— პირდარა! პირდარა! მოდი აქ, ხოდი! დედაშენიც მოიყვანე.— გასძახა ბაღში მგორე ოთახში და ტახტზე დაწყობილ მუთაქებზე იდაყვი დააყრდნო. ძახილზე ორივენი შეპოვიდნენ.

— რა იყო, მამა?— ნელი ხმით შეეკითხა პირდარა.

— იცი რა, იცი რა უნდა გითხრა?.. მე შენ ერთი ყომარბაზის ანბავი უნდა გითხრა. მაგრამ ჯერ შიპასუბე: ის რა გიქნიათ, კედელზე რა დაგიკიდნიათ?..

— ყანწები?..

— ჰოო. ყანწები.

— მშვენიერი ყანწებია, ოთახს ამშვენებს, კარგებია.

— ჩამოხსენით, ჩამოხსენით. ყანწები უღვინოდ რად ვარგა! როცა შიგ ღვინო ასხია, ყანწი მაშინ არის ლამაზი. ჩამოხსენით, შეინახეთ.

— კარგი. ჩამოცხსენით.

— ჰოო და ყომარბაზის ანბავი უნდა გითხრა.— და ბაღშის უნდოდა დაეყო თავის ამბავი, მაგრამ კარების კაკუნი მოესმა.

— შემოდით, შემოდით.— გასძახა ხმამაღლა და კარიც გაიღო.

ქალები ოთახიდან გავიდნენ. ასე ბრძანა ბაღშის გადმოტრიალებულმა თვალბემა.

— დაბრძანდით, რისთვის შეწყობებულხართ?

— ანბანაგისთვის, რატომაც არა!

— ისევ ქალისთვის მოხვედით?  
 — დიაღ, ბაღმოჯან, ისევ იმისთვის. უყვარს შენი ქალი, ცოლად ნდომულობს.

— ცოლად? ვინა, ფირანა? არა, არა!.. რას ამბობთ!.. არ შეიძლება, არა! ხედავთ ამ ქამარს?.. ამის ხედავთ? ხედავთ?.. აი, ეს ქამარი, ვერცხლის ქამარი, ფირანასია. ვერა სცნობთ?—მიაყარა აღშფოთებულმა ბაღმომ სხაპასხუპით და ქამარი წან დაუდო.

მათ იცნეს ქამარი. საბტად დარჩნენ. ერთმანეთს გადახედეს.

— ფირანას ქალს როგორ მიეცემ! ყალთაბანდია, ტანზე ქამარი არ არტყია. ყოპარნი წაუგია. აბა, ამისთანა ბიქს რა პატივი უნდა ჰქონდეს!

— არა, ბაღმოჯან, ეს ქამარი კი არ წააგო გაყიდა, გაყიდა. ეხლა ვილა ატარებს ვერცხლის ქამარს, ვილა?..

— როგორ თუ არ ატარებენ, როგორ თუ! მაშ ეს რა არის, ეს რა არის?.. არ, ხედავთ ამას?—ბრაზმორეული ეუბნებოდა ბაღმო და უთითებდა საკუთარ წელზე შემორტყმულ ქამარზე.

ლაპარაკი იყო ხამაღალი და ყველაფერი ესმოდა პირდარას. ის იცქირებოდა კარის ჭუჭრუტანიდან და თვალს ადევნებდა მაშის ქცევას.

ისევ უარი მიიღეს.

— მაშ კარგი!—დაიმუქრენ კარებთან და გავიდნენ გარეთ.

ბაღმო კი ველარ ისვენებდა. დადიოდა ოთახში და ბუზღუნებდა:

— გესმით, მე უკვე შყავს მეთქი ამორჩეული... ფირანას ქალს როგორ მიეცემ?!

მაგრამ ყველაფერი ეს პირდარას უფრო სიყვარულს უღვივებდა ვიდრე სიძულვილს.

— იმ კვირასვე ჯვარს გადაგწერ, იმ კვირასვე!—ხამაღლა გასძახა თავის ქალს მეორე ოთახში და მუშტების ქნევით გარეთ გაეარდა.

\* \* \*

მშობლები ფირანასაც ჰყავს. უღვაში ხომ მასაც ახლად აქეს ამოსული. და მშობლებსაც ფირანა ისე უყვართ, როგორც ყოველ მშობელს. მათ უნდათ რომ ის სწორ გზაზე დადგეს. ლუკმა პური ნამუსიანი და სჭამოს. ტოლებში კაცად სცნობდნენ.

მაშამ შემოაკრა ტანზე ქამარი. მაშამ მისცა თაბახი მწვანილით და ოთხივე გზა დაულოცა. ისიც დაემორჩილა მაშის სურვილს. გამოეწყო საყვარელ ტანსაცმელში და მაშისავე ხელობას მიჰყვა.

ფირანას ხშირად მიჰმართავდნენ ტოლები:

— ფირან, არ შეგწვენის, ჩემმა პუემ, ეგ ტანისამოსი. გაიხედე ყველგან. ვისლა იცვია! მაშამ შენს რას უყურებ. დაბერდა. იმის ქეუა შენ რას გარგებს?

და, მართლაც, ჩაფიქრდებოდა ხოლმე ფირანა, მაგრამ ვერაფერი კი ვერ გადაეწყვიტა. მას პატარაობიდანვე აცმევდნენ ასეთ ტანსაცმელს. მიეჩვია ძლიერ.



რა არ უთქვამს იმის ზამის ვერცხლის ქაშის პატივის მღვდლებს, ეველად ხომ უმისოდ გარეთ თავსაც ვერ გამოჰყოფდენ. ვერ წავედოდენ ქორწილში, ქელეხებში თუ რამე დღეობაში. ძლიერ ხშირად მას თავსაც შეაკლავდენ ხოლმე, მაგრამ ეხლა, ეხლა რილას მაქნისია! ვინ აქცევს ურადლებას? ვის აგრძნობინებ ამით შენს თავმომწონეობას?!

არავის! მხოლოდ თითო-ორილა მოხუცს თუ გაეხარდება, როცა დაინახავენ, გაახსენდებათ ძველი დრო, ჩაქინდრულ თავს რამდენჯერმე გააქნევენ და რამეს წაიბუტბუტებენ.

ფირანამ იგრძნო მისი უდროულობა და ერთ დღეს გაიძრო განიერი შარვალიც, გარმონივით ნაკეცი ჩექმებიც — უფრო იმიტომ, რომ ვერცხლის ქაშის ყოშარში წაბაგო. მოუხდა ახალი ტანისამოსი, მაგრამ როგორ ეწყინა ეს მის მამას! ყავარჯენზე დაყრდნობილი დადიოდა ძველს ნაცნობებში და ამბობდა:

— რალად ვარგა დღევანდელი დროება! შეილი მამის ყურს არ უვდებს. უფროსებს არაფრად აგდებენ!.

მაგრამ მაინც ადვილად გადაიტანა შეილის ცვლილება, იმიტომ რომ ის იყო მისი ერთა.

ფირანს კი პირდარა ისევე უყვარდა. უკანასკნელ უართან ერთად ვადასცეს ისიც, რომ ქალს მოკლე ხანში გაათხოვებენო. გულში ისარივით მოხვდა ეს ამბავი. საგოხებელში ჩავარდა და მიეცა ფიქრებს, რომ საწველი ეპოვა...

როგორ სცემს დღეს პირდარას გული!

ორნაირი გრძნობა უჩღერს ძარღვებში: გრძნობა დედაკაცად გახდომისა და გრძნობა ქალიშვილობასთან გამოთხოვებისა.

დღეს მისი ქორწილია. მამა ათხოვებს ძალით.

სამე არის შეახნის კაცი, დიდი ულყაშებით ტუჩებ-დაფარული, ოდნავ მოგრებილი ცხვირით, თითო-ორილა თეთრით შერეული, მაგრამ მაინც მხნეა, ვაჟკაცია. იცქირება მუდამ თითქოს მედიდურად და მგონია უფრო საშიშად, რადგან თვალის კაკლები ვადმოწვენილი აქვს წამწამებამდე. წარბები სქელი, შავი, ერთმანეთში ძმა-ბიჭურად გადახვეული, შეხული კი — ორი ან სამი ღარით შემკობილი.

ეს პირდარას საქმროა.

პირდარას ეს ძლიერ მოეწონა, შეუყვარდა კიდევ, — უკაცრავად, პირდარას კი არა, ბალშოს შეუყვარდა, და ბალშომაც ვადასწყვიტა ქალის მითხოვება. დღეს მათი ქორწილია.

დილიდანვე ემზადებიან. ირთვებიან. ლამაზდებიან.

რა ზომად გამოეწყუო ბალშო! ჩაცმულობაში ტოლი არ გამოუჩნდება. სუნთქვის დროს ბერავს ლოყებს და წითელ ბაღდადს ხშირ-ხშირად იღებს ჯიბიდან, რომ ნერწყვისაგან დასველებული ტუჩები გაიწმინდოს.

ქალსაც რთავენ. სიმეც ძვირფასად ეწყობა. ვაჟიანიც სამზადისში არიან.

როგორ შეიძლება, რომ კეიფი სამი დღე და ღამე მაინც არ გაგრძელდეს! ეს ხომ სირცხვილი იქნება!

ვერცხლას  
გვერდები

ოთახები მორთულია სურათებით, ხალიჩებით, ყვავილებით.

სამზარეულოში კი ხორავი კალათებით მოდის; მზარეული იბარებს. ამ-  
ზადებს.

ოპ, რა მუშაობაში არიან!

სამეფო ამბობს, რომ მან თავისი სახლი ფარნებით უნდა ააჩირაღდნოს,  
რომ მოყვარე გაახაროს, მტერს თვალები დაუბრმავოს.

ამას თურმე თავის ყმაწვილ-ვაჟებიდან დღემდე გაიძახის და, აი, მოესწ-  
რო კიდევ ამ სანატრულ დროს.

მართლაც გულის წადილს ისრულებს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, დღეს  
ქორწილი აქვს! როგორ უფანცქალებს პირდარას გული! სახეზე ნადველი წით-  
ლად ეწვის. აცვია: თეთრი კაბა, თეთრი თავსახურავი და თეთრი, მარგალი-  
ტის საყურეები საქანელებით ჩამოკიდულან თოვლისფერ ყელზე და ზედ ქა-  
ნაობენ მაყურებლის თვალები.

გული უცემს, გული უფანცქალებს, ტირილი უნდა, მაგრამ სცხენია. გარს  
ვეღება დედა და ისიც სწუხს მასთან ერთად. ისიც ერთ დროს ასე თრთოდა,  
ასე კინკალებდა. დედა გრძნობს შვილის ვარამს...

ოოპ, რამოდენა ყვავილებია პირდარას ოთახში! თეთრი, წითელი, ლურჯი,  
მინიკისფერი. უახლოვდება მოწყენით ყვავილთა თაიგულებს და სწყვეტს თი-  
თო-თითოს, ჰჟურკლავს თითო-თითოს, სწუხს, ცრემლებს ჰკარგავს თითო-თი-  
თოს...

მამას კი უხარია; შვილის ბედნიერებას ესწრება. შვილი თხოვდება. რა  
უყოთ, რომ ეინც უყვარს, მასზე არ ათხოვებს!

მაგრამ ფირანას სახლიც ირთვება. თურმე აქაც საქორწილო მზადდება.  
ამალამ ფირანაც ჯვარს იწერს.

მისი სახე ბრწყინავს, როგორც დაბურვილი ვარსკვლავის ხელ-ახალი გა-  
მონათება.

თვალებიდან ნაპერწკლები უკრთის; ღიმილი, სიცილი, სიხარული, — ყვე-  
ლაფერი მის სახეზეა; თანაც აღარ აცვია ყარაჩოლული ტანისამოსი. ქოჩორი  
მერცხლის ფრთასავით კი არა აქვს ვადმოწყენილი, ავარცხნილი აქვს ზევით  
უფრო ღამაზად, უფრო სადად.

ამხანაგები, დედ-მამა, ნათესაობა — ყველანი იქ არიან. შეზარბან ფირანას  
რადგან დღეს ქალი მოჰყავს, დღეს ისიც მეფეა.

ფირანამ იცის, რომ დღეს პირდარას ქორწილია. ამალამ ზუკესის წინ რომ  
გაჩერდება სასოებით მიიღებს კოვზით ღვინოს და როდესაც შევეითხებიან:

— გსურს თუ არა?..

ის უპასუხებს ნელი, მინაზებული ხმით:

— მიყვარს, თანახმა ვარ.

მაგრამ ეს იქნება ტყუილი, იმიტომ რომ ასეთი სიტყვები მან უკვე მოის-  
მინა კიდევ.

და იცის ფირანამ, რომ პირდარა გვირგვინს დაიდგამს, მაგრამ ის ამას





— როგორ თუ არ მიცნობ, ვერც მალე დაგავიწყდი?

— გამიშვით, თქვენი!—და მეფეს უნდოდა შეეგინა კიდევ, მაგრამ თავი შეიკავა. როგორც იყო, ხელიდან გაუსხლტა.

ეკლესიაში უკვე აღარავინ არ იყო.

პატარძალიც აღარ სჩანს.

გამოვიარდა ეზოში, აქაც არავინ არ არის. გული ბრაზით იცისო. გამწარებული ქუჩაში გავარდა, ზურგში იფედენა ხმაძალი ხარბარი ეკლესიის ეზოდან.

ეტლები კი მიჰპროდენ დაულაღე ცხენთა ქენებით და ახმაურებდენ ქუჩის ჭვადენილებს.

— შეეტლევ, დაეწიე პირველ ეტლს! რისთვის ჩამორჩი ასე?!—მიმართავდენ მეორე ეტლში მჯდომნი მეჯვარენი.

— ვერ დავეწვივით, ის კარგა ხანია წავიდა. თქვენი ბრალია, გვიან გამოხვედით.—უპასუხებდა მეეტლე და შოლტს ურტყავდა ცხენებს.

სამეფო სახლი კი მოლოდინში იყო.

ოთახებში ჩამოლაგებულ სკამებზე ჩიხტიკოპიანი დედაკაცები ჩამომსხვარიყვნენ, ხელები კალთებზე დაეწყოთ და ელოდებოდენ მეფე-პატარძლის დაბრუნებას.

აი, კიდევ მოესმათ ხმა მორბენალ ცხენების. კიშკართან შესწყდა ნაღების ჯახუნი.

ოთახებში მყოფნი წამოიშალენ. მისაგებებლად დიფათურდენ.

კარებში თეფში დასდეს საუკეთესო ხარისხისა, რომ მის გატეხვის დროს ხმა მალალი ჭახუნი გაისმას.

კიბებში ამორბიან მეჯვარენი, ნათესავები და აღელვებულნი, ოთახში შემორბიან.

— რა ჰქენი, კაცო, რა ჰქენი?!—კარებშივე, ვიადახა დისახლისმა ერთ-ერთ მეჯვარეს, როდესაც მან თეფში ვერ შეიმჩნია და გასტეხა.

— როგორ, ვერ არ მოსულანი? შეეკითხენ გაკვირვებულნი და სირცხვილისაგან გაწითლებულნი.

გამოვიარდა ბაღში თავისი ცოლით. ის ძლიერ აღაშფოთა ამ ამბავმა. ხუმრობა საქმე ზომ არ არის,—ჭალი დაუკარგეს!

— მომეციო ჩემი ჭალი!.. ჩემი ჭალი მომეციო!..—გაიძახოდა ბაღში და ისე აბლერიალებდა თვალებს, თითქოს ყველას გადაყლაპვას უპირებდა.

მშობლებს გული გაუტყდათ, მაგრამ მაინც ელოდენ. ვაჟის დედამ მეორე თეფში დასდო კარებში, მაგრამ მეფე მაინც არ სჩანდა.

შეიღამე გადავიდა.

სტუმრები ლოდინმა დაიღალა და, იმედ-გაცრუებულნი, ნელი-ნელ დაიშალენ. ნათესაობა კი საქებნელად წავიდა.

\* \* \*

და ეტლი, ეკლესიიდან კენტად რომ გამოჰპროლდა, ალაყაფის კარებთან შეჩერდა. გადმოხტა ჭალ-ვაჟი.



საქართველოს

მწიგნობართა

კიბეები სწრაფად აირბინეს, დახედათ ოთახები ღიად, სინათლისაგან გულვადახსნილი.

— ფირანა მოვიდა, ფირანა!.. ქალიც მოიყვანა.— გაისმა სიტყვები და წამოიწაღენ მისაგებებლად.

მკლავი-მკლავში გაყრილნი შემოვიდნენ. სჩანდა გარკვევით პირდარას ათრთოლებული სახე, ნაპერწკლებით სავსე თვალები, მაგრამ ვინ ვაიგებდა მის გულში დაგროვილ ვერამს, ვინ მიხედებოდა მის ზეფათის მიხეხს?!.

აი, გადაშალეს სუფრა. ჩამოალაგეს საჭმელები. ჩამომწერიდნენ ბოთლები გულსაყვანი და გულმთვრალნი.

შემოუსხდნენ მაგიდას და პირველი სიტყვა აიღო სახანდარმა:

თარის სიმებზე თითები აცეკვდა და შერხეულ ჰაერში აწკრიდალდა ხმები. ისე ხედებოდა საყრავე სიმებს, თითქოს სწვდებოდა გულის ძარღვებს და აღიზიანებდა. ჭიანჭურმა გადაშალა ერთ გრძნობაში მოთავსებული ტანჯვა და სიხარული. ყოველ მის ხმის აწვევაზე თითქოს იხსნებოდა გულის კუთხეები, მაგრამ მოსწყდებოდა თუ არა ხმათა გაყოლებას, როგორც ნაპრალს გადაცდენილი, ხსნიდა ახალს ხეულებს, ახალს გრძნობებს.

დიპლომატოზე ჯოხები ბტუნაობდნენ და უცნაური სისწრაფით სცვლიდნენ ხმები ხმებს.

მედიარემ ჯერ ერთხელ შემოჰკრა დაირას ნები, შემდეგ ელვის სისწრაფით, მარცხენა ხელის გულზე, რამდენჯერმე შემოატრიალა და დაიწყო დამღერება.

ყველა სმენად გადაიქცა.

მოლხენა იყო გულჩათხრობილი. სწყუროდათ თავდავიწყებული სიხარული სიცილსა და სიმღერებში ჩამოსხმული, მაგრამ, საიდუმლო გრძნობით შეპყრობილი, ყურობდნენ.

ბროლის კიბეებმა აფერადება დაიწყეს და წითელ სასმისს საკუთარ გულიდან, მოკეიფეთა გულებში ასხავდნენ.

ნელი-ნელ შეერია ხალისი, და შეალამეს რომ გადასცდნენ, მოწყენილობა აღარ სჩანდა.

აი, უცბად შემოვარდა ახალგაზრდა ყმაწვილი, წინსაფარ შემოკრული, ნიკაპის მარცხენა მხარეზე ნეკი თითის ოდენა ხალით, ქუდი გვერდზე ზურავს და თმებიც თვალებამდე ჩამოწეული აქვს.

— მეფე-პატარძალს დღეგრძელობა! თამადას გაუმარჯოს! თამადას სიციცხლეთ!— შხაპა-შხაპით დაიძახა და მაგიდაზე გადმოჰყარა ცოცხალი თევზები. თამადამ თუმნიანი შუბლზე მიაკრა.

ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა მეორე. ხელში უზარმაზარი თარფი ეჭირა ხილითა და ყვავილებით შემკობილი.

მწიფე ატმები ისე მსუქნად ეწყო შიგ, თითქოს გადმოვარდნას აპირებდნენ. ტურბეგადამსკდარი, ნახშირით შავი ლეღები ელაგა მძიმედ და ყურძნის მტყენებიც ისე ეკიდა, როგორც ვაზის ყლორტებზე - მოწყვეტის მოლოდინში.

— თქვენი სიციცხლისა, თქვენი ვახარებისა, თქვენი ბედნიერებისა იყვეს!



ვერცხსული  
გონაპროსეკა

— ხმაილლა დაიძახა თარვის შემომტანმა და სუფრის შუა ადგილზე დასდო. სუფრას ლაზათი მიეცა.

თამადას სახეზე სიამოვნება გადაეფინა, და სახანდარმაც რომ დაჰკრა ახალი სიზღერა, ყველა ლხენით აივისო.

ამ დროს კიბეებიდან ჩქარი ფეხის ხმა მოისმა. ბევრის სმენა მოიტაცა მან. წამის შემდეგ შემოვიდნენ ორნი.

ერთ მათგანს ხელში ვერცხლის ქაშარი ეჭირა და მეფეს ხმაილლა მიწართა:

— ფირან, ბალშო. მოგყავს, ბალშო!..

პირდარას ფერი ეცვალა. შიშმა შეიპყრო და უფრო მტკიცედ მიეკრა თავის ქმარს

მართლა?.. მერე, მერე?

— ვერცხლის ქაშარი გამოგიგზავნა. ამზობს: ვაგაკაცო და ქალის ღირსიც შენ ყოფილხარო. შერიგებას ნდომელობს.

— რატომაც არა! მაგრამ მე რად მინდა ეგ ქაშარი? მამაჩემს გადაეცი, შეინახავს, მოვიგონებთ ხოლმე...

მართლაც, მოსულმა ქაშარი მიუბრუნინა მის მოხუც მამას, რომელიც მოსჯდომოდა სუფრას და ახლად შესუნთქულ ბურნუთისაგან ცხვირს აცემინებდა.

ამ ამბავზე პირდარამ ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქა. ეხლა სახე მასაც გადაეხსნა. ფირანაც ალტაცებაში მოვიდა. მახარობელს ყანწით ღვინო შესთავაზა, რომელშიაც ხელადაზე მეტი ჩადიოდა.

მან ხელში აიღო, ერთი კი დახედა, ტუჩები ააცმაცუნა და მერე ძირამდე გამოსცალა. თითქოს წაბარბაცდა კიდევ, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია.

— აბა დაჰკარი, დაჰკარი დაირას!.. ქეთი ეხლა იწყება!— წამოიძახა ფირანამ და ტაში შემოჰკრა.

ლეკური დაჟერეს.

თვითონ ფირანამ დაუარა.

მერე, რამდენი ხანია არ უთამაშია! სულ თითის წვერებზე დგებოდა. ნეათედ შემოუარა წრეს და დაღლილობა მაინც არ იგრძნო. თვითონვე ალტაცებული იყო საკუთარი ბედნიერებით.

თავის ადგილს დაუბრუნდა. ყველას ხელში ქიქები უჭირავთ და მეფე-პატარძლის სადღეგრძელოს სვამენ.

— გმადლობთ, გმადლობთ.— ოდნავ თავდახრილი უბასუბებს ყველას და ყველანი ხედავენ, რომ პირდარა ამ დროს მეტად მშვენიერია.

ბრწყინავს ფირანაც. უღიმის თვალები, ღვინით შევერაღებული ტუჩები. და თამადაც ორივეს სიყვარულით უცქერის.

უცბათ წახუნი გაისმა.

— ფანჯრის შუშა გატყდა!— დაიძახა ვილაცამ.

— შუშა კი არა, მეფე სუფრასთან ველარა ზის!— წამოიძახა მეორემ.

მართლაც, ფირანა სკამის ზურგზე გადაეარდნილიყო. თავი მხარზე დაჰკიდებოდა, შუბლი კი სისხლით ღებავდა სახეს, ტანსაცმელს, სუფრას.





ასტყდა ხმაური. წამოიშალა ყველა და მწარე კივილმა შეიპყრო ოთახი. კარებში გამოჩნდა გადარბენილი ლანდი და ოთახიდან ბევრმა დაინახა ბევრჯერ ნახული სახე, ოდნავ შეპრუნებული ცხვირით, შუბლზე შეერთებული წარბებით და წამწამებამდე გადმოწევილი თვალებით.

— უწველეთ, კვდება!— ჰყვირის ერთი.

— საყულო გადუხსენით!..

— სწრაფი მაშველი მოიყვანეთ!— დაუმატეს ვიღაცებმა, მაგრამ ფირანას აღარაფერი არ ესმოდა.

.....

ეფექტობდი ზვალ დილით ორივენი ზაქსში გამეგზავნა კანონიერ ჯვარის დასაწერად, მაგრამ ფირანას დილა აღარ გაუთენდა.

.....

კრემლები დაიღვარა მრავალი. ყველა სიმწარემ შეიპყრო.

გულწასული პირდარა მუთაქებზე ეგდო.

ძმაბიჭები აღწეოთდენ. გაბრაზდენ. გულიც ეტკინათ.

— ვინ იყო, ვინ?— ეკითხებოდენ ერთმანეთს.

და ბევრმა იცნო გადარბენილი ლანდი.

— თავი შეგვირცხვეს, თუ სიცოცხლე თან გაგატანოთ!

— თავი მოგვიკვდეს, თუ შეგარჩინოთ!..

დაემუქრენ მოღერებულნი მუშტებით და, ლამის სიბნელეში, დასაქერად დაედევნენ.

## ინოზ

(გაგრძელება)

ამბავი მიქვსა.

„ახალი მხეხანა“

1

სხედან პატარა კიფეს უგემორ ნომერში. ყველგან არამზადული სისუფთა-  
ვე კედლებზე ბულვარული ქალების სურათები, მათში—მრავალ-ტანჯული ნა-  
პოლეონი (მოიგონეთ პროვინციალური ქალაქის კაფე, ან და სადალაქო). სი-  
ნათლე ზანტი-არამზადული.

სვამენ ღვინოს.

ნაბინას გულზე ელვარებს ჯვარი. დანიელმა ეს პირველად შეამჩნია დღეს.  
დააშტერდა. უგემურად ჩაეცინა.

— რას იცინით?

— ჯვარი.

— სასაცილოა?

— ისე, როგორც ყოველი ჯვარზე გაკრული.

— საკვირველია.

— რა, დიდებულო ქალბატონო?

— ისე... მე ხანდა-ხან ვფიქრობ და მგონია, რომ თქვენ სულ სხვას ამ-  
ბობთ, სულ სხვას ფიქრობთ. მაგალითად ებლა, თქვენ გიყვართ ჯვარზე გაკრუ-  
ლი ხალხი.

— ზღაპარია.

— შესაძლებელია.

— გეფიქვებით, ნაბინა, დრო-მოკმული ზღაპარია. ღმერთი... ხა-ხა-ხა!..  
თავის მოტყუება, თავის გაწამება, სიზარმაცე.

— მე გითხარით ზღაპრები მიყვარს.

— მე გეუბნებით საჭიროა ზღაპრებისაგან თავის დახწევა.

აქ დანიელს სახეზე უცნაურმა ფერმა გადაჰკრა. თითქოს მარწყუებს უკერ-  
დენ ყელში. ეს მხოლოდ წუთით, შემშინველად. თითონაც არ იცოდა რისთვის.  
შესწორდა. განაგრძო.



ქართული

ენციკლოპედია

— თქვენ ნაბინა ზღაპრებით გატყუებდნენ. ქალის მოტყუება უველაზე ადვილია ზღაპრებით.

— შესაძლებელია იგივე.

— თქვენ ფიქრობთ რომ ისე უფრო ლამაზია?

— სხვა ტყუილს ვე სჯობია.

— სად არის თქვენი ფეხივლი ძალა?

— ის არ ყოფილა.

— თუ ზღაპრებმა მოჰკლა?

მწარედ ჩაიკინა დანიელმა.

პაუზა.

ნაბილამ თავი ასწია და ნაღვლიანად შეხედა.

— საკვირველია, იმ კაცმა რომელმაც ასეთი ლამაზი ზღაპრები იცის—ასე შეიძულოს ისინი.

— დიახ... საჭიროა ის რაც არის, რაც არის ის ფეხივლია და ძლიერი. თუ თქვენ თქვენი თავის გარდაქმნა გინდათ, დაანებეთ თავი ზღაპრებს და შეხედეთ სინამდევნებს. დაანებეთ თავი წუთით ახვერდებულ ოცნებას, და გადახედეთ გარემოს. მაშინ ისე ცარიელი აღარ იქნება თქვენი სამყარო. იგი აივსება სხვა და სხვა ფერებით. მოდუნებულ ძარღვებში ჩადგება ძალა. ათასი ელვა ფიქრებისა დასერაეს თავს. ათასი აზრი დაიბადება. გაჰქრება ზღაპარი, იმასთან ერთად გაჰქრება თქვენი იპოზონდრია, მელონხოლიაც. თვალები უფრო ძლიერი ცეცხლით აგვესებათ და ძლიერებით აივსებით თქვენც. მაშინ ჩემსავით შეგძულდებათ ზღაპრები და ცხოვრება აღარ გაგაკრავთ თქვენსავე შექმნილ ჯვარზე.

დანიელ გაჩუბდა. ნაბინა უცდიდა რას იტყოდა კიდევ. ეს კრელი კაცი და კიდევ განმეორდა მასში გრძნობა უსაზღვრო ზიზლის ამ კაცისადმი. მაგრამ შეუმჩნევლად, წუთით, უნებურად.

პაუზა.

ნაბინამ დაარღვია....

— გახსოვთ, მე ვთხოვეთ ხსნა.

— მახსოვს.

— თქვენ ის დღემდის უყურადღებოდ დასტოვეთ.

— მე არ მსქეს უფლება კარნახის.

— ჩემი დასტუბით?

— გამოვა ნაძალადევი.

— ვცადოთ.

სიჩუმე. თითქოს კაცი ნაცრის ფერში ებრძოდა თავის თავს. რაღაც უცნაურად ათვალერებდა კედლებს, თავის მობაასეს და თითქოს დაგინებით ჰთანტაედა დაკროვილ ფიქრებს და თან თვალებს აბრწყვეიალებდა არა საიშედოდ, უცნაურად აბრწყვეიალებდა თვლებს.

ნაბინა უყურებდა და კულავ ელაედა ფიქრი ფიქრზე—რად არის ის აქ, ამ საშინელ კაცთან, რად გაბატონდა ეს ვიღაც მასზე, რად გრძნობს მონურ



შორჩილებას მისდაპირ, რაც თითონ გულს ურევს, თავის თავს აძულებს, მაგრამ მაინც შორჩილებას გრძნობს. რალაც უცნაური ძალით აღესილა ეს ნაცრის ფერი კაცი. და კვლავ უცნაური კითხვა—ეს ხომ უცნობია... სულ უცნობი. ვინ არის?... ვინ?

დიდი ხნის სიჩუმე დანიელმა დაარღვია.

— ნაბინა.

— სთქვი—ჩურჩურით უპასუხა ქალმა და ტანში ერუანტელმა დიუარა თავისივე უცნაურ, ვნებით სავსე ხმის გაგონებაზე.

დანიელმა თითქოს ვერ შეამჩნია ესოდენ ძვირფასი ხმა, მხოლოდ ოდნავ შეინძრა სავარძელში.

— თქვენ იცნობთ გაპირვებას?

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

— როგორ?

— გიგრძენიათ როდისმე იგი?

— არა.

— გინახავთ სხვაზე?

— თითქმის არა.

ვაქს ჩაეცინა.

— რა გაცინებთ?—ცოტა გაბრაზებით იკითხა ნაბინამ.

— არაფერი. ამას გაიგებთ შემდეგ. თქვენ უნდა გაიგოთ, ნახოთ გაპირვება.

— როგორ?

— მე გინახვებთ მას.

— თქვენ საინტერესო ამბავს აწყობთ—მზიარულად წამოიძახა ნაბინამ.

— ო ძალიან საინტერესოს... ძალიან...

— მაინც?

— ამას გააგებთ—მხოლოდ ერთი პირობა.

— სთქვით.

— თუ გინდათ ნახოთ ყველაფერი, ის რაც არ გინახავთ და რაც თქვენს ზღაპრებში არა სწერია, უნდა მოწყვეთ მე.

— სიამოვნებით—აღტაცებით და სიხარულით წამოიძახა ქალმა და გაწითლდა თავისივე აღტაცებით დარცხენილი.

— მომეცით ხელი.

ქალმა ათრთოლებულმა, გაუწოდა. „რა ხელია, მშვენიერი, ღვთაებრივი ხელი. ნებიერი და უცხო, დიდი ხელოვანის ნაქანდაკევი მარმარილოს ცივ გულზე ამოჭრილი ნაზი და თბილი ხელი. ხავერდის სირბილე, თბილი სითბო.

დანიელ მოწიწებით დასწვდა და აკოცა. ვაჟის ტუჩებმა ნაბინა თითქოს შეატოკა, გაბზარა ტანი უუცარმა ელვამ. აღფლდა სისხლი. აიქოჩრა გულ მკერდი.

ნაცრის ფერი კაცი, თითქოს დარცხენილი ღუნავდა თავს. ქალს აბრაზებდა თავაზიანობა. ნაბინას სცხვენოდა გაბრაზების. მაგრამ ქალს მაინც არ უუცარდა თავაზიანობა ასეთი ტლანჭი. დანიელ ბავშვივით წითლდებოდა.



ქართული

ენციკლოპედია

შეინძრა. თითქოს თავი დააღწია. აილო კიქა.

— მაშ თქვენი პირობა.

გამოუხიზლებულმა ხმამ ვნება აყრილი ქალი შეაკრთო.

— მახსოვს.

— არ დაგავიწყდეთ.

სუამს ღვინოს.

ნაბინამ თვალეები დახუჭა და ფიქრებმა არიეს თავი. დანიელ უყურებს მიზნედილ დიანას და როგორც ხატის წინ მლოცველს თვალეები ვედრებით ევსება, სხვა ამ წუთს დინიელ.

სახეს ეცლება ცივი საურველი.

ტანჯულს ნაოქები უასკეცდება.

უყურებს ნაბინას და როგორც ხატის წინ მლოცველს სახე ვედრებით ევსება.

## 2.

და აი ნაბინას წინ ახალი სამეფო, ახალი ქვეყანა, უცნობი ქვეყანა. ელავენ მის წინ სახეები და ისევ ჰქრებიან. შემქრთალი, მაგრამ მაინც მტკიცე ნაბიჯით, მისდევს ნაბინა დანიელს. და გამოჩნდება ხან აქ ხან იქ გრძელ, ვიწრო და ქუჩყიან ლაბირინტებში მათი სილუეტები.

თან და თან ბნელდება და ღრმადდება გზა. თან და თან იკარგება კვალი განვლილის და რომ მოიხედავს შეაშინებს სიშავე, უკან დარჩენილ ლაბირინტთა სიშავე. თითქოს სიზმარში ხედავს ამ არ ნახულ ტანჯვის ქვეყანას და შეშინებული, მოღლილი ეყრდნობა თანამგზავრის მძლავრ მკლავს.

დანიელ სულ წინ მიდის—უფრო შორს, უფრო ღრმად. და არ უჩანს ბოლო ამ ღამიან ქუჩებს, ამ ქუჩყიან სარდაფებს. ესმის ნაბინას ჩუმი გმინვა, სისოწარკვეთილი კენესა. დაუფიქრდება, დაუკვირდება, და თითქოს გრძნობს ამ ლაბირინტებში მცხოვრებთა საშინელებას.

ასე მისდევენ ისინი ამ ბნელ ქუჩებს, ასე გადადიან ერთი ქოხიდან მეორეში. და საიდუმლოთ მომღიშარი დანიელ წყნარად ჩურჩულებს.

— უყურეთ და იგრძენით ქალბატონო, უყურეთ და გაიცანით.

— სად ვიყავი მე აქამდის?

— ცხოვრების უკანონო ნაპირზე, ჩემო ქალბატონო.

— რად ვერ ვხედავდი ქსელს ამ ლაბირინტებისას, ამ საშინელ სამყაროს?

— უკანონო ნაპირის კანონების ბრალია.

— რად არ მესმოდა კენესა აქ მცხოვრებთა?

— დახვეწილი გემოვნების მუსიკა ბიბლავდა თქვენს ყურს.

— სად არის ცხოვრება?

— ის ორ-ნაირია—რომელი? ცხოვრება წამებისა აქ, ცხოვრება ნდომის იმ

ნაპირას საიდანაც თქვენა ხართ.

და კვლავ ეს შავი ლაბირინტები.

და კვლავ საშინელი გმინვა.



და ისმის ჩაქუჩის დარტყმასთან ერთად—მონოტონური ხრიალი მანქანების. ლანძღვა და გინება, უშვერი სიტყვა, მედგარი მოძახილი. აქა იქ, აქაც და იქაც, ბოლიან სახეების დაქიმული ნერვები. აქაც და იქაც კუშტი სახეები, მსხვილ ძარღვიანი, თითქოს მოსტეპილი ხის მაგარ ტოტებივით, მკლავები. კლდე-გულ მკერდი და აცეცხლებული საკირე, საკირე საშიში კოცონით, საკირე ადუღებთლი, საკირე აფეთქებული და აქაც და იქაც—ყვირილი, ყრიამული, მოკლე ბრძანება, კვამლიანი სახეები, დედის გინება, უშვერი სიტყვა.

და კვლავ გმინება, საშინელი გმინება, ზმულით რომ სკდება და გამოძახილით გაძლიერებული რომ ედება, ბოლისგან გაქვარტლულ, შავი ლაბირინტების თავანებს.

3.

ინაულებს ქალაქს გარედ უბნები. შედიოდნენ ქანც მიღეულ მოგვერდო ქობებში, სოკოებივით რომ გაზრდილებულა და რკალად რომ მორტყმია ქალაქს, გაღავენს გადაღმა. იყენენ მჭედელ ბაიოსთანაც. ამბობდნენ რომ ერთ დროს მას თვალეში გახურებული რკინა მოხვედროდა და მას შემდეგ ბრმა იყო.

თუ შემთხვევით ვინმე მიხედავდა, თორემ ეგდო ისე დამპალი ქობის სველ იატაკზე და როგორც კეთროვანი იოგოვი იხრწნებოდა.

მითი მისვლისას მან უამბო თავ გადასაყალი და თავის ეაქცაკობის სურათი აჩვენა.

— მე რომ ჩვენ სოფელში ჩავივლიდი, ვხედავდი როგორ გულის ფანცქალით იყურებოდნენ ღობის ფულტროებიდან სოფლის შავთვალთა გოგონები. ან თუ წყაროზე ავიდოდი, რამდენიმე კოკა გაუტყდებოდათ ჩემს ყურებაში ცელქებს. ასეთი ვიყავ ერთ დროს. გათამამებულმა სოფელი შივატოვე, ქალაქს დავბინავდი. მჭედლობა შევისწავლე. აქ ერთი მედტენის ქალი შემიყვარდა, გავაბით სიყვარული. კარგი იყო, ძალიან კარგი.

შეთვისებული ჰქონდა ქალს, ქალაქის ქალებისგან ზნე-ჩვეულება, ლაპარაკი, მიხერა მოხერა. თითონ ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ღეთისმშობელს, ჩვენი სოფლის ხეთაების საყდარში რომ შენახა. კარგი იყო, ძალიან კარგი. მადლიანი სიტყვა ჰქონდა, სახეც მადლიანი, გულკეთილი იყო და ისეთი ნაზი ალერსი იცოდა... როგორც ცეცხლი რკინას, ისე დაგადნობდა.

მე ველარ ვისვენებდი—მუშაობაზე გული ავიყარე, პატრონი დათხოვნას მიპირებდა. წავედი ყველაფერი იმას შეგჩვილვ და ეს პირველი უბედურობა იცდიდათ გვეჩვენა, რომ ორივემ ბავშვებივით ტირილი დავიწყეთ.

ნეტა ამით დათავებულყოფს, ღმერთო!

მერე გავბედე, წავედი მის მშობლებთან და ყველაი უთხარი. ჯერ არ ინდომა, უარს მეუბნებოდნენ. დავიყოლიე. ვიქორწინეთ. დიდი იყო ქეიფი. და მერე, მერეც კარგი იყო, ძალიან კარგი. მაშინ ყველაფერი ჩემი მეგონა. შევებრძობებოდი თუნდაც ჯაჯობეთს, იმდენსა ვგრძნობდი ძალას მკვლავებში. და როცა სუსტს, თითქმის ბავშვივით გულწრფელ გოგონას ვგრძნობდი ჩემს მკვლავ-



ქართული

ენციკლოპედია

ვებში, სული სიამაყით მევესებოდა. მიხაროდა რომ ის ჩემი იყო, ჩემი მფარველობის ქვეშ. მე ვიყავი მისი მფარველი, მე ვიყავი, მე!..

ეს მე იმდენად მაქვებდა, რომ ნდომა მახრჩობდა, მინდოდა ვისმეს რამე ეთქვას ჩემი ღმერთისთვის, რომ ჩემი მფარველობა გამოემჩინა, რომ მისი თვალის წინ სისხლი დამეღვარა აბეზარის.

მართლაც გამოჩნდა. ო! ნეტა არა, ნეტა არასდროს არ გამოჩენილიყოს.

რა კარგი იქნებოდა, რა კარგი!

გამოჩნდა ვილაც, დაუწყო ქალს ცდუნება, მე რომ სამუშაოზე დავდიოდი ქალაქს, ის თურმე მოდიოდა. ქალი არ ნებდებოდა, ემუქრებოდა, მაგრამ მე მაინც არ მიმხეღა და ბოლოს შეშინებულმა და შეწუხებულმა გამიმხილა.

ოო, როგორ გავცეცხლდი ჩემო კეთილო ქალბატონო, რომ იცოდე. იმ დღეს სამკვედლოში ორი ჩაქუჩი გავტეხე სიბრაზით. ისე ვაბრტყელებდი გრდემლზე რკინას, რომ ალარაფერი რჩებოდა მასზე. რომ მომაგონდებოდა ან წარმოვიდგენდი ჩემს მოქიშპეს თვალ-წინ, ისე დავარტყამდი გრდემლს ჩაქუჩს, რომ შეინძრეოდა მთელი სახელოსნო. მუშებს უკვირდათ ჩემი ასეთი აბეზრობა. სახლში რომ დაებრუნდი, ცოლი კვლავ შეშინებული დამიხვდა. თურმე იმ ურჯულომ ნდომა ქალის დამორჩილება ძალით, ქალი არ დანებდა—ის დამუქრებულს წასულიყო სახლში. ცოლი გამომიტყდა—მითხრა ვინც იყო—ჩემი ბატონის შვილი აღმოჩნდა. გაბრაზებული ცულს ვეტაკე, მინდოდა წავსულიყავ და მაინცე მომეკლა. ცოლმა არ გამიშვა, დამამშვიდა, მომიალერსა. გადავწყვიტეთ ბატონისათვის შეგვეჩვივნა. წავედით დილით. ველაპარაკე—განრისხდა, მეგონა შეილზე, თურმე ჩემზე გაჯაერდა ბოროტი, ვერ მოითმინა შვილის შეტრაცყოფა—მეორე დღეს ქარხნიდან დამითხოვეს.

დავრჩი ქუჩაში, უღლკმა პუროდ. სიბრაზე მახრჩობდა, უსამართლობა უფრო ძლიერ. საშვალეება არ მქონდა საკუთარი სამკვედლო გამელო. მაინც დავაპიოე ბედის ცდა. მაგრამ ოხ ბედო!

ერთ დღეს სახში რომ მოვედი ცოლი ატირებული დამიხვდა. კიდევ მოსულიყო ის ვარყვნილი გველი. ეხლა კი გაცოფებამ საზღვარს გადააცილა. მაინც მოვისაზრე რომ სახლში სჯობდა მოცდა. გული მიგრძნობდა, რომ კიდევ მოვიდოდა.

ერთი ორი დღე სახლში დავრჩი. პირველ დღეს არ მოვიდა. იმ დღეს ისე მიღელავდა გული, რომ მას შემდეგ ავდამყოფობად დამჩემდა გულის ტკივილი. მეორე დღეს.. მე დავიძალე. ენახოთ მოვიდა. მე ისე ვიცნობდი შორიდან, მაშინ უფრო ახლოს გავიცანი; ერთი რაღაც უბედური, ჩაყითღებული სახით, მუწუებიანი. ეცვა ლამაზად, სულ კრიალებდა. თან აუარებელი ყვავილები მოიტანა, მაგიდაზე გაშალა. შინაურულად იქცეოდა, არა ჩქარობდა გათამამებული. ქალს მივარდა, ხეწნა და პრანჭვა დაუწყო, დაუჩოჭა, ფეხები უკოცნა, მერე ხელების ფათურს მოკვეა. აქ ველარ მოვითმინე, დაჭრილი მგელივით გადმოვარდი. ალბად ძალიან მრისხანე ვიყავ—ოთხად მოიხარა, ცოცხით უკან უკან დაიხია, გაქცევას ლამობდა, აღარ დავაცადე, შიშისაგან ხმაც კი ჩაუვარდა. ვეცე, წაფაქციე და ისე ვძიძგინდი, როგორც ქორი თავის სარჩოს. ჩემი ხელის მოს-



ხლტილი მუშტი სტურავედა მის გასისხლიანებულ თავ პირზე, მე კი ყოველ დარტყმაზე უსახლგრო სიამოვნებას ვგრძნობდი და ჩემი ხელიც როგორც მანქანა ადი-ჩადიოდა. არ ვიცი რამდენი ვცემე. მახსოვს დაეოსდი საშინლად. რო ავდექი ხელში მაგრა მგვირა მისი ყურის ნახევი. ის კი მჩვარით ევდო ნიწაზე სისხლში ამოთხვრილი. ცოლს გული ზესწუხებოდა.

ყველაფერი მოვისაზრე. შიშმა ამიტანა. ჩემს ოთახში ვლაც უცნობი ევდო უსულოდ. საჭირო იყო მისი გადაკარგვა, რომ არავის გაეგო. გაეახევე სქელ ტომარაში, მოვიდე ზურგზე და წავიღე. კიდევ კარგი ქალაქს გარედ ეცხოვრობდი, უკანასკნელი ქოხი იყო ჩემი. ღამეც ბნელი იყო, ძალიან ბნელი. მივიტანე წყალთან და შიგ ჩავავდე. უყურე ერთ ხანს—წყალმა არ დასძრა ადგილიდან, იქ ალბათ ძალიან თბლად მოდიოდა. მინდოდა უფრო შორს გადამეგდო, მაგრამ ხმაური მომესმა საიდგანლაც. შემეშინდა. გამოვიქეცი.

უვნებლად ჩამოვედი სახლში. ცოლი გამოუფხიზლებულიყო. მიუალერსე, ეთხოვე მოეწმინდა იატაკი.

გავიდა ხანი. ახალგაზრობამ ჩქარა დაგვაფიწყა ეს ამბავი და კვლავ გვესტუმრა მშვიდი ღამეები... ოჲ! რა კარგი იყო, ნამუშევარი, დალილ დაქანცული რომ დიდბრუნდებოდი ჩემს კერას, რომ დამხედებოდა ალერსიანი ცოლი, როგორ დამასვენებდა თავისი ალერსით, თავისი სიყვარულით. დამაფიწყებდა ყველა დარდს, რომელიც გულს მიღრღენდა. ასე—დავაპირე საკუთარი სამკედლოს გაღება. ამაზღდ დავიწყეთ ეხლა ჩვენ ოცნება. რამდენი რამე ვანეზრახეთ...

მაგრამ...

ერთ ზამთრიან ღამეს ასე ვოცნებობდით, უზიარებდით ერთმანეთს ფიქრებს.

კარგად იყო უკვე დაგვიანებული. მოგვესმა კარებზე ნელი კაკუნი. მივედი გაულე, მინდოდა მენახა ვინ იყო... მოულოდნელად შემოვარდა რამდენიმე ნაბად დაჩრდილული კაცი. დაკვირება ვეღარ მოვასწარი, ისე დამიკუმეს პირი. თვალეები ამიბეს. შემკრეს და სადლაც გამათრიეს. მე ჩემი დარდი არ მაწუხებდა, ცოლის ფიქრი მკლავდა, გულს მიდაღადა. სადლაც მიმიყვანეს ეტლიო, სადლაც შემიყვანეს. ვილაც მომიახლოვდა და თვალებზე აფარებული ტილო ჩამომამორა. პატარა ოთახში ვიყავ, აბსტრუული ქრაქი ოთახს ოდნავ ანათებდა. წინ ვილაც ახალგაზრდა გაყვითლებული და გამხდარი სახით ამომეტუხა და თავისი წვრილი თვალეებით ჩამაშტერდა.

— ვეღარ მიცანიო?—გესლიანი ღიმილით შემეკითხა.

მე მოგონება მინდოდა ნაცნობის და ვერ ვიგონებდი.

— ხომ არ გეგონა, შენს სიკეთეს დავიფიწყებდი. არ მოგნახავდი ან კიდევ, ხელის უფლებას გადაგცემდი რომ, მარტო ციხეში ამოლპობით ეძიათ ჩემი შური.

კვლავ გესლიანათ გაიმეორა ჩემს წინ მდგომმა და გულიანათ, სიამოვნებით და ცივი გულის ცივი ღმუილით ჩაიცინა.





ქართული

ეროვნული

ბიბლიოთეკა

მე მომაგონდა... მომაგონდა და ავკანკალდი. ვიცან ჩემი მამაკონი... შეილი, მე რომ მოკლული მეგონა.

— შენი ხელში ჩაგდება ბევრი ფული დამიჯდა, მაგრამ ვინ დაიშურებს, რა არის ფული ჩემს სიამოვნებასთან.— ხითხითებდა კვლავ ბოროტი— აი უკუ-რე— და მან აელვარებულნი შამფური დამანახვა. მე შიშით თმა ამიდგა, ჩემს შიშზე ის გულჩინად იცინოდა. მივიხედ მოვიხედე, ყველაფერი მოვისასრე. გაქცევა დავაპირე.

— არ გაუშვიათ— დაიღრიალა ჩემს წინ მდგომმა და შეშინებული თვითონ გვერდზე გადახტა. ოთხი მეკეთა. გაცოფებული დავეტაკე; თავ განწირული ვცვეთე. ღომივით ვჩხუბობდი. ორი კიდევ მოვიყოლიე ქვეშ, მესამესაც უპირებდი, მგოთხე მომეპარა და თავში დამარტყა რაღაც მძიმე.

თვალთ დამიბნელდა.

გამოვერკვიე, მივიხედ მოვიხედე, სარდაფში ვიწვექ ისევ იქ. პირი და ხელ-ფეხი შერკული მქონდა. იქვე ცეცხლი ენთო, ოთხი კაცი რკინებს ახურებდა, მე შიშის ჟრუანტელმა დამიარა. წარმოუდგენელი საშიშროება დამეხატა. ვიგრძენ საშინელება. ვიგრძენ— მიბირებდენ სამუდამოთ დასახიჩრებას.

თვალებით ვეხვეწებოდი, მინდოდა ჩემსკენ მოებუნნათ, მინდოდა პირიდან აეხსნათ ეს საშინელი საფარი. აუხსნიდი, შევებვეწებოდი. ხალხი არ იყენენ? გული არ ჰქონდათ, რომელი ტომისანი იყენენ ისე ბოროტნი, რა ხალხის შეილხი იყენენ ასე უგულონი. ოო! როგორ მინდოდა დალაპარაკება. ყველაფერს ვეტყუდი. შეიძლება არ გქნათ...

პირზე მაგრა აკრული ჩერები მახრჩობდა, გული მიწუხდა. ისინი შამფურებივით ატრიალებდნენ ავარვარებულ რკინას. არც ერთმა მათგანმა არ შემომხედა თვალეში. ნეტა შემოეხედნათ, ნუ თუ არ შემიბრალებდნენ. არ ვიცი. ბოროტი, ბოროტი ხალხი იყო ძალიან. არ დამინდევს.

და მომიბლოვდა აშინებებული რკინა... ოო. კეთილო ქალბატონო, ჩემო კეთილო ქალბატონო... რა საშინელი იყო ამომწვარი თვალების შხული რომ მომესმა ყურებში. და კვლავ დავკარგე გრძნობა ტკივილისაგან.

როცა გონს მოვედი, ჩვეულებრივით მინდოდა თვალების გახელა. აუტანელი ტკივილი ვიგრძენ. გარშემო ბნელოდა, ძალიან ბნელოდა, სულ სხვანაირად ბნელოდა, მე ისეთი ფერის ღამე არასოდეს არ მენახა. ვილაკ მოთქვამდა ჩემს გვერდით მწარედ. ხელი გაწვიე და ვიცან ბორკი ჩემის ცოლისა. ისა სტიროდა, ო, რა მწარედ სტიროდა. მე გულს მიკლავდა და თან მანუგეშებდა თითქოს ეს სასოწარკვეთილი ტირილი. ისევ მინდოდა დამენახა მისი ნაზი სახე, სწორეთ ისეთი სახე რომ ჰქონოდა, როგორც ღეთისმშობლის ხატს ჩვენი სოფლის ღვთაების ეკლესიაში. მაგრამ ამაოდ ვახელდი თვალებს, ტკივილის მეტს ვერასა ვებდავდი— საშინელი ტკივილის მეტს. ოო, კეთილო ქალბატონო, ვგრძნობ შენი გული სიბრალულით ივსება— მე ვიგრძენ როგორ დამეცა რამდენიმე ცრემლი ხელზე. შენ სტირი კეთილო ქალბატონო. მე დიდხანია არ მიგრძენია ასეთი თბილი ცრემლები. ო კეთილო ქალბატონო, ნეტამც ეს გამარებინოს ჩემი ცხოვრების უკულმართ ბორობას. ამას დაერთო ჩემი მძიმე იფადმყოფობა. ცოლი



ერეკნული  
მისწოდებისა

წავიდა საჩვილელად. მიგრამ ვინ დაუგდებდა ჩვენს ჩივილს ყურს, ვინ გაბედავდა ოქროს ბატონის შვილის გამტყუნებას. ვითომ ყურადღებით შეუდგნენ-საქმეს. გულმოდგინებამ საქმე სულ არია, ველარა გაიგეს რა და საქმე საქმობიდან ამოშალეს. ჩემს მტრებს რომ კიდევ ცოტა დაეხარჯნათ, სასამართლო მე გამამტყუნებდა. ამის შემდეგ ბედ გადამტყდარები ორივე ქუჩაში გამოვედით, მე სათხოვრად, ის კი სამუშაოს საძებნელად. ვინ რას მოგვეცემდა უსასყიდლოთ, ან მე ან იმას—მარტოდ მარტო დარჩენილ ლამაზ ქალს. ან რას გვეყოფოდა გრონები.

მე თან და თან მერეოდა ავადმყოფობა.

ერთ საღამოს ის ატირებული მოვიდა სახლში—ვილაცას შეეცდინა, სარეცხის დისარეცხათ მიეპატიენა სახლში, ძალა ეხმარნა, ფული მიეცა და გამოესტუმრებინა. მე ეს ბოლოს მითხრა, მაშინ როცა სამუდამოთ დისტოვია ეს ქოხი. გავიდა ხანი აუტანელ გაკვირებაში. სოფლად მე წინათვე ყველაფერი გავყიდე, აღარა შქონდა რა. ქალაქში ჩემს ცოლს, დედამა ჩვენი ჯვრის წერის მეექვსე თვეს დაეხოცა და მამა მისს ვალების მეტი არა დარჩა რა.

ქალაქში ჩვენ სულ მარტონი ვიყავით. კეთილი მეზობლებიც არ გყავდა ახლოს, ასე უმადურად მარტოობაში, მისდევდა დღე დღეს. ბოლოს მოუხშირა ცოლმა სიარული სხვა და სხვა ალაგას, სარეცხის გასარეცხად. ასე ამბობდა ავითონ, მე კი არ ვიციოდი საიდან და როგორ...

(აქ მოხუცი შესდგა, ამოიხვნეშა, და გამოხედვით ერთ წერტილს მიყრდნობილმა განაგრძო).

ჩვენ სახლში ფული გაჩნდა. მას რალაც უსიამოვნო ხმა გაუხდა, ჩაებრინწა ბოროტებით აეგსო თითქოს. აღარ იყო აღერსიანი, თან და თან დაჰკარგი აღერსის ზნარი. მე მაკვირებდა... ხან და ხან რალაც საშინელს ვგრძნობდი. თმა ყალუხზე მიდგებოდა... ვეკითხებოდი... ვეხვეწებოდი, არაფერს ამბობდა.

ერთხელ ღამით, მეზობელ ოთახში მომესმა სიცილ ხარხარი, ხმაური. გური დაუგდევ, თითქოს ქეიფობდენ... ავდექი, მიუახლოვდი, კარებს ყური მივაღე და ყველაფერი გავიგონე. ჩემი ცოლის მთვრალი, ჩახრინწული ხმა, რომელსაც სტუმრები მოეპატიენა და ევაჭრებოდა. სისხლი ამერია, გავარდი იმათთან გაცოდებულნი, მინდოდა მეყვირნა, მინდოდა ჩემი ხორცი მეგლიჯნა. ცოლის ხმა მომესმა ამ დროს.

— უყურეთ ამას... ეს ჩემი ქმარია.. ექვიანობს ალბათ ხა... ხა... ხა...

მის გაბოროტებულ სიცილს სხვებიც აჰყენენ... ასე დამცინეს...

(აქ მოხუცმა კიდევ ერთხელ ამოიკვნესა)

საშინელება!

დავბარბაცდი და მოსხლეტით დავეცი იატაკზე. ვესვეწებოდი ნუ იხანდა ასეთ საშინელ ცოდოს, არ დამიჯერა. და მე მოწამე ვიყავ როგორ გლეჯავდენ მის ხორცს, როგორ აწამებდენ მას და მერე როგორ უთვლიდენ ვერცხლის ფულს ხელში.

ოო! არ ვიციოდი რა დანაშაული მქონდა, ასეთი წამების მოსჯისათვის.

მას შემდეგ ყოველი ღამე წამებით იწყებოდა და წამებით თავდებოდა.



ქართული  
ენების

და თითქოს არ ჰქონდა დასასრული ამ წამებს. რად? ვეკითხებოდი ურჯულო ლმერთს. რად? ვეკითხებოდი ჩემს თავს და ვერც ერთი პასუხს ვერ მაძლევდა. ერთი საღამო იყო მხოლოდ, როცა ის მე დამიბრუნდა თითქოს... კარები მაგრა გადაკეტა, არც ერთი აბეზარი მეშტარი აღარ შემოღწევა. მომიახლოვდა და ჩემად უსიტყვოდ დამიწყა აღერსი. ოო, კეთილო ქალბატონო—არ ვიცი რა იყო ეს. ვიცი მხოლოდ რომ ისეთი ბედნიერება ჩემს დღეში არ მიგვრძნია. მაშინ მიაშბო როგორ მოტყუვდა პირველად, რამდენი დამცირება ნაბა, ჯერ ჩემთვის—მერე შეეჩვია; იმ დამეს ტირილით პატიებას მთხოვდა. მთელი დამე მოგონებებში გაატარა. მე ვგრძნობდი როგორ ძველებური ბავშვური გულუბრყვილობით იღიმებოდენ მისი ტუჩები.

მეორე დღით ის საღდაც წასულიყო. ბევრი ველოდე მას შემდეგ, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. მოლოდინმა უფრო მიმიღია გული, ყოველი ფეხის ხმა იმისი მეგონა. ქუჩაში ჩავლილ ეტლს გულის ფანქვლით უსმენდი, სად გაჩერებოდა. აღარსად გამოჩნდა იმ ღამის შემდეგ. თითქოს იმ ღამეს იმისთვის დამიბრუნდა რომ უფრო დავეტანჯე შემდეგ. ერთი თვის მერე მეზობლებმა მითხრეს—ამბობენ წყალში დაიხრჩოვო, ზოგნიც ამბობენ ქვიფის დროს მოკლესო. ნამდვილი არავინ არაფერი მითხრა.

ოო, კეთილო ქალბატონო, შენი ცრემლები კვლავ დამეცა ხელზე. რამდენი ხანია მე ასეთი ცრემლი აღარ მიგრძნია. ნუ ტირიხარ კეთილო ქალბატონო. ჩემი რჩევაა, არასოდეს არაფერი არ გაიკვიროვოთ ცხოვრებაში. აუბად არ იცნობთ ქალბატონო გაჭირვებას, რომ ეს ამბავი ასე გიკვიროთ. დაიარე ჩვენი უბნები, ყველა მათგანს გამოკითხე, ყველა მათგანი უარესს გაიმბობს.

ნაბინა გაფითრებული იდგა ბრმა ბაჩუს წინ. ნკრეიულად სჭიშავდა ხელეებს და თვალებიდან ცრემლები სდიოდა. დანიელ წამოიწია, პორტმონე ამოიღო და ბრმას ფული მისცა.

— გმადლობთ კეთილო ხალხო. მე მიკვირს რომ ისინი კიდევ არიან ქვეყნად.

— წავიდეთ—მიმართა დანიელმა ნაბინას და მკლავი შესთავაზა. ნაბინა ნელის ნაბიჯით გაჰყვა დანიელს და თან თითქოს შიშით, თითქოს რიღით წაიჩურჩულა.

— რა საშინელი ქვეყანა ყოფილა აქეთ.

#### 4.

ასე აჩრდილებივით დადიოდენ ერთი ქობიდან მეორე ქობში. ყველგან უსმენდნენ საშინელ ამბებს. ყველგან როგორც გულკეთილ ანგელოზს, ნაბინას თვალები ცრემლებით ვესებოდა. გულს სიბრალული უღევდა, და ტანში, მაყურებელი ადამიანის ტანჯვის, ცივ შიშის ერთანტელს გრძნობდა. „მე ხომ მტერი ვარ ამათი“. უცნაურათ გაუღევებდა ეს ფიქრი თავში და თითონვე უკვირდა „რად, რად უნდა ვიყო მტერი?“ და თითქოს დანიელის ღრმად წასული, ფოსფორიული თვალები, დამცინავი ღიმილით გადასერილი სახე და საიდუმლო გამოზედება, აძლევდენ პასუხს.

— იმიტომ, რომ შენ არას დროს არ გიგრძენია გაჭირვება. იცი შენ რა არის სიმშლილი? იცი შენ რა არის სიცივე? გიგრძენია ოდესმე? ან ცივ, ქარ-ყინვიან ლამეს გაგვიღია თითებ გამოყრილ ფეხსაქმელებით, სადაც წყალი შედის, იყინება და ჰყინავს: ფეხს, ტანს, გულს... იცი შენ რა არის ქანც-მიღეუ-ლი შრომა დილიდან საღამომდის. სულ შეხუთული ჰაეა, აგრაგვინებულ მოტო-რების, დამძალი პერანგი ოჯლიან ტანზე და თავი როგორც ადუღებული კირი, დამძიმებული, ადანდგარებული, მოუსვენარი ცხოვრებით. იცი შენ რა არის კა-ნონი?

იცი რა არის სამართალი?

ვიფიქრია ოდესმე დასვენებაზე?— რადგან არასოდეს არ დაღლილხარ.

ასე, ათასი ფიქრი ამ ღვთაებრივ ასულში, მადონას რომ ჰგავს, რომ გადაჰკვრია ოდნავ ყვითელი ფერი, თვალები მიბნეღია და ელავენ— ელავენ შევად-ინახულეს ყაფა-ხანები, სამიკიტნოები, შაბათობით რომ იკრიფებიან უკა-ნონონი და რომ სვამენ დარდის ვასაჭრობად. რამდენია მათში სასოწარკვეთი-ლი. ორშაბათიდან შაბათამდის დიდი დროა— ბოლომთ იესება გული. ყველაფე-რი ამოვდება.

საქიროა თავ დაეიწყება.

— ეი მიკიტანო— ცივი კვარტიანი.

— სადღეგრძელო შემოდგომის ფოთლის.

— სადღეგრძელო ოფლის.

— სადღეგრძელო დაღუპულ ძმების.

— სადღეგრძელო კეთილ მეგობრების.

— და ბოლოს სადღეგრძელო, სულ ერთია, რა საქიროა სადღეგრძელო...

დ-ვლით ისე.

5

ინახულეს კიდევ ბევრი უკანონონი.

მაგრამ.. ყველაზე საშინელი იყო ცოცხალი ხორცის ბაზარი. აქ ირვოდენ ნაირი ბოშები— როსკიპები ჩახრეწილი ხვით, რომ აქებდენ ურცხვათ თავის ხორცს. დოინჯით რომ ელაპარაკებიან მუშტარს, ვაყვაცურად.

და ისმის ცოცხალი ხორცის ბაზარზე ზმუილი, ლამძლეა, გინება, სიცილ-ხარხარი, გატეხილ თხილის ან სემიჩკის ტაკაცა-ტყუცი.

— თუ გინდა არაფერი აგკიდოს, თუ გინდა შენებელი დარჩე— ჩემთან წამოდი.

— Окаянный чорт, загубиш с нею душу.

— სანზე ნაკლებ ვერ წამოვალ.

— მაგას არ ვაჰყვე, ავადმყოფია— ვერ გადურჩები.

— შენ რაღა გინდა ბებერო?

ნაბიანას უნდა იყვიროს, თმა ყალყზე უდგება და საშინელ შეურაცყოფას გრძნობს, გრძნობს ტანის საშინელ ტკივილს, თითქოს ეს ბაზრის მუშტრები მის ხორცს ჰგლეჯავენ. ის აქ ველარ სძლებს.. ვერა.. სული ეხუთება.. გული



ქართველთა

მწიგნობართა

ერევა, აქ გველაფერს სუნი სდის.. მყრალი სუნი, აქ შეუძლებელია.. შეუძლებელია.. საშინელია... საშინელი...

უბანს რომ გასცდნენ. დიდ სახლის ბნელ კუნჭულში ვიღაც ცილინდრში ლამაზ ვოგონას ეხვეწებოდა და იქვე მდგომ ეტლში იპატიებდა.

ნაბინამ თითქოს კითხვით შეხედა დანიელს. უკანასკნელმა იგრძნო და უპასუხა.

— ალბად ატყუებს. შეაცდენს. ხეალ ერთი კიდევ შეემატება ცოცხალი ხორცის ბახარს.

ნაბინამ დაშტერებით ჩახედა კუნჭულში ატუხულ შეშინებულ ქალს. მას მოკრძალებით თავი დაეხარა და აღელვებული თრთოდა. ქალმა ნაბინას ღრმა ლურჯი თვალები შეანათა და დარცხვენელმა ისევ დაბარა. ნაბინა შესდგა, ცილინდრიანმა ნაბინას დანახვაზე წასვლა დააპირა, ეტყობოდა ისიც აღელვდა.

— უკარავად—მტკაცედ მიმართა ნაბინამ კაცს და შეჩერდა... აღარ იცოდა როგორ დაეწყო. ან რა ეთქვა? სათქმელი კი თითქოს ბევრი იყო.

უცნობი შეერთა. შეინძრა. უკან დაიხია.

გვერდზე მდგომმა დანიელმა უცნაური გულის სიცილით ჩაიციხა.. მისი სიცილი ძლივს მოხვდა ნაბინას ყურს და გააკვირვა.

სინათლეზე ნაბინამ მკაფიოდ დაინახა უცნობის სახე და გააკვირვებით წამოიძახა.

— მისტერ ჯონ ჰაირტონ?!

ქალმა გველ ნაკბენივით უკან დაიხია. მოახლოვებულ მისტერს და მის გამოწვედილ ხელს თვალი ააჩიდა. იქვე მდგომ დანიელს მიუბრუნდა და ცივი, ცოტა მიმჭრალი ხმით უთხრა.

— წავიდეთ ბატონო დანიელ, წავიდეთ ამ კომმარულ ქვეყნიდან.

## ამბავი მუხვიდ

„ოგოგა—აბლაბუდა“.

### 1.

გულ ჩათბრობილი უყურებდა მოღუშულ ცას. მრისხანეთ დაკუმტულ შავ ღრუბლებს. ფანჯარიდან ქუჩები გაფულ ლაბირინტად ეჩვენებოდა. მიყუჩებული ქალაქი ოდნავ ფეთქავდა. წელში მოხრილიყო. ბჭყვრიალა თვალებში ნისლი ჩასწოლოდა.

ნესტიან ჰაერს ყნოსავდა უგემურად.

ოთახი მიმჭრალი დღის ნისლით აღესილიყო.

ზანტი—ზანტი ფიქრები, როგორც ზოლები დაკუმტულ ღრუბლებისა სკურავდენ მის თავში, გარს ეხვეოდნენ და ახრჩობდნენ თითქოს.

რა აწუხებდა ამ ადამიანს, რა აწამებდა მუდამ მის ფიქრს. რად იყო მისი ფიქრი მუდამ მოუსვენარი. რად იყო მისი აზრი დაუდგრომელი.

რას ეძებდა ის?



ქარციხელი

მისი ცივი გამსჭვირვალე გამოხედვა, ყველას რომ აცტერდებოდა, ყველას რომ აცტერდებოდა, ყველას დაეინებით აშტერდებოდა, თითქოს ეძებდა—ყოველთვის ეძებდა, ყოველთვის უნდოდა.

ერთ დროს მას შავი გამოხედვა ჰქონდა, მის თვალებს შავი ელვარება, მის ხმას ნაზი მელიოდიური დიქცია. ტანი ახოვანი მძლავრმკერდიანი ვაკეაციის ბიჯი შეურყევი და მტკიცე.

ჟენაური იყო მისი გარდაქმნა. შეუმჩნევლად დაკარგა ყველაფერი. შეუმჩნევლად შეეჩვია თავის თავისა და სხვის მოტყუებას, თითქოს სისხლი აღარ იყო მასში. ხშირად ამჩნევდა როგორ გაცივდა გული. როგორ გაჰქრა ძალა.

ეხლა ის სხვაა.

წარსულის კარები დაკეტულია.

მისი სული წაბილწა არაყმა და ოქრომ.

არა! თან დაყოლილმა უძღურებამ.

დიახ ის დაეუძღურეს!

ვინ, ან რად—ეს სულ ერთია.

ის მოატყუეს!

ესეც სულ ერთია.

ის გაჰკიდეს!

აწამეს!

ჯვარს აცვეს!

ვინ, ან რად—ყველაზე ძლიერ წინაპრებმა. ყველაზე ძლიერ რასამ, დაღეჭილმა სისხლმა... ამღვრეულმა სისხლმა... ბუბერმა სისხლმა... რომელმაც მასში მოიყარა თავი.

ის მოვიდა ამ ქვეყნად მაშინ—როცა უკვე მოზნამული იყო რძე დედისა. მამის თესლი დამბალი. რა ამისი ბრალია თუ მამა გადასცდა გზას.

რა მისი ბრალია თუ დედას ასე აწამებდა მალარია.

რა მისი ბრალია თუ რასა მისი დაბერდა და გამოიფიტა.

რა მისი ბრალია თუ რასა მისი გადაგვარდა და გადარჯულდა.

რად აწვალებს მას ნიადაგის მალარია.

რათ აწვალებენ აჩრდილები, რატომ არ არის თავისუფალი.

რად იხრწნება, რად ლჰება სხეული. რად უყვარს არაყი. რად უყვარს ფული.

რადა ჰკანკალებენ ხელები ოქროს დანახვაზე.

რად უნდა ოქრო, რად უნდა კერპი და თუ უნდა რადა სძულს ისიც.

რად ეძებს სიყვარულს... რად იხრწნება ტანჯვით.

რატომ არ არის ცივი თავის თავისთვის—როგორც მისი გარეგანი ნიღაბი.

რატომ არ არის ბოროტი, როგორც მისი გარეგანი ნიღაბი.

ან რად უნდა ნიღაბი—რა საჭიროა.

რატომ არ არის ის რაც არის.



ქართული

წიგნების

თუ უყვარს საუკუნე—რატომ არ არის ინეინერი წელ მოგონილი. მი-  
ლიონერი სიფილიტიკი—კაცი საათის—კაცი საქმის.

თუ რაინდია შორეული წარსულიდან, სად არის მისი ჯავშან-ფარხმალი.  
პატიოსანი გამოხედვა, ამაყი გული, მედგარი მკლავი.

იყო ოდესღაც—რამ გააქრო?

დამპალმა სისხლმა. წყეულმა სისხლმა. სა...სხლ...მა...

ის გრძნობს უბღვეულ სიყვარულს სისხლისადმი. მას უნდა მის ძარღვე-  
ში ჩქეფავდეს სუფთა, ჯანსალი და ბეერი სისხლი.

ერთად ერთი რაც უყვარს მას ეს არის სისხლი...

სისხლი... სისხლი...

და აი ის სდგას გზა. ჯვარედინზე. ის სდგას და უყურებს მომავალს ისე  
საიდუმლოთ როგორც არასოდეს. სდგას იქ სადაც თავდება ძველი და ახალი  
იწყობა. სდგას შემსრულებელი ორის—დასასრულის და დასაწყისის. ყველაზე  
დიდი აქტიორი—აკრობატი—დანიელ ჯაკობია.

## 2.

ნაბინა დაუბრუნდა სახლს. თითქოს უცხოთ ეჩვენა იგი. ეს ლალის ფერი  
მძიმე ნოკებით დაფარდებული ხავერდები, მალალ ფანჯრებზე. ეს სარკის  
სისუფთავით სავსე იატაკი, დაფენილი სპარსულ ხელოვნებით ნაქარვ ხალიჩე-  
ბით. ეს დარბაზები ბრჭყვილა ბროლის ქალებით. ეს სურათები, ეს წიგნე-  
ბი—ყველაფერი რაც ამას წინად მას ათას მოგონებას უღვიძებდა და ბავშუო  
დროს აგონებდა—ყველაფერი ეს უცხოთ ეჩვენა ნაბინას. ისიც კი, მონარდე-  
თი ხმა მეორე ოთახიდან, რომელიც ასე უყვარდა ნაბინას, როცა მითელმბილს,  
ბნელ სასტუმროში, ფიქრებში წასულს, შემოესმოდა კამათლების მხიარული  
ხმა და რომელიმე მონარდის გულმოსული კარნახი.

— დუ შაში კამათელო, შაში იაკ.

ეს ხალხიც თითქოს უცხოთ ეჩვენა.

თითქოს ქალმა ბეერი რამ დასტოვა ნანახ ქვეყანაში. თითქოს ტყუალად  
არ აიესო თვალები ცრემლით.

ნანახი სურათები თავს არ ანებებენ. რიგ რიგობით იხატებიან და ისევ  
ჭკრებიან. ოთახები იესება როსკიბი ქალებით, მათი სილუეტები ელანდება  
ყველგან, და მათში ცილინდრით მისტერ ჰაირტონ—მაცდური ოქრო, ოქროს  
სხივებით შემოსილი მეფე ამ ცოცხალი ხორცის ბაზრისა.

დანიელ იქვე ჩამომჯდარი უყურებს ღრმად ჩაფიქრებულ ქალს და რაღა-  
ცას უსტვენს.

ნაბინა გამოერკვევა. კიდევ უცნაურად მოაველებს თვალს დარბაზს.

— დანიელ, რად მაჩვენებ ის უცნაური ქვეყანა.

— რომ არ წასულყავით ამ ქვეყნიდან სულ უცხო მგზავრი.

— სჯობდა არსოდეს არ მენახა.

— განა დაგაკლდათ რამე?

— არა, მხოლოდ ჩემი რაობა უფრო უსუსური მეჩვენა

- გჯერათ კიდევ ზღაპრების?
- ის რაც მე ვნახე ჩემთვის საშინელი ზღაპარი იყო.
- კიდევ ტყუილი თავის თავის წინ. საშინელი სინამდვილე. ზღაპრები მათგან ისე შორს არის—როგორც თქვენ და ისინი.
- რად არის ასეთი საშინელი უფსკრული.
- იმისთვის რომ თქვენ ცხოვრება გქმნით ქალბატონო ნაბი — ისინი წინააღმდეგ, ცხოვრებას ჰქმნიან.
- ასეთი უსუსურნი?
- თქვენ ბევრი რამ კიდევ დაგრჩათ სანახავი. პაუზა.
- შესაძლებელია.
- თქვენ ნახეთ ერთი, დაგრჩათ მეორე.
- მე ვნახე მათი გაჭირვება.
- დიახ, მაგრამ თქვენ არ გინახავთ მათი ძალა, მათი უნარი.
- ის მე ვერ ვნახე.
- მისი ნახვა არ შეიძლება. ჯერ ჯერობით საჭიროა მისი შეგრძნობა. ამისთვის საჭიროა მათთან ყოფნა.
- მათთან?
- დიახ მათ რიგებში.
- ოო ეს ძნელია.
- ამისთვის ძალაა საჭირო. ძალა რომელსაც ისინი ითხოვენ, რომელიც თვით მათა აქვთ.
- ეს არ მესმის.
- ისინი იბრძვიან ქალბატონო ნაბი, იბრძვიან ცხარე და სასტიკი ბრძოლით.
- უსუსურნი? ტიტველ-შიშველნი?
- თქვენ ჯერ არ გიგრძენიათ მათი სიძლიერე. თუ თქვენ ამას იგრძნობთ, მაშინ მათი გაიგებთ რამდენად ძლიერნი არიან ისინი. უსუსურნი ხართ თქვენ—ზღაპრების მოციქულნი. უსუსურნი არიან აი ის მონარდენი. თქვენ ნიღაბებს შეცდომაში შეჰყავებართ კეთილთა ქალბატონო. სუსტს მძლეობისა აფარია, მძლეობს სუსტის.
- მაშ მე მათი ნიღაბი ვნახე?
- დიახ, გარეგანი სახე.
- მაშ მე უმთავრესი არ მინახავს?
- არა.
- დანიელ უყურებდა ამ ძვირფას ქალს, რომელიც ისევ ფიქრებში ჩაეფლო. აზავთული გულ-მკერდი საიდუმლო მღელვარებით ირბევა. ტუტები უკნაჟოდ ილიშებიან. ვნებიანი ტანი თრთის. მძიმე სუნთქვა, ნელი გაზმორება—ფიქრებში წასვლის. ნაბინა თავის ფართოდ გადაჭრილ შავ თვალებს დაშტერებით მიაპყრობს დანიელს, თითქოს უნდა ამოიკითხოს ამ კრულ-თვალა კაცის გულიდან ყველაფერი. დანიელს შეაკრთობს ეს. მას უნდა თავი დაიჭი-





ქართული

როს, ცივად მიიღოს ვნება-იტეხილი ქალის გამოხედვა, უცნაურად; სტრუქტურულად მოით რომ აღესილა.

— რიდ გამაცანით თქვენ ის სამყარო, რა გინდათ ჩემგან? მე ზღაპრები მინდა...

— მშვენიერო ქალბატონო რამდენი უძლურებაა ამ წუთს თქვენში.

— ზღაპრები... დანიელ ზღაპრები.

იმეორებს თვალ დახუჭული ქალი ღრმა სივარძელში გადაწოლილი და ვნებისაგან ისე ჰქანკალებს როგორც ფოთოლი.

დიდხანს უყურებს დანიელ, თითქოს უნდა მისმა კრელმა გამოხედვამ აისახოს ყველა კვნით ქალისა. თითქოს უნდა ჩაიღინოს რაღაც საშინელი, თითქოს უნდა... უნდა... უნდა...

მაგრამ ფეხ აკრეფით. შეშინებული როგორც ქურდი მიიპარება. თითქოს ეშინია ცდუნების,

თითქოს.

საკვირველია.

### 3.

ოო! ლეგენდარული კაცი ნაცრის ფერი. ბოროტი ირონიით სასესე, ხან საზიზღარი, ბოროტების მანე ქე, ხან მიმზიდველი და აღერსიანი, ხან ამაყი და მიუდგომელი, ხან ცივი და გამოუცნობი. მდგომი ვით სალი კლდე ღრუბლების თავანში რომ დაუქარგავს წვერი და შემოსალტულა მუდამ ნისლით. უშრეტი ძლიერებით სავსე თვალები რომ ალაპლაპებია. ა ა ა!.. რა საზიზღარი თვალეზია. უნდო... უნდო... უნდო...

და ნაბინას გააქროლებს მოგონება.

ვერ იძინებს...

აზრდილები დასტრიალებენ ასულის სარეცელს ავსულებივით. და ის ნაწამები ამ გრძელი და უღვევი ლამით, მოდუნებული და მოქანცული, ნელი-ნელ დაჰფანტავს აზრებს. რომელიმე მათგანი ნახევარ სიტყვაზე შესწყდება. რომელიმე სურათი თვალის უპეს შერჩება ღრუბებში და აღეჩაქებული, არბილებული ბურუსი თავს ევლის, ეხვევა და თან და თან იფლობა, ნანაობს ამ ბურუსში. ნანაობს და ნელი-ნელ იცვლობა.

და გაწყდება ძაფი სადღაც უბილავ ექსტაზში...

და უგრძობი სიბნელე განათდება ახალი სანახაობით...

და ახალი სამყარო ნელი-ნელ იღებება ახალ ფერებში.

### 4.

— მე გაჩვენეთ კეთილმო ქალბატონო სამყარო ტანჯულთა...

— ჰო მეკობარო, შენ მაჩვენე სამყარო საშინელებით მოკული.

— მე გაჩვენე ტანჯვა ქალბატონო.

— საშინელი ტანჯვა.

— შენ ნახე ხორცის მივიერ ძელებზე ტყავი მიმხმარი.

- ვნახე საწინელი ხალხი.
- შენ ნახე დაკარგული სიყვარული.
- ვნახე.
- ნახე გაყიდული სიყვარული!
- ვნახე.
- ნახე გაბრწინილი სხეული!
- ვნახე.
- ნახე შიმშილი!
- საწინელება!
- ნახე ცოცხალი ხორცის ბაზარი ქალბატონო!
- ვნახე.
- ქალბატონო ჩემო, ჩემო კეთილო ქალბატონო. შენ აღბად ისიც ნახე—შევე ამ ცოცხალი საყვასბოსი. ცილინდრში და მონოკლით მარცხენა თვალზე. მონოკლით. ხა .. ხა... ხა...
- ნეტავ არ მენახა!
- სწუხს მშვენიერი ქალბატონი?
- მაწუხებს ყველაფერი ის რაცა ვნახე.
- რაც გრწამდა?
- ზღაპრები? გაჰქრა.
- მელანხოლია?
- დაიპყრო აზრმა.
- გაჰქრა ნახ ცდუნებაში მონარნარე ქალბატონი?
- სამუდამოდ!
- გინდა იგრძნო შენი თავი მებრძოლთ რიგებში?
- სუსტი ვარ...
- იქონიე ნების ყოფა.
- უსუსურია ჩემი ძალა.
- სურვილი კეთილო ქალბატონო?
- დიდი, ძალიან დიდი!
- ერთად ერთი სიტყვა —ბრძოლა. აზრი—ბრძოლა. შენ არა დედოფალი წამებულთა, არა დედოფალი ტაბჯულთა, არამედ სწორ ჯვლებანი ამხანაგი წამებულთა შორის, ტანჯულთა შორის. არა დიდება და სახელი, არამედ მორჩილება და ნდობა. არა გულნატკენი კვნესა—არამედ სიტყვა და საქმე. ყველაფერი მომავალ ბრძოლას, აღივლივებულ კოცონს, აელვარებულ კოცონს, რომელსაც დაანთებს იქითა სამყარო.
- მე მინდა... მინდა!
- პირველი და უმათერესი პირობა—შენ პირველი მსხვერპლი ამ კოცონის.
- მზათა ვარ!
- არ შეგაკრთობს მსხვერპლი?
- არა.

— არ გაგკემს ტანი?

— არა.

— გაქვს ძალა წანების ასატანად!

— მაქვს!

— წამებულნი მიგიღებენ შენ და იქნები უძვირფასესი მეგობარი. მათ არა აქვთ ფული რომ მოგკენ შენ. მათ არა აქვთ ოქრო რომ გიწილადონ. მათ არა აქვთ ვარდის წყალი რომ მით ყოველ საღამოთი გაგბანონ. მათ არა აქვთ სურნელოვანი მტვერი რომ მით გაავიგრძიონ სახე. მათ არა აქვთ ფარჩა რომ შეგმოსონ.

თუ გინდა მათ შეუძლიანთ მოგთავაზონ შიმშილი. მათ შეუძლიათ გიგიზიარონ ტანჯვა. მათ შეუძლიათ გაჩუქონ სიკვდილიც კი,—მათი ერთად ერთი მეგობარი.

სეულ სარდაფებში, ბნელ კედლიან და მძიმე ჰაერით დაენთილ სარდაფებში ივლი შენ და მოუწოდებ ყველას ბრძოლას.

დარაზმავ მათ და ერთი ერთმანეთზე გადაკდომილთ, მედგარ კლდეთ შეკრულ რსზმებს წინ გაუძღვები თმა გაშლილი, მათსავე სისხლში ამოსვრილ ბაი-რალით ხელში.

და დაკვლეჯავ შენ შენს საკუთარ ხორცს ისე რომ არც ერთი კუნთი არ შეკრთება შენს სახეზე. დალევ შენ საკუთარ სისხლს?

— თუ ძალა შეყო.

— არის სურვილი, არის ნდომა არის ზიზღი, სიყვარული?

— უფრო დიდი ვიდრე შენში, უცნაურო აჩრდილო.

— ძალას ჩვენ მოგკემით. ძალა ჩვენშია.

— ამხანაგო!

— სთქვი.

— თქვენ გრწამთ სიყვარული?

— შენდამი ძვირფასო აჩრდილო!

— სიყვარული ორნაირია,—სიყვარული ბრძოლის და ბრძოლაში. მეორე სიყვარული ცარიელი დროს მოკვდაა, მელანხოლიის სადევნი მანქანა. რომელი მათგანი გრწამს შენ?

— მე პირველიც და მეორეც. ისიც და ესეც.

— ზოაპარია!

— არა!

— ამხანაგო! ზღაპრებს თავი უნდა დაანებო.

— სიყვარული?

— ჩვენ გასწავლით სიყვარულს—ჩადევ რიგებში.

— აჩრდილო შენ მე მიყურებ და გეცინება. ან მე დამცინი და ან სხვას ფოქრობ და სხვას მიკარნახებ.

— შენი წინაპართა ზნე ჩვეულება უნდა მოიხსნას: რა საკიროა ეჭვი.

— მესმის.



ქართული

ლიტერატურის

— ამხანაგო! პაროლი ყოველთვის „ბრძოლა“ არ დაგავიწყდეს. მას ასე ამხანაგო.

— პაროლი?

— ბრძოლა.

5

ნაბინა საჩქაროდ წამოხტა ლოგინიდან. აანთო სანათი. თითქოს შეშინებული შიშით მიმოაეღო თვალი დამის მკრთალი სინათლით განათებულ ოთახს და რაღაც მტკიცე გადაწყვეტილებით მიუახლოვდა საწერ მაგიდას.

ბატონო დანიელ!

მე გადავწყვიტე — ეს იქნება ჩემი უკანასკნელი პასუხი. მე თანახმა ვარ. მე მინდა — ეს სურვილი ყველაფერზე დიდია ჩემთვის.

ნაბი.

ადგა, თითქოს ამ წერილის ნაგლეჯმა დაამშვიდა. რამდენჯერმე შემოუარა ოთახს და ნელა დაეშო მოთენთილი ტანით საწოლზე. იღიმებოდნენ ტუჩები და თავში ფიქრები ელავდნენ. „ყოველთვის ერთად, მუდამ ხიფათში. რა კარგია, რა დიდებულია.“

6.

ისევ ის ვიწრო უპაერო ოთახი სასტუმროში. ისევ ის ქუჩა და ეს ამაყი სახლი მის ფშვარის წინ. ისევ, ეს თითქოს ნაცემი ტანი, დაჩლუნგებული, მოღუნებული ისევ ეს სიზმარული დღეები.

ხანდახან ჩახედავს თავის თავს სარკეში და შეეზარება. თითქოს უცნობი თავის თავისთვის. შეშინებული, აკანკალებული თავის გამოხედვით. ეს ნაციები სახე... ეს ჩავარდნილი თვალები, შორს სახის სიღრმეში და აჭრელებული, აფოსფორებული. კეზიანი ცხვირი. პირი დამცინავი მწარე ღიმილით და საზიზღრად მოელვარე ორი ოქროს კბილი. უფურებს თავის თავი დანიელ და პირზე მწარე, ბოროტი ღიმილი უასკეცდება; ყვითელი ჩამომდნარი სახე მკრთალად უწითლდება.

— ვინა ხარ შენ დაწყველილო კაცო და ან რა გინდა?! რა? სად რას ეძებ. ვის რასა სთბოვ, მოსულო ასე შეუმჩნეველად — მიმავალო ასე ფეხ აკრფით და ქურდულად. შენ ხომ უბრალო მშვიდარა მოქალაქე ხარ. ობიექტული, რომელმაც ყველაფერი დაკარგე. ოჯახი გაყიდე. მშობელი შენის ხელით აწამე. შეიღი შენის ხელით დაახრჩე. რისთვის? რად? რა გინდა ამ დაუდგომელ სამყაროსაგან. შენ არარა, კუზიანო ღონკიბოტო ხა... ხა... ხა...

შენ; ქურდო, ავახაყო, წვრილო ჯიბვირო, ქუჩის აქტიორო, რომელმაც ჩაღუპა თავისი თავი და ტალანტი წვრილს ინტრივაში.

ეროვნული  
გონიერებისა

გენიალურო კაცო ხა... ხა... ხა... მიკვირს არა ძაწის შენს წინაშე მთელი ქვეყანა. მიკვირს ცეცხლსა და მახვილს არ მიეცი სული ცოდეილთა — დიდო მოსამართლევ, განდგომილო, სიძულელით აღესილო კაცო.

უბედურო, შენ ისიც არ იცი, რომ სიძულელიც არაარაა შენი და უმწუგო, რადგან შენა ხარ თვით უმწუგო. ხა... ხა... დამპალო ლეშო, რა გინდა რა? გახრწნილო ცოცხლად, რას ეძებ? შენი ნამდვილი სახელი. შენი ნამდვილი სახე. შენი ერთი სიტყვა მაინც გულწრფელი შენთავთან მაინც.

რა გაწვილებს? რათ ეწამები? მიზეზი ამის რა?

რა?. რა!!

ხა... ხა... ხა...

ის ყალუზე ამდგარი სდგას სარკის წინ და ხელ გაშვერილი ისტორიულად დახარხარებს მის წინ ასახულ ლანდს, ასეა ერთ ხანს, შემდეგ თითქოს შემკრთალი, შეშინებული, კანკალით წავა ღრმა, ძვირფასი სავარძლისაკენ და მის წინ მოსხლევით ნუხლებზე დაეშობა.

— ინონა! მიხსენი!

რა უნდა ჩემგან, რად მიღრღნის გულს, რად მაწამებს ინონ! შენ ყოველთვის მხსნელო, მისი სასტიკი კლანჭებისაგან. ინონ! რა უნდა ჩემგან? რათა მოხოვს პასუხს. შენ დამიფარე, ყოველთვის მფარველო, მისი დაკითხვისაგან. შენ მიხსენი, ყოველთვის მხსნელო, მისი განაჩენისაგან.

ინონა.. შენ ხარ ძლიერი მხოლოდ. ის არაარაა. ვაეც პასუხი... უთხარი რა გინდა შენ. უთხარი შენი ძლიერი სიტყვა. მე შიში მატანს რომ მომაგონდება მისი შეშლილი სახე, მისი აკრელებული გამოხედვა, მისი ცივი ხმა, მისი სიამაყე.

ის მგონი მოითხოვს განაჩენის გამოტანას. ის მოითხოვს პასუხს მუნჯისგან. მე არასოდეს არ მინახავს რომ მუნჯსა საზოგდენ ხმის ამოღებას. მე არასოდეს არ მინახავს ასეთი მკაცრი მოსამართლე. ინონა! საღამოვდება და მეც შიში მიტანს. ოო! როგორი წამებით უნდა გაეატარო ღამე რომ დილას ველირსო. მე მაშინებს ეს აჩრდილები და ეს სიბნელე, რომ ფართოვდება ჩემს გარშემო. მე მაშინებს ღამე განკითხვის. მე უბედური შენს წინაშე და იმის წინაშე პასუხის მკებელი. მე თვით არაარა...

შე თვით...

ა ა ა...ინონ!.. ინონ!.. ის შოდის ხედავ. ის სჩანს შინაში, საიდანაც ხდება ყოველთვის ჩემი დაკითხვა.

## აზგავნი მერვე.

„დაჩრდილული სამუარო.“

1.

და ჰა მან ნაცრის ფერმა კაცმა გახსნა კარები დაჩრდილული სამუაროსი. მოხია ფარდა, რომელიც ასე ფარავდა ორ ქვეყანას. ტბორისა და შმორის სუნი ეცა იქიდან ახალგაზდა ქალს და უფრო არია დამძიმებული თავი.

ქართული  
ბიბლიოქოცია

არ შემდგარა ის, ისე აიღო ლამპარი, ნაცრის ფერმა კაცმა რომ მიაწო-  
და და გაჰყვა ამ სველს და ნოტიო ლაბირინტს, სადაც და როგორც ვერთაგ-  
ვებმა უნდა იცხოვრონ მხოლოდ.

საოცარია ეს ღრმა და უკუნი გვირაბი, რომელსაც ვით ქალ ღმერთი  
თავისუფლებისა, ნაბინა ანათებს, ლამპრით ხელში. ის სდგას და ღრმა თვალე-  
ბი აღესია იმედიათი ცეცხლით და ელვარებენ ბნელ გვირაბებში, ვით კელაპ-  
ტრები ბნელ საყდარში, და იზიდავს მასთან, ვით ღამის პეპლებს სანთლის  
შუქი, კვერთხის ელვარება, თვალების ცეცხლი, იმედიათი ღიმილი და მძლავრი  
ძალი უხილავი. მოლაპლაპე კვერთხის შუქი იზიდავს ღრუბლებში მცხოვრებთ,  
ნოტიოთი ნასაზრდოვებთ. და ჰა გროვდებიან ეს შიშველ ტიტველნი თან და  
თან, ეს ლეგენდარული ხალხი. ეს ნაწამები თითქოს ციებისგან სახეები, ირაზ-  
მებიან—ამ გვირაბებში, ამ საიდუმლო შუქის წინ და ისმის გუგუნე მათი  
მძლავრი ხმის და იმედიათი ოსანა მომავლისა.

2.

ასე სიზმარულად ვადიან დღეები და ვერ გრძნობს მათ ნაბინა. შეუმ-  
ჩინველად მიჰქრებიან ღამეები და აღარ აწამებენ მას. ნაბინა შეიცვალა. ძლიერმა  
ვარდატეხამ შესცვალა ქალი. და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ ეინი მოაწვე-  
ბა კოლხეთის ასულს, ვააშმაგებს და ვააწვალებს—ის მომავალი საქმის წმინ-  
დათა და წმინდას მიმართავს და მით სკდილობს ჩაიკლას უდროი დროს მო-  
ვარდნილი ვნება. და რომ ხორცი თავიდან აიცილოს—რამდენჯერმე დაესწრო-  
ბა ფარულ კრებას—რამდენჯერმე იკისრებს ძნელ სამუშაოს.

ახალმა საქმემ მონათლა ნაბინა.

თუ წინად გულს ღრღინდა გამოუცნობი სევედა, ეხლა გაჰქრა ის. თუ წი-  
ნად დღე მხოლოდ ნაცრის ფერ ქვიშას და მტვერს აყრიდა, კრელია დღეს  
იგი დღე და მრავალი ფერადებით დატვირთული ლივლივებს მის წინ: და ვერ  
ასწრობს ნაბინა დასთვალოს ფერადები, ვერ ასწრობს გარკვევით იხილოს  
პველა.

დაიჭიმა ძარღვები. მოდუნებული სისხლი ალივლივდა სწრაფად. სარდა-  
ფებში ყოფნით კანი რკინის ფერი გაუხდა. გრილმა ორ ქარმა კუნთები გაუ-  
მაგრა. სხეული გაკედა. დაიბურთა. კილო მოსხლეტილი და მკვეთრი გაუხდა.  
ქალაქში ველარა სცნობდნენ. არავინ იცოდა რა მოუვიდა თოვლივით თეთრ  
ვოკონას. მხოლოდ ხანდახან ისმოდა რაღაც ხმები ქალაქში და ისიც ჩურჩულით.  
ისიც საიდუმლოდ.

3.

მამამ არ იცოდა რამ შესცვალა შვილი. უკვირდა ბებერ შერვაშიძეს და  
ბშირად აგებდა ნარდს. რას მოისაზრებდა პატივცემული ნოხელე, დიდი მოუ-  
რავი პატარა ქალაქისა... რომ მამას შვილი ასე აუზხედრეს; მხოლოდ ახარებ-  
და გაჯანსაღება თავისი ნაყოფის და ელოდა ტაიჭოსან სიძეს.



ექიმი თავმომწონედ უყურებდა ნაბინასა და ყოველთვის თითის დაქნევით ემუქრებოდა ცელქს, გაჯანსაღებას კი თივის წამლებს მიაწერდა და ქალაქში სახელს ითქვამდა. მისტერ ჯონ ჰაირტონ დარცხვენილი იყო, მაინც არ იტყებდა გულს. ძალიან სწამდა ოქრო, ბევრი იმედს ამყარებდნ მასზე. ძველებურათ აგორებდა კამათელს თავადთან და შემპარავად უღიმოდა იშვიათად შემოსულ ნაბინას. მაგრამ მაინც აშინებდა ცივი, მოღუშული გამოხედვა ქალის და მრავალჯერ ნაოცნებებ ლოგინს და ნაბინას ხორცს უიმედოთ ლა უყურებდა.

## 4.

მუშაობა სარდაფებში ბრთხილად მიდიოდა. ყველა გრძნობდა საქმის სიძნელეს. ყველას უყვარდა საქმე—მას მოწონებოდა ეპურობოდენ, ერთიანდებოდნენ, ძალას იკრეფდნენ. როგორც მკაცრი მოსამართლე გამოჩნდებოდა ბნელ სარდაფებში დანიელ ჯაკობია და ჩურჩური ავსებდა მის მოსვლაზე ნოტიო კედლებს. მოსიყვარულე სახეები უღიმოდენ მეთაურს. ყველა მზად იყო მისი სიტყვა საქმეთ ექციონა.

ყველა რიდს გრძნობდა მისდამი. ყველა პატივისცემით ეპურობოდა.

და როცა მისი მტკიცე, იმედიანი ხმა, დაიგრგვინებდა—ჩუმი სიხარულის ძრწოლვა გაისმოდა ბნელ სარდაფებში. ასე საათობით ისმოდა მისი ხმა, მისი ქადაგება და მის გარშემო თავ მოყრილნი, უსაზღვრო სიყვარულით და ღიმილით სავსე სახეებით, გულმოდგინეთ უსმენდნენ მასწავლებელს.

ყოველთვის გულ ამსკდარი ელოდა ნაბინა მასთან შეხვედრას ამ ბნელ დარბაზებში. განსაკუთრებული იყო იგი აქ. სულ სხვა ვიდრე იქ, იმ სამყაროში. აქ გრძნობდა ნაბინა მის უსაზღვრო ძლიერებას. აქ გრძნობდა ნაბინა მისი გმირული სულის თავ დაეიწყებას. თვით თავდავიწყებით უსმენდა მის ქადაგებას, აკეობდა მის ნაკარნახევს და თითქოს უხილავი ძალის მორჩილი, იზიდავდა ნაცრის ფერი კაცი მას.

იზრდებოდა ვნებაც ტან-მოგარსულ ასულის. ახალგაზრდა ქალს უნდოდა ალერსი.

## 5.

ნაბინამ გაიცნო ახალი ხალხი. იგრძნო სიყვარული ჩაკრულ ამბანავთა-ხშირად საათობით ისმენდა მათ მოყოლილ ამბებს და თმები ყალყზე უდგებოდა. და თითქოს მათ მაგიერ იზდებოდა ძალა მასში მათი შურის საძიებლად. ყველაზე ძლიერ ებრალებოდა რუსეთიდან გადმობევეწილი მუშა, ანდრეა სილინ. ბევრი იტირა, როცა გაიგო მისი თავგადასავალი. პირველად რომ ნახა სარდაფში, ყველაზე უხემათ მოეჩვენა. მზეც დაამსგავსა მკერდ გაღვლილი და ბალნით დათვარული გული რომ დაუნახა და სისხლ არეულ მონღოლურ სახეს რომ დააშტერდა. ანდრეი ნაბინას, ისე როგორც ყველა, ეკვთის თვალით და უნდოთ უყურებდა. ბოლოს შეეჩვიენენ ერთმანეთს. ანდრეი უანბობდა თავის



თავ-გადასავალს, ხშირად ირეოდა—წითლდებოდა. გაჩუმდებოდა, გვერდებზე წიკინებდა.

— რა სულელი ვარ, რაში გაინტერესებთ თქვენ ჩემი ამბავი. ეს ხომ ჩვეულებრივია.

იტყოდა სასოწარკვეთილი ჭაბუკი.

დიდი ხვეწნა დასჭირდებოდა ნაბინას, რომ ანდრეის განგვრძო თავისი ამბავი, ბევრი ალერსიანი სიტყვა.

იმან უამბო: როგორ იზრდებოდა დედინაცვალთან, რომელიც გაპირვებს გაეყვებინა, ათასად უფრო, ისედაც ავი. რამდენი დამცილება იგრძნო, რამდენი სიმწილი. ხეტიალი კარ და კარ ლუკმა პურისათვის, რადგან ხუთი წლისას, დედინაცვალი სახლში აღარ აყენებდა. მერე როგორ დაიწყო მუშაობა. როგორ აუმხედრდა უსამართლობის. როგორ ჩააგდეს ციხეში. როგორ გაიპარა. როგორ შეხვდა თავის ღვიძლ დას საროსკიპოში.

და კიდევ ბევრი თავ-გადასავალი.

ისიც უამბო როგორ შეეჩვია არაკს. როგორ ველარ სძლებს უიმისოდ და სულ გალოთდა.. დაიღუპა.

გულკეთილი ნაბინა უსმენდა მას და ალერსიანი, ურჩევდა. ჭკუას ასწავლიდა. ალერსმა მოადნო უხეში, ალერსმა ანგელოზათ აქცია კაცი, რომელმაც არ იცოდა რა იყო კეთილი სიტყვა. ჭაბუკი უსაზღვრო მადლობით აღიესო. ჭაბუკმა გამოუცნობი ლტოლვა იგრძნო ამ ქალის ალერსისადმი. და რაც უფრო მეტ დღეებს ატარებდა მასთან, მით უფრო ძლიერ ლტოლვას გრძნობდა. დაბოლოს მასში აიჩრია ყველაფერი—უძლეველი ქინი ჭაბუკისა, სისხლ ამღვრელი ლტოლვა ქალისადმი, უსაზღვრო სიყვარული. სტრვილი მუდამ მისი სიხალისის. მისი ნათესაურის კოცნის. ნღომა ალერსის, გრძნობიარე ცრემლის.

ყველაფერი ანდრეის თავ-ბრუს ახვევდა. თან გრძნობდა თითქოს უსაზღვრო უფსკრულს, ძალიან დიდ უფსკრულს, მათ შორის რომ გაწვდილიყო. და ეხლა უფრო ხშირად ვიდრე ოდესმე, ესტუმრებოდა ღვინის სარდაფს; რომ დაღვებდა, მოაგონდებოდა სიტყვა მიცემული ნაბინასადმი, გალანძლავდა თავის თავს და მწარედ ატირდებოდა.

ნაბინაც ზედავდა თავის მსხვერპლს. თუმცა თავის და უნებურად მაინც ქალურ სიამაყეს აზარებდა. ხშირად დაუოკებელ ქალს, ეს ნახებვი ტანი კუნთებთან ნაქცევი, უცნაურად, თავის და უნებურად ააერუოლებდა. მაგრამ მაინც შორს იყო მისი ფიქრი და სხვაგან ლტოლვა.

ამასაც გრძნობდა დაჩაგრული ანდრეი.

და ხშირათ როცა ვნებით და ალერსით სახეე გამოხედვას დააშტერებდა ნაბინა დანაელს—თითქოს ჭაბუკს სპაზმა აღჩნობდა. გაიქცეოდა ბნელ კუთხეში, ჭკბენდა თავის კანს, იჩხვლტდა ლურსმით, რომ ტკივილს დაევიწყებინა ის გამოხედვა, ბავშვივით ატირდებოდა როცა დანაელს და ნაბინას ერთად მობაასეს ნახავდა. მაშინ ისე ალერსიანი აღარ ეჩვენებოდა ნაბინა. აღარც ისე გულ კეთილი. გული უბოროტდებოდა და გამხეცებულს მოუხდებოდა ქალის





წვალემა, მბეჭური ეინი მოითხოვდა ხორცს. მაშინ ის უნებლად დაეჭიფებოდა ღვინის სარდაფში არაყს. ალკოგოლით გაიფლენთაედა ატკივებულ ტანს.

## 6.

მოახლოვდა საბედისწერო დღე. ორგანიზაციამ დიდი საქმე იკისრა. მასები ითხოვდნენ, მაზრის უფროსის ტერორის საშვალეებით თავიდან მოცილებას. დაჭიმული იყო ნერვები. ყველა ჩქარობდა. ყველა მოელოდა მოუთმენლად. ყველას უნდოდა, პირველი ნაბიჯი მედგარი და მოულოდნელი ყოფილიყო. ბნელ სარდაფებში სახე გაბრწყინებით აღგენდნენ გეგმას. იმედი და მუქარა ისმოდა ხმაში. დიდათ ეჩვენებოდათ წინ გაწოლილი საქმე და ყველას უნდოდა მისი შესრულება.

დანიშნეს სასწრაუო ფარული კრება.

დასალამოვდა.

ჩვეულებრივზე უფრო მოღუშული იყო ნოტიო კედლები სარდაფების. ხმები აქა-იქ დაბალი, მინელებული, ჩურჩურით ადრტკინებული კედლები. კლექიან კრაქს ოდნავ რომ გაენათებინა, ოთახი საესე გაურკვევი სილუეტებით. თამბაქოს ბოლით უფრო დაბინდული ჰაერი. ერთს კედელზე დროშა აკრული და ბელადების სურათები.

განუწყვეტელი ჩურჩური, რომ ავსებდა ოთახს საიდუმლოებით.

— შიძიმე ჰაერია აქ!

— რით ვერ შეეჩვიე!

— პაპიროსს ნუ სწევ!

-- მოსწიეთ მეორე ოთახში!

— ამბობენ რომ მაზრის უფროსი კალაქში არ არის!

— მეც გავიგე რომ სადღაც წასულა!

— წუხელ ჩამოსულა უკან!

— როდემდის ველოდოთ ნეტავ!

— ჩვენ უკვე გადაწყვეტეთ მისი მოკვლა!

— მგონი რომ ასეა!

— საქმე შესრულებაა!

— მომანდომ მე!

— მეც სიამოვნებით!

— სიფრთხილეა საკირო!

— სანდო პირი!

— თუ ჩავარდა?!

— ხმა არ უნდა ამოიღოს!

— რაც უნდა აწამონ, კრინტი არ დასძრას!

— არც ერთი სიტყვა!

— რომ მოკლან?!

— სულ ერთია!

— რომ ჩამოახრჩონ?!



ქართული  
ლიტერატურა

- მაინც.
- ხმა არ უნდა ამოიღოს. უნდა ახსოვდეს რამდენს დალუპავს ამით!
- ჩვენი საქმეც დაილუპება!
- ყველაფერი ფუჭად ჩაივლის!
- საჭიროა სანდო პირის არჩევა!
- ამხანაგებო გახსოვდეთ პირობა!
- ანდრეი სილინ—დღესაც მთვრალია. საშიშია მისი ახლოს ყოლა!
- ამ ბოლოს დროს სმის მოუხშირა!
- თავს ილუპავს. დიდებული ამხანაგია!
- მე მაგას შევატყე...—ჩურჩური სულ გაწყდა. მხოლოდ აქა იქ ისმოდა

ოდნავ.

- ამხანაგო პაპიროსი იქით მოსწიე!
- ამხანაგო ალბად ძალიან შეშინებული ხარ!
- რაზე?
- გაფითრებული ხარ და კანკალებ!
- აქ ძალიან ცივა და იმიტომ...
- ჰო ნოტიოა... ცივა..
- მართალია.. ცივა.. ცივა!.
- სსუ...
- დანიელ მოვიდა!
- სიჩუმე ამხანაგო!
- წყნარად!
- დაუგდოთ ყური!

დანიელს ჩვეულებრივი სიმშვიდე ეტყობოდა. თვალები ცივად აშტერდებოდნენ ერთსა და მეორეს, პირველსა და სხვას. სხვასა და ყველას. ასე დაათვალიერა ყველა. შემდეგ წყნარო, მტკიცე ხმით ილაპარაკა. ბევრი ილაპარაკეს სხვებმა. ყველას არა ჩვეულებრივი სიმშვიდე ეტყობოდა. ამ საღამოს ნაბინაც ლაპარაკობდა და ისიც მოითხოვდა ტერორს.

კრებამ მოისმინა. კრებამ დაადგინა.. მაზრის უფროსის მოკვლა.

საჭირო იყო მკვლელი; ყველას უნდოდა, ყველა ჩუმად იყო.

სიჩუმე ისევ დანიელმა დაარღვია.

— ამხანაგებო, საჭიროა ორი ამხანაგი. ვფიქრობ დავაევალოთ ამხანაგ ნაბინა შერვაშიძეს და ანდრეი სილინს.

დარბაზი ნელა აშრიალდა და გაწყდა. ყველას უნდოდა რაღაცის თქმა არავინ არადფერს არ ამბობდა. ყველა უხერხულად გრძობდა თავს. და თან... ყველას ეშინოდა თავისი თავის.

— ვინ არის წინააღმდეგ?—გაისმა კიდევ დანიელის ხმა.

სიჩუმე.

ყველას უნდოდა—ყველა ჩუმად იყო.

კრება ნელ-ნელა დაიშალა.

კვლავ ისმოდა ჩურჩური.

- აშხანაგო ფრთხილად!
- მანდ ცუდი კიბეა!
- სანთელს ნუ აანთებთ!
- რად ამოიჩია დანიელმა ეს ორი კაცი?
- ერთი ლოთი... მეორე უსუსური!
- საინტერესოა!
- ეს ჩვენ საფრთხეში ჩაგვაგდებს!
- მან ეს უკეთ იცის!
- მართალია!
- საინტერესოა!

## 7.

მთვრალი ანდრეი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. როგორც ბავში ტკბილევლით გახარებული ისე ტრიალებდა. ნაინატრ სახელს იმეორებდა—მე და ნაბინამ მე და ქალბატონმა (ასე ეძახდა ალბათ მეტი ზრდილობისათვის) ნაბინამ—მისი ვული სიამაყით იფხებოდა. თვალები უცნაური ცეცხლით იკვებებოდა და მკლავებს ისე სჭიპავდა, ისე ათამაშებდა კუნთებს სხეულზე, თითქოს მთელ ქვეყანას იწვევდა საბრძოლველად.

დანიელმა გახარებული სადაც ვაგზაფრა და თან სთხოვა დროზე დაბრუნება.

ნოტიო სარდაფში დარჩნენ დანიელ და ნაბინა.

როგორც რუტ დასხმული იდგა ქალი იმ ალაგას, სადაც მოასწრო დანიელის სიტყვებმა მას. გაურკვეველად მოესმა მის ყურთ ეს სიტყვები, ნათქვამი თითქოს ბრძანების კილოთი. არ იცოდა ახარებდა თუ, აოცებდა აოცებდა თუ აშინებდა აშინებდა თუ სწყინდა—ასეთი გამეტება. და ყველაფერი კვლავ საშიში ნაცრის ფერი კაცის სახით უდგებოდა თვალთ.

მოსაზრების თავი არ ჰქონდა. მხოლოდ ნაწყვეტი ფიქრები დაჰქროდნენ თავში... აქიდანაც და იქიდანაც, აქაც და იქაც... და თითქოს ათასად დაყოფილი აზრი ებრძოდა ერთი მეორეს.. მეორე მესამეს.. მესამე მეათეს.. და ასე სულ.

მაგიდაზე რაღაც უსიამოვნოთ გაეღრიალდა. ნაბინა შეკრთა, შეინძრა, თავი ასწია, დაინახა და მოაგონდა სადაც იყო.

ამ კედლებს უსიამოვნოდ დაელოთ ხაზა. ნოტიო სუნი სუნთქვას უძნელებდა. კრაქის მჭვარტლი პირს უფხებდა.

დააკვირდა ლანდს მაგიდასთან მჯდომს.

ის არის—ნაცრის ფერი კაცი.

ამან უფრო შეაშინა, სხეული მისი აცახცახდა, როგორც განკითხვის წინ.

უნდოდა ტირილი, ყვირილი საშველად. არ უნდოდა აქ, ამ ნაცრისფერ კაცთან, სახლში უნდოდა, იქ ახავერდებულ დარბაზებში, იქ თავის როიალთან. თავის ძვირფას ბალში, სადაც იმდენი წუთები უოფილა სანეტარო. ეშინია.. ეშინია, ჰკანკალებს. ეშინია არ უნდა. ეშინია ამ ნაცრის ფერი კაცის. უნდა ყვი-



ქართული

რილი და თითქოს მაგლაჯუნამ აუტრა პირი. უნდა ტირილ და თითქოს ჯადომ მოუსპო ცრემლი. მხოლოდ თვალის გუგები უფართოდება თანდათან.

და ჰა ის იგრძნობს რაღაც საშინელს... ცივა... ეშინია... მკვარტლი პირს უესებს... სცივა... სცივა...

8.

— როგორ მოგეწონათ გადაწყვეტილება?— დაარღვია სიჩუმე ჯაკობიამ. ქალი შეინძრა. თითქოს კაცის ხმამ ამ სარდაფში დაამშვიდა, თითქოს უფრო არია.

დანიელმა კითხვა უფრო რბილად გაიმეორა.

— არ ვიცი.

— როგორ?

— თქვენ უკეთ გეცოდინებათ.

— რა?!

— რას ნიშნავს ეს არჩევანი.

— აქ თქვენ გიყურებენ ეკვით, საჭიროა ამ ეკვის გაფანტვა და მერე... იღარ დაათავა.

— კიდევ რა?

— საქმე, რომელიც თქვენ ასე შეიყვარეთ, მოითხოვს ასეთ მსხვერპლს.

— დღეს იყვნენ ჩემზე ძლიერნი!

— მე გვერდით თქვენ ძლიერი ამოგაყენეთ.

— ვინ?!

— ანდრეი სილინ...

— რა თანხმობაა ჩემსა და მის შორის.

— ანხანაგობა, საერთო საქმე.

— თქვენ შეგეძლოთ უფრო ძლიერი ამხანაგი გეშოვნათ ჩემთვის და არა ლოთი, ნახევრად პირუტყვი. რომელიც ჯერ კიდევ გასაწრთენელია. ბავშვით გულუბრყვილო და უჩვევი ასეთ საქმეს.

— მაგალითად?!

— რა საჭიროა.

— მაინც?!

— თქვენ!

დანიელ შეკრთა, თითქოს სიტყვების მდგარმა დაჯახებამ წელში მოხარა. თვალებმა უმატეს ფოსორს და პირი დამცინავემ ღინილმა გადასქრა.

— მე.. მე უძლური ვარ.

— სტყუით!

— მე სისხლს ვერ ვიტან.

— ასეთი მეთაურა არ იყარგებდა იქ სადაც ყველაფერი სისხლზეა. ესეც ტყუილია!

დანიელ გასწორდა წარბები მოხარა.

აქ ნაბინამ კვლავ უცვლად, კვლავ მოვარდნით იგრძნო ის, რისიკ ყველაზე



ქართული

გაზეთი

ძლიერ ეზინოდა. რასაც ყოველთვის ებრძოდა, რასაც ყოველთვის სდევნიდა და გაურბოდა. იგრძნო საშინელი ლტოლვა ამ ნაცრისფერისადმი. დაუდგრომი ლტოლვა. მონად გახდომა, გაქლევა მის ფეხთა ქვეშ. კაცნა მისი მუხლების. ყურება ამ ანთებულ თვალებში მარად. ტანის დაოკება მისგან. ალერსი მისი. ვნება მისი.—გაიღვიძა აცეცხლებულმა ვნებამ, სიყვარულსა და სიძულელილნი რომ გადაიღესილა. გაიღვიძა ცეცხლით აღესილა ქალმა. ბოლოს გაიღვიძა დედამ.

ულალატა ნაბინას თავისმა თავდაქერამ. ულალატა მას სიამაყემ, ნების ყუფამ. ყველაფერი წაღეკა ვნებამ. და ის განართხული დაეცა მის მუხლებში. ხელები და ნერვები ქალის უცნაურად იგრძნებოდა. მთელი ტანი როგორც უნარი ისე ჰქონდა დაკლანჭული. ტუჩები სველი. თვალები საცხე ხარბი ვნებით.

გულ-მკერდი, როგორც ზღვა მოლივლივე.

— მიმიღე მე! მიუფლე ძლიერო!.. დანიელ მიპატრონე... ყველაფერი ეს მხოლოდ შენია... გესმის შენია მხოლოდ!.. მე მინდა შენ დაეუფლო ჩემს თავს... მინდა შენ გაბატონდე მასზე. მინდა შენ დააოკო ის. ოო! რა არის შენი მკლავები... შენი უცნაური თვალები. მოდი! გესმის!.. აწამე ტამი ისე როგორც სული აწამე. დანიელ! მე შენი მონა დანიელ, მე შენთან ერთად ყველგან და ყოველთვის დანიელ გესმის!.. მინდა... მინდა...

ქალი აცოფდა. ატყდა. ისტერიული იყო მისი ხვეწნა. ქალი ითხოვდა კანონიერს. დედა ითხოვდა განოყიერებას. მას ჰქონდა ძალი ძლიერების შობის. მას ჰქონდა ძალი სრულ-ყოფის შობის.

დანიელ უცნაურად მოხრილიყო წელში. სახე-ნაწამებ ქრისტეს უგავდა. მისი ტანი მოდუნებული, აკანკალებულიყო. და ვით უმწეო მხედარი დიდ ქარიშხლის ქვეშ—საცოდავი იყო და სასაცილო. თვალები სადღაც მიღუოდა. ტანი ოთხად ჩაეცილიყო. პირიდან უძლური დორბლი სდიოდა და როგორც იდიოტი მილაღულ თვალებს აცეცებდა.

ქალი კი—ქალი თავს ევლოდა.

— დანიელ გესმის... რად არ ისმენ უწყალო ჩემს ვედრებას. არ გიყვარს შენ ნაბინა?... აა... როგორ არა... მოდი!.. გესმის მოდი!.. მე ალერსი მინდა... მე შენ მიმდინარე... მე შენი ძალი მინდა... ვინა ხარ შენ!—გაცეცხლდა ქალი—დიიცი?!—და მოესმა დანიელს სარკასტიული სიცილი ქალის.

— ხა... ხა... ხა... დანიელ... ხა... ხა... ხა... უსუსური დამპალი ლეში ყოფილხარ! შენ! ხა...

ნაბინა თითქოს სულ გაგვიდა. აღრჩობდა ბრაზი. აღრჩობდა ვნება. სძავდა ეს ნაცრის ფერი უძლური და არ იცოდა რა ექნა, რა! დაძრწოდა ოთხში ვით ცეცხლ მოდებული.

ანდრეიმ ბარბაცით შემოალო კარი. დაინახა. მიხვდა ყველაფერს. უფრო ძლიერ დაბარბაცდა, კედელს მიეყრდნო. რამდენი საშინელი იყო მის სახეზე... რამდენი მწუხარება. მის დანახვაზე ნაბინა როგორც კატა გადახტა მისკენ. მაგრამ ჩაველო ხელი ვაკეცას. აცეცხლებულმა ჩახედა თვალებში. მერე მიუთითა



მაგიდასთან განართხულ ნაკის ფერზე და კვლავ ისტუმარს მისცა.

— ხა... ხა... ხა... ხედავ იმ ლეშს. მან ვერ მიპატრონა. მეკედარია! მოდი შენ შენ მიპატრონე!..

და ისე დასწვდა აქ ქალი ვაჟის ტუჩებს, როგორც მეტად მწყურვალე. ვაჟკაცმაც დაკარგა რიდი და ქალს დაეწაფა. დასწურა გულ მკერდი და თავს ნება მისცა.

ვით გრგვინვა მოესმა გმინვა დანიელს. თითქოს მის ტანზე სცურავდნენ უნასები და გესლით სისინებდნენ. თითქოს მის ტანს, დამპალ ტანს, სკამდნენ ქიები. დალოლავენდნენ და ჰებენდნენ, ხან აქ და ხან იქ. იქაც და აქაც. მთელ ტანზე, ყველგან. მის თავზე გრგვინავდა გმინვა...

და როგორც ცოფ ნარევი ნადირო, სასოწარკვეთილი ღრიალით გადაეშო სიბნელეში დანიელ.

## ამბავი მცხრა.

### „ნაკის ფერი კაცი“

1.

დაკოდილის ღრიალით ნისდევდა ბნელ ქუჩებს. გაპყროდა თავის თავს. ყველაფერს. ყველას. არ იყო ფიქრი. არ იყო აზრი. მხოლოდ უსაშველო ტკივილს გრძნობდა ყველგან, ყველაფერში. თითქოს გაეროზუნათ, თითქოს ყოველი ნაკეთი მისი სხეულის ცალცალკე დაჰკიდებოდა და მწარედ აკენესებდა. საგანი თვალში ეორებოდა, ფანტასტიურ ხიგრძე სიკანეს იღებდა, ყირამალა ტრიალდებოდა. ქუჩა აყირავებულ გობის მაგვარად რგოლდებოდა და ტრიალებდა. დიდრონ პლაკატებზე ასოები უცნაურად ხტოდნენ, ციკვავდნენ—და ყველაფერი მის თვალში განუზომელი სისწრაფით ბზრიალებდა: ქუჩაზე ხალხი, ეტლები გზაზე, სახლები, ხეები, ეზოები. ფარნები ათას ფრად ბეუტავდნენ მის წინ. ქრებოდნენ და ისე ინთებოდნენ, ერთი ერთმანეთში იხლართებოდნენ. ხან როგორც ცისარტყელა ისე ფართოდ ისალტებოდნენ ქუჩის კედლებზე. რეტ დასმული მირბოდა—უქუდოთ, თმა გაწეწილი. ქალაქის მოქალაქენი მოწიწებით გზას აძლევენ, აქლოშინებულ მგზავრს და ერთმანეთს გაკვირვებულნი უყურობდნენ.

2.

დაიღალა. ძლივს მიითრევდა ტანს. ეგონა ქალაქი გაჯადოქარდა, ბოლო არ უჩანდა თუ, სულ ერთ ალაგას ტრიალებდა—არ იცოდა.

შესდვა. სული ამოითქვა. თავბრუ დასმულმა იქვე ცივ ქვაზე ჩამოჯდომა დააპირა. მაგრამ უცბათ აზრმა კვლავ უკბინა, მწარედ უკბინა. ის მოსწყუდა ქვას და სირბილს უმატა.

## 3.

დაქანცული ნელა მიეთრევა. ოცლიან სახეს ქარი უგრილებს. სველი საც-  
ვალი ტანზე ეყინება.

ყინვას.

გული მისუსტდა, შეჩერებას აპირებს.

თვალეზში ღამე ღიბრედით ჩაუწვა.

## 4.

ქუმატი ღამეა. ფარნები ბეუტავენ, ელაში ქალივით უცქერენ ერთმანეთს.  
ქარია. ნესტიით დაბურულა ჰაერი. ჰყინავს.

ნელა მიეთრევა ტბორიან ქუჩაზე დაძაბუნებული ეტლი. რუსი მეეტლე  
ლონიერად ილიანძლება. მღერის „იბლოჩკოს“. მისდევს დანიელ ბნელ ქუჩებს,  
ბოლო აღარ უჩანს. ქალაქი გაიზარდა.

მოთენთილ ტანს ველარ ერევა. შეჩერდა. უნდა სული ამოითქვას. უკან მოი-  
ხედავს. თითქოს კედელს ვიღაც ამოეფარა. განაგრძობს გზას. სკდილობს დამ  
წვიდების. თავს უბერხულად გრძნობს. ზურგზე ნემსისებური ჩხლეტა უელავს.  
გრძნობს რომ ვიღაც უყურებს დაჟინებით. თვალის უცნაურად უთამაშებს. სა-  
შინლად ეინტერესება, მაგრამ არ უნდა უკან მოიხედოს. გადადის ქუჩის მეორე  
მხარეს. ჩუმად მოპარულ გამოხედვით იყურება უკან. ვერ ამჩნევს ვერაფერს, თი-  
თქოს აჩრდილი მისდევს უკან, გაურკვეველ ღამის სიბნელეში. მეორე მხარეს  
გადასულს თან გადაჰყვება. აუჩქარებს ნაბიჯს—ისიც. შეუხვევს ხვეულში—ისიც.  
სიბრაზე აღრჩობს. უნდა გაჩერება. უკან მოხედვა. არ ჩერდება. შიში იპყრობს,  
გაურკვეველი შიში. ღამის არი, პატარა ბავშვივით გაიქცეს, დედას ძახილით.  
აჩრდილი სულ თან სდევს. ეხლა მას გარკვევით ესმის—იმის ფეხის ხმა, სუნ-  
თქვაც კი.

ეხლა ის დარწმუნებულია იმაში რომ ვიღაც მისდევს.

ზურგზე ორი გამოხედვა უთამაშებს, ვიღაც უცნობის, საშინელის და სჩ-  
ხლეტის ნემსებივით, სჩხლეტავს ზურგში. საჩქაროდ შეუბრუნა ქუჩას და რაც  
ძალ-ღონე ჰქონდა მოჰყურებდა.

მას ესმის როგორ აუჩქარა ფეხი აჩრდილმაც. ესმის როგორ ქმინავს ის.  
ის არ მორბის, მას დიდი ფეხები აქვს, ალაგებს უზარ-მაზარ ფეხებს და სულ  
მასთან არის.

დანიელ გარბის. რამდენჯერმე ჩაეფარდა წუმპეში. რამდენჯერმე ფეხი და-  
უსბლტა ღამეში და წაიქცა. არაფერს ყურადღებას არ აქცევს. ხელ გაიწვდილი  
აჩრდილი მის უკან, სადაც არის ყელში ხელს სტაცებს. ის უკვე გრძნობს მის  
რკინის თითებს, აჩრდილს ხელი ყელთან აქვს. საჭიროა მხოლოდ აჩრდილმა ხე-  
ლი დამტკოს.

მირბის, იღრჩობა. მაინც მირბის. შეუბრუნა კიდევ ქუჩას და... შორი  
ახლოს გაჩირალდებული ყავახანა: საშინლად გაუზარდა. თავისუფლად ამოისუნ-  
თქა. თითქოს ლოდი გადააადო, მძიმე ტვირთად რომ აწვა გულზე.



ქართული  
ლიტერატურა

თითქმის სირბილით შევარდა ყავახანაში. ყველანი გაკვირვებით უყურებენ სირბილით გათოშილს, წამოწითლებულს, სახე არეულ კაცს, რომელიც თავიდან ფეხებამდის ამოსვრილა ლაფში.

გარს შემოეხევიენენ. ჰკითხავენ. სინჯავენ.

სირცხვილი იგრძნო. გამოსავალი ძნელია. რაჲმ უნდა მოიგონოს.. რა? მოიგონოს რა?. მოიგონოს რა?. რა. რა. რა....

— იცით.. მე ცრუ მორწმუნე არა ვარ. მაგრამ ეხლა... ეს საშინელი, შავი ღამე. გახსოვთ როდისმე ასეთი შავი ღამე... მე თავის დღეში არ მინახავს ასეთი ღამე... მე რომ წმინდა ნიკოლოზის საყდარს გამოვეციდი, თითქოს დავინახე როგორ შეინძრა საფლავის ქვა .. აი... მეზღვაური რომ მარხია... საყვარელი რომ დააბრჩო, თითონ ვაგვიცდა, საყვარლის საფლავი რომ ვასთხარა, ჩაწეა შიგ და ზევიდან მიწა გადიყარა.—დანეულ გრძნობს რომ მსმენელთ არ ესმით მისი ნაბოღვარი.

— ეე... თქვენ აქაურები ხართ და მგონი ეს ამბავი პირველად გესმით! ნუ თუ?! ამაზე გაზეთებშიდაც ბევრს სწერდენ. მოითმინეთ... მე ნომერიც მახსოვს იმ გაზეთის... ძალიან კარგად მახსოვს ნომერი, ის იყო 12-წელს № 259... დიახ... სწორედ 259. თქვენ შეგიძლიანთ ეს ვაზეთი ეხლაც მოიკითხოთ რედაქციის არხივში. უსათუოდ იქნება... დიახ აი სწორედ იმ მეზღვაურის საფლავის ქვა შეინძრა და მე ნათლად დავინახე როგორ აიწია იგი... სწორედ ისე, როგორც ეს ამ ცხრამეტე საუკუნის წინ იესოს საფლავზე მოხდა. და იქიდან... შეჩერდა.

ტიქებმა მივიდაზე უცნაურად დაიწყეს ძანძარი. ბოთლებმა ყავახანის თაროებზე ელარუნე მორთეს. კედლები თითქოს შეინძრა.

ყველა უცნაურად ამაგძაგდა. ქარმა კარები შემოაღო და გულ ამოსკვნილი ზუილით და გმიწვით ააესო ყავახანა.

— მიწის ძვრა!—შეჰკივლა ყავახანის პატრონმა და კარში გავარდა.

მას თან გაჰყვნენ ყველანი.

ქუჩა შეშინებული ბალებით გაეგსო.

— რა საშინელი მიწის ძვრა იყო!

— შენ ფერი აღარ გაქვს!

— რამდენი სახლი დაანგრია ნეტა!

— ჩვენს ქუჩაზე მგონი არც ერთი!

— დამშვიდდით. დაიშალენით!

— მე სახლში ვე იარ შევალ!

— ჩემი გოგონა ხომ არ დაგინახავთ?!

— შედით სახლებში!

დანეულ დამშვიდებული იჯდა მაგიდასთან და ღვინოს სეჰნდა. სახეზე სრული სიმშვიდე გადაჰკროდა, მხოლოდ თვალები უბრკვევინავდნენ კიდევ უცნაურად.



თითქოს დამშვიდდა. მხოლოდ საშინელი ტკივილი მოთენთილი სხეულის აწამებდა. ფიქრიც არ ჰქონდა გარკვეული.

ამოვიდა კაფედან.

თენდებოდა.

დილის სიომ გამოაფხიზლა.

მისუსტებული ნაბიჯით, კედლებს ეყრდნობოდა. ქუჩებს მკრთალი სითეთრე შეჰპარვოდა. დარაბა აკრულ ფანჯრებიდან მოჰქროდა სუნი თბილი ლოგინის და მოთენთილი, მიძინებული ტანისა.

უცნაურად ვჩვენებოდა ეს დილის ტკბილ ძილში წასული ქალაქი. ეს სიჩუმე, ეს სახლები, ნახევრად რომ სჩანდნენ ღამისა და დღის შუა გატრეცილ პაერში. ციემა სიომ მოსხლეტილი სხეული აუკანკალა.

თან და თან ანკვიფრებდა თავისი თავი, თითქოს პირველად ენახოს იგი მას. განზე გამდგარი უყურებს თავის თავს და უნდა მოიფიქროს, სად უნახავს: ეს ნაციები სახე... ეს ნაცნობი სიარული... ეს ნაცნობი კაცი, ნაცრის ფერ სამოსში, ორი ოქროს კბილით მოელვარე კაცი.

„აღბად დაგეარგე ქუა, აღბად გავგეიფდი“ — ფიქრობს ის და აზრი, რომ ის გიგია მოსვენებას არ აძლევს.

ქუჩაში ვერავის ხედავს რომ შეეკითხოს, ჰვავს ის გიეს თუ არა.

უნდა კი, საშინლად უნდა გამოარკვიოს თავის ვინაობა.

„შეიძლება მე არასოდეს არ ვიცნობდი ჩემს თავს. შეიძლება მე ყოველთვის გიგი ვიყავი“ — ეკითხება თავის თავს.

— ჰეი მეეტლე, შეაჩერე.

რა კარგი სახე აქვს ამ მეეტლეს. რა კეთილი სახე. გრძელი თეთრი წვერები და ღმობიური სველი თვალები.

ჩაჯდა.

— ნაბიჯით წაიყვანე.

მეეტლემ დასრულა. ეტლი მილოლავს ქუჩიდან ქუჩაზე. დანიელს უნდა, უზომოთ უნდა ლაპარაკი ამ კეთილ კაცთან.

— მეგობარო!

მეეტლემ მოიხედა.

— განა ასე გვიან, ამ პატარა ქალაქში მუშტარი გვავს?

მობუცმა იშოვნა სალაპარაკო.

წუწუნებს ქერის სიძვირეზე, ქალაქში გაჩენილ ციზბირის ჭირზე, რომელმაც შეიღვივთ გაზრდილი ცხენი მოუკლა. ეტლზე, რომელსაც შესწორება უნდა. მუშტარის სიძვირეზე. დანიელ გულ მოდგინედ უსმენს. ებრალება მობუცი მეეტლემ და უხარიან რომ ასეთი მობაასე იშოვნა.

— შენ არ გინდა მობუცო ახალი ეტლი გქონდეს?

— ჰაი რომ მინდა.

— მერე?



ქართველნი

დასავლეთის მხარეები.

— ვინ მომცემს, მინდოდა ჩემი ზვილისთვის ახალი ვეტილი. ეს ეტლი ჩემთან ერთად ბერდება. ამ ქალაქში მე პირველმა მოვიყვანე ეტლი, ცხენებიც ძალიან კარგები მყვინდენ მაშინ. ბევრი მუშტარიც იყო, მე ერთი ვიყავი. ეხლა აქ ეტლები ძალიან ბევრია, იმათ მუშტარიც ბევრი ჰყავთ, რადგან ახლებია და ცხენებიც კარგად მოვლილი.

დანიელს უზომოთ შეეცოდა ეს ბებერი.

— ეხლა მოხუცო ეტლში აღარაეინ ჯდება, ეხლა აეტომობილებს ხმარობენ.

— ჰეი ბატონო, ჩვენ ქალაქში ის არ გამოდგება.

— როგორ?

— მთაბრიოკზე. ქუჩები ვიწროა და ქუჩანი. მახსოვს აქ ჩვენს ქალაქის მამასახლისსაც ქონდა ეგ რალაც, ვიწრო მოსაბვევში ურემს დაეტაკა, თითონაც დაიმსხვრა, ურემიც დაამსხვრა.

— ქალაქში თან და თან ვასწორდება ქუჩები. ქალაქი ბარისკენ დაიწვეს.

— ჩვენი ქალაქი მთისკენ მიდის. მთიდან მოვარდნილი ნიაღვარი ქუჩაში ქვასა და ქვიშას ყოველთვის დააგროვებს. — ამბობდა გაუტეხელი მოხუცი.

დანიელს მოსწონდა ეს გულუბრყვილო კაცი. კიდევ ბევრი იმუხაიფეს. ეტლი ნელა დაიზღაზნებოდა ქუჩიდან ქუჩაზე. ხტოდა. უკემურად კრიალებდა, თეთრად გათენდა. აქა იქ გამოჩნდა აჩქარებული მგზავრი, მოისმა მატარებლის ხმა. შაპლის ყვირილი.

იწყებოდა დღე ჩვეულებრივი.

დანიელ უაზროთ უყურებდა ქუჩას. მოუსვენარი გმინვა ისევ დაეუფლა ტანს. ტყვილები გაუაზლდა და თან და თან იზრდებოდა. თითქოს დავლუჯილ ძარღვებიდან ჩქარ-ჩქარა იღვრებოდა, თბილი სისხლი მთელ სხეულში.

დანიელ გრძობდა, რომ კვლავ იწყებოდა ჯვარ ცმა, მისი წამება. რა კარგი იყო ორი წუთის წინ, როცა ის მეეტლეს ელაპარაკებოდა. ნეტა იმ დროს, ნეტა იმ დროს, როგორ უცფად დაშოოდა წუთი წუთს, როგორ თვალ უსწრაფელად აღიმართა ზღუდე... და ისე არ გავდა ერთი-მეორეს, როგორც ეს ახლობარი მეეტლე, თავისი უწნო შოლტით იმას, რომელსაც ის წელან შეხვდა.

და კვლავ შეიცვალა ყველაფერი... თითონ და სხვა, სხვა და თითონ.

წუბანდელი დანიელ უვრო იყო ამ წუთს, ვიდრე წუთის წინ ყოფილი.

ეტლი შესამეღ უახლოვდებოდა იმის ქუჩას. გამოჩნდა სასტუმროც და მის პირდაპირ ამართული ამაყი საბლიც. დანიელმა თვალის აარიდა. თითქოს სტეფენოდა. თითქოს არ უნდოდა. ჩქარა გადმოხტა. მეეტლეს ფული მისცა და შევარდა სასტუმროში როგორც დამურთხალი.

გაკვირვებული მეეტლე კარგა ხანს მოუნდა ფულის დათვლას, თან ფიქრობდა: ასეთმა ზღილობიანმა და წყნარმა მუშტარმა, რად დასტოვა გაომეშვიდობებლად ბებერი კაცი. „ალბად ბევრი ღაპარაკით თავი მოვაწყინე“. გაიფიქრა გაბოროტებულმა და მწარედ გადაჰკრა შოლტი გამხმარ ცხენს.

## 6.

შევიდა ოთახში მოღუშული როგორც ფითერაკი. ფანჯარას აეფარა, აეკრო როგორც ჯვარცმის ჯვარს.

ოთახი ნაცრისფერდებოდა.

შავი ბავერდით და უცხო ქსოვილებით ნაფარ, ოქროს ვარაყისა, შავი ბისა და სპილოს ძელისგან ასხმულ სავარძელში, მისძინებოდა დანიელის შვეგობარს.

სავარძელი საკვირველი სიმდიდრით იყო მორთული. მის საზურგელზე სხვა და სხვა ფერის თვალ მარგალიტით ახატულიყო ათასნაირი სურათი ერთი ერთმანეთში ახლართული და ლამაზად არეული. აქ იუვენე ყალუპზე შემდგარი ლომები, ნახევარ მთვარის საბელმწიფოს გვირგვინი, რომ ეჭირათ მრავალ წლების განმავლობაში თავის მძლავრ თათებში, ათასი ვარსკვლავი, ათასი ვარდი. ათასი კოცნა. უნასები. ავხორცები და მათი ვნება. ზურგის თავზე, აბრეშუმის ნაქსოვი იყო აფარებული, რომელზედაც მქსოველს სურთად აებატნა, მიიბუნი უშნო ტანისა და სახის, რომელსაც ცალს ხელზე ყორანი უჯდა, მეორეზე მტრედს მოეკალათნა შეშინებულსა და შექვრთალს. ნაქარგს ლამაზი მხედროულით ჰქონდა წანაწერი. „ახალი ქვეყნის ამირანი“.

ბოლო ამ უბრალო, მაგრამ საუცხოვო ხელოვნებით შესრულებულ სავარძისა, გადადიოდა სავარძლის თავს და ოთახის კუთხეს როგორც თეთრი ქათქათა თოვლი ჰფარავდა. ამ კუთხის თავზე ოთახის კერიდან დაშვებულყო თეთრი ატლასის სქელი სვეტები, ვიდრე იატაკამდის.

ასე იყო ჩაფლული ამ სითეთრეში ეს კუთხე და ამ კუთხეში ეს საუცხოვო შავ ბავერდ ნაფარი სავარძელი, რომელშიდაც განისვენებდა ინონ.

დანიელ ფანჯარასთან იდგა. თავ ჩაქინდრული და აკანკალებული ქურდული გამობედვით იყურებოდა. უყურებდა თეთრ კუთხეს.

და ვით დამნაშავე მონა უცდიდა, როდის გაიღვიძებდა ინონ.

## 7.

ნელა შეინძრა სავარძელში. მძიმედ გაახილა თვალები. ჯერ ერთი, მერე მეორე. წამოიწია და ისევ მიწვა. ასე რამდენჯერმე. ზღაზნით ზარმაცად გაიზმორა და ნელა თითქოს ზმული, თითქოს გმინვა გამოაყოლა კუნთების დაქიმვას.

დანიელ მუხლ მოყრილი, ჩუმათ მიცოცდა მასთან და მოწიწებით აკოცა ფეხებზე—მე მოვედი ინონ!—ჩურჩურებდა ის.—მე მოვედი შენთან, დღეს ყველაზე დალილი და ნაწამები. მიმიღებ ალბად შენ, ჩემო ერთად ერთო მეგობარო, არა, მეფე ჩემო. მბრძანებელო ჩემო. მიმიღებ და დამაოკებ. მიმიღებ და მიმითითებ. მიმიღებ და მიბრძანებ.

ინონ!.. რა რივ გაძლიერდი შენ ჩემში. როგორ გაბატონდი ჩემზე. ჩემო ერთად ერთო მხსენელო, მიუფლე მე!.. გაანათე გზა ჩემი, ისე როგორც ამას შერებოდი ყოველთვის. მაშინ მე მუდამ გავიშარჯვებ, მაშინ მე ყოველთვის დავძლე. ვგრძნობ როგორ საათობით იზრდები შენ, ძლიერდები და იესები.



ქართული  
ლიტერატურა

არა გთხოვ ძალას—თუ იგი შენშია ის ჩემია. არ გთხოვ შეცოდებას. მე მინდა პრძანება შენი, გზა შენი—გაძლიერებულს უღმობელოებით. გაზრდილო ცოდვების დაცინვით. შენ განდიდდი ღმერთის მოტყუებით. შენ ერთ დროს მონავე—დღეს მეფე. რადგან უმორჩილოდ ჰქმნი. უკითხავად სჯი. უკანონოდ აწამებ. იმიტომ რომ შენ ერთ დროს მონას—უმორჩილოდ მქმნიდენ. უკითხავად გსჯიდენ. უკანონოდ გაწამებდენ.

მოყვარულს ძლიერების და ძლიერის, მიმიღე მე ავადმყოფი ხორციით და შეჰქენ ჩემგან ძლიერება შენებური. დამკინავი ღიმილით რომ უყურებ ყველაფერს სადაც არ არის სიძლიერე შენი და სწყველი მონათ რომლებსაც არ უყვარბარ შენ—მოსული შორეულ ქვეყნიდან, შობილო შორეულ მიწაზე.

მე მოვდივარ შენთან და ათასი ჩემს შემდეგ კიდევ გიხილავს შენ. მე მოვედი რომ ვუარყო თესლი შენგან დაწყველილი. დეე მამა-პაპათა საფლავები ამიჯანყდენ, მე არ მინდა იგი. მე აღარა გთხოვ ჩემთვის სინოყვირეს. მიიღე შენ იგი ჩემგან და გააგრძელე დღეიდან ძლიერება შენის მოღვმისა.

ხოლო სამაგიეროს მოკთხოვ შენ ძლიერო. მე წარსულმა გამაკრო ჯვარზე, რადგან ცოდო მათი დაგროვდა ჩემში. სისხლი მათი კიდევ ბევრია ჩემს ძარღვებში. არეული სისხლი ათას რასაში. ის სისხლი მწვაეს ინონ. გაწამებს ინონ. გამანთავისუფლევ. რადგან მე მოსული შენთან და ოდნავ ნაკურფვი შენი სიძლიერით, ვარ და არცა ვარ.

მე მოვედი შენთან და ველი ავასრულო.

მოვედი და გთხოვ.

მოვედი და ვისვენ.

ნუ უყურებ უნდოთ ჩემს ნაწამებ სახეს, ის მიიღებს იმ ყალიბს რომელსაც მოითხოვ. ნუ უყურებ ნისლიან თვალებს, იგი აინთება იმ ცეცხლით რომელიც შენ გსურს. ნუ უყურებ ამ დახრილ ტანს—იგი გასწორდება თუ შენ ინდომებ.

ინონ მე არა მწამს შენს გარეშე ღმერთი, რადგან შენ უყურებ და გრწამს, რომ შენს გარეშე—ყველაფერი არარაა და გარშემო არარა არის.

გაწამებული დანიელ როგორც მლოცველი ხატის წინ ფოფხავდა და ფეხებს უკოცნიდა საფარძელში მჯდომს, რომელსაც თავის მპრძანებლად სახავდა და რომელსაც სახელად უწოდებდა—ინონ.

ამბავი მათე.

„ნაპრობა ჟაფანე“

1.

ქალაქის თავი იღებს მთხოვნელებს. მისი სახე ჩვეულებრივზე უფრო აღელვებულია. ეტყობა უძილოდ გაატარა ღამე. სახე შავს ჩრდილებს დაუფარავთ, ვაჭვითობია. თავ დაჭერილი კილო და ზრდილობიანი ქვევა შერხევა. ხშირად თვალებს ერთ წერტილს აშტერებს და ავიწყდება რომ მობაას



ქართული

ბიზნეს-საქონელი

იქცევა, ცხვირ წინ. შემდეგ თითქოს საშინელ ფიქრებს გაიროგეს თავიდან, მაგრა დაჰკრავს ხელს საწერ მაგიდას და სასოწარკვეთილი პრისხანედ წაიჩურჩურებს. — შეუძლებელია.

— აღარაეინ შემოუშვათ—უთხრა მსახურს.

— დერეფანში ერთი კაცი გახლავთ კიდევ.

— ვინ არის?

მსახურმა ბარათი გაუწოდა. ეწერა „დანიელ ჯაკობია“.

მსახური შეკრთა პატივცემული თავადის სახის დანახვანზე. სახე შემკრთალი, აკანკალებული, იღვა შუა ოთახში. წელში მოხრილიყო და თავი ხელებით დაეფარნა. თითქოს მედგარი მუშტიდან იფარავდა მას.

— რა მოუვიდა ბატონს?—ჰკითხულობს მსახური.

მსახურის ხმამ გამოაფხიზლა. შეინძრა. გასწორდა. სახე დაიმშვიდა და მსახურს უბრძანა შემოეშვა. თითონ ჩაჯდა სავარძელში და გამოხედვა კარებს მიაყრდნო. თელავში შიში, მოკრძალება, გაბრახება, სიბოროტე და ტანჯვა დასადგურებოდა.

როგორც იყო დაიმორჩილა თავი.

ოთახში შემოვიდა დანიელ. ჩვეულებრივი სიმშვიდით მიესალმა. და თავადმა კვლავ იგრძნო ზიზღი და შიში ამ კაცისადმი. უნდოდა დაეყვირნა. თავი შეიკავა.

ცივად უპასუხა. სავაძელი არ მისთავაზა. თვალი აარიდა.

დანიელ ნელა ჩამოჯდა სავარძელში. პაპიროსს მოუყიდა. ერთ ხანს ჩუმად იყო.

ათვლიერებდა ოთახს. ნანახ სურათებს კვლავ გადაავლო თვალი.

— რა გნეკაა? — მოისმა მოთმინებიდან ვასოსული ხმა.

— ცოტა რამ.

— მაინც არსებითად?

— რამდენიმე თავადო.

— ბრძანეთ.

— პირველი... თქვენ იცით რისთვის ვიყავი მე აქ.

— დიახ.

— პირი რომელსაც მე ვეძებდი მთავრობის დავალებით არ აღმოჩნდა დანიელ ნელა და გარკვევით ლაპარაკობდი. თავის მობაასეს აკვირდებოდა და და ღიმილს არ იშორებდა პირიდან. თავადი დაშტერებით იატაკს დასტკეროდა. ვეზაფერს ხედავდა. მაშინაღუად უპასუხებდა.

— თქვენმა ორის წლის შრომამ ფუქად ჩაიარა?

— ერთის მხრივ დიახ.

— თქვენ ვერ შეასრულეთ დაპირება?

— კაცი რომელსაც მე ვეძებდი არ აღმოჩნდა აქ.

— თქვენ შესტადით?

— უკეთესი იქნება ვსთქვათ— ავცდი.

— ჩემს მხრივ მე მგონია დაბრკოლება არ იყო?

— არა.

— სამწუხაროა რომ ვერ მიიხვედით მიზანს.—სთქვა თავადმა და პირველად შეხედა დანიელს პირდაპირ, მაგრამ უცხად დასწია თავი, რადგან ცივმა და დამკინაფმა გამოხედვამ შეაქროთ.

— შე გითხარით რომ ჩემს პირდაპირ მიზანს ავცდი. მაგრამ მოხდა სხვა უფრო საინტერესო. ყველაფერს გაიგებთ მასალებიდან, რომელსაც მე გადმოვცემთ. ჩემი წასვლის შემდეგ თქვენ ამას წაიკითხავთ. იქ არის ყველა საქმეები. იქ არის ცნობა ვისი დატუსაღებაა საჭირო. იქ არის მასალები, საიდანაც თქვენ ყველაფერს გაიგებთ და დაუყოვნებლივ მიიღებთ ზომებს.

— დიახ—აკანკალებული ლულულულებს შერვაშიძე.

— ამ საქმეების ასლი აქვს უკვე მაზრის უფროსს და ეანდარშერიის პოლკოვნიკს.

— როგორ?!

— დიახ. ორგინალებს მასალისას ვიტოვებ მე. წარვადგენ იქ სადაც ჯერ არს.

— თქვენ... რათა...

— ეს ჩემი საქმეა. მე ვაცნობებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენ გეხებათ. ასევე დანარჩენებს.

ქალაქის თავს სახე უცნაური სიბრაღულით ელრიჯებოდა. მოშლილი კუნთები თავის-ნებობენ.

— უკაცრავად. თქვენ მგონი ცუდათა გომნობთ თავს—შენიშნავს დანიელ.

— არა... ცოტა...

— მე თავს არ შეგაწყენთ. ჩქარა წავალ. მაშასადამე თქვენ საჩქაროდ გადაათვალიერებთ საქმეს, მიიღებთ ზომებს. მანდ ყველაფერი ვარკვევით სწორია. თუ საქმე შეფერხდა ავებთ პასუხს.

— მესმის—თავის და უნებურად მორჩილებით ზრჩოვებს.

— ინებეთ საქმეები.

იქ დანიელ გადასცემს დალუქულ პორთფელს.

პაუზა.

— ეხლა თავადო მეორე საქმე.

— არ მესმის.

— მეორე საქმე.

— ბრძანეთ.

— ეს პირადი.

— დიახ.

— მგონი თქვენგან მერგება ფული .. ვახსოვთ.

— რა?

— ხელ წერილი.

— დიახ. რამდენი?

— ზოთი ათასი.



ქართველთა

მწიგნობართა

ქალაქის თავი სჯღაბნის ჩეკს. აწვდის. უნდა რაღაც ჰკითხოს, ვერ ბე-  
დავს. თითქოს უნდა რაღაც სთხოვოს და მხოლოდ კენესა ამოსდის პირიდან.

დანიელის სახეზე უშნო ღიმილი იზრდება.

თავადს აღარ შეუძლიან. უნდა იყვიროს. ვაარტყას სილა ამ... თავს იკა-  
ვებს.

აძლევს ჩეკს.

— ინებეთ.

— გმადლობთ.

დანიელ დგება. ზრდილობიანად თავს უკრავს. მიდის. თავადი ხელ გა-  
წვდილი... თითქოს უნდა სთხოვოს. თითქოს უნდა უთხრას.

— ბატონო დანიელ.

კარებთან მისული მოტრიალდება.

— ვისმენტ.

თავადი შერვაშიძის პრისხანე და მედიდური სახე დახვდება წინ.

— არაფერი—მოესმის სიამაყით დასუსტ ხმა.

დანიელ აღებს კარებს. ყურში ჩასწვდება ბოლშიანი ჩურჩური.

— სალახანა.

— რა ბრძანეთ?—იკითხავს კვლავ მობრუნებული.

კვლავ სიამაყით და ზიზღით სავსე სახე მის წინ.

— ა...რა...ფე...რი..

## 2.

მძლავრად დარეკა. დერეფნის სიბნელეში გამოჩნდა ლაქია.

— ვინ გნებავთ?

— მისტერ ჰაირტონ სახლშია?

— მოვასხენებ. თქვენი ბარათი?

აწვდის ბარათს. იცდის. ათვალის რებს დერეფნის კედლებზე ახატულ აფთო-  
რებს, მენავებს, ნავს, დანგრეულ წისქვილს და მათთანაურად უსტვენს ქურთ-  
მოტივს. სახეზე სიმშვიდე აუკრავს, ტუჩების ნაოქებს ღიმილი. გულის ამრევი  
სიამაყე და ცინიზმია ის. ყველაფერი იმისი პოზაა უბრალო, მაგრამ ხელოვ-  
ნური და მოხდენილი. და თითქოს ყველაფერთან ერთად, სახე ნამტირალეც  
ქალს მიუგავს. სახეს თითქოს მშუბარების და წამების სიყვითლაც გადაჰკ-  
ვრია. (ცოტა ლირიკა).

სდგას და უსტვენს ქუჩაში გავიწილ სიმღერას, თან ათვალის რებს კედ-  
ლებზე გაკრულ სურათებს: თეთრ გედებს, მენავებს, დანგრეულ წისქვილს.

— მობრძანდით.

დინჯი ნაბიჯით ადის მოფარდაგებულ კიბეებს.

შედის სასტუმროში. სასტუმრო ცარიელია. ქურდივით იყურება. ათვალის რ-  
რებს. ფეხ აკრეფით მიდის ძვირფას მცენარეულობაში ჩაფლულ სავარძელთან.  
უხელოვდება კუთხეს აკანკალებული, თითქოს აქ შემოსვლამ შესცვალა,  
თითქოს აქ შემოსვლამ გასტეხა.

აგონდება ერთი ამბავი თავის ცხოვრებიდან. მუხლს იყრის იმ ადგილის წინ, სადაც ამას წინად, ერთ ცივსა და ზამთრიან ღამეში, შველა სთხოვა, ძალა სთხოვა, ერთმა მარტოობით გაყინულს ქალმა. მოწიწებით, მუხლ მოყრილი, კოცნის წმინდა ადგილს.

მოესმა ფეხის ხმა მგზობელ ოთახიდან. წამოხტა. სახეზე სიმშვიდე გადაიფარა. პიროზე ისევ დამცინავი, უშნო ღიმილი აიკრო.

ეტყობა დანიელ ჯაკობია კარგად იცნობს თავის სახეს. ყველა კუნთი სახისა ემორჩილება მას. ყოველ ნერვს ათამაშებს თავის ნებაზე. ყოველ წუთს შეუძლიან შესცვალოს ნილაბი სახის, ისე როგორც სურს, ისე როგორც უნდა, ისე როგორც საჭიროა.

ოთახში შემოვიდა მისტერ ჯონ ჰაირიტონ. სტუმარს თავ-შეკაფებით მიესალმა. გადამეტებული ზრდილობით მიუთითა სკამზე.

დასხდნენ.

— მიკვირს მომიგონეთ.

— ოო... ეს არც იმდენათ სასიამოვნოა თქვენთვის.

— როგორ?.. რას ბრძანებთ!..

— დავანებოთ მისტერ ამას თავი. შეუდგეთ საქმეს.

— საქმეს?

— დიახ.

— ბრძანეთ.

— მე მივდივარ მისტერ.

— დიახ.

— მივდივარ ამ ქალაქიდან სრულიად.

— დიახ.

— პირველი. გამანთავისუფლეთ თანამდებობიდან. მე რე—მჭირდება ფული.

— არ მესმის.

— ოო... თქვენ გაიგებთ.

— ველი.

— მისტერ თქვენ ძალიან გიყვართ ღამაში საქონელი. მე ისიც ვიცი, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ღამაში ქალებიც.

— რა შუაშია მისტერ დანიელ ეს.

დანიელმა თვალები გაბრაზებით ააბრკვეიალა. ხმა უნუღვივით გააცვივა. სახე აღესა.

— გაიგებთ მისტერ. ყველაფერს გაიგებთ. მხოლოდ ერთი პირობა. საჭიროა ერთი წუთით გულ ახდილი იყოთ ჩემს წინ.

აქ თვალები უფრო ააბრკვეიალა. დაამტერდა მობაასის. ჯონ ჰაირიტონს თავი სტკიოდა ამ გამოხედვით. ყურებში უზრიალებდა. თანდათან შიში იპყრობდა. აკანკალებდა.

— რა ვინდათ... მისტერ დანიელ...



— ბევრი არაფერი მისტერ. ბევრი არაფერი. მხოლოდ ხუთი ათასი დოლარი ფულად.

ჰაირტონ ფულის გაკონებაზე უფრო შეკრთა, უფრო დაიბნა, უფრო აკანკალდა.

— ხა...ხა... მისტერ. ბევრი ხომ არ არის. მე მგონია არა, რადგან საჩუქარი დიდებულია. მისმინეთ და მიპასუხეთ.

თქვენ მისტერ გიყვართ, არა? საშინლად გიყვართ... მიპასუხეთ.

— დიახ მისტერ დანიელ.

— ნაბინა არა?

— დიახ მისტერ დანიელ.

— მე ეს ვიცოდი.

— დიახ მისტერ დანიელ.

აქ დაშტერებული გამოხედვა დანიელმა აარიდა. ამერიკელმა ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

— ეხლა ყური მიგდეთ. ის ქალი ამ ორიოდ დღეში უნდა წაიყვანოთ აქედან, სადაც გინდათ, გესმით? საქმე რომელიც მე უნდა გადავუე პროკურორს განიხილება ამ მოკლე ხანში. ამ დღეებში წინასწარი ზომები იქნება მიღებული. აუცილებლად საჭიროა ქალი ამ ერთ კვირაში გასცდეს სახელმწიფო საზღვრებს. გესმით? წინააღმდეგ შემთხვევაში მას (ოელის ციხე ან უარესი — ჩამობრუნება.

მისტერი რათ შეგეშინდათ ასე საშინლად. თქვენ შეგიძლიათ არ უშველოთ იმ ქალს. შეგიძლიათ ეხლავ წახვიდეთ პოლიციაში და სთხოვოთ დააჩქარონ ზომების მიღება. მაშინ მას არ ანახებენ დღის სინათლეს. მაგრამ თუ თქვენ გიყვართ ის ქალი, თქვენ უნდა უშველოთ. ჩქარა უნდა გააპაროთ აქედან, რამდენიმე დღეში გადააცილოთ საზღვარს. რამდენიმე დღის შემდეგ ის თქვენი საკუთრება იქნება. თქვენი იქნება. თქვენი, გესმით! მისი ხორცი. მისი ტუჩები მისი შავი, დიდრონი შავი თვალები. მისი ნარნარი ხმა. მისი ტანი — ეს ხომ ბროლის ტანია მისტერ ჰაირტონ! თქვენ ხომ გიყვართ და განა თქვენ სალახანა ხართ, სიყვარული არ იხსნათ. განა თქვენ ქურდი ხართ, ფული შეგშურდეთ. განა თქვენ უსვინდისო ხართ... ხელი არ გაუწოდოთ... ხა.. ხა.. ხა.. მისტერ! რასაკვირველია არა!. თქვენ უსათუოდ იხსნით. უსათუოდ უშველით. თქვენი ასეთი დეენტლმენობა, ქალს თქვენ თავს შეაყვარებს. თქვენ ხომ დეენტლმენების ქვეყნიდანა ხართ. გამიგონია, ისინი ყოველთვის მზად არიან ზრდილობიანი დანმარება გაუწიონ ყველას და ნამეტნავად უმწეო ქალს.

მისტერ ჰაირტონ, თქვენ ხომ დეენტლმენი ხართ წმინდა წყლის. დი თუნდაც ეგ არ იყოს, თქვენ გიყვართ!. თქვენ არა ხართ უსვინდისო. თქვენ არც სალახანა ხართ.

— მისტერ დანიელ თქვენ გავიწყდებით!

— არაფერი მისტერ ჯონ ჰაირტონ!

— თქვენ მე შეურაცყოფას მაყენებთ. იმ ქალს რომელიც თქვენ გიყვართ... ეხლა მე მასყიდებთ.

— მისტერო... უფროხილდით ასეთ სიტყვებს. მე გეუბნებით რომ ეს ტყუილია. თქვენ უნდა დიმიჯეროთ.

— თქვენ დავიჯეროთ?

— დიახ.

— რა იმედით... განა თქვენ..

— მე.. მე.. ეს სულ ერთია. მე გეუბნებით რომ ის ქალი ჩემთან უენბელია.

— არა შჯერა.

— მისტერ ჰაირტონ... წაიკითხეთ, მე უნაყოფო ვარ და უძლური.

დანიელმა დაქმუნული ქალილდი ამერიკელს გადაუვდო.

— ეს საკვირველია.. ეს სასაცი...  
 — სსს... არ გაბედოთ მისტერ მაგ სიტყვის თქმა, გესმით!

პაუზა.

— დარწმუნდით ეხლა რომ, ის ქალი უენბელია ჩემგან?

— დიახ.

— და თქვენ თანახმა ხართ უშველოდ?

მკირეოდენი ჩაფიქრება. ყოყმანი. პაუზა.

— რაზედა ფიქრობთ მისტერ?

— საქმეებზე.

— მოასწრობთ ყოველთვის, მიპასუხეთ გინდათ თუ არა უშველოთ საკვარელ ქალს?

— რასაკვირველია.. სიამოვნებით..

სადლაჯ შორს სახის სიღრმეში გაეღიმა ამერიკელს. გაწითლდა. აიშრიზა. ეტყობა მომავალი წარმოუდგა წინ. დანიელ მიხვდა.

— მე ნატერა აგისრულეთ. დიდი ხნის ნატერა.

— გმადლობთ.

— სიტყვებია!

— როგორ?

— მე უფულოდ არას ვაკეთებ მისტერ ჰაირტონ!

— თქვენ საძაველი კაცი ხართ მისტერ დანიელ!

— ხა.. ხა.. ხა.

— თქვენ საზიზღარი ხართ!

— ხა.. ხა..

— თქვენ საცოდავი ხართ!

— მისტერო... ფული!

აქ ამერიკელის სისხლში გაიღვიძა კვლავ რომაელი ბატის შეილის შეიღვიძა. წუთით ჩამოვარდნილი, სიმაღლეზე უცხვად ავარდა. თავი ოქროს გვირგვინით და მრავალ ნაირი ძლიერი არწივებით და ჯვრებით შეიმოსა, და იქიდან—ქვევით, ძალიან შორს, უფსკრულში განართბულ დანიელს, ამაყისა და გამანადგურებელი ხმით ჰკითხა.

— რამდენი?..



- ხუთი ათასი, მისტერ.
- ბევრია.
- არც ერთი გროში ნაკლებ.
- თქვენ არა გვეხართ პატიოსანი ხალხის შვილს. თქვენ არა გაქვთ სისხლი თქვენის რასის.
- პატიოსნება ზღაპარია მისტერ.
- თქვენ ქართველი არა ხართ.
- შე ქართველი ებრაელი ვარ.. რა განსხვავებაა.. ხა.. ხა.. ხა..
- ეს უფრო დასაჯერებელია, რადგან თქვენი გამოხედვა იუდის ხალხისაა.
- მისტერ (პატიოსანო ამერიკელო, თქვენი შეგირდიც ვარ). გეუოფათ სიტყვები... ფული.
- ბევრია—შეაკრი, ცივი და საქმიანი ხმით გაიმეორა ამერიკელმა.
- პატიოსანო ამერიკელო. საქონელი ძველი სისხლისაა. ივერიელი ასულები წინათ უფრო ძვირად ფასდებოდნენ. ეხლა სილამაზის ფასმა დაიწია, მაგრამ შე მაინც არც ერთ გროშს არ დაუკლებ.
- ხაში ათასი მისტერ!
- არც ერთი კაპიტკი ნაკლები!
- სამ ხაზევარი!
- არა!
- ოთხი!
- არა მისტერ! საქონელი ძველია. სისხლი ძველია.
- ოთხ ნახევარი!
- პატიოსანო მოქალაქე, ივერიელ ქალებზე რომელი პატრიციები უფრო მეტს ხარჯავდნენ. მათ იცოდნენ გემო.
- ჩეკი მოხია. გადასცა დანიელს, რომელსაც პირზე ღიმილი უთამაშებდა და გაყვითლებულ სახეზე ცივი და მშვიდი ზეწარი გადაჰფარებოდა.
- ჩამოართვა ჩეკი. ჩაიდო ჯიბეში.. ჩვეულებრივი თავის დაკვრით სალამი მისცა.
- მასაშადამე მისტერ, შე ვეცდები საქმე გადავცე დაგიანებებით. გაძლევთ ერთი კვირის ვადას.
- გავიდა.
- მისტერ ჰაირტონ შუა ოთახში იდგა გაფითრებული და ჩუმათ ჩურჩურებდა.
- საინტერესოა.. საკვირველია...

## ამბავი მეთერთმეტე.

„გაბიძგებული კეთილშენი“.

### I

შუა ქუჩაში იდგა. ჯიბეში ჩეკს კმუჭნიდა. თვალებს მთვრალივით ბნელადედა. თითქოს რეტ დასხმულმა გადადგა ბიჯი. ამოძრავებული ქალაქი ყირაზედ

მოსჩანდა. მის გარშემო ხალხი ირეოდა. სახეებს ხედავდა, ზოგს ბუნდათ, ზოგს ძალიან გარკვევით—„ეს უთუოდ შეყვარებულია. ამის ბოროტი სახე აქვს. ეს ალბად ფოსტის ჩინოვნიკია. ეს სამხედრო პირი, კოკლობს... რა საზიზღარი სახე აქვს... მხეტლური თვალები. კუჭტი სახე. ეტყობა ძლიერი ნების ყოფა. უთუოდ კაცი მოუკლავს როდისმე“—შეეშინდა. შეკრთა. მაინც არ ასვენებს ფიქრი იმ უცნობზე, ქუჩაში რომ ნახა. სახე მშვენივრად დაახსოვდა. მოინდომა ვაცნობა. მოტრიალდა. ფეხს აუჩქარა. უნდა დაეწიოს. ხალხში შეამჩნია უცნობის განიერი მხარ-ბეჭი. მიუახლოვდა. ძლივს შესწვდა მხარს. ხელი დაადო. უცნობი მოტრიალდა. შეანათა ბოროტი თვალები. „ავი სულია“—გაიფიქრა. გაუხარდა.

— უკაცრავად.

— ბრძანეთ.

— მე.. მე.. ველარ მიცანით?

— უცნობი უფრო ჩააშტერდა, თითქოს იგონებდა.

— უკაცრავად, მაგრამ...

— თუმცა დიდი ხანია რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს. ეს დავიწყება გასაკვირველი არ არის—რადგან შეხვედრა შემთხვევითი იყო. თქვენი ჩემდამი თავგანწირვაც თქვენთვის ალბათ ჩვეულებრივი მოვლენა.

— უკაცრავად. მე არ მესმის რას ამბობთ თქვენ.

— ოო. ნება მიბოძეთ ჯერ მადლობა გადაგიხადოთ.

— თქვენ მგონი სხვა გგონივართ.

— შეუძლებელია რომ მესხიერებაც და მხედველობაც, ორივენი ერთად მატყუებდნენ. ეს ჩემი ნიჭიერების პირველი თვალთმაქცობა იქნებოდა. მაგრამ უბერხულია ქუჩაში დგომა. ნება მიბოძეთ ვთხოვოთ კაფეში. იქ ვეცდები მე თქვენი მესხიერება გავადვიდო და ერთი უბრალო ამბავი გავახსენოთ.

— კეთილი. მაგრამ მე არ მახსოვს ასეთი კეთილ განწყობილი საქციელი ჩაქედინოს ოდესმე.

— ამაზე შემდეგ. მობრძანდით კაფეში.

უცნობი ყოყმანებდა. ეჭვით ევსებოდა გამოხედვა. ბოლოს დასთანხმდა. ალბად დაინტერესა ამ ჭრელ თვალა კაცის საქციელმა.

2.

ღამე ბნელი იყო. კუჭტად მოღუშული ვარსკლავები თითქოს გაპთიკვოდნენ ცის ისინი ჩუმად მიუახლოვდნენ კაფეს.

— გაქვთ ცალკე ოთახი?

— როგორ არა ჩემო ბატონო.—გაუძღვა. შეიყვანა.

ბატარა ოთახი, მაგიდით, სკამით, კედელზე სარკით და ბუხებისაგან გაშვებული სურათებით, ოქროს ფერ ჩარჩოებში.

უყურებენ ერთმანეთს, ათვლიან ერთმანეთს. უბერხული სიჩუმე. დანიელ შორებს ათამაშებს, მარცხენა ფეხი უკანკალებს. ლაქიას უბრძანა მოეტანათ ზოგი რამ და ღვინო კახური, ძველი. აავსო ჭიქები ჭარვის სითხით.



ქართული

ენციკლოპედია

— თქვენი სახელი? — ჰკითხა უცნობს.

— ჯიმშუტ.

— ბატონო ჯიმშუტ დაელოთ პირველი კიქა... არ ვიცი დალოცვა, არც სადღეგრძელო. გაგიმარჯოთ.

უველაფერი ეს აოცებდა ჯიმშუტს. ეს ეტყობოდა თვალენზე და ტუჩებზე. შუბლზე ხაზი ეკმუხვნებოდა. აიღო კიქა, მასპინძლის კიქას დააჯახა. დალია

— თქვენ სამსახურში?

— დიახ ქალაქში დაბანაკებულ ათასეულში.

— ცხენოსანში?

— დიახ. რაზედ შემატყუეთ, დეხები მაქვს?

— ისე, ხელში მათრახი გიჭირავთ.

— დიახ ბატონო....

— ვიჩნეცო — უკარნახა დანიელმა.

— როგორ, თქვენ ვიჩნეცო გქვიათ?

— დიახ.

— საკვირველი სახელია.

— მე იტალიელი ვაბლავართ. ვიჩნეცო პალაცი, აბრეშუმის ქსოვილებით მოვაჭრე.

— სასიამოვნოა, მაგრამ საიდან იცით ქართული ასე კარგად?

— დედა მყავდა ქართველი. საქართველოს ხშირი სტუმარი ვიქ.

დალიეს კიდევ. დანიელმა აავსო კიქები.

— სინიორ ვიჩნეცო... — თითქოს თავისთვის გაიმეორა უცნობმა და ამღვრეული თვალი დააშტერა დანიელს — მე არ ვახსოვს რომ ასეთი ნაცნობი მყოლოდეს ოდესმე. თქვენ მომატყუეთ. მიკვირს. არ შესწის.

— ბატონო ჯიმშუტ ეს სულ ერთია. მე ამ ქალაქში არა მყავს ნაცნობი, არც მეგობარი, არც ნათესავი. მე ჩემს სამშობლოში არა ვარ. მარტოობა არ მიყვარს. მარტოობა ბავშობიდან მეჯავრება. აქ კი სულ ასე მიხდება ცხოვრება. ველარ მოვითბინე. ქუჩაში გამოვედი. თქვენა გნახეთ. ეხლა სულ ერთია ეყოფილვართ თუ არა ოდესმე ნაცნობები, დღეს ხომ ასეა. ღვინო რამდენჯერმე მოსება. რამდენჯერმე აავსო.

— მშენიერი ღვინოა, თქვენ როგორ ფიქრობთ.

— დიდებულია — მოკლედ უპასუხა. ეტყობოდა მომბდარი აბრაზებდა, ეს მასპინძელიც არ მოსწონდა.

დანიელ ღელავდა. აზრები დაეფანტა. თითონ არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ გრძობდა უნებრულ სიჩუმეს. ეს აბრაზებდა. აზრები უფუო ეფანტებოდა. თავზე ცხელ სალტებს უჭერდნ. თვალებში დამტვრეული ნაპერწკლები სჩხვლეტდნ. სული ეხუთებოდა. ადგა. ფანჯარა გამოაღო.

— აქ ძალიან შეხუთული ჰაერია...

ისევ სიჩუმე. ისევ სიჩუმე. სიჩუმე.

დანიელმა მაგიდას დანა გააპარა, თითზე დაისო. სისხლმა წვეთა დაიწყო. თითქოს გულზე მოეშვა, თითქოს ტკივილმა — მაგრამ ოდნავ, წუთით. შერე ისევ



მოკვირეს მარწუხებმა თავში... ტანში... მეზობელი ჩემად მარწუხებმა ხან შეინძრეა სკამზე „რომ წავიდეს“ — გაიფიქრა, შეეშინდა. ტიქა მარწუხებმა

— ბატონო ჯიმშუტ თქვენ ძალიან ცოტას სევამთ. აგრე არ ვარვა. ქართველი კაცი ხართ — ღვინო დედაა თქვენი.

— სენიორ ვინცო, თქვენ ძალიან საეჭვოთ იქცევით, ნუ დაიფიქვებთ რომ მე ერთ დროს პოლიციის აგენტი ვიყავი. თქვენ გეტყობათ რალაც გაწუხებთ.

დანიელ აკანკალდა. წამოხტა.

— ღვთის გულისთვის ჩემად. გეხეწვებით ჩემად. ყველაფერს ვაიგებთ. ცოტა მომიტზინეთ. დალიეთ.

— რა საჭიროა.

— ისე დავლიოთ, ვიქეიფოთ.

— თქვენ მე მამრახებთ. ნუ მიმიყვანთ იქამდის, რომ ზომები მივიღო.

ადგა წასასვლელად. დანიელ გადაელობა. სახე მუდარით აეცხო.

— ბატონო ჯიმშუტ გვედრებით, ნუ წახვალთ, ნუ დამტოვებთ მარტო.

სტუმარი დაჯდა. ჯიბეში რევოლვრის ჩახმახს გადასწია. დანიელ დამშვიდდა.

— საჭირო არ არის. არა, მერწმუნეთ. მე სრულიად უვნებელი კაცი ვარ. მკვლელი არა ვარ. არც ქურდი. არც მოლაღატე. არც უსუნდისო. არც სალახანა, არა. მე.. მე მინდა მხოლოდ ვიქეიფო. მარტო არ მიყვარს, ხომ იცით სიმარტოვე, შეიძლება არ გამოგიცდიათ, მე კი ბატონო ჯიმშუტ სულ მარტო ვარ. მარტოობას ყოველთვის მეშინია, ავადმყოფობაა ჩემი, მიინც სულ მარტო ვარ. თქვენ კაცი არ მოგიკლავთ?!

ჯიმშუტ შეკრთა.

— არა.

დანიელმა თიანები საშინლად ააბრკვეილა, თითქოს აანთო. დაანათა მეზობლის ბოროტ სახეს; ჩააშტერდა. ჩააკვდა.

— სტყუი!

— მიკვალი. რა გინდათ?

— რამ.. დენ.. ჯე...?

— ორჯელ.

— საკმარისია. არ მომატყუა წინათ გრძნობამ. თქვენ ბოროტი კაცი ხართ. დალიეთ.

სტუმარმა დალია. კიდევ დაასხა. კიდევ დალია.

ეტყობა მასაც გადაედო უცნაური მასპინძლის ადღეღება.

— ასე სჯობია ბატონო ჯიმშუტ. ასე.

— არა სჯობია. თუ დავითფერ ცუდი ხასიათი მაქვს.

— არა უშავს რა. სამხედრო კაცი ყოველთვის ასეა. ბრძოლის უნარი

მთვრალში უფრო იღვიძებს.

— არ ვიცი რა სჯობია. ერთი რამ მაკვირვებს

— რა?



ქართული  
ლიტერატურა

— თქვენ რაღაც გაწუხებთ.  
— ამას თავი დაეანებოთ... თავი დაეანებოთ. ვის არ აწუხებს. თქვენც გაწუხებთ! ყველას აწუხებს. ყველას. კარგი იქნებოდა რომ არა. ოჰ.. რა კარგი ჯიშუტ! დაელიოთ ღვინო.

დალიეს. დალიეს. დალიეს.

— თქვენ საუცხოვო კაცი ყოფილხართ—ამბობს სტუმარი—არ მეგონა. დიდებული კაცი, მაგრამ...—მედვრად დაჰკრა მუშტი მაგიდას. ლაქია შემოვარდა.

— ღვინო!—დაღორიალა და შუბლში მთავე კიტრის ნაღუტქვენი ესროლა. დანიელ ჯუჭრებდა, როგორ ეცებოდა უცნობს თვალეში სიბოროტით თან და თან. სწორედ ასეთი კაცი უნდა, ასეთი ბოროტი.

ერთი... კიდევ ერთი..

„დროა“—გაიფიქრა დანიელმა. ამ დროს უცნობი საფერულეში ღვინოს ასხამდა და შიგ პაპიროსის ფერფლს ჰყრიდა.

— აი მზე...დრული ჩვეულება სენიორ ბინენსო... ბინე... ხა.. ხა.. ხა.. დალიე. დედა...მოუ...კედეს ვინც არ დას...ცალოს... ატ.

„დროა“—გაიფიქრა დანიელმა. წამოიწია. დააშტერდა.

— რას მიუტრებ?!

— არაფერია.

— მაინც.

— რამდენს უდრის თვიური სარჩო?

— ხა.. ხა.. გაეკარცვას ხომ არ მიპირებ.

— არა, ფული მანდა მოგცე.

სტუმარი აიღანდა. ბოროტმა ღიმილმა გასერა ტუჩები.

— დამცინი, არამხადა!

დანიელს თითქოს სილა გაარტყეს. თავი შეიკავა.

— სრულებითაც არა.

ჯიბიდან ფული ამოიღო.

— არ გიყვარს ოქრო?

თვალეში გაუბრწყინდა. უხეშად ჩაიციხა. ყელში. ცივად. ხელი გაუწოდა.

— ვის არ უყვარს.

დანიელმა უკან დაიხია.

— ჯერ არა.

— მაშ როდის?!

დანიელმა კარები ჩაკეტა.

— ეი! რას შერები!

— სსსუ.. არავინ გაიგოს.

— რა გინდა!—დაიღრიალა ჯიშუტმა და ზეზე წამოხტა.

— მათრახი!

— როგორ ძაღლო!—ვერ გაუგო თქმა.

— მათრახი.



— ხა.. ხა.. ხა.. მესმის!— დაიღრიალა სტუმარმა, ვეფხველი და მათრახი ჰაერში აათამაშა.

ზზზ... აზუზუნა. ატორტმანდა. გაამო ჰაერი და დანიელის ტანზე აცეკვდა... პირზე. ტანზე. ფეხებზე. ფეხებზე. ტანზე. თავ პირზე...

დაეცა დანიელ... და როგორც ტკბილეულით ნასიამოვნებ ბავშვს, ტუჩები სიამოვნების ღიმილით გაეგსო.

— მაგრა ჯიმშუტ. მაგრა!— ღრიალებდა დანიელ და იატაკზე გორავდა.

— ჰა მაგრა!...

ზზზ... ..

— ჰა მაგრა!..

ზზზ... ..

ცეკვავდა მათრახი, ცეკვავდა.

— კარგია. რა კარგია— იცინოდა დანიელ და კეთროვანივით ჰგორავდა იატაკზე.

— ჰა.. ჰა..— ქშინავდა გაცხარებული და მათრახს, როგორც ხმაღს ბრძოლის ველზე, ატრიალებდა. ფეხით სდგებოდა.

აიესო ოთახი სისხლით.

ჯიმშუტ თავისით მოვიდა კუეაზე. დანიელ სისხლიანი, გულწასული ეგდო. დახედა. ჩაეცინა.

— რა უნდოდა არ ვიცი — ჩემად წაილაპარაკა. მაგიდაზე დანაპირი ოქრო ეყარა, აკრიფა და ფანჯარაში უჭებრად გადახტა.

3.

თავი ასწია. ტკივილი იგრძნო. მიშხმარი ტანსაცმელი ფიჩხივით დაიმტვრა. კენესა აღმოხდა, უფრო წკმუტუნს ჰგავდა. ტანი უელავდა. თითქოს გატიტვლებულს, აღესილი დანით უსერავდნ სხეულს. ღიბრ გადაკრული თვალეები ძლივს აახილა. ელექტროს შუქი უხეად დააცხრა თვალის კაკლებს. მოსკრა თვალს თვლი. ისევ დახუჭა. შავი რგოლები გადმოსცივდა, ბნელ სიღრუეში დაიფანტა.

სტკიოდა.

ძლივს გაარჩია შეშინებული ლაქიის სახე. თავის თავს ძალა დაატანა. ამოიწია. ისევ დაეცა. ლაქია მივარდა, წამოდგომა უშველა.

— რა დაგემართად ბატონო?

— არაფერია.

დაახველა. სისხლი ამოიღო.

— პოლიციას შევატყობინებთ.

— არა.. არ უნდა..

ლაქია გაკვირვებით უყურებდა თავ-პირ დასივებულ კაცს.

— ძაან..

— სსუ.. ხმა არსად ამოიღო.. რამდენი.....

ველარ გააგრძელა. მიგიდახედ უჩვენა. ლაქიამ უთხრა. ფულიც მიიღო.





- მეგობარო შეუმჩნევლად გამატარე...
- კარგი ბატონო.
- ეტლი დამიჭირე... მერე... გასვლა მიშველე...

ლაქია წავიდა, ეტყობოდა ჯვკვირდა ყველაფერი, კითხვის ნიშნად ჰქცეოდა სახე.

დანიელი ღია თვალებით დარჩა, დაბედა ოთახს. თავის თავი სარკვეში დაინახა. ჯერ ვერ იცნო, ვგონა ფორმა დაკარგული გოდორი ევდო შუა ოთახში. თან და თან გააჩნია ოთხად ნოკეცილი ტანი, დაღურჯებული, დანსკდარი პირისახე, გამზმარი სისხლით შეღებილი. შესზიზღდა, უნდოდა მიბრუნება, ვერ შესძლო. უნდოდა თვალის არიდება, თვალი მაინც წამ და უწუმ სარკეს აშტერდებოდა. თვალს ხეჭავდა. თვალი მაინც იღებოდა და ის მაინც ნათლად და მკაფიოდ ხედავდა დაღურჯებულს და დანსკდარს, გამზმარი სისხლით შეღებილ სახეს. ოთხად მოკეცილ ტანს.

სტკიოდა. თავი ბერუსით ევსებოდა. ჩაჭუტებს ურტყამდენ და ღრღნიდენ გულს. და ტანზე აღესილი დანა სცურავდა.

- მამ... იკბენდა ტუჩებს დანიელ და ფრჩხილებით იატაკს ეჭიდებოდა.
- ერთი მხად გახლავთ—ჩაესმა შორიდან, როგორც წენარ ღამეში შორიდან მონადენი საიდუმლო ჩურჩური.

— არაფერია... ასე კარგია... მშვენიერი—წაილულულა.

— ერთი მხად გახლავთ—მოესმა მეორედ.

ეტლი. ეტლი. ეტლი—დაბზრიალდა სიტყვა თავში და რამდენიმე ნაკადით გაიყო. ყველგან ამ სიტყვის ჩქერი აღიმართა. ეტლი. და უცბათ მოაგონდა. პო ეტლი!

წამოდგა და როგორც მშობიარეს, გულსაკლავი კენესა აღმოხდა. არა, არც კენესა, უფრო ბლავილი უმწეოდ დაკოდილი მხეცის. დაბარბაცდა. ჩაიჩოქა. ლაქიან დაიჭირა, მხარში ამოუღვა. ძლივს მიათრევედა დამძიმებულ ფეხებს. თავი სწყდებოდა და ეწეოდა ყველაფერი. გავიდენ წვალეებით. ეტლში ჩაჯდა. ლაქიას, ტუჩზე თითის მიტანით ანიშნა, ჩუმიად ყოფილიყო. ფული აჩუქა. მეეტლემ დასძრა თან შეეკითხა.

— საით ბატონო?

— საითაც გინდა. ქა.. ლაქს გა. მა. შო. რე.

ღამე შავი იყო, ძალიან ბნელი. თბილი. შეხუთული.

— იწვივებს—წაილაპარაკა მეეტლემ და შავ ცას ახედა.

დანიელ სულ შეხუთული გამზლართულიყო ეტლში. ხშირად ტუჩებს სისხლი ჰღებავდა.

— დედა—წაილულულა—დედიკო... ვენაცვალე. მტკივა. აქვითინდა.

#### 4.

თენდებოდა ბურუსით. საღდაც ირიერავა. მამალმაც იყიელა. ძალიან შორიდან ცისკრის ზარის ხმა მოიტანა ნიავმა და მის ურრებთან დაამსხვრია.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ეტლი მძიმედ მიგორივდა გზაზე, მეეტლეს ჩასთვლემოდა. დანიელ როგორც უსულო გვამი ეგდო ეტლში. ცამ ნელ ნელა ჩამოსცრა წვეთები. მოუბშირა, სადღაც გაიღვია. დაიგრგვინა. კიდევ გაიღვია. და წვიმამ ხშირი წამოუშინა.

ბურუსში წასულმა იგრძნო სიგრილე. ერთი, ორი, წვიმის წვეთებით ესმოდა ნექტარი. გამხმარი სხეული მოუღობო წვიმამ. მორეცხა სისხლი. მონათლა. ტუნებზე ნექტარი დაეტყო. ბედნიერებით აივსო თითქოს, მოსწყდა სიმძიმე და შეება იგრძნო. ტკივილიც გაქრა.

თვალი გაახილა, შეიშმუნა, წვიმდა. აცეცხლებული სხეული შეუშვირა წყალს—გადავებრო?—შეაჩერა მეეტლემ ეტლი.

— არა.. არა.. რას ამბობ..

წვიმამ მოაბრუნა, გამოაცოცხლა. კიდევ იგრძნო დამტვრეულ სხეულში ოღნავი ძალა სიცოცხლისა. ამან გაახარა.

— ბატონო, დროა ქალაქს დავბრუნდეთ. ცხენები დაიხოცა. ეხლა შეიძლება წვიმებმა ხვევებიც მოადიდოს. გზა ჩაიკეტება, სად უცადო წყლების ჩამოსვლას. დანიელს შეეშინდა. რაო, რა სთქვა მეეტლემ. ქალაქში დაბრუნება... სად..—თმა ყალყზე აღდგა. ვისთან ან რათა. ღმერთმა დასწყველოს. სადაც უნდა მხოლოდ უკან აღარ. არა.. არა.. რისთვის. ან აქამდის რა უნდოდა. ყური მოიკრუა.

ეტლი მთას გადასცდა. კარვად გათენდა. შორს გამოჩნდა სოფელი: ეკლესია, ქოხებით, ვენახებით. დანიელმა დაინახა, ეტლი შეაჩერა.

— რა სოფელია?

სახელი გაიგო.

— ნუ შეხვალ.

— როგორ?!

— გზას გადაუხვიე. ტყეებზე იარე.

— რათა ბატონო, წვიმა მოდის. ცხენები დამეღალნენ. როდემდის ვიარო! გაჯაერებულმა ეტლი შეაჩერა.

— აღარსად წავალ!

დანიელმა პირველად შეხედა მეეტლეს. სახე თითქოს ემცნაურა. სადღაც უნახავს. იფიქრა. მეეტლემ დააშტერდა დასივებულ სახეს. თითქოს იგონებდნენ ერთმანეთს. დანიელს მოაგონდა, დილა მიწის ძვრის შემდეგ, იცნო მეეტლე. მეეტლემაც იცნო.

ერთმანეთს უფრო მეგობრულად მიესალმნენ. მოხუცი თითქოს უფრო დაბერებულყო.

— ბატონო თქვენ ავად ხართ მგონი. ეხლა სულ დასველდით. არ შეიძლება.

— არაფერია. მაშ ველარ წამოხვალ?

— ვერა ბატონო. ცხენები დამეხოცა.

— კარგი მიშველე გადმოსვლა.

— მეეტლე განცვიფრდა.

— აღარ წამოხვალთ უკან?



ქართული

ენციკლოპედია

— არა.

— სოფელში მიგიყვანთ.

— არ მინდა მოხუცო, მე სხვასა ვთხოვ შენ. მე აქ დამტოვე, აი იმ ხის

ქვეშ.

— წვიმა?

— არაფერია, გადაიღებს.

მეეტლეს სახე ეკვით ვესება.

— ნუ მიყურებ ასე. შენ ეხლა ქალაქს წახვალ?

— დიახ.

— შენი ეტლი როგორ არის?

— დამტვრეულია ბატონო ისევე.

— არ გინდა ახალი იშოვნო?

— ეჰა.. რა გაეწყობა.

მოხუცმა ხელი ურმედოთ შეაქნია. დანიელს შეებრაღა სასოწარკვეთილი.

— იცი რა ვითხრა!

— რა ბატონო?

ქალაღლი და ფანქარი ამოიღო. დასწერა ხელის კანკალით. წვიმას ეტლის ჩარდახში ამოეფარა.

**იზრაელ!**

მე რამდენიმე დღით დავტოვე ქალაქი. ოთახი ჩემზე უნდა დარჩეს. ირავენ შეუშვა. გაუფრთხილდი.

დანიელ.

— ეს წერილი, ძველებით მოვაქრე ებრაელ იზრაელს გადაეცი. ხომ იცნობ იზრაელს?

— იმას ვინ არ იცნობს.

— ჩემზე ქალაქში ნურაფერს იტყვი. ეს კიდევ შენ, ამ ფულით ეტლსაც გამოსცვლი, ცხენებსაც.

მეეტლეს არ სჯეროდა. ხელში მობღუჯული ფული და წერილი პაერში ეკირა. სახეზე გაოცება და შიში უკრთოდა. ძლივს გონს მოვიდა.

— რას ამბობ ბატონო! რა ღირსი ვარ!

— ჩემს სანახსოვროდ მოხუცო. ჩემს სანახსოვროდ.

— ლმერთმა დაგლოცოს ბატონო.

— მადლობას თავი დაანებე, მიშველე ჩამოსვლა.

— კიდევ გატარებთ.

— არა, დავიღალე.

დანიელ წამოდგა. მიყურებულმა სხეულმა გაუღევა. ისევ ასწვა. დაბეჭილი ხორცი თითქოს ძელებს გაშორდა. სახე საშინლად დაეღრიჯა.

— ბატონო რად იღუპავ თავს!— შეეცადა მოხუცი.

— მიმიყვანე იმ ხესთან და წადი.

მეეტლეს ხმა აღარ ამოუღია. მიიყვანა ტოტ გაშლილ მუხასთან.

დანიელ გრილ მიწაზე გაწვა და თავი სველ ბალახებში ჩასდო. თითქოს ყნოსავდა მიწას. მეეტლე დიდხანს იღვია და უხურობდა ამ უცნობს. ვინ იცის რა არ მოიფიქრა. დანიელმა ხელით ანიშნა წასულიყო. მოხუცი ფეხ აკრეფით გაშორდა დანიელს. მოატრიალა ეტლი და ქვევით დაემო.

ელვამ უმატა. გრგვინვამ მოუხშირა. ტყე აშრიალდა. წვიმა გაძლიერდა და თქეშათ წამოვიდა.

დანიელ სიამოვნებით იზნიქებოდა.

წვიმდა, ელავდა, და ისევ წვიმდა. მუხის ქვეშ გაშხლართული დანიელ გაუნძრევლად ევდო და ხარბად სუნთქავდა წვიმით გაქლენთილ მიწის ნოყიერ სუნს.

### ამბავი მეთოჯმება.

„ღადა.....და შვილი სალახანა“.

#### 1

ძლიეს მიაღწია მოტიტვლებულ წვერს მთისას. ზევით მოსჩანან ნისლ მობურულნი, ყინვით შესუდრულნი, ამაყათ აშლილნი მთანი მყინვარნი. რომ ღვაინ და დადუმებულნი დასკტერიან, მათ ფერდებზე გადაშლილ: ასწლიან ტყეებს, დაეკებულ მინდვრებს, გაკიბულ ველებს.

გული სიამაყით ვესება. რბილი სიო უსხეპავს პირს. მუხლებში უძღვეულ ღონესა გრძნობს. ძარღვები სისხლ ნამატი ეტიმება და უნდა სულ მაღლა აპუვებს, ავიდეს იქ, სადაც ყინულნი მეფობენ. მოადღეს მდევებს თავს და იქიდან ვადახედოს განვლილ გზას. ქვეყანას ლოხრას... ან და არაფერი არ უთხრას. ისე გაიყინოს, ისე დადუმდეს—როგორც ეს მთანი, ამაყათ დადუმებულნი და მაკტერალნი ყოველივესი ზევიდან.

ნისლი თახდათახ ეპარება არეს, ნახადა ლოკავს და ხვევს თეთრ სულარაში. ჯანყით იბურება მუზობელი მთის კალთები და ხელებ გაწვდილი მოიწვეს. წინ მისკენ. მთის ნოტიო ჯანყი თანდათან უახლოვდება. მისდევს მას ფეხ და ფეხ. ის უცვე მის ფეხებთან არის. ქვას რომელსაც ის წელან ნათლად არჩევი, ველარა პხედავს. დაჰფარა ბურუსნი. ისიც გრძნობს, როგორი ილერსით ეკარება-მას ეს ღრუბელი რბილი, რბილი და უცნაური, სიმძიმით სავსე. ეხვევა გარს. უჩრდილავს ყველაფერს. ველარაფერს ხედავს.

მთის კალთაზე აკრული, წვეტიან ქვებზე ხელ მონაკიდი ჰგავს—შვილს შეშინებულს და უმწყოს, რომელიც დედის თბილ მკერდს მისწებებია და სწოვს ძიქუს—ტკბილად სწოვს ნისლიან ჰაერს. დაეენთილს. პოხიერს. გზა საშიში ხდება თან და თან. ნისლში გახვეულა ყველაფერი. ველარას ხედავს. დაცურებული ქვა გრიალით მიჰქვებს საშიშ უფსკრულისაკენ, რომელსაც ის ვერ ხედავს. რომელსაც ის გრძნობს. ან თუ ზევიდან დაგორებული ლოდი თავზე გადაუფრენს და შხილით მიაყრის სველ ქვიშას სახეში. ქვიდან ქვაზე ფრთხილად გადადის, ხან ფეხ დამსხტალი ხავს მოეჭიდება და თავს შეიმავრებს რომ უფსკრულმა არ შთანთქას.



ქართული  
ლიტერატურა

ფოთხვით მიადგა სიპ ლოდს. გასინჯა და ჩამოჯდა. მაგრად შეეკრძნო ზურგით კლდის კედელს და გაჰხედა ნისლს, რომელიც რბილად შემოჰხვეოდა. მან კვლავ იგრძნო წინ უნდობი უფსკრული, იგრძნო როგორც ბრმამ და როგორც ბრმას შეეშინდა. სმენას შორეული, ოდნავ გასაგონი ხმები სწედებოდა. ნაკადის ჩხრიალს უფრო ჰგავდა, უშორეს სიღრმიდან მონადენი ხმები, რომლებიც თანდათან ახლოვდებოდნენ. შორეული ნაკადის ჩხრიალი, მძლავრ ჩუნჩუნად ვარდიტკა. ნათლად მოისმა უღრანი ტყის ფოთლების შრიალი, რომელიც თან და თან უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს საშინელი უფსკრულიდან. მძლავრი გრგვინვა მოესმა, რომელშიდაც ყველაფერი ერთდ აირია: ქვებზე დამტყრეული ნაკადულის ხმები, ფოთლების მძლავრი შრიალი, გადამტყდარი ხის მოსხეპილი დაცემა, დაგორებული ლოდების გრგვინვა; ყველაფერი ერთად არეული ისმოდა უფსკრულიდან. თითქოს იქ ჯოჯოხეთს მოეკალათნა ყველა აესულეობით. უცბად მის ფეხ ქვეშ მოსსლექილი გრგვინვა გაისმა, მეხმაც დაიქექა და შორს ქვევით ელვამ გაისრიალა. უფსკრულის ძირში, დაიკლანა და ისევ გაჰქრა. და შემდეგ ისევ მოისმა, განუწყვეტელი, სასოწარკვეთილი, ღრიალი უფსკრულისა.

და მოელანდა, თითქოს მართლა ჯოჯოხეთი ყოფილიყოს მის ფეხ ქვეშ და იქიდან ამონადენ ხმაურში ნათლად არჩედა: უსუსურ ბავშვის გულამოსკენილ ტირილს. მოხუცის ლოცვას, დედის კვილს, ომში მიმავალ ჯარის მჭუხარ ხმას, მონების კენეას, ბატონის ლანძღვას, გიგების ხარხარს; და ყველაფერი ერთმანეთში არეული ხან და ხან მძლავრი გრგვინებით დაიფარებოდა. ელვა სრიალით გაიბრუნდა უფსკრულის ძირში და მერე ისევ მოისმოდა ათასი ხმები უფსკრულის ფსკერიდან.

## 2.

— ოო! დიდებულო, დიდებულო დედა! — ქვითინებდა ის და შეშინებული დაჰკრებდა გაგიჟებულ უფსკრულს. მე მოვედი დედა. მე მოვედი ისევ შენთან, მარად შენთან. აღერსიანო! ნოყიერო. მე მოვედი ვკოცნო შენი გულ-მკერდი და ვითხოვო პატიება შენგან განშორებისათვის, შენგან წასვლისათვის. დიდებულო. უძვირფასესო. გაძვალტყავებული, დაძლურებული ლანდა მოვედი მე რომ შენი ძძუთი კვლავ გამაჯანსაღო დედა.

შავია გზა რომელიც მე გავიარე. ცივია ხალხი, შეუპოვარი, ბოროტი. შენი შვილი აწამეს დედა. ჯვარს აცვეს და ისევ გახადეს მსხვერპლი.

დედა! დედა! დედა!

მე ვდგევარ და ვკოცნი შენს გულ-მკერდს. მე მუხლ მოყრილი გვედრები უძლიერესო. დარბაისელო. თეთრი ლეჩაქი რომ გადაგფარებია კოპშია ტანზე. წმინდა შუქი რომ ეფინება ყოველ მზის ჩასვლისას და ამოსვლისას შენ ნათელ სახეს. თმა რომ შეგვერცხლია და მედგარი გამოხედვა რომ შეგრჩენია ისევ ისე უღრეკად. ამაყად რომ გადმომდგარხარ, შენი შვილების ოფლში რომ განბანილხარ, შენი შვილების სისხლით რომ ზიარებულხარ, შენი შვილების

ძვლებით რომ შეგიშვეია ტანი, რათა იგრძნოს ყველამ, რომ სიტყვა შენი კანონი იყო მათთვის. უსაყვარლესო მშობელო, კეთილო დედა.

იცი ვინა ვარ მე?—მე შენი შვილი, მე ქურდი, ავაზაკი. გამყიდველი პატრონების. შემარტყვენელი შენი ჭალარის. მატყუარა. ფლიდი. ორპირი, ოქროს მოყვარული. იცანი ის?!

ბა... ბა... ბა...

დედა! დედა! დედა!

მე გიკოცნი გულ მკერდს. მე დღე და ღამ ელოცულობ შენ წინ. მე დღე და ღამ ტანს ეიბან შენს წმინდა ცრემლში. მე დაედივარ და ვკრეფავ შენი შვილების ძვლებს, რათა მათი მიკარებით მაინც იგრძნოს ტანმა და დამიბრუნოს სიძლიერე, ღონე, უნარი, ძალა. გამტეხა წლებმა, ბრძოლამ და ცოდვამ. დაუძღურებული მოვედი შენთან, ერთ დროს შენგან გატყეული, გაყრილი შეილი, მოვედი და გთხოვ... არა! არა გთხოვ,—გენუდარები!.. მიწყალობო სიძლიერე შენი და მიხსნა გახრწნისაგან.

დედა! დედა! დედა!

3.

უცმელობით ღონე მიხდილი, მისდევდა მწვანე მოლით დაფარულ ფერდობებს. ნაფლეთები ძლიეს უფარავდა ტიტველ ტანს. თვალბში სევდა და ღამე ჩასწოლოდა. წვერი და თმა ჭუჭყით ავისოდა. სახე მკრთალი სიყვითლით შეჭუროდა და ტუჩები ღმობიერ ღიმილს გადაესერნა.

სოფელს დაუბირდაპირდა. საყდარი სოფელში ჯერ კიდევ შორიდანვე დაინახა. იმით გაიგო რომ სოფელი ახლოა, რომ მიუახლოვდა ქვაზე ჩამოჯდა. დიდი ხანი იჯდა ასე, თითქოს ეშინოდა სოფელში შესვლის. ბოლოს ადგა და მტკიცე ნაბიჯით შეუდგა სოფლის შარას. ძაღლებმა ყეფა ასტეხეს მის დანახვაზე და ერთი ეზოდან მეორემდის ყეფით მიხდევდნენ. მტრიალი ბავშვები ემალებოდნენ, დედისგან შეშინებულებს ეგონათ, რომ გლახა გულაში ჩაისვაწდა და მოიტაცებდა. მოზრდილი ბიჭები სიცილ ხარხარით მიაცილებდნენ. ვიწრო ორლობეზე მიმავალს, ახლად გამომცხვარი პურის სუნი ეცა. შეიშმუნა. ქობთან შეუხვია და წყალზე მიმავალ დედაკაცს პურის ნატეხი სთხოვა. ის დღე ეკლესიის გალავანში გაატარა. ხან ეძინა და ხან წარწერებს კითხულობდა საფლავის ქვებზე. ბევრი საგულისხმო ეპიტაფია ამოიწერა. დაღამებისას სოფლიდან ჩუმად გაიპარა.

4.

ხეტიალმა დაპლალა. აღარ აღფრთოვანებდა მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა. გული კვლავ იარებით აევსო. დადიოდა და ადგილს ვერ ჰპოულობდა. დადიოდა და ფიქრები ღრღნიდნენ. გულს განუყრელი მეგობარი—სევდა შემოაწვა. და ისე ღრღნიდა მას რაღაც—როგორც იქ, იმ ქალაქში. ინახულა უღრანი ტყეები, ასწლიანი მუხებით. ილოცა მათ წინ. ემთხვია მათ ხავსიან ფესვებს. უსმენდა საათობით ფოთლების ჩუმ შრიალს. ფრინველებს. ბუღბუღი აფრთხობდა, კოტის ხმა იტაცებდა და აბარებდა. ინახულა მთის ნაკადები,



თავ დაეწყებით რომ ნოჰქრიან ქვევით, თავ ვამეტებით რომ ებრძვიან ჭვასა და ღრეს. დაუგდო ყური მათ წკრიალა ხმას მავრამ ამაოდ—არ ვაიტაცა! არ მიიზიდა!

ინახულა სალი კლდეებიც, მდევებივით რომ ამართულან, ამაყნი დი მიუღვომელნი. მთები მუდამ დათოვლილი და მუდამ თეთრი, თითქოს ჭილაჩა ნარევი ახოვანი ბერი კაცები, მწვანე ნაბად წამოსხმულნი ტანზე.

არც ამ მთებმა, სიღარბაისლით რომ გაელენთილა მათი არსება—არც მათ დაუწყლულეს წყლული. მოქანცული გადადიოდა ერთიდან მეორეზე, მეორედან მეათეზე. აქ უნდოდა ებოვა თავისი თავი. უნდოდა ებოვა დედა—რომელიც დაამშვიდებდა, დააოკებდა, შეეხას ძისცემდა სულს. ვანკურნადა ტანს. მავრამ ტყვიელი მაინც აწამებდა. სტკიოდა ათასი ჭრილობა. ხშირად გულიდან აღმოხედებოდა კენესა და მასვე შეაშინებდა იგი. უმთავრესად ლოცვებში ატარებდა ღროს. ხშირად ევედრებოდა მიწას, პეშეში აღებულს ჰკოცნიდა და იბუტებდა გულზე ხშირად ყველაფერს, რასაც სათაყვესნებელს დაინახავდა. ასე მიადგებოდა ას წლიან მუხას, ჩაეკროდა მის ხავსიან ძირს და ჰლაღადებდა.

— ოო ძლიერო, ძლიერო მუხა. რამდენ ქარიშხალს გადაუვლია შენზე უდრეკო. რა რიგ დაკლავებულან შენი ფესვები და ჩაჰკერიან დედას და სწოვენ ტკბილ რძეს, რათა ნოყიერ ჰყონ შეილი თავისი. და შენც თავ აღებულო, გადაბარდულო, წლობით ხერხემალ გარკინებულო, სდგებარ და ბედნიერი სიცოცხლით სავსე, უყურებ ტკბილ სიცოცხლეს, რომ გამეფებულა შენს ვარშემო. შენი ფესვები გველებივით დაგრეხილან და შენთვის გაწამებულნი გაძლევენ საზრდოს. შენი ფოთლები შენთვის ლოცულობენ, დლითა და ღამით. შენი ტოტები გემორჩილებიან და ასრულებენ შენს ბრძანებას.

— ოო, მეც ვიყავი ესოდენ ძლიერი და დავკარგე მე იგი, რა მომეცა შენთვის რომ შენი სიძლიერე მე დამბრუნებოდა.

ან თუ ჩანჩქრებთან მივიდოდა და ალაპყრობდა ხელებს.

— ოო! მიწის ძარღვო და ძარღვივით დაკლავებულხო. ო! ძლიერო დედის სისხლო და ნოყიერო როგორც მიწა. რამდენჯერ შემოუვლი ტყესა და ველებს, მინდორსა და ვაკეს რომ განაპოზიერო იგინი და ალაქსო სიცოცხლით. მარად ჩქარო. მარად ფხიზელო. მარად ნოყიერო. ზოგან ცრემლო მშობლის. ზოგან სისხლო იმავე მშობლის.

ოო, მეც ვიყავი ესოდენ ფხიზელი, ჩქარი და ნოყიერი. რა მომეცა შენთვის რომ დაკარგული დამბრუნებოდა.

იქნებ სიპი კლდე შეხვედროდა წინ, ისიც შეჩერდებოდა მის წინ და განაგრძობდა ლოცვას.

— ოო! თვალ უწვდენელო. აწვდილო. აბურთულო, როგორც ძუძუ ჰასაც მოსულ ქალისა. ფსაზღვროებისაკენ რომ ისწრაფვი და მიუვალი რომ ხარ. უდრეკი. საიდუმლო, იდუმალი დარაჯი. გაუტყებელი. გულ დახურული.

ოო! მეც ვიყავი ესოდენ იდუმალი, ცად აწვდილი, უდრეკი დარაჯი. რა მომეცა შენთვის რომ დაკარგული დამბრუნებოდეს.

ან და....

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

— ოო! მთანო მყინვარნო, უძღვევლნო, ნოყიერნო, დედის ტუტუნო. ქალა-  
რა მთანო მეომარნო—თაფი რომ უსაზღვროებისათვის მივცივათ. ამაყნო ვით  
არაოდეს არავინ. უტყუნო, მაგრამ ბევრის მეტყველნო. არაოდეს არ მჭონია  
მე თქვენ ოდენი სიძლიერე, მაგრამ მაინც შინდა ვიყო კადნიერი—შვილი თქვე-  
ნი, აღზრდილი თქვენს მკერდზე. რა მომეცა რომ თქვენი, სიძლიერე მეზილოს.  
— ასე დადიოდა ის. ასე ლოცულობდა ყველგან. ევედრებოდა ყველას. მაგრამ  
ძარღვებში გაყინული სისხლი არა ღვებოდა. შეგუბებული სული აწვალებდა.

და შეშინებული ის, მოუსვენარი ეძებდა....

5.

ნელი ნაბიჯიდ უახლოვდებოდა ნაცნობ ადგილებს. გამხდარ სახეს ნაოქე-  
ბი ღარებად სერავდენ. დღეს დილით პირს რომ იბანდა, შეამჩნია ქალარა თმა-  
ში და გაუხარდა. მისდევდა ბილიკებს. მოწყვეტილი, მუხასთან შეჩერდა, და-  
სასვენებლათ მოემზადა. უცბად შესდგა. აკანკალდა, ზიზლი და ტანჯვა აიხატა  
მის სახეზე. იცნო მუხა. მოაგონდა წვიმიანი დილა და მისი ნაწამები ტანის ტყი-  
ვილი. გულ არეულმა გადააფურთხა და ისე ჩქარა გაშორდა იმ ადგილს თით-  
ქოს კეთროვანებით სავსე ყოფილიყოს იგი. მოგონებები მაინც გადაეფურცლა.  
აბეზარი ფიქრები მაინც მოაწვია. არ უნდოდა.. არ უნდოდა ფიქრი მომხდარზე.  
და მაინც.. მაინც ეხლაც ისე როგორც მაშინ, სრიალებდა მათრახი მის ტანზე  
და სწავდა კანს.

თვალეზი დაბუჭა და ისე მიჰყვა ბილიკს. ფეხს აუჩქარა, ფიქრები კი მაინც  
მისდევდენ. ბოლოს სიარული სირბილად გადაექცა. აღელვებული ტანი აღარ  
ემორჩილებოდა.. მოღლილმა ჩაიკეცა. თვალეზზე ზეწარივით თეთრი ბინდი მი-  
ეფარა. სუნთქვა შეუწყდა. ძლივს იგრძნო შეშინებულმა, მისუსტებული გულის  
ცემა....

შორეულმა ხმაურობამ გამოაფიხლა. წამოიწია. გაკვირებულმა თვალეზი  
ფართოდ აახილა და ისეც დაბუჭა. სიბნელე ხმაურმა და ბრწყვილა შექვა გას-  
კრა. ბოძს მიეყრდნო. გაშეშებული და ოდნავ შემკრთალი უყურებდა შორეულ  
შუქს და უსმენდა ხმარს. ახედა ?ოძს რომელსაც მიჰკროდა. ფარნის მკრთალ-  
მა სხივებმა, მკედრის ფერი დასდეს მის სახეს, ისედაც გაყვითლებულს და  
გამხმარს. თვალი სიბნელეს შეაჩეია. დაინახა ლიანდაგი, იგრძნო სითბო და  
გაუხარდა. სადღაც კედლებში მატარებელმა დაიღრიალა.

გახარებული დანიელ, უფრო მაგრად მიეყრდნო ფარნის ბოძს. დაძგიბული  
ტანი ისე ჰჭონდა მომზადებული, თითქოს გადაბტომას აპირობდა. ორთქლმი-  
ვალმა კედლებში გამოანათა, კიდევ შეჰკივლა და აფარფატებულმა, ეპვიანის  
და მრისხანე თვალეზით, გააზედა ლიანდაგის სწორ ხაზებს.

თითქოს დაღლილი აღმართებზე ხეტიალით, დაზანტებული მოფარფატებდა.  
რონოდებმა ნელა ჩაასრიალა. დანიელ მაშინაღურად ითვლიდა. შეკრთა.  
შეჰყვირა. ერთი რონოდის ღია ფანჯრიდან მოესმა ჩუმი სიცილი, ცივი ყინუ-  
ლივით და სიტყვა „სალახანა“.

რონოდის ფანჯარაში ქალი იდგა, შავი თვალეზით. დანიელ გველნაკებ-





ნივით შეკრთა, მერე უცხად გადახტა და წელში მოიხარჯა. მიწის ქვიშაში ჩურჩა აკანკალებულმა და ბოძის ჩრდილს როგორც ქურდი ამოეთვარა.

მატარებელი გადასცდა ქედს. გახარებულმა კიდევ შეჰკვივლა და სწრაფად გაჰყვა ვაკეს და ველებს.

6

კიდევ ცის ქვეშ გაათენა ღამე. დილით ქალაქი გამოჩნდა შორი ახლოს. გზას გადაუხვია. სიბ ლოდზე ჩამოჯდა. ქალაქს გადაჰხედა. „უნდა დავტოვო“ — გაიფიქრა. დაეზარა. მობეზრდა ხეტიალი, მოსვენება მოუნდა. ძილი. ქალაქი იღვიძებდა. ღამის ბურუსი ჰქრებოდა დასავლეთში. უნებურად თვალი დასაველეთს გააყოლა. მოიწონა მისი პირქუში სახე, „ასეთი იყო ყოველთვის ჩემი ცხოვრება. პირქუში. ბედი—უბედო. გრძობა—უგრძობი. გული—უგული.“ შესწიზლდა თავისი თავი. მერე ისევ სიყვარულით გადახედა წარსულს. მოავონდა დავიწყებული ღმერთი. შეაშინა მოგონებამ. იგრძნო რომ ყველაფერი არა—არაა მის წინ უიმისოდ და რომ ხსნა მხოლოდ ის არის. დაღუბვა და ხსნა ორივე ერთად მასწია, მის ღმერთში, რომელიც მან ორ მანეთად იყიდა ბაზარზე, მომაკვდავი მათხოვარისაგან. ის მათხოვარიც ცოცხალი გაიხრწნა, ღმერთი კი ერთ ბნელ უმთვარო ღამეს ერთ კაცს მოჰპარა უბიდან. კაცს ცილინდრიანს, მონოკლით მარცხენა თვალში. საინტერესო იყო ამ ღმერთის ისტორია.

ამაზე ფიქრმა დანიელ დაამშვიდა. გახარებულმა ახედა ცას და გველის სისინსებური ჩურჩულით გაატანა ნიავს.

— ეხლა მე და ჩემი ახალი ღმერთი. სისულელეა დანარჩენი. რად უნდა მაწამებდეს!

ამაყად გადახედა ვალეიდებულ ქალაქს და მისკენ დაემო.

## ამბავი მესამეტი.

„ზარის ცვალებით გადაცვალება“.

1.

ქალაქს შიალწია. შეუმჩნევლად მიადგა ურიების უბანს. ვიწრო დარაბიან დუქანთან შეჩერდა. დააკაკუნა.

— რომელი ხარ? მოესმა თბილი ლოგინის ხმა.

— კარები გაშიღე იზრაველ.

— რომელი ხარ?—ხმას ლოგინის სითბო მოშორდა და შეკრთა.

— გააღე, შე ვარ დანიელა.

დარაბა გაიღო. დანიელი დუქანში შეუშვეს. იქ კიდევ ბნელოდა. მელუქნემ კრაქი ააბოლა. განცვიფრებული დაუწყა თვალიერება ნაადრევ მუშტარს.

— ველარ მიცანი იზრაველ?

— ვერა ღვთის მიღმა.

— აბა კარგად შემომხედე.

ბებერი ურია სტუმარს ჩააშტერდა.



ქართული

— დანიელა ყოფილხარ მართლა. დაბრძანდი. წვერები მოგსწავსამ ერთ კვირაში ისე გამოცვლილხარ, რაღას გიცნობდი.

დანიელი დაჯდა. იზრავლის ჩურჩურს უკრს უგდებდა.

— რაღა ჰკანკალებ იზრაველ? რა დაგემართა?

— არაფერი ღვთის მადლმა. არაფერი!

— არა, მაინც? თითქოს გეწინიან?

— არა, არა!

— რა ამბავია ქალაქში ახალი?

იზრაველმა ლაპარაკი მოულოდნელად შეატრიალა.

— რისთვის ჩამოხვედი უკან? რად დაბრუნდი დანიელ?!

— რა იყო რა მოხდა?

— მუშები გეძებენ!

— რა უნდათ?

— არ ვიცი რჯულის მადლმა!

— მაინც?

— ჩემთან მოვიდენ. კინალამ ცოლშვილი არ გამიწირეს. მოკვლას მიპირებდენ. მთხოვედენ შენი მისამართი მეთქვა.

— მერე რატომ არ უთხარი?

— არ ვიცოდი სად იყავი.

დანიელს ჩაეცინა გულწრფელ პასუხზე.

— სხვა კიდევ რა არის ახალი?

— ძალიან ბევრი. წუხელ ბევრი მუშები დაიჭირეს. ამბობენ ქალაქის თავიც გადააყენეს. ქალაქში ხმებია, რომ მისი ქალი მუშებთან მუშაობდა, მეფის წინააღმდეგ. არ ვიცი რჯულის მადლმა, ღვთის რისხვამ.

— სად არის ეხლა იმისი ქალი?

ურჩის ტურებში ჩაეცინა და უფრო ხმა დაბლა წასჩურჩულა დანიელს უკრში.

— ამერიკელი რო იყო, იმან ბევრი ფული დახარჯა. წუხელ ქალი გააპარა აქედან. ბარგი მე შევუკარი.

სიჩუმე გაიწედა. გარედან ისმოდა ათასში ერთხელ, აჩქარებული მგზავრის ფეხის ხმა ფილაქანზე. დანიელ კვლავ იზრაველს მიუბრუნდა.

— იზრაველ ოთახი?

— სასტუმროში? თქვენზეა.

— კარგად არის?

— კარგად.

პირი მოიპარსა. მეძველეს ძველები გადაუქოთა. ახალი ნაცრის ფერი კოსტუმში ჩაიკვია. სარკეში ჩაიხედა, გახარებულმა თავის თავი იცნო. თავისუფლად ამოისუნთქა.

2.

— ჩემ ოთახს ღამით ეინახულებ— ამ სიტყვებით დასტოვა იზრაველ. ქუჩაში გამოვიდა. აპყვა მის სიგრძეს. დღე მზიანი იყო. მზე გულს უხარებდა.



ქართველთა

შიშვენიერება

დიდი ხანია არ უგრძენია ასეთი სიხარული. უჩვეულო. მოულოდნელი. სულ ერთი კვირით დასტოვა ქალაქი, მიდის და ჰგონია რომ წლობით არ უნახავს კიდევაც ფიქრობს „გალამაზებულა. გასუფთავებულა“ აკვირდება თავის თავს და სცნობს ძველ მეგობარს, მაგრამ ოდნავ და. ფიქრობს—გადაწყვეტილებამ შესცვალა გეზი. ორ გზობა დაჰლუპავდა. გაინადგურებდა. საჭიროა ერთი. სიძლიერე ერთის. სიყვარული ერთის. გრძობს ძარღვები ივება სისხლით. უელავს აზრი. შეიძლება მთების და ველების საქმეც იყოს. მაგრამ რა, ისინი სხვას სთხოვდნენ, მან სხვა გადასწყვიტა.—კიდევ შეგნდა თავის თავს განიდან. მოიწონა თავ ალება. სიამაყე. ცივი ზეწარი. ცივი გამოხედვა. ტუჩებზე ღიმილი. მშვენიერი ნიღაბი. ყველაფერი დარჩა ძველი. ყველაფერს რალაც მოემატა. რა? გადაწყვეტილება უსათუოდ.—საჭირო იყო ძალი. მან იგრძნო ეს თავის თვალეში და ღიმილში ტუჩებზე. რა საჭიროა ცოდვების მონანიება. ფიქრი ცოდვებზე. ცოდვები ზღაპრია. ამ სიტყვამ შეაწუხა. მოაგონდა რომ ერთ დროს, მასაც სჯეროდა ზღაპრების. როგორც ერთ დროს, ერთ შავთვალა ქალს ამ ქალაქში. მოაგონდა ისიც თუ როგორ შესთხა ამ ქალისთვის, ერთ ნოტიო ღამეს ზღაპარი—რა უყვოთ მერე, წარსულმა მაინც ზღაპრულად ჩაიარა. დამნაშავე იყო თვითონ. კიდევ წუთი და მას დალუპავდა ზღაპრები, როგორც დალუპა ის ქალი. ის ხალხი. ორ მანეთიანმა ღმერთმა ასწავლა მას, ჩააგონა. ადვილად არ დაუჯდა ცოდვების უარყოფა. დაშორება წარსულს. მაინც გაიმარჯვა. დღეს მაინც იპოვნა თავისი თავი. საკვირველია, ადვილი იყო შემოკლამებოდა, სინათლემ მოუსწრო. მზემ. ეხლა აღარ არის გზა ყოფნის, არ ყოფნის. ეხლა ძალაა. სულ ერთია რანაირი. ძალაა გადაწყვეტილება. საჭიროა სიფხიზლე. დროს სიყვარული. კიდევ სიყვარული თავის თავის. აქ ის გრძნობს თავადობას. მას შეუძლია ღმერთი გახდეს. თუ არ გაშორდა თავის თავს, თავის ღმერთს.—აზრი ნათელია. ძალაა მიხწევა. თუ არ შეაშინებს: სიბნელე. ღამე. ქარი. სასაფლაო. წინაპრები. სისხლი. თუ არ შებოროტავს: სვინიდასი. რწმენა. რელიგია. ათასი რელიგია. სხვა ხალხის ღმერთები. კერპები. ხატები და პლაკატები. დაბრკოლებები ათასია. გზა ნაცადი ათი ათასი. მისთვის დღეს ყველაფერი ზღაპრია. მან იცის რომ ტირილი და ქარი, შებრალება და სიყვარული, თითისტარზე დართული ბამბის სისუსტეა.—გახედა ნაფიქრალს. გაუხარდა. იგრძნო რომ ასე უმტკივნელოდ: წარსულზე, გზებზე და თავის თავზე, ჯერ არ უფიქრია.

კიდევ შორიდან გახედა თავის თავს. და კიდევ იფიქრა

— ყველაფერ ამას გალესილი ბებუთა სკირდება და კიდევ სხვა რამ.—შევიდა დუქანში და იყიდა ჩინური ბებუთი.

## 3.

მზემ შუაგულს მიადწია. ფიქრი უვლს გადასცდა. ის დადის ბალის ვერხვების ჩრდილში. ათვალერებს ნაცნობ ადგილებს. ხეებს. ქანდაკებას. დაჩრდილულ ჩინარებს. შადრევანს. კაცი შავებში უახლოვდება და მხარზე ხელს

ადებს. დანიელ მოიხედავს. იცნობს ექიმს. გაუხარდება ნაცნობის ნახვა. მიე-  
სალმება. პასუხს არ მიიღებს. მოიღრუბლება. გაცივდება.

— რა გინდათ ამ ბალში?—იკითხავს ექიმი.

— ჩრდილი ექიმო. მზის სხივების მეშინია.

— ესე იგი სიკვდილის?

— უსათუოდ ექიმო.

— საკვირველია!

— ნუ თუ?

— თქვენ უნდა გიყვარდეთ სიკვდილი.

დანიელ შეერთა. მოაგონდა ტანიდან განდევნილი, წამებული სული. მაინც  
არ შედრკა.

— რა საერთოა ჩემსა და მას შორის ექიმო?

— მე ასე ვფიქრობ. მაინც ასეა. თქვენ სიკვდილს მაგონებთ. შეიძლება  
იმიტომ, რომ ყველა ავაზაკის შეხვედრა კაცს აშინებს და ძალა უნებურად აგო-  
ნებს სიკვდილს.

— მე უფრო მკაცრ განაჩენს ველოდი თქვენგან. ჩემო პატარა უსუსურო  
მტერო.

— მე რომ შემედლოს მტრობასაც ვუარყოფდი.

— ღირსი არა ვარ?

— მე ისიც არ ვიცი რისი ღირსი ხართ. მგონი არაფრის.

— შეიძლება შური იძიოთ?

— მე მგონია არც მაგისი.

— ოო! ექიმო ეს კი სამართლიანი განაჩენია! დავიწყეთ ასე. შებრუნე-  
ბით. მე ბრალდებული კითხვით მოგმართავთ, თქვენ ბრალმდებელს. რისთვის  
ასეთი სისასტიკე.

— თქვენ მკვლეელი ხართ.

— რომ არ მომეკლა მე მოგკვებოდით. მერე?

— თქვენ შოღალატე ხართ უსენდისო.

— რომ არ მეღალატნა მე მიღალატებდნენ. მერე?

— თქვენ სვინდისი არა გაქვთ.

— მე მხოლოდ დღეს ვუარყავ ის. დღემდის ის უფლობდა ჩემზე. თქვენი  
განაჩენი დღევანდელს არ ეკუთვნის.

— თქვენ არც წინად გქონიათ სვინდისი.

— ეს თქვენი აზრით. ჩემის აზრით კი, არც ერთ ავაზაკს, არც პატიო-  
სან მოქალაქეს, არ სტანჯავდა ისე: ციხე, კედელი, სინოტივე და სვინდისი—რო-  
გორც მე. ჩემი ცოდვები ექიმო, ჩემი ტანჯვით გამოვისყიდე. თქვენ, სვინდი-  
სიერო ექიმო, რომ ხედავდეთ ნათლად თქვენ, ცოდვებს, ისე როგორც მე ვხე-  
დავდი მას, თქვენც ისეთი უბედური კაცი იქნებოდით, ტანჯვით და წამებით  
გაწვალებული, როგორც მე—შვიდი მზის ამოსვლის წინ.

— დღეს?

— სწორედ მზის ამოსვლისას ვუარყავი ტანჯვაც, სვინდისიც, ცოდვაც.



— საკვირველია. თქვენ სვინდისიერი—უსვინდისო იყავით, რაღა იქნებით უსვინდისოთ?!

— ჯერ ჯერობით თქვენთვის ისევ ის რაც დღემდის ვიყავ. ჩემთვის, ბედნიერი აღამიანი.

დანიელ გაფითრდა. მოიღუწა. განავრდო წყნარად.

— ამას თავი დავახეობთ. მოსაწყენია. თქვენ ეს მითხარით, რად აწავალვით გიბეში რევოლუერს?

ექიმი შეკრთა. უკან გადახტა. თვალებით კატას დაემსგავსა. თმით ბრაზიან ძაღლს. რევოლუერი ეკირა ხელში. დანიელ შეუხრელად, (ბოლოს თითონაც გაუჟივრდა) იდგა ერთ ხანს. ელოდა ბოლს, ან ბოლსა და ცეცხლს ორივეს ერთად. უცბათ მოისაზრა და გარკვევით, დამკინავე ღიმილით შეეკითხა ექიმს.

— რას მიწოდებთ ექიმო რომ თავი დავიცვა?

ექუბობდა ექიმმაც გადასწყვიტა. გვიანლა. დანიელის ბასრმა ბებუთმა აღმასად გადასჭრა შორიდანვე შაერი და ექიმს გაკვირვებულს (ერთხელ კიდევ თავის სიცოცხლეში) გულზე დაესო.

არ მოატყუა დილის წინად-გრძნობამ. ბებუთი დასკირდა. გამოადგა.

## 4.

უფურებს ღელეებს, რუტებს და ლანეს. ასე უფურებდა ის მზის ჩასვლასაც. და გრძნობდა როგორ ჯდებოდა დღე თბილის ნაუჭუში. ებლა ღამეა უმთვარო. მთვარე ბავშობიდან ეუჯავრებოდა და აშინებდა. ერთ დროს მას სიბნელეც აშინებდა ღამის. ებლა ეს შისთვის სულ ერთია. გადააფურთხა. პაპიროსს მოჟკიდა. ფიქრობს მომავალზე და უხარბიან. ასე მას არას დროს არ უფიქრია. ფიქრი მომავალზე გაწყდება იქ, სადაც. ნიავე შორეული მთებიდან, ჩუმ შრიალს მოიტანს. ეს ხმაური მას, რათა არ იცის. შეაკრთობს, „სიმტკიცე“—ფიქრობს და ეძებს გიბეში დილით ნაყიდ ბებუთს. ამოიღებს, გაშლის, წინათ გრძნობა მაინც ცუდს ამბობს. მას ეშინია თავის წინათ-გრძნობის. ნაცადი ჰყავს. სიზმარივით ხსნის. ებლაც შეშინებულს წინად-გრძნობით, უნდა არ ჰქონდეს. ნატრობს დაკარგვას, რომ არ აწუხებდეს. მას არ უნდა რაიმე აწუხებდეს. წუბილი მონანებაა. მას არ უნდა არც მონანება. არც წუბილი. არც წინად-გრძნობა. მაინც არ ანებებს თავს. ადგება და ნელა მივა ხეუბთან. არაფერია. უნდა დამშვიდება. ულალატებს სიძულვილს—მთვარე მოუნდება.

რისი ეშინია? სიკვდილის? რისაც არას დროს არ შეეშინებია,—ებლა არ უნდა. არ უნდა სიკვდილი. მზიანი დღეები სჯობიან სიკვდილს. სჯობია ბაღები. ყვავილები. სჯობია ბაღების გაწვალება. სჯობია დანიელ ჯაკობია სიცოცხლობდეს., და ჰქონდეს: ოქრო და უფლება, ძალი და პატივი და სიყვარულის პატარა ნატები. ამაზე უარს ვერ იტყვის ან რად უნდა სთქვას. თუკცა რა იცის, რას იტყვის ამაზე ხვალ, მზის ამოსვლისას. იტყება უარყოფს.—პატარა ნატები რა უჭირს? არა უარყოფს!

იქნება დრო არის წავიდეს სახლში. მეგობართან. არა, მბრძანებელ მეუღესთან ის არის ერთად ერთი. მან იცის ერთად ერთი.

ქართული

და უნებლიედ გაუქროლა აზრმა „რომ ველარ ნახოს. ~~საქმეა~~ აზრ-  
მა. შეაშინა. არია თავი და ტკივილები გაუღვიძა. —ოო, რა უმწეო იქნება მა-  
შინ! ლეში. სიკვდილი. არ უნდა სიკვდილი.. არ უნდა ლეში.. არ უნდა, არა!...

წამოდვა. აპირებს წასვლას. უნდა წავიდეს. სად იყო აქამდის, რად დაი-  
გვიანა. რად ეკრძალებოდა მისვლა მეგობართან. რა სისულელეა დაგვიანება.  
მიდის. შრიალი. შგერთომა. წინაღ-გრძნობა.

— დღეს სულ თქვენ გეტყვით!

შესდვა. შიშმა აიტანა.

— ვინა ხართ? რა გინდათ?

— მე დიდი არავინ. ბევრი არაფერი.

დანიელ ჰკანკალებდა. აკვირდებოდა სიბნელეში ბნელ უცნობს. და უცბად  
იცნო. წინაღ-გრძნობამ არ მოატყუა. ანდრეი სილინ. შურის ძიება. სიკვდილი.

— მაინც—ძლივს მოახერხა.

— ველარ მიცან დანიელ?

— ანდრეი სილინ!

— სწორია. ცოტა უკან მეგობარო. დიახ ასე.

— ნესროლე—სთქვა ძლივს დანიელმა და უკან გადახტა.

— რა შეჩქარება. მოეასწრობ. მიპასუხე.

— რა?

— შენ ვაეც ამხანაგები?

— არა!

— დანიელ!

— არა!

— მაშ ვინ?

— ნაბინამ.

— სტყუი ძაღლო!

წიხლი წაჰკრა მუცელში. დანიელს ეტკინა. დაიხარა.

— საბუთებრ მაქვს.

— გასწორდი. აა, ხელები ზევით. შითხარ რას ამბობ. რა საბუთები?

— საბუთები!

— სულ ერთია, შენ უნდა მოკვდე.

— ანდრეი -არ ვარ დამნაშავე.—დანიელ დაეცა მუხლებზე. ანდრეიმ უკან  
დაიწია.

— სულ ერთია. ჩვენ გადავწყვიტეთ.

— ანდრეი გაფიცებ სიყვარულს!

— სსუ.. რა დროს ეგ არის.

— ანდრეი!

\* შეეცოდა. არ იცოდა რა ექნა. ჩახმახს დაწვეა სკირდებოდა. „უნდა მოკვ-  
დეს“—გაიფიქრა და უკან გადახტა. მაგრამ იელვა ლამეში რალაცამ. ანდრეის  
ეგონა დაეცა უზოალოდ. წამოწვევისას მიხვდა, რომ გულში ცივი რკინა ჰქონდა  
გარკობილი. თავზე შავი სვეტივით იღვა ვილაც და ჩურჩურებდა.



— საბრალო ანდრეი. განაჩენის სისრულეში მოყვანილ ღვინვეს კაუჭი  
ლაპარაკი ან შეცოდება.

სილინი წამოიწია. რუვოლვერი ხელში აღარ ჰქონდა.

— მართალია დანიელ—წიბუტბუტა—სამწუხაროა რომ ერთნაირი სასჯე-  
ლი გვერგება. შენც მოლაღატისა და მეც.... მოკვდა.

დანიელმა ბებუთი ამოაძრო—„დღეს ეს მეორე“. — გაიფიქრა.

— რა ჩემი ბრაღია, თითონ ეგვბინ!

გვამი შეინძრა. დანიელმა უკან დაიწია შეშინებულმა. გვამი წამოდგა. ბარ-  
ბაყით ხეს მიეყრდნო. დანიელმა არ იცოდა რა ექნა. უნდოდა გაქცევა. ვერ  
ბედავდა და მას ნათლად მოესმა ხმა გვამის.

— ჩვენ მაინც მოკვალით ინონ!

დანიელ მოსხლტა. მიეარდა გვამს. გვამი იქვე ეგდო წინანდელ ალაგას.  
მაინც შიშმა აიტანა. მაინც წინად-გრძნობა, საზიზღარი წინად-გრძნობა. „მარ-  
თალია! თუ ინონ მოკლეს?! ალბად“. დაბარბაცდა. ღელემა შეჭბუთა. მაშინ რაა  
ის. რაა დანიელ. რაა ნაცრის ფერი კაცი. უძლური ღეში. სიკვდილი უძლური.  
და ის მოსხლტით გაგიებული, დაეშო ჭალაქისაკენ.

## 5.

გახარებული უკოცნიდა ტანს. დაჩოქილი მის წინ ვედრებით ტიროდა.  
მის დანახვაზე კვლავ დაეუფლა ტანს უძლურება, ტკივილები კიდევ გაელვიძა,  
და აქ იგრძნო მან—უნდა დამორჩილებოდა მას. აუნდა ერთქმნილ იყო მასში, რომ  
გზა ერთი ჰქონოდა და ტანს სიმშვიდე ეგრძნოს.

— ოო, ძვირფასო ინონა! საყვარლო ინონ!

მე მოვედი ვემთხვიო შენს ნათესურებს. თაყვანი გცე. პატიება გთხოვო.  
რად იყო ასეთი ნაცრის ფერი დღე ან როდენდის იქნება. ან რათ მამტყუნებ-  
დნენ არ იცოდნენ, რომ არ შემეძლო სუნთქვა ამ ნოტიო ჰაერით, რომ მინდოდა  
სიძლიერე და ძალა მისი გაფანტვისთვის.

ინონ, მხოლოდ შენ იცი, მხოლოდ შენ მიხედები, რად ატირდებოდი ხოლ-  
მე როცა ფანჯრის მინებს, წვეთები წვიმის მონოტონურათ აპყვებოდნენ. ან ნის-  
ლით მოიბურებოდა არე ან ნაცრის ფერი დღე ზანტად აპყვებოდა და დაჩრ-  
დილავდა ყველაფერს და ყველას. მიყვარდა უცაბედი ინონ. მითხარი გასამტყუ-  
ნარი ვარ? რად ალებ უმადურად პირს მეგობარო? რა გინდა მითხრა? გინდა  
დამლოცო? თუ შენგანაც წვევლას გაევიგნებ. რათა მწყველიან ინონ?! გასამ-  
ტყუნარი ვარ?! აი ხედავ, მოდის ის მესამე. ხედავ, მინაში? რა საზიზღარი სახე  
აქვს. ჰრელი თვალები, რა უნდა.... კვაზიმიდო. ხა.. ხა.. აღარ მაშინებ! ელგე-  
ვარ. მიპასუხე!

ღმერთი ხარ ჩემი?!

ინონ! უყურე ჰკანკალებს. ძვირფასო მეგობარო მომცი ხელი. მე შენ დაგ-  
ტოვე, მე შენგან წავედი. გავიპარე. ნაცრის ფერი დღე მკლავდა. მე მზე მინ-  
დოდა. მზიანი ქვეყანა. ქვეყანა ახალი.... და ისევ დიქანცული მოვედი შენთან.  
ყველგან და ყოველი ნაცრის ფერია. ასე იქნება დღეს.. ხელ.. სულ.. და

ვინც ისე არ ილოცებს, როგორც ნაცრის ფერ დღეს უნდა, მოკვდება. მე არ მინდა მათი.. მე ჩემი მაქვს საკუთარი. ხედავ ჩემ ღმერთს, როგორ იცინის. ალბათ მე დამცინის, რა უნდა ინონ! ყველა მტერია! შენც უცნაურად აელვარებ შენს თვალებს. სად გაჰქრა ალერსი შენ რომ იცოდი? რადა ცივა აქ ასე საშინლად..

მე მესმის სადღაც ხარები რეკავს. იქ ალბად მარადიულზე თქპრობენ... ხა.. ხა. ნაცარი.. ნაცარი ცხელი და შავი ქვა! აი თქვენი მარადიული.

ინონ მე გადავწყვიტე. დრო არის გავექცეთ ამ ღმერთს, მინიდან რომ გვიბრიალებს თვალებს. დრო არის დაერჩეთ მე და შენ მარტო. ის კი ღმერთი მინიდან, უნდა მოკვდეს. ასეთია ჩემი განაჩენი.

მომეცი რკინა, ასე, ააა! ხა.. ხა.. ხა.. ხედავ აღარ არის, მოკვდა. დაიმსხვრა. აი ის პატარა ნამცეცხვით იქცა. წლები დანაცროავს და ის ნაცრის ფერ ნისლში აირევა. ჩემი ღმერთი.. ხა.. ხა..

ინონ ეხლა მე და შენ დაერჩით. მტანჯველი წავიდა. სული დამშვიდდება. აღარავინ მომთხოვს პასუხს. აღარ იქნება ბრალმდებელი.

ინონ, ჩემი დღესასწაულია. შენც გიხაროიან. გატყობ გიხაროიან. რად აბრიალებ ასე თვალებს? რად მოდიხარ ასე მწყურალი? რა გინდა ჩემგან?! შეაღერსები?... კარგია ალერსი. შენი ალერსი. ინონ! ყელს თავი დაანებე! ნუ მიჭერ ყელში! ინონ რას შერბები?! რად გინდა ყელი! სურთქვა მეკერის ინონ!...

ნუ ი..ნ..ო..ნ.....

### ამბავი მთოთხმეტი.

ეპილოგი.

„ათოვდა ხამორის ბაღებს.  
მიჰქონდათ შავი კუბო  
და შლიდა ბაირაღებს,  
თმა გაწეწილი ქარი.“  
გალაქტიონ ტაბიძე.

\* \*

ქარი ღრიალით დაჰქრის ბნელ ქუჩებში. მტვერის კორიანტელს აყრის პირსახეში აჩქარებულ მგზავრს. ცივა. ბნელა.

ქალაქის ქუჩაზე დროგი მირაბრაბებს. მედროგე შინელში გახვეულა და მოკუნტული რაღაცას უსტვენს. დროგზე ორ კაცს მოუკალათნია და ხელში უჭირავთ გაბერილი ტომარა.

ქალაქს გადასცდება ხრიალით დროგი. კლდესთან შეჩერდება, იქ, სადაც ამის წინააღ, დანიელ ჯაგობია, ისვენებდა მთიდან მომავალი.

ორი მგზავრი ტომარას გადმოიღებს. დროგს გაისტუმრებენ.

— აბა იზრავლ.





ქართული

ენციკლოპედია

— რა გინდა ბატონო?

— სად არის ვათხრილი?

— აი აქა...

— მივიტანოდ.—უ-უ! რა ქარია.. თავის დღეში არ მინახავს, რჯულის მადლმა, ასეთი ქარი.

— ჩავდოთ.

ორმა კაცმა სამარეში ჩაისვენეს ტომარა. იზრავლმა ბარი მოიშარჯვა.

— ღვდლისათვის დაგვეძახა იზრავლ, ქრისტიანი იყო.

— რად უნდა მღვდელი. ქრისტე მაინც აღარა სწამდა.

— მივაყაროთ.

— მივაყაროთ.

მრისმა მიწინ რბილი ხრიალი.

— იზრავლ.

— რა?

— ხომ ვერავეინ შეამჩნევს ამ საფლავს?

— ვერავეინ რჯულის მადლმა. დღეს ქარი ხრეშს ნიაყრის ბლომად. შერე დააწვიწს. დაათოვს. გაზაფხულზე გეჯილი მოვა მშვენიერი.

— ეყოფა წავიდეთ.

— წავიდეთ.

ქარი ღრიალით დასტრიალებდა ქალაქს და მგზავრებს მტვერსა და ქვიშას აყრიდა პირში.

\* \*

ქალაქში არაჩვეულებრივი ხმებია. კორებს დასასრული არა აქვს. ამბობენ, რომ წუხელ საღამოს, სადგურის საღაროს მიადგა, ნაცრის ფერ კოსტუმში გამოწყობილი შაიბუნი. იყიდა ბილყთი. ჩაჯდა მატარებელში და ქალაქიდან წავიდა.

იმ საღამოს, ამისთვის, დიდი ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან, დეპეშებმა, ამცნეს ქალაქს, რომ რუსეთი ომს უცხადებდა ავსტრო-უნგრეთს.

ბაღში ისმრდა სამხედრო მუსიკა და ჯარის გახუწყვეტილი ვაშა.

## იხლის რესპუბლიკის დამსხვრევა

„ის რიგრიგობით იცავდა და ებრძოდა  
ევროპის ყველა ეზოვნებას და სამუჯერ  
იხსნა თავისი სამშობლო... მაგრამ გმირ-  
მა უკანასკნელად ვეღარ გააჯორა  
ღუშაში“.

ა. ფრანს.

თავი პირველი

### ღმნაკალ ოკპინებტონის მისია.

თქვენ რომ შეეკითხვით ნაუტილიის დიდ საზღვაო სახელმწიფოს რომელი-  
მე კეთილ-მოაზროვნე მოქალაქეს, თუ ვისა სთელის თავისი სამშობლოს უფრო  
სახელოვან მოღვაწედ, ამ უკანასკნელი ზუსტი წლის განმავლობაში, ის, თითქმის  
დაუფიქრებლად გიპასუხებთ: „რა თქმა უნდა, ლენერალ ჩარზლ ორპინგტონს“.

უფრო მეტიც... მოქალაქე, რომელსაც თქვენ შეეკითხეთ, ამოიღებს თავი-  
სა ჯილდოს ჯიბიდან საათს, გადაიხსნის სახურავს და კაეშნიანი სიყვარულის  
ამოთხერით გიჩვენებთ პორტრეტ-მინიატიურას ხანში შესული კაცის, ენერგიუ-  
ლი მკლე სახით და მზიარული, თითქმის ახალგაზღვური თვალებით.

ასეთი საათები ერთ დროს სარგებლობდენ ნაუტილიაში მეტის-მეტი პო-  
პულიარობით და საათის ფირმას მაკ-კლიურ და ანზ-ბას მან მისცა ფერომენა-  
ლური მოგება, ვინაიდან ყოველი მოქალაქე თავის მოვალეობად სთელიდა ჰქო-  
ნოდა დიდებული სარდლისა და პოლიტიკოსის სურათი.

საათებს უშვებდენ გასაყიდათ სხვა და სხვა ფასებში, რათა დაეკმალოფი-  
ლებიათ მოთხოვნილება არა მარტო საზოგადოების მაღალი ფენებისა, არამედ  
ულარიბესი ნაწილისაც, ვინაიდან ნაუტილია არის მზარე ფართე დემოკრატიუ-  
ლი პრინციპებით.

საათის პატრონი კიდევ დაუმატებს ამოთხერით, რომ თუმცა ცილის მწა-  
მებლები უკანასკნისმგებლო დემოგოგების წრეებიდან და კომუნისტური მიკრო-



ბებით დასწრებული ელემენტები, ბრალსაც კი სდებენ ორპინგტონს, თითქოს მისი მიზეზით დაღუპულიყოს რესპუბლიკა იტლ, რომელიც მიენდო ნაუტილიის მთავრობის მფარველობას, ბრალს სდებენ აგრეთვე აღნიშნული რესპუბლიკის დაწესებულებებში დაბანდებულ ნაუტილიის სახელმწიფო ფულების და კერძო კაპიტალის დაკარგვაში, მაგრამ თვით სერჩარლზი, მთელი თავისი კეშმარიტად უდიდესი ტალანტის მიუხედავად, უძლური იყო ბედის კაპრიზისა და განგების ნების წინააღმდეგ.

ცილინწანებლები, როგორც ცნობილია, თან სდევნენ ყველა დიდ ადამიანებს და ძველ რომში ასეთები საგანგებოდ ჰყავდათ დაქირავებული გმირის დიდების უფრო გასაძვიადებლად.

როცა პორტრეტს დააკვირდებით, თქვენ დაინახავთ თავის ირგვლივ ლათინური ასოებით სუფთა წარწერას: „Salvator et liberator populorum minorum“, ნუ შესწუხდებით და ნუ დაიწყებთ წიგნისაკცავეებში და არქივებში, ლენერალ ორპინგტონის ბიოგრაფიისა და ნოლვაწივობის შესახებ ნაბეჭდი ცნობების ძებნას, ვინაიდან ჩვენ ესლავე ვავისეირნებთ მისი სახელოვანი ცხოვრების გზებზე, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხისათვის მთელი შესაძლებელი ცოდნითა და კეთილსინდისიერებით.

ლენერალ-ადიუტანტი, წმინდა რევიჯიის დიდი ჯერის კავალერი, ლენერალ-კვარტირმეისტერი მისი დიდებულების საკუთარი ბინისა, სარდალი, ვინაც თავი ისახელა სამშობლო მხარის ისტორიაში კოლონიალურ ჯარის ლაშქრობით დანაკილში, რომელიც ნაცარ-ტუტას იქნა ქცეული, მეორე ვაეი ჰერკოვ ჯემს რეჯინალდ მეგვამისა, — სერ ჩარლზ-ალეერნონ, ლორდ ორპინგტონი, შევიდა მისი დიდებულების სამსახურში მძიმე გვარდიის კავალერიის სუბ-ლეიტენანტად 1892 წელს, 11 ივნისს.

მისი სამსახურის პირველი ხანების შესახებ 1897 წლამდე ძლიერ ცოტა ცნობები მოიპო ბა, მაგრამ ამ წელს მან გიტაცა სერჯონის სახელგანთქმული ლამაზი ქალი — ლედი სილვია ბრაიტონ და როცა იმ ქალის ქმარმა გაიწვია დუელში, ორპინგტონმა დაწნის ბრწყინვალე შემოკვრით იქვიანს ჩამოაცალა ცხვირი და ზევითა ბაგე.

ამ მოღვაწეობამ, ბოლოს და ბოლოს, უმაღლეს სარდლობას ყურადღება მიაქცევია ახალგაზდა ლორდის ბრწყინვალე ტალანტისადმი, და ის უმცროს-უფროსობის რიგის გარეშე აყვანილი იქნა მისი დიდებულებს საკუთარ კირასითა პოლკის ლეიტენანტის ხარისხზე.

შეურყებლივ მიდიოდა-რა ზევით სამსახურის კიბეებზე და იხვიცდა სახელს ახალ-ახალი დასახურებებით გვირვინისა და აგრეთვე პარლამენტის წინაშეც, ვინაიდან ნაუტილია, იმ უხსოვარ დროიდან, როცა მისმა მოკალაქებმა პირველად გადასცვილეს ტყავის წინსაფრები ასეთსავე შარვლებზე, იყო ზომიერ



კონსტიტუციონალური სახელმწიფო, რაც შეადგენდა მისი ეროვნული სიამაყის საფუძვალს, — ლორდ ორპინგტონს მუდამ ანებებდა ბედი.

იმ დროისთვის, რომელსაც ჩვენ აქ ავწერთ სერ ჩარლზ-ალექსანდრე მონტაგუა რეპუტაცია გამოცდილი სტრატეგისა და მოხერხებული დიპლომატის, რადგან მას არ სახლწრავდენ ისეთი ვიწრო შეხედულებანი, ჩვეულებრივ რომ ახასიათებს სამხედრო პირებს, და რაც უმთავრესია ითვლებოდა მომხიბლავ მოსაუბრედ და ბრიჯის თამაშის ერო-ერთ საუკეთესო მცოდნეთ.

ამიტომ, როცა პარლამენტი ეძებდა სამხედრო-დიპლომატიურ ექსპედიციის ხელმძღვანელს, რომელიც იგზავნებოდა იტლის რესპუბლიკის გამოსაქომაგებლად, რომელიც იბრძოდა თავისი ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, დაყოფილ და საოქალო ომის ცეცხლში გახვეული, ყოფილ აღმოსავლეთის უდიდესი იმპერიისაგან. — კაბინეტის ყველა წევრი ერთსულოვნად შეჩერდნენ ლენერალ ორპინგტონის კანდიდატურაზე.

— ეს კაცი, ბატონებო, — სთქვა პრემიერ-მინისტრმა, — იქნება მდგომარეობის სიმალღებე, როგორც ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ღირსეული წარმომადგენელი, როგორც მებრძოლი წინამძღოლი და აგრეთვე, როგორც იშვიათი სიფრთხილის მქონე დიპლომატი, რომელიც თავიდან აგვაცდენს საერთაშორისო გამწვავებაში ჩათრევის საშიშროებას. გარდა ამისა... — პრემიერმა გაიღიმა მრავალწინა მზერაგანად და მიიღო არაოფიციალური ტონი, — თუ შევხედავთ ამ ისტორიას არსებითად, არ შეიძლება არ აღვნიშნოდ ის, მე ვიტყვოდი, ოპერეტული ხასიათი, და მე ვფიქრობ, რომ ბრწყინვალე ჭკუამაზებლობა სერ ჩარლზისა და მისი მიდრეკილება ბლეფისადმი... თქვენ გესმით?..

მდუმარე კოლეგებმა თავის დახრით ანიშნეს, რომ მათ ჩინებულად ესმით პრემიერის აზრი და სერ ჩარლზის დინიშენა პარლამენტისა და გვირგვინის-დასამტკიცებლად გადაიგზავნა.

გვირგვინის მხრით ადგილი არ ჰქონია არავითარ შეკამათებას, თუმცა მისმა დიდებულებამ გამოსთქვა მწუხარება, რომ დიდი ხნით სცილდება თავის მწვანე მაგიდის პარტნიორს, მაგრამ, ვინაიდან ის აღზრდილი იყო სასტიკ კონსტიტუციონალურ საფუძვლებზე, მას ესმოდა, რომ მონარქმა უნდა შესწიროს სახელმწიფოს თავისი პირადი ბედნიერება, და ამიტომ მოაწერა ხელი ბრძანებას.

მაგრამ პარლამენტში მოხდა სკანდალი. უკიდურეს მემარცხენეთა დეპუტატმა ჯიბბასმა, ცნობილმა თავისი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებით და პატრიოტიზმის უქონლობით, ტრიბუნიდან მთავრობას მიახალა თავბედი ფრაზა, რომ, თუ მთავრობა იმდენად ბრძა, რომ არ სურს დაინახოს, როგორი უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის მხარეს, როცა თავისი მტაცებლური პოლიტიკით პროლეტარიატს თავზე ახვევს აუტანელ სიძნელეს, ყოველ შემთხვევაში ის მიინც უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება გაიგზავნოს სრულუფლებიან წარ-



ქართველთა

მწიგნობართა

მომადგენლად კაცი, რომელიც ატარებს ქათმის გვარს. ამასთან ერთად ჯიბინსმა ისარგებლა შემთხვევით, რათა ეთქვა, რომ მხარის ხსნა არის კომუნისტურ რევოლუციაში, მაგრამ თავმჯდომარემ დაუყონებლავ წაართვა სიტყვა და გამოორიცხულ იქნა ხუთმეტრი სხლომიდან.

სამხედრო მინისტრმა, რომელიც ავიდა ტრიბუნაზე პასუხის გასაცემად, ნათლად დაამტკიცა, რომ ლორდ ორპინგტონის გვარი კი არ წარმოსდგება ქათმების განთქმულ ჯიშისაგან, არამედ პირიქით—ქათმებმა მიიღეს თავისი სახელწოდება ორპინგტონის ბრწყინვალე გვარისაგან, რომელთა დამსახურება ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში აღნიშნულია ქრონიკების შემდგენელის, ნეტარ ტიკასი ჩეზლევისკის მიერ.

ოპოზიციის საბრალო კნავილი დაჰფარეს ლიბერალური ბლოკის აპლოდისმენტებმა.

აი რატომ მოხდა, რომ ცხრა აპრილს, უამრავი ბრბოს თანადასწრებით, სერ ჩარლზ-ალყერნონი კეტროუნის ნავთსადგურიდან დაიძრა კონტრ-ადმირალ კროუზონის დრედნოუტით—„უტიფარი“-თ.

მის განკარგულებაში იყო შიდა ზღვის დამხმარე ესკადრა, რომელიც შესდგებოდა ორი დიდი საომარი ხომალდისაგან, ოთხი დიდი საომარი კრეისერი-საგან, მსუბუქი კრეისერის „ამეტისტის“, თერთმეტი კონტრ-ნაღმოსანის და ორი შორი ზღვაოსნობის სუბმარინისაგან.

ამას გარდა ესკადრას ახლდა ხუთი ტრანსპორტი საექსპედიციო კორპუსის ქვეითი ბრიგადით, არტილერიით, ჰაეროპლანებით და სხვა დამხმარე იარაღებით.

როცა ვაშლილ ზღვაში შესუკურდნენ, სერ ჩარლზმა, რომელიც საადმირალო კაიუტაში არხეინად წამოწოლილიყო დივანზე, უბე სუფრასთან ჯანზე მომყვანი მაგარი სასმელებით, გახსნა დიდ გვირგვინიან ბეჭდით დაბეჭდილი ტილოს პაკეტი და ცნობისმოყვარეობით დააცქერდა საიდუმლო ინსტრუქციის აბრეშუმის შრიალა ქალაღდს.

იქ ნათქვამი იყო, რომ საექსპედიციო კორპუსის უფროსს ევალება გამოეკომავოს იტლის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ეროვნულ და პოლიტიკურ თვითგამორკვევისათვის ბრძოლაში ყოფილ ასსორის იმპერიის ანარქიული ბანდების წინააღმდეგ, რომლებმაც გადალახეს ყველა საღმრთო და საკაცობრიო კანონები, მაგრამ ლერერალმა მისდამი რწმუნებული ნაუტილიის ჯარი არ უნდა გამოიყენოს სამხედრო მოქმედებისათვის, რათა თავიდან აცდენილ იქნეს საერთაშორისო კონფლიქტი.

საექსპედიციო კორპუსს მთავრობა ავალებდა მხოლოდ შინაგან სამსახურს და იტლის სანაპიროების დაცვას, რაც მფარველობის ქვეშ მყოფ რესპუბლიკას მისცემდა საშუალებას მთელი შეიარაღებული ძალები გადაესროლა ფრონტზე, ისე რომ რესპუბლიკის შიგნით საქმის გართულების შიში არა ჰქონოდა.



ცალკე ხაზგასმული იყო, რომ ვინაიდან იტლის რესპუბლიკის აქვს დიდი ძალი ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგრამ ახალგაზრდა რესპუბლიკის მრეწველობა საკმაოდ განვითარებული არაა, ნაუტილია მზად არის აღმოუჩინოს მას მატერიალური დახმარება და გაუხსნას კრედიტი სახელმწიფო და კერძო კაპიტალით, იმ პირობით თუ რესპუბლიკა მისცემს დაბანდებული თანხის სათანადო უზრუნველყოფას გრძელვადიანი სამრეწველო კონცესიების სახით.

დარიგებას აძლევდნენ, გამოეჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე და ტაქტი, და ინსტრუქციის ტექსტს თან დართული ჰქონდა, სქელ მწვანე კონფერტში ჩადებული წერილი, მისი დიდებულების პირადი ბეჭდით.

იცნო-რა მონარქის საკუთარი ხელნაწერი, ღენერალი ორპინგტონი წამოდგა და ზეზე წაიკითხა:

„ღენერალო! ვინაიდან, ვგრძნობ, რომ თქვენ მოგაწყენს მინისტრების ნახლართების კითხვა, — მე გეტყვით რამე უფრო საინტერესოს. საგარეო საქმეთა სამინისტროში მოიპოვება ცნობები, რომ იტლის მცხოვრებთა შორის არსებობს მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელსაც მსურს თავი შეაფაროს ჩვენი გვირგვინის ძლიერებას, ისეთივე ავტონომიის პირობით, რომლითაც სარგებლობენ ჩვენი ერთგული ახალშენები. თქვენ შეგიძლიათ ინსტრუქციის თანახმად ითამაშოთ დიპლომატიური ოთურმა, თუმცა მე ვეჭვობ, რომ მას გირჩევნიათ კარგი ბრჯი, მაგრამ ნუ გაუშვებთ მხედველობიდან ზემოხსენებულ საქმეს. მწანს რა თქვენი ენერგია და კეთილშეგონება,

დაეშთები თქვენდამი კეთილმდრეკილი გონორიი XIX.“  
ლორდ ორპინგტონმა მიიხედ-მოიხედა, შემდეგ აიღო წერილი საშაქრე მათით და მიადო ანთებული წუმწუმში.

აბლი ძირს დაავდო და მოსრისა ფეხით.  
როცა, კრძალულებით აღსავსემ, მოსპო სახიფათო მონუსკრიპტი, ღენერალი დაფიქრდა.

არსებითად რომ ესთქვათ, ინსტრუქციაში არაფერი ისეთი არ ყოფილა, რისი ვაგებაც მას გასჭირვებოდა.

მან იოლად გააჩია ინსტრუქციის შიფრი, ისე იოლად, როგორც მონმარტრის აპაში კითხულობს ხოლმე რამდენიმე ნიშანს მხოლოდ მარტო მისთევის გასავებ ქარგონზე, რომელიც მიწერილია დუქნის კედელზე პარიზის გარეთ უბანში და სადაც ნაჩვენებია მარტივად და ნათლად, რა დროს უფრო მოხერხებული იქნება დუქნის პატრონის მიზრჩობა და სად ძვეს ყუთი რენტიო.

ინსტრუქცია, რომელსაც ეკავა საწერი მანქანის მიჯრილი ტექსტის სამი თაბახი ქალადი, მისთევის გამოიხატებოდა ქვის ხანის პრიმიტიულ ფრაზაში:

„მოხერხებულ წამს შექმულ იქნას მისი ნაწლებებიანად“. ვინაიდან უნდა გაეიმეოროდ, რომ სერ ჩარლზი იყო გამოცდილებს მქონე სახელმწიფობრივი კაცი, მან გააბოლა თამბაქო და დააცქერდა მიჩმანის



მშვენივრად დაუთოვებულ თეთრ შარვალს, რომელიც მოსახლდა ხომალდის ერთ-ერთ კაიუტის ფანჯრიდან.

და აღნიშნულ შარვალს ხმამალლა მიმართა შენდევნი სიტყვებით:

— მე ჩინებულად მესმის, თუ რა გსურს თქვენ! მაგრამ ნება მიბოძეთ, ზნეობრივი ჯილდოს სახით იმ ვერაგული თბუზნიაობისათვის, რომელსაც თქვენ მავალბთ, შეემოსო იგი ჯანსაღი სიცილის ბრწყინვალე შესამოსელით. ნება მიბოძეთ გავითამაშო ის უკვდავ კომედიის dell arte-ის კეთილშობილური სტილით. მეც ხომ უნდა მერგოს მცირეოდენი სიამოვნება იმ საჩუქარისაგან, რომელიც ჩემ მიერ მიერთმევა სამშობლოს.

სერ ჩარლზ ჩაჯდა ღრმა სარწეველ-საფარძელში და კარგა ბანს გაუნძრევლად იყო ის თავისი ნათელი, გრემა თვალებით მისჩერებოდა აქარგულ, მალაბიტის ფერ ლენტს, რომელიც ფრიალებდა „უტიფარის“ ტიმონზე.

და უეცრად... ო, რას იტყოდენ უკიდურეს შემარცხენეთა დეპუტატები?... უდიდეს საზღვაო სახელმწიფოს წარმომადგენელი ზურგით გადაქანდა საფარძელში და დაიწყო ფეხების ქნევა და ხარხარი, სწორედ ისე, როგორც იქცევა ხოლმე ცელქი ბავშვი როცა რაიმე ცუდს იტყობას ჩაიდენს.

მაგრამ ერთი წამის შემდეგ ისევ მშვიდით იჯდა, აღსავეს იმ სამაგალითო ღირსებებით, რომლითაც მან დაიმსახურა მოქალაქეთა საერთო პატივისცემა.

.....  
მოგზაურობის მეექვსე დღეს, პორიზონტის ღურჯ სიღრმეში გამოჩნდა მსუბუქი ლილის ფერი კვამლი.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ სერ—წარმოსთქვა უმფროსმა ლეიტენანტმა, რომელიც მხედრულად გამოეჭიმა ლენერალს,—რომ გამოჩნდა იტლის ნაპირი.

სერ ჩარლზი ავიდა ბანზე და შიკრიკს გამოართვა დურბინი.

ლილისფერი კვამლი თანდათან იზრდებოდა. მწვანე ფონზე გამოჩნდნ ვარდისფერი კლდეები, თვალწინ გადაიშალენ სანეტარო მიდამოები ვილლებით, სასახლეებით და აგარაკებით.

ნაპირიდან მოდიოდა ყვავილებისა და ხეხილების დამატკბობელი სურნელება, ვინაიდან რესპუბლიკა იტლ იყო კურთხეული სუბტროპიკული კუთხე-უდარდელი როგორც ბავშვის პირველი ღიმილი.

ახლოედებოდნ, პლატანის ფოთლებით დაჩრდილული, იტლის სატახტო ქალაქის პორტო-ბლანკოს შენობები.

ზღვაში გამოდიოდა, ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელივით, ვიწრო მოლი და მის ბოლოში აღმართული მიაიკი, კლდეებზე გაიეღვეს ფორტების პირქუშმა კედლებმა, რომელნიც იცავდნ ცისფერ ნავთსადგურის შესავალს.

და, ღუზების ჩაშვებასთან ერთად, ლენერალ ორპინგტონის ესკადრის ხომალდებიდან დაიქუბა სალიუტმა ზარბაზნების ოცდა ერთჯერ გასროლით, იტ-



ლის ეროვნული დროშის პატივისცემის ნიშნად, რომელსაც არხვედა ქარი ფორტის პარაპეტზე.

დროშა იყო ორი ფერის—მკვეთრი-მწვანე და ყვებილ-ვარდისფერი.

„იმედისა და მეოცნებე მელანქოლიის ფერი,—გაიფიქრა სერ ჩარლზმა, როცა ის მიდიოდა კაიუტისაკენ, სადღესასწაულო მუნდირის ჩასაცმელად—ეს არც ისე ცუდია მზიარული დასაწყისისათვის“.

### თავი მეორე

#### პაპაიღმინი და მარი

შუადღის მზით გათანკარებულ ტერრასზე, ყველაზე უფრო დამაბრმავებელად მოვლვარე წინწყალს შეადგენდა, აღისფერი ლენტის რომელიც პრეზიდენტს გადარტყმული ჰქონდა ღლია-მხრიად. ლენტის ბოლოები მკერდზე იყო შეკრებილი ფოჩათ, ფოჩზე ღალთა სისხლიან იღებით ბრკევილებდა ორდენის ვარსკვლავი.

ეს იყო დემოკრატიული თავისუფლების ორდენის პირველი ხარისხის ვარსკვლავი.

პრეზიდენტმა თვით ამოირჩია ლენტის ფერი და სამი კვირა მოანდომა მხატვართან ბჭობას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ვარსკვლავი. უკანასკნელად შეჩერდნ იდეაზე, რომელიც წარმოადგინა ისევ პრეზიდენტმა. ვარსკვლავის ცენტრში, მრგვალ ლავეარდოვან მინდორზე ახალგაზრდა სამსონი დანარცხებულ ლომს, რომელიც გამოხატავდა ტირანის, აგლევს უბის.

ვარსკვლავს ჰქონდა ხუთი სხივი, რაც გულისხმობდა ხუთი თავისუფლების სიმბოლოს: თავისუფლებას ბეჭდვის, კრებების, კავშირების, სინდისის... და თავისუფლებას საზოგადოთ.

როცა ერთი ფარული არაკეთილ მოსურნე შეეცადა მიეთითებია პრეზიდენტისათვის, რომ ასსორას უკანონო მთავრობამაც თავის ემბლემად ხუთქიმიანი ვარსკვლავი აირჩია, მან აიჩნა მხრები და უპასუხა შემწყვლაველი ათვალწუნებით:

— მერე რა? იმათთვის ეს მხოლოდ უაზრო ვარსკვლავია და ჩვენთვის კი ყოველ სხივს აქვს დემოკრატიული მნიშვნელობა; და მეორეც, უნდა მოგახსენოდ, რომ უპასუხისშეგებლო კრიტიკაზე ადვილი არა არის რა.

როგორც-კი დაამტკიცა სტატუტი პარლამენტმა, უკანასკნელმა-პრეზიდენტს, მისი მოქალაქობრივი მხნეობის აღსანიშნავად, მიუძღვნა ახალი ორდენის პირველი ხარისხი. ორდენის ჩაბარება მოხდა დიდის ზეიმით: სიტყვები წარმოსთქვეს პარლამენტის ყველა ჯგუფების წარმომადგენლებმა, უკრავდა მუსიკა და მოწყობილი იქნა ჩინებული ფეიერვერკი.

ორდენის მიღების დღიდან პრეზიდენტი აღარ იხდიდა ფრაკს აღარც თავისწინად ყოფნის დროს. და ბოროტი ენები ამტკიცებდნ რომ, ჰბაძედა-რა დიდი თამურის კანონს, ბატონმა ატკინმა გადასწყვიტა ეტარებია ზეითა ტან-





ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

საცმელი მანამდე, სანამ იგი, სიძველის გამო თვით არ შემოაცვდებოდა მის მსუქან ტანს.

ეს მოთხოვნები იყო უკვე აშკარა გადაჭარბება, მაგრამ ერთი ფაქტის სინამდვილის თავდები კი იყო პრეზიდენტის მეუღლის კამერისტკა.

სახელმწიფოს შეთაურის დასაჩუქრების შემთხვევის გამო გამართული ბანკეტის ღამეს, პრეზიდენტმა ლოგინში დაწოლის დროს პერანგზე ღლია-მზრად გადაიკიდა ლენტის და ტკბილად დაიძინა, მაგრამ გათენებისას გამოაღვიდა მეუღლემ მაგარ-მაგარი მუჯღუფუნების კვრით, თანაც სასტიკი პროტესტი განაცხადა საბედისწერო ვარსკვლავის წინააღმდეგ, რომელმაც სულ დაუფხაქნა გვერდები.

პრეზიდენტი მეტად აღაშფოთა ასეთმა პრეტენზიამ, მეუღლეს უწოდა მეზუდოს პრინცესა და იმ დღიდან ბრძანა, რომ მისთვის საწოლი გაეწალათ კაბინეტში დივანზე; ამ რიგით მან დაარღვია ოჯახური სარეცელის მთლიანობა. მაგრამ ვარსკვლავი იყო მხოლოდ მოხერხებულად მოგონილი მიზეზი, ვინაიდან პრეზიდენტი დიდი ხანია განიცდიდა სურვილს განთავისუფლებულიყო თავისი ცოლის ღამის მეზობლობისაგან მრავალი მიზეზით. უნდათვრესი მათ შორის იყო პრეზიდენტის მეუღლის მეტის-მეტე სიგამბდრე, რადგან უკანასკნელის მთავილი ძელები, სიმსუქნეში შესულ სახელმწიფოებრივ პიროვნებას აწუხებდნენ არანაკლებად, ვინემ მის მეუღლეს ვარსკვლავის ძვიდებები.

მეორე მიზეზი იყო ოცდაათი წლის ქალი სოფი, რომელიც ასრულებდა, პრეზიდენტის მოხარდი ვაჟის ბონნას მოვალეობას, მაგრამ ვინაიდან ამ უკანასკნელ მიზეზს არაოფიციალური ხასიათი აქვს, ჩვენც ნუ დავიწყებთ მასზე ბევრ ლაპარაკს.

ტერრასა, სადაც პრეზიდენტი მიირთმევდა ხოლმე საუზმეს, თავის ოჯახობასთან ერთად, გადაჭყურებდა ზღვას, რომლისაგანაც ეშვებოდა საკირე ქვით ნაკეთები გზა. კიდეებზე გამწკრივებული პალმებით. ტერრასა გარემოცული იყო ამწვანებული ხარდნებით, რომლის ხშირ ფოთლებიდან იჭვრიტებოდნენ მზის სხივები და ათამაშებდნენ თეთრ მოხატულ იატაკზე, სუფრაზე და ვერცხლისა და ბროლის ქურკლებზე სხვადა სხვა მხიარული ფერების ტალღებს.

პრეზიდენტის პირდაპირ გვაბრუნდა საუაფესთან იჯდა, ახალ გასალაშინებულ კუბოს ფიცარივით სწორი, ქალბატონი ატკინი. მისი თხელი და გრძელი ცხვირი ჰგავდა, ფიცარში სიბრტყის პერპენდიკულიარულად ჩარკობილ პალოს.

თვრამეტი წლის ქალი პრეზიდენტისა ლოლა, რომელსაც ეცვა თხელი გამსჭვირავალი ჩით-შერდინი, ზარმაცად ფურკლავდა ფრანგული რომანის გვერდებს, ის ხშირ-ხშირად ისწორებდა შეკრევილ თმებს, მამამისის ორდენის ლენტის ფერად რომ ჰქონდა შეღებილი.

პრეზიდენტის ცამეტი წლის მემკვიდრე აქნევდა ფეხებს და ირწევდა სკამზე; ამავე დროს ის თითით ავლებდა თეფშზე გარჩიცის ხაზებს და მღეროდა ეროვნულ ჰიმნს აშკარა ოპერეტული ვარიაციებით.

ნამცხვარებით ვავსებულ ხონჩის იჭით იჯდა, სიცოცხლით სავსე, ლოყებ ჩაფუნათუშებული ბონნა სოფი.



ქართული

ის იჯდა თავდახრილი, მოკრძალებული და მშვიდი, ვისკაცობის სიტყვებით ვერ შენიშნაედა მასში გარინდულ ვაკხიურ მძაფრ ენებას, რომელიც ასე იტაცებდა პრეზიდენტ ატკინის გულს და ანთავისუფლებდა მას ზედნეტი სიმსუქნისაგან.

ყველა ზემოდ დასახელებულნი შეადგენდენ პრეზიდენტ ატკინის ოჯახის წრეს.

ერთად-ერთი უცხო კაცი ამ მშვიდობიან ოჯახურ საუზმეზე იყო სახალხო განათლების მინისტრი, რომელსაც ჰქონდა ფრთხილ გაუმადლარი მადა. ის დილა-ადრიან შინ მიირთმევდა საუზმეს და საუზმის ჩვეულებრივ დროს კი, რიგ-რიგობით ესტუმრებოდა ხოლმე თავის ნაცნობებს, ვინაიდან მისი ცოლი, პიროვნება მეტად მომპირნე და ანგარიშიანი, არ რთავდა ნებას, რომ ერთ დღიამ-ვე დღეს ორჯერ ესაუზმა თავის სახლში.

პრეზიდენტი, რომელსაც თითები შეუყოფილი ჰქონდა ეილეტის ფოლაკებს შორის, ესაუბრებოდა სახალხო განათლების მინისტრს მფარველობითი საბაჟო პოლიტიკის ხელსაყრელობაზე და იმ შესაძლებლობაზე, რომელნიც წინ ეშლებოდა რესპუბლიკის ნავთის სამრეწველოების გონიერული ექსპლოატაციის გზით.

ის ლაპარაკობდა ნარანარად, დაბეწვილად და გძლად (პრეზიდენტი ატკინი იყო ვეტილი). მოქნილად ჰკვეთდა პერიოდებს და მოჰყავდა ციტატები რობერტ ოუენიდან, მილლიდან და ბემ-ბავერკიდან, პრეზიდენტი თანდათან შედიოდა როლში, მაგრამ უეტრად შეაწვევტინა ლაპარაკი მისმა ქალმა, რომელმაც უქნაყოფილოდ გადასდო წიგნი გვერდზე.

— ღმერთო ჩემო!— წარმოსთქვა მან, დაიანხვა რა მინისტრს თავისი ლამაზი ტიტველი მზრები, რომელსაც აჩენდა მოლიადებული ტანსაცმელი, — იმის შემდეგ, რაც შენ პრეზიდენტი ვახდი, მამაჩემო, სწორედ აღარ შეიძლება მადიანად ისაუზმოს კაცმა. ხუ თუ შენი გკონია, რომ-საბაჟო გადასახადებზე საუბარი შეველის საქმლის მონელებას?

პრეზიდენტი მოიღუშა.

— მე მგონია, ლოლა, რომ თქვენი უადგილო ჩამორევა ჩენს საუბარში არის გაუგებრობა. თქვენ, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელის ქალს, არ გაწყენთ რომ იყოთ პოლიტიკური საკითხების კურსში, რათა თვით არ ჩაეარდეთ უბერხულ მდგომარეობაში და არ გააბიბაროთ მამათქვენიც.

— ეს-ლა დარჩა!— უპასუხა ლოლამ და გადააქანა მზრები. — თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი საქმროები მოითხოვენ ჩემგან პოლიტიკურ საუბარს? მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, მამაჩემო, ნათი სურვილია მხოლოდ, რომ მე ვიყო კარგ ფერზე, არ მეცვას მოკრძალებული ტანსაცმელი და მქონდეს საკმაო ტემპერამენტი. და თქვენი სენტენციების მეოხებით კი მე ვემგზავსები მძინარე თევზს. ხუ თუ თქვენი ვსურთ, რომ მე მექნეს უბედური იღბალი?

პრეზიდენტმა გამოიღო თითები ეილეტიდან და მის სახეზე აღიბეჭდა აღმდოთება.



ქართული

— ქალო ჩემო! თქვენი საქმროები არ არის მთელი... მე ვალდებული ვარ ყური დაუგდო მთელი ხალხის ხმას.

— მაგრამ, მამაჩემო, ყველას თავის დარდი აწუხებს! ბოლოს და ბოლოს ხალხი შენ გაინტერესებს ისეთივე მიზეზით, რა მიზეზითაც მე ჩემი საქმროები. ხალხი შენ გელოლიაფება, ვარჩენს, და კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფები, იმიტომ რომ შენგან არ თხოულობენ ტემპერამენტს.

პრეზიდენტის მუშაობის კუბოს ფიცარი გაეჭანა და ცხვირის ქვეშოდან გაისმა მსტენინაი სივილი:

— ლოლა! ქუედიდან შეიშალე?

— ოჰ, დედაჩემო! თქვენ სასტიკით ჩამორჩით თქვენი პირველყოფილი მორალით. მე სრულიადაც არა მსურს ვიარო თქვენს ნაკვალევზე ოჯახურ ცხოვრებაში. მე მინდა ვიყო ნამდვილი ქალი და ნამდვილ ქალს უნდა ჰქონდეს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ტემპერამენტი. თქვენ როგორ ფიქრობთ ბატონო პროფესორო?

განათლების მინისტრი, რომელმაც ის იყო ქათმის მკერდით გამოიტენა პირი, კინალამ დაიხრჩო და გაურკვეველად ამოლარღნა:

— ჰმ... რასაკვირველია... მეცნიერება ამტკიცებს...

— და, რასაკვირველია, მე ვფიქრობ, რომ ერთი ქმარი შემძლია გაეაბედნიერო. მაგრამ მაშინ რა იქნება, რომ ჩემგან ტემპერამენტი მითხოვოს მთელმა ხალხმა? ბრ... ეს საშინელება!

ქალბატონი ატკინი მედიდურად წამოდგა, პრეზიდენტმა გაიღო პირი, რომ თავისუფლად მოაზროვნე ქალის საყურადღებოთ წარმოეთქვა მეცნიერულად დასაბუთებული სიტყვა ზნეობაზე, და ვინ იცის რით გათავდებოდა პრეზიდენტის საუბრე, რომ ტერრასაზე არ მიერბინა გაწითლებულ და აღელვებულ პრეზიდენტის პირად მდივანს.

— რაშია საქმე? რა ამბავია? მე, ვგონებ, ვთხოვეთ რომ არ შეგეწუხებინეთ საუბრის დროს?— უკმაყოფილოდ ჰკითხა პრეზიდენტმა.

— უკაცრავად... ტელეფონით... ნავთსადგურის კომენდანტი... ლორდ ორპინგტონის ესკადრა!..

ის რაც მოხდა ტერრასაზე შემდეგ წამში, გადაჭარბება არ იქნება თუ შევადარებთ პანიკას, როგორიც ხდება ხოლმე ყველა ოჯახში როცა ხანძარი გაჩნდება.

პრეზიდენტი უცებ წამოხტა ზეზე და გადააგდო ხელსახოცი.

ლოლამ მიაშურა ტერრასის კიბეებს და იქიდან სასწრაფოდ მიიძახა მდივანს:

— ვრი!.. ჩქარა აქ მოიტანეთ ზღვის დურბინი, თორემ სული წამივიდა.

სოფიმ წაიყვანა თვალებ დაცეცხვული მემკვიდრე, მადამ ატკინი ნერვიულად კმუჭნიდა სუფრის კიდეს, მაგრამ ისევე სწორად და უძრავად იჯდა. პროფესორი ნაჩქარევად სკობნიდა ზუთხის ხორცს და მღელვარებით იცქირებოდა ზღვისაკენ.

— ჩემო კარგო, — უთხრა პრეზიდენტმა მეუღლეს,

— ამ წუთში მოვა აეტომობილი. ჩვენ წავალთ ნავთსადგურში მისი აღმატებულების შესახვედრად. მხოლოდ მე გთხოვთ ნუ ჩაიცივამთ თეთრ ტანსაცმელს, ჩაიცვი რაიმე ნაცრისფერი ან მუქი.

— ეს ვითომ რატომაო! როდიდან დაიწყეთ თქვენ ჩემი ტულეტის კონტროლი? — უპასუხა პრეზიდენტს მეუღლემ გაბრაზებით.

პრეზიდენტი შეიკრუნჩხა, მაგრამ მაინც მოიკრიბა ძალა და სთქვა:

— მე, როგორც პასუხისმგებელი პიროვნება შეხვედრის ცერემონიალისა, ვალდებული ვარ, რომ ყურადღება მივაქციო, რათა ყველაფერი რიგზედ იყოს, და თვით შეხვედრას უნდა ექნეს სიცოცხლით სავსე მზიარული ფლფერი. თქვენ კი, ჩემო კარგო, თეთრ ტანსაცმელში ჰგეებართ... — მაპატიეთ ბიბლიური მაგალითისათვის... — ლაზარეს სუდარაში გახვეულს... მე პირადათ ამით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესი... — დღემატა მან და სასწრაფოდ მიაცქერდა სახეში თავის მეუღლეს.

ის წამოდგა მედიდურად და მრისხანედ განაცხადა:

— მე თქვენნი საქციელი, ჩემო მეგობარო, მიჭვენება უმსგავსოდ! და მე არხად არ წამოვალ, — მე ავად ვარ და ზედმეტად მიმიანია მონაწილეობა მივილო თქვენს პოლიტიკურ მახინაცებებში. და თუ თქვენ ამ შემთხვევისათვის გპირდებით რაიმე სიცოცხლით სავსე და დამრგვალებული, შეგიძლიათ წაიყვანოთ სოფი... ო, მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი ვიცი! — მიახალა მან წინასწარმეტყველის ტონით და დასტოვა ტერასა.

ბატონმა ატკინმა სასოწარკვეთილებით ასწურა მხრები, თუმცა გულში, ძლიერაც უხაროდა, რომ საქმე ასე გარიგდა.

— პროფესორმა, რომელმაც, როგორც იქნა, გაათავა ზუთხის ქამა, გამოემშვიდობა პრეზიდენტს, რომ შინ შეველო და მორათულიყო როგორც წესი და რიგი მოითხოვდა.

იმ წუთში, ტერასის კიბეზე მდგართ, ლოლას და პრეზიდენტის მიივანს შემდეგი საუბარი ჰქონდათ, რომლის დროსაც ლოლა დურბინდით იცქირებოდა ზღვისკენ.

— ოჰ, როგორ მიხარია, როგორ მიხარია!.. ორპინგტონის ესკადრა. რამდენი ახალგაზდა ოფიცრებია, და მერე როგორი! მე საშინლად მომწყინდნენ ჩვენები. მერე იმათ რა საუტხოვო სახელწოდება აქვთ: ლეიტენანტები, ჩვენებს კი... რა უაზრო ხარისხები აქვთ! პორუჩიკი... პორუჩიკი — ეს რალაც პლებერუ-რია, ჰვავს „პრიკაზნიკს“ — და ისინი კი, — აბა იფიქრეთ, გრო! რამდენი ახალი შთაბეჭდილებები!.. ო, მე ვგრძნობ, რომ საოცრად დამიწყო გულმა ლელვა!..

მდივანმა დაღონებულად შეხედა თავისი მფარველის ქალის ნარნარ და ტიტველ მკლავებს; როგორც ყველა მდივანი არის ხოლმე, ისიც მწარედ შეყვარებული იყო და ეხლა უიმედოდ ღონდებოდა, როცა უყურებდა მზიარულებით აღელვებულ ქალის სახეს.

— და თქვენ ისინი არ გეკოდებათ, ვისაც უყვარ ხართ აქ? — გაბედა მან ფრთხილად ჩაარაკება და მწუხარებით ამოიოხრა.



ქართული  
ლიტერატურის  
მემორიალი

ლოლამ ერთი წუთით მოაცილა თვალები ღურბინდს და შეხედა მას გაუ-  
რკვეველი სიბრაღულით.

— ძვირფასო გრი! ჩემი მასაჟისტკა ამბობს, რომ ქალმა არ უნდა იღარ-  
დოს, იმიტომ რომ ეს გრძნობა იწვევს უდროო დაღმეკილობას: მე სრულია-  
დაც არ მინდა დავემსგავსო დედა ჩემს.

და ხელაღვე შეჰკივლა, აღტაცებით:

— ო!.. მე ვხედავ, ვხედავ! ექვსი დიდი ზომილდი და რამდენიმე პატა-  
რები. აი იქნება მხიარულება.

ამ დროს უკანიდან მოუახლოვდა პრეზიდენტი.

— ქალო ჩემო! შენ კიდევ მოასწრებ დაათვალიერო ისინი ახლოდან.  
გაიქექ ჩაიცივი, ავტომობილი უკვე გველოდება, და ჩვენ უნდა ვიქჩაროთ. დაი-  
ხსოვნეთ, ჩემო მეგობარო, ეს სანახაობა! — უთხრა მან მდივანს, როცა ლოლა  
წავიდა და თანაც კლასიკური ენსტით მიუთითა მოახლოვებულ ესკადრის კვამ-  
ლისაკენ. — ეს ახლოვდება სახელი და დიდება ჩვენი სამშობლოსა. დღეიდან  
ჩვენს ისტორიაში ხდება უდიდესი ვარდატეხა. აღიბეჭდეთ თქვენს მესხიერე-  
ბაში ეს ჩვენი მშობლიური ზღვის სილურჯე... (თუმცა პრეზიდენტი ატკინი  
დაიბადა იტლის ტერიტორიიდან სამიათასი ვერსის დაშორებით და პირველდ-  
მობედა რესპუბლიკის ფარგლებში რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც დაანგრია  
ასსორია მაგრამ ზღვას სთვლიდა მშობლიურად და მძაფრად გრძნობდა თავის  
ეროვნულობას). — დაიხსოვნეთ ეს ჩვენი ძღვეამოსილ მოკავშირეთა გემების  
კვამლი, რომელთაც თავისი ზარბაზნების სახით მოაქვთ უფლებებისა და წესი-  
ერების დაცვა, დაიხატეთ თქვენს გულზე, რაც შეიძლება ღრმად, დღეიდანდელი  
ზეიმი, — რომ მოუთხროთ შეილიწვილებს. ამ ზოპალდებს ჩვენთვის მოაქვთ ბედ-  
ნიერება, თავისუფლება, დამოუკიდებლობა... ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება,  
ფართე ასპარეზი ენერჯისა და კაპიტალის განოყენებისათვის. ასეთი დღეები  
ხშირი კი არ არის ქვეყნად. მთელი რესპუბლიკა ერთსულოვნად მიესალმება  
დღეს თავის მეგობრებს.

პრეზიდენტი გაჩუმდა, მაგრამ ხელი მაინც გაწვდილი ჰქონდა ზღვისა-  
კენ, თითქოს ის ელოდა კინოს ოპერატორს.

მდივანის ბეცი თვალებიდან ჩამოეარდა ორი მარჯალიტის ცრემლი. პრე-  
ზიდენტმა ეს შენიშნა და გრძნობიერად ჩამოართვა ხელი თავის შორჩილს.

— თქვენ შეგიაღლიათ შორს წახვიდეთ, ახალგაზრდა მეგობარო. ვისაც  
ასე შეუძლია იგრძნოს თავისი სამშობლოს საქმე, ის ღირსია ატარებდეს მო-  
ქალაქის სახელს. უთხარით კანცელარიის უფროსს, რომ მე ვბრძანე ხვალდან-  
ვე თქვენ ვაგიორკეცდეს ჯამაგრი.

მდივანი დაიბნა და გაწითლდა, ვინაიდან მას არაუფერი გაუგონია, რა  
ილაპარაკა პრეზიდენტმა და ცრემლები კი იყო შედევი გულის ტკივილისა,  
რომელიც გამოიწვია მიუწოდებელ ლოლას უღმობელმა სიტყვებმა. მაგრამ ჯა-  
მაგირის მომატება დიდათ ესიამოვნა, ის უხსნიდა მას ზოგ-ზოგიერთ შე-  
საძლებლობებს.

მდივანი მიაჩერდა გამხნეებული მხერით მისი წამების მიზეზს, რომელიც

გი მოჩნდა ტერრასაზე, დამაბრმავებელი ტანსაცმელით. — და მოკრძალებით გაჰყვა გასაცილებლად პრეზიდენტს და მის ქალს, რომელთაც სახლის შესავალიდან ელოდებოდათ ავტომობილი.

ესლა გადავიდეთ პრეზიდენტის მარმარილოს ტერრასიდან, ზურგი შევაქციოთ მიტოვებულ სუფრას, რომელიც ბრწყინავს ბოლით და ვერცლით, დავტოვოთ იატაკზე მოთამაშე თბილი მზის სხივები და ჩვენი ყურადღება მივაპყროდ ერის ნაძირალებსაც.

ვინაიდან კარგმა მკითხველმა უნდა უფრო დაუგდოს მეორე ნაწილსაც...

მოლის სულ ბოლოში, წამოწოლილი იყო ორი უქმად მოხეტიალე ლატაკი, ისინი დახრილი, თმავარჯნილი თავებით დასჩერებოდნენ ზღვის ლურჯ ტალღებს და დაკონკილი ტანსაცმელი, რომლის ნაფლეთებიდანაც მოუჩანდათ დამწვარი შეეგვრემანი ტანი, მიეშვირათ მზისთვის, ისინი უკეპროდნენ კვამლებს თანდათან რომ იზრდებოდნენ ზღვაში და ხომალდების მოხაზულებებს.

უფროსმა ჩააფურთხა წყალში, მერე ტიტველი ფეხები შეატლინკავა ჰაერში და წაიბურღელა:

— ეს ვინ ეშმაკები დასტურავენ, კოსტა? ა?

უმცროსმა ზარმაცად გაუჭვრიტა.

— ჰა ეს უთუოდ ზღვის გაღმიერი ქაჯები არიან, რომლებზედაც გაჰყვირიან ყველა მეგაზეთეები. ქალაქი გაგიჟდა. დღეს დილით მე გამოვიარე საპარადო პროსპექტზე და ვიღაც იდიოტები რეცხდნენ მას ქეიშითა და საპნით. ისეთი ამბები ხდება, რომ მუცლის კანი არ შეგვრჩება სიცილით. მთელი ქალაქის გოგოები კეულიდან შეიშალნენ. ისინი მთელი დღეობით ტანს იბანენ აბანოებში და პუდრები და პომადები ზომ სულ დააძვირეს. ჯანი გავარდეს რომ ამას ჩადიოდნენ მარტო ყავიანების ტურფები, მაგრამ არა. კაცო, ის გოგოებიც კი რომელნიც ავტომობილებით დაფრიალებენ და კარაქის ზღამანეცს რომ ჰგვანან და რომელთაც ვარდებისა და სხვა ათასნაირი მიქარვების სუნით აუდიოთ — ისინიც კი გატუტდნენ. ასე გეგონება კაცს, რომ ყველა ქალები მზად არიან გაუშალონ ფლოტები იმ უცხოელ არამზადა ახმახებს.

უფროსმა გააქნია ძონძები და ისევ ჩააფურთხა ზღვაში.

მაგრამ მყუდროება კვლავ დაარღვია უმცროსმა.

— ისე კაცმა რომ სთქვას, — წარმოსთქვა მან და დაეყრდნო იდაყვებზე, — ჩვენთვის ყველაფერი ეს ხელსაყრელია. ამელამ მთელი ეს საგიეთი, ეს ჩასუტებული მელტქნეები თავისი შინაური ცხოველებით იქნებიან ქუჩაში და ექნებით ერთი აღტაცებული ღრიალი და ბინები უპატრონოდ დარჩება. აი დამლახვროს ეშმაკმა თუ მე ხვალ ახალი კოსტიუმი არ ვიყიდო. მეც გულით მინდა ერთი დიდკაცურად გავიარო, ეშმაკმა წაილოს ჩემი თავი და ტანი! შენ რას ფიქრობ ათინასე?

ათინასე პასუხს არ აძლევდა. ის დაბეჯითებით მისჩერებოდა ესკადრის წინა ხომალდს და ბოლოს წარმოსთქვა თავის ქნევით:



ქართული  
ლიტერატურის  
ქრონოლოგიური  
ინსტიტუტი

— ნეტავ ერთი გამაგებინა, დანამდილეებით, რა უნდათ რომ შემოდიან ამ ჩვენს ხერელში?

უმცროსმა მოუღრანჯა სახე დაცინევით.

— შენ ბრიყვი ხარ, ათანასე, და არაფერი არ გაგვება დიდკაცების საქმეების. ჩემთვის ნათელია, როგორც ორჯელ ორი ოთხია, რომ ისინი გვეწვივნენ აქ ისეთივე მიზნით, რა მიზნითაც ამაღამ მე და შენ ვეწვევით მიტოვებულ ბინებს. ყველა ისე ცხოვრობს, როგორც მოეხერხება. დიდკაცებს არ შეუძლიათ ჩვენსავე იმუშაონ, იმიტომ რომ მათ სუსტი კუნთები აქვთ, აწუხებთ გულის ფრიალი და სხვა ნარნარი სნეულებანი. ასეთი ბატონო-კაცი თუ შეძრება ბანაკში იმის დაიჭერს, იმ წამსვე ყველაზე უკანასკნელი ჩითახო. ამიტომ ისინი ირჩევენ სხვა გზებს:—სხვადასხვა სააქციო საზოგადოებებს, პარტიებს, ომს, დიპლომატიას. ისინი არ არიან ინდივიდუალისტები და უპირატესობას აძლევენ მასიურ მუშაობას და ურთიერთ შორის შეთანხმებით მოქმედებას, და ჩვენ რომ დაკვირვით კარგების გასაღებათ ლურსმან-კაუჭებს ეხმარობთ, ისინი მსგავს შემთხვევაში მიმართავენ სხვა ოინს, რომელსაც კანონი ჰქვია და რომელსაც ჩვენკენ მუდამ უკანა ნაწილი აქვს მოშვერილი. ისინი მხდალები არიან და მე შინდა ვაფურთხებდე მათ სახეში.

— შენ რაღაც მეტის-მეტად ჭკვიანურ სიტყვებს ლაპარაკობ კოსტა. ხომ არ გინდა შენც იმათ ბანაკში გადახვიდე?

— ნუ სწუხდები! ჭკვიანურ სიტყვებს მე ვლაპარაკობ ჩვეულებით, იმიტომ რომ ბავშობაში მე ისეთ აღზრდას ვღებულობდი, რომ მათ წრეში უნდა მომხდარიყავი. მაგრამ მერე გაგვიკვიანდი. მე მიყვარს ძარცვა სუფთად, ყოველივე გაძრომ-გამოძრომისა და პირობების მუხლების განმარტებების გარეშე. მე რომანტიკოსი ვარ. ისინი მატერიალისტები.

ის ცოტა ხნით დაჩუმდა და შემდგ უცებ წამოჯდა.

— ჰა!.. ყური მიგდე, ათანასე! სანამ ეს მოხეტილე მეშარმანკეები ემხადებიან ჩვენს პატივცემულ სამშობლოს ნაპირებზე გამოსავალად, ჩვენ მათ, მე ვგონებ, შეგვიძლია ავაცანცლოთ ცოტაოდენი თანხა.

— რა ნაირად?

— მე და შენ ეხლავე მივეცურდეთ ხომალდებთან. ხომ ხედავ ლუხების ჩასაშეებათ ემხადებიან. მე ისინი ბევრჯელ მინახავს. იმ ველურებს ძალიან უყვართ როცა გროშების გულისთვის მათ წინ ყვინთაობ. საკმაოა მხოლოდ მივეცურდეთ ხომალდებთან და შევსძახოთ: „ბატონო, გადმოგვიგდე ფული“, რომ ვინმე პაპულა თუთიყუში წამსვე გაიკრავს ჯიბეზე ხელს და მერე მეორე, მესამე და თუ ყვინთვა კი მოასწარი ფულები ჩამოცვივა. ერთ საათში იმდენს მოაგროვებს კაცი, რომ მომჭირნეობას თუ გამოიჩენ ერთ თვეს არხეინად იცხოვრებ ისე რომ ტურფაც გვერდზე გეყოლება. შევეცურდეთ!

მან სწრაფად დაბერტყა თავისი კეპი მოლზე, სწორედ იმ მომენტში, როცა ხომალდებიდან დაიქევა სალიუტის პირველმა ზარბაზანმა. ასეთი სისწრაფით გაიხადა მან შარვალი და პიღეკი და გამოინდა როგორც ქუფრ-ოქროსფერი ქანდაკება მოლის კიდურზე.

საქართველოს  
საზოგადოებრივი

— ჰა, შენ რაღას იგვიანებ?—უთხრა მან, როცა დაინახა რომ შეგობარი ნელა იხდიდა.

— იცი რა,—მე არც ისე კარგათ დახელოვნებული ვარ ფულების კერაში. მე მხოლოდ ორჯელ მისინჯავს ეგა.

ქუფრ-ოქროსფერი ქანდაკება დაიხარა თავისი შარვლის ნაშთებთან და ამოიღო იქიდან ვერცხლის ფული.

— დაიჭირე! ჩაიდე პირში! ყოველთვის როცა დაყვინთავ და ვერ დაიჭერ გადმოგდებულ ფულს, გამოიღე ეს და უჩვენე, თორემ იმ ღორებს არ უყვართ თუ ხელმარჯვედ ვერ დახედები და შესწყვეტენ ფულების გადმოგდების. მერე თანდათანობით შეეჩვევი. უმთავრესი აი რა არის: კარგათ გაახილე თვალეები და უცქირე სად ბზინავს, და მე ვიმუშავებ ორთავეს მაგიერ. ხედავ—ჩვიდმეტი ზომალია. ჩვენ მაგათ კარგათ დაეცინცლაეთ. აბა, შეეცურდეთ!

და ისინი ტალღების ტელაშენით გასცურდნენ მოლიდან ესკადროსაკენ...

მკითხველს შეიძლება ეუცხოოს, რომ იმ დროს როცა პრეზიდენტი ატკინი, სტუმრების მოლოდინში, ფიქრობდა მხოლოდ სამშობლოს ბედნიერებასა და დიდებაზე, ერი შესცურდა ზღვაში მათ შესახვედრათ აშკარა გაიძვირული მიზნებით. მაგრამ ეს არ ყოფილა მთელი ერი, უფრო სწორედ რომ ესთქვათ იყვნენ ერის ნაძირალები, ამორალური ლემენპროლეტარები, ასე რომ ეშმაკმა იციის მათი თავი, და ფსიქოლოგიაც იცილის საზოგადოების ამ ორ წარმომადგენელისა, ყოველ შემთხვევაში დამახასიათებელი არაა რესპუბლიკის მცხოვრებათათვის.

### თავი მესამე.

#### პირველი და მეორე

თოვლივით თეთრი და გედივით მსუბუქი, მშობლიურ სტიქიაში პირველად მოხვედრილი მოტორის ნავი, ცელქობდა და ანცობდა „უტიფარის“ კიბესთან, ის სპილენძით შეპოქედელი კამოთი ეჯახებოდა დრენდოუტის ფოლადის კიდურებს, რომელზედაც ნავარდობდნენ ალერსიანად მოთაწამე ტალღების უღარდელი ჩრდილები.

მეზღვარნი გაქვევებულებივით იდგნენ კიბის საფეხურებზე, და ზევით ბაქანზე-კი ნერეიულად ტრიალებდა მორივე ოფიცერი.

ნავი ელოდებოდა სერ ჩარლზს, რომელიც უნდა გადაეყვანა ნაპირზე, სადაც უკვე ფუთფუთებდა ბრბო, მომზადებული მისთვის ოვაციების გასამართავად.

ახალგაზდა ოფიცრები ღუზბინდებით იცქირებოდნენ ნაპირსაკენ და უკვე შენიშნეს რამდენიმე მომხიბლავი ქალი. სახეების გარჩევა ისეთი სიშორიდან თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ღუზბინდში მოცქერალები ამტკიცებდნენ, რომ აღნიხნულ ქალებს ჰქონდათ ფრიად დამაკმაყოფილებელი ტანადობა.

ხალხი ღელავდა და ირეოდა. ყველანი მოუთმენლად ელოდებოდნენ როდის დაიძროდა ნავი.





ქართველთა  
წიგნების კავშირი

მაგრამ საათმა უკვე ორჯერ დარეკა და მისი დიდებულების გონიერა XIX-ის წარმომადგენელი კიბეზე არ ჩამოდიოდა.

ოფიცრების გაკვირვებული სახეები, რომელნიც მისჩერებოდნენ შკანცებს, ამტკიცებდნენ, რომ ლენერალი ორპინგტონი იმყოფებოდა იქ, და რომ მის იქერდა უთუოდ, რაიმე ფრიად მნიშვნელოვანი საქმე, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამდენ ხანს არ ალოდინებდა მის ნახვას მოწყურებულ მეგობარულ სატაბტო ქალაქის მცხოვრებლებს.

მაგრამ, რომ პორტო-ბლანკოს მცხოვრებლებს შესძლებოდათ ერთი წუთით დაენახათ თუ რა ხდებოდა „უტიფარის“ ბაქანზე, იმათ უთუოდ შეაშფოთებდათ საოცარი სანახაობა.

აფთიონთან, ნაუტილიის საზღვაო, აღისფერ ბაირალის ქვეშ, რომელზედაც მოსჩანდა რვაქიმიანი თეთრი ჯვარი, სრულ საპარადო ფორმაში, მთელი თავისი შტაბით, იდგა სერ ჩარლზ ორპინგტონი.

დრენდოუტის კიდურების ახლოს ქუჟალაობდა, ორი მიხაკ-დარიჩინის ფერი ფიზიონომია, რომელნიც თეთრი კბილების კრეკით, ჩქარ-ჩქარა იემეორებდნენ ერთსა და იმავე ფრაზას: „ბატონო, გადმოგვივლე ფული!“

სერ ჩარლზს ამოვლო ქისა და მცირე ხანდახმით, ხელგაშლილად ისროდა ტალღებზე ვერცხლის ფულებს თავისი მეფის ამაყი პროფილით.

ფულები მიფრინავდნენ მხიარული ჩიტებივით, რომელნიც იძირებოდნენ ლურჯ სირღმეში და ხელადვე ორი ტანი, ჩაყვინთავდა მის დასაქერად. იმ წამშივე, ისინი კვლავ გამოჩნდებოდნენ, კბილების კრეკით, უჩვენებდნენ დაქერილ ფულსა და შემდეგ მაიმუნებივით ინახავდნენ პირში.

შტაბის ოფიცრები, რომელნიც გარს ეხეივნენ ლორდს, შივა და შიგ, ლენერალის წინაშე თავმდაბლურად, თითონაც ისროდნენ ხოლმე ზღვაში ფულებს.

სერ ჩარლზმა ორჯერ დასცალა თავისი ქისა და გაკვზავნა შიკრიკი რათა გაეცხო იგი ხურდა ფულით შესამეჯერ. მისი სახე გამოხატავდა სრულ და რამდენიმედ ბავშურ ალტაცებას, ეინაიდან, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ლორდ ორპინგტონი იყო კაცი, რომელსაც ჰქონდა მხიარულების უნარი და აფასებდა ორიგინალურ გასართობებს.

იმ დროს, როცა შიკრიკი შესამეჯერ წავიდა ფულის მოსატანად, მისიის საფინანსო ნაწილის უფროსმა მრჩეველობა ვაბედა მიახლოვებოდა ლენერალს და მეტის-მეტე სიფრთხილით არჩეული მორიდებული სიტყვებით მოაგონა, რომ იტლიის მცხოვრებლები შეკრებილნი არიან ნაპირზე და მოუთმენლად ელიან თავის მეგობარს და მფარველს.

ლორდ ორპინგტონმა აღმაცურად გადახედა მრჩეველს, არაფერი არ უპასუხა და რამდენიმედ მოიღუწა. მრჩეველმა ვაბედა ხელმეორედ მოეგონებია იტლიის მოქალაქეები.

სერ ჩარლზ მოუბრუნდა მას აშკარა ვაბრაზებით.

— ნება მიბოძეთ, მიგითითოთ ბატონო მრჩეველო, რომ თქვენი მოვალეობა არის მონაწილეობა იმ საქმეთა შესახებ ბკობაში, რომელნიც შეეხებიან სა-

ხელმწიფო საშვალელებს და არა ჩემს პირად ხარჯებს. თქვენ ამბობთ—იცილიან? მერე რა, დღე იცადონ. პირველყოვლისა ამას მოითხოვს პრესტიჟი ძლიერი სახელმწიფოსი, რომელსაც მე აქ წარმოვადგენ და მეორეც რატომ უნდა მოვიშალო მე სიამოვნება რაღაც რამდენიმე ასეული პიტეკანტროპუსების გულისთვის, ხომ არ მივაშურებ ეხლა მათ კისრისტეხით... კეთილ ინებეთ და ნუ მიწუხებთ მე, როცა ამას არ მოითხოვს საჭიროება.

მრჩეველმა თავი დაუკრა და ამოხვრით გადავა განზე.

ლორდ ორპინგტონმა გამოართვა ჭისა შიკრიკს და მიმართა მასთან მდგარ თარჯიმანს:

— უთხარით მავ ხალხს, რომ ეხლა მე გადაუყრი ოქროს ფულებს, მაგრამ უკან დაიხიონ ხუთი საყენით და იქიდან დაუყენითონ. ოქროსათვის ღირს თავის შეწუხება.

თარჯიმანმა ლენერალის თქმული გადასცაბა ძირს. მოცურავეებმა გადახედეს ერთმანეთს და უმცროსმა დაუძაბა ამხანავს.

— დაიხიე უკან, ათანასე, და ხელი არ შემიშალო! ეხლა იწყება ხათა აი! ხომ გეუბნებოდი პაპუასები არიან-მეთქი.

— რას ამბობს ის! — შეეკითხა სერ ჩარლზ.

— ის მადლობას მოგახსენებს, — უპასუხა ოდნავ შემკრთალმა თარჯიმანმა.

ბაჯალლომ გაიელვა ჰაერში და ჩაიძირა წყალში. მოცურავე თავგამეტებით გაიდევნა მას. ამ ხელზე ის ამოსცურდა ცოტა მოგვიანებით და აქლოშინებულად, მაგრამ ხელის გულზე, თავმოშორნეუ შეათამაშა ოქროს ფული.

— ეს შესანიშნავია, ბატონებო! — განცვიფრდა სერ ჩარლზ და გადაუგდო მეორე ოქრო.

მალე ჭისა დაიწალა მესამეჯრაც, და ვინ იცის, — რამოდენი ხანი უნდა ეცადა მეგობრულად განწყობილ ხალხს თავისი დიდებული სტუმრისათვის, რომ მისი გართობა არ შეეწყვიტათ თვით მცურავებს.

როცა, უკანასკნელი ოქროთი ხელში ამოყვინთა, ახალგაზრდამ გასცაბა ამხანავს:

— ათანასე, ჰაიდა გავბრუნდეთ! მე ისე გამევესო პირი ვალიუტით, რომ თუ კიდევ ვადმომიგდო მან თუნდაც შაურიანი, — ჩემმა მზემ, გადავტრიალდები თავდაყირა და ჩავიძირები, როგორც სალარო ყუთი.

ორთავენი გამოსცურდნ მოლისაკენ და გაკვირებული ლორდ ორპინგტონი შიატოვეს, შუა თამაშის დროს.

მან გააყოლა თვალი მცურავეებს, შემდეგ გადავიდა ერდოზე და შტაბის თანხლებით გაემართა კიბეებისაკენ.

მორავე ოფიცერმა, როცა დაინახა ლენერალი, თავისი შტაბით, კიბეებზე ჩამოდიოდა, ნაუზე დაიძაბა: სმენა! — და გაქვევებულივით გამოიქიმა.

როცა ლორდ ორპინგტონი მოეწყო ნაუში ნობის ბალიშებზე, მან მოუთმენლად მიაჩერდა ნაპირს, მაგრამ იმ მხარისაკენ კი არა, სადაც მას მოუთმენლად ელოდებოდა ალტაცებით ახლავებული ხალხი. ნაუტილის სარდლისა



ქართველთა

მწიგნობართა

და დიპლომატიის თვალთავან გაყვანილი გონებრივი ხაზი ებჯინებოდა კვამლიან, დამამიმტკუნ, დაბლა ჩამოწვეულ ღრუბელს რომელიც მოსჩანდა, ქალაქის უკანასკნელი შენობებიდან საგრძნობლად მოშორებით, მარცხენა ნხარზე.

სერ ჩარლზმა შეისუნთქა ცხვირით ჰაერი და დაუახა თვალები, როგორც ჯაური კატა შვრება ხოლმე, ნაბტომის გაკეთების წინ.

კვ მლიანი ღრუბელი აშკარა იპყრობდა მის ყურადღებას და, რომ ვასაგები გახდეს ეს ყურადღება, ჩვენ მოგვიხდება მკირფოდინი გადაბრა.

პარლამენტისა და მეფის დაწერილი ინსტრუქციების გარდა, ღენერალის გულში იყო დაუწყველი ინსტრუქცია ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ინსტრუქცია, რომელიც გამოიხატებოდა არა სიტყვებით, არამედ ციფრებით, კუნძულის ნავთის ამხანაგობის აქციებზე რომ იყო აღნიშნული, და რომელთა დასტაც ეწყო ლორდ ორპინგტონის შავიღის უჯრაში.

ეს აქციები მან მიიღო მგზავრობის წინ ამხანაგობის დირექტორის კაბინეტში, საპატიო თხოვნით, რომ თუ სამხედრო და დიპლომატიური შრომისაგან თავისუფალი დრო მას ნებას მისცემს, ნოიკალოს ასეთ უმნიშვნელო საქმისათვის გამოარკვიოს საკითხი, კუნძულის ამხანაგობის მიერ, იტლის ნავთის სამწველოების შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

ნავი სწრაფად მოსწყდა დრედნოუტის კილურს და აბრეშუმისებური შრიალით გაარღვია ტალღები. აბლოვდებოდენ ნაპირის თეთრ-თეთრი საფეხურები, რომელთაც რწყავდენ ზღვის ტალღები, ნაპირი მორთული იყო ეროვნული ფერების ფარჩებით, და როცა მიახლოვებულმა ნავმა შეანელა სვლა, ნაპირიდან გაისმა ორკესტრების ხმები, რომელნიც ასრულებდენ, ნაუტილის სამეფო ჰიმნს, მისი წარმომადგენლის საპატივცემოდ.

ლორდ ორპინგტონი წამოდგა ბალიშებიდან და მიიღო ხელი ქუდიან. ნავი მიაღდა ნაპირს, ორკესტრები დადებდნენ, გაისმა მისალმების მქუბარე ხმა, და ნავი აავსო სურნელოვანი ყვავილების წვიმამ.

ღენერალი ორპინგტონი აბალგაზღური სიკეკრით აუბტა ნაპირზე და, პირველი, რაც მას თვალში მოხვდა, ეს იყო აღისდერი ღენტი გადაარტყმული პრეზიდენტის მრგვალ მუკელზე. პრეზიდენტმა, რომელსაც ხელში ეჭირა, ნაქარტილო გადაფარებული მოჩუქურთმული ვეჯბლის ზონა, წარსდგა ბიჯი წინ. ტილოზე იდო მრგვალი პური და შით ჩადგმული იყო სამაროლე.

სერ ჩარლზ გაოცდა და გადაუჩუჩულა საეჭსპედიციო კორპუსის კომანდირს, რომელიც მის გვერდით იდგა.

— საოცარი ხალხია! მე ეგონებ ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ ძლიერ მოშიებულნი ვართ მგზავრობაში და მოგვხბოლავს ასეთი მასპინძლობა. მე კი მეგონა, რომ ამ მხარეს შეეძლო ჩვენთვის მოეწოდებია უფრო კარგი სეფრა. და რადა აქვს ამ პატივცემულ მეტრდოტელს იგეთი ვლვარე ღენტი?

მაგრამ წუთიერი გაურკვეველობა ნაუტლის წარმომადგენლისა, წუთიერადვე გაიფანტა როცა მან გაიგონა მისასალმებელი სიტყვის პირველი წინადადება, რომელიც წარმოთქმული იყო პრეზიდენტის მიერ ღენერალის მშობლიურ ენაზე, თუმცა ორატორი ვერ ლაპარაკობდა საესებით გამართულად.

ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულება, რესპუბლიკის სახელით, როგორც ხელისუფლების მეთაურმა, მივესალმო დიდიხნის სასურველს თქვენს მოსვლას და მოგართვათ, ჩვენი წინაპრების ძველი ჩვეულების თანახმად ეს სიმბოლო პურმარილიანობისა და სტუმართმოყვარეობისა...

— აჰა!.. მაშასადამე მავათ განზრახვა არა ჰქონიათ რომ გვაქვამონ ეს ხშელი პური. რა სასაცილო სიმეოლიკაა!— გადაუჭრუნულა სერ ჩარლზმა კორპუსის კომანდირს და ზრდილობიანად თავდახრილად, მოისმინა ბოლომდე პრეზიდენტ ატკინის ვძელი სიტყვა.

სიტყვის გათავების შემდეგ ლენერალმა სამჯერ გადაჰკიცხა პრეზიდენტი, რომელმაც დაუსველი მას ლოცები, სიხარულისა და მღელვარების ცრემლებით, და, თავის მხრიაეც ლენერალმა უპასუხა, მარტვი და ენერგიული სიტყვით.

მან გამოსთქვა თავისი სიხარული იმ მხარეში მოსვლის გამო, რომელიც დიდიხანია იპყრობდა როგორც მის პირად, ისე მთელი მისი თანამემამულეების სიმპატიებს, ხაზ-გასმით აღნიშნა რომ ის სრული დარწმუნებულია ახალგაზდა რესპუბლიკის ბრწყინებულ მომავალში და სიტყვა დაათავა მხნე მოწოდებით იტლის სახელოვანი ჯარებისადმი, რომ ძღვევამოსილი მეგობრის დახმარებით, მოსპონ, მტრის გამხეცვბული ანარქიული ურდო და აღადგინონ, ფეხძვეშ გათე-ლილი თავისუფლება.

ლაპარაკის დროს ლორდ ორპინგტორმა გააკეთა ენერგიული ეესტი ჩრდი-ლოეთისაკენ, რამაც რესპუბლიკის გახეთებს საბაბი მისცა, დაეწყათ ლაპარაკი სამხედრო პერსპექტივების შესახებ ფორს-მაჟორული ტონით.

ნარნარად მონღ მარე ლოლამ ლენერალს მკერდზე დააბნიაბზისა და აზა-ლიის ფურცლებისაგან გაკეთებული კონა, რომელიც თავისი შებამებით გამო-ბატავდა ეროვნულ ფერებს; ლორდ ორპინგტონმა მისცა მას მკლავი და ისინი დაიდრენ მომლოდინე აეტომობილებისაკენ, ხალხი აცილებდა მათ მქუხარე ტა-შისცემით და ყოველი მხრიდან ესროდენ უამრავ ყვავილებს.

საუზმეზე სასტუმროში, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ განაწესა სერ ჩარლზის რეზიდენციისათვის, ნაუტილიის წარმომადგენელს წარუდგენენ რე პუბ-ლიკის მთავრობის ყველა წევრები თავიანთი მეუღლეებით და ოჯახობებით, პარლამენტის წევრები სამხედრო სარდლობის უმაღლესი თანამდებობის პირე-ბი და სხვა ბევრი უცნობი პირები, ისე რომ როცა ლენერალი მოუსხდა სუფ-რას, მის თვალებში კრთოდენ მოცახცახე წერტილები, როგორც დამქანცავი კინო-სეანსის შემდეგ.

პრეზიდენტმა ატკინმა საუზმე დაიწყო მისი დიდებულების გონორი მე-  
XIX-ის სადღე რძელოთი, რომლის დროსაც ხელი, რომელშიაც კიჭა ექირა ძა-  
ლზე უკანკალებდა მღელვარებისაგან. როგორც წმინდა წყლის სოციალ-დემოკ-  
რატო, ის გრძნობდა რალაც დაუძღვეულ შიშს და მასთან ერთად ერთგვარ  
ლტოლეილებას გვირგვინოსანთა მიმართ.

ლორდ ორპინგტონმა უპასუხა პრეზიდენტის სადღეგრძელოთი და შემდეგ  
წინადადება წამოაყენა, დაელიათ რესპუბლიკის მომხიბლავ ბანოვანთა წა-  
რმომადგენლების სადღეგრძელო. სადღეგრძელო მიღებული იქნა დიდის აღტა-



ცებით, და სერ ჩარლზმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს ალტაცება, როცა მან მოწიწებით ეამბორა მადემუაზელ ლოლას ლამაზ ბელს, რომელიც იჯდა მისგან მარცხნივ და ღენერალმა განაცხადა რომ თავისი მეზობლის სახით პატივს სცემს რესპუბლიკის ყველა ქალებს, რომლებსაც არ შეუძლიათ არ იყვნენ მომხიბლავნი ასეთ მომხიბლავ ქვეყანაში.

ახალგაზდა ფლაგ-ლეიტენანტს, რომელიც იჯდა მეორე მხარეზე და ალტყინებით მიშტერებოდა პრეზიდენტის ქალის შესანიშნავ ტიტველ მხრებს, ამ დროს გაუსხლტა ხელიდან სოუსიანი თევში, რომელმაც წითლად შეღებოდა ოფიცრის თოვლივით თეთრი შარვალი, მაგრამ საერთო მხიარულებაში ეს ფრიად სამწუხარო შემთხვევა-კი შეუმჩნეველი დარჩა.

მით უმეტეს, რომ ოფიცერი, რომელსაც ეს საიარცხოვო საქმე მოუვიდა სასწრაფოდ გაბრუნდა ნავზე და იქ იქვიანობის სვედით შეპყრობილი, ნავის წითლად გაკრიალებულ ქიმზე ჯაყვა დანათ სჭრიდა მომხიბლავი ასულის სახელს.

საუბრის შემდეგ სტუმრებმა იწყეს წასვლა და პრეზიდენტმა ატკინმა დაათვლიერებინა ღენერალს მისთვის გამზადებული ბინა. იმათ გაიარეს ლამაზად მორთული ოთახები და გავიდნენ აივანზე, რომელზეც შემოყოლებულ იყო აყვავებული ვარდ-ყვავილები.

ლორდ ორპიტონი არხეინად მოეწყო სკამ-ლოგინზე; ღენერალს ცოტათი თავბრუ ესმოდა, მის წინ გაეღებულ უამრავ სახეთა დატოვებულ შთაბეჭდილებებისა და რესპუბლიკის პლანტაციების სიამაყე მაგარი ღვინის გამო.

პრეზიდენტი ნიდაყვით დაეყრდნო აივანის მოაჯირზე და მოკრძალებით შეეკითხა სერ ჩარლზს:

— ინებებს თქვენი აღმატებულება, რომ მე მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია რესპუბლიკის მდგომარეობისა ამჟამად და ჩვენი ამოცანებისა და მიზნების შესახებ უახლოეს დროისთვის?

მაგრამ ლორდ ორპიტონი იცქირებოდა ძირს, სადაც ქვაფენილზე შეჯგუფებული იყო სატახტო ქალაქის მცხოვრებლები, რომელნიც განაგრძობდნენ სტუმრის მისალმებას. პრეზიდენტმა გაიმეორა თავისი ფრაზა.

ნაუტილის წარმომადგენელი მობრუნდა და პასუხის ნაცვლად თვით მისცა პრეზიდენტს მიულოოდნელი კითხვა:

მითხარით, ბატონო პრეზიდენტო! თქვენს მშვენიერ სამშობლოში გამომგზავრების წინ მე წავეკითხე მისი ეკონომიკისა, გეოგრაფიისა და ეტნოგრაფიისა შესახებ, ყველა სამეცნიერო შრომები რაც კი ზემს განაკარგულებაში იყო. რამდენადაც მე მახსოვს, იქ აღნიშნულია რომ მცხოვრებლებს ახასიათებს სამხრეთის რასის ტიპური ნიშანდობლივობა—აქეთ შავი ხუჭუჭი თმები, შავ-გრემანი საბეჭები და საერთოდ ცხოვრობენ ძლიერ ღარიბათ. მე ვხედავ, რომ ჩვენი მეცნიერები, როგორც სჩანს სასტიკად სცდებიან, ყოველ შემთხვევაში აქ რალაც გაუგებრობას აქვს ადგილი. აქ დღეს ვნახე ათასობით ხალხი, და მე თვალში მომხვდა, რომ ისინი ყველანი თეთრ-ფეროვანები იყვნენ და მეორეც აბდენდნენ ქონებიერი ხალხის შთაბეჭდილებას. მე არ შემიძინევია არც ერთი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქალი, რომელსაც არ ჰქონოდა ძვირფასეულობა და ყველანი მორთულნი იყვნენ უკანასკნელ წოდებზე. ნუ თუ თქვენი მხარის კულტურა ასეთ მაღალ დონეზე დგას?

პრეზიდენტმა ცოტა შეაგვიანა პასუხი.

— ო, არა, მილორდი!—სთქვა მან ბოლოს, ხაზგასმული ლაციცობით—განა შეიძლება, თქვენი ქვეყნის სწავლულები, რომელთაც სახელი გაუთქვეს მთელ მსოფლიოში თავის მეცნიერებას, რომ სცდებოდნენ? ისინი სავსებით მართალნი არიან. მაგრამ საქმე იმაში ვახლავთ, რომ რესპუბლიკის მცხოვრებნი იყოფიან ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავებულ ორ ეტნოგრაფიულ ჯგუფად: ქალაქის და სოფლის. სოფლის მცხოვრებთ მართლაც ახასიათებს თქვენ მიერ აღნიშნული ნიშანდობლივი თვისებები, სამხრეთის რასებისა, ქალაქის მცხოვრებლებმა შეითვისეს უმაღლესი კულტურა და მოხდა მათი ასიმილაცია ჩრდილოეთის კულტურულ ერებთან, გარეკნობითაც კი. რაც შეეხება საერთო კეთილ მდგომარეობას, რომელიც თქვენ ასე შორსმპრეტელურად შენიშნეთ, მიეწერება იმას, რომ, დამზობილ ტირანიის ნაცვლად ამჟამად არსებული უღრმესად დემოკრატიული წესწყობილების დაარსების დღიდან, ერმა გაადიდა მატერიალური კულტურის სიკეთის მარაგი, და ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რესპუბლიკის ქალაქებში სიღარიბე შეიქმნა დრომოკმული ცნება.

— ეს საოცარია, —სთქვა სერ ჩარლზმა ჩაფიქრებით—მე ჩაეთვლი მოვალეობათ პირველსავე მოხსენებაში ვაცნობო ჩემს მონარქს ასეთი საკვირველი პროგრესის შესახებ.

ლენერალს კიდევ უნდოდა რაღაცეები ეკითხა, მაგრამ პრეზიდენტმა, რომელსაც, უთუოდ, ეგრე-რიგათ არა ჰსურდა ამ საგანზე საუბარის გაგრძელება, ბელ-ახლა შეეკითხა, მოისურვებს თუ არა ლორდი გაეცნოს მხარის პოლიტიკურ მდგომარეობას.

სერ ჩარლზმა, მზიარული თვალებით მიხედა პრეზიდენტის აღაჟღავნებულ მახეს და ძლიერ შეიკავა მთქნარება.

— უმჯობესი არ იქნება, ბატონო პრეზიდენტო, რომ სარიოზული საქმეები ხეალისთვის გადაესდოთ? მე, მართალი მოგახსენო, ცოტათი გაბრუნებული ვარ ჩემთვის ახალი შთაბეჭდილებებით, მოზიბლული ვარ თქვენი გულ გახსნილი მასპინძლობით და თქვენი ქალების ყვაილნარით.

პრეზიდენტმა თავი დაუკრა.

— მაშინ მე ნებას მივსცემ თავს დავტოვო თქვენი აღმატებულება, რათა მყოფდროთ მოისვენოთ, —და პრეზიდენტი გაემართა გამოსავალი კარებისაკენ.

მაგრამ ლორდ ორპინგტონმა გააჩერა ის ვესტით.

— ერთი წუთით, ბატონო პრეზიდენტო. დღეს გემიდან მე დავინახე დიდი კვამლიანი ღრუბელი. უთუოდ ის არის თქვენი ცნობილი ნავთის სამრეწველოები?

— სავსებით მართალია. ის არის უმთავრესი სიმდიდრე და ჩვენი სამშობლოს მომავალი აყვავების იმედი.

— ბევრგან სცემს შადრევანი? —სწრაფად ჰკითხა სერ ჩარლზმა.





ქართული

მაშინ, როცა აღმოსავლეთში გაშალა ვარდისფერი ზეწარი და მთიდან მოუქროლა გრივალმა ნიავმა.

მაგრამ სატახტო ქალაქმა ველარ დაისვენა, ვინაიდან შინ დაბრუნებულ მცხოვრებთა უმრავლესობამ აღმოაჩინა, რომ ბინიდან დაკარგული იყო ზევრი ძვირფასეულობა და ფულები, რომელნიც მზრუნველობით გადაინახული ჰქონდათ შავი დღასთვის.

გაქურდული იყო უმთავრესად ჟუვრო ცნობილ და მდიდარ მოქალაქეების ბინები და მთელ ქალაქში არ იყო ისეთი სახლი სადაც არ დატრიალებულყოს ფეხქვეშ გათვლილ კერძო სქეუთარების ტრაგედია.

საბრალო მოაქმა-ტირილი იტლიის ერის საუკეთესო ნაწილისა, მაინც, არ უფთხოვდა ლენერალს თავის მაგარ ძილს და მან გაახილა თვალები მხოლოდ შუადღისას. ერთი გაიზნორა ლოგინში, დაურკვა შიკრიკს და ჰკითხა, რომელი საათია.

— ოცდა ორი წუთი თორმეტის, მილორდ. ნება მიზოძეთ მოგახსენოთ, მილორდ, რომ მისაღებ ოთახში უკვე ერთი საათია თქვენ გელოდებათ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, როგორი იქნება თქვენი განკარგულება მილორდ?

— თქვენ ამბობთ, ჯემს, მთავარსარდალი?— შეეკითხა სერ ჩარლზ, რომელიც ამ დროს იფუნქციონირებდა მარცხენა თვალს.— მაგრამ რატომ თქვენ ამდენხანს არ მომახსენეთ მე?

— მე არა მქონია განკარგულება თქვენი მოწყალების.

— ჰმ... მომეცით მე დილის კოსტიუმი და მოიტანეთ ყავის სერვიზი და ჩერრი-კობლერი. სთხოვეთ მის აღმატებულებას მიბრძანდეს აივანზე და იქ მოგვართვი ყავა. მე ეხლავე გამოვალ.

სერ ჩარლზი მივიდა სარკესთან, სუფთად გადაიფარებნა შევერცხლილი შავი თმები, შეიმოსა ცისფერი ნახევრად სამხედრო კოსტიუმით და ყოჩალი მიხერა-მოხერით გაემართა აივანისაკენ.

იტლიის სამხედრო ძალებს მთავარსარდალი მიეგება შესახვედრად და წარუდგა, შემდეგი მკაფიოდ და მხედრული ეესტით გამოთქმული სიტყვებით:

— პატივი მაქვს წარმოგიდგეთ, თქვენო აღმატებულებავ, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ლენერალი ბარონ ფონ-ბრენდელი.

— დიდათ მოხარული ვარ გაცნობოთ, ბარონ, — წარმოსთქვა სერ ჩარლზმა, ილერსიანი ღიმილით. — იმედი მაქვს, თქვენ მაპატიებთ, რომ გალოდინეთ, მაგრამ ამაში დამნაშავეა მხოლოდ გულგახსნილი მიღება და მასპინძლობა, რომელიც მე წილად მხვდა თქვენი თანამემამულეებისაგან.

— ო, თქვენო აღმატებულებავ, მე მშვენიერად ვგრძნობდი აქ თავს. დღეს იშვიათი საუცხოო დილაა, და მე ვსტკებობდი ზღვის ტალღების ცქერით თქვენი აივნიდან. მთავარსარდალი იშვიათად სტკება ბუნებით, როგორც საესებით სწორად აღნიშნა ერთმა ჩვენმა უდიდესმა ფილოსოფოსმა.

თავაზიანობის გაცვლა-გამოცვლის შენდევ, ორთავე სახელმწიფო მოღვაწეებმა პატივი სცენ საუკეთესო ჩერრი-კობლერს და სურნელოვან ყავას, და





მთავარსარდლის წინადადებაზე, რომ გაესეირნებიათ ქალაქში სიმაგრებისა და ჯარის დასათვალისწინებლად, სერ ჩარლზმა დაუკონებლივ უპასუხა თანხმობით.

მთავარსარდლის ავტომობილი სწრაფად მოაქანებდა სარდლებს სატახტო ქალაქის ქუჩებზე, რომლებზედაც უკვე აღარ ისმოდა დაზარალებულთა გლოვა-ტირილი და ბრბო ისევე სიხარულით ესალმებოდა ლორდ ორპინგტონს, როგორც წინააღმდეგობას.

ორპინგტონმა შეიარა სამხედრო სამინისტროს შენობაში, მცირე ხანს ესაუბრა, სახელმწიფოს დაცვის საკითხების შესახებ ლენერალურ შტაბის უფროსს, დაათვალისწინა გვარდიელების სადგომი, საარტილერიო საწყობები, გავიდა ციხეზე და ჩამოიარა ყველა სიმაგრეები. ყველაფერი იყო საუცხოო წესრიგიანად, ყველგან იყო იდეალური სისუფთავე და სერ ჩარლზი სავსებით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ კმაყოფილებასთან ერთად ის განიცდიდა გაურკვეველობის გრძნობას, და მთელი გზა აქეთობისას მან გაატარა ღრმა ფიქრში, თითქოს უნდოდა გადაეჭრა მნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი და ვერ მოეხერხებია.

ეს ჩაფიქრება ისე ძლიერი იყო, რომ მას არ ესმოდა ფრთხილი და მოკრძალებული შეკითხვები ლენერალ ფონ-ბრენდელისა, რომელიც მეგობრული სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს ეკითხებოდა მის მიერ მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

ლენერალმა, ბოლოს, შენიშნა თანამგზავრის საოცარი გაფანტულობა და, ვინაიდან იყო გატაცებული პატრიოტი, ის მიაწერა მღელვარებას და რამოდენიმე ძლიერშთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ლორდ ორპინგტონზე მხარის ასეთი ძლიერამოსილების ნახვამ.

საუბრებზე სერ ჩარლზი ლაპარაკობდა სხვადასხვა უმნიშვნელო რამეებზე, უნდოდა გაეგო დაწვრილებითი ცნობები გეოგრაფიისა და ეტნოგრაფიის შესახებ, რომელზედაც მთავარ სარდალმა არსებითათ ვერაფერი უთხრა, ვინაიდან მას ამაყად ეზიზღებოდა ყოველგვარი ცოდნა, რომელიც უშუალოდ არ ეხებოდნენ განადგურების მექანიზმებს და რომელთა ცოდნა არ ჰპირდებოდა გამარჯვების დაფინებს და სამსახურში წარმატებას.

ლორდ ორპინგტონი გულუხვად უსხამდა სტუმარს პორტვეინს და მხოლოდ საუბრის ბოლოს გადავიდა საკითხზე, რომელიც აინტერესებდა ლენერალ ფონ-ბრენდელს.

— მე უნდა აღვნიშნო... არ ინებებთ სივარას, ბარონ!—უთხრა სერ ჩარლზმა, რომელმაც მოსწია თამბაქოს კოლოფი, —ყველაფერი რაც ვნახე, თქვენის მეოხებით, ნათლად მიმტკიცებს, რომ იტლის დაცვის საქმე სათანადოთ არის დაყენებული. რასაკვირველია, ტექნიკურად ვერ არის საქმარისათ კარგათ მოწყობილი და ემზენვა უკანასკნელი დროის გაუმჯობესებული იარაღების უქონლობა, მაგრამ ეს ნაკლი ჩვენ შეგვიძლია შევავსოთ, ვინაიდან მე მაქვს მონიჭებული სრული თავისუფლება მისი დიდებულებისაგან, არმიის მომარაგების საქმეში.

— მე ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ გამოვსიტქვა მადლობა თქვენი აღმა-



ტებულებისადმი ერის სახელით, რომელიც იბრძვის თავისუფლებას, მტაცებელთა და მოძალადეების წინააღმდეგ, — ჩაურთო პათეტიური ფრაზა ლენერალ ფონ-ბრენდელმა.

— ნაუტილია ყოველთვის ეჭომავებოდა ერებს, რომელიც იბრძოდნ თავისუფლების დროშის ქვეშ, — მაგრამ ნება მიბოძეთ ბარონ, რომ გამოვარკვიო ერთი დეტალი, რომელიც მაგდებს გაურკვეველობაში.

ამ სიტყვებთან დიდმა კაცმა მოღუშა წარბები და განიერად გააბოლა.

— შე თვალეში მომხვდა ერთი უცნაური გარემოება. მე არსად არ მიხახავს ჯარისკაცები! სამხედრო სამინისტროში, გვარდიის სადგომებში, ლენერალურ შტაბში, ციხე-სიმაგრეებზე, ქუჩაში, ერთი სიტყვით ყველგან, მე ვამჩნევდი საკომანდო შემაღენლობის პირებს და მასთან ფრთხილ მრავალ რიცხოვანს. ასეთი სიმრავლე ოფიცრებისა, გულისხმობს უდიდესი არმიის არსებობას. მაგრამ სად არის ის? რატომ ის თქვენ არ მიჩვენეთ მე? მე ძლიერ მსურდა მენახა თქვენი მებრძოლი მასალა.

ფონ-ბრენდელმა უცებ გადაჰკრა პორტეინი და როცა სდგამდა ჭიქას სუფრაზე, უკანასკნელი მას ხელიდან გაუხლტა. ჭიქა გაგორდა სუფრაზე და დაქვირილ იქნა როცა კიდევ შეიღწია.

— რომ თქვენი აღმატებულებისთვის უფრო გასაგები იქნეს თქვენ მიერ შემჩნეული, როგორც თქვენ ინებეთ გამოგეთქვათ უცნაური გარემოება, ჩვენ მოგვიხდება გავაკეთოდ პატარა ექსკურსია მხარის წარსულისაკენ, — სთქვა მან, როგორც ეტყობოდა მღელვარებით.

— უცნაურია!... კიდევ უფრო უცნაურია! რა შუაშია აქ მხარის ისტორია? მეტი-მეტად გაუგებარია. კეთილ ინებეთ, ლენერალო, და განმიმარტეთ! მე თქვენ ვისმენთ!

სერ ჩარლზი ღურო თავისუფლად მოეწყო სავარძელში და მოემხადა მოსასმენად.

ფონ-ბრენდელი უხერხულად წამოჯდა სკამის კიდევ და სცადა მოეწვია პაპიროსი.

— ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, ბარონ, რომ ცდა პაპიროსის, მასრის მხრიდან მოწვევისა, როგორც პრაქტიკა ამტკიცებს, სრულიად უიმედოა, — შენიშნა სერ ჩარლზმა დაუფარავი ირონიით.

რესპუბლიკის მთავარსარდალმა ნერვიულად შეაბრუნა პაპიროსი, მაგრამ დაფურფლილმა მისრამ დასწვა ენა. მან გაბრაზებით მოსრისა საბედისწერო ნამწვი და გაწითლდა.

მე ვისმენთ, — თქვა უკვე ცივად ლორდ ორპინგტონმა, — ჩემს განკარგულებაში არის კიდევ ნახევარი საათი, რის შემდეგაც მე იძულებული ვიქნები დაგტოვოთ თქვენ, აღმირალ კროუზონთან თათბირის გამო.

— მაპატიეთ, თქვენო აღმატებულება! ამ წუთში!... სრთ დროს, როცა ჩვენი რესპუბლიკა შედიოდა უდიდეს ასსორას იმპერიაში, როგორც ერთი შემაღენელი ნაწილი, — დაიწყო ბაოონმა აკანკალებული ხმით. — განსვენებული იმპერატორი ვარსონოფი I გვოზდილა, მეზობელ დიდ სახელმწიფოების ინტრი-



ქართული

გებით, ჩათრეულ იქნა სისხლის მღვრელ ომში აღმოსავლეთში ჩაქვეყნებულ გამო. მოწინააღმდეგე სახელმწიფოების კოალიციამ გამოგზავნა ზღვით დიდძალი ჯარი და მათი გადმოსხმა მოხდა ტერიტორიაზე, რომელიც ანტიმად უქირავს რესპუბლიკას...

— ნება მიბოძეთ გაცნობოთ, ბარონ, მე გავიარე მსოფლიო ისტორიის ვრცელი კურსი სამხედრო სკოლაში, — გესლიანათ შენიშნა სერ ჩარლზმა.

— უკაცრავად, თქვენო აღმატებულებავ! ეს მხოლოდ აუცილებელი შესავალია... იმპერატორი საბტად დარჩა, მობილიზაცია ვერ ჩატარდა წარმატებით, ხეირიანი მიმოსვლის უქონლობა შეუძლებლად ხდიდა ამ ფრონტზე ჯარის საჭირო რიცხვის გადმოსროლას. მაშინ იტლის მცხოვრებლებმა, რომელნიც განთქმულნი არიან რაინდული კეთილშობილებით და არიან იმ გმირთა ნაწიერები რომელნიც ერთ დროს იბრძოდნენ ტროიასთან, გამოითხოვეს მისი დიდებულების ნებართვა, რათა შეექმნათ ეროვნული მოხალისეთა კორპუსი. იმპერატორმა, რომელიც ააღლევა ასეთმა ქვეშევრდომულმა ერთგულობამ, მეტადრე ისეთ მძიმე წუთებში, გამოგზავნა სამადლობელი მანიფესტი და შესადგენ კორპუსისათვის ბაირალი, რომელიც აქარგული იყო თვით უდიდებულესი დედოფლის საკუთარი ხელით. მალე თვით იმპერატორი გამოემგზავრა, რომ ენახა თავისი ერთგული ქვეშევრდომნი ბრძოლის ველთან. მისი ჩამოსვლის დღეს ჯარი გამოყვანილ იქნა მოედანზე იმპერატორის შესახვედრათ. ვარსონოფი I-ლი ესტუმრა ფრონტს და აღტაცებულმა სახელოვანი ჯარის მზზე სანახაობით, ხმა მალა წარმოსთქვა წესდებით კუთვნილ მისალმება: „გამარჯობა, ბიჭებო!“ მაგრამ მისალმებას პასუხად არ მოჰყვა: „გადღეგრძელოსთ, თქვენო დიდებულებავ,“ — მოედანზე მეფობდა მკვდრული სიჩუმე. გაკვირებულმა იმპერატორმა განიშეორა მისალმება, მაგრამ იმასაც სიჩუმით შეხედნენ. ვარსონოფი I-ლი ცნობილი იყო თავის მრისხანე ხასიათით და სიფიქსით. მან დაიყვირა მისალმება შესამეჯერ ისეთი ხმით, რომ მოედნის ყველაზე უფრო მოშორებულ კუთხეებშიაც ცხენები ყალყზე დადგნენ მისი ყვირილისაგან. ისევ სიჩუმე. გაბრაზებულმა იმპერატორმა მოითხოვა კორპუსის კომანდირი და მრისხანეთ შეეკითხა: „რას ნიშნავს ჯარის ასეთი, ჯერ არსად გავიხილი, ყოფაქცევა?“ კორპუსის კომანდირმა, რომელიც გაუღარებელი იყო სამხედრო ქარტეხილებში, ქედი მოიდრია იმპერატორის წინაშე და უპასუხა: „თქვენო დიდებულებავ, ისინი სდუმან იმიტომ, რომ აქ არ არიან ბიჭები, — აქ ყველა კაპიტანია“. და ეს იყო კემპარიტი სიმართლე. კორპუსის ყველა მხედრები იყვნენ კეთილშობილთა გვარეულობიდან და ატარებდნენ კაპიტნების სახელწოდებას. და ეს სახელწოდება ძველთაგანვე დარჩა შთანამავლობით და დაკანონებულად რესპუბლიკაში ყველა მოქალაქეთათვის, რომელნიც შედიან მხედრობის რიგებში.

სერ ჩარლზმა გაბრაზებით აიჩქა მზრები.

— მე მივირს, ბარონ! თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე ჩემმა მონარქმა აქ გამოგზავნა ისტორიული ანეკდოტების მოსასმენად, — თქვენ სცდებით. მე აქ გამოგზავნილი ვარ, რათა დავიკუვა აღამიანთა სამართალი და თავისუფლება. მაგრამ მე მინდა ვიცოდე, როგორ ფიქრობთ თქვენ ბრძოლას და რა ძალებით?



ქართული

რა ნაწილები გყავთ თქვენ ფრონტზე? მე ვფიქრობ რომ თქვენს იმ მსოფთაო კაპიტნები კი არ გვეყოლებათ არამედ ჯარისკაცებიც და საკმაო რიცხვით.

ბარონმა თავი დაბლა დაბარა და გაუბედავად უბასუბა:

— არა, თქვენო აღმატებულებავ... იქაც კაპიტნები არიან, მაგრამ ქიმიურნი.

— როგორ?— შეეკითხა გაოცებული სერ ჩარლზი, — როგორ თქვენ მართოდენ ქიმიური ომი გაქვთ?

— არა, თქვენო აღმატებულებავ! თქვენ სავსებით ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი. ვინაიდან რესპუბლიკაში არ მოიპოვება ფაბრიკები, რომელნიც ახალი კაპიტნებისათვის ამზადებდნენ სიროფსა და ეპოლეტებს, იმათ ხატავენ ქიმიური ფანქრით და აქედან წარმოიშვა სახელწოდება „ქიმიური კაპიტანი“.

— შეუდარებელი რამ არის, — სიტყვა გაჯავრებულმა ლორდ ორპინგტონმა, — და თქვენ ფიქრობთ ამ ქიმიური სუბიექტებით დაიცვათ თქვენი სამშობლო?

— ჩვენ იმედი გვაქვს თქვენი გვირგვინოსანი ნბრძანებლისა და მისი რაინდული სულის. ჩვენ იმედი გვაქვს თქვენი საექსპედიციო კორპუსის, თქვენო აღმატებულებავ, რომელსაც ჩვენ ვადაფიცვით ჩვენს საკომანდო შემადგენლობას...

— რაო?— შეჰკვირა ლორდ ორპინგტონმა, რომელიც წამობტა ზეზე, — ჩემი კორპუსი? თქვენ გულუბრყვილო ბრძანებით მოწყალეო ხელმწიფე: თქვენი საკომანდო შემადგენლობა? ჩაბატით, მაგრამ მე არ მივანდობ არც ერთ ჩემ ჯარისკაცს თქვენ კაპიტნებს, სულ ერთია შთამომავლობითა იქნებიან ისინი თუ ქიმიურნი. და შემდეგ თუნდაც რომ არ ვილაპარაკოთ საერთაშორისო გამწვავებაზე, რომელიც მოსალოდნელია გამოიწვიოს ნაუტილის ჯარის ბრძოლაში უზუალოდ ჩარევამ, ნება მიბოძეთ მივითითოდ, რომ ჩემი ჯარისკაცები დაჩვეულნი არიან იბრძოლონ სრული კომფორტის პირობებში, რომელსაც თქვენი რესპუბლიკა ვერ შესძლებს მიანიჭოს მას. არც ერთი ჩემი მამაცი მებრძოლთაგანი არ წავა ბრძოლაში, თუ არ არის დარწმუნებული, რომ სანგრებში არის პარიკმახერი, რომელიც მას გაპარსავს დღეში ოჯერ და რომ შეტევიდან დაბრუნების შემდეგ მას ელის თბილი აბაზანა ოდეკალონით. და მე, ვინაიდან ვმოქმედობდი ჩემის მეფის მიერ მოცემული ინსტრუქციების თანახმად სრულებით არ მომიპარავებია ფრონტისათვის საკმაო სამგზავრო საპარიკმახეროები და საბანაო ოთახები.

— მაგრამ, იქნება, შესაძლო იყო რომ ეს მოგვეხერხებია ჩვენი საშვალელებით?— ჰკითხა გაშეთებულმა იტლის მთავარსარდალმა,

— მე არც-კი მსურს მოვისწინო ამის შესახებ რამე! და, საზოგადოთ, უნდა ვითხრათ, რომ ვერ ვახერხებ გამოვნახო საკმაოდ ძლიერი გამოთქმა ჩემი უწყალოდების გამოსახატავად. და მისი დიდებულების მიერ ჩემდამი მოცემული რწმუნების თანახმად, მე იძულებული ვარ ჩავერიო თქვენი სამხედრო მართვლობის სისტემაში. ჩავერიო ულტიმატიურად, რადგან მე არ შემიღია დაუშვა, რომ სამხედრო ოპერაციების უფიცად წარმოვებამ საქმე მიიყვანოს უფლებისა და სამართლიანობის დაღუპვამდე და ანარქიისა და ძალადობის ზეი-



პამდე. ხვალ თქვენ გამოაცხადეთ, რომ ყოველგვარი კაპიტალიზმი უნდა მოხსნას და ისინი გადაირიცხებიან ჯარისკაცებად...

— მაგრამ ეს გვემუქრება აჯანყებით, მილორდი!

სერ ჩარლზი გაიმართა და ღორსებით აღსავსე მოძრაობით მიუთითა ზღვისაკენ, სადაც მოსჩანდნენ ზომალდების უზარმაზარი სილუეტები.

— ო, ამ შემთხვევაში ინსტრუქცია მე ნებას მაძლევს ჭამოვიყენო არა თუ ჩემი ჯარისკაცები, არამედ დროდნოუტების ზარბაზნებიც. აცნობეთ თქვენ კაპიტნებს, რომ ამ ზარბაზნებს აქვთ 16 დიუმიანი ყალიბი და „სტიფარის“ ზარბაზნების ერთიანი ვასროლა იწონის უფრო მეტს, ვინემ მთელი მსოფლიოს კაპიტნები.

— თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება, თქვენო აღმატებულება! — ააქლარუნა დეზები გაფითრებულმა ფონ-ბრენდელმა და, მღელვარების გამო წაბორძიკებული, გაემართა კარებისაკენ.

— მოითმინეთ, ბარონ, — შეაჩერა ის სერ ჩარლზმა, — დღეს მე გავცემ ბრძანებას, რომ შეღამებისას ნაპირზე გადმოსხან პირველი ბრიგადა. ყმაწვილებს დასჭირდებათ ბინა:

— საუკეთესო ყაზარმები, ორი კვირია უკვე გამზადებულია მის დიდებულებების ჯარისათვის.

— კიდევ კარგი, რომ ეს ერთი მაინც გავიგონე წესიერი განკარგულება! მაგრამ ეს არ კმარა, ბარონ. ჩემი ჯარისკაცები მისი დიდებულების ქვარების სიამაყეა, რჩეული და საუკეთესო ახალგაზღვრა. ისინი მოწყვეტილი არიან თავის ოჯახებსა და სატრფოებს და იძულებულნი არიან დიდი ხნით დარჩნენ მგვობრულ, მაგრამ მაინც უცხო მხარეში. იმათთვის უნდა შეიქმნას ოჯახური ბედნიერების მსგავსი რამ. ამიტომ მე გთხოვთ თქვენ ბარონ, რომ მიიღოთ საჭირო ზომები, რათა ჯარებს არ მოაკლდეთ ქალთა ყურადღება და აღერსი. სასურველია, რომ შეიქმნეს სპეციალური დაწესებულება, სადაც მოხდება ამ ყურადღების ცენტრალიზაცია, ექიმებას მეთვალყურეობით, რათა თავიდან აცდენილ იქნას ავადმყოფობათა გავრცელება. ყოველგვარ ხარჯებს იკისრებს მისი დიდებულების მთავრობა.

ბარონ ფონ-ბრენდელმა ხელით გააკეთა პროტესტის გამოხატვითი ქეტი.

— შემოძლია დაგარწმუნოთ, თქვენო აღმატებულება, რომ სრულებით საჭირო არ არის სპეციალური დაწესებულების შექმნა. რესპუბლიკის ქალების დამახასიათებელია უმაღლესათ განვითარებული პატრიოტული გრძობა და ყოველთვის მზად არიან გაიმეტონ თავი სამშობლოსათვის. ისინი არ დარჩებიან უქადურნი მათდამი, რომელნიც იცავენ მათ სიცოცხლეს და თავისუფლებას. ისინი სიამოვნებით გაუწვდიან ხელს თავის განმათავისუფლებლებს, საზოგადოების ნაძირალთა გამოკლებით მდებალი წრეებიდან, რომელნიც სოციალისტური ბოდვებით არიან დაავადებულნი. რაც შეეხება შიშს ავადმყოფობათა გავრცელების შესახებ უსაფუძვლოა, ვინაიდან რესპუბლიკის ქალები განიზრგვიან საბარბიელო ჯანმრთელობით.

და ღენერალი ფონ-ბრენდელი მიეფარა კარებს, დეზების თანდათანობით შენელებული ქლარუნით.

## მარბარიტა

დათვების მწრთვანულს კოსტას ძალიან კარგად იცნობდნენ ყველგან კარპატე-ბში, როგორც მთის ერთ მხარეს— ჰუნრეთისკენ, ისე მთის მეორე მხარეს— რუმინეთისკენ. იმ ციგნებიდან, რომელნიც ასობით დაეხეტებიან სოფლად და სამი-კიტნობის წინ თუ საბაზრო მოედნებზე შეკრებილ ხალხს მოცეკვავე დათვებს უჩვენებენ, მეტი წილი ამ დათვებს კოსტასაგან ყიდულობდა. კოსტას მიერ გაწვრთნილი დათვი მთელ ქონებას წარმოადგენდა. მას შეეძლო ოთხ თათზე ცეკვა, შეეძლო ორი უკანა თათით სტეირის ან სალამურის ხმაზე ვალსის შემოვლა, იცოდა ყირაშია ვადასვლა, თავზე დადგომა, მორგვის ან ცარიელი კასრის დაგორება, წყნარად დგომა და ათასი სხვა ოინის ჩადენა დიდებისა და პატარების გასართობად.

კოსტა შედამ აბალ რამეს იგონებდა თავის დათვებისთვის. შეეძლო ეს-წავლებინა ყველაფერი, რაც-კი თავში მოუვიდოდა. როცა კოსტას დათვი ჩაუვარდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა, სანამ დამთავრებულ არტისტად არ გადააქცეოდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი დათვი პატრონის ყოველგვარ ბრძანებას შეასრულებდა.

კოსტა დამკვიდრდა ღრმა ხრამში, ორი მთის შუა. ზამთრობით, როდესაც კარპატის სუსხი მშფინვარებდა, კოსტა თავისი ქალიშვილით მარგარიტათი სცხოვრობდა მთის ფერდობში გამოთხრილ დიდ მღვიმეებში, გამოქვაბულებში, ხოლო პირველი გაზაფხულიდან შემოდგომის მიწურულამდე— მაღალი, დაბურული ხეების ქვეშ გაშლილ პატარა კარავებში. წრთენა ხდებოდა ერთ-ერთ ვიწრო ხეობაში, მთის ძირში. იქ აკეთებდა კოსტა თავის საქმეს, მარტოდ-მარტოა წინა დღეს დატყრილი რუხი დათვებით ვარს-შემორტყმული.

პირველ გაზაფხულზევე, რაწამსაც თოვლი დნობას დაიწყებდა, კოსტა ჩვეულებრივ თავს ანებებდა თავის ხრამს და მიდიოდა დათვების საძებნელად. წამოიკიდებდა მოქსოვილ ტომარას, რომელშიაც დიდი შავი პური და ყველის ნაჭერი იყო, ჩაიდებდა ერთი წადის ყელში ბოთლ არაყს, მეორისაში— გაღესილ დანას, გატენილ და კარგად გაწმენდილ რეჟოლვერს განიერ წითელ ქამარში გაიჩქობდა, აიღებდა თოკს და რამდენსავე მოკლე ჯაჭვს, რომლის რგოლებსაც თითონ გამოსკენდა ხოლმე ზამთრის დაუსრულებელ თვეებში, ხშირ



წარბებზე ჩამოიფხატებდა წამწვეტებულ შავი ტყავის ქუდს—და გაუღებოდა კოსტა მთებისკენ დათვებისათვის.

ზოგჯერ, როცა ბედი გაუღიმებდა, იმავე დღეს ან იმავე ღამეს დაბრუნდებოდა და თოკით მოაძქმძკლებდა ზამთრის ძილისაგან ჯერ კიდევ სავესებით არ გამოღვიძებულ უხარმაზარ ძუ დათვს. ზურგზე ეკიდა ფეხებ-გადაბმული პატარა ბელი. მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთის მაგიერ მის ზურს ორი დათვის ბელი ამშვენებდა.

მაგრამ ზოგჯერ კოსტა მთელი დღეებით და კვირეებით იკარგებოდა.

არასოდეს არ დაბრუნდებოდა კოსტა ცარიელი ხელით. იშვიათი იყო ისეთი უხეირო კვირა, როდესაც მალალ შეთვალწარბა და ხშირ-წვერიან ციგანს რომელიმე სამიკიტნოს პატრონისთვის ერთი ახლად მოკლული დათვის ტყავი მაინც არ მიეყიდოს.

მაგრამ კოსტას დათვის ნოკელა მაგრე რიგად არ აინტერესებდა. მას ცოცხალი დათვები უნდოდა. კარპატის მთებს თავის ხელის გულივით იცნობდა, იცოდა ყოველი ადგილი და კუნჭული, იცოდა ყველა დათვის ბუნავი. ათასნაირ ხერხს ხმარობდა კოსტა ცოცხალი დათვის დასაქერად. თუ ბუნავის გარშემო კვალი არ იყო, კოსტა ნაბეგარ ბოთლ არაყს თიხის ჯამში ჩაასხამდა და ამ ჯამს ერთ-ერთი გამოსავლის წინ დასდებდა: ძუ დათვი, ვიდრე ზამთრის ძილს მიეცემა, თავის ბუნავიდან ორ გამოსავალს იკეთებს. შემდეგ, კოსტა ხის ტოტებს მოაგროვებდა, მერე გამოსავლის წინ დააწკობდა, გოჯირდს მოაყრიდა და წაუყიდებდა. მერე განზე გადაგებოდა და თვალყურს ადევნებდა. თუ ბანგრძლივი ძილის შემდეგ დათვი გაიღვიძებდა, კომლი და გოჯირდის სუნი თავისას იზამდა: დათვი ბუნავიდან გამოვიდოდა, ჯამს გარშემო შემოუვლიდა, დასუნავდა და, ბოლოს, ამოსვლიდა.

პატარა ხანს უკან კოსტა კბილებში დანიით, ერთ ხელში რევოლვერით, ხოლო მეორეში—მარყუშიანი თოკით მიუეკიდებოდა დათვს. თუ კოსტას ანგარიში სწორე იყო, თუ არაყს საკმაო სიმაგრე ჰქონდა, არ გადაიოდა დიდი დრო, რომ თოკ-გამობმული დათვი კოსტას ძუნძულით თავის ხრამისაკენ მიჰყავდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ხერხი იყო ცოცხალი დათვის დასაქერად. მან მრავალი სხვა ხერხი და კოსტატობაც იცოდა. ამა თუ იმ ხერხს მიმართავდა ხოლმე ადგილისა და პირობების, ცხოველის ზნისა და ჩვეულების მიხედვით.

როცა ასე და იმგვარად თავს მოუყრიდა ათ-თორამეტ დათვს, კოსტა იწყებდა მათ წრთენას. ხშირად რამდენიმე დღის დაქერილი დათვი უცხო კაცის დანახვაზე ანგრევედა და გლეჯავდა იჭაურობას, მაგრამ საკმაო იყო კოსტას მიახლოვება, რომ დათვს შიშის კანკალი ავარდნოდა. ერთი კვირის შემდეგ თვით უმრისხანესი დათვიც-კი მორჯულებული და მოშინაურებული იყო.

კოსტა დათვს „განსაკუთრებულ საწრთენელ სკოლაში“ ათავსებდა—ასე უწოდა მან განიერ ნაპრალს მთებში—და ორიოდ დღის შემდეგ დათვნი აურომალა გადადიოდა და ხალისით ასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ, ოღონდ პიროსპირს აღარ შეჰყროდა იმ კაცს, რომელმაც იგი დაიჭირა.



ასეთი იყო კოსტა. მაგრამ რაკი კოსტა მიზანს მიახწევდა, რაკი დათვი მორჯულდებოდა და მოჭკვიანდებოდა, იგი მისთვის აღარ არსებობდა, ეჯავრებოდა, აფურთხებდა, როცა იმ ხეს გაუვლიდა, რომელზედაც დათვი იყო მიბმული, და ხშირად ზანთრის დაუსრულებელ ღამეებში, როდესაც გლეხები სამიკიტნოში იხდნენ და თავიანთ ყალიონებს აბოლებდნენ, კოსტა იგონებდა ძველ დროს, იმ დროს, როცა დათვი ნამდვილი ნადირი იყო, როცა მის დასაჭურად საქირო იყო მთელი კვირვობით ხეტიალი და ათასი ბრიკის გამოგონება, ხოლო გასაწრთენელად—მთელი თვეების დაკარგვა, როცა გამძლოლი თვითონ იქერდა და წრთენიდა თავის დათვის, როცა დათვები კარპატებში დათვები იყვნენ, ხოლო მამაკაცები—მამაკაცები. ეხლა? ეხლა დათვები კატის კნუტებად გადაიქცენ, ხოლო მამაკაცები—ბებერ დიაცებად.

მოხდა ისე, რომ ვერც ერთი შვილი კოსტასი მამას გვერდში ვერ ამოუდგებოდა. მათ შეეძლოთ დათვისთვის ესწაელებინათ რამე მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხუცი მორჯულდებდა და მოაჭკვიანებდა. შეეძლოთ კარგათ ვაჭრობა სხვა ციგნებთან, რომელნიც დათვების სასყიდლად მოდიოდნენ. თვითონ-კი აღლო არა ჰქონდათ, ვერ მიაგნებდნენ დათვის ბუნავს და ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ იმას, რასაც მათი მამა ბედავდა. სათითაოთ განშორდნენ მამას და მოეწყვნენ თავ-თავიანთ ბრამში, სადაც მისდევდნენ მამა-პაპით გადმოცემულ ხელობას—დათვის მწრთენელის ხელობას.

შვილების შეწყურე კოსტას სულ ერთიან გაუტყდებოდა გული ცხოვრებაზე, რომ ერთ-ერთი თავისი ცოლისაგან, წარმოსადგევი, ნახევრად ველური დედაკაციისაგან, ქალიშვილი არა ჰყოლოდა. ამ დედაკაცის ჩარღებში ნახევრად თათრის, ნახევრად ჩერქეზის სისხლი სჩქედდა. კოსტამ იგი გამოისყიდა ციგანთა თაბორის წინამძღოლისაგან, რომელიც ცხენებით ვაჭრობდა. მოუყვდა ცოლი მაშინ, როცა მარგარიტა—ასე ეძახდნენ მის ქალიშვილს—ჯერ კიდევ პაწაწა ბავშვი იყო. და აი ეს მარგარიტა, რომელიც წერწეტი ტანით დედას ჰგავდა, ხოლო სახის მახვილი გამომეტყველებით, კუთხოვანი, თითქმის ეგვიპტური ნაკვთებით—მამას, კოსტას სიამაყეს წარმოადგენდა.

მარგარიტა სულ ახალგაზრდა იყო. მას არ შეეძლო მამასავით ნადირობა, მამასთან ერთად ტყეში სიარული, მაგრამ შეეძლო დიდი დათვის მორჯულება და მოჭკვიანება ისევე სწრაფათ და ხერხიანათ, როგორც მამას. დაიწყო დათვების ბელებიდან. ეს ბელები მამამ ზურგით მოუყვანა, როცა მარგარიტა რვა წლისა იყო. როდესაც მარგარიტას ათი წელიწადი შეუსრულდა, ბელები დათვებად გადაიქცენ და ბრამში იხდნენ ჯაჭვით დაბმულები. მარგარიტას აღარ ეხალისებოდა მათთან ცოდვილი, ხოლო ახალი დათვები, რომლებიც მის მამას თოკით მოჰყავდა, თავის ღირსად არც-კი მიიანდა, თუ ისინი განსაკუთრებულ მრისხანებას და სიმბეცეს არ გამოიჩენდნენ.

მაგრამ თუ ასეთი მრისხანე ნადირი აღმოჩნდებოდა, მაშინ, ოო მაშინ მარგარიტა ცას ეწეოდა, მისს გატაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— მარგარიტა, მოდი იქ!—ეძახდა მამა,—აი, ხედავ, ეს, მკონი, ნამდვილია!





ქართველთა

მწიგნობართა კავშირი

მარგარიტა შავგვრემან ტიტველი ხელში აიღებდა ძროხის ტყავისაგან გაკეთებულ შოლტს, ფეხშიშველა, თმაგაწიწილი დაღვებოდა მხეცის წინ და დაიწყებდა მის გამოცდას. და თუ დათვი წინააღმდეგობას გაუწევდა, მარგარიტა ხტოდა სიხარულისაგან, ეხვეოდა და ჰკოცნიდა მამას, უღვაშებს უწევდა და წვერებიდან ბაღნებს აგლეჯდა.

— მამა, მამა, ძლიერ ნამდვილი დათვი არ ჩაგვივარდა!

და მთელი დღეობით, გათენებლად დაწყებული შუალამემდე, რჩებოდნენ მარტოდ-მარტონი „ნამდვილ“ დათვითან და წრთვნიდნენ თავიანთ განსაკუთრებულ „სკოლაში“. ამ დროს ისინი ყურადღებას არაფერს აქცევდნენ, არც ბრაზმორთული და თვალგაღმოსავლელი მყიდველის ღრიალს—მომხედვით, საქმე მაქვსო, არც თოვლსა და კინვას, არც ძმების დანებითა და შოლტებით ჩხუბს და აურ-ზაურს.

თავს ანებებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. გამხდარი, გავარგარებული თვალებით, დაკაწრული და დასისხლიანებული ხელებით და ფეხებით, ამაყი გამომეტყველებით გამოდიოდა მამაშვილი და ეძახდა ერთ-ერთ მყიდველს.

— წაიყვანე და წყალი დააღვინე. ხელის გულზე დაიდე საქმელი და ისე მიაწოდე. შიში ნუ გექნება.

ქეშმარიტებას ამბობდნენ: საკმაო იყო კოსტას და მისი ქალიშვილის განსაკუთრებულ სკოლიდან გამოსულ მოწაფეს ორთება ცხოველი დაინახა, რომ მისი სული შიშს შეეპყრო.

მაშინ მამა ეუბნებოდა მარგარიტას:

„ეს შენია“ — ან: „ჩემიაო“.

ერთმანეთის წინაშე პირმოთნეობა არ იცოდნენ. არც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი მათ შორის. ინსტიტუტურად იცოდნენ, ვინ და როდის, შოლტის რანაირი მოქნევით და როგორი დარტყმით დაავიკრავინა საქმე.

როდესაც მარგარიტა თითხმეტი წლისა იყო, ყოველად უემური გახატული დადვა: ყველა დათვი, რომელიც-კი მამამ მოიყვანა, უსიცოცხლო, მკედარი გამოდგა და კატის კნუტს უფრო ვაგონებდა, ვიდრე ნადირს. ცოდვა იყო მათზე ძროხის ტყავის შოლტების გაფუჭება. ძალზე ნესტიანი შემოდგომის შემდეგ მეტად გრძელი ზამთარი დაიჭირა, და დათვები ხანგრძლივი ძილისაგან ისე დასუსტდნენ და დაიშშენ, რომ ცხვრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე დაუნდომებელ მხეცებს.

მარგარიტა ყოველ დღე იმედოვნებდა—ებლა კი ნამდვილ დათვს ვეღირსებო. მაგრამ იმედი არ მართლდებოდა. არც ერთ დათვს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. როდესაც მამა შინ არ იყო, მარგარიტა შოლტით ხელში ერთი დათვიდან მეორეზე გადადიოდა, პლიზიანებდა, სცემდა, მერე უმხორცს აძლევდა—სისხლის წყურვილი დაებადოსო, თოკით ამორებდა დედის პატარა ბელს—ეგებ მხეცური ინსტიტუტი გაეღვიძოსო, მაგრამ ყოველივე ამოდ რჩებოდა.

მობდებოდა ხოლმე, რომ რომელიმე ძუ დათვი თათს იშვერდა და დაარ-



ტყამდა ჯაქეს, რომლის ერთი წვერიც მისი ცხვირის ნესტოში გაყრილ რგოლზე ეკიდა. მარგარიტას იმედით თვალები აენთებოდა, მაგრამ საკმაო იყო მეორეთ შემოქმენვეა შოლტისა, რომ დათეს კული ამოეჭებინა და წკმუტუნი დაეწყო.

და როდესაც გაზაფხული დგებოდა და დათვები თავიანთ ბუნაგებიდან გამოდიოდნენ და მთა-გორებს ედებოდნენ სანადიროთ, კოსტასა და მარგარიტას მოწყენის გრძნობა იცავდა. ამ დროს ათაგებდნენ წრთენას და ჰყიდდნენ დათვების ნაწილს. ამავე დროს იწყებდა კოსტა ხეტიალს სოფლიდან სოფელში, სამიკიტნოდან სამიკიტნოში, სვამდა, ჭირვეულობდა, ბანქოს თამაშობდა, ეჩბუბებოდა სხვა ციგნებს ხან კარპატის ერთ მხარეს—ჭუნგრეთში, ხან მეორე მხარეს—რუმინეთში, და ერთობოდა იმით, რომ ატყუებდა მოსახლერე დარაჯებს, რომელნიც კარპატის ორივე მხარეს იდგენ.

ზოგჯერ ცოტა ხნით სახლში ბრუნდებოდა, რომ გავეცო, როგორ მიდიოდა საქმეები, ხომ არ იყო საჭირო რომელიმე დათვის გაწრთენა. მაგრამ მისი მოსელა მეტი იყო, რადგან მარგარიტა თადარივს იჭერდა და ყველაფერს თავის დროზე აკეთებდა.

მარგარიტა მაგრე რიგად კმაყოფილი არ იყო. მას შეეძლო ჩხუბი აეტება თავის ძმებთან, რომელნიც ხანდახან დახედავდნენ ხოლმე, ან თავის დებინ (დები ჰყავდა მამის სხვა ცოლებსაგან) ქმრებთან, მაგრამ ყველა ესენი „ლაჩარი დიაცები“ იყვნენ, კარგათ ჩასუჭებული და კმაყოფილი ვაქრები. ვერავითარ სიამოვნებას ვერ ხედავდა ვერც კინკლაობაში სხვა ციგნებთან, რომელნიც მოშინაურებული დათვების სასყიდლად მოდიოდნენ. მარგარიტა პირზე დასციწოდდა მათ, მასხარად იცდებდა.

— რატომ თქვენ თითონ არ იჭერთ დათვებს? თქვენ მოშინაურებული დათვები გინდათ, იბიტომ რომ თითონ თქვენ მოშინაურებული, გაწვრთნილი მამაკაცები ხართ.

სიტყვას არ უბრუნებდნენ. მხოლოდ ზოგჯერ ეტყოდნენ, ლამაზი თვალები და მშვენიერი კბილები გაქვსო, ხელებიც სრული და მოშავოო. ვილაცამ ხუმრობით ჰყითხა—ხომ არ მოისურვებ გიყიდოთო.

— თქვენ უნდა მიყიდოთ, თქვენ? განა კრავს შეუძლიან ვეფხვი იყიდოს? ნაკუწ-ნაკუწად გაქცევთ. არა, ამასაც არ ჩაეიდნენ. ავდგები და მოგაფუროთხებოთ. აი ასე—ფუი!

— კარგი, კარგი, აღარ გიყიდით, მუქთათაც არ წაგიყვანთ!—უბნებოდნენ.

— რა თქმა უნდა, არ წაგიყვანთ. გეშინიანთ. ლაჩრები ხართ. მე თქვენზე გამბედავი და მამაკი ვარ. რა თქვენი საქმეა თქვენ მორჯულებული და მოშინაურებული დათვები იყიდეთ. აი ეს მე მოვარჯულე. წაიყვანეთ. ისე წუნარია, რომ შეგიძლიანთ ერთად დასხდეთ სადილათ, ერთი ჯამიდან სჭამოთ. ან აი ეს იყიდეთ. მოშინაურებული დაიბადა. მისი მამა მოშინაურებული იყო, როგორც თქვენი მამები, თქვენთვის ასეთია საჭირო. თქვენ ხომ ცოლებსაც მოშინაურებულს ყიდულობთ. რატომ არ ცდილობთ ძალით წაიყვანოთ? გეშინიანთ განა? ყიდულობთ და თოკით მიგყავთ, შეკრული.



დასკინოდა და მასხარად ივლებდა. სულ ამათ. მამაკაცები თვითონ ავლებდნენ, მაგრამ თავს შორს იჭერდნენ. და არასოდეს არავის კოსტასთვის სერიოზულათ არ უყითხნია—ხომ არ გაჰკიდის იგი თავის ქალიშვილს.

ერთხელ დილა ადრიანს, როცა მოღრუბლული ცა მოწყენილათ სკრიოდა, ხოლო ქარი ზეების ფოთლებს აფრიალებდა, როცა ყინვა, ზამთრის წინამორბედი, უკვე მოაბაკუნებდა თავის ცივ ფეხებს, პეტრაკიო, დათვების სწორთვების ურსუს შვილი, მიადგა იმ ხრამს, სადაც კოსტა თავისი ქალიშვილით სცხოვრობდა. ურსუ დიდი ხნის მეტოქე იყო კოსტასი. მისი ბინა ოცდაათი ვერსის მანძილზე მდებარეობდა. კოსტა და ურსუ მოსისხლე მტრები იყვნენ. და ყველამ იცოდა, თუ ოდესმე ისინი მთაში პირისპირს შეხვდებოდნენ, უკან ერთი მათგანი ლა დაბრუნდებოდა. ის გარემოება, რომ ურსუს შვილმა პეტრაკიომ კოსტას ხრამთან მისვლა გაბედა, უდიდესი სიმამაცის მომასწავებელი იყო. მივიდა კი იმიტომ, რომ ორ კვირაზე მეტია მისი მამა სახლიდან გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

დარწმუნებული, რომ კოსტამ მოჰკლა მისი მამა, პეტრაკიო მივიდა შუარის საძიებლად. პეტრაკიოს და მარგარიტას არასოდეს ერთმანეთი არ ენახათ. ერთხანს ახალგაზრდა ცივანი გარს უვლიდა ხრამს, მაგრამ თვალი ვერავის მოჰკრა. კვირა დღე იყო. უცბად კარავიდან მარგარიტა გამოვიდა, მოქნარებით, ხელები აიშვირა და კისერზე შემოიკვლო.

— შენ ეი!—დაუყვირა პეტრაკიომ,—კოსტა სად დაიკარგა, მოკვდა თუ თავის ბუნავში ზამთრის ძილს მიეცა?

— არა,—მიუგო მარგარიტამ,—თხას სწველის იმ ბიჭებისთვის, რომელთაც მთაში გზა-კვალი აუბნათ.

ამ სიტყვებით მიუახლოვდა და პირდაპირ თვალებში შეხედა. დაინახა სრულიად ახალი სახე. პეტრაკიო სარივით იდგა, ფეხები განზე გაედგა, კისერი გაეჭიმა და კბილები დაეკრიჭა. მარგარიტას გააეროლა. მის წინ „ნადირი“ იდგა, რომელთან ბრძოლაც ღირდა თუნდაც მთელი ზაფხულის განმავლობაში. მარგარიტას ენატრებოდა დათვი, ისეთი დათვი, რომლის მორჯულებაც მართლა ძნელი იყო, და როცა კარგა დააკვირდა პეტრაკიოს, რომელსაც თვალიც არ დაუხამხამებია, მხად იყო თავის შოლტისთვის გაქცეულიყო. არასოდეს მანამდე არ ენახა ისეთი ვაჟკაციური სახე, როგორც ამ ეამად მის წინ იდგა.

— შენ ვინა ხარ?—ჰკითხა ვაჟმა და წარბები შეიკმუჭნა.

— მე კოსტას ქალიშვილი ვარ,—მიუგო მარგარიტამ გაუნძრევლად.— შენ? ხომ არ გინდა იყიდო მოშინაურებული დათვი, კარგად მორჯულებული და გაწკრთნილი დათვი? ათსნაირი ცეკვა იცის. რასაც უბრძანებ, ყველაფერს აასრულებს.

— მე არ მესაპიროება შენი ტუკინები. როცა დათვი მჭირია, თითონ მივდივარ და აი. ამ ხელებით გამოწყავს ბუნავიდან!—მიუგო ყმაწვილმა, შემდეგ დაფიქრდა და თვალმოკუტულმა განაგრძო:— მაშ შენა ხარ მარგარიტა, კოსტას ქალიშვილი! შენა ხარ მარგარიტა! დიად, დიად, ჩერქეზის ქალის შვილი! დიად.



ერკინული

გინჯლიქიძისა

ღიად! მე-კი პეტრაკიო ვარ. მოვედი შური ვიძიო და საშავიერო გადაუხადო მამა შენს. ხად არი?

მარგარიტამ კარგათ იცოდა მტრობის ამბავი. იცოდა ისიც, რომ მისი მამა თვეზე მეტი დობრუჯში იყო და მხოლოდ წინა დღეს დაბრუნდა. შეეძლო ყველაფერი ეს ეთქვა და დაემშვიდებინა პეტრაკიო. ნაცვლად ამისა ხმა მალღადიხარხარა, თავი გააქნია, ოდნავ გადიხარა და დაუსტევინა.

— ვითომ რატომ არ შეძლება ოციოდე წელიწადი კიდევ დიციადო, ვიდრე მაშინემი არ დაკოპლდება და არ დაბრუციანდება, და მაშინ შეებრძოლო. მტრობა ხომ მოხუცებს შორის იყო, ურსუს შეილო! თუ მაინცა და მაინც ბრძოლა გინდა, მე ხომ აქა ვარ, მე შეებრძოლე!

— შენ, ქალიშვილს?

ამ სიტყვებმა მარგარიტა გააცოფეს. ისარივით შევარდა კარავში და თვალის დახამხამებაზე უკანვე გამოვარდა. ხელში თავისი შოლტი გვირა. მთელი ტანი საბრძოლველად მომზადებული ვეფხევივით დაძაბრული ჰქონდა, სახეზე აღმური ასდიოდა.

— აი თურმე რა აზრისა ყოფილხარ შენ ჩემზე? მაშ მე არ შემძლიან შენთან შეებრძოლება? გაჩვენებ, ვინცა ვარ!

იქვე მახლობლად ძუ დათვი, ჯაჭვით მსხვილ ხეზე მიბმული, უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ღრიალებდა.

ვერ მოასწრო პეტრაკიომ გონების მოკრება, რომ მარგარიტამ ჯაჭვს გამოსწია და რგოლი ცხვირის ნესტოდან გამოვლიჯა დათვს. გასისხლიანებული ნადირი ღრიალით, თათების ქნევით და სიბრაზისაგან ვადმობრუნებული თვალეებით მარგარიტასკენ გაქანდა, რომლის ერთად-ერთი იარალი შოლტი იყო.

როდესაც დათვი უკვე ახლო იყო, შოლტის წვერი სეტყვისავით ათამაშდა მის თავზე. მარგარიტას ხელი ისე სწრაფად ადიოდა და ჩადიოდა, რომ თავლის მოსწრება შეუძლებელი იყო. დათვი ოდნავ შეჩერდა, მერე კვლავ მიეტანა. მაგრამ მარგარიტას ერთი ნაბიჯითაც არ დაუხვევია უკან. იგი განაგრძობდა შოლტის ქნევას, ვიდრე დათვი არ მოიღალა, არ მიიწურა და, დამფრთხალი, ბისაკენ არ გაექანა დასამალავად.

— არც ეხლა გინდა ჩემთან ბრძოლა?—ანთებულის თვალეებით მიუბრუნდა იგი პეტრაკიოს, რომელიც უძრავად იდგა ერთ ადგილას.

— არა, — მიუგო მან, — არ მინდა დედაკაცთან შეებრძოლება.

— იმიტომ რომ გეშინიან. შენ მოხუეთან ბრძოლას რჩეობ.

— მე გეშინიან? განა პეტრაკიოზე არაფერი გავიგონია? შემძლიან კისერი მოუვრიხო ათ ისეთ ვაჟბატონს, როგორიც შენი ძმები არიან. შემძლიან შენ ოჯახში ყველა მამაკაცი დავეცე.

— ჩვენ ოჯახში მამაკაცები არ არიან, არიან მხოლოდ დიაცები. თუ გული გერჩის, მე შეებრძოლე. აი ვიწებ!—და მარგარიტამ შოლტი სახეზე გადააწნა.

პეტრაკიო სწრაფლ გამოერკვა, თითქო ათასმა ფუტკარმა ერთბაშად დაკბინაო. თვალეებში ცეცხლის რგოლებმა გაუელვის. ვერ მოასწრო მარგარიტამ



ქართული  
ბიბლიოქონია

ამოსუნთქვა, რომ შოლტი ხელიდან გაუსხლტა, ხოლო თითონ პირდაღმა ტალახში გაიშხლართა. პეტრაკიომ მუხლი შიშველი დაიბჯინა და მიწას გააკრა, ისე, როგორც დალაკნილ, დასაშხამავად ენა გამოყოფილ გველს გააკრავენ ხოლმე. მარგარიტამ იგრძნო, ცივი მახვილი როგორ გაეკარა მის კისერს, და გაიფიქრა — ჩემმა უკანასკნელმა საათმა დაჰკარო.

— გველო! არ მოგკლავ. დედაკაცებს არ ვბოცავ. მინდა, მამაშენმა იცოდეს, რომ აქ ვიყავ. შენ თითონ ეტყვი. მაგრამ რომ არ დაგავიწყდეს, სახსოვრად შენ კაფებს წაგიღებ.

როდესაც მარგარიტა წამოდგა, იგრძნო — ცივი ნიავი როგორ ევლებოდა მის მოტიტგლებულ კისერს. პეტრაკიომ კაფები მოსჭრა და ეხლა, როცა მარგარიტა გონს მოვიდა, იგი ელვასავით მიაქროლებდა ცხენს. მარგარიტამ გახედა და შეჰკვივლა. მერე მუშტები მოუღერა და ფეხი მიწას დაჰკრა. ათას წამებას ივონებდა პეტრაკიოს და მისი მამისთვის. ოღონდ ხელში ჩაიგდოს და თითონ იცის, რასაც უნამს. მამასთან ერთად ამალაშვე მიუხტება მათ თავიანთ ხრამში, ორივეს შეჰკრავს თოვებით, მოათრევეს აქ საწვრთნელ სკოლაში და ასწავლის სერის. ოო, ძვირად დაუჯდება ვაჟბატონს თავხედობა. საკუთარი ხელით დააბამს ჯაჭვით, ზემოთა ტურში რგოლს გაუყრის, სწორეთ ისე, როგორც იმ დათეს უყო, მერე დათვივით ცეკვას დააწყებინებს. მაშინ, მაშინ გაიგებს და შეიტყობს, ვინც არის მარგარიტა.

უცბად კარავში შევიარდა, მამის ნაჩუქარს, ოქროთი შემოვიარაყებულ ხელის სარკეში ჩაიხედა და კვლავ შეჰკვივლა. თმა მოსჭრა, თმა! მშვიშარა, დიაცი! უმჯობესი იყო მოეკლა. როგორ უნდა დენახოს ეხლა ხალხს? მთელი ზამთარი შინ უნდა იჯდეს. მოერიდოს სხვებთან შეხვედრას. რატომ არ მოჰკლავ იმ საზიზღარობა. დაიცადოს, გადაუხდის სამაგიეროს, დიად, გადაუხდის!

კარავიდან გამოვიარდა. ძაღლები და მშვიდათ შიმოვარი ცხენები დააფრთხო და, გაშმაგებული, ქარიშხალივით დაჰქროდა ხრამში. მოუთმენლობა ცეცხლს უკიდებდა, უნდოდა დასდენებოდა, შური ეძია. უცბათ შეჩერდა, საყვირი პართან მიიღო და მამას ნიშანი მისცა. მაგრამ როდესაც მთიდან მომავალი მამა დაინახა, კარავში შევიდა და თავზე ფერადი შალი მოიხურა, ხოლო კოსტას უთხრა — მომწყინდა და იმიტომ დაგიძახეო. პეტრაკიოზე კრინტი არ დაძრა.

— შალი რად წამოვიხამს? — ჰკითხა მამამ.

— თავი დაეიბანე.

— რა გინდა, მარგარიტა, რას მეძახდი? ამ დათეს რაღა მოსვლია? შეხედე, მთლად სისხლშია და ჯაჭვიდანაც აშეებულა. რა გიქნია, მარგარიტა?

— თავი დაინებე მაგ დათეს. კატის კნუტრით მოჰკვიანდა, რატომ ნამდვილი დათვები არ დაიჭირე? აი დადგება გაზაფხული და თითონ წამოვალ სანადიროდ.

— კვლავთუ კარგი, მაგრამ არ მეტყვი ამ დათეს რა დავმართა? ზომ არ მოგვარდა? იქნებ იმიტომ დამიძახე, რომ შეგვემინდა, როცა აეშვა და მოგვარდა? სოქვი, შე კუდიანო!

— შექმნიდა? მე შექმნიდა? აბა მიყურე!

მივიდა და დათვს გვერდში ამოუღვია.

— აღარ მესმის, ისე მოულოდნელათ რად დამიძახე.

— დაგიძახე იმიტომ, რომ მინდა სოფელში წაიყვანო.

— ჰო, ეგ სხვა საქმეა. დიალ... დიალ... დამაცადე, ამ დათვს დაგვეტაჯ და შერე წავიდეთ. შენ ცხენთან ერთად ჩემიც შექმახე.—ამ სიტყვებით კოსტამ დათვს თოკი გამოაბა და ნაპრალისკენ წაიყვანა.

— ესეც შენი ქალები! ასეთები არიან ყველანი: როცა დრო მოუვათ, შინ გული აღარ უღვებათ. უნდათ იჭროლონ აღმა და დაღმა. ესეც ისეთია, როგორც ყველა სხვა,—ღრინავედა მიმავალი კოსტა.

მამასა და ქალიშვილს ლაპარაკი არ უყვარდათ. განმარტოებულნი ცხოვრება თავის ბეჭედს ასევემს ადამიანებს. მარგარიტა თავის პატარა ცხენზე იჯდა და შორი-ახლო მისდევდა მამას. მიდიოდა და ფიქრობდა მასზე, პეტრაკიოზე. რა თქმა უნდა, პეტრაკიო „ნამდვილი“ მამაკაცია. თითონ? თითონ კი არის „ნამდვილი“? როგორ გამოგლიჯა შოლტი ხელიდან და როგორ დასცა მიწაზე! ისე მოულოდნელი იყო თავდასხმა, ისეთი ძალით დაეტაკა, რომ ეხლაც ვერ მოუსახრებია, როგორ მოხდა ყოველივე.

შაგრამ ახლაც გრძნობს მისი თითების სიმძლავრეს, მისი მუხლის სიმძიმეს და მის ცხარე სუნთქვას, როცა, ჯრავივით დამორჩილებულს, ეუბნებოდა:

„გველო! არ მოგკლავ. დედაკაცებს არ ეხოცავ. მინდა, მამაშენმა იცოდეს, რომ აქ ვიყავ.“

ვაკეცურათ მოიქცა. როგორ უნდა, ერთხელ კიდევ შეებძოლოს. მარტოდ-მარტო. მორაჯულოს, დაიმორჩილოს. შაგრამ ისე კი არა, როგორც დათვებს არაფულებენ და იმორჩილებენ. ასე არ გამოდგება. პეტრაკიო მამაკაცია.

ვიდრე სოფლის საბაზრო მოედანს მიუახლოვდებოდნენ, მარგარიტამ ასჯერ გადაავლო გონების თვალი მომხდარ იმბებს და ასჯერვე ასწონა და გაზომა როგორც თავისი, ისე მისი საქციელი. თავის თავს ვერ უსაყვედურებს. მოიქცა ისე, როგორც საჭირო იყო. ის? ის... ვერ მოიქცა კარგათ. უნდა მოეკლა... არა, არა! თმის მოჭრა, მისი მამის შეურაცხყოფა—ამაში შეტი სიმაზაცია.

როდესაც ცხენებს სამიკიტნოს წინ ხეზე აბამდნენ, მარგარიტას უკვე შემუშავებული ჰქონდა თავისი აზრი პეტრაკიოზე. გადასწყვიტა, რომ იგი ნამდვილი ვაჯაკია.

მამასთან სიტუვას არ დასძრავს. თითონ მოაგვარებს ყველაფერს. სრულიად მარტოდ-მარტო. კოსტას ძველი შტრობა, ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი ურსუსთან. თავიანთი საქმე თითონ იციან. ხოლო შტრობა მის და პეტრაკიოს შორის—განსაკუთრებული საქმეა.

— ერთი შეხედვით, ვინ მოსულა!—დაიძახა რამდენმამე გლებმა, როცა კოსტამ სამიკიტნოში თავი შეჰყო.

— შემოდი, შემოდი, დაგვენახე,—სიტუვა მიკიტანმა, რომელსაც ბანს აძლევდა ხუცესიც, სოფლის მღვდელი.



— კიდევ განაგრძობ დათვის ბელგების წრთვნას, გოგონა? — მიუბრუნდა ხუცესი იანკო მარგარიტას და შეეცადა მისი ხელის ჩქმეტას.

— ბელგებო! — შესძახა კოსტამ, — რის ბელგები, რა ბრძანებაა! დათვებს, მრისხანე დათვებს წრთვნის და არჯულებს ცხვევ ოსტატურად, როგორც მე, — და უცბად გული სიამაყით აივსო, რომ ასეთი ქალიშვილი ჰყავს, და განაგრძო: — უკეთ, ბევრად უფრო უკეთ, ვიდრე მე. მარგარიტას შეუძლიან მამაკაცებს შორის ყოფნა სამიკიტნოში ან სადაც ვნებათ. დაჯექ, მარგარიტა, ჩემთან, აი აქ. შენ, ეი, მიკიტანო კელინ, გაიძვერავე, მოიტა საუკეთესო ლეინო და დიდი ჰუნგრული კიჭები ყველა ჩვენთვის და მარგარიტასთვის. — მერე მიმართა მარგარიტას: — თუ გინდა მუსიკას დაუვლო ყური, ვაგვზავნი კაცს და მოვაყვანიებ იანკო ლაუტარს ან სხვა ვისმეს, ვინც შენ მოგწონს. არა? კეთილი, იყოს ნება შენი!

— ერთი საათი არც-კი იქნება, რაც ურსუ აქ იყო, — სთქვა მიკიტანმა კელინმა და კიჭები აივსო.

— მერე, რისთვის შეუძნები მაგას? — განრისხებული წამოხტა კოსტა? — განა გვეითხებოდნი?

— არა, კოსტა, არა. ურსუს საქმე ცუდათ არის: მთებში ყოფნის დროს გველმა დაკბინა. ფეხზე თითის მოჭრა დასჭირდება. შეიძლება მთელი მარჯვენა ფეხიც დაკარგოს, ისე სწრაფათ უსივდება. კოკლობს, აღბად სამუდამოთ დაკოკლდება, — სთქვა მიკიტანმა.

— აი თურმე რა ყოფილა! გვიამბე დაწვრილებით, რაც იცი! — ჰკითხავდენ ცნობისმოყვარეობით გლებები.

— მეტი აღარაფერი ვიცი. ორჯერ გამოხდილი მაგარი არაყი მივეყიდე. როცა სიცოცხლეს ესალმენი, კარგია ასეთი არაყი გვერდით გიდვას. — დაუმტა მიკიტანმა. — დაჩაჩანაკებულა, მოხრილა, როგორც ტოტა ქარიშხლის შემდეგ.

— ეგ სხვა საქმეა, კელინ, სხვა საქმე, — წაიბუტბულა კოსტამ.

კვლავ დაჯდა და შეუდგა თავისი გრძელი წვერის კვნეტას: ასე შეებოდა ყოველთვის, როცა ბრაზი ახრჩობდა.

— შენ აბბობ, კელინ, რომ სამუდამოთ დაკოკლდებაო?

— მე მკონია.

კოსტამ და მარგარიტამ ერთმანეთს გადახედეს. მარგარიტამ იცოდა, როგორ სძულდა კოსტას ურსუ. მამამ კვლავ შეხედა, და მარგარიტა ყველაფერს მიხვდა. უნდა გამოეთხოვოს შურისძიებას. დასახიჩრებულს ხომ ვერ შეებრძოლება! იგი დაბრმავებული იყო სიძულვილით: სძულდა ხალხი, დათვები და თვით სიცოცხლეც. ცხოვრება მეტად მოდუნდა და მოწინაურდა. მოარჯულეს აღამიანები. მოარჯულეს დათვები. მოისპო ბოძოლა. მოისპენ მკლები, აღარ არიან ყაჩაღები. ქალებს აღარ იტაცებენ. ერთად-ერთი მამაკაცი იყო — ურსუ, და ისიც დასახიჩრდა, დაკოკლდა.

— საუცხოვო ვაყკაცო ურსუს შვალი, — სთქვა ხუცესმა, შეხედა მარგარიტას და მერე თვალი უყო დინარჩენთ. — მამაზე უკეთესი მონადირეა.

— არც მაგრე საქებურიია ეგ, — ჩაურთო კოსტამ.

— მაგაში კი არ გეთანხმები, — დაიწყო კვლავ ხუცესმა. — მთელ ჩვენ მი-



დამოში ვერ გამოსძებნი ისეთ ვაჟკაცს. დინჯი, ღონიერი, კეთილი გულით, ვერც დათვების მორჯულებასა და დამოზილებებაში შეედრება ვინმე. თუ სწავამ არა, მე ძალიან კარგად ვიცი ეს.

იშეიათათ გამოტყდებოდა ხოლმე ხუცესი, რომ თითონ ისიც დათვების მრწათენელის შვილი იყო. აშკარათ ეტყობოდა, რომ პეტრაკიო მოსწონდა.

— კეთილი, ვერე იყოს, — სთქვა კოსტამ, — მაგრამ მე ერთ ოქროს ჩამოვ-  
დივარ, თუ პეტრაკიო მარგარიტას წააქცევს.

— არა, არა! — ვაისმა რამდენიმე ხმა.

— ას ოქროს ჩამოვდივარ!

— ასი კი არა, შეგიძლიან ათასიც ჩამოხვიდე. — შესძახა ხუცესმა. — ძალიან კარგად ვიცნობ პეტრაკიოს: არასოდეს ქალს არ შეებძოლებდა.

— მე კი გეუბნებით, მარგარიტას ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაუმაგრდება. ღვინოში კოსტა ჭირვეული იყო. სმა არ იცოდა და ორი-სამი ჭიქის შემ-  
დეგ შფოთსა და აურ-ზაურს იწყებდა.

— სულ შენი ბრალია, კელინ! მოაყვები ისეთ ამბავს, რომელიც ბევრს არ აინტერესებს, — სთქვა მოხუცმა გლეხმა და ადგომა დააპირა.

— დიად. დიად... მირონი მართალია, — დაადასტურა კოსტამ და წამოდ-  
გა. — მოვედი აქ, რომ ღვინო დამელია, მუსიკა მომესმინა, მეკობრეები მენახა და მარგარიტა განერთო, ეს კი მოაქევა ურსუზე ლაპარაკს... ჰა ოქრო, აიღე, რაც გერგება! წაეიდეთ, შვილო. ღამე მშვიდობისა ყველას!

და კოსტა ამბავად გავიდა სამიკიტნოდან, როცა სხვები ჯერ კიდევ თა-  
ვიანთ ადგილებზე ისხდნენ.

მარგარიტა ჩუმათ იჯდა ცხენზე და მამის გვერდით მიდიოდა. მზის სხი-  
ვებმა ღრუბლები გაარღვიეს და მთის ცივი, შევერცხლილი მწვერვალები ოქ-  
როსფრათ შეღებეს. დროგამოშვებით რომელიმე ცხველი უხერხული მოძრაო-  
ბით მწვერვალდან დაიკარებდა ქვას ან კლდის ნატეხს, რომლის ხმაც ჯერ  
მთელ ხეობას აყრუებდა და შემდეგ მიმჭრალი გამოძახილებით შორეულ მთებ-  
ში იკარგებოდა.

უცბათ კოსტას ქვითინი აუვიარდა. ღვინის შემდეგ ადვილათ იცოდა ტი-  
რილი. ეს სისუსტე სიბერემდე ვერ დასძლია. და როცა კოსტა ტიროდა, თით-  
ქო მთებიც ტიროდნენ, თანაუგრძობდნენ და მასთან ერთად ცრემლს ღვრიდნენ.  
ოცნებაში წასული მარგარიტა გამოურკევა.

— რატომ იცადე ამდენი ხანი, ოცი წელიწადი? — უსაყვედურა მამას, რა-  
კი მიხვდა მისი გულსტკივილის მიზეზს. — მე რო მტერთან ანგარიში მქონოდა  
გაასწორებელი, ამდენხანს არ დავიცდიდი. იმავე დღეს, დიად, იმავე დღეს ან  
მეორე დღეს მაინც ვადაუხდიდი სამაგიეროს!

— ოჰ, რა საძაგელი წელიწადია, ყოვლად საძაგელი წელიწადი! — ენესო-  
და კოსტა. — ცოლი აღარა მყავს! დათვები კატის კნუტებს დაემსგავსენ და ურსუც  
დასახიჩრდა! რა საძაგელი წელიწადია!

— შენ ვერც ერთი ნამდვილი დათვის დაქვრაც ვერ მოახერხე. — ევლავ  
უსაყვედურა მარგარიტამ. — იქნება იმიტომ, რომ დაბერდი? ან იქნება მართლა







ქართული

პეტრაკიო იყო. ნამდვილი ნადირი, და ეს ნადირი მანქანადაც დაიმორჩილა. მთელ ტანში ნაცნობმა გრძნობამ დაუარა, რომელსაც იგი განიცდიდა მაშინ, როცა გააფრთხულ ნადირს იმორჩილებდა. მაგრამ ეს გრძნობა უფრო ნაზი და ძლიერი იყო და სულ სხვანაირათ ათრთოლებდა მთელ მის არსებას. სულ გადააუიწყდა, რომ კაეები დაჰკარგა. ან კი რა მნიშვნელობა აქვს ამ ზეციურ სიამესთან შედარებით კაეებს?!

რალაც აიძულებდა წამომბტარიყო, მისულიყო ამ კაცთან, ლაპარაკი დაეწყო. მაგრამ სხვა რალაც უფრო ძლიერი, იკაეებდა და ჰპირდებოდა მეტ სიამოვნებას, თუ ასე ერთ ადგილას დარჩებოდა და მხოლოდ ყურს მიადევნებდა წროვნას.

ღამის სიჩუმეს კვლავ და კვლავ არღვევდა სტვენა, და ყოველთვის, როცა ეს ძლიერი, მკეპარე ხმა კარავს აღწევდა, უამეს და უტკბილეს მუსიკად გაისმოდა მარგარიტას ყურში. დიად, პეტრაკიო „ნამდვილი“ ნადირი იყო, და მან დაიმორჩილა იგი. მაგრამ არა ძროხის ტყავის შოლტით, არა წითლათ გაავრვარებული ნაკვერჩხლით ან რკინით, რომლითაც დათევებს ცეკვას აიძულებენ. არა, არა, სულ სხვა იარაღით, უხილავი იარაღით, უფრო მახვილი და ძლიერი იარაღით.

უნდოდა სიხარულისაგან წამომბტარიყო, ებტუნა, ეყვირა. მაგრამ თავს იკაეებდა. ღუმილი აორკეცებდა იარაღის სიმახვილეს. მეტიც: თითონ ისიც იარაღად ხდებოდა.

ღლის სინათლემ კარვს ქსოვილის ჭურჭუტანებში გზა გაიკვლია. ჭოტის უკანასკნელმა ძაბილმა ამცნო ქვეყანას, რომ მზემ გორების მეორე მხრიდან თავი ამოჰყო და არე-მარეს გადმოახედა, ისევე, როგორც მოწითური სახის ვაგაკაცი მალალი ღობის მეორე მხრიდან დრო და დრო გადმოახედადა ზოლმე ეზოს. პეტრაკიო ეძახდა. დიად, ეძახდა. მაგამ მარგარიტა ხმას არ ვასცემს.

ზედ კარავთან გაისმა უკანასკნელი ძაბილი, მერე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ამის შემდეგ და იმ დრომდე ვიდრე ქვემოთ ხეობას ათასგვარი და ათასნაირი ხმა მოედებოდა, მარგარიტამ ვაიგონა მიმავალი ცხენის ფეხის ხმა. მოკანტულმა და მოტეხილმა შფოთიან ძილს მისცა თავი.

გაედვიდა ერთბაშათ, მამის ხმის გაგონებაზე.

— მზე ჭუნგრეთში წაივდა, შენ-კი ჯერ ისეე გძინავს. წუბანდელი ლეინო მაგარი ხომ არ იყო, ჰა?

— არა, მამა, არა. ნუ მიშლი, მეძინება. თავი მტკივა.

— იმიტომ გტკივა, რომა ძალიან ხშირათ იბან — მიუგო კოსტამ და გამობრუნდა, თან ბუტბუტებდა: — როცა დრო დაუდგება, ასე იცის ყველამ.

დაღამებამდე მამა რამდენჯერმე მიუახლოვდა კარავს. მარგარიტას ესმოდა ყველაფერი, მაგრამ უძრავათ იწვა — მაგრა მძინავსო. მამამ კარვის წინ საკმელი დაუდგა. მაგრამ როგორც მაშინ, როცა მამა-შვილი „ნამდვილ“ დათვის იმორჩილებდნენ, მარგარიტა გრძნობდა არა შიმშილს, არამედ წყურვილს. შხის



ჩასვლის შემდეგ ერთი საათი გავიდა და მარგარიტა სმენად გადაიქცა — უნდოდა ცხენის ფეხას ხმა გაეგონა. მაგრამ არაფერი ისმოდა.

ლეოვდა. შეფთავდა. დღევანდელი ტანჯვა ბევრათ აღემატებოდა გუშინდელ სიხარულს. შუალამქედ ელოდა და უფრო უგდებდა. არც ხმა, არც ძახილი. კარავიდან გავიდა და ცას შეხედა. შოლტი, მისი საიმედო იარაღი ამდენი წლის განმავლობაში, იქვე ფეხითი ეგდო. სწყველიდა ეხლა ამ იარაღს. იგი ისეთივე უბრალო და უმნიშვნელო იყო, როგორც ბავშვის სათამაშო.

რამდენიმე დაუსრულებელი საათი კიდევ იცდიდა და უფრო უგდებდა. შერე დაუსტინა ძლიერათ და გრძლათ. ხმა განმეორდა, ერთი მთიდან მეორეს გადაეცა, მეორედან მესამეს და ბოლოს ჩაეკვდა სადღაც შორეულ ხეში. იგი გაჩვეული ცხოველის, ნადირის ძახილს წაიგავდა.

ხმაგაქმნილი ელოდა. პასუხი არ ისმოდა. მაგრამ გათენებისას, როცა კარავის კალთას ასწია, დაინახა იქ ორივე თავისი ნაწნავი. შემანებულმა, გოცებულმა, გონებააბნეულმა, გაქვებულმა სტაცა ერთი ხელი ერთ ნაწნავს, მეორე — მეორეს და გაეარდა გარეთ. არავინ სჩანდა. ძალღი, კმაყოფილი, ტუჩებს ილოკავდა. ანთებულ თვალებს მარგარიტა მიდამოს ავლებდა. მერე გაცოფებულმა სტაცა ხელი შოლტს და დაუშინა ძალს.

— ესეც შენ, ესეც შენ! კიდევ შემოღებებ ქურდებს, რომ იწანწალონ აქ, როგორც მოესურვებთ? ესეც შენ!

— რისთვის სცემ მაგ ძალს? — ჰკითხრა კოსტამ, რომელმაც ძალღის წკმუტუნზე გაიღვიძა და კარავიდან თავი გამოჰყო.

— რისთვის და აი ამისთვის! შემოხედე, აბა შემოხედე ამ ჩემ თმას. ვიღაც შემოვიდა კარავში და ძილის დროს მოწკრა. ამ წუწქს-კი ხმა არ ამოუღია, ერთიჯ არ დაუყეფნია!

— რაო? რას ამბობ, გოგო! — შეჰყვირა კოსტამ, — ვინ ჩაიდინა ეგ? ვინ? იქნებ ურსუმ? მაგრამ ურსუ ზომ დასაბიჯრებულა! ეშმაკმა იცის, რა არის! მარგარიტაც, ჩემო გოგონაც, ვინ უნდა იყოს, ვინ? — ამ საათში წავალ, მთელ ქვეყანას გადავბარუნებ და ვიპოვნი.

— ვინა და ქურდი, მხდალი, რომელმაც დღის სინათლეზე ვერაფერი შემოიბიებდა და ღამე შემოპარვა არხია, — ყვიროდა მარგარიტა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რადგან გრძნობდა, რომ პეტრაკიო იქვე სადმე ახლო უნდა ყოფილიყო და მის სიტყვებს გაიგონებდა.

იმევე წუთს კოსტა ცხენს მოახტა.

— არ დაებრუნდები, სანამ იმ წუწქს, იმ ქურდს არ ვიპოვნი! — სიტყვა უკანასკნელად და მიუშვა ცხენი.

რა წამს კოსტა მიეფარა, გამოაზნდა თვით პეტრაკიო. ხეს ამოფარებოდა, იქვე, ორი ნაბიჯის მანძილზე.

— გაეგონე, როგორ მეძახდი, არწუვის ფრთებით მოვფრინდი და კაცები კარვის საკვამლედან ჩამოგიგდე. რად მეძახდი?

— შე გეძახდი? შე გეძახდი, შე?

— გაეგონე, როგორ უსტვენდი.

— ძალს დაუძახე.

— აგრე იყო, — ვაიკინა პეტრაკიომ და კბილები დაკრიჭა. — ზაშ, შე-  
 მიძლიან წაეიდე, კოსტას ქალიშვილო. უკვე დაგიბრუნე ის, რაც შენგან წაეიდე,  
 — მიბრუნდა და წასვლა დააპირა. — ვშიშობდი, მამაშენს არ გაელაზნე.

— განა გთხოვე კაცების დაბრუნება? არა. არ მითხოვია.

— შეგონა გინდოდა კაცების უკანვე მიღება, — დაიცინეთ სთქვა მან და  
 განზე გაიხედა, — და რადგან შემთხვევით გამოვიარე აქეთოკენ, კარავში ჩამო-  
 გვიგდე.

— სტყუი, შენ განგებ მაგისტრის მოხვედია! — მიუგო მარგარიტამ.

პეტრაკიოს სახეზე თვალი მოჭკრა ღრმა კრილობას, მათრახისა-  
 გან მიყენებულს, და ერთბაშით ტკივილი იგრძნო: ერთმანეთს შეხედეს. ყმაწ-  
 ვილის თვალების ისრები ღრმად ჩაესო ქალის თვალებს, ბევრად უფრო ღრმად,  
 ვიდრე წინა დღეს მისი ფოლადის ათთები.

მთისმა გამოქანებული ცხენის ფეხის ხმა. ხმა თანდათან აბლოვდებოდა.  
 აშკარა იყო, კოსტა ბრუნდებოდა. მარგარიტამ პეტრაკიოს შეხედა. პეტრაკიო-  
 საც ესმოდა ხმა, მაგრამ მის სახეს ოდნავი შიშაც არ ემჩნეოდა. მარგარიტა  
 თვალს ადევნებდა ყმაწვილს, მისი სახის გამომეტყველებას, და იმავე დროს  
 ყურს უგდებდა ცხენის ფეხის ხმას, რომელიც ყოველ წუთს აბლოვდებოდა. აშ-  
 კარაა, კოსტა უკვე ხრამში შემოვიდა. პეტრაკიომ ისევე კარგად იცოდა ეს,  
 როგორც მარგარიტამ, მაგრამ აღვილიდან მაინც არ იძროდა. როდესაც მარგა-  
 რიტამ გაიგონა ხმა კოსტასი, რომელიც ცხენს ესაუბრებოდა, და დაინახა, რომ  
 პეტრაკიო მაინც არ აპირებდა წასვლას, არ აპირებდა დამალვას. შიშისაგან  
 აკანკილებულმა დაუყვირა:

— დაიმაღე, გვედრები, დაიმაღე! მოდის.

— კვირას სამიკიჩნოსთან მოგელოდები, — წყნარათ უთხრა პეტრაკიომ  
 და ხეებში გაქრა.

და როდესაც დათვების მწრთენელის ქალიშვილმა გვერდით ჩაუარა იმ  
 ხეს, რომელზედაც დათვი იყო მიზმული, იგრძნო, რომ თვით ჰგავდა იმ დათვს,  
 რომელიც დაიმორჩილეს და რომელიც მზად არის აასრულოს თავისი ბატონის  
 ყოველი სურვილი, და უკვე ნაღველი სერავდა მის ფიჭვს იმის გახსენებაზე;  
 თუ რამდენი დღე უნდა დაიღამოს და რამდენი ღამე უნდა გაათმნოს  
 კვირამდე.

თარგ. ილია ალლაძისა.

კრიტიკა მსათვროება  
და  
კუბლიცისტიკა

რატონ კალამი.



# ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი მითარკება

წინახწარი.

ქართველმა ხალხმა გასაბჭოებით თავდაპირველად იგრძნო: თითო მან დაქპარგა ის მოჩვენებითი სახელმწიფოებრივი „დამოკიდებლობა“, რომელიც რუსეთის პროლეტარულ რევოლუციის პროცესში საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მოუპოვა მას. აქედან წარმოიშვა პირველ ხანებში ამ ხალხის „ეროვნულად“ შვებულნი ერთი ნაწილის თანაგრძნობა საქართველოდან განდევნილ მენშევიკურ მთავრობისადმი.

ამ თანაგრძნობის ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენში მენშევიზმის აღდგენის ცდა არალეგალური პოლიტიკური გზით და ეს ლიტერატურაშიაც აღინიშნა. ეს იყო მიმდინარეობა მენშევიზმის რუსტავრაციის. ეს ერთი.

მეორე: იმავე სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობის“ დაკარგვის ნიადაგზე ისევ თავი წამოყო ჩვენებურმა „მაჟულიშვილურმა“, უკეთ იმპერიალისტურმა „პატრიოტობამ“: ესაა მიმდინარეობა ძველი ეროვნული ლოზუნგის — „ჩვენი ივერი, აღზდგეს ძლიერი“ — აღდგენის ცდის.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში ქართველ ხალხს დილემა დაუყენა: ან ისევ მენშევიკური „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმიხაკენ“ და თავისი ფიზიკური არსებობის საფრთხეში ჩაყენება, ან და ბოლშევიკურ პროლეტარულ დიქტატურის საშუალებით კომუნისმიხაკენ და მენშევიკური სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობის“ უარყოფა: ან ისევ ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირი, ან რუსეთის მუშათა კლასთან.

ეს მეორედ დაუყენა ისტორიამ ყოფნა-არყოფნის დილემა ქართველ ხალხს, ერთი მხრით რუსეთთან დაახლოება-კავშირისა და მეორე მხრით სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობის“ დაკარგვის გამო. პირველი მოხდა, როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსული თვითმპყრობელობის შეიარაღებული ძალის საქართველოში შექმნულით; ხოლო მეორე — ერთი საუკუნის შემდეგ, პროლეტარული დიქტატურის საქართველოში გამოცხადებით.

პირველი დილემა ასეთი იყო: რუსულ თვითმპყრობელობასთან შეთანხმე-



საქართველოს მწერთა კავშირი

ბულათ იმოქმედოს შინაურ ფეოდალების „პარტიკულიარიზმის“ ახალგაყოფად და გარეშე „უსჯულო მტრების“ თავიდან მოსაშორებლათ, რომ ახალ კულტურულ, ბურჟუაზიულ ცხოვრების გზაზე შედგეს, თუ შეებრძოლოს ამ თვითმპყრობელობას და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეეცადოს?

როგორც ისტორიიდან ვიცით, ქართველმა ხალხმა ამ კითხვაზე იმ დროინდელი ქართველი მოწინავე თავადახნაურული ინტელაგენციის მეთაურობა-ხელმძღვანელობით მთელი რიგი შეიარაღებული აჯანყებებით უპასუხის თუმცა, ასე ვსთქვათ, ეროვნულ იდეის გამარჯვებისათვის ბრძოლა იყო, მაგრამ ისტორიულად იგი რეაქციონერ ხასიათს ატარებდა: ქართველ ხალხს ისევ ძველ ფეოდალურ პირობებში ჩაყენებას უჭადდა.

აქედან წარმოიშვა მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული მწერლობის ლიტმოტივი—ეროვნული მხატვრული იდეა: ეროვნული მისწრაფება, სულის კვეთება, რომელიც იმავე დროს, ერთ ხანს, სამოციან წლებში რეაქციონერ ხასიათს ატარებდა.

სულ სხვა ხასიათისაა მეორე დილემა: რუსეთის ბუშათა კლასთან ერთად ბრძოლა შინაურ და გარეშე ბურჟუაზიისა და მემამულეების „დასათურგნად“, ყველანიური კლასიური და ეროვნული ექსპლოატატორების თავიდან მოსაშორებლად, რომ საერთო პროლეტარული ინტერესებით შეზღუდული ეროვნული გზით საქართველოში პროექტარული დიქტატურა განამტკიცოს, თუ შეებრძოლოს ამ დიქტატურას და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (მენშევიკური) სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობის“ დაბრუნებას შეეცადოს?

ქართველი ხალხი, ცხადია, უცბათ ვერ გაერკვა ამ საკითხში და კირგა ხანს, ამ იარღობუნგიდან გადაჭრით ვერც ერთს ვერ გააყვა: მან დაიწყო რყევა და რყევის გამო გაჩაღდა ხელახალი ბრძოლა ქართულ მენშევიზმსა და ბოლშევიზმის შორის. მაგრამ ეს ბრძოლა ეხლანდელ ისტორიულ პირობებში ეროვნული დროშის ქვეშ, ეროვნული ლობუნგით კი არ მიმდინარეობს, არამედ კლასობრივ-პროლეტარულით. დღეს ბოლშევიზმ-მენშევიზმის სახელით იბრძვის ორი კლასი: პროლეტარიატი და ბურჟუაზია. აქედან, ეხლანდელი ქართული მხატვრული ლიტერატურის ლიტმოტივიც და მხატვრული იდეაც კლასობრივი არის და არა ეროვნული, როგორც ეს გასაბჭოებამდე (1921 წლამდე) იყო.

ამიტომ ქართველი ხალხის საზოგადოებრივი შემეცნება თავიდანვე ორ მთავარ მიმდინარეობა-ტენდენციით ჩამოყალიბდა: 1) მენშევიზმის რესტავრაცია და „მამულიშვილობის“ ახალი ფორმით აღდგენა, და 2) ბოლშევიზმის განმტკიცება და ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისებურების გზით პროლეტარული დიქტატურის გატარება.

პირველი მიმდინარეობის უკეთეს გამომხატველად ჩაითვლებოდა ჯერ ფორნალი „ბოშალიდი“, გაზეთი „ქართული სიტყვა“ და ბოლოს ლიტერატურული ჟურნალი „კაეკასიონი“, 1925 წლის დასაწყისში „ახალ კაეკასიონიდ“ გადაბალისებული.

სამაგიეროთ მძლავრათ და თანდათანობითი ზრდით კვალი გაავლეს ჩვენს

ქართული

ცხოვრებას ბოლშევიკურ-კომუნისტური მიმდინარეობის განხორციელებაში ლიტერატურულ ორგანოებში: თვიურმა ლიტერატურულ ჟურნალმა „მნათობმა“ და მისმა დამატებამ ლიტერატურულ აღმანახმა „დარიალმა“, პროლეტარულ მწერლობის ახალი ფონტის კრებულ „პროლეტარულმა“, აგრეთვე ამავე მიმდინარეობას გამოხატავენ: დღიური გაზეთის „კომუნისტის“ ლიტერ. დამატება „ჩირალდანი“, ჟურნალი „სახლმარხე“, „პროლეტარული ასოციაციის“ ლიტერატურულ-ახალგაზრდობის ჟურნალი „ლიანდაგი“, (ებლა „მერცხალი“) „რაბისის“ ჟურნალი „ხელოვნება“ და ნაწილობრივ ჟურნ. „დროშა“.

ამ განრიგების გარეშე სდგას ორი კიდევ სხვა ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც საერთოთ ერთგვარი „ნეიტრალობა“ ახასიათებს, რადგან იდეოლოგიურად ისინი ბოლშევიზმსაც ისე კარგად ეწყობიან, როგორც მენშევიზმს და „შაპულიშვილობას“. ესენი არიან: „კისფერი ყანწები“, ანუ ჩვენებური, სიმვოლისტები და „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“ საბჭო, ანუ ჩვენებური ფუტურისტები.

აქ აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობანი განრიგებულია ზემოთ დასახელებული საზოგადოებრივი შემეცნების, შინაარსის მიხედვით ე. ი. იდეოლოგიური მხრით, მაგრამ ლიტერატურას, განსაკუთრებით მხატვრულს, აქვს მეორე მხარე—ფორმალური, რომლის თანახმად იგი დაიყოფა სხვა და სხვა ლიტერატურულ დარგებად (ლირიკა, ბელეტრისტიკა, დრამა) და „სკოლებად“ (რეალისტები, სიმვოლისტები, ფუტურისტები).

მხატვრული ლიტერატურა სხვაგვარ ლიტერატურისაგან ორი მხრით განსხვავდება, ერთი მიზნობრივი მხრით:—აღძრას კაცის ემოციონალური ბუნება და ამ გზით შექმნას მჭიდროთ გაერთიანებული კოლექტივი, ე. ი. მოაწყოს ორგანიზაცია რაიმე კაცობრიული ემოციის „გასაზოგადოებრივობით“. მეორე მხარე შეიცავს იმ ხერხს და საშუალებას, რომლითაც მხატვრული მწერლობა ამ მიზანს ახევეს. ამ მხარესსხვანაირათ „ფორმალურს“ უწოდებენ, რადგან ის ნაწარმოების ფორმას გამოხატავს. ამიტომ ქართული მხატვრული ლიტერატურა განხილულ უნდა იქნას როგორც იდეოლოგიური ისე „ფორმალური“ მხრითაც.

მხატვრული ლიტერატურის დარგებად—ლირიკა, ბელეტრისტიკა და დრამა—დაყოფა სკოლური სახელმძღვანელოებიდანაც არის ცნობილი.

ჩვენთვის საყურადღებოა ლიტერატურის ფორმალური მხრით „სკოლებად“ დაყოფა და გამოხარკვევია, თუ რომელი „ლიტერატურული სკოლა“ როგორ ვითარდება ქართულ მხატვრულ მწერლობაში და რომელ მათგანს რა მომავალი აქვს.

ჩვეულებრივად ჩვენში მხატვრულ ლიტერატურას ორ „სკოლად“ ჰყოფენ:

- 1) „ძველი“ და 2) „ახალი“.

როგორც პირველი ისე მეორე ბურჟუაზიული კულტურის ნაყოფია. პროლეტარულ კულტურას ლიტერატურული „სკოლა“ ჯერ კიდევ ვერ შეუქმნა: იგი ამ მხრივ ჯერ კიდევ „ძიების“ და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში იმყოფება.

ამ „ძიების“ ინიციატივა და ეს მუშაობა თავიდანვე იკისრა, როგორც რუსეთში ისე ჩვენში, გარდწოდებულ „პროლეტარულ მწერალთა“ ჯგუფებმა ლ





ქართული

შეიძლება ითქვას, რომ ამ „ძიებას“ და მუშაობას სინტეტიკური მანანის აქვს, რადგან მასში ჩვენ ვპოულობთ, როგორც რეალისტურს, ისე სიმვოლისტურს. ფუტურისტულს და სხვაგვარ ელემენტებს.

ამიტომ ქართული დღევანდელი ლიტერატურა, უფრო მეტი სისწორითა რომ დავყოთ, გამოვა: 1. ძველი ანუ ბურჟუაზიულ ლიტერატურული „სკოლები“ და 2. ახალი, მოპოვებული სინტეტიკურ-პროლეტარული „სკოლის“ ჩანასახი, ე. ი. „პროლეტარული შუქრობა“. ძველი „სკოლები“ არიან: 1. რეალისტური, 2. სიმვოლისტური და 3. ფუტურისტული.

ევროპაში ამათ გარდა სხვა კიდევ მრავალნაირი „გასათუთებელი“ ფორმა შეიქმნა, მაგ. ექსპრესიონიზმი, ექსტრემიზმი, კუბიზმი, კონსტრუქტივიზმი, დადაიზმი და სხვა და სხვა, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში უმთავრესათ მხოლოდ სამი ზემოხსენებული ფორმა აისახა, თუმცა არის მაგალითები, როცა აქ დასახელებულ ახალ ბურჟუაზიულ „სკოლებიდან“ ზოგ-ზოგი მათგანის კონტურები გვცდლება.

საერთოთ ყველა ახალ ლიტერატურულ ბურჟუაზიულ „სკოლებს“, განსაკუთრებით ფუტურისმს, ახასიათებს „ფორმით“ გატაკება, ე. ი. ლიტერატურული ნაწარმოების ფორმის ტენიკურათ განვითარების ცდა შინაარსზე და მოუკიდებლათ. [მიუხედავათ ამისა, უნდა აღინიშნოს, როგორც რუსი ფუტურისტები — „ლენინისტები“ — ჩვენებურები — ისე „ფორმალისტები“ (ანუ „როშარები“) პროლეტარობისათვის თავს დებენ და პროლეტ. პოეტებს ეჯიბრებიან].

„ფორმალისტების“ აზრით ლიტერატურული ნაწარმოების „ფორმის“ („ხერხების“) განვითარებას საკუთარი, თითქმის „დამოუკიდებელი“ კანონები აქვს.

პოეზიაში, როგორც ვიცით, ასეთმა აზრმა, როგორც ზოგი რუსი პოეტი (ზღვნიკოვი, კრუჩინინი, და სხვა), „ისე ჩვენებური „როშარი“ (ნიკოლოზ ჩაჩავა) ლიტერატურულ აბსურდამდის მიუყვანა: მათ შეჰქმნეს ეგრედ წოდებული „ზაფხნიკური“ ენა, ახალი ბგერითი ენა, რომელიც მხოლოდ თვითონ ავტორს თუ გაეგება.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიულად შესწავლა კი გვიჩვენებს: ყოველ ეპოქის ან ხანის მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების როგორც მთელის, მხატვრული მხარე — რითაც ის მკაცრელების ესაიტერურ მოთხოვნაზედას აკმაყოფილებს — მდგომარეობს ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის სრულს ურთიერთ შეთანაბრებაში, ე. ი. „მხატვრული იდეის სრულს განსახიებებაში“, წამოყენებულ მხატვრულ ამოცანის სისწორით და მკაფიოთ ახსნაში. ნაწარმოები, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე — შინაარსი, გინდ ფორმა — სქარბობს, მხატვრული არაა. ამ კრიტერიით სინჯავს მხატვრული კრიტიკა, ჯერ ისეც ბესარიონ ბელინსკის დროიდან ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს და დღესაც იგი სრულიად შეურყეველი რჩება.

შინაარსი, ეს ნაწარმოების იდეურა მხარეა, ხოლო ფორმა ეს ხერხია და სახეების აღნაგობა, რითაც ერთი მხრით ავტორის მიერ დასახული „მხატვრული

იდეა", ანუ ამოცანა ნიხორით არის ახახულ-ახსნილი, ხოლო მეორე მხრივ ნაწარმოები, როგორც მთლიანი მხატვრული კმნილება, მკითხველის ესთეტიურ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს.

მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებში შინაარსი მკითხველის ყურადღების გარეშე რჩებოდეს.

არა, შინაარსი ნაწარმოების მკითხველის ყურადღებას კიდევ უფრო მეტიდ იპყრობს, ვიდრე „ფორმა“ და თუ ეს უკანასკნელი მისთვის უფრო საგრძნობი ხდება, ეს იმიტომ, რომ მხატვრული ბერბი უმთავრესათ გრძნობას პბადებს, აღვიძებს და აძლიერებს, და, რადგან ყოველ გრძნობას აზრიც თან ახლავს, ნაწარმოები მკითხველში შედეგად აზრსაც აჩენს, ერთი სიტყვით, მხატვრული ნაწარმოები მკითხველში ისეთხავე ნაგრძნობ-ნააზრებს შბადებს, აჩენს, როგორც თვით მისი ავტორი არის გამსქვალული და თუ ეს ნაგრძნობ-ნააზრები როგორც თანაპედროვეთათვის, ისე ზემდეგი ეპოქებსაც ადამიანისათვისაც მისაღებია და საჭირო, მაშინ ნაწარმოები მუდმივი მნიშვნელობისა ხდება, ანუ „უკვდავია“.

ამრიგათ, ლიტერატურულ ნაწარმოებს „უკვდავით“ ხდის ორი გარემოება: ერთი მისი შინაარსის ყველა ეპოქებისათვის ერთნაირი მნიშვნელობა, მეორე — მისი მხატვრული ფორმის მაღალ ხარისხოვ ნება. თუ ნაწარმოებს ამ ორ თვისებებიდან ერთ-ერთი აკლია, მაშინ იგი „უკვდავებას“ პკარგავს და „წარმავალი“ ხდება.

მაგალ. რუსთაველი და ჩახრუბაძე: პირველეს „ვეფხის ტყაოსანს“ ესლაც სიამოვნებით გკითხვლობთ, ხოლო მეორის „თინარინის“ ხელში აღებაც გვიჭირს. ესევე ითქმის მსოფლიოს ყველა „გენიოს“ მხატვრების ნაწარმოებზე: პომეროსზე, დანტეზე, შექსპირზე და სხვებზე.

ყოველ საგანსა და მოვლენას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს.

როგორია საზოგადოთ შინაარსსა და ფორმის შორის დამოკიდებულება?

როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებასა და მწერლობაში ძველი შინაარსის წიაღში ისახება ახალი შინაარსი და ამ ახალ შინაარსს ძველი შინაარსის ძველ ფორმაშივე უჩნდება ახალი ფორმა და როცა ყველა ეს პროცესები განვითარების საკმაო დონეს აღწევენ, მაშინ ძველ შინაარსს ხძვრება ძველი ფორმა და მისი წიაღიდან გამოდის ახალი შინაარსი ახალი ფორმით.

ასე გვაქვს ჩვენ წარმოდგენილი ყოველი საგნისა და მოვლენის შინაარსის დამოკიდებულება თავისივე ფორმასთან.

აქედან საერთოთ მხატვრული ლიტერატურის ახალ შინაარსს აუცილებლად თან ახლავს თავისი ახალი ფორმა და თითოეული ახალი ლიტერატურული „სკოლის“ მხატვრული „ფორმა“, ანუ „ხერაი“, „ტენიკა“ პირდაპირ გამომდინარეობს იმ შინაარსიდან, ანუ იდეოლოგიიდან, რომელსაც ეს „სკოლა“ ატარებს.

ამიტომ სცდება ის, ვისაცა პკონია, რომ ძველი ლიტერატურული „ფორმით“, „ხერბებით“ ანუ „ტენიკით“ ახალ შინაარსს, ანუ იდეოლოგიას სავსე-



ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ბით გამოხატაეს, ან ჰგონია: ახალი შინაარსისთვის ახალი „ფორმა“, ანუ „ხერხები“, ახალი „ტექნიკა“ საჭირო არაა.

პროლეტარული პოლიტიკურ-ეკონომიური დიქტატურის თანდათანობითი ზრდით და განმტკიცებით, ცხადია, განმტკიცდება, განვითარდება და გართულდება პროლეტარული იდეოლოგიაც და ამისდა გვართ შეხაფერი მხატვრული ფორმებიც შემუშავდება. მაგრამ ხანამ ეს მოხდებოდაც, მ.ნამ მის გვერდით ხწარმოებს მეორე გვარო პოეზიაც: ძველი მწერლების, არა პროლეტარული მწერლების შინაგანი გარდაქმნა, მათი შემოქმედებითი პროცესის „გადახალისება“, „გადამწავლება“.

დღეს მწერლები „თანამშრომლობენ“ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებასთან და მათი გადახალისება-გარდაქმნაც ამ „თანამშრომლობის“ პროცესში ხდება. მაგრამ, სამწუხაროდ ეს პროცესი მტკავ მტკივნეულია და ხანდახან სახიფათოა მათთვის; ამით მოხალღდნელაა ის, რომ ხშირად მწერლის უნებურად მისმა მხატვრობამ, „თანამშრომლობის“ ხაწინააღმდეგო შედეგი მოგვცეს.

ამის აბჯარა ილიუსტრაციას გვაძლევს, მაგალითად, ახალგაზრდა სიმფონისტის ბელეტრისტი სერგო კლდიაშვილი თავისი პატარა ესკიზით—„თუთიკუში“.

მე ჰგონია, ეს იგივე აკაკისებური იგავ-არაკი და გამოცანაა, რაც დღევარული ფორმით მკითხველებს „მამულიშვილურს“ გრძნობებს უნერგავს, ეს აკაკის „თავშეხვეულს“ გავექცი თაწწითელამ დამიქორა“-ს მსგავსი რაშეა.

ასეთსავე შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე კოლაუ ნადირაძის „ტფილისის კონტრამანდისტებიც“.

შეიძლებაოდა ამის მსგავსი და სხვა უარესიც შემოპარებული შოეინიზმ-პატრიოტიზმის გამომხატველი ნაწარმოები კიდევ სხვა ბევრი დაგვესახელებია, მაგრ.მ მათი აქ ჩამოთვლა ეხლა საჭიროდ არ მიმიანია. ამ ორი მაგალითიდანაც აშკარად სჩანს, თუ როგორ უჭირთ ანტიპროლეტარული იდეოლოგიის მატარებელ მწერლებს პროლეტარულ-კომუნისტურ თვალსაზრისზე დგომა.

მაგრამ დროს განმავლობაში, რა თქმა უნდა, ეს გახაჭირიც დაძღეფლი იქნება და ქართული მხატვრული ლიტერატურა ერთ მთლიან გამოკვეთილ ბოლშევიკურ-კომუნისტურ ხახებს მიიღებს.

ასეთი მომავალი და ვითარობა ქართულ ლიტერატურის სპეციფიურ და განსაკუთრებულ პირობების გამო აუცილებელია. აეხსნათ.

დღეს ყოელასთვის აშკარაა: ქართველი ხალხის ცხოვრება გარკვევით შედგა ახალ „ლიანდაგზე“ და მშრომელი მასსა ცხოვრების ძირითად გარდაქმნის პროცესში ჩაება.

ორგვარი ხაზით მიმდინარეობს ეს პროცესი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად: ერთი—ახალ ბურჟუაზიული, ე. ი. „ნეპმანური“, მეორე—პროლეტარულ-სოციალისტური. პროლეტარული რევილიუციით დამყარებული პროლეტარულ-პოლიტიკური დიქტატურა დღეს საქართველოშიაც ისე, როგორც მთელ კავშირში „ნეპის“ ახალ პირობებში მოქმედებს.

ესლანდელ საქართველოს სოციალური ცხოვრებაც ამ ელემენტების—კა-

ქართული  
ლიტერატურა

პიტაღორისა და სოკრატისტურის—სასტიკ და გადაწყვეტ ბრძოლას წა-  
მოადგენს: ლენინის ფორმულა „ვინ ვის“ სრულ თავის ძალაშია და აქ მთავა-  
რი ისაა, რომ ეს ბრძოლა პროლეტარულ-პოლიტიკური დიქტატურის გავლენის და კანტროლ ქვეშ სწარმოებს

და თუ მხატვრული ლიტერატურა „ერთნაირი სარკეა“ ცხოვრების, მა-  
შინ უნდა მოველოდეთ: ეს პროცესიც და ეს ბრძოლაც ამ სარკეში გამოიხატება.

საქართველოში სულ ასიოდე მწერალი იხვლება ყველა მიმდინარეობა-  
მიმართულებებისა, თუ უნიკობებს და ძალათმწერლებს სიიდან გამოვრიცხავეთ. და  
დღეს ჩვენ ვხედავთ: ზოგი ვაჯიუტებულ-გარინდებულ გარიჟუნის გარდა ყველა  
ესენი საქართველოს კომუნისტური გამოცემების გარშემო არიან თავმოყრილნი.  
საქართველოს კომპარტიის მიერ წარმოებულმა ხალიტერატურა პოლიტიკაშ,  
როგორც დღეს აშკარადება, უკვე შესძლო ეს.

ამნაირათ, ქართული მხატვრული ლიტერატურის კითხვა დღეს ასე  
სდგას: რომეღს, დღემდე არსებულ ლიტერატურულ „სკოლას“ რა ფორმალუ-  
რი სიხალე მოეძევა თავის მხრით იმ მომავალ ხაერთო სკოლის შესაქმნელად,  
რომელსაც მე ზემოდ პროლეტარული ვუწოდებ.

აქ ახლა სადათ აღარ არის ის, თუ რა შინაარსის უნდა იყოს ქართული  
ლიტერატურა. სადაო მხოლოდ ისაა, თუ როგორ „ფორმებს“ და როგორ ხე-  
რხებს უნდა ხმარობდეს იგი, რომ მიზანს უკეთ მიადლოს.

აი რა არის დღეს გამოსარკვევი.

## I

### „კვლევი“, კვლევისტური „სკოლის“ ცოცხალი ნათობი.

არის ეურნ. „კვლევისტის“ 1924 წ. 1-2 №-ში პატარა ესკიზი დავით  
კლდიაშვილის—„კომოთე მეშველიძე“, სადაც ავტორი თავისი ჩვეულებრივი  
რეალისტური სტილით აგვიწერს ეხლანდელი სოფლის აზნაურთან—კომოთე მე-  
შველიძესთან—შეხვედრას სოფელშივე და უკვე მცხოვანი ბელეტრისტის სა-  
საზღლოთ უნდა ითქვას, რომ იგი ერთი კალმის მოსმით ახერხებს თვალწინ  
კოცხლათ დაგვიყენოს პროლეტარული რევოლიუციით დამურთხალი და გონ-  
დაკარგული სოფლელი წერილი მეამბულე, რომელსაც ვერაფერი გაუგია და  
ვერც წარმოუდგენია, თუ რა მოელის მას ამ რევოლიუციის მსვლელობით და,  
როგორც ასეთი, ჯერ კიდევ განზე იყურება (ეს არის დაწერილი 1924 წლის  
დასაწყისში) და თავს ათასნაირი სანუგეშო ჭორებით იკვებავს.

არა, უცნაური ამბავი ხდება ქვეყანაზე, ამბობს ის, ახალგაზრდაც და მო-  
ხუციც რალაც სხვა კქუაზე შეიქმნენ.. რა მოგველის აღარ ვიცა.. სულ ვერ  
გავართვი თავი. რა ბოლო ექნება ნეტავი ვიცოდე ერთი... სულ დავიბენით  
რომ ვინმე შეისხამდეს ჩვენს შადლს და დალაგებით აგვისხნიდეს: რა არა, რა  
ამბავია, ეგება ჩვენც გამოვსულიყავით ჩვენი სიბნელიდან და ჩვენს გაუგებრო-  
ბას და დაბნევას ბოლო მოღებოდა.—შეგაწყინეთ ამდენი ლაპარაკით, უკ-  
რავად, ბატონო...ო.

ეროვნული  
ნიმუშიწმინდა

ეს არის და ეს სულ, რაც კი ძველი მწერლების ჯგუფს უთქვამს გასული ორი წლის განმავლობაში „კავკასიონიდან“ პროლეტარული რევოლუციისა და საქართველოს გასაბჭოების გამო. აქ მათ ლირიკისა და დრამის მე არ ვეხები, რადგან ამ დარგშიაც მათ არაფერი უთქვამთ. როგორც ხედავთ და როგორც დავით კლდიაშვილის სტილს შეამჩნევთ, ბევრი რამ კი შეეძლო ეთქვა ამ „სკოლას“ რევოლუციის სასარგებლოთ თუ „გული გულობდა“ და რევოლუცია „ეცნო“.

მათ „თავისი მიზნები“ ჰქონდათ, მაგრამ დღეს ეს „მიზნები“ უკუაგდეს და ზემოხსენებულ მეშველიძესავე თავე-გზა დაკარგულნი გვეკითხებიან: „რა არი, რა ამბავია... გვიხარიათ ღვთის გულისათვის, ეგები ჩვენც გამოვიდეთ ამ სიბნელიდან და ჩვენს გაუგებრობას და დაბნევას ბოლო მოელოსო“.

ზოგმა მათგანმა ამ უკანასკნელ წლებში მართლაც მოულო ბოლო ამ „დაბნევას“ და თავისი მხატვრული შემოქმედება უკვე მიმდინარე ცხოვრების მანგზე დაწყო: ჟურნ. „მნათობში“ თავის მხატვრულ მასალების ბეჭდვას და „თანამშრომლობას“ შეუდგა.

პირველნი, რომელთაც ასეთი გაბედული ნაბიჯი გადადგეს არიან:

მოხუცი ნიჭიერი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი და ცნობილი ნაყოფიერი მწერალი-ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი.

პირველმა მოგვცა გასულ წელს შეტად საჭურადლებო მენუარები, ბოლო მეორემ — ახალი ქართლის სოფლის ცხოვრებიდან რომანი — „ჯაყოს ხიზნები“.

ამ უკანასკნელმა უკვე ილაპარაკა „ქართველი საზოგადოება“ და კრიტიკაც გამოიწვია: იგი ერთად ერთი ყოველ მხრივ დამთავრებული ნაწარმოებია, რომელიც ქართულმა რეალისტურმა სკოლამ დღევანდელ პირობებში მოგვცა.

მაშ განვიხილოთ ის და გამოვარკვიოთ მის მაკალითზე, თუ რა შესძლებია ამ სკოლას, რა მნიშვნელობა აქვს მის მუშაობას და რა ლიტერატურული ხერხით, და მანერით აღწევს იგი ამ მიზანს.<sup>1)</sup>

ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ ნამდვილი რეალისტიკა, ზშირად ნატურალიზმშიაც ვარდება: ჯაყოს საკუთარი ქართლის ისე მტკიცედ დაცვა, ეს მე ნატურალისტურ ხერხად მიმაჩნია.

მაგრამ, როგორც ვიცით, რეალისტური პროზის დამახასიათებელი ეს ხალხის ნამდვილი ყოფა-ცხოვრებიდან აღებული რეალური ტიპების ასახვაა: ტიპების დაპირდაპირებით და მათი ურთიერთობის დასურათებით მწერალმა რაიმე გამოკვეთილი „მხატვრული იდეა“ მოგვეცეს.

„ჯაყოს ხიზნებში“ მკითხველი ეცნობა ქართლის სოფლის ცხოვრების ორ ტიპს — თემურაზ ხევისთავს და ჯაყოს. პირველი — ქართველი თავად-ახნაურული ინტელიგენციის უკანასკნელი თაობის წარმომადგენელია, რომელიც წარსულში ქართული საზოგადოებრიობის იდეოლოგიას კისრულობდა, „მოღვაწეობდა“.

<sup>1)</sup> ავტორის წერილის ამ ნაწილს, რომელიც შე ხება „ჯაყოს ხიზნების“ შეფასებას რედაქცია ნაწილობრივ არ ეთანხმება და ათავსებს დისკუსიის წესით.

რომელსაც საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის ეამს საზღვარგარეთ გასვლა ვერ მოუხერხდა.

**შეორე**—საქართველოში, ქართლში სოფლათ ჩამოსახლებული, უცხო ტომის ხალხის, ოსების წარმომადგენელია, რომელიც იმავე დროს ამ ხალხიდან გამოსული „მულაკია“.

ორივე ეს ტიპი „არ ახალია, ძველია“, როგორც ამას უფრ. „შნათობის“ კრიტიკოსი, ანხ. ვარლამ ხუროძე შენიშნავს, მაგრამ აქ საყურადღებოა რევოლუციის წინანდროის ტიპების დაპირდაპირება და მათი ურთიერთობა ახალს. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირობებში.

ეს ახალი პირობები—საქართველოს გასაბჭოება—იმდენათ ძლიერია და გარდაქმნელი, რომ ძველ ტიპებსაც სახეს უცვლის და მათ ძველს ურთიერთობას სულ ყირამალა აყენებს.

ცხადია, ახალი რევოლუციური პირობები, მით უმეტეს ახალი ყოფაცხოვრება, ჯერ ჯერობით „ნეპური“, ახალ ტიპებსაც ჰქნინან, მაგრამ ეს ჯერ დასრულებული პროცესი არაა: მისი გამოხატვა მხოლოდ სექმატიურათ და სიმვოლიურად შეიძლება ჯერ-ჯერობით. რეალისტური კალმის-საგნად იგი „ნების“ პირობებში სოციალისტური ელემენტების განვითარების შემდეგ ხანაში შეიძლება გახდეს; ტიპის რეალისტურათ მოცემა მხოლოდ ცხოვრებაში მისი ჩამოყალიბების შემდეგ შეიძლება.

ამიტომ „ჯაუოს ხიზნების“ ავტორს ახალი ცხოვრების ახალი ტიპების ასახვას ჯერ კიდევ ვერ მოეთხოვთ, როგორც რეალისტს.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მის რომანს, უნდა ვსთქვათ: მართლაც მხატვრულად და ნიჭიერათ არის მოცემული ზემოთ დასახელებული ორი ძველი ტიპი ჩვენი ცხოვრებისა: თეიმურაზი და ჯაუო.

და მერე რა მნიშვნელობა აქვს ამას? რა საშისახურს უწყევს იგი ამით ახალ ცხოვრებას?

ესლანდელი ცხოვრების მესვეურ-ხელმძღვანელებმა იციან, რომ საერთოთ ახალი რევოლუციური და „ნეპური“ პირობები ჩვენს ცხოვრებაშიაც ცვლილებას ახდენენ, მაგრამ მათ კონკრეტული წარმოდგენა არა აქვთ ამ ცვლილებაზე, არ იცნობენ არც გარდაქმნილ ძველ ტიპებს და არც შექმნის პროცესში მყოფ ახლებს, რომ მათთან საკმე შესაფერად დაიკავონ. და აი მწერალი მათ თვალწინ უყენებს ახალ ცხოვრების ამ ახალ სურათ-სახეებს, რომ ახალ ცხოვრების ლაბირინტში სწორი ორიენტაცია აიღონ და არ დაიბნენ. ამნაირათ, ეს მხატვრული ტიპები „ხელმძღვანელთათვის“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც, მაგალითათ, რუკა მეომარი არმიისათვის, რაც დიაგრამები, სტატისტიკური ციფრობრივი ჯულები სახე-მწიფოს მმართველი პარტიისათვის.

მაშ ამ ნაწარმოებს აქვს უდიდესი ორგანიზაციული მნიშვნელობა მკითხველთა მასისათვის: მკითხველში ის იწვევს ნათელ წარმოდგენას ზემოხსენებულ ტიპების უარყოფით მხარეებზე, იწვევს მასში ილტაცება-სიხარულს იმ ნათელ შეგნების გამო, რაც მან ამ მხატვრობის ძალით მიიღო. იგი ამიერიდან არ დაიბნევა მიმდინარე ცხოვრების ლაბირინტში და კარგად გააჩვენებს უარყო-



ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ფითი, საძაგელ ტიპებს—თეიმურაზებს და ჯაყობებს—სხვა წითელ და ახალ ცხოვრების ტიპებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ ზრდის და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან.

„ჯაყოს ხიზნების“ წინშეწელობა ამით კიდევ არ ამოიწურება. აქ კიდევ უფრო მეტად საკურადღებოა ის „მხატვრული იდეა“, რომელიც მასში თავიდან ბოლომდე ასე ოსტატურადაა არის გატარებული.

ეს იდეა, ჩემი აზრით მდგომარეობს შემდეგში: ის ძველი კულტურული „ცოცხალი“ ძალა, რასაც თეიმურაზ ხევისთავი წარმოადგენს და, რომელიც კულაკი-მშვეციის ჯაყოს ხელში სათაშაშო და სათრევ ნივთად გამზდარა, პროლეტარიატია დიქტატურის თვალსაზრისზე დამდგარ, გასაბჭოებულ ქართლის სოფლის ხელში გამოსაყ ნებელი, ისევე ხასარგებლო კულტურული ძალაა. ეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ „ნებური“ პირობებით გათამამებული სოფლის მშვეცი კულაკი ჯაყო, იმავე გასაბჭოებული ქართლის სოფლისაგან ბოლოს და ბოლოს მაინც შესაფერ ნსჯავერს ღებულობს: იგი მას თავის წრიდან აძევენებს, მის „ნადავლს“ ისევე სასოფლო თემს უბრუნებს და ამნაირათ კოლექტივი პიროვნებაზე, თუნდაც ეს უკანასკნელი ისე ძლიერი, მარჯვე, მოქნილი და მოძალადე იყოს, როგორც ჯაყოა, მაინც ბრწყინვალეთ იმარჯვენს.

აქ დაცულია პროლეტარული თვალსაზრისი და პრინციპი: პოლიტიკურათ გამარჯვებული პროლეტარიატი შურის ძიების გრძნობით არ ხელმძღვანელობს, არამედ ის წარსული ცხოვრების სასარგებლო დანატოვარს, როგორიც არის ამ შემთხვევაში თეიმურაზ ხევისთავი, თავის მიზნებისათვის იყენებს, ხოლო მაგნე და გამოუყენებელ ელემენტს, როგორიც არის ჯაყო „კულაკი“ თავიდან იშორებს, ცხოვრების ასპარეზიდან აძევენებს. აქ, ამ რომანში წაპოყენებული მხატვრული ამოცანა—რითი დასრულდება ბრძოლა უნებისყოფო ძველ მაღალ ქართულ „მოღვაწე“ ინტელიგენტსა და პრიპიტული, უყი ძალონით საესე, სოფლის ჩარჩულ პირობებში გამოქილ და მტკიცე ნების ოს ჯაყოს შორის გას.ბჭოებულ საქართველოს მიმდინარე პირობებში—სრული სინამდვილით არის გადაჭრილი.

რა ხერხით, რა მხატვრული ოსტატობით, ანუ „ტენიკით“ მიიღწია ბელეტრისტმა ამ მხატვრულ-ესთეტიურ შედეგს?—მან თავი მოუყარა უველა იმ დამახასიათებელ ინტელექტუალურ თვისებებს ერთ პიროვნებაში, თეიმურაზ ხევისთავში, რომლითაც ასე დაჯილდოებულნი იყვენენ ქართველი თავადაზნაურული „მეოცნებე ინტელიგენტის“ წარმოადგენლები და ჩააყენა იგი იმ კონკრეტულ ახალ სოციალურ პირობებში, რომელშიაც ჩვენში პროლეტარულმა რევოლიუციამ სხვათა შორის ქართლის ერთ რაიონში (ცხინვალის) შექმნა.

აეგორმა ნათავადარ ინტელიგენტის, ქართული ძველი ცხოვრების ამ ცოცხალი ნაშთის გაპიროვნებული ტიპი დაუპირდაპირა მეორეს—ქართლის სოფლის კამია ოსის ტიპს—გაპიროვნებულ ჯაყოს, რომელიც მან საკუთარი „ქარგონითაც“ კი დააჯილდოვა და ნათელ რეალისტურათ დახატულ, მიმდინარე ცხოვრების კონკრეტულ სურათებში დაეჯანაბნა, თუ როგორ ჩაგრავს, თუმცა ძველი ცხოვრების ნაშთს, მარა მაინც სასარგებლო კულტურულ ძალას, ოსეთის შთის სოფლიდან გამოსული უბეში, თუმცა ახალი, მარა მაინც მავნე

ძელა. ნათლათ, ხელშესახებით გვიჩვენა მხატვარმა, თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ ორი ძალის ბრძოლაში მესამე ძალის — თანამედროვე გასაბჭოებულ ქართლის სოფლის ბოლშევიკურ-კომუნისტურ თვალსაზრისზე დამდგარი კოლექტივის ჩარევამ.

რეალობა და კონკრეტიზაცია მხატვრობაში (ვგულისხმობ ჯაყოს „ვარგონს“) ამაზე შორს არ წასულა, თუნდაც რუსეთის დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის მხატვრობაშიაც.

აგტორი არ იეიწყებს ჯაყოს პირად ცხოვრებიდან არც ერთ მნიშვნელოვან დეტალს, და ისე მკაფიოთ, ცოცხალ სახეუ გვიხატავს მას, რომ ეს სახე მუდამ თვალწინ გვიდგას. მაგალითად, არ შეიწყდება და მგონია, არც სხვა ვისმეს, ვისაც კი ეს რომანი ერთხელ მაინც წაუკითხავს, არასოდეს არ დაავიწყდება თეიმურაზის შეხვედრა თბილისის ქუჩებში ჯაყოსთან, როცა ეს უკანასკნელი თბილისის ბაზრიდან ნავაქრი მიდის და სოფლისაკენ მიეშურება. თვალწინ გვიდგას ახოვანი, უზარმაზარი ტანის ოსი-მთიელი, ბაზარში ნაყიდი ბატკნით ილღიაში ამოჩრილი და უდარდელი, მხიარული ხეივანიით ძველი მწიგნობარის გვერდით მიმავალი და თითქოებლაც გვესმის მისი წამდაღუწმ წამობაძილები: „ასე ვიცის ჯაყობა“... „გაგიმარჯოს ყორღანის მთავრობასა“... „გაგიმარჯოს ბალშევიკების რევოლიუციასა“....

მართალია მეტად სუსტათ და მკრთალად არის დახატული ახალი სოფლის ახალი ძალები, რომელთა საშუალებით დღეს ბოლშევიკურ-კომუნისტური საიდუმნებლო პროცესი ტარდება, მაგრამ ამას ჯერ ვერც მოვთხოვთ იმ სწერალს, რომელიც, სულ ცოტა ხანია რაც პროლეტარულ რევოლიუციისადმი მტრულათ განწყობილ ბანაკიდან გამოვიდა და ქართულ მუშათა კლასის ლიტერატურულ ოჯახს შეაფარა თავი. ესეც რომ არ იყოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ახალი სოფლის ახალი ძალები თვითვე ცხოვრებაშიაც ისევე სუსტათ და მკრთალათ არიან ჯერ გამონაკეთულნი, როგორც ეს ბელეტრისტმა დაგვიხატა. აქ საკვირველი ის კი არაა, თუ რატომ არაა ეს ძალები კარგათ და სასურველათ დახატული, არამედ ის, თუ როგორ შესძლო გუშინ „შემოხიზნულმა“ მხატვარმა ზემოთ აღნიშნული ტიპების ისე რეალისტურათ მოკვება, და საერთოდ სწორ თვალსაზრისზე ისე მტკიცეთ დადგომა!

დავით კლდიაშვილს და მიხეილ ჯავახიშვილს მიძევა ცნობილი რეალისტ-დრამატურგი ტრიფონ რამიშვილი თავისი პიესით „გაჭირვების ტალკეხი“ (1925 წ. „მნათობის“ მე 8 და 9 №-ში).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვარლამ შალაქიაშვილის ისტორიული რომანი „სამანი“, რომელშიაც რეალისტურათ არის ასახული ქართველი ხალხის რევოლიუციური მოძრაობის ფონზე ქართველი სოციალ-დემოკრატი. ვარლამ შალაქიაშვილის შემოქმედება საერთოთ იმ საზღვარზე დგას, რომელიც ძველ რეალისტურ სკოლას ახალ რეალისტურ-პროლეტარულ სკოლისაგან გაიჯნაეს.

რა მოგვეცეს ამ ძველი რეალისტური სკოლის ცოცხალმა ნაშთებმა ახალი ფორმის მხრით.

რა თქმა უნდა, არაფერი. მაგრამ მათ დაამტკიცეს და გვიჩვენეს: რეალი-





ქართველთა  
წიგნების კავშირი

ხტურათ ხატვა-წერა ერთ-ერთი საუკეთესო „ხერხთაგანია“ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურისათვის.

## II

### სიმვოლისტები.

ჩვენი ფუტურისტები სიმვოლისტებს „საბოტაჟს“ სწამებენ (ნახ. 1926 წ. გაზ. „დროულის“ მე 2 №.). ეს არაა მართალი, პირიქით სიმვოლისტებმა, ე. ი. „ცისფერ-ყანწელებმა“ ზოგი მათთვის ხელსაყრელ გარემოების ძალით, გასაბჭოებულ საქართველოს ლიტერატურაში, მათთვის შეუფერებელი ადგილი დაიკავეს გასაბჭოების დღიდანვე.

მართალია, ფუტურისტებმაც იმ წლიდანვე გამოუცხადეს მათ „ტერორი“ (ამაზედაც იმავე გაზეთში ნახეთ), მაგრამ „ფთვარაც ვერ შეუდრიკეს“: „ყანწელებმა“ ყველა ჩვენს ლიტერატურულ დაწესებულებებში „არხინად“ მოიკალა-სეს. მათ საკუთარ ორგანოების ნაცვლად, სახელმწიფო ორგანოები მოიპოვეს: ეჟრნალი „დროშა“, რომლის თანამშრომლობას და ტენზიკურ ხელმძღვანელობას ისინი ეწეოდნენ, სახელგამის ხარჯით გამოდიოდა.

რა მოგვეცეს მათ ახალი ამ უკანასკნელ წლებში?

რა თქმა უნდა—თითქმის ვერაფერი, და არც შეეძლოთ მოეცათ. რატომ? ამისთვის ორი პირობაა საჭირო:—იყო პროლეტარული იდეოლოგიის თანაზიარი და იდგე პროლეტარული რევოლიუციის ნიჟდაგზე.

„ყანწელებისთვის“ ნამდვილად არც ერთი ეს პირობა არ დასვაობდა.

მაგრამ მათ შესძლეს ხელოვნურათ შეეკმნათ მეორე პირობა მაინც, პროლეტარული რევოლიუციის ნიჟდაგზე დგომა—და ის იყო თავი მართლაც პროლეტარული რევოლიუციის თანამგრძობლებათ გამოაცხადეს.

ნამდვილათ კი ისინი პოლიტიკაში „ნეიტრალები“ არიან, ხოლო იდეოლოგიაში მისტიკოსები, იდეალისტები და მეტაფიზიკები.

მაშ როგორ მოხდა, რომ ამ პოლიტიკურათ „ნეიტრალებმა“ და იდეოლოგიურათ მიუღებლებმა გასაბჭოებულ საქართველოს მწერლობაში ასე შეუფერებელი დიდი ადგილი დაიკავეს?

ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ისინი ქართულ ლიტერატურაში „ახალი ფორმის“ შემომღებად ითვლებიან. მათ თავიდანვე დაჰკმეს „ძველი“ ლიტერატურული სკოლა და მისი „ფორმები“, ისარგებლეს ქართული ლიტერატურული კრიტიკის სისუსტით, და ამნაირათ მათ განამტკიცეს თავისი სიმვოლისტურ-დეკადენტური ახალი „სკოლა“, თუმცა ძალიან დაგვიანებით (1915—16—17 წლ.).

როცა ჩვენში რევოლიუციური მოძრაობა 1905 წლის შემდეგ ხელ-ახლად დაიწყო და თანდითან იზრდებოდა (1912—15 წ.), როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია მთელ ამ-ერ-კავკასიის რევოლიუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა, მაშინ თურმე ქუთაისელ ახალგაზრდა პოეტთა ერთი ჯგუფი რუსული დეკადენტურ-სიმვოლისტური ჰოეზიით ირთობდა თავს, ვარჯიშობდა კიდევც.

ზოგ მათგანს ევროპაში მოგზაურობაც და იქ ფრანგ დეკადენტ-სიმეოლისტების პოეზიის გაცნობაც ხედა წილად.

მალე ისინი „სამშობლოში“ დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს ევროპის (უმეტესათ საფრანგეთის) ბურჟუაზიული ლიტერატურის „ნაეფრი“, თავი ლიტერატურის „რევოლიუციონერებათ“, „პირველმთქმელებათ“ გამოაცხადეს და დიდი აღიარებით გამოსცეს თავისი „ცისფერი ყანწები“ (1915—16 წწ.)

მათ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, მენშევიკების ბატონობის ხანაში თავი „ახალ მწერლობის“ წარმომადგენლებით გამოაცხადეს, „ახალი მწერლობის კავშირი“ შეკრეს და „ძველი მწერლების“ წინააღმდეგ „ბარიკადებიც“ ააგეს.

მათ ამ ბრძოლაში ვაიზრეჟეს და ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა პოზიციები დაკავებული ჰქონდათ, რომ მათ პროლეტარულმა რევოლიუციამ მოუსწრო, რასაც ისინი ერთგვარი თანაგრძნობით შეხედენ.

აქედან საკვირველი არაა, თუ მათ ახალი ხელისუფლების ნდობა მოიპოვეს. დღემდე მათ ათეული წელი იმოდევანეს, ირევოლიუციონერეს ლიტერატურულ სფეროში და რაც შეეძლოთ უკვე მოგვეცეს და თავისი ლიტერატურული ძალ-ღონე ამოსწერეს.

ამბ. ვ. ბახტაძის აღიარებით — „ამ ლიტერატურულ მიმართულებას ევრაეინ წაართმევს ისტორიულ დამსახურებას — ქართულ მხატვრული ენის მიმართ. ყანწელების სკოლაზე ბევრი რამ შეიჯანა ამ საქმეში, მაგრამ ეს იყო... დღეს კი... იგი რეაქციონური ლიტერატურული მიმართულებაა“. (ნახ. ეჟრნალ „მნათობის“ 1925 წლის № 11-12, გვ. 254).

თუ რამდენად კიდევ გამოსადეგია დღეს ამ „რეაქციონური ლიტერატურული მიმართულების“ წარმომადგენელთა მუშაობა, ამას მათი სანიმუშო ნაწარმოების განხილვა დაგვანახებებს.

ისინი ეს, მეორე წელიწადია, რომ რალაცნაირი „შერიგების“ ხმაზე იწყებენ მღერას და ცდილობენ თავიანთი ს-მბოლისტური-ყანწური შემოქმედება კომუნისტურ იდეალს და მისწრაფებას შეუთანხმონ და შეუფუონ.

ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს პოეტი ტიციან ტაბიძე, რომელმაც თავის ლექსში „ახალი მცხეთა“-ისე აღტაცებით შემოსძახა:

„ეინ დაპზრის დროშას მაღალ ტარიანს,  
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს?!...“

აქ, ამ უსულგულო და უშნო ეპიტეტს — „მაღალ ტარიანს“ — რომ თავი დაეანებოთ, ამ სიტყვებთან შეთანხმებული, მარმონიული სულაც არაა პოეტის წინა ტაება, სადაც სწერია:

„ვესპასიანი, წმინდა ნინო, მეფე მირიან...“

„ლადო დუმბაძის, სუხიშვილის ახალი მცხეთა...“

„მოგონებები გრიგალივით თუმცა მოპჭრიან“

„ურჩი ოცნება მათ პოეტ-ს ვერ დააფეთეს.“!

თუ პოეტს სწამს, რომ „პროლეტარიატის დროშას ევრაეინ დაბრის“



მაშინ არ გვესმის: თუ „პოეტის ურჩი ოცნება“ მოგონებებშია რატომ უნდა „დააფეთონ“, ე. ი. დააშინონ.

და თუ პოეტი წარსულზე მოგონებებით „დაფეთებას“ მოელის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი „ოცნება“ საეკუო ხასიათისაა და ვერაა „ურჩი“.

ერთი სიტყვით აქ სახეები ვერაა ისე დალაგებული, რომ „ამთვისებელი“ მკითხველი პოეტივით არ დაიბნეს და გარკვევით, ცხადათ „ოცნებოს“ გარკვეულ საგანზე. ვერ მიმხედარბარ, მაშ ვერც გვგრძენია, თუ რაზე „ოცნებობს“ პოეტი: წარსულზე თუ მომავალზე? თუ წარსულზე, — მაშინ, ცხადია, იგი „პროლეტარიატის დროშის დახრახზე“ ოცნებობს. ეს კი, როგორც ხედავთ, სრულიათ რეაქციონური სულიერი განწყობილებაა, რის გამომგლავნება-გამოთქმა პოეტს სულაც არ სურდა.

როგორც ხედავთ ამ ლექსში პოეტის განცდათა საშინელი წინააღმდეგობა: ერთგვარი განცდა, განცდა „პატრიოტის“ ვერ ურიგდება კომუნისტის განცდას და ამიტომაც ლექსიდან მკითხველს მხოლოდ შინაგანი დისონანსი ესმის.

ამიტომ ლექსი ვერ გამოდის მხატვრული: მკითხველს ვერც იდეურად და ვერც ესთეტიურათ ვერ დააკმაყოფილებს.

როცა ნაწარმოებში იდეური წინააღმდეგობა ჩნდება, მაშინ ამ ნაწარმოებშიდან დისპარმონია იბადება, მაშასადამე იგი არ შეიძლება იყოს მხატვრული, არ შეიძლება იგი მშვენიერ, ლამაზ „ნიეთად“ ჩაითვალოს. ეს ერთი მხრით. ხოლო მეორე მხრით: სიმელო ლამაზი და მშვენიერია მაშინ, როცა იგი შინაარსის (აზრის, განყენებული ცნების ან ტიპის) შესაფერია, წინააღმდეგ შემთხვევაში უმსგავსოება გამოვა.

აბა რას ემგვანება, რომ ვინმემ, მაგალითოდ პროლეტარული დიქტატურის გამოსახატავათ სიმელოდ გრძელ კუდიანი ტარტაროზი დაგვიხატოს, რომელსაც კლანჭებში მალალ ცილინდრიანი ინტელიგენტი-ბურჟუა ჩაუგდია და აღჩნობს.

სიმელოისტებს თავისი იდეებისა და განცდების შესაფერი სიმელოები აქვთ შექმნილი, ისინი თავისებურ ენაზე ლაპარაკობენ, ამიტომ, როცა კომუნისტური იდეების გამოხატვა-გამოთქმა დააპირეს, იძულებული გახდნენ ამის შესაფერი ახალი სიმელოები (თავის სკოლის ხერხის თანახმათ) შეექმნათ და აი ისინი ჩაუარდნ თავისთავთან წინააღმდეგობაში: ისინი თავისებურ იდეოლოგიით გაელენთილნი იძულებული გახდნენ მათთვის სრულიად უცხო იდეოლოგია გამოეხატათ.

აქედან წარმოსდგა მათი „სკოლის“ ტრაგიკში და მათი ეხლანდელი ლიტერატურის მთელა სისუსტე, სიმკრთალე და ხშირად სიმბინჯე, როგორც შინაარსის მხრივ (იდეური წინააღმდეგობანი) ისე ფორმის მხრითაც (უმსგავსი სიმელოები).

ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენენ მათი ნაწელები როგორც პოეზიის დარგში, ისე პროზა დრამაშიაც. მაგალითად პოეზიაში: ნიკოლოზ მიწიშვილის „პოეტს“ (1925 წლის მხათობის მე 10 №-ში). პროზაში: 1. დია ჩია-

ქართული

გველი

ნელის — „საქართველო სამფეროვანი“ და 2. გრივოლ რომაქიძის „გველის ჰერანგი“. დრამაში: 1. სანდრო შანშიაშვილის „ლატაერა“ და გრივოლ რომაქიძის „მალშტრემი“. საქიროა თითოეული ამ ნაქარმოების ცალ-ცალკე სტატიებში გარჩევა-განხილვა — რომ ზემოდ წამოყენებული დებულების სიმართლე დავინახოთ. სამწუხაროთ აქ ამ სტატიაში მხოლოდ ნიკოლოზ მიწიშვილის ლექსი — „პოეტს“ — გარჩევით უნდა დავეყუთვილდე.

ჯერ ერთი — ამ ლექსის გამოთქმები: „ღმერთი და უკვდავება მშრომელ მიწაზედ“... „უსინდისო“... „ნაქურთხი“... და „ბედის“... პროლეტარულ იდეოლოგიას სულაც არ ეგუება: ამ სიტყვებით გამოთქმული ცნებები განვითარებული პროლეტარის შეგნებიდან უკვე გასულია, იგი უკვე დრომოქმულია: ეს სინამდვილეს აღარ შეეცაქს და ცრუ-ყალბ წარმოდგენათ (ფეტიშათ) არის აღიარებული, მაშასადამე მათ „საბჭოთა ლიტერატურაში“ „ქვეშარიტების“ გამოშატველი დანიშნულება აღარ უნდა ქონდეთ და ეს მით უფრო, რომ ცოცხალ-მხატვრულ ლიტერატურაში მკვდარ სიტყვებს ძალა და მნიშვნელობა დაკარგული აქვთ.

მეორე — ამ ლექსის მესამე ტაევი: —

— „ბრძოლა — აშკარა, თუ უსინდისო,  
და სიყვარულის აღარ დათმობა —  
გამართლებათ ყოველი დღისა  
და გამარჯვების აღით გათმობა“.

სრული უაზრობაა, და რაც უაზროა, ის არსებითად არცაა მხატვრული, ლამაზი. მესამე — პოეტის რჩევა პოეტისადმი: „შენ თვითონ დარჩი შენი ბანაკი და ვაიტანე, რაც დაიქინა“.

ეს კოლექტივზე პიროვნების მალლა დაყენებას ნიშნავს: ეს აშკარა ინდივიდუალიზმია.

მეოთხე — (ეს უკანასკნელი მხოლოდ ფორმალური მხარეა, რაც უფრო საყურადღებოა).

ერთად-ერთი საზე, რომელიც ამ ლექს მოეპოება —

„წითელი სისხლის წითელ ნახველში,  
კბილები: წითლად გამოაფურთხე“.

სრულიად შეუფერებელი და გამოუსადეგარი სიმეოლოა კოლექტივისთვის თავგანწირული. კომუნისტი-პოეტის სულისკვეთების გამოსახატავათ, როცა ეს პოეტი ბრძოლაში იღუბება.

ამის გამოსახატავათ არ კმარა სისხლის სიწითლე აქ სრულიად ზედმეტია სიტყვა „წითელი“, რადგან სისხლის ხსენება თავისთავად იწვევს წაიზოდგენას „სიწითლეზე“, ხოლო რაც შეეხება სიმეოლოებს — სიტყვებს „ნახველი“ და „კბილების“ „გამოაფურთხება“ ისინი მებრძოლისადმი თანაგრძნობას სულაც არ იწვევენ მკითხველში, პირიქით მათ გაგონებაზე რალიცნაირი უკმაყოფილების გრძნობა იზადება.

დეკადენტების მხრით, რომლებიც „სიმამიჯის ესთეტიკობის“ მამანჯ თეორიის მომხრე არიან, ეს საკვირველი არაა. მე მგონია ახალი მკითხველი



ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

ამას ვერ მიიღებს და ჩვეულებრივ სიმყარაღე-სიბინძურეში ვსთეტიურს ვერაფერს დაინახავს.

საერთოდ ეს ლექსი—ე. ი. ლირიკა არაა: იგი უფრო ბრძნელი აფორიზმის სახეს ღებულობს და ავტორის რეზონიანობას მოწმობს.

ნიკო მიწიშვილის პოეტი ჩვეულებრივი „ბრძოლის პოეტია“ და არა კომუნისტური პოეტი. იგი თავისი „უნიანობით“ უფრო ნიკშენურ „ზეკაცს“ მოგვაგონებს, ვიდრე კომუნისტებისათვის თავგანწირულ მებრძოლს.

„...შენ თვითონ დარჩი შენი ბანაკი

და გაიტანე, რაც დაიგინო“-ო, „თი იმის დევიზი. შეიძლება ავტორს (მიწიშვილს) სურდა ჩვენთვის კომუნისტური პოეტი დაეხატა, მაგრამ როგორც ანალიზიდან სჩანს, მას ჩვეულებრივი ინდივიდუალისტი „მებრძოლი პოეტი“ გამოუვიდა. რათ მოხდა ეს?

ცხადია ერთი იმიტომ, რომ ავტორის იდეოლოგია ჯერ კიდევ შორსაა პარლეტარულ იდეოლოგიისაგან და მეორე-იმიტომ, რომ მას ამ იდეოლოგიის შესაფერი არც გამოთქმები, არც სიმვლოები და არც სახეე: არ მოეპოვება, არ შეუძლია შექმნას:

ჰანგს ის ჰქმნის, ვისაც მუსიკა ესმის.

პროლეტარიატის „მუსიკა“ კი ეს მისი იდეოლოგიაა.

ამნაირათ ჩვენი სიმეოლისტები სიტყვით, „ვანცხადებებით“, დეკლარაციებით თუმცა „რევოლუციონრობენ“, კომუნისტებთან „თანამშრომლობენ“, (არ ვიტყვით „თანამგზავრობენ“), მაგრამ ნამდვილათ მათ ხშირათ კონტრრევოლუციკა, ინდივიდუალიზმი და სხვა ამ გვარი ანტიპროლეტარული რამ გამოუდით.

მართალია მათი ცარიელი უაზრობა პროლეტარულ დიქტატურას დიდით ვერაფრით დააბრკოლებს და შეაფერხებს, მარა დახარჯული დრო, ქალაქი და მელანი პროლეტარულ საქმისთვის ყოველ შემთხვევაში საზარალოა.

მაგრამ ამ მცირე ზარალთან ერთად ქართულ მწერლობას მათ სარგებლობაც დიდი მოუტანეს, ვანსიკუარებით წარსულში, როცა ქართული ლიტერატურა ერთ წერტილზე იყო შეჩერებული და წინსვლას ვერ ახერხებდა: იგი ილიასა და აკაკის მიერ „მოჯადოებული“ რეალისტურ-ეროვნულ წრეში ტრიალებდა, ეროვნულ ფეტიშს უკალობდა და გამოსავალს ვერ პოულობდა.

ამ დროს (1915-16 წ.) მოსწრებულად და რიხიანად გამოედუნ „ყანწელები“ და ახალი „მრავალკაშიერი“ შეშოსდახეს. მართალია მათ დაჰკმეს და უარჰკვეს „ძეულების“ ეროვნული ფეტიში და რეალისტური ხერხი, მაგრამ სამაგრეროთ „მალმა ქვეყანა“, მისტიური ლანდები ახალ ფეტიშებათ გაიხადეს და მათი მხატვრული სიმეოლოები მოგვეცეს.

ამით ქართულ ლიტერატურაში სიმეოლიზმი გააბატონეს, რაც მხოლოდ „ტენიკური“ მხრით არის საყურადღებო. ამნაირად მათ მკაცხველიც შეაჩიეს სიმეოლოების გჰმოცნობა-გავებას და მწერლებსაც სიმეოლოების გამოყენების, შექმნის ხერხიც ასწავლეს. ამ გზით მათ მოგვეცეს „დახვეწილი“ და „გამართუ-

ქართული

ლიტერატურა

ლი" ქართული ენის სტილი და მკითხველიც შეაჩვიეს „ლაკონიურობას“ და „სქემეტიურობას“ მწერლობაში.

ყველაფერი ეს მათ მოგვეცეს წარსულში, რაც დღესაც გამოსაყენებელია. „ახალს“ კი ვერც ისინი გვიძლევენ.

III

ფ უ ტ უ რ ი ს ტ მ ბ ი

სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

სრულიად საკავშიროს კომპარტიის (ს. ს. კ. 3.) ცეკა თავის 1924 წლის რეზოლუციის მე 4-წ-ში გვეუბნება:

„...კლასიურ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნეიტრალური ხელოვნება“... (იხ. ჟურ. „დროშის“ 1925 წ. 28 №-ში) ჩვენი საზოგადოება სამწუხაროდ დღესაც კლასიურია: აქედან არც ერთი ჩვენი ლიტერატურული ჯგუფი „არ შეიძლება იყოს თავის მომავლინებელ კლასზე დამოუკიდებელი“, არ შეიძლება იყოს იგი კლასობრივ-იდეოლოგიურ ბრძოლაში ამ კლასზე დამოუკიდებელი, ე. ი. „ნეიტრალური“. მოუხედავად ამისა, იმ რას გვეუბნებიან ჩვენი ფუტურისტები: „...ლიტერატურას აქვს საკუთარი სხეული, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდება, კვდება და ბადებს მის შენაცვლით ფაქტებს, ყოველი ახალი ფორმები და თემითი ცვლილებები გამოწვეულია არა სოციალური მოთხოვნილებით, არამედ წმინდა ლიტერატურული განვითარების კარნახით.“ (იხ. ვაზ. „დროშის“ მე 2-№ ში გვ. 3 ფელეტონში).

მაშ მათი აზრით ლიტერატურის განვითარება ერთია, ხოლო საზოგადოების კი სხვა: ამათ შორის თითქო არავითარი ურთიერთობა და დამოკიდებულება არ არსებობს.

თი სად, რა წინააღმდეგურ დებულებაში აშკარადება ფუტურისტების იდეოლოგიის ძირ-ფესვი.

მაგრამ ამ ხანათ მხოლოდ ნათ პრაქტიკასთან მაქვს საქმე; მით უფრო, რომ ისინი ამხ. ტროცკის „ენობით“ გამხნეებულნი, ამ ფაქტს (ტროცკის მიერ „ენობას“) ემყარებიან. ამხ. ტროცკიმ კი, სამწუხაროთ, დაასკვნა: „ის (ე. ი. რუსული ფუტურიზმი) აუცილებელი რგოლია ახალი დიდი ლიტერატურის შექმნის პროცესში.“ (იხ. 1923 წ. გამოცემული მისი წიგნი „Литература и революция“ გვ. 116.)

ჩვენებურმა ფუტურისტებმა თავის საკუთარი ორგანოს ვახეთ „დროშის“ საშუალებით მოგაცეს (1926 წლის იანვარ-თებერვალში). თავიანთ მოქმედების რამდენიმეთ გახვიადებული, მაგრამ მაინც სწორი ანგარიში. მე კვალ და კვალ მიყვები ამ ანგარიშს.

ისინი სწერენ:

„როდესაც სიმვოლისტებმა კამერული სალონები შექმნეს და იქ ამტკიცებდნ თავიანთ ესთეტიკას, ფუტურისტებს სკანდალებით გამოჰქონდათ ხელშეწყობა ჭოჯაში. ვერ ვიტყვით რომ ჩვენთვის სახსებით დასრულდა სკანდალების სეზონი.“ (იხ. „დროშის“ მე 2 №-რის მე 2 გვ. ფელეტონი).



ქართული

წიგნიწიგნი

წარსულში რაც იყო, იყო, მაგრამ უფრო სამწუხარო ისაა, რომ, როგორც სჩანს, მომავალშიაც გვპირდებიან ისინი ამ „სკანდალების“ გავრცელებას. ამას ისინი ეძახიან ლიტერატურულ „ტერორს“. აი რით გაიხსნეს მათ „ლიტერატურული ახალი ფრონტი“.

მართალია ისინი ამ სამი-ოთხი წლის წინათ მხოლოდ განცხადების „ქალაქ-ლღზე“ არსებობდნენ და თავს მხოლოდ სახელწოდება „ფენისკში“ ათავსებდნენ, მაგრამ გა'ულ წელს „სკანდალური ტერორი“ შეწყვიტეს და თავისი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის საშეალებით ნამდვილ ლიტერატურულ „ტერორს“ შეუდგნენ. ეს ნაბეჭდი რალაცნაირ მახინჯ საკვირველებათა კრებულს წარმოადგენს; ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ეს კრებული, არ შეიძლება მისდა უნებურადად არ წამოსცდეს: ეს რა უბედურებაა, რა ამბავია... და კითხვითი ნიშნით არ გადააქცეს. თვით ამ კრებულში მოთავსებული „ნაწარმოებთა“ ავტორები ხშირათ, ძალიან ხშირათ მიმართავენ ამ კითხვითი ნიშანს: და მისი მსხვილათ და შავათ აღნიშვნით ფიქრობენ მკითხველში კიდევ მეტი გაკვირვების და გაოცების შთაბეჭდილება გამოიწვიონ: ალბათ ამაში ხედავენ ისინი „ტერორს“.

ლიტერატურული „ტერორი“ ისე, როგორც მათი წინანდელი სკანდალური „ტერორი“ თითქოს სრულიად უშედეგოა რჩება. ერთი შეხედვით ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ ისინი და მართლაც მათ რომ წინამორბედნი, მასწავლებელნი, დიდად ნიჭიერი წა-მომადგენლები ევროპასა და რუსეთში არა ჰყოლოდათ და არ ჰყვდეთ ჩვენც „ხელს ჩაუქნევდით“ და ვიტყოდით: დე „იზიარებდით“ ან „იკლუტონ“ ამით საჭმეს ვერაფერს აგებებნო.

მაგრამ ეს ასე არაა: ეს, თუმცა „ახირებული“, მარა მაინც სერიოზული, მეტად რთული და თან სახიფათო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ისინი რალაცნაირ დაიმედებული კილოთი გაიძახიან: „პროლეტარული მწერლები ჩვენს გაელენის ჭეშმ იმყოფებიან და მალე ჩვენს რიგებში ჩადგებიანო“. ამიტომ არის საჭირო, ვიმეორებ, ამ მოვლენას სერიოზული ყურადღება მიექცეს და უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული კრიტიკით მიუდგეთ მას, ვიდრე ამას წინაა გამოკვეყნებული ახალგაზრდა „პროლეტარული“, დავეთ რო-ნდელის „ანალიზი“ იყო. (იხ. „პროლეტარული“)

გამორკვეული უნდა იქნეს, თუ საიდან მომდინარეობს იგი, რას გვიქა-დის და რა იდეოლოგიური მსჯავრი უნდა დაედოთ მას. მაგრამ ამ ხანათ მე მხოლოდ მათ პრაქტიკას შევსტები. გაზ. „დრაოლის“ მიმომხილველი განაგ-რძნობს...

„პირველი კრებული, რომელიც ამ წელს გამოვიდა, იყო: „ლიტერატურა და სხვა“. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ლექსები... პროზა... პოემა „მუინვარის“ პირველი ნაწილი. მისის ბოლო რიცხვებში მოწყობილი იყო დისპუტი სადა-შო, სადაც გამოვიდა მთელი ფრონტი თავისი შემოკმედებითი მასალებით და მოხსენებები წაიკითხეს... წმინდა ფორმალური მეთოდები. „ლიტერატურა და სხვაში“ მოთავსებული წერილებით პირველად შემოდის საქართველოში ფორ-მალისში, როგორც ხელოვნების კვლევის ახალი მეთოდი“...

ქართული

1925 წ. გაზაფხულში დაიწყო დემნა შენგელაიამ ბეჭდვა თაფისი მხალი რომანის „ტფილისი“, რომლის მსალები უკვე დაბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1925 წ. ზაფხულში. სიმონ ჩიჭოვანმა დასწერა თაფისი ვრცელი პოემა—„ფიქრები მტყერის პირას“, რომელიც უკვე წიგნათ გამოვიდა ამავე წელს აშხ. ვ. ბახტაძის რედაქტორობით გამოვიდა ახალგაზრდა ძალებიდან შემდგარი აღმანახი „დარიალი“, რომელშიაც ჩვენი ფრონტი ჟახლოეს თანამშრომლად იყო მიწვეული.“ (ნახ. გაზ. „დროული“ ს. № 2, გვ. 2, ფელეტონი).

ერთი სიტყვით ჩვენმა ფუტურისტებმა 1925 წ. „თაფიანთი ფრონტი“ გააჩაღეს და წარმოიდგინეთ, ჩვენი ჟურნალ „მნათობის“ „უახლოესი თანამშრომლები“ გაბდნენ.

გამოსარკვევით იმისა, თუ რას გეძლევენ „ფუტურისტები“ ახალს სხვა სკოლებთან შედარებით და სასარგებლოს, განვიხილოთ ის „ლიტერატურული ნიმუშები“, რომლებიც მათ 1925 წელს მოგვცეს. მაგალითად, პოეზიაში: მათი საკუთარ კრებულებიდან—„ლიტერატურა და სხვა“—ლექსი (აღბათ სასიმღერო) ნიკოლოზ ჩაჩავასი: „ხელხვაი“, პოემა სიმონ ჩიჭოვანის—„მეინვარი“. ჟურნალ „დარიალიდან“: დემნა შენგელაიას რომანი—„გურამ ბარამანდია“.

ლევ. ტროცკი ამბობს: „ბევრი რამ ფუტურისმიდან სასარგებლოთ დარჩებაო“, და როდესაც შემარკებენ ფუტურისტის, უდიდესი ტალანტის მაიაკოვსკის პოეზიას არჩევს, განსაკუთრებით მის უმთავრეს პოემას—„150.000.000“—, მხოლოდ ასეთი განცხადებით კმაყოფილდება: „მაიაკოვსკის ამ პოემაში მოცემული აქვს: ნათელი სტრიქონები, გაბედული სახეები და მოხდენილი სიტყვები.“ (ნახ. „Литература и революция“ გვ. 112.) მაშ მისი აზრით ფუტურისტებისაგან მოცემული სასარგებლო რამ, შემდეგით ამოიწურება: „ნათელი სტრიქონებით, გაბედული სახეებით და მოხდენილი სიტყვებით.“

სამწუხაროთ, ვერც ერთს ჩვენ ფუტურისტთაგანს, ცხადია, მაიაკოვსკის ვერ შევიდარებთ, მაგრამ მათი პატარა ნიჭის ნაყოფზე, ვფიქრობ, გამოაშკარავდება, თუ რამდენად სასარგებლოა მათი „ნათელი სტრიქონები“, (უკეთ ბურუსიანი) გაბედული სახეები (უკეთ-ფანტასტიური) და მოხდენილი (უკეთ-გამოგონებული) სიტყვები“.

ლიტერატურა მხოლოდ სიტყვაშია მოცემული. (ამ შემთხვევაში—ქართულ სიტყვაში) აქედან—ლიტერატურის ერთად-ერთი მხატვრული საშუალება, ეს სიტყვაა. ფუტურისტების გაგებითაც—სიტყვა ლიტერატურის ერთად-ერთი „მასალა“. უმეტესად მათი „მუშაობა“ ამ „მასალის დამუშავებაში“ და დაღვება-დაწყობაში მდგომარეობს, და ყველაფერი, მთელი მხატვრობა, ხელოვნება იმაზე და მოკიდებული, თუ რა „ხერხს“ („прием“) ხმარობს მწერალი სიტყვების შესაქმნელად, დასაღვებლათ და დასაწყობად.

მაგრამ რა არის თვით სიტყვა?

სიტყვა არის უმეტესად შრომია პროცესში წარმოშობილ ბგერათაგან შემდგარი სიმეოლი კაცის წარმოდგენის, შეგრძნობის, განცდის და ცნების გადასაცემად, აღსანიშნავათ.

აქედან სიტყვა ორბუნებოვანია: მისი ერთი მხარე (მორფოლოგიური) კაცის ჟურნალი „მნათობი“ № 10—11 (30—31).





მსოფლგაგების, შემეცნების, აზროვნების საშუალებაა: (ფრანგულად ვერ იაზროვნებს), ხ-ლო მეორე კი (ფონეტიკური) სულიერი განწყობილების, განცდის, გუნების, მიღებული შთაბეჭდილების, ერთი სიტყვით მსოფლშეგრძნობის (Мироощущение) გათმობატველია. ყოველი სიტყვა ორგვარ ელემენტისაგან შედგება: ბგერა—ხმა და სახე—სიმეოლი. ზოგში პირველნაირი ბუნება-ემოციონალური—სქარბობს, ზოგში კი მეორე ნაირი—ცოცხალი—წარმოდგენის ან განყენებული ცნების აღმნიშვნელია. სიტყვის თვითვეული ეს მხარე ცალკე არ არსებობს: ვერ იტყვი, ან ვერ იხმართ მაგალითად, სიტყვას ფრინველი ისე, რომ ხმას „ფრინ-ხ“ მოსმენასთან ერთად ცოცხალი არსებაც, რომელიც ჰაერშია ფრინავს, არ წარმოიდგინოთ.

სიტყვის ეს ორმაგი ხასიათი ადამიანის ინტელექტის ორმაგობიდან წარმოდგება: ეს უკანასკნელი ერთ და იმავე დროს აზროვნობს, მსჯელობს, ფიქრობს და გრძნობს, განიცდის კიდევ. ამას ქართულად ერთი რთული სიტყვით გამოეთქვამთ ხოლმე: „კაცსა აქვს გრძნობა-გონება“ ან კიდევ: „ეს ჩემი გრძნობა-გონების ნაყოფიაო“ და სხ..

ფუტურისტ-ფორმალისტები, სიტყვის ჩხოლოდ პიველ ბუნებას (გრძნობიერებისას) ემყარებიან და ხშირად (პოეზიაში) „უსახეო პოეტურ ენას“—ცნობენ. („Искусство образное переходит в искусство безобразное.....“ ამბობს ვიქტორ შკოლცვი. (ნახ. მისი წიგნის „Теория про-из-в“ გვ. 8)

კაცის ესთეტიუი მოთხოვნილება კი კმაყოფილება მთლიანი სიტყვით, ე. ი. მისი მშენიერებით, სილამაზით, რაც ფორმასა და შინაარს შორის არსებულ დამოკიდებულების ჰარმონიას შეიცავს:

აქ სიტყვის შინაგანი ბუნება, ე. ი. აზრი და მისი (სიტყვის) გარეგანი სახე, ანუ ბგერა-მუსიკალობა ურთიერთ შეთანხმებული, მხოლოდ შეერთებული სახით არის დამაკმაყოფილებელი კაცის ესთეტიური მოთხოვნილებისა.

„ფილოსოფიური“ გინდ შორალური“ ე. ი. ინტელექტუალური განცდაც იხვევ ესთეტიურია, როგორც „ჰარმონიული ხმების“ მოსმენა.

ფუტურისტები კი სიტყვის ამ ესთეტიურობის ერთ მხარეს (შინაარსს) სრულიად ივიწყებენ და მხოლოდ მის ფორმალურ მხარეს აქცევენ ყურადღებას. ამ ნაირად ისინი ეარდებიან „ფორმალურ“ უკიდურესობაში და ცალმხრივობაში, საიდანაც, ჩემი აზრით, მთელი მათი „უაზრობა“ წარმოსდგება.

ლიტერატურა სიტყვას ემყარება, როგორც მთლიან „სხულს“ და არა მარტო მის ერთ მხარეს, ე. ი. მის ბგერა-მუსიკალობას, როგორც ამას ფუტურისტები ჩადიან. აქედან გამომდინარეობს ისეთი ლიტერატურული „აბსურდი“, როგორსაც წარმოდგენს რუსული „ზაუმი“.

აქედანვე წარმოსდგება, ზეპი აზრით, მათი უზომო ვატაკება ლექსთ-წყობის დამუშავებით, ალიტერაციებით, რიტმიული და რითმიული გამოთქმებით და განყენებული ცნებების „განივთებით“ და რადგან ყოველივე ეს მოკლებულია სიტყვის შინაგან ბუნების ხასიათს, აზრს, ე. ი. რადგან სიტყვის გარეგანი სახე ან ფორმა არაა დაკავშირებული ორგანიულად სიტყვის მეორე ბუნებასთან, ე. ი. შინაარსთან, ამიტომ იგი საერთოდ უაზრო-გაუგებარი ხდება

და საჭირო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ე. ი. ესთეტიურ მხატვრულ მნიშვნელობას მოკლებულია.

ფუტურისტები აქ, სხვათა შორის, იმასაც სკდილობენ, რომ „ხალხური“ სიტყვიერი პოეზიით ისარგებლონ და იქიდან ბევრი რამ თავისებურად გადმოიღონ. ამით ისინი ამაყობენ კიდევ.

ზემოდ დასახელებული ლექსი ჩაჩავასი — „ხელხვაი“ სხვათა შორის იმასაც გვიჩვენებს, თუ რამდენად ახერხებენ ისინი „ხალხური პოეზიის“ მუსიკალობის მიზაძვა-მიხწევას.

ყველამ იცის თუ რა შრომითი მოტვივით არის დასავლეთ საქართველოში შექმნილი ხალხური სიმღერა — „ხელხვაი“ და ვფიქრობ ბევრს ჩვენგანსაც ექნება მოსმენილი მისი მოზაიბლავი ჰანგები.

აბა ეხლა დაუგდეთ ყური — ფუტურისტს ნიკოლოზ ჩაჩავას:

„ტარო უდარო.

ტარო უტარო.

ბლერი და სკიპიდარი.

ტარო ნასიმიდარი

სინდიოფალა.“ და ასე ბოლომდე კიდევ ორი ტაეპი. (იხ. „ლი-

ტერატურა და სხვა“ გვ. 22).

რა კილოთი და ინტონაციითაც არ უნდა წარმოსთქვათ ეს სიტყვები „სინდინდის რჩევის ან ტეხვის“ შრომითი პროცესის მუშაობის აქტარებულ ტემპის რიტმს, ე. ი. „ხელხვავს“ მაინც ვერ შექმნიით. პირიქით, მე მგონია ამ ტაეპში ხმარებული ახალი სიტყვა „უდარო“ და სრულიად უაზრო, შეფერებული და ისიც ანტიესთეტიური სახეები „ბლერი და სკიპიდარი“ დისჰარმონიას ჰქმნიან, რის გამოც მუსიკა ირღვევა და შედეგად მსმენლის ენერგიის დაცემასა და მოდუნებას ვლებულობთ.

ამასთან „სკიპიდარის“ გაგონებაზე მკითხველს კითხვა ებადება: რად დასკირდა აეტორს ეს სიტყვა, და პასუხად ლექსიდიწვე ესმის სიტყვა „ნასიმიდარი“; აქედან გებულობს: სკიპიდარი — „ნასიმიდარი“, გამოდის რითმა „იდარი“ და როცა ეს უმსგავსოება შეგნებაში გადადის, მსმენელი შედეგად ლებულობს აღშფოთებას და უმსგავსოების ანტიესთეტიურ გრძნობას. მაშ ლექსს სარგებლობის ნაცვლად მოაქვს აშკარა მიენებლობა. დასასრულ შთაბეჭდილებას საბოლოოდ აქარწყლებს სიტყვა „სინდიოფალა“.

მე მგონია, თვითონ აეტორიც ვერ გვეტყვის, თუ რათ დასკირდა მას აქ ლამაზ ბეწვიანი, მარა საშინელი სისხლის მსმელის, პატარა მხეცის ხსენება.

კიდევ უფრო მეტ უაზრობის ნიმუშს წარმოადგენს ნიკოლოზ ჩაჩავას შემდეგი „ხაუმი“:

„ხის მანდური

ხვალი

უტირალუ

ინგი

მონალინგი



არჩა

ხაბალარჩა\* (ნახ. „ლიტერატ. და სხ“. გვ. 17)

მოდით და ვაიგეთ, ან ივარძნეთ, რა უნდოდა ეთქვა ამით ავტორს! ამ ექვსი სიტყვიდან არც ერთი ხმარებაში შემოსული სიტყვა არაა, ყველა მოგონებულია და ახლად შეთხზული!

ეს არც ხალხურ „ზაუმს“ გავს და არც მუსიკალობას შეიცავს. შეძლება ამის მსგავსი რამ რუსს „ზაუმნიკებს“ მოუნახოთ, მაგრამ ეს ხომ საბუთი არ იქნება იმის, რომ პოეზია ასეთ უაზრობა-უმსგავსობას ემსახუროს?! (პოეტმა მაიკოვსკიმ, „ლენინსტმა“ რუსულ პოეზიაში შემოიღო ეგრედ წოდებული „საბაასო ენა“, რაც დღემდე სრულიად უცხო იყო ლექსში (თუმცა ამის ნიმუშებსაც უხვად გვაძლევს ხალხური პოეზია, მოიგონეთ, მაგალითად, „ცა და დედი-მიწის გაბაასება“).

ასეთი ხასიათის ნაწარმოებს წარმოადგენს, ჩემი აზრით, სიმონ ჩიქოვანის პოემა „მყინვარი“ („სწრაფ შევებარუნე კეხი ბაასისო“, ამბობს პოეტი) თემა, ჩემი გაგებით — „მყინვარი“ და კაცა — დაპირდაპირებაა ორი დიდ ბუნებრივი არსების. პოეტი (ანუ „როშარი“) მოუწოდებს მყინვარს, რომ ისიც ჩამოვიდეს ბარში ისე, როგორც „მზე ჩამოვიდა“ და ჩვენს ქალაქში იცხოვროს, რადგან მას, პოეტს, არ სურს ის „სამოვარს გავედეს ნისლით შემოსილს“.

„მყინვარი“ ჯერ უარზეა, არ „კადრულობს“ იგი „ცაკოკა“ გაუტოლდეს პოეტს მომღერალს და მისი წინადადება მიიღოს, მაგრამ პოეტი არ ცხრება: ის „მამლის პოხით“ კვლავ მიმართავს „მყინვარს“ და თან დასძენს: „მას, პოეტს მრავალი „მყინვარი“ უხიდავს ზურგით და ბევრი იალბუხიე ჰქონია სტომაქში, მაგრამ სიმძიმეების ტარებას მან ცუკვა არჩაა, მჩატე სხეულით წრეთა რგოლში“.

ჩვეულებრივი ენით, რომ ესთქვათ: პოეტი თუმცა, მძიმე გრძნობებით და დარდით ყოფილა მრავალჯერ შეპყრობილი, მაგრამ მას სწყურია სიცოცხლე და ამიტომ მზიარულებას ეძლევა, ამასვე პირდება მყინვარს პოეტი, თუ ის დატოვებს, მთების ნაკელს, „ჩამოვა პროსპექტზე და მოხუც მზეს ამოთრევა მოცხმარება“.

ბოლოს მყინვარს ჭკუაში უჯდება ეს რჩევა და „მოხტუნავს მთებზე ნაპრალებზე, ხმარობს ყავარჯენს“...

როგორც ხედავთ აქ გამოხატულია კაცის უდიდესი სურვილი: ბუნების უდიდესი ძალა თავის ნებას დაუმორჩილოს, ბუნების უძლიერესი მოვლენები ცხოვრების მონაწილე გახადოს და მას ბმსახუროს: „მზეს ამოთრევა დაეხმარევიო“.

ძნელია, მეტად ძნელი, ყველა ამეების „შევრძნობა“ ან გაგება პოემიდან, რადგან ყოველი გამოთქმა უჩვეულო და ბურუსიანია; სრულიად ახალია პოემაში სამიოდე სიტყვა (მაგ., ცაკოკა, როშარი, ბირკვილობით) დანარჩენი, თუმცა ნაცნობი სიტყვებია, მაგრამ ისე დალაგებულ-დაწყობილი (სინტაქსი) და ერთი მეორესთან დაკავშირებულ-შეთანხმებული, რომ მკითხველს ან მამენელს აზრი ერევა და წარმოდგენას ჰქარგავს: სახეთა, წარმოდგენათა და ცნებათა ასოციაცია არ ხდება. მაგ. („როშარი“ ეუბნება მყინვარს): „შენ და ანგელოზი ზორს ბავ-

შეობაში ჰგავდით გამხდარ ბანკირებს\* -ო, და სხვა ასეთი მრავალი... რანიარად ჰგავდა „მყინვარი“ და ანგელოზი შორს ბავშობაში გამხდარ ბანკირებს, ამას-ვეფიქრობ. თანამედროვე და მით უფრო მომავალი დიდად დახელოვნებული მკითხველიც კი ვერას გზით ვერ წარმოიდგენს. ამიტომ თავისებურ მხატვრულად, შეიძლება, „ფორმალურად“ ძლიერ მხატვრულადაც გამოთქმული სახე მკითხველებში შესაფერ შთაბეჭდილების ნაცვლად გაოცების გრძნობას ჰბადებს.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: ყველაფერში ასე არაა: ზოგჯერ მართლაც კარგი გამოთქმებია და მკითხველზედაც შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგ.: „ოი მწვერვალო, პერიტერიით ნაშობ ზურგების“... „და მამლის პოზით მე მიემართე მყინვარს დიდებულს“... „არის მყინვარი თავდაყირა შალალ ქაბრივით“... „დგებარ მყინვარი თმაშევერცხლილ კომუნარივით“... მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ, საერთოდ კი მკითხველი გაუგებრობის ბადეში ეხვევა, ყოველ ღონეს ხმარობს თავი დაახწიოს ამ გაუგებრობას, ბურუსს, ცდილობს წარმოიდგინოს, იგრძნოს ის, რაც პოეტს წარმოუდგენია ან უგრძენია, მაგრამ ამაოდ: ნერვიულად საშინლად მოქანცული იმედს ჰკარგავს და პოეტის ნაწარმოებს ხელიდან უშვებს, თავს ანებებს.

პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის ნაწარმოებთა ერთი კრებულის წინასიტყვაში ამბობს: „ჩვენ ფუტურისტებმა ბევრი ხიტყვიერი ამერიკა აღმოვაჩინეთ, სადაც ეხლა შრომის მოყვარუბით მყარდებიან იმ მწერალთა ახალშენები, რომლებიც ჩვენ კეთილშობილურათ ვაკვირბოდნენ, მალე ჩვენ მიერ შექმნილი, ყველასთვის შესასწავლი ანბანი გახდებაო“.

ეს მართლაც ტროცკის თქმისა არ იყოს, მეტად „გაბედული“ წინასწარმეტყველებაა.

ამაზე აქვე უნდა ვთქვათ: ძნელია, მეტად ძნელი აღსანიშნავია, თუ რას შეიძლება „მათ მიერ აღმოჩენილი ამერიკა“ და ის ცოტა რამ, რასაც ისინი გვიტოვებენ და რაც ამბ. ტროცკის მომავალ ახალ ხელოვნების განვითარებაში „მთელ ერთ რგოლად“ აქვს წარმოდგენილი.

ჩვენს ფუტურისტებს უფრო აშკარათ ორგვარი თვისება ემჩნევათ. ერთი ის, რომ მათ ნაწერებში ბლომად მოიპოვება მეშინური ხასიათის გამოთქმები. საერთოდ მათი ნაწარმოები აღბეჭდილია ნამდვილი მეშინური განწყობილებით, მეშინური ხასიათით და მისწრაფებით. თუშეცა ისინი მეშინებს და მეშინობას ზიზღით იხსენიებენ წარამარა. მეორე ის, რომ ისინი ზოგჯერ დიდი პატრიოტის მანტიას ისხამენ.

ყველა ამის საილუსტრაციოდ ზემო მოხსენებული პოემა „მყინვარი“ გამოდგება. აქ ხშირად შევხვდებით ასეთ გამოთქმებს (მეშინურს): „არა გაქვს ფული? მე მოგიწვობ მყინვარის გასტროლს“... „გვსურს გამოვიდეთ ძლიერ იოლად“... „ბილეთი მიტინგებზე (!) გასტროლებზე ხელმისაწვდომიათ, ყველას იაფად“... „როგორც რომარი თქვენს მშობასაც აღარ ეთაკილობ“... „მოგიკვდეს დედა, თუ ბარში ვნახო ზარალი“... (ასე გგონიათ, აქ მყინვარი კი არა, ვინმე ჩვენებური, გაბრწინილი ჩარჩი ლაპარაკობსო) და სხვა და სხვა...

აქვეა გაბნეული პატრიოტული გამოთქმებიც.. „არ მინდებარ ჰგავდე



სამოვარს“... (ვითომდა რუსეთსო). „მრწამს (მყინვარი ამბობს) არ იცოდა ანგარიში ჰავკავადემ ეტლის შედარემ (?) რამდენი ბანკის მე მუცელში გახსნა შემედლო“.... „მყინვარიმა ეს სთქვა და სამოვარის ორთქლში დაიწყო ძებნა ბარათაშვილის გაბნეული ფიქრთა ბროლების“.

ჩემი გაგებით ამ უკანასკნელით ავტორს უნდა სთქვას: მყინვარი (ე. ი. საქართველოში) ნიკოლოზ ბარათაშვილის ჰუმანიტარული ეროვნული იდეის შეთვისება რუსული კულტურის გავლენის ქვეშ („სამოვარის ორთქლში“) დაიწყო. კიდევ სხვა ასეთი გამოთქმების მოყვანა შეიძლება, მაგრამ მგონია ესეც საკმაოა. ავტორი ეროვნულ იდეას არ უგულვებელ ყოფს.

დასკვნა: პოეზიაში ჩვენებური ფუტურისტები, ტროცკის თქმას — „ნათელი სტრიქონები, გაბედული სახეები და მოზღნდილი სიტყვები“ — ნაკლებად ამართლებენ: „ნათელი სტრიქონების“ მაგიერ, უმეტესად ბურჟუაზი და ბუნდოვან სტრიქონებს გვასმენენ, „გაბედული სახეების“ ადგილას, უწინა და ულახათო, ხშირად საძაგლათ შეთხზულ სიტყვებსაც გვაძლევენ.

რაც შეეხება ვლადიმერ მაიაკოვსკის „წინასწარმეტყველებას“ „ფუტურისტების მიერ შექმნილი შესასწავლი ანბანი გახდებოა“, გადაჭრით შეიძლება ითქვას: სამწუხაროდ ესეც მხოლოდ უარყოფითი მხრით, რადგან ჩვენებური ფუტურისტების მიერ აღმოჩენილი „სიტყვიერი ამერიკა“ თითქმის ერთიანად უნიადგო, უნაყოფო და უსიცოცხლოა, ხშირად ანტიესთეტიურიც.

ესლა ენახოთ მათი პროზაც.

ფუტურისტებმა საერთოდ დღემდე ვერ მოასწარეს ლიტერატურის ამ დარგში დასრულებული ნაწარმოების მოცუმა. ერთად ერთი ეს დემნა შენგელაიას რომანებია „სანავარდო“, „ტფილისი“ და „გურამ ბარამანდია“.

თვითონ ფუტურისტები ყოყმანობენ: ჩარიცხონ თავის „სკოლის“ პროზის ნიმუშებად რომანები — „სანავარდო“ და „გურამ ბარამანდია“ — თუ არა. და მართლაც დემნა შენგელაიას ეს რომანები თავისი „საქმიანი წერის მანერით“, როგორც თვითონ ბელეტრისტი აბასიათებს თავის სტილს, არ ეკუთვნის იმ „უსიუფეტო“ და „მყობადურ კონსტრუქციას“, რასაც ჩვენი დანარჩენი ფუტურისტ-ბელეტრისტები (პაულე ნოზაძე და აკაკი ბელიაშვილი) ეტანებიან.

მე მგონია, დემნა შენგელაიას ბელეტრისტული შემოქმედება თავისებურია. განსაკუთრებულია, ე. ი. დამოუკიდებელია, რასაც თვითონ აღიარებს შემდეგ სიტყვებში:

„აქვე (ე. ი. ჩვენი ფუტურისტების გამოსვლაშიო. რ. კ.) ხდება დაშლა ძველი პროზაული განწყობილების. ეს უფრო ამტკიცებს ხელოვნების ახალი გზების დაწყებას, რომლის საპროვინსიათის მე დიდი ხანია დამოუკიდებლად ვმუშაობდი“... (იხ. „ლიტერატურა და სხ.“ 1924—25 წ. წ. გვ. 94—95).

სრულიად დამოუკიდებელი, ცხადია, არაფერია ქვეყნად და არც დემნა შენგელია შეადგენს გამონაკლისს.

ამას იგი იმავე წერილში თითონ აღიარებს: „ლექი გამოთავყვანდა სონეტებში და პროზა-მინიატიურებში“ ამ სამარცხვინო საქმეში მეც (ე. ი. დემნა

ქართული  
ლიტერატურა

შენგელაია რ. კ.) მიდევს წილი. „ეს იყო ტრადიციული ხელოვნებისა, სადაც კასტრატების როლს ჩვენი პროზაიკები თამაშობდნენ“ (ნახ. იქვე).

და ამ „ჩვენ პროზაიკებს“ შორის იგი მთავარ როლს ცნობილ სიმფონისტს სანდრო ცირეკიმეს აკუთვნებს.

აქედან, ცხადია, თვითონ მისივე განცხადებით, წინაღ სიმფონისტების სკოლის გამომბატველი იყო და როგორც სხვა დგალას თვითონ იგი და სხვა ფუტურისტი თეორეტიკოსებიც აღიარებენ: დემნა შენგელაია ქართულ ლიტერატურაში რუსი სიმფონისტის, ანდრეი ბელის წერის მანერის გადმომღებია.

მართალია, დემნა შენგელაიას შემოქმედებას ანდრეი ბელის მისტიციზმი თან ახლავს: სიტყვების საიდუმლო მნიშვნელობა, მისი თილისმა და „მაგურრობა“ სწამს, (მაგალითად, „შელოცება“ და სხ.), მაგრამ სამაგიეროდ მასში ძლიერია მიდრეკილება რეალიზმისადმი და ყოველ-ცხოვრების კონკრეტულად ასახვისადმი, რაც „საკმაინი წერის ახალ მწერასთან“ შეთანხმებული დემნა შენგელაიას შემოქმედების თავი ებურობ.ხ შეიცავა.

მაგრამ დემნა შენგელაიას ფუტურისტებთან გარდა იდეოლოგიის ფორმალურადაც აქვს ცოტა რამ საერთო: ზოგადი სურათების და სახეების გამეორებით მოცემა, მაშინ როდესაც ცხოვრებიდან აღებული ყოველი სურათი და სახე განუმეორებელი კონკრეტობაა.

ნაწარმოების მთელი მხატვრული ძალა აქედან გამომდინარეობს და როცა ხელოვნური ნაწარმოები მოკლებულია ამ ინდივიდუალურ ელემენტს, განუმეორებელ კონკრეტობას, მაშინ ის კარავს თავის იხატვრულ ძალას: სქემატიზმით დაკმაყოფილება მხოლოდ მეცნიერულ ნაწარმოებს შეეფერება, მხატვრულობისათვის კი კონკრეტულობა აუკლებელია.

რაც შეეხება დემნა შენგელაიას რომანს „გურამ ბარამანდია“—იგი იმდენად მხატვრულია და ძლიერი, რამდენათაც მასში ტიპური შეთანხმებული კონკრეტულობა და ისტორიულობა, რამდენათაც მისაწი მოკმეულია რეალური ინდივიდუალობა და რამდენათაც გაშლილია და განვითარებული სიუჟეტი. მისი სისუსტე სწორედ ამ მხატვრულ მომენტების გაუნვითარებლობიდან წარმოსდგება.

დემნა შენგელაიამ პირველადვე „სანაყარდოში“ და შემდეგ ამ რომანში შესწლო უსულულო სქემატიზმის დაძლევა, და რეალური ინდივიდუალობის ნიადაგზე მტკიცეთ დგომა.

მეორე, რაც დემნა შენგელაიამ ფუტურისტებისაგან მიიღო, ეს არის კოლექტიური სახეების წინ წამოყენება და ხელოვნების ერთად ერთ საწაო კოლექტივის დასახვა, რაც ერთად-ერთი დადებითი და მისაღები მხარეა ფუტურისტულ სკოლაში.

დემნა შენგელაიას რომანში, „გურამ ბარამანდია“-ში მშვენიერად არის მოკმეული ფუტურისტული პროზის თვისება დამახასიათებელი ზოგადი ხაზებით კოლექტიური ხაზის ხაზვა.

აქ, ამ რომანში მოკმეულია სახე გადაშენების გზაზე დამდგარ ქართველი ფეოდალურ არისტოკრატის უკანასკნელ თაობის (გუ-მ ბარამანდია) და იმავე



დროს მოცემულია სახე მეტად შორეულ ეპოქის, წარმართობის დროის ქართ-  
ველ ქურუმთა კასტის.

აქ ძლიერი მხატვრული კალმით მოცემულია, ჩვენს ხალხში ჯერ ისევ ჩარჩე-  
ნილი და ცოცხალი ნაშთი, ძველის ძველი იდეოლოგიური მნიშვნელობის ზნე-  
ჩვეულება: წარმართული კერძის წინაშე ლოცვად დადგომა და ამ კერძისადმი  
ბავშვის მსხვერპლად შეწირვა.

აი ნახეთ ეს დიდათ საყურადღებო და მეტად შორეული იდეოლოგიური  
ატავიზმის სურათი ჩვენი ხალხური სულიერი „ორგანიზმიდან“ ჯერ კიდევ  
აღმოუფხვრელი და თქვენ თვითონ დასდეთ მსჯავრი.

„შორს, პალიასტომს იქით ელავდა და შორეული ქუბილი ისმოდა.

— ავღარი იქნება, აი ნავარი, სთქვა უკმაყოფილოდ კოჩამ (ივარდევამ)  
და ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა.

— ერთი სალოცავი დამიმზადე, დედაკაცო, გზას უნდა გაუდგეთ მერე,  
სანამ წვიმა წამოვიდოდეს. (რვა წლის გურამი უნდა წაიყვანოს ოტია ბარამან-  
დიას სახლში, რადგან ბავშვი სკოლაში უნდა მიიბარონ, რ. კ.) ძიძამ კერაში  
ნაკვერჩხალი გამოქექა და დაბალ ფეხიანი სუფრა შიგ ჩადგა.

სუფრაზე იდო შავტარიანი დანა, წყლით სავეს ჭიქა და ნახშირი. იქვე  
ება კისერზე აბრეშუმის ძაფ შემოხვეული მოზვერი, რომელსაც გურამის ცოდ-  
ვები თავს უნდა ედო და თან წაელო.

— მოი, ბაბა, დაუძახა კოჩამ გურამს და ხელში შავტარიანი დანა აიღო.  
გურამმა რაღაც უცნაური ძრწოლა იგრძნო ამ დანისადმი; ამ კერისადმი,  
მოზვერს საცოდავად შეხედა და აცახცახებულ ზვარაკივით მიუახლოვდა ლოცვად  
დამდგარ მორღუს.

კოჩამ გაზრდილი ხელში კრავივით აიყვანა და კერასთან დააწვინა.

მერე მოზვერი თავზე სამჯერ შემოავლო და ისევ დააბა და ასე: ადგი-  
ლის დედის ნერჩი პატენის ქურუმი, კოჩა ივარდავა დადგა ლოცვად.  
დანით ნახშირი ვათალა და დაიწყო ბუტბუტი:

„სახელითა ღვთითა,

მამითა, ძითა,

და სულითა წმინდითა,

მოგილოცავ დღესა ღვთისასა.

წამაყენე გურამსა...

მე ვარ მლოცავი.—

ქრისტე მსხნ ლია.

წამაყენე ლოცვა ჩემი.

ცხრა ხატი, ცხრა კლიტოსანი,

აკობე სახელი — ხარო —

მომეხმარე. . .

ლოცულობდა კოჩა, თვალები უცნაურად მიბნეოდოდა, და გურამ იწვა კვ-  
რიანზე კრავივით სუფთა, მორჩილი და გატურნული, ოღნავ სუნთქავდა.

გულზე ხვითოს შანა გკიდა და თვალები ცრემლით ქონდა სავსე.

მარკინული

კოჩა ლოცულობდა, ღორის დასაკლავ შავ ტარიანი წამაღმწიკა წახშირს თლიდა და უეცრად იგრძნო რაღაც უცნაური: ხელები აუკანკალდა და თავს წამოადგენ მისი გრძნეული წინაპრები, წელიწადში ერთხელ რაღაც უცნაურ ღმერთს, რომ მსხვერპლად ბავშვს სწირავდნენ... ეს იყვნენ მერჩი პატენის უხუცესი ქურუმები... და კოჩას ცივი ოფლი დაასხა.

ეს ბავშვი, ასე კრავივით მორჩილად რომ იწვა კერიაზე, ეს დანა, ეს მოხვერი უცნაურად დატრიალდა მის გონებაში და იგრძნო: ის უკვე აღარ არის კოჩა, ის სულ სხვაა: იქ რომ დარჩა უხსოვარ დროებში და აღმოხდა:

„— მაკდურო ჩამომეთხოვე  
არ ვარ შენსა ნებასა...  
ქრისტე მაცვია, ძე მარტყია,  
სული წმინდით ვარ შემოსილი.  
ელუსამედს ყანა მქონდა,  
წმიდა სანთლის გუთნით ეხანავდი,  
მგელი ება ხარათა,  
გველი აპურათა,  
გაწყდა გველი,  
გაიქცა მგელი,  
ღმერთო, შენ ამოუგდე ძირი და ნელი,  
ამის ავი თვალით შენხედვარესა.“

ამბობდა იგი და უეცრად დაიბლაღლა:

„— მაკდურო ჩამომეთხოვე  
არ ვარ შენსა ნებასა“...

თავისავე ყვირილით გამოერკვა, მერე უცნაურად გაიღიმა, თითქოს იქ ვერცას უტინისო, თვალები შეშლილივით დაჰკაკლა, დანა მოიქნია და იმ დროს, როდესაც გურამისთვის მკერდში უნდა ჩაეცა და კერია უმანკო ზვარაკის სისხლით მოერწყა, ძიძა კივილით გაცოფრული ხელში ეცა და შეაჩერა. კოჩა გამოერკვა.

კერასთან გულშეღონებული გურამი ეგდო,  
ძიძა სტიროდა და ძიძისშვილები ბლაოდნ.

.... კოჩამ ამოიოხრა, მოხვერი, ახსნა, გაიგდო წინ და გარეთ გამოვიდა. წვიმდა, ბინდდებოდა, ელაედა, ჰქუხდა. იარა კოჩამ ყანებში, მინდვრებში, ეწერში მოხვერი გაუშვა და უკვე ნაშუალამევი იყო, როცა ის დაბრუნდა მთლად გალუმპული, სველი, ტალახიანი“... (ნახ. 1925 წ. აღმანახი „დარილის“ 18—19 გვ.)

ჩვენი დროისათვის ეს შეტად საოცარი „ფანტასტიური“ სურათი ისე მხატვრულად არის გადმოცემული, რომ მკითხველს მის სინამდვილეში ეჭვი ოდნავაც ვერ შეაქვს, და ეს მით უფრო საოცარია, რომ აწერილი ამბავი ხდებდა არა მხოლოდ საუკუნის ახლად გაქრისტიანებულ საქართველოში, არამედ 1900 წლებში მისი დასავლეთ ნაწილის ერთ-ერთ ქალაქის ახლო მდებარე სოფელში, სახელდობრ, ქალ. ფოთის რაიონში.





ქართველთა  
წიგნების კავშირი

აქ ამ სურათის გადმოცემაში, ჩემი აზრით, დაცულია ახალი ხელოვნების ყველა კანონები და პირობები და ამიტომაც ის უაღრესად მხატვრულია, აქ რეალისტურთან ერთად ნახმარია სიმვოლიზმიდან და ფუტურისმიდან მიღებული ის ორი დამახასიათებელი „ხერხი“, რომელიც მე ზევით დავასახელებე—ზოგადი დამახასიათებელი ხაზების აღნიშვნა და კოლექტიური სახის წინ წამოყენება.

აქ ამ სურათში მოცემულია ძველი კერპის ქურუმთა ლოცვის ნიმუში, მათი რელიგიური აღზნება, თავდავიწყება და გატაცება; აქ ასახულია დღევანდელი მეგრელი გლეხი (შეიძლება წვრილი აზნაურიც), როგორც წარმართობის დროის ქურუმთა კასტის წარმომადგენელი, აქ თითქო სრულიად დაეიწყებულა კოჩა ივარდავას თანადროულობა, სოციალური მდგომარეობა და მისი ოჯახური გარემოებანი, აქ ჩვენ თვალწინ გვებატება ნათლად ქურუმთა კასტა, რომელიც ერთ დროს ხალხის მიერ აღიარებულ კერპის გულის მოსაგებად და მისი მრისხანების თავიდან ასაშორებლად მსხვერპლად უმანკო ზეარაკს—ბაგშვს—სწირავდა. მაგრამ ამავე დროს აქვე დაკავშირებულია ეს მეტად შორეული ამბავი ახალ პირობებთან, რაიც დასახულია მთელი მისი თანადროული, კონკრეტული ნიშნებით და სახეებით და მეორე ისეა ასახული, რომ მის სენამდვილეში ოდნავ ექვს ვერ შეიტანთ, ე. ი. დაბატულია რეალისტურათ.

აი ეს კონკრეტული რეალიზმი ზოგადობასთან და სქემეტიზმთან ოსტატურად დაკავშირებული ჰქმნის ჩემი აზრით, დემნა შენგელაიას მხატვრულ თავისებურობას და ეს თავისებურობა იმდენად ძვირფასია, რომ იგი ყოველნაირად მიბაძვის ღირსია, რადგან მისში მოცემულია ძირითადი ელემენტები.

შბოლოდ მწუხარებით აქვე უნდა აღვნიშნო: დემნა შენგელაია, როგორც მისი უკანასკნელი წერილიდან „ტაქტილიზმი“ (ნახ. გახ. „დროულის“ მე-3 №-რი) —სჩანს, მკაცრად არის შეპყრობილი იმ დრომოქმული იდეოლოგიით, რომელიც დღეს მშობელ კლასს მოწყვეტილს ახალ ინტელიგენციასაც კი („მუშურ-გლეხურს“) თავს ურყევს. საჭიროა როგორც ამ ინტელიგენციის, ისე დემნა შენგელაიას ამ ტყვეობიდან განთავისუფლება, და მჯერა ამას ჩვენი მუშათა კლასის კულტურული განვითარება მალე შესძლებს.

საბოლოო დასკვნა: საერთოდ ფუტურისმიც, ისე როგორც სიმვოლიზმ-მოდერნიზმი ევროპის ბურჟუაზიულ ლიტერატურის „ნაფერია“, ინტელიგენტურ-ბოგემური „ცხოვრების“ შედეგია. კერძოდ ფუტურისში კაპიტალისტური უკუღმართობისა და წინააღმდეგობათა ქსელში გახვეული „ბოგემის“ აღშფოთებულნი, (თუმცა დამახინჯებულნი) ხულის ამბოხებაა, და როგორც ასეთი, რევოლუციური პროლეტარიატის მხრითაც ერთგვარ თანაგრძნობას იწვევს.

უმთავრესად ამ გარემოებამ მიიყვანა რუსული ფუტურისში რუსეთის პროლეტარული რევოლუციის ცნობამდე და აღიარებამდე. ეს ცნობა და აღიარება კიდევ თავის მხრით მათ აიძულებს თავი „მარქსისტებათ“ და პროლეტარიატის იდეოლოგებათ გამოაცხადონ.

მაგრამ გადაკრით უნდა ითქვას: ვერც მათდამი პროლეტარიატის თანაგრძნობა და ვერც მათ მიერ მარქსიზმის ცნობა-აღიარება მათ ხელოვნებას

ქართული

„მომავალი ახალი ხელოვნების შექმნის პროცესში მათ მსაღმწესებელს ვერ გადააქცევს.

ამისათვის მეტია საჭირო: მან უნდა დაჰგმოს, უკუ-აგდოს „ფორმალისმი“ ე. ი. თავისი „ფორმალური სკოლის“ ცალმხრივობა, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში და თავისი მონისტორი შრომითი და წარმოებითი (Трудохпроизводственный) პოინციპები მკიდროთ და მტკიცედ, ორგანიულათ დაუკავშიროს პროლეტარულ იდეოლოგიას—ისტორიულ-კლასობრივ ეკონომიზმს, ანუ „დიალექტიურ-მატერიალიზმს“.

და თუ ეს მოხდა, მაშინ ხომ ფუტურისტები ე. ი. „იდეალისტ-დიალექტიკები“ და „ზაუმნიკები“ აღარ იქნებიან, არამედ პროლეტარულ მხატვრებად გადაიქცევიან; მაშინ მათსა და პროლეტმწერლებს შორის ძირითადი განსხვავებებიც გააქრებიან.

ფუტურისტების განვითარების გზაც აქეთკენია და თუ ისინი დღეს იმ მოვლენით კმაყოფილდებიან, რომ ზოგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი პროლეტმწერალი მათი სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფება და მათ ჰბაძავს, ხვალ აუცილებლად თვითონვე მივლენ დასკვნამდე: ფუტურისტები ან უნდა სულ გააქრენ ლიტერატურულ სფეროდან, ან და პროლეტმწერლობას შეუსისხლხორცდენ.

## XV კონფერენციის შედეგები

### ორიოდე სიტყვა წინასწარ

XV პარტკონფერენცია, ექვი არ არის, თავისი პასუხსაგები გადაწყვეტილებებით კომ. პარტიის ისტორიაში შევა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის კონფერენცია. ეს იმიტომ, ჯერ ერთი, რომ ამ კონფერენციას წინ უძღოდა მეტათ სერიოზული შინაპარტიული ბრძოლა და მეორე კიდევ იმიტომ, რომ ოპოზიციონურმა ბლოკმა, რომელიც პარტიის წინააღმდეგ გამოვიდა, განიცადა ჩვენ პარტიაში არ ნახული და არ გაგონილი დამარცხება, ამასთან დამარცხება მეტათ სწრაფი და მეტათ ადვილი.

ივლისის პლენუმამდე და, განსაკუთრებით, ამ პლენუმის შემდეგ დაიწყო ჩვენ პარტიაში სერიოზული შიშვენიერება-მოთქმა. ამბობდნენ, თითქო ჩვენ პარტიაში ყველაფერი რიგზე არ მიდიოდა, თითქო პარტიაში წესიერი ხელმძღვანელობა არ იყოს, ცენტრალური კომიტეტი სწორე ხაზს არ ატარებდეს, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გადაგვარების გზას დასდგომოდნენ, თითქო ჩვენ კლასობრივი ხაზისთვის გადაგვხვიდნენ. ეს ბრალდება პარტიას წაუყენა ოპოზიციამ, რომელსაც მეთაურობდნენ ჩვენი პარტიის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც არიან ამხ. ზინოვიევი, ამხ. კამენევი და ამხ. ტროცკი. თუმცა საერთო-საკეფირო მასშტაბით დისკუსია არ გეჭონია, მაგრამ ოპოზიციის მეთაურებმა მაინც ყველაფერი ჩაიდინეს, შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რომ პარტიისთვის ნაწილობრივი დისკუსია მოეხდინათ თაზე, და ის, რაც მოხდა მოსკოვსა, ლენინგრადსა, უკრაინასა და ურალში, აგრეთვე ჩვენში, საქართველოში, იყო ნაწილობრივი დისკუსია, რომელშიაც პარტია ჩაითრის მისი სურვილისა და ნების წინააღმდეგ. პარტიის წინაშე უნებურათ დაისვა კითხვა იმის შესახებ—მართალია თუ არა ეს ბრალდება, ნამდვილათ გადაუხვია პარტიამ კლასობრივ პროლეტარულ გზას, თუ ეს მხოლოდ უსაფუძვლო ბრალდებაა, რომელიც წარმოადგენს ცილისწამებას პარტიაზე და სხვა არაფერს?

თი რატომ უნდა ამოვლო პარტიის ხმა და რატომ უნდა გავცა პასუხი ამ კითხვაზე.

XV პარტკონფერენციის დღიურ წეს-რიგში დაისვა ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიც არის საერთაშორისო მდგომარეობა, სამეურნეო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები, პროდუქტობა და შინაპარტიული ვითარება.


 პარტიული

მოხდა ეს იმით, რომ ოპოზიციამ დასვა ეს საკითხები. მას შემდეგ, რაც საკითხები და პარტიისადმი ნათელი და გარკვეული პასუხი უნდა გაეცა, უნდა ეთქვა—სად მივდივართ და როგორ იზრდება და ვითარდება ჩვენი ქვეყანა. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციონერი ბლოკი, რომელიც XV პარტიკონფერენციამდე ვამოდიოდა, ძალიან ბევრ რამეს გვპირდებოდა. ოპოზიციის ლიდერები ამზობდნენ: „ჩვენ ჩვენი სიტყვა აპრილში ვთქვით, ვთქვით ეს სიტყვა იელისზაიც და ეხლა ვნახოთ, რა იქნება ოქტომბერში“. ჩვენ გვეგონა, რომ ამ კონფერენციამდე წარმოითქვოდა ახალი სიტყვა, რომ პარტია ოპოზიციონერებისაგან ვაიგონებდა ახალ წინასწარმეტყველებას. მაგრამ არაფერი ამისი მსგავსი არ მომხდარა და არ მომხდარა იმით, რომ ოქტომბრის კონფერენციამდე მოსვლამდე ოპოზიცია დამარცხებული აღმოჩნდა, რომ ჩვენი პარტიული მასა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და ოპოზიციონერებს წინააღმდეგ ძლიერდებოდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენმა პარტიულმა მასამ გაუსწრო ზოგიერთ ჩვენ ბელადებს და ამ ბელადებმა ალლო ვერ აუღეს მასის სულისკვეთებას, ვერ გაიგეს, რა ხდებოდა ჩვენს პარტიაში. იმით, რომ ამხედრდა პარტია ამ ლიდერების წინააღმდეგ და ისინი დამარცხებულ იქნენ უბრალო პარტიულების მიერ.

და იმ ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც წინ უძღოდა XV პარტიკონფერენციას, უკვე გაუქმდა ოპოზიციის ფრაქციულ ბრძოლას. ამ პლენუმზე გამოვიდნენ ოპოზიციის ლიდერები, კერძოდ—ამხ. ზინოვიევი, რა სიტყვა ზინოვიევიმ თავის განმარტლებად და რით ახსნა მან თავისი საქციელი? მან სიტყვა: „ჩვენ მაშინ არ ვიცოდით ძალთა განწყობილება, ჩვენ გვინდოდა გაგვეგო—რა განწყობილებაა ძალებისა პარტიაში. ჩვენ ვუიქრობდით, რომ შესაძლებელია, ჩვენ მოგვდევს პარტიის შესამჩნევი ნაწილი, უოველ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა არა, მოგვდევს ზოგიერთი წრეები მაინც. მაგრამ მის შემდეგ, რაც დაერწმუნდით, რომ პარტიული მასა მხარს არ გვიჭერს, იარალი დაეყარეთ“. აი ასეთი იყო განმარტება ამხ. ზინოვიევისა. ამხ. ზინოვიევიმ დისციპლინა დაარღვია და იმ საბაბით, რომ „მამილოსთან“ მივდივარო, წაყვდა ლენინგრადად მუშებთან პუტილოვის ქარხანაში. მაგრამ სწორეთ ამ პუტილოვის ქარხანაში, სადაც მის ოდესღაც ოვაციებით ეგებებოდნენ, სასტიკათ იქნა დამარცხებული, სწორეთ ამ ქარხანაში არ მოისურვეს მუშებმა მისი სიტყვის მოსმენა. და როდესაც დაერწმუნდა, რომ პარტიული მასა მას არ მისდევს, სიტყვა: დიან, უნდა დავემორჩილო მოწინავე მუშებს, არ შეიძლება წასვლა მათი სურვილის, მათი სულისკვეთების წინააღმდეგო. მაინც ამხ. ზინოვიევი იძულებული გახდა გამოტეხილიყო, რომ ეს იყო „ომის ეპიზოდი“, მაშასადამე, ომი არსებობდა და პარტიულმა ბრძოლამ მიიღო საომარ მოქმედებათა ხასიათი, როდესაც ოპოზიციის ზოგიერთი თვალსაჩინო წევრები აღარ ემორჩილებოდნენ პარტიის გადაწყვეტილებებს, პარტიულ დისციპლინას, როდესაც ისინი თავისით წაყვდნენ უჯრედებში, რაიონებში და როდესაც მათ მოისურვეს თავზე მოეხეიათ პარტიისთვის დისკუსია. რა თქმა უნდა, ამ—როგორც ზინოვიევიმ სიტყვა—„ომის ეპიზოდს“ პარტიამ ბოლო მოუღო და არა იმით, რომ ოპოზიციას უნდოდა ეს, არამედ იმით, რომ ასეთი იყო



ნებისყოფა პარტიისა და ოპოზიციისაც პარტიის წინაშე ქედი უნდა მოეხარა და იარაღი დაეყარა.

მაშასადამე, ოპოზიცია უკვე იარაღ-დაყარილი გამოცხადდა XV პარტკონფერენციაზე. აქედან ადგილი მისახვედრია, როგორი უნდა ყოფილიყო ამ კონფერენციაზე ყოფილი იმითი, ვინც ადრევე იარაღი დაყარა. ამის გარდა, პარტკონფერენციაზე მომხდარ პლენუმს უნდა მოეცა გარკვეული პასუხი, მას უნდა ეჩვენებია, როგორ უყურებს პარტია ოპოზიციის ლიდერების საქციელს. მართალია, ამ ლიდერებმა პარტია დისკუსიაში ჩაითრიეს, მართალია, მათ დისციპლინას უღალატეს და ჩაიდინეს არაჩვეულებრივი, არ გაგონილი საქმე—დაარღვიეს ჩვენი პარტიის წესდების დებულება,—მართალია ყოველივე ეს, მაგრამ ესაა მათ თითქო ცოდვები მოინანიეს და გამოდიოდა ისე, თითქო არაფერი არ მომხდარიყოს. მაგრამ პარტიას მიიწევს გარკვეული გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა, იმისთვის რომ შემდეგში ასეთი რამ აღარ განმეორებულყო. პარტიას არ შეეძლო გვერდი აეხვიე ამ ფაქტისთვის, და ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სათანადო პარტული სასჯელი დასდებოდათ იმ ამხანახებს, რომელთაც პარტიის პარტდისციპლინა დაარღვიეს. თუშეცა ისინი პარტიის დიდით პასუხმგებელი წევრები იყვნენ, მაგრამ ის, რაც მოეთხოვება პარტიის ჩვეულებრივ წევრს, უნდა მოეთხოვოს ბელადებსაც. სწორეთ ამიტომ იქნა ამხ. ტროცკი გამოყვანილი პოლიტიბუროს შემადგენლობიდან, ამხ კამენევი—ამ ბიუროს კანდიდატთა რიცხვიდან, ხოლო დაევალა პარტიის დელეგაციას კომინტერნში შეიტანოს განცხადება ამხ. ზინოვიევის მოხსნის შესახებ კომინტერნის თავმჯდომარეობიდან. ეს იყო აუცილებელი საორგანიზაციო დასკვნა, რომელიც პარტიას უნდა გამოეტანა XV პარტკონფერენციის გახსნამდე, რათა ყველას სცოდნოდა ის, თუ როგორ უყურებენ პარტია და მისი უმაღლესი ორგანოები ოპოზიციის ლიდერების საქციელს. აი ეს უძლოდა წინ XV პარტკონფერენციას.

კონფერენციის მთელი მუშაობა შეიძლება საკითხთა სამ ჯგუფში მოვაქციოთ: პირველი ჯგუფი საკითხებისა შეეხებოდა საერთაშორისო პოლიტიკას, მეორე ჯგუფი—ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას და პროფკავშირებს და, დასასრულ, მესამე ჯგუფი—ჩვენი შინაპარტიულ მდგომარეობას. ამ სამი მთავარი საკითხის, გაშუქება ჩემის აზრით, ამომწურველ წარმოდგენას მოგვცემენ კონფერენციის მთელი მუშაობის შესახებ.

## საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები

საკითხი კაპიტალისტური სტაბილიზაციის შესახებ. პირველ საკითხზე—საერთაშორისო მდგომარეობასა და საერთაშორისო პოლიტიკაზე—კონფერენციამ მოისმინა მეტათ საფუძვლიანი და ვრცელი მოხსენება ამხ. ბუხარინისა.

უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, საქირო იყო შეჩერება იმ საკითხზე, რომელიც ოპოზიციის მხრივ კამათს იწვევდა, ვერეთ წოდებულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე—აქვს თუ არა ადგილი ასეთ სტაბილიზაციას? რა პასუხს იძ-

ლევა ამაზე პარტია და რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? ყველამ ვიცით, რომ ივლისის პლენუმამდე და წინეთაც ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ ამ ჟამად, საერთოთ, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ არსებობსო. აშხ. ზინოვიევი პირდაპირ ამბობდა, რომ ეხლა, როდესაც ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას კლასობრივ ანალიზს ვუკეთებთ, უნდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი ფაქტორები უარყოფენ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის არსებობასო. ამგვარი დასკვნიდან გამომდინარეობდა ოპოზიციის ტაქტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა გამოვსულიყავით ინგლის-რუსეთის კომიტეტიდან, ვაგვეწვევითა კავშირი ინგლისის პროფკავშირებთან, გვეცნობებია მთელი ქვეყნისთვის, რომ ჩვენ ერთგვარ ახალ ფაზაში შევდივართ და სხვა.

მერე, სწორი და მართებული იყო ეს? აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ იმას, რომ ამ საკითხის გამო XV პარტკონფერენციაზე არც ერთი ოპოზიციონერი არ გამოსულა, არც ერთ მათგანს არ განუვითარებია თავისი თვალსაზრისი. ეს საკითხი-კი ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რომელიც უთანხმოებას იწვევდა. მართალია, კონფერენციის დასასრულს, როცა ოპოზიციონერები აშხ. სტალინის მოხსენების გარშემო გამოვიდნენ, მათ განმარტეს: მაგ საკითხს არ შეეფხეთ იმით, რომ გვინდოდა ჩვენი გამოსვლები მინიმუმამდე დაგვეყვანაო. მათ განაცხადეს: „არ შეგვეფერის ხშირი გამოსვლა, რადგან ამას გაღიზიანების ერთნაირი ელემენტი შეაქვს ჩვენს ურთიერთობაში, შეიძლება სხვახაირათ გაიგონ ან სრულებით ვერ გაიგონ ჩვენი აზრიო“ და სხვა.

როგორ მოზბილდნენ, რა ტკბილი ენით დაიწყეს ლაპარაკი პარტიულ კონფერენციაზე? კონფერენციის გახსნამდე ამბობდნენ: „თუ ცენტრალური კომიტეტი შესაძლებლათ დაინახავს, ჩვენ გამოვალთ, მაგრამ თუ იგი სცნობს, რომ ეს არ იყარგებს, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებთ კონფერენციაზეო“.

როგორც ხედავთ, ეს უკვე სხვა კილო იყო, სხვა პანგი და არა ის, რომელიც წინეთ ოპოზიციის ბანაკიდან გაისმოდა. „თუ გვირჩევთ, ჩვენ კრინტსაც არ დავძრავთო“, ამბობდნენ ოპოზიციონერები. მაგრამ პარტიამ სთქვა: „არა, რათ უნდა გაჩუმდეთ; პირიქით, ინებეთ და გადმოალაგეთ მთელი თქვენი ბარგი-ბარხანა, თქვენ ხომ ფიქრობდით ამით მთელი პარტიის გადატრიალებას. ეხლა პარტიული კონფერენციაა, კეთილი ინებეთ და გამოფინეთ მთელი თქვენი იდეოლოგიური ავლადიდება.“

მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობაზე ჩვენ არაფერი გავვიგონია, ოპოზიციას ამაზე არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. პირიქით, აშხ. კამენევი იძულებულიც გახდა გამოტეხილიყო, რომ პარტიის აზრი კაპიტალიზმის სტაბილიზაციის არსებობის შესახებ სწორიაო. ის მხოლოდ უცნაურათ იმართლებდა თავს: არ შეიძლება ზინოვიევის შემთხვევით წამოსროლილ სიტყვას გამოვეკიდოთ, ზინოვიევის საავტორო სიტყვაში მხოლოდ წამო-სცდა, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია მოჩვენებაა და სხვა რალაც ამისთანაო.

ასე რომ არსებითათ მხოლოდ ტროცკი შეეცადა ლაპარაკს. მან სთქვა: მართალია, ჩვენ დაკსვით საკითხი ინგლის-რუსეთის კომიტეტის და ამ კომიტეტიდან ვამოსვლის შესახებ, მაგრამ აქ სოციალ-დემოკრატიული არაფერი იყოო.



ქართველნი  
კომუნისტნი

მაშასადამე, კონფერენციაზე ოპოზიციის ლიდერებმა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხში ვერც ერთი სერიოზული საბუთი ვერ წარმოადგინეს თავიანთი პლატფორმის დასაცავად.

როგორ გვესახება დღეს ჩვენ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია? აქვს თუ არა მას ამ ეპოქად ადგილი?

აშკარაა, ძალაში რჩება ის განმარტება, რომელიც ამ საგანზე პარტიამ მოგვცა: არსებობს ნაწილობრივი, დროებითი, შედარებითი სტაბილიზაცია, რადგან უმეტესად არიან მაჩვენებლები, რომლებიც ადასტურებენ მსოფლიო წარმოების ზრდის კაპიტალისტურ ქვეყნებში, საგარეო ვაჭრობის გაძლიერებას, სავალიუტო ურთიერთობის განმტკიცებას. აი სამი მთავარი მაჩვენებელი კაპიტალიზმის ამ სტაბილიზაციისა. არ შეიძლება, რასაკვირველია, ლაპარაკი იმაზე, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ არსებობს, არ შეიძლება თვალის დახუჭვა და იმ მოვლენების არ დანახვა, რომელთაც ცხოვრებაში ადგილი აქვთ, არ შეიძლება შემცდარი დასკვნის გამოტანა.

ჩვენ უნდა ვალიაოთ ერთი რამ: მართალია, კაპიტალისტური სტაბილიზაცია არსებობს, მაგრამ ეს სტაბილიზაცია ატარებს მეტად დროებით, მეტად შედარებით და ნაწილობრივ ხასიათს. არ შეაძლება საკითხი მთლიანად დაიხვას და ითქვას, რომ კაპიტალიზმის საქმე ყველგან საუცხოვოთ და კარგათ მიდისო. არა. თუ ავიღებთ კაპიტალისტური ქვეყნების მთელ კაპიტალისტურ სისტემას, დავინახავთ, რომ არსებობენ სხვადასხვა ტიპის კაპიტალისტური ქვეყნები. მაგალითად, არსებობს ისეთი კაპიტალისტური ქვეყანა, როგორც არის ამეორე, რომელიც კაპიტალისტურ კიბეზე სულ ზევით და ზევით მიიწევს, მაგრამ არსებობს ისეთიც, როგორც ინგლისია, რომელიც იმავე კიბეზე ქვევით და ქვევით ეშვება; არსებობს კიდევ ჩინეთი, რომელიც, რევოლუციონური გამოხვედრების წყალობით, ძალზე აზობოქრებულია. მაშასადამე, არსებობენ სხვა და სხვა ტიპის კაპიტალისტური ქვეყნები, ამიტომ არ შეიძლება კაპიტალისტური ქვეყნების მთლიანად აღება და ერთი განსაზღვრული, ყველა კაპიტალისტური ქვეყნისთვის მისადგომი დასკვნის გამოყენება. არ არის მთლიანი დაბასიანობის ასეთი შესაძლებლობა. საჭიროა ცალკე ქვეყანას ცალკე საზომით მივუდგეთ. სწორეთ ხშირად სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყანა სხვადასხვანაირად განიცდის კაპიტალისტურ სტაბილიზაციას. გარდა დადებითი მაჩვენებლებისა, რომლებიც სტაბილიზაციას ახასიათებენ, არსებობს მთელი რიგი უარყოფითი ფაქტორებისა, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ძალიან და ძალიან ცუდათ არის კაპიტალისტური სტაბილიზაციის საქმე, და იმისთვის, რომ გავიგოთ, რა არის საერთაშორისო მდგომარეობაში ისეთი, რაც მახეილსა სცემს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, უნდა განვიხილოთ დღევანდელი საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის მთავარი მუხლები.

როგორია ეს მთავარი მუხლები?

ამხ. ბუხარინმა სისწორით დაახასიათა, როდესაც სთქვა, რომ ამ ეპოქად საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობა სამი მთავარი ბაზით მიმდინარეობსო. პირველია ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, სოციალისტურ რესპუბლიკათა



ქვეყნული

კავშირი; მეორე—ჩინეთი და მესამე—ინგლისი. თუ განხილავთ ქვეყნებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელზედაც საჭირო არ არის ამ უმად სიტყვის გაგრძელება, რადგან ისედაც ცხადია, რომ იგი კაპიტალისტური ქვეყნების მიმდებარე მტერია და მასში სოციალიზმის სტაბილიზაცია ხდება,—დავინახავთ, რომ არის ორი ნაპრალი, უზარმაზარი ნაპრალი, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტური მსოფლიოს სხეულს. ერთი მოდის აღმოსავლეთიდან—ჩინეთიდან, ხოლო მეორე დასავლეთიდან—ინგლისიდან.

ჩინეთის რევოლუცია და მისი სიძნელე. ამ. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა იმ მოვლენებს, რომლებიც აღმოსავლეთში იშლებიან. იგი ამბობდა, რომ იქ, აღმოსავლეთში, დაკროვილია უზარმაზარი ძალის მგზნებარე მასალა, რომელსაც შეუძლია აფეთქდეს და ააფეთქოს მთელი კაპიტალისტური სისტემა. კერძოდ გვითითებდა იგი ჩინეთსა და ინდოეთზე, სადაც დიდი უკმაყოფილებაა და ეს უკმაყოფილება მიმართულია უცხო ქვეყნის კაპიტალიზმის მჩაგვრელობის წინააღმდეგ. ამ უმად ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი მნიშვნელობის ამბავი: პრავლმბილიონიანი ჩინეთი ქუბს და გრგვინავს უცხოეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის ამბავი: ჩინეთში 430 მილიონი მტოვრებია, მაშინ, როდესაც მთელი დედამიწის მოსახლეობა ერთ მილიარდ 750 მილიონს უდრის. ჩინეთს რომ ინდოეთი მიეუმატოთ (იქაც 300 მილიონზე მეტია), ზვიღებთ დედამიწის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს. თუ კაცობრიობის ეს ნახევარი ესლა მოძრაობაში მოვიდა და თუ მას სურს თავისი სახლიდან უცხოელი კაპიტალისტების განდევნა და საკუთარ ფეხზე დადგომა, ჩვენ ასეთი ამბავის წინაშე ყუოს ვერ მოვიყრუებთ, პირიქით, ჩვენ გაფაციცებით ვადევნებთ თვალყურს ამ მოვლენებს. უნდა ითქვას, რომ ჩინეთში რევოლუცია ამ ბოლო დროს საოცარი სისწრაფით იზრდება და მიდის წინ.

რა სიძნელე მოვლის ჩინეთის ამ რევოლუციას?

ჩინეთი გლეხური ქვეყანაა. მაგრამ მის 430 მილიონიან მოსახლეობაში 5 მილიონი ინდუსტრიალური მუშა მაინც მოიპოვება. ხუთი მილიონი მუშა არც ისეთი პატარა ძალაა. ხუთი მილიონი ინდუსტრიალური მუშა მოწმობს იმას, რომ პროლეტარიატი იქ უაღებდება და იზრდება. მაგრამ ამ ხუთი მილიონის გარდა, დანარჩენ მასას წარმოადგენს გლეხობა, რომელიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რადგან ძალიან ცოტა მიწა გააჩნია. მიწა იქ უმთაუხვად მსხვილ მიწათმფლობელთა—მემაშელეთა—ხელშია. ჩინეთში ბლომად მოიპოვება ვალატაკებული გლეხობა, რომელიც უმუშევართა არმიას წარმოადგენს. ეს არმია ადგილიდან ადგილზე გადადის და სხედასხეა გენერლის ჯარში შედის. იგი ცნობილია „ხუნხუზის“ სახელწოდებით. ჩინეთის რევოლუციის სიძნელეს სწორედ ეს გლეხთა საკითი წარმოადგენს. გლეხთა საკითხი-კი დაკავშირებულია მიწის საკითხთან, აკრარულ საკითხთან.

ჩინეთის რევოლუციის წინაშე სდვას ორი ძირითადი ამოცანა: ერთია—შექნა მთლიანი ეროვნულ-რევოლუციონური ფრონტისა, რომელმაც უნდა ვანდევნოს უცხოელი კაპიტალისტები. მაგრამ ამ მთლიან ფრონტში უნდა შედიოდნენ მუშებიც, ინტელიგენციაც, (სტუდენტებიც), გლეხებიც და ის წარილი





ქართველთა  
მწიგნობართა  
კავშირი

და საშუალო ბურჟუაზიაც, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებს უცხოელთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიის ეს ფენები ჯერ კიდევ არ გადასულან უცხოელების მხარეზე, მაშასადამე, მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ მთლიანი ეროვნული ფრონტის შემადგენლობაში შედიოდნენ. ეს არის უპირველესი, ცენტრალური ამოცანა.

მაგრამ როდესაც რევოლუტცია მეორე საკითხზე გადავა, ე. ი. როდესაც იგი შეუდგება მიწის საკითხის გადაჭრას, საადგილ-მამულო რეფორმას, აუცილებელი იქნება შეტაკება წვრილ და საშუალო ბურჟუაზიის ზოგიერთ ჯგუფებთან. საჭირო გახდება მიწის ჩამორთმევა, რაც ხსენებული ჯგუფების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს ხელს შეუშლის პირველ ამოცანას—მთლიანი ეროვნული ფრონტის შექმნას. შეიძლება წვრილი და საშუალო ბურჟუაზია ჩამოშორდეს ამ მთლიან ეროვნულ ფრონტს, რომლის შექმნაც ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს. როდესაც საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელება დაიწყება, შეტაკება ამ ბურჟუაზიასთან აუცილებელი იქნება. აი აქ არის სიძნელე ჩინეთის რევოლუტციისა. ჩინეთის ამ ნიწილშიაც, სადაც ეხლა რევოლუტციონური მოძრაობაა, კანტონში ბლომათ არიან მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც ამ უმად მხარს უჭერენ რევოლუტციას. მათ უნდა ჩამოერთვას მიწა და გადაეცეს უმამულო გლეხობას. ეს ზომა აუცილებლად საჭიროა, რადგან გლეხობის გარეშე რევოლუტციის ჩატარება შეუძლებელია. აქ არის მთავარი სიძნელე.

რა პასუხს იძლევა ამხ. ბუხარინი ამ კითხვაზე.—იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ჩინეთის რევოლუტცია ამ მდგომარეობიდან? ამხ. ბუხარინის აზრით, ეს პრობლემა შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს. ცენტრალურ ამოცანად რჩება მთლიანი ფრონტის შექმნა. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. მაგრამ იმავე დროს ნელ-ნელა და თანდათან უნდა დაიწყოს მეორე ამოცანის გადაჭრა—მიწის რეფორმის გატარება; ამისთან, აქ საჭიროა სიფრთხილე, საჭიროა საქმის ისე წაყვანა, რომ ადგილი არ ჰქონდეს გადაჯაბრებულ მემარცხენეობას, რომ გადაამეტებამ მიწის რეფორმის გატარების საქმეში ხელი არ შეუშალოს ცენტრალურ ამოცანას. ასეთია საქმის ვითარება ჩინეთში, ვარდა იმისა, რომ მიწის საკითხი აწეწილია, მძიმეთ სდგას იქ გადასახადების საქმეც. გადასახადები ჩინეთში მეტათ დიდია. ამხ. ბუხარინმა ერთი საოცარი მავალითი მოიყვანა: ერთ რეაქციონურ გენერალს გლეხებს შორის ერთბაშით და წინდაწინ აუკრებია მნ წლის გადასახადები. ეს მართლაც ჩინური საგადასახადო პოლიტიკაა. ამ საქმეს დიდი და გაორკეცებული უფრადლება უნდა მიეცეს. გლეხების ფეხზე დასადგომად საჭიროა მათი განთავისუფლება უზომო გადასახადებისაგან.

აი ეს ამოცანები სდგას ჩინელ რევოლუტციონერთა წინაშე. ცხადია, საჭიროა სათანადო ხელმძღვანელობა კომუნისტური ინტერნაციონალის მხრივ, რომ ჩინეთის რევოლუტციამ გაიმარჯვოს.

ჩინეთში არსებობს რევოლუტციონური პარტია—გომინდანი, რომელიც სამ ფრთას შეიცავს: მემარჯვენე ფრთას, რომელიც ბურჟუაზიასთან არის დაკავშირებული და მისკენ მიილტვის, ცენტრს და, დასასრულ, მემარც-

ბენე ფრთას, რომელიც უფრო ჩვენ გვიხლოვდება და გვენათესავება. კომინტერნის ამოცანას უნდა შეადგენდეს ამ მემარცხენე ფრთის უფრო და უფრო გაძლიერება. ამ ქამად რევოლიუცია ისე ვითარდება, რომ რევოლიუციონური ჯარი იმარჯვებს: იქმნება ობიექტიური ნიადაგი გომინდანის მემარცხენე ფრთის გასაძლიერებლად და გასაზრდელად. ამ ზრდას ხელი უნდა შევეწყუთ. საქიროა, რომ გომინდანის მემარცხენე ფრთამ გადაამწყვეტი როლი ითამაშოს პარტიაში, რათა გატარდეს რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხაზი.

**ინგლისის მემალაროელთა გაფიცვა გაკვეთილები.** რაც შეეხება ინგლისს, იქ ცენტრალურ ადგილად, რომელიც ყველას ყურადღებას იპყრობდა, უნდა ჩაითვალოს მემალაროელთა გაფიცვა. გაფიცვა შეიძინა თვე გაკრძედა. ეს იყო ჯერ არ ნახული და არ გაგონილი გვირული გაფიცვა, რომლის დროსაც ერთ მილიონზე მეტი მუშა კლდესავით იდგა და შეიძინა თვის განმავლობაში აუწყრულ შიმშილსა და გაკვირვებას ითმენდა. მიუხედავად ამ შიმშილ-გაკვირვებისა, მემალაროელნი არ ფიქრობდნენ კედის მოხრას და გაფიცვის შეწყვეტას. მოვიდა ცნობა, რომ მემალაროელთა კონფერენციაზე უნარავლესობამ გადასწყვიტა მთავრობის წინადადებათა მიღებაო. ეს ნიშნავდა იმას, რომ ხელმძღვანელები შეშინდნენ და დათმობაზე წაყიდნენ. მაგრამ როდესაც საჯიოთხი რაიონებს გადაეცათ, როდესაც საქმის გადაწყვეტა თვით მასის მიერ იყო, მემალაროელებმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ წინადადებათა წინააღმდეგ. მათ სიტყვის: „შიამილით დაეიხოცებით და მონურ პარობებს კი არ მივიღებთო“. მთავრობის წინადადება უარყოფილ იქნა ხმების უმრავლესობით (460 ათასი ხმა წინააღმდეგი იყო მთავრობის წინადადებისა, 315 ათასი კი — მომხრე). მასა მარცხნივ მიდის — აი რას გვეუბნება ეს ფაქტი. მასა ბელადებზე უფრო მეტათ არის მარცხნივ გადახრილი. ბელადებს ზოგჯერ ისე ერევით ვხა-კვალთ, რომ ისინი გამცემლობას და შემთახმებლობასაც არ ერიდებიან. მასები განაგრძობდნენ თავიანთ გვირულ ბრძოლას. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ მემალაროელთა გაფიცვა, უდიდეს გამარევილი რევოლუციონერებელ როლს ითამაშებს არა მარტო ინგლისის, არამედ მთელ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის საქმეში. ის ფაქტი, რომ ერთი მილიონი მუშა შეიძინა თვის განმავლობაში გაფიცული იყო, ადასტურებს იმას, რომ მუშებს შეუძლიათ ბრძოლა, შეუძლიათ გამარჯვებაც, თუ კი ბრძოლა ხელშეწყობ პირობებში მოხდება და თუ თვით გაფიცვის ხელმძღვანელები არ უღალატებენ საქმეს. ინგლისის გაფიცვა ახალი ფურცელია მსოფლიო ისტორიაში, მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ინგლისელი მემალაროელნი გაფიცვის დროს, რომელიც უკვე დამარცხდა ხელმძღვანელების გამცემლობის და მოღალატეობის გამო, აკეთებდნენ არა მარტო ვიწრო ინგლისურ საქმეს, — ისინი სამსოფლიო საქმეს აკეთებდნენ, რადგან ისინი მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღების ცენტრში იდგნენ, იბრძოდნენ არა მარტო ინგლისის მუშათა კლასის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებისთვის.

პირველ ადგილზე იმათ შორის, ვინც ინგლისელ მუშებს შეელოდა და ეხმა-



რებოდა, იდგენ ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშები, და თუ ინგლისელთა გაფიცვამ 7 თვეს მაინც ვასტანა, ამაში, ჩვენდა სისახელოდ, დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენ პარტიას და მთელ ჩვენ ქვეყანას. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ინგლისელი ამბანაგები გამარჯვებულოყენენ, და თუ ისინი იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეყარათ, ამაში დამნაშავენი არიან ის გამცემლები, ის ხელმძღვანელები, რომელთაც სულმდაბლობა გამოიჩინეს და გაფიცვის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხეს. ყოველ შემთხვევაში ეს გაფიცვა, მიუხედავად მისა ასე უშედეგოთ დამთავრებისა მუშებისათვის, ამათ მაინც არ ჩაივლის: იგი ისტორიაში ჩაიწერება, როგორც უდიდესი მნიშვნელობის გაფიცვა, რომელიც სხვა ქვეყნების მუშებს ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

## საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და პროფკავშირები.

**გარდატეხის პერიოდი სამეურნეო მშენებლობაში.** რით ხასიათდება დღეს ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა? აქ ჩვენ გარდამავალ მომენტს განვიცდით, და იქნებ ამითაც აიხსნება ჩვენი ოპოზიციის გამოსვლა, მისი გადაჭარბებული ნერვიულობა და დაბნევა. გარდამავალ მომენტს ყოველთვის ახლავს თან მერყეობა და გაურკვეველობა, და დღეს, როდესაც აღდგენის პერიოდის ამოცანებიდან გადავიდვართ ახალი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებზე, როდესაც ვიწყებთ მუშაობას ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თავი იჩინა მერყეობამაც. საერთოდ და მთლიანად აღდგენის პერიოდი განვლეთ და ეხლა ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის ხანაში შედის, იმ ხანაში, როდესაც საჭიროა საქმეში დიდი თანხების ჩადება, როდესაც მეურნეობა უნდა აიგოს ახალ ტექნიკურ საფუძველზე. ყოველივე ეს დაკავშირებულია უდიდეს სიძნელესთან. დიახ, პარტია დიდი ამოცანის წინაშე დგას, მაგრამ აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ შიშა და სასოწარკვეთილებას უნდა მივუცეთ. ასეთ შიშს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ტბადია, რაკი ჩვენ ახალ რეკონსტრუქტიულ ხანაში ვადავედით, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის ზრდა ისეთის სისწრაფით ვეღარ წავაწინ, როგორითაც დღემდე მიდიოდა ზრდის შენელება აუცილებელია. თუ წინეთ ზრდა უდრიადა 60%-ს, შემდეგ წელს—40%-ს, აშკარაა, რომ მოხვედრულა ასეთ დიდ პროცენტს ვერ მივიღებთ, — ეს ზრდა 18%-ს იქნება. სწორეთ ამის გამო ასტეხა ოპოზიციამ განგაში. იგი ამბობდა: „შეხედეთ, ზრდა შენელდა, მისი ტემპი შეფერხდა“-ო. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკან მივდივართ, სრულიადაც არა. თუ ავიღებთ მრეწველობის განვითარებას ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებში, დაეინახავთ, რომ მისი ზრდა მრეწველობის აყვავების ხანაში უდრის 3, 4, 5 და 6 პროცენტს. ჩვენი მეურნეობის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, იმის გამო, რომ ჩვენ ბურჟუაზიის ჩამოვართვით საწარმოო საშუალებანი, რომ ჩვენი მრეწველობა მთლად გაეროვნებულია, რომ ჩვენში წარმოების და შრომის პირობები სხვანიაირია, საშუალება გვეძლევა აჩქარებულის ტემპით ვიაროთ. შიშს, სასოწარკვეთილებას და


 ქართველთა  
 კომუნისტური  
 პარტია

პენსიონებს არავითარი ნიადაგი არა აქვს. პირობით: ჩვენი მშენებლობა წინ მიდის და მომხიზლავ პერსპექტივებს გვიწლის!

**ჩვენი ახალი წამოწყებანი.** ამ მხრივ საინტერესოა იმისი აღნიშვნა, თუ რა საკითხებს ვიხილავთ და რა ახალ მშენებლობას ვიწყებთ. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ჩვენმა უკრაინელმა ამხანაგებმა დასვეს საკითხი დნებრზე ჰიდროელსადგურის აგების შესახებ. ეს უხარმახარი ელსადგური ელირება 120 მილიონ მანეთად და აიგება ხუთი წლის განმავლობაში. მას 400.000 ცხენის ძალის სიმძლავრე ექნება. ეს უდიდესი ფაქტორია ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისა. ჩვენ გადაწყვიტეთ—ეხლავე შევუდგეთ ამ სადგურის აგებას.

არის მეორე პროექტიც—ციმბირისა და თურქესტანის შეერთება რკინის გზით. ეს რკინის გზა თურქესტანის ბამბის რაიონს დაუკავშირებს და დაუახლოვებს ციმბირის პურის რაიონს. გზის გაყვანა ელირება 80 მილიონ მანეთად. ეს გზა მთელი კავშირისთვის უდიდესი მნიშვნელობის გზად იქნა ცნობილი. ჩვენი ლენინგრაძელი ამხანაგები არ სჯერდებიან ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგურს. ისინი ამბობენ—ეს სადგური კარგია, მაგრამ პატარაა და საკმარის ვერ იძლევაო. ამიტომ მათ დასვეს საკითხი მდინარე სვირზე ახალი ჰიდრო-სადგურის აგების შესახებ.

ამას გარდა, ჩრდილო-კავკასიელმა ამხანაგებმა წამოაყენეს საკითხი ვოლგისა და დონის არხით შეერთების შესახებ. ამგვარი პროექტი ჩვენ კავშირში ბევრია. ყველგან გაცხოველებული მუშაობა და მშენებლობაა. ეს კი ნიშნავს ჩვენი მრეწველობის ფრთების საოცარ გაშლას. რა თქმა უნდა, ყველაფერს ერთად და ერთბაშად ვერ ავაგებთ: დღეს შევუდგებით დნებურის სადგურის აგებას, ხვალ კიდევ სხვა საქმეს მოგვიდებთ ხელს. მაგრამ მარტო ის ფაქტიც, რომ ისეთ საქმეებს ვიწყებთ, რომელთა ღირებულებაც ასი მილიონობით განისაზღვრება, მაჩვენებელია ჩვენი სვლისა სოციალიზმისაკენ. მაშასადამე, ჩვენ ყოველდღიურ მუშაობაში სოციალიზმს ვანხორციელებთ. მომავალ წელს განზრახულია ჩვენს მრეწველობაში 1 მილიარდი და 50 მილიონი მანეთის ჩადება. ეს ამოღენა ფული მოხმარდება მრეწველობას და ელექტროფიკაციას.

**მეურნეობის მმართველობის საკითხი.** ჩვენ გვაქვს წყაროები, გვაქვს შესაძლებლობა ამ ფულის დაგროვებისა და მრეწველობისთვის გადაღებისა. მაგრამ ისმება საკითხი—მოგვეპოვება თუ არა სათანადო სამეურნეო სამმართველო, არის თუ არა გარანტია, რომ ფული დანიშნულებას მოხმარდება? ეს საკითხი კონფერენციაზე დაისვა. საქმე შეეხება იმ აპარატს, რომელიც მეურნეობას უნდა გაუძღვეს, მისი მართვა-გამგებლობა გასწიოს, ვინაიდან ამხ. რიკოვმა მოიყვანა მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ იფერხებენ და აკიანურებენ საქმეს და როგორ უშლიან ხელს ცალკე სპეციალისტ-მშენებლებს, რომელთაც საქმის დაწყებამდე უთვალავი საკონტროლო ორგანოები უნდა გაიარონ. ამ ანიტომ კონფერენციამ მიიღო საერთო ხასიათის დებულება იმის შესახებ, რომ გადათვალისწინებულ იქნას ჩვენი სამეურნეო სამმართველო აპარატი. ის, რაც ჩვენ გვაქვს ეხლა, ოქტომბრის რევოლუციის ცხრა წლის შემდეგ, არ შეფერვბა ინდუსტრიალიზაციის იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც დაისვა ქვეყნის წინა-



ქართველთა  
წიგნების კავშირი

შე. თუ პირველ ხანებში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, წინანდელი ბურჟუაზიული აპარატის ნაცვლად, ჩვენ შევქმენით მთავარგამგებები (ГЛАВКИ) და ცენტრები, თუ ახალი ეკონომიური პოლტიკის შემოღების დროს გადავიდით ტრესტებისა და სამეურნეო ორგანოების სისტემაზე, რომლებიც ეხლაც მუშაობენ, აშკარაა, ინდუსტრიალიზმის ხანაში უნდა გამოვიგონოთ მართველობის რალაც ახალი მეთოდები და ახალი ფორმები, რომელთაც უზრუნველ უნდა ჰყონ ჩვენი სახსრების და თანხების მიზანშეწონილი მოხმარება და გამოყენება. აი ამიტომ მიიღო კონფერენციამ საერთო ფორმის დადგენილება. ეხლა სახალხო კომისართა საბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სხვა ორგანოების საქმეა ამ დადგენილების დეტალურად დამუშავება, მისი დაწერილებით ჩამოყალიბება.

ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის ხილტაკე. გადავიდით ევროპულ წოდებულ ოპოზიციონერ წინადადებებზე.

მე უკვე ავლენიშნე, რომ საერთაშორისო საკითხში ოპოზიციამ სიწმე ამჯობინა. გაჩუმდა იგი სამეურნეო საკითხშიაც, თუმცა მას მოეპოვებოდა მთელი სამეურნეო პლატფორმა, ოპოზიციონერი პლატფორმა. პიატაკოვიც, პრეობრაჟენსკიც, ტროცკიც და მრავალნი სხვანიც ბევრს სწერდენ ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაზე და იწუნებდენ მას. ამიტომ საინტერესო იყო მათი მოსმენა, ვაგება იმისა, თუ რას იტყოდენ ისინი კონფერენციაზე თავიანთი სამეურნეო პლატფორმის შესახებ. მაგრამ მათ ერთი სიტყვითაც არ გაიხსენეს თავიანთი სამეურნეო პლატფორმა. სამაგიეროთ ჩვენ გაეზახნეთ ის მილიარდები, რომლებსაც ოპოზიციონერები გვპირდებოდენ. ამხ. ზინოვიევი ერთ სააგიტაციო კრებაზე (მას ძალიან უყვარს აგიტაცია!) შეგვიპირდა სწორეთ ერთი მილიარდის შეგროვებას—არც მეტის და არც ნაკლების, ხოლო მეორე ამხანაგი, მაიზლინი (მითითური ტიპი, ვგონებ, ვ. მ. სმირნოვი) „ბოლშევიკ“-ში გვპირდებოდა მეორე მილიარდს. ამრიგად, ორი მილიარდი გროვდებოდა, ერთს იძლეოდა ზინოვიევი, მეორეს—მაიზლინი. თქმა არ უნდა, კარგი საქმეა, მართლა რომ ასე იდვილად შეიძლებოდას მილიარდების შოვნა. ჰგავს ვილაციის ოხუნჯობას კინოს იმ სურათის გამო, რომელსაც ეწოდება „დედაკაცი მილიარდებით“: ეხლა ჩვენში გაჩნდენ „მამაკაცები მილიარდებითო“. ამხ. ლარინმა სთქვა: „თუ მარლლა 2 მილიარდის მოცემას მოახერხებთ, იქნებ შესაძლებელი ვახდეს თქვენი კვლავ შეყვანა პოლიტიკუროში, რადგან ეს მილიარდები ჩვენთვის დიდი რამეა, მათი წყალობით ბევრის გაკეთება შეიძლებაო“. რასაკვირველია, მილიარდები არ აღმოჩნდა, და როდესაც ამხ. ზინოვიევს კონფერენციაზე შეგვეკითხეთ მილიარდის შესახებ, მან სთქვა—ეს ისე, თავის თავად წამომცდაო: „თქვენ ხომ სწერდით თქვენს თეზისებში, რომ ჩვენი აპარატის შემოკლების შემდეგ, ეკონომიის რეკიმის ჩატარების შემდეგ, 300—400 მილიონი დავგროვებო. თქვენ სთქვით ეს, მეც სხვათა შორის ვთქვი—მილიარდიო“. აშკარაა, ამხ. ზინოვიევს დაავიწყდა ციფრობრივი ანგარიში, რადგან სხვა უფრო დიდ საქმეებშია გართული! მისთვის ეს ინტერესს არ წარმოადგენს, მისთვის სულ ერთია 300—400 მილიონი თუ ერთი მილიარდი. მაგრამ ეს ერთი

საქართველო  
საზოგადოებრივი

და იგივე არ არის და კონფერენცია ამ განმარტებით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ამ ზღაპრულმა მილიარდმა, რომლის შოვნასაც ოპოზიცია შეგვაპირდა, გამოაშკარავა ამ ოპოზიციის სრული სიკოტრე.

რაც შეეხება ფასების პოლიტიკას, ოპოზიციონერები წინადადების იძლეოდნენ, მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ინდუსტრიალიზაციისთვის რაც შეიძლება მეტი ფულის საშოვნელად, გადავსულიყავით საბითუმო ფასების გადიდების სისტემაზე. ამასთან ისინი გეომტკიცებდნენ, რომ რაღაც მანქანებით საბითუმო ფასების გადიდება არ გამოიწვევს ცალობრივი ფასების გადიდებას, თუმცა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ საბითუმო ფასების გადიდებას ყოველთვის ცალობრივი ფასების გადიდება მოჰყვება. მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ კონფერენციაზე ოპოზიციიდან არც ერთი კაცი არ გამოსულა ამ უცნაური დებულების დასაცავად. ეს ადვილი გასაგებიც არის, რადგან ყველა, ვინც ამისთანა რამის მტკიცებას დაიწყებდა, კეკელა-შერყეული კაცის სახელს მოიხვეჭდა. ჩვენ რომ ოპოზიციის ფეხის ხმას ავყოლოდით და ფასების გადიდების ავანტიურისტულ პოლიტიკას დავდგომოდით, აუცილებლად გლუბობასთან კავშირის გაწყვეტამდე მივიდოდით. კონფერენციაზე არც ერთ ოპოზიციონერს კრინტი არ დაუძრავს ფასების გადიდებაზე, და როდესაც ამის შესახებ ანუ კამენეც ვეკითხებოდით, ის პირში წყალს იგუბებდა და ხმას არ იღებდა.

ოპოზიციიდან გვესმოდა აგრეთვე დაუსრულებელი ლაპარაკი კერძო კაპიტალის ზრდაზე, კერძო კაპიტალის არაჩვეულებრივ დაგროვებაზე, მაგრამ კონფერენციაზე არც ერთი სიტყვა ამის შესახებ არ თქმულა. სამეურნეო მდგომარეობის ყველა ამ მთავარ საკითხში ოპოზიცია სრულ გაკოტრებამდე მივიდა. და ოპოზიციას ყველა ამაზე ხმა არ ამოუღია სწორედ იმიტომ, რომ ეს ოპოზიციის სუსტ ადვილს წარმოადგენდა, სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო რისამე თქმა ასეთი უკუღმართი წინადადებების დასაცავად.

აი რატომ არ გამოვიდნენ ისინი და რატომ სცდილობდნენ სიჩუმით ჩაეფუჩეჩებიათ ეს საკითხები.

**პროფკავშირები და მათი ზრდა.** რაც შეეხება საკითხს პროფესიონალური კავშირების შესახებ, თავის თავად ცხადია, რომ იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ეტაპად ჩვენ სამეურნეო მუშაობაში იშლებიან, იზრდება პროფკავშირების როლიც, როგორც ისეთი ორგანოებისა, რომლებმაც მუშათა მასა უშუალოდ უნდა ჩააბან სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. დამახასიათებელია, რომ ოპოზიცია ამ საკითხშიაც კონფერენციაზე თავისი თვალსაზრისით გამოდიოდა. ის ამბობდა: პროფკავშირებიც, ისევე როგორც პარტია, გადაკვარების გზას დაადგენ; როგორც პარტიაში იზრდება ბიუროკრატიზმი, ისევე იზრდება იგი მთელ საბჭოთა სისტემაში. ვითომ პროფკავშირებში ადვილი ჰქონდეს ბიუროკრატიზმის არაჩვეულებრივ ზრდას, ვითომ იზრდებოდეს საბჭოთა მოხელე ვითომ იგი ამ ეტაპად პროფესიონალურ მოძრაობაში უხარმხარ ფიგურას წარმოადგენდეს.

მერე, მართალია ეს?



საქართველო

კონფერენციაზე გამოაშკარავდა, რომ ეს სიტუაცია უსაფრთხოა. ამხ. ტომსკიმ ციფრებით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი პროფკავშირების ზრდა ხდება უმთავრესად ინდუსტრიალური მუშების ხარჯზე, რომ საბჭოთა მოსახლეობის ზრდა ბევრით ჩამორჩება ინდუსტრიალური და სატრანსპორტო მუშების ზრდას. ხოლო თუ ავიღებთ სეზონის მუშებს, აღმოჩნდება, რომ ისინი უფრო დიდიათ და სწრაფით იზრდებიან. ოპოზიცია ყვიროდა საბჭოთა მოსახლეობაზე, მაგრამ გამოირკვა, რომ ინდუსტრიალური მუშების ზრდა ბევრით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ამას გარდა, თუ ავიღებთ პროფკავშირების საქმიანობას, პროფესიონალური მოძრაობის ძირითადი ფენების საქმიანობას, დავინახავთ, რომ იქ დიდი აქტიური მუშაობა იქნა ჩატარებული. საკმაოა გავიხსენოთ, რომ საუბრიკოსაქარხნო კომიტეტებში, სხვა და სხვაგვარ სადელეგატო კრებებში შედის, თუ ნთელ პროფმოძრაობას ავიღებთ, ძირითადი აქტივის ორი მილიონი კაცი. ეს ის უხარმაზარი არმიაა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს პროფკავშირულ მშენებლობაში. სულ კი პროფკავშირების შიგერ დარაზმულ წევრთა რიცხვი 9 მილიონ კაცს აღემატება.

აი როგორი მძლავრი და ერთ ცენტრში შეკავშირებული მოძრაობა შექმნა ჩვენმა ქვეყანამ!

**ხელფასის საკითხი და ოპოზიცია.** საუშუაო ხელფასის საკითხს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ ეს საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია მუშათა მასის ინტერესებთან. ოპოზიცია ამ საკითხის გამოც გამოვიდა. იგი ჯერ კიდევ 1926 წლის აპრილსა და მაისში იძლეოდა საუშუაო ქირის გადიდების წინადადებას. ამხ. ტომსკი შეჩერდა ამ საკითხზე. მან სთქვა, რომ ოპოზიციის წინადადება მთლად დემაგოგიას წარმოადგენდა, იმიტომ რომ სინამდვილეში ვერ ნახავთ ისეთ მუშას, რომელიც საუშუაო ქირის გადიდების წინააღმდეგი იყოს. ცხადია, ყველა მოშა მხარს დაუჭერს ქირის გადიდებას, და ვიდრე ქირა არსებობს, ადვილად შეიძლება ამ სიმის აელერება და თავის სასარგებლოთ გამოყენება. როცა ასეთ სპეკულიაციას ეწევა ჩვენი მტერი, როცა რომელიმე გახუნებული მენშევიკი სკდილობს ჩვენი კრიზისის გამოყენებას და ეუბნება მუშას: მე იმის მომხრე ვარ, რომ შენ უკეთ იყო უზრუნველყოფილიო. — ეს გასაგებია, მაგრამ როცა ასეთ რამეზე სპეკულიაციას ეწევიან ჩვენი პატივცემული ამგანავები, ეს არაფერს არა ჰგავს. აპრილსა და მაისში ჩვენმა ჩერგონეცმა ცუდი დღეები განიცადა: იგი დიდ რყევამი იყო, ვალიუტა მოკლებული იყო სიმტკიცეს, და როცა ასეთ მომენტში საუშუაო ქირის გადიდებაზე ლაპარაკობდნენ, — ეს ნიშნავდა ჩვენი ჩერგონეცის და მთელი ჩვენი სავალიუტო სისტემის უფრო მეტად დაცემას. აი რატომ იყო ეს საშიში მუშური სახელმწიფოსთვის და რატომ ვერ წაფიქვდა ჩვენი პარტია ასეთ ავანტიურაზე. მუშები თავიანთი კლასობრივი ალლოთი მიხედნენ, რომ უმჯობესი იყო მოთმენა და ნოცდა მდგომარეობის გამოკეთება და მართლაც მოითმინეს და მოიცადეს, ხოლო როდესაც სექტემბერსა და ოქტომბერში ჩვენი მოსავალი და სახსრები გამოვიტყალეთ და დავინახეთ, რომ საქმე კარგათ მიდის, რომ მართლაც შეიძლება მომატება, პარტიამ მიიღო



წინადადება ხელფასის მომატების შესახებ ჩვენი პრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ამ მხრივ ჩამორჩენილნი იყვნენ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ოპოზიციონერები ხელფასის გადიდებაზე ყვიროდნენ, ეს დემაგოგია იყო და სხვა არაფერი.

**საკონტროლო კომისიები.** რაც შეეხება პროფკავშირების მუშაობის ფორმას, ამხ. ტომსკიმ კონფერენციაზე წამოაყენა საკითხი მუშების ჩაბმის შესახებ წარმოებაში, იმის შესახებ, რომ მუშები დაინტერესებულნი იყვნენ საწარმოო პროცესით,—ეს არის საკითხი საკონტროლო კომისიების შესახებ. საქმე იმაშია, რომ საწარმოო თათბირები დღესაც არსებობენ, მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს. მაგრამ იმისთვის, რომ ეს თათბირები განვითარდნენ და გაცხოველდნენ, საჭიროა შექმნა რაღაც სხვა ორგანოებისა, რომელთაც უნდა შეეძლოთ, ჯერ ერთი, თვალყური ადევნონ საწარმოო თათბირების დადგენილებათა შესრულებას და, მეორე, როდესაც ამა თუ იმ საწარმოს დირექტორი ან გამგე წარადგენს მოხსენებას, შეიტანონ ამ მოხსენებაში თავიანთი შესწორებანი, ციფრობრივი ცნობები ან რაიმე ცვლილება. ამიტომ მიღებულ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ საცდელად დაიარსდნენ საკონტროლო კომისიები. ასეთი კომისია არ იქნება მუდმივად მომქმედი ორგანო, იგი არ იქნება მუდმივი კონტროლი; კომისია, რომელიც არჩეული იქნება მუშების წრიდან, შეამოწმებს იმას, თუ რა მდგომარეობაშია საქმე ფაბრიკა-ქარხნებში და შეიტანს საჭირო დამატებას დირექტორის ან გამგის მოხსენებაში.

სამეურნეო საქმის ზოგიერთი პრაქტიკოსი კონფერენციაზე წინააღმდეგი იყო ამ გვარი საკონტროლო კომისიისა. მათი აზრით, საჭირო არ არის ახალი კონტროლი, საკმაოა ისიც, რაც არსებობს. ამხ. ტომსკიმ განუმარტა მათ, რომ ჩვენ ვჭვნიით არა კონტროლის ახალ ფორმებს, არამედ მუშათა მასების წარმოებაში ჩაბმის ახალ გზებს, რადგან მუშათა კლასის გარეშე, აქტიუობის და პროლეტარული ენტუზიაზმის გარეშე. შეუძლებელია განხორციელება ინდუსტრიულიზაციისა, რომელზედაც ჩვენ ეხლა ამდგენს ვლადიმერ კომ. საკონტროლო კომისია საჭიროა იმისთვის, რომ მუშათა კლასი დავუახლოვოთ წარმოებას, უშუალოთ ჩაებათ იგი მასში. კომისიები ჯერ-ჯერობით საცდელად იქნებიან შემოღებული. თუ დაინახავთ, რომ კომისიები არ ვარგა, რომ ისინი უარყოფით შედეგებს იძლევიან, გაუაუქმებთ მათ. კონფერენცია დაეთანხმა ამ საბუთებს და მიიღო წინადადება. რაც შეეხება საკონტროლო კომისიების მუშაობის ხასიათს და შინაარსს, კონფერენციამ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო საბჭოს და სათანადო ორგანოებს დაავალა შესაფერი დებულების შემუშავება.

## ოპოზიციონური ბლოკი საკავშირო კომპარტიაში

**ოპოზიციონური ბლოკის წარმოშობა.** გადავდივართ საკითხთა შესაშვ და უკანასკნელ ჯგუფზე—ოპოზიციონურ ბლოკსა და ოპოზიციაზე ჩვენს პარტიაში. ამ საკითხზე, რომელიც მთელი კონფერენციის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა, დასაბუთებული და შეტათ დიდი მოხსენებით გამოვიდა ამხ.





ქართული  
კომუნისტური  
პარტია

სტალინი. საკითხის გარშემო ფრიად სერიოზული კამათი გაიშალა. ყველა ოპოზიციონერმა მოისურვა გამოსვლა და თავისი მოსაზრებების გამოთქმა.

აქ არ შეეცხვები დაწვრილებით ამ ოპოზიციონერი ბლოკის წარმოშობას. ყველასათვის ცნობილია, რომ იგი წარმოიშვა და გაერთიანდა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ოპოზიციონერი ბლოკი დაარსდა აპრილში, როდესაც აპრილის პლენუმზე სამეურნეო საკითხების გამო თიანთი წინადადებით გამოვიდნენ ამბ-ები კამენევი, ზინოვიევი და ტროცკი. მაშინვე აშკარა იყო, რომ ისახებოდა ბლოკი, ერთის მხრით, კამენევსა და ზინოვიევს, ხოლო მეორეს მხრით—ტროცკის შორის. ბლოკი ჩამოყალიბდა ივლისში, ხოლო შემდეგ საბოლოოდ გაერთიანდა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ იერიშზე გადავიდა. ბლოკის წევრებმა აპატიეს ერთმანეთს ძველი ცოდვები. ამბ-ბმა ზინოვიევმა და კამენევმა აპატიეს ამბ. ტროცკის ყველა ცოდვა, ხოლო ტროცკიმ თავის მხრივ (ის ხომ მეტად თავაზიანი კაცი!) აპატიდა ცოდვები კამენევს და ზინოვიევს. წინეთ. ისინი ერთმანეთს ნახევარ-მენშევიკებად, ოპორტუნისტებად ნათლავდნენ, ეხლა-კი საერთო სიყვარულისა და მეგობრობისთვის დაივიწყეს ყოველივე ეს და გაერთიანდნენ მთლიან ოპოზიციონერ ბლოკში, ესე იგი გამოვიდნენ პარტიის წინააღმდეგ, რომ ისინი დამარცხდნენ და დამარცხდნენ საშინლად—ეს ყველამ იცის. ამბ. კამენევმა ბლოკის შესახებ სთქვა: ბლოკები პარტიაში ხომ წინეთაც იყო და ჩვენ ამ შემთხვევაში მოვიტყვიით ისევე, როგორც იტყვოდა ამბ. ლენინიო. მაგრამ ერთი ლენინი და მეორე—კამენევი. აქ კოტაოდენი განსხვავებაა—ეს ერთი, ხოლო მეორე—ბლოკი ლენინის დროს ეწყობოდა ერთნაირად, ეხლა კი მოეწყო სულ სხვანაირად. თუმცა კამენევმა სთქვა: მე ტროცკი გამოვიყენე მას შემდეგ, რაც მან უარყო თავისი არალენინური შეხედულებანი და ლენინიზმს დაუბრუნდაო, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოვიდა. მოხდა მეტად ორიგინალური გამოყენება, რომელზედაც ამბ. ბუხარინმა მახვილათ შენიშნა: თქვენ უცნაურად ემყარებით ტროცკის, ხოლო ტროცკი თქვენზე წამოსკუბებული მობრძანდებო. როგორ მოხდა ეს?

ოპოზიციონერ ბლოკს საერთო არაფერი ჰქონდა იმ ბლოკთან, რომელიც ამბ. ლენინმა 1912 წელს მოაწყო. როდესაც 1912 წელს ამბ. ლენინმა შექმნა ბლოკი პარტიულ პლებანოვთან, იმ დროის რევოლუციონერ მარქსისტთან, ეს ბლოკი მიმართული იყო მენშევიკების, ლიკვიდატორთა ბლოკის წინააღმდეგ. ის ბლოკი პრინციპიალური იყო, მას მიზნად ჰქონდა პარტიის დაცემა და გაშავება. ის კი, რაც ჩვენ მოგვევლინა, სრული უპრინციპობა იყო, რადგან შეერთდნენ სხვადასხვა შეხედულების, სხვადასხვა აზრის წარმომადგენელი მხოლოდ იმისთვის, რომ ცენტრალურ კომიტეტს გამკლავებოდნენ. აშკარაა ამიტომ, რომ ეს ბლოკი პარტიას ვერ გაამაგრებდა, იგი, პირიქით, არღვედა და შლიდა პარტიას. ყველა ამის გამო შეუძლებელია ეხლანდელი ბლოკის შედარება იმ ბლოკთან, რომელიც ლენინმა შექმნა. სწორედ ამიტომ იძულებული გავხდით გავგვეციტა ეს ოპოზიციონერი ბლოკი და მისი გამოსვლები.

მაგრამ აქ საქმე მარტო იმაში არ არის, რომ გაჰკიცხო ბლოკი და მისი

მუშაობა. უმთავრესი აქ ბლოკის პრინციპიალური, იდეოლოგიური შინაარსია—რა ჰქონდა ბლოკს პრინციპიალური და რა იყო მასში არალენინური და არაბოლ-შევიკური. ამისათვის უნდა შევეხოთ იმ პრინციპიალურ საკითხს, რომელმაც თავი წამოაჩუქა XV პარტკონფერენციაზე—სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხს, იმას, თუ რამდენად არის შესაძლებელი სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ნიშანში ამოღებული იყო სწორეთ ეს საკითხი—სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი, ეს საკითხი ახალი არ არის. იგი იდგა XIV პარტკონფერენციაზედაც 1925 წლის აპრილში. პარტიამ ამ საკითხზე გარკვეული პასუხი მოგვცა. მან სთქვა: სოციალიზმის მშენებლობა და მისი გამარჯვება ერთ ქვეყანაში შესაძლებელიაო. ეს დადგენილება მიღებულ იქნა ზინოვიევის და კამენევის მონაწილეობით. კამენევი თავმჯდომარეობდა ამ პარტკონფერენციაზე, ხოლო ზინოვიევა, იღებდა რა იგი მონაწილეობას პოლიტიბიუროს მუშაობაში, დასწერა ეს რეზოლუცია. მაშასადამე, ზინოვიევიც და კამენევიც 1925 წლის აპრილში თანახმანი იყვნენ იმისა, რომ სოციალისტური მშენებლობა და სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში შესაძლებელია, მაგრამ შემდეგ რალაც მანქანებით აღმოაჩინეს, რომ ასეთი მშენებლობა შეუძლებელია. რასაკვირველია, ფრაქციულმა ბრძოლამ მიიყვანა ისინი აქამდე, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ოპოზიციამ გააკრიტიკა ეს დებულება. იგი ამბობდა—ეს თეორია ლენინს არ ეკუთვნის, იგი ვალცამ ხელოვნურად წამოაყენა, ლენინისა მასში არაფერი არ არისო. მართალია თუ არა ეს? რა თქმა უნდა, არ არის მართალი, ვინაიდან სწორედ ლენინი იყო ის პირველი მარქსისტი, რომელმაც ერთ ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის და სოციალიზმის გამარჯვების საკითხი ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბა.

ლენინიზმისა და ტროცკიზმის დაპირისპირება ამ საკითხში. აი რას სწერდა ლენინი 1915 წელს: „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა უქვეყნო კანონია კაპიტალიზმისა. აქედან გამომდინარეობს: შესაძლებელია თავდაპირველად სოციალიზმის გამარჯვება რამდენსამე, ან თუნდაც ერთ, ცალკე იღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, რომელიც ექსპროპრიაციას უზამს კაპიტალისტებს და მოაწყობს თავის ქვეყანაში სოციალისტურ წარმოებას, ამხედრდება დანარჩენი კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგ, მიიზიდავს თავისკენ სხვა ქვეყნების დანაგრულ კლასებს, მოახდენს იქ აჯანყებებს კაპიტალისტების წინააღმდეგ. გამოეცა საჭიროების დროს სამხედრო ძალითაც-ი ექსპლოატატორი კლასების და მათი სახელმწიფოს წინააღმდეგ“... აი რა გარკვევით დასვა ამხ. ლენინმა ეს საკითხი ჯერ კიდევ 1915 წელს და სწორეთ ამ დროიდან დაიწყო უთანხმობა მის და ამხ. ტროცკის შორის. ამხ. ტროცკი ყოველთვის, ოქტომბრის რევოლუციამდეც და მას შემდეგაც, ეჭვის თვალით უყურებდა ამ საკითხს. 1915 წელს ლენინის დებულების საპასუხოდ ამხ. ტროცკიმ სთქვა: მართალია, პროლეტარიატს შეუძლია რომელსამე ქვეყანაში ხელთ ჩივდოს ძალა-უფლება



ქართული

და დაიწყო სოციალისტური მშენებლობა, მაგრამ გამაგრება და ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შესძლებს. ამხ. ლენინის საპასუხოთ ამხ. ტროცკიმ ასე გამოხატა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ: „ჩვენ არ ვუცდით სხვა ქვეყნების გამოსვლას, ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ეროვნულ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი თაოსნობა სხვა ქვეყნებშიაც გამოიწვევს ბრძოლას; მაგრამ თუ ეს არ მოხდება, უიმედოა ფიქრი—ამას ადასტურებენ ისტორიის გამოკვლევებაც და თეორიული მოსახრებანიც—**იმაზე, რომ, მაგალითად, რევოლუციონური რუსეთი შესძლებს გამაგრებას კონსერვატიული ევროპის წინაშე.**“

აქ ორი აზრი, ორი შეხედულება ხედება ერთმანეთს: ერთია ამხ. ლენინისა, რომელიც ამბობს, რომ შესაძლებელია სოციალიზმის აგება ერთ ქვეყანაში, შესაძლებელია არა მარტო ხელისუფლების შენარჩუნება, არამედ სოციალისტური მშენებლობის დაწყებაც და სხვა ქვეყნების შევლაც-კიო. ამხ. ტროცკი-კი ამბობს: არ შეიძლება არა თუ სოციალისტური მშენებლობის დაწყება, ხელისუფლების შენარჩუნებაც, ვინაიდან რევოლუციონური რუსეთი ვერ გაუმაგრდება კონსერვატიულ ევროპასაო. ეს სიტყვა ტროცკიმ 1915 წელს და დადასტურა 1917 წელს, როდესაც გადაბეჭდა თავისი წერილები. ხოლო კონფერენციაზე უცნაურად სცდილობდა თავის გამართლებას. მან განაცხადა—მე ვლაპარაკობდი კონსერვატიულ ევროპაზე, დღევანდელი ევროპა-კი კაპიტალისტურიაო. როგორ მოგწონთ ასეთი თავის გამართლება? თითქოს კონსერვატიულსა და კაპიტალისტურს შორის რაიმე განსხვავება იყოს! განა საბჭოთა კავშირი „დემოკრატიული“ ამერიკისთვის ან რომელიმე სხვა ქვეყნისთვის იგივე არ არის, რაც ფაშისტური იტალიისთვის? იმპერიალისტებს—სულ ერთია დემოკრატიული ფერით შეიღებულნი ისინი სახეს, რესპუბლიკანური თუ ფაშისტური—ერთნაირათ სძულთ საბჭოთა რესპუბლიკა და ერთნაირათ არიან მზად დასცენ იგი, თუ-კი შესძლებენ. უსაფუძვლოა ასეთი თავის გამართლება ამხ. ტროცკის მხრივ—ვითომ მას მხედველობაში ჰყავდა კონსერვატიული და არა კაპიტალისტური ქვეყანა. ამხ. ტროცკი უარპყოფს თვით იმ აზრს, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში. ეს იყო 1915 წელს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა მეორე ფაქტი შეტაკებისა ამხ. ლენინსა და ტროცკის შორის. ეს იყო 1921 წელს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტში, როდესაც დაიწყო ამ პოლიტიკის შემოღების და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შორის კავშირის გაბმის საკითხი. ამხ. ლენინი ამბობდა: „ჩვენ ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი უნდა შევუფარდოთ გლეზთა ეკონომიკას, მეურნეობა განვაფითაროთ გლეზობასთან ერთად“-ო. ამხ. ტროცკი-კი 1922 წლის იანვარში სიტყვა: „პროლეტარიატს, რომელმაც ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო, შეტაკება მოუხდება არა მარტო ბურჟუაზიის ყველა დაჯგუფებასთან, რომელნიც რევოლუციონური ბრძოლის პირველ ხანებში მას მხარს უჭერდნენ, არამედ გლეზობის ფართო მასებთანაც“, და ქვემოთ კიდევ: „იმ წინააღმდეგობათა გადაჭრა, რომელშიაც მუშური მთაფრობა ჩაეარდება ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას



გლებობა შეიადგენს, შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე-“ო.

ეს კვლავ ორი სხვა და სხვა თვალსაზრისია. ამხ. ლენინი ამბობს, საკუროსა ეკონომიკის აგება გლებობასთან ერთად, მაშასადამე, გლებობა ჩვენი მოკავშირეაო, ამხ. ტროცკი-კი გვიმტყიცებს, რომ გლებობა მტრული ძალაა და მასთან შეტაკება აუცილებელიაო. ეს შეროეთ გამოავსეარაედა ამხ. ლენინისა და ამხ. ტროცკის თვალსაზრისთა მკვეთრი განსხვავება.

1922 წელს ამხ. ლენინმა მოსკოვის საბჭოს სხდომაზე წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა და განაცხადა, რომ სოციალიზმი ჩვენთვის არ წარმოადგენს ოცნებას, უტოპიას ან იდეალს, სოციალიზმი ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანეთო. ამხ. ლენინი რწმენას გამოსთქვამდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადაიქცევაო (на России изповской бюджет России социалистическая). ამის შემდეგ გამოდის ამხ. ტროცკი და ამბობს, რომ „სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი მშენებლობა რუსეთში შესაძლებელი ვახდება მხოლოდ ევროპის მთავარ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგო.“ ეს უკვე მესამე შეტაკებაა ორი სხვა და სხვა თეზისისა. ამხ. ლენინი გვეუბნება, რომ ჩვენ უკვე ვაშენებთ სოციალიზმს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთიდან სოციალისტურ რუსეთს მივიღებთო, ხოლო ამხ. ტროცკი გვარწმუნებს, რომ ეს შეუძლებელია, რომ ჩვენი მეურნეობის ნამდვილი გაცხოველება მოხდება მხოლოდ დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგო. თუ გამარჯვება არ არის? ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო რევოლუციის საკითხი გაკინებულა, რევოლუცია იგვიანებს. მაშ რა უნდა გქნათ? მეტი არიფერი დაგვჩენია, რომ იარალა დაეყარათ და ბუჩქებში მივიმალოთ. ამიტომ ვთქვით, რომ ტროცკის ეს თვალსაზრისი დამარცხების ქადაგების თვალსაზრისია; აქ აშეარავდება უმიედობა, ურწმუნოება იმაში, რომ შესაძლებელია სოციალიზმის მშენებლობა.

სწორეთ ეს ათის ოპოზიციის მთავარი, ძირითადი შეცდომა. მას ფეხი დაუტედა ამ საკითხზე, ვინაიდან ჩვენთვის ნათელი და გარკვეული უნდა იყოს, რომ აქ საჭიროა ორი საკითხის გამოიყვანა: ერთია საგარეო, მეორე—შინაური პირობები. როცა ვიღებთ შინაურ პირობებს, ვამბობთ—ჩვენ შიგნით საკმაოთ მოგვეპოვება ყოველივე ის, რაც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად, როგორც ამას ადასტურებდა ამხ. ლენინი თავის წერილში „კოპერაციაზე“. რა არის საჭირო ამისათვის? ამისათვის, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა, საჭიროა სწორი და წესიერი ურთიერთობა მეშათა კლასის და გლეხობისა. ჩვენ შინაურ პირობებში სოციალისტური ელემენტები იმარჯვებენ კაპიტალისტურ ელემენტებზე. ეს-კი ნიშნავს იმას, რომ არის შესაძლებლობა სოციალიზმის მშენებლობისა და სოციალიზმის გამარჯვებისა ერთ ქვეყანაში. დაუძლეველი აქ არაფერია, რაკი მოიპოვებთან ელემენტები სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. მეორე საკითხია—იქნება თუ არა სოციალიზმის გამარჯვება საბოლოო და სრული? ჩვენ ვამბობთ: სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტური



ქართველთა  
წიგნების კავშირი

ქვეყნების ან რომელიმე მთავარი ქვეყნის მუშათა კლასი განმარჯვებს. მაშინ ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით ინტერვენციისაგან, შინაურ საქმეებში ჩარევისაგან, ძველი წესების აღდგენისაგან. ეს გამარჯვება მართო ჩვენგან არ არის დამოკიდებული, იგი დამოკიდებულია სხვა ქვეყნების მუშათა კლასისაგანაც, რადგან ჩვენ ჩვენ თავს გარანტიას ვერ მივცემთ, რომ გარედან არავინ დაგვესხმის, რომ არავინ შეეცდება ძველი წესების აღდგენას და სხვ. ამასვე ამბობდა ამხ. ლენინი: თვითონ კაპიტალისტები გრძნობენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სამხედრო ძალით არ მოგვსპობენო.

**კამენევი, ზინოვიევი, სმილგა და რადეკი.** ავიღოთ ეხლა შეხედულებანი ამ საკითხზე სხვა ოპოზიციონერებისა, მაგ., ამხ. კამენევისა. კამენევი კონფერენციებზე გამოვიდა და როცა ამ მუხლამდე მივიდა, ფეხი დაუსხლტა. ამ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად მან გადასწყვიტა, გზა გაეწმინდა ტროცკისთვის. ამხ. სტალინმა სამართლიანათ შენიშნა: კამენევი გადასწყვიტა მეეზოვის როლის შესრულება, რომ ტროცკისთვის გზა გაეწმინდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამ როლის შესასრულებლად მან სთქვა, როდესაც ამხ. ლენინმა 1915 წელს განაცხადა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაშიო, მაშინ მას მხედველობაში ჰყავდა არა რუსეთი, არამედ სხვა ქვეყნები; რუსეთსკი მან სხვა დავალება დააკისრა. მართალია თუ არა ეს? რა თქმა უნდა—არა. და ამხ. კამენევის არ შეფეროდა ლენინის სიტყვების დამახინჯება, როგორც ლენინის სახელობის ინსტიტუტის დირექტორს. როდესაც ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაშიო, მას მხედველობაში ჰყავდა კაპიტალისტური ქვეყნები და მათ შორის რუსეთიც. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამხ. ტროცკი ლენინს ეკამათებოდა სწორეთ რუსეთის შესახებ და ხაზს უსვამდა—რუსეთი ვერ გაუმავრდება კონსერვატიულ ევროპასო. მაშასადამე, ამხ. ლენინს მხედველობაში ჰყავდა რუსეთი, და ის, რასაც ამის შესახებ ამხ. კამენევი ამბობს, ყურით მოთრეულია და სიმართლეს სრულებით არ შეეფერა.

თუ აიღებთ ამხ. ზინოვიევს, მისი მდგომარეობა უფრო ორიგინალური აღმოჩნდება, როცა ზინოვიევს კითხავდენ, შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაშიო, იგი ამბობდა: „ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, მაგრამ ვერ ავაშენებთ, სოციალიზმის ასაშენებლად საჭიროა სხვა ქვეყნებში გამარჯვება“-ო. გამოდის რაღაც ავანტიურა—ზიხვიდე მუშებს და უთხრა: „შენ სოციალიზმს აშენებ, მაგრამ მის აშენებას ვერ შესძლებო“. ეს მეტათ ორიგინალური თეორიაა—ნახევრად შენებისა—ვაშენებთ, მაგრამ ვერ ავაშენებთ. აქ იგივე ურწმუნოებაა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ამხ. ზინოვიევს ამ საკითხში ერაზხელ კიდევ ეწვია ძველი ცოდვა—მერყეობა.

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციონერებს, არას მათ შორის ერთი—სმილგა. მან კომუნისტურ აკადემიაში განაცხადა, ერთ ქვეყანაში და ისიც ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობაო. არა ერთხელ გავვიგონია ეს საბუთი, მაგრამ გავვიგონია არა კომუნისტებისაგან,


 პარტიკონფერენცია

არამედ მენშევიკებისაგან, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან. სწორედ ესენი ამბობდნენ და ამბობენ—რუსეთისთანა ტენიკურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობაო. სულ სხვაა, საქმე რომ ამერიკას ან ინგლისს შეეებოდეს, იქ შეიძლება ასეთი მშენებლობაო.

მაგრამ მათ, სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტური მშენებლობა არ უნდათ არც იქ, ინგლისსა და ამერიკაში, და თუ ლაპარაკობენ, მხოლოდ იმისთვის, რომ თავი სოციალისტებად მოგაჩვენონ. საქმით ინგლისელი მენშევიკები ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ბრძოლისა, მაგალითად, ინგლისელი მემალაროელების გაფიცვის დროს; ისინი გამცემლობას ეწოდდნენ და ვასცეს კიდევ გაფიცვა, ვინაიდან ისინი საერთოთ სოციალიზმის წინააღმდეგნი არიან. ასევე მოხდა რუსეთში. როდესაც რუსეთში სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, მენშევიკები ამბობდნენ, აქ არაერთი სოციალიზმი არ არის და ასეთ ტენიკურად და კულტურად ჩამორჩენილ ქვეყანაში არც შეიძლება სოციალიზმის მშენებლობაო.

მაგრამ ეხლა, სოციალისტური რევოლუციის ცხრა წლის შემდეგ, როდესაც სმილჯა აცხადებს, რომ სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში შეუძლებელია, მეტად უცნაურ რამედ უნდა მივიჩნიოთ, რას გვეუბნება ეს? იმას, რომ სმილჯამ სოციალ-დემოკრატიული გადახრა შეითვისა, რადგან მენშევიკური იდეების განმეორება იგივე სოც.-დემოკრატიული გადახრაა.

ამხ. რადეკი უფრო შორსაც წავიდა. იგი ხითხითით ამბობდა კონუნისტურ აკადემიაში, რომ სოციალიზმის მშენებლობის თეორია ერთ ქვეყანაში იგივეა, რაც სოციალიზმის მშენებლობის თეორია „ერთ მაზრაში“. ვიღამაც „ერთი ქუჩაც“ დაუმატა.

ასე რომ ამ შემთხვევაში, დაწყებული ტროცკით და გათავებული რადეკით და მისი „ერთი მაზრის“ სოციალიზმით, ოპოზიციას ყველაფერი დომხალივით აერია და ამ დომხალს, რაღა თქმა უნდა, ლენინიზმთან. საერთო არაფერი ჰქონდა.

XV პარტიკონფერენციამ ამის შესახებ სათანადო დადგენილება გამოიტანა. პარტიკონფერენციამ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა ეს საკითხი, და ამ ჟამად პარტიის ყველა წევრისთვის ცხადი და ნათელი უნდა იყოს ის დებულება, რომ სოციალიზმს არა თუ ვაშენებთ, ავაშენებთ კიდევ ერთ ქვეყანაში. თუ ეს პერსპექტივა არ გვექნება, არაფრად ეღირება თვით ჩვენი მშენებლობა. თვალდაბუქუნლი ვერ წავალთ წინ. ეს არასოდეს არ სჩვევია ჩვენს პარტიას.

იმისთვის, რომ პარტიაში სრული სიციხადე ყოფილიყო ამ საკითხზე—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თეორიაზე, — XV პარტიკონფერენციამ ამომწურველი გადაწყვეტილება გამოიტანა.

ოპოზიციის ბელადების გამოსვლა კონფერენციაზე. ეხლა შევხვით ოპოზიციის გამოსვლებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ პარტიკონფერენციაზე ამხ. სტალინის მოხსენების გამო. პირველი გამოვიდა ამხ. კამენევი. კონფერენციამ მას ორი საათის ლაპარაკის ნება მისცა. ჩვენ მოუთმენლად ველოდით, რას იტ-



ქართველთა

მწიგნობართა კავშირი

ყოდა ეს ლიდერი ოპოზიციისა, მაგრამ ვერაფერი საყურადღებო მან ვერ სთქვა და მისი გამოსვლა უფერული, უშინაარსო გამოდგა. ჩვენ წინ ის კამენევი აღარ იდგა, რომელსაც წინა კონფერენციებით ვიცნობდით. ასეა ყოველთვის: როდესაც ადამიანი ყალბ პოზიციაზე დგას, მას ვერაფერთარი მქერამეტყველება ვეღარ უშველის, თუმცა ამ კონფერენციაზე ამხ. კამენევს მქერამეტყველებაშიც უღალატა. მან დაიწყო თავის გამართლებით, მაგრამ ეს თავის გამართლებაც ორიგინალური იყო—უმიზეზოთ გვკბენთ და გვედავებითო, ხელზე დაიხეიეთ ოპოზიციონერების ცალკე გამოსვლებით. მან განაცხადა: ტროცკიმ სადღაც რაღაც შეუფერებელი სთქვა, ზინოვიევი სადღაც უხერხული სიტყვით გაგვიმასპინძლდა. შეიძლება უხერხული მოხსენებითაც, და ეს იმიტომ, რომ მათ ხანდახან „წამოსცდებით“ ხოლმეო. ამხ. ბუხარინმა მეტად მახვილათ შენიშნა—„რაღაც ძალიან ბევრი წამოკიდნა გამოდისო“. ვერ არის კარგი, როცა კაცს ცალკე წინადადება კი არა, მთელი მოხსენება წამოსცდება ხოლმე. ვერ არის კარგი იმიტომ, რომ ისინი უბრალო ცოდვილნი კი არა, პირველხარისხოვანი ლიტერატორები და ორატორები არიან. ამხ. კამენევი „წამოკიდნის“ შესახებ ვერაფერი სთქვა. ამას ვარდა, იგი შეეცადა თავი შემდეგნაირათ გაემართლებია: თქვენ ვეამტყუნებთ, რომ ჩვენ ქედი მოვიხარეთ, კაპიტულიაციაზე წავედით. მაგრამ ვანა ჩვენ ქედი „ნემპანების“ და კლაკების, ბურჟუაზიის და მრწვევიკების წინაშე მოვიხარეთო? რა თქმა უნდა, თუ ავიღებთ თვით ამხ. კამენევის სულისკვეთებას, მის პირად სურვილს, ცხადი იქნება, რომ იგი იმდენად კომუნისტურათ განწყობილი ადამიანია, რომ არასოდეს არ მოისურვებს მუშათა კლასის წინააღმდეგ წასვლას და ბურჟუაზიის მხარის დაქვრას, მაგრამ აქ საქმე პირად სულისკვეთებასა და კეთილსურვილებში არ არის. ასეთა სურვილებით, როგორც რუსები ამბობენ, ჯოჯობეთიც-კი მოფენილია. საქმე ობიექტიურ პოზიციაშია.

1917 წლის ოქტომბერში, ბურჟუაზიასთან შეტაკების ყველაზე უფრო საშინელ და ვადამპერელ მომენტში, ესევე ამხანაგები—კამენევი და ზინოვიევი—ოქტომბრის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათი პოზიციიდან გამოდიოდა ასე: „ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, იმიტომ რომ ბურჟუაზიას ყველაფერი კარგათ აქვს მოწყობილი, ჩვენ კი—ცუდათო“. ისინი შიშს სთესდნენ მუშათა რიგებში. რა თქმა უნდა, კამენევსა და ზინოვიევს არ უნდოდათ ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა, მაგრამ ამხ. ლენინმა მათი პოზიცია დაახასიათა, როგორც პოზიცია შტრეიკ-ბრეხერების და გამცემლებისა, რომლებიც ბრძოლის ვადამწყვეტ მომენტში შიშსა და სასოწრკვეთილებას სათესენ, ნაცვლად მუშების გამხნევების და აღურთოვნებისა. სწორეთ ეს არის ბურჟუაზიის წინაშე კაპიტულიაცია და იარაღის დაყრა. დღეს, ოქტომბრის რევოლუციის ცხრა წლის თავზე, მათ კვლავ იგივე გაიმეორეს. მათ შეეშინდათ ჩვენი მუშაობის სიმძნელისა და უკან დაიხიეს, იარაღი დაყარეს, ამიტომ კონფერენცია ეუბნება მათ: იქნებ თქვენ ეგ არ გინდოდათ, მაგრამ ობიექტიურათ გამოდის, რომ თქვენ ისევე, როგორც 17 წლის ოქტომბერს, ფარ-ხმალს ჰყრით ბურჟუაზიის წინაშე, კაპიტულიაციაზე მიდინხართო. საწყენი აქ არაფერია, რადგან ეს სრული სიმართლეა. როცა ოქტომ-

ბრის რევოლუციის შემდეგ ცხრა წელიწადი გავიდა, მართებული არ არის ძველ ადგილზევე წაიჩოტო.

რაც შეეხება ამხ. ზინოვიევის გამოსვლას, ეს გამოსვლაც ისევე უღაბათო და უფერული იყო, როგორც კამენევისა. რასაკვირველია, კომინტერნის თავმჯდომარეს ზინოვიევის უნდოდა თავისი ინტერნაციონალიზმით კორიანტელი აედინა. ამიტომაც ამბობდა იგი: „ჩვენ ნამდვილი და კემპარიტი ინტერნაციონალისტები ვართ; ის-კი, რასაც თქვენ გვთავაზობთ, ნაციონალური სივიწროვე და შეზღუდულობააო.“ ისე გამოდის, თითქო ჩვენი პარტია მომზრე არ იყოს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა, თითქო ჩვენს ქვეყანაში გამარჯვების შემდეგ ჩვენ გულ-ხელი დაგვეკრიფოს და დაემშვიდებულყოს. შეუძლებელია ჩვენი პოლიტიკის ამგვარათ შეფასება. როცა ამას სწერენ უცხოური გაზეთები—გასაგებია, მაგრამ როცა ამას ზინოვიევიც იმეორებს—არაფერს არა ჰგავს, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ინგლისის ამბებში ჩვენმა პარტიამ გამოიჩინა მაქსიმალური ინტერნაციონალიზმი, მაქსიმალური შესაძლებლობა მემალაროვლთა გამაგრების და დახმარების საქმეში, რათა მათი გაფიცვა გამარჯვებით დამთავრებულიყო. ასევე მოხდა ჩინეთის საქმეებში. ჩვენმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა, შენდევშიაც გააკეთებს, რომ აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ხალხები ფეხზე დადგენ, რომ მათ იმპერიალისტების განდევნა შესძლონ, ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ ჩვენი პარტია ნაციონალურ ფარგლებშია შეზღუდული და მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას მხარს არ უჭერსო—ცარიელი სიტყვებია, რომელსაც გულუბრყვილოც არ დაიჯერებს. ინტერნაციონალიზმს სიტყვით კი არა, საქმით უნდა ანხორციელებდნენ. ამხანაგებს ოპოზიციიდან ლამაზი სიტყვით და ესტებით უნდოდათ საქმის გაკეთება, მუქარით დაშინება ბუკლეაზიისა. ასეთი ვითარება მუქარა იყო მათი სიტყვები ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ—„გამოვიდეთ ამ კომიტეტიდანაო“. თუ კი წაბვალ, ბალდუინი დიდ მადლობასაც გეტყვის: გზა მშვიდობისა, აი თქვენი ჩამოდანი, ინებეთ და მიბრძანდითო. რაც უფრო მიღე წამოხვალთ, მათ უფრო გაუხარდება ბალდუინსაც, ჯოინსონს ხიკსაც და მრავალ სხვა „სქელშუბლიანსაც“, გაუხარდებათ, რადგან სწორეთ ეს შეადგენს მათ გულისნადებს. ასეთ ავანტიურას საერთო არაფერი აქვს მასების ხელმძღვანელობასთან, რაზედაც ლენინი ლაპარაკობდა. ამიტომ ჩვენ უკუვაგდეთ მარცხენაზე მემარცხენე ფრაზები და განვაგრძეთ ჩვენი წინანდელი პოლიტიკა.

როდესაც საქმე ოქტომბრის რევოლუციის შეეხება, ჩვენ ვამბობთ, ოქტომბრის რევოლუცია არა მარტო ნიშანია და წამქეზებელი მსოფლიო რევოლუციისა, იგი ამ რევოლუციის ძირითადი ბაზა და შენადგენელი ნაწილიც არის. ოპოზიციონერების სიტყვებიდან გამოდის, რომ ჩვენ მარტო ნიშანს ვიძლეით და ცხრა წლის განმავლობაში მუჯღუფუნსა ვცემთ რაღაცას. ჩვენ-კი ვამბობთ, რომ ჩვენ მარტო ნიშანს და მუჯღუფუნს არა ვჯერდებით, რომ ჩვენ ვართ მსოფლიო რევოლუციის შემადგენელი ნაწილი, რომ ჩვენი წარმატების და წინსვლის ყოველი დღე ნიშნავს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას, რა-





დგან ამით ხელს უწყობთ სოციალისტური ელემენტების ზრდას და ვუჩვენებთ, როგორ შეიძლება ამ საქმის გაკეთება.

ეს არის მიზეზი, რომ დელეგაციები, რომელნიც ჩვენ ქვეყანაში მოდიან, გაკვირვებულნი შეჰყურებენ იმ ვხას, რომელიც ჩვენ გაუიარეთ ძალა-უფლების დაპყრობიდან სოციალიზმის მშენებლობამდე. ასე სდგას საკითხი და არა ისე, როგორც ამხ. ზინოვიევი გადმოგვცემდა, როდესაც თავის ინტერნაციონალიზმზე მჭერმეტყველებდა.

რაც შეეხება ოპოზიციონური ბლოკის მთავარსარდალს ამხ. ტროცკის, უნდა ითქვას, რომ მისი სიტყვა ოპოზიციის სიტყვებში ყველაზე უფრო ლამაზი იყო, იმიტომ რომ მან იცის ლაპარაკი, ამასთან დალაგებული და შნოიანი ლაპარაკი. მისი სიტყვა გარეგნულათ ძალიან ლამაზი გამოვიდა, მაგრამ როცა გინდა კბილი გაუსინჯო ამ სიტყვას—ხელის ჩასაქიდებელს ვერ პოულობ. ამხ. ტროცკი განზე გაუბოდა სერიოზულ საკითხებს, გვერდს უხვევდა მათ, და ამას შეეგნებოდა სჩადიოდა, რადგან ლაპარაკობდა მხოლოდ იმისთვის, რომ შთაბეჭდილება მოეხდინა. მაგრამ ჩვენ კონფერენციაზე შევიკრიბინეთ არა იმიტომ, რომ შთაბეჭდილებანი მიგველო, არა იმიტომ, რომ მართო უფრო დაგვეგდო ამ ორატორისა და ტრიბუნისთვის, არამედ იმიტომ, რომ მოგვესმინა პოლიტიკური სიტყვა და საკითხის პოლიტიკურად დისკა. მაგრამ ამხ. ტროცკის სიტყვაში გარეგანი სილამაზის იქით არ მოსჩანდა შინაგანი სიღრმე. ეს ცხადი ვახდებდა, თუ განვიხილავთ იმას, რაზედაც ის ლაპარაკობდა.

თავისი სიტყვა მან დაიწყო პერმანენტული ოგვოლიუციის საკითხით. საკითხი გვაინტერესებდა. ეს არის ტროცკის ნახევრად მენშვეიკური თეორია პერმანენტულ რევოლუციისა, რომელშიაც გლეხობის როლი სათანადოთ შეფასებული არ არის. გვინდოდა ვაგვეგო—უარპყო თუ არა ტროცკიმ ეს თეორია. ნაცვლად ამისა, მან ასეთი ფრაზა გადმოისროლა: „ის, რაც პერმანენტულ რევოლუციის ამ თეორიაში სწორია, და ისიც, რაც სწორი არ არის, მე არქივს გადავეციო“. სთქვა ეს და წერტილი დასვა, სიტყვა აღარ დაუმატა. არ მოისურვა განემარტა—რა არის სწორი და რა არ არის სწორი ამ თეორიაში, რომელიც მან არქივს ჩააბარა. ხომ არა კმარა სთქვა ის, რაც ამას წინეთ ტროცკიმ განაცხადა: „როდესაც ლენინს ვეკამათებოდი, თურმე ის მართალი ყოფილა და მე კი არაო“. ეს კიდევ ცოტაა: როცა საკითხი პერმანენტულ თეორიის შესახებ კონკრეტულათ დაისვა, როცა უნდა გამოჩვეულიყო, ვინ იყო მართალი—ლენინი თუ ტროცკი, ტროცკის ხმა არ ამოუღია. მეორე ადგილასკი მან გაიმეორა ასეთი ფრაზა: „იდეური გადაიარაღება ბოლშევიკებისა მ.ხ. და 1917 წელს“. გამოდის, რომ ტროცკი კი არ მისულა ლენინთან, ლენინი მივიდა ტროცკისთან. ჩვენ დავყარეთ ჩვენი იარაღი და ვინათხოვრეთ ტროცკის იარაღი. ის, თუ რაში გვეპირებოდა ეს იარაღი, როცა გვაქვს საუკეთესო იარაღი—ლენინიზმი, გამოუოყვეველი დარჩა.

კონფერენციიდან წავედით და თან წავიღეთ ის, რაც მანამდე მოგვეპოვებოდა პერმანენტულ რევოლუციის შესახებ. ამხ. ტროცკიმ არ მოისურვა იმისი თქმა, თუ როგორ უყურებდა ის ამ საკითხს.

შემდეგ ტროცკი თავის გამართლებას სცდილობდა. რისთვისაც მას სხვადასხვა ციტატები მოჰყავდა. ამხ. ლარინმა სამართლიანად შენიშნა—ტროცკი გამოვიდა როგორც ლიტერატორი. ტროცკის მოჰყავდა ციტატები ერთი თბუხულებიდან, მეორიდან, მესამიდან, მეოთხიდან, ასახელებდა გვერდებს, წინადადებას იძლეოდა ციტატები შეგვედარებია: უნდოდა კონფერენციისთვის დავთრები აებნია, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. რაღა თქვა უნდა, კარგია კამათი, ვინაიდან „აზრთა შეჯახებიდან ქეშმარიტება გამოზღინარეობს“. მაგრამ კონფერენციებზე ჩვენ გვინდოდა მოგვესმინა არა ლიტერატურული ციტატები, არამედ საკითხის რაობა, მისი აზრი და შინაარსი. ტროცკის კი ლენინის ნაწერებიდან მოჰყავდა ადგილები და ამ ადგილებს ერთმანეთს უპირისპირებდა, უნდოდა ეჩვენებია, რომ ლენინი მართალი არ არის: აბა შეხედეთ, როგორ სწერდა ლენინი, სწორეთ ისე, როგორც მეო. მრავალი ადგილის მოყვანა შეიძლება—ეს ძნელი არ არის, მაგრამ საჭიროა მათი შეფარდება, დიალექტიკურათ აზროვნება, გამოკვეთა—როდის რა ითქვა და რა პირობებში. ამხ. ლენინი გარდა იმისა, რომ უდიდესი რევოლუციონერი იყო, უდიდესი დიალექტიკოსიც იყო. ლენინი ააშკარავებდა, ნათელყოფდა პარქსის დოგმებს, მაგრამ ამავე დროს მან იცოდა ამ დოგმების შეფარდება მოქმედებასთან. ამით იყო ლენინი ძლიერი. ტროცკის კი უნდა ამოღო ეს ერთი ასო, ცალკე სიტყვა და ამით ფონს გაეიდეს. მაგრამ თითო-ოროლა ასოთი და სიტყვით შორს წასვლა არ შეიძლება, ვინაიდან პარტიამ იცის—ვინ არის გამუხპირებელი და ვინ—შთაფარი აზრების ამომკრები და ქეშმარიტი დასკვნების გამომყვანი. თუმცა ამხ. ტროცკი უდიდესი ორატორია, მაგრამ იგი უდიდესადაც დაიბნა ამ ციტატებში. ბოლოს, ამხ. ტროცკიმ აშნაირად მოისურვა თავის გამართლება: „თქვენ მე სოციალ-დემოკრატიულ გადახრას მამრალეთ, მადარებთ ოტრო ბაუერთან, თუმცა კარგათ იცით, რომ მრავალი წიგნი დაეწერე, კალტსკის და ოტრო ბაუერის წინააღმდეგ“ და სხვ. ხოლო იმ ციტატების შესახებ, რომლებიც მოიყვანა ამხ. სტალინმა და რომლებიც ამხ. ტროცკის ყალბ და არალენინურ პოზიციას ადასტურებენ, ამხ. ტროცკი ამბობდა—ეს „შემთხვევითი საბაბების გამო“ დაწერილ შრომებიდან არის ამოღებული. ამხ. ტროცკის არავინ ღანძღავს კარგი საქმისათვის, პირიქით, ჩვენ მას მადლობასაც ვუბნებით ცხარე სიტყვებისა და კარგი წიგნებისათვის. მაგრამ ცუდი და შეშეცდარი, თუნდაც „შემთხვევითი საბაბით“ გამოწვეული, ნაწერისათვის (ყველაფერი ეს კი შემთხვევითი არ არის!) მან პასუხი უნდა აგოს. მას რომ არაფერი დაეწერა მენშევიკების წინააღმდეგ, არაფერი ეთქვა ჩვენი პარტიის დასაცავად, მაშინ იგი პარწავარდნილ მენშევიკს დაემსგავსებოდა. პარტიულ კონფერენციას ეს არ უთქვამს, მან სთქვა—ტროცკი ერთგვარათ გადაიხარა; თუ ამ მზრივ იგი უფრო შორს წაეიდა, სოციალ-დემოკრატიულ ჭაობში ჩაიფლობაო. ამიტომ ამბობს პარტია, რომ არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა და მას უნდა ვებრძოლოთო.

ამ უკ ნასკნელი საკითხის გამო დიდი კამათი იყო. ოპოზიცია ამბობდა: ჩვენთვის ყველაფერი მისაღებია, გამოიტანეთ რეზოლიუციები, მაგრამ სოციალ-



დემოკრატიულ გადახრას ნუ დაგვაბრალებთ. ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ. ჩვენ გვაქვს სტაფი, თქვენ—კი გინდათ სოციალ-დემოკრატიული გადახრის ნიშანი მოგეკარათო.\* მაგრამ კონფერენცია ამას ვერ დაეთანხმებოდა, რადგან მან ოპოზიციის გამოსვლა არსებითათ შინაგანად. სოციალ დემოკრატმა ოტტო ბაუერმა ერთ თავის თხუზღლებაში, რომელიც რუსეთის რევოლუციის შეცხება, სთქვა—რუსეთში, ასეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, პროლერარიატი ბოლომდე ვერ გაიზარდებს, რადგან გლეხობა მომწიფდება და პროლეტარიატის დიქტატურას დაამბობსო. მიშასადამე, ამხ. ტროცკიმ გაიმეორა ოტტო ბაუერის სიტყვები და სთქვა—ჩამორჩენილ ქვეყანაში არ შეიძლება ძალა-უფლების შენარჩუნება, გლეხობა მტრულ ძალად გადაიქცევაო. ეს ორი აზრი, ერთი—ოტტო ბაუერისა და მეორე—ამხ. ტროცკისა, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამიტომ ვთქვით ჩვენ, რომ აქ სოციალ-დემოკრატიული გადახრაა და უნდა ვებრძოლოთ მას, რათა ბოლშევიკური იარაღი გამოვქედოთ.

კონფერენციამ არა მარტო მახლობელი პერიოდისთვის, მრავალი წლისთვის მოგვკა სწორი იარაღი, რომლითაც შეგვიძლია ვებრძოლოთ ყოველგვარ გადახრას პარტიაში. XIII ყრილობამ ამხ. ტროცკის გადახრას წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა უწოდა. ეს რეზოლიუცია დაწერილი იყო თვით ამხ. ზინოვიევის ხელით, და ეხლა, როდესაც ჩვენ მის მოქმედებას სოციალ-დემოკრატიული გადახრა ვუწოდებთ, იგი აღარ გვეთანხმება. ჩვენ უფრო ვაეარკვეით ის, რაც მე-XIII ყრილობაზე იყო დადგენილი, ვინაიდან წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა შეიძლება იყოს მენშევიკურიც, ესერულიც და ანარქისტულიც; საჭირო იყო ფორმულის დანამდვილებით ჩამოყალიბება და კონფერენციამაც სთქვა—ეს სოციალ-დემოკრატიული გადახრაა, რომელსაც სრულ მოსაზრებამდე უნდა ვებრძოლოთო.

XV პარტკონფერენციამდე ოპოზიციამ უარი სთქვა ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე და ფრაქციულ ბრძოლაზე, მაგრამ ამავე დროს ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ „ჩვენს პრინციპიალურს შეხედულებათა ნიადაგზე ვრჩებითო“. მაშასადამე, რასაც ისინი წინეთ ფიქრობდნენ, ძალაში რჩება. ამაზე პარტიამ სთქვა: ასეთი განმარტება საკმაო არ არის; არა კმარა ფრაქციულ ბრძოლაზე ხელის აღება—ეს მხოლოდ მინიმუმია; პარტიაში სრული ერთობის დასამყარებლად ხაჭირია უარის თქმა არა მარტო ფრაქციულ ბრძოლაზე, არამედ პრინციპიალურათ არაღენინურ შეხედულებებზედაცო. უნდა ვაძილოთ ოპოზიციის უარი სოქვას ამ შეხედულებებზე, უამისოთ ადგილი არ ენება პარტიის ქეშმარიტ მთლიანობას ლენინის მისი ნიადაგზე. ჩვენ იბრითად ამოცანას შეადგენს—დავანახოთ ყველას, რომ ოპოზიციის შეხედულებანი ოპორტუნისტული შეხედულებანია, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული გადახრა იქვთ. ამისათვის ჩვენ კარგათ უნდა შევისწავლოთ XV პარტკონფერენციის დადგენილებანი, რადგან იქ ყოველი რეზოლიუცია უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ საბუთს წარმოადგენს. XV პარტკონფერენციამ დაადგინა, განაგრძოს პარტიამ შემდგომი გადამწყვეტი იდეი-რი ბრძოლა ოპოზიციასთან ამ სოციალ-დემოკრატიული გადახრის დასაძლეად, მისი ძირშივე, საფუძველშივე მოსასპობად.

ადგილობრივი ოპოზიცია და მისი უპრინციპობა. დასასრულ უნდა შევკბოთ ადგილობრივ, ჩვენებურ ოპოზიციას.

უნდა ითქვას, რომ თუ ცენტრში ჩვენ უპრინციპო ოპოზიციასთან გვჭონდა საქმე, აქ მდგომარეობა უფრო ცუდი იყო, ვინაიდან ჩვენებურ ოპოზიციას პრინციპიალურ შეხედულებათა ის მინიმუმიც არ გააჩნდა, რასაც ადგილი ჰქონდა ცენტრში. აქ გამოვიდა ის ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობდა ევრეთ წოდებული „უკლონიზმის“ უკიდურესი მემარჯვენე ნაწილი, უკიდურესი მემარჯვენე ფრთა. ეს „უკლონიზმი“ საქართველოს კომპარტიის ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე, 1922 წლის დასაწყისში, შეფასებულ იქნა, როგორც ნაციონალისტური გადახრა. „უკლონისტები“ ის ხალხია, რომელსაც არ სურდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესვლა. დღეს-კი, 1926 წელს, ეს ამხანაგები ერთბაშით არქიონტონაციონალისტები, დაუყოვნებელი მსოფლიო რევოლუციის მომხრენი გახდნენ. აქ პრინციპიალური არაფერია, აქ სრული წინააღმდეგობაა. თუ ისინი ეროვნულ შეზღუდვაზე ლაპარაკობენ, აშკარაა, ვიწრო პატრიოტები ყოფილან, რომელნიც თავიანთ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ.

თუ ავიღებთ შინაური ვითარების საკითხებს. დავინახავთ, რომ ჩვენი ოპოზიცია 1922 და 1923 წლებში მომხრე იყო მაქსიმალური დათმობისა წერილი ბურჟუაზიისთვის, ხოლო როდესაც ჩვენს წინაშე წამოიჭრა მიწის რეფორმის რევოლუციონური წესით გატარების საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ მიწა ჩამოერთვათ მემამულეებს და თავადებს და გადაეცეთ გლეხებს, უკლონისტები ამის საწინააღმდეგოთ ამბობდნენ, რომ ეს ზომა გამოიწვევს სამოქალაქო ომს, ელექტა-ხოცვას სოფლად, რომ ჩვენი თავადები ვითომ კეთილშობილი ხალხია, რომ ისინი ღარიბნი და უფერულნი არიან და მათი შეწუხება საჭირო არ არისო. ჩვენ-კი ვთქვით, რომ თუ ჩვენი გვეყანა გლეხურია, ფეოდალური ნაშთები ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათო. ჩვენ თავიდან მოვიშორეთ ფეოდალური წესები, ჩამოვართეთ მიწა მემამულეებს და თავად-აზნაურობას და გადავეცით გლეხობას. და ისინი, რომელნიც ამ რეფორმის წინააღმდეგ იყვნენ, ამ თავად-აზნაურებს და მემამულეებს იცავდნენ, დღეს ღარიბზე-უღარიბესთა როლში მოგვევლინენ, ხოლო ჩვენ „კულაკურ“, „წვირილ-ბურჟუაზიულ“ გადახრაში მოგვაქციეს.

ავიღოთ მესამე მომენტი. საჭირო იყო სასტიკი ბრძოლა ყველა ანტისახკოთა პარტიასთან. როცა მენშევიკები საქართველოში იმდენად გათანამდნენ, რომ ტერორამდე მივიდნენ და, მაგალითად, გურიაში დახოცეს მთელი რიგი ჩვენი ამხანაგებისა, და როცა ჩვენ საჭიროთ მივიჩნიეთ ტერორზე წითელი ტერორით გაგვეცა პასუხი, უკლონისტებმა, ემ შიშით—რას იტყვიან ჩვენზეო, ერთი განგაში ასტეხეს, ამის ჩადენა არ შეიძლებოა.

ებლა ისინი უკიდურესი მემარცხენეებად გვევლინებიან, ხოლო ჩვენ ოპორტუნისტებად გვნათლავენ.

ამაზე წერას არ გავაგრძელებ, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ამ უკლონისტების ისტორიას, დავინახავთ, რომ ის, რასაც ისინი წინეთ ამბობდნენ, საესტებით ეწინააღმდეგება იმას, რაც მათ 1926 წელს გაგვაგონეს და გააკეთეს.



საქართველო

მწიგნობართა

რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ ისინი ძალზე უპრინციპო ხალხი და მათთვის არაფრათ ღირს ხელი მოაწერონ ამა თუ იმ პლატფორმას, იმიტომ რომ ჩვენი უკლონისტები სულ ადვილად აპყვებიან და შეუერთდებიან ოპოზიციას, სადაც უნდა გაჩნდეს და როგორც უნდა იყოს ეს ოპოზიცია. ეხლაც მივხვდებით ოპოზიციას და კარგადაც ჰქნეს, რადგან საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გაიგო, რომ ისინი გაცოტრებულები არიან და სულს იქით მათ არაფერი გააჩნიათ. ჩვენ დავიანახეთ სრული დამარცხება საქართველოს უკლონისტებისა, რომელთაც, საერთო სოციალ-დემოკრატიული გადახრის გარდა, ნაციონალისტური გადახრაც აქვთ. იქნებ მათ უნდოდათ, რომ ჩვენ დაგვეიწყებოდა ეს, მაგრამ იმ დრომდე, სანამ ისინი არ დაივიწყებენ თავიანთ ძველ შეხედულებებს, ვერც ჩვენ დავივიწყებთ მათ. ჩვენ ვთქვით და კიდევაც ვიტყვით, რომ მათ ორი გადახრა აქვთ, ერთია—სოციალ-დემოკრატიული, ხოლო მეორე—ნაციონალისტური.

ჩვენ განუუცხადეთ მათ, სანამ თქვენ ძველ შეხედულებათა ნიადაგზე დგებართ, ნება გვიბოძეთ, ჩვენც გავიხსენოთ ხოლმე თქვენი ძველი ნაციონალისტური გადახრა; ინებეთ და პასუხი აგეთ მისთვის! ეს საჭიროა იმისთვის, რომ მთელი პარტია გაერკვეს იდეურად, — რას წარმოადგენს ეს ხალხი, რა არის ნამდვილი ბოლშევიკი, ლენინელი, და რა—უკლონისტი, რომელიც მუდამ სცილობს ლენინის სწორე ხაზიდან გადახვევას.

მოხდა ისე, რომ ჩვენმა უკლონისტებმა ყველაზე გვიან შემოიტანეს განცხადება. 16 ოქტომბერს განცხადებით გამოვიდა ექვსი ოპოზიციონერი ცენტრი, მერე დაიბეჭდა შლიაპნიკოვის და მედვედევის განცხადება, შემდეგ ჩაიარა XV პარტკონფერენციამ, ჩვენი ოპოზიცია კი ჩემათ იყო, თითქო ყოველივე ეს მის არ ეხებოდა. ამავე დროს მათმა ფრაქციულმა ბრძოლამ მახინჯ ფორმებამდე მიიღწია. ბოლოს, დიდი დავიანებით და დიდი ვაი-ვაგალით გიმოაქვეყნეს წერილი, რომელიც ამას წინეთ დაიბეჭდა ტფილისის გაზეთებში (ლადო დუმბაძის და სხ. განცხადება).

ეს წერილი საკმაო არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მინიმუმი იმისა, რასაც პარტია თხოულობს—მივიღეთ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ოპოზიცია ფრაქციულობის გზაზე იდგა, რომ ეს ფრაქციულობა მაინებელია, მიუღებელია პარტიისათვის, რომ იგი არღვევს პარტიის მთლიანობას. ოპოზიციის ლიდერები უარს აცხადებენ ფრაქციულ ბრძოლაზე, მაგრამ ძველ შეხედულებებზე. კი ხელს არ იღებენ. ოაკი ასია, რაკი ისინი ხელს არ იღებენ პრინციპიალურ შეხედულებებზე, უნდა ვებრძოლოთ იდეურათ მათ არალენინურ შეხედულებებს.

თუ მათ პარტიაში მუშაობა სურთ, დაე იმუშაონ, მაგრამ თუ პარტიის აფეთქება უნდათ, — ამის ნებას მათ არავენ მისცემს. პარტია იწინათ გაიხარდა, რომ მას კარგათ ესმის, სად იწყება გადახრა. XV პარტკონფერენციამ გამოიმუშავა სწორი გადაწყვეტილებანი. აქეამად ჩვენ ამოცანას შეადგენს ცხოვრებაში გატარება ამ გადაწყვეტილებებისა, ბრძოლა ყოველგვარ იდეურ მერყეობასთან და ლენინიზმის დაცვა ტროცკიზმისა, უკლონიზმისა და სხვა გადახრისაგან. ჩვენ გვაქვს ლენინის დროშა, რომლის ირგვლივაც ვიბრძოდით. ვიბრძვით და ვიბრძოლებთ შენდევშიაც.

და ლენინის დროშა გაიმარჯვებს მთელ დედამიწაზე, მთელ ქვეყნიერებაზე!

## საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების განხილვას მე-XV პარტიკონფერენციაზე რამოდენიმეთ ახალი და თავისებური ხასიათი ჰქონდა ყველა წარსულ ყრილობასთან და კონფერენციასთან შედარებით.

კონფერენციის ყურადღება მიპყრობილი იყო არა იმდენათ კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკურ ამოცანებზე და საშინაო მდგომარეობაზე, რამდენათაც ზოგად საერთაშორისო პრობლემებზე.

ამიტომ საერთაშორისო ხასიათის საკითხების სიმძიმის ცენტრი ამ კონფერენციაზე გადატანილ იქნა მარქსიზმისა და ლენინიზმის თეორიაში. რას მოწმობს ეს გარემოება?—

ეს მოწმობს იმას, რომ ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა კომუნისტური ინტერნაციონალი ლენინურ ტაქტიკისათვის, უკანასკნელ წლების განმავლობაში, მემარჯვენე და ულტრა მემარცხენე გადაბრების წინააღმდეგ, ეხლა უკვე დასასრულს უახლოვდება. კომუნისტური ინტერნაციონალის განვითარებაში ეს ბრძოლა შეადგენს შინაარს მთელ ეტაპისას, რომელიც უმთავრესად უკვე განვლილი და დასრულებულია.

ჩვენს პარტიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეჩერებულიყო მხოლოდ ან უმთავრესად დასრულების პროცესში მყოფი ეტაპის უკვე გადაჭრილ საკითხებზე. კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე ამ-ეამად წამოიჭრა ახალი ამოცანები. იწყება საერთაშორისო მტრთა და სარევოლიუციო მოძრაობის ახალი ეტაპი. ამ ახალი დამდგვი ეტაპის თავისებურებათა გამოჩვენება და განსაზღვრა შეადგენს ს. კ. პ. (ბ), როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელი პარტიის მოვალეობას. ამიტომ საკვირველი არ არის თუ მე-XV კონფერენცია დიდხანს არ შეჩერებულა უკვე გადაჭრილ საკითხებზე; კონფერენცია შეჩერდა უმთავრესად საერთაშორისო მდგომარეობის ზოგად შეფასებაზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ამ შეფასებასთან. დისკუსიის თეორეტიული „გადაბრა“ კონფერენციაზე მოწმობს იმას, რომ ჩვენი პარტიის თეორეტიული დონე მაღლა იწევს და პარტია რჩება ერთგული ბოლშევიზმის ტრადიციებისა, რომელიც ყოველი ახალი საკითხის გადასაჭრელად შეიარაღებულია რევოლუციონური თეორიით. თავის თავად



იგულისხმება, რომ კონფერენციის მუშაობას ამ შემთხვევაში, მხოლოდ წინასწარი ხასიათი აქვს. საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხზე, რომელიც წამოიჭრა პარტიული კონფერენციის დისკუსიაში, ალბათ ახლოვან მიიღებს კომუნისტური ინტერნაციონალი. ახლო მომავალში შეიკრიბება კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის შორევი გაფართოებული პლენუმი. ალბათ ის გაარჩევს ყველა იმ საკითხს, რომელიც წამოიჭრა ჩვენმა პარტკონფერენციამ.

მე-XV პარტკონფერენციის მეორე დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ ოპოზიციონური ბლოკი ფაქტიურად დამარცხდა ყველა თავის პოზიციებზე, საერთაშორისო პარტიების ყველა საკითხში. გაერთიანებულმა ოპოზიციამ ამ საკითხებში არა თუ დაუპირდაპირა პარტიას თავისი საკუთარი პლათფორმა, არამედ მან ვერ გაბედა საესებით და აშკარად თავისი პოზიციების დაცვა ცალკე კონკრეტ. საკითხებზედაც კი (სტაბილიზაციის ულტრა-მემარცხენე ჯგუფებთან დამოკიდებულების საკითხი და სხ.). გაერთიანებულმა ოპოზიციამ აიშორა პირდაპირი ბრძოლა ამ საკითხების გარშემო, არა იმიტომ, რომ მას უნდოდა რაიმე მანევრის გაკეთება, არამედ იმ შეხედულებათა სრული სიკოტრის გამო, რომელსაც იცავდა ოპოზიცია ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმზე.

ოპოზიციის ეს კაპიტულიაცია ყველაზე უფრო გამოაშკარავდა აშხ. კამენევის სიტყვაში. აშხ. კამენევი იძულებული იყო განეცხადებინა თავისი თანხმობა საერთაშორისო განვითარების ეხლანდელი ეტაპის იმ დახასიათებაზე, რომელიც მოცემულია აშხ. სტალინის თეზისებში. ამავე დროს სტაბილიზაციის საკითხი იყო ერთი უმთავრესი სადავო საკითხთაგანი ჯერ კიდევ ამა წლის მაის-ივლისში. არავის, გარდა აშხ. ზინოვიევისა არ წამოუყენებია მაისში თეზისი იმის შესახებ, რომ არ არსებობს არავითარი კაპიტალისტური სტაბილიზაცია. აშხ. კამენევი მე-XV პარტკონფერენციაზე ასე ახასიათებს აშხ. ზინოვიევის ამ დებულებას:

— «თქვენ, ამხანაგებო, ნუ აკრიტიკებთ აშხ. ზინოვიევის ცალკე ფრაზებს (!), თუნდაც ეს ფრაზები შეუფერებელი (!) იყოს. განა დიდი საქმეა, თუ აშხ. ზინოვიევმა ერთ თავის საავტოციო (!) სატყეაში სთქვა რაღაც (!), მიმიფურთხებია კაპიტალისტურ სტაბილიზაციაზე»-ო.

კამენევის მიერ ზინოვიევის ეს «დაცვა», ქეშმარიტად არ საჭიროებს კომენტარიებს.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ არც აშხ. ზინოვიევს და არც აშხ. კამენევის არ უთქვამს არც ერთი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოხსენება გაგრძელდა საათი, საათნახევარი. მხოლოდ აშხ. ტროცკიმ დაიჭირა თავდაცვითი პიზიცია ამ საკითხის შესახებ. აშხ. ტროცკი არსებითად არ იცავდა თავის მოთხოვნას ინგლის-რუსეთის კომიტეტიდან რუსეთის პროფკავშირების გამოსვლის შესახებ. იგი მხოლოდ ამტკიცებდა, რომ ამ მოთხოვნაში არ არის არეფერი სოციალ-დემოკრატიული. ეს არის ყოველივე, რაც დარჩათ მე-XV კონფერენციისათვის აშხ. აშხ. ზინოვიევს, კამენევის და ტროცკის, მაის-ივლი-

ქართული

სის პოზიციებიდან. ვის არ ახსოვს ის, რომ ამხ. ზინოვიევი იტალიის ინტერ-ბოლა „კომუნისტური ინტერნაციონალის დასასრულის დაწყებით..“, თუ მიღებული არ იქნა გეზი ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლაზე? ვის არ ახსოვს ბრალდება „პერსელიადა“ და „ოპორტიუნისმი“, რომლითაც ასე უხვად იბრძოდა ამხ. ტროცკი პარტიის წინააღმდეგ ამ სამი თვის წინად, სწორედ ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ ცეკას გადაწყვეტილების გამო? ვის არ ახსოვს ამხ. ზინოვიევის თეზისი („უქანასკნელი წლის ამბები უარპყოფენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის არსებობას“), რომელიც ეხლა ასე უზრდელად დაიხასიათა ამხ. კამენევმა, და რომელიც საფუძვლად დაედო ყველა და უოველგვარ „ულტრა-მემარცხენე“ ჯგუფების პლათფორმას გერმანიაში, პოლონეთში და იტალიაში? ოპოზიციონერი ბლოკი ეხლა თვით გახდა იბულებული უარი ეთქვა ყველა თავისი ძირითადი იდეურ-პოლიტიკურ პოზიციაზე საერთაშორისო საკითხებში. ამით აიხსნება ოპოზიციის ლიდერების თავის შეკაცება ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობისაგან, რასაც, სხვათაშორის, არავითარი გავლენა არ მოუხდენია დისკუსიის მსვლელობაზე.

ეხლა ჩვენ შეეჩერდებით ზოგიერთ უშიშენგლოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე, რომელიც ირჩეოდა მე-XV პარტ-კონფერენციაზე.

ერთი ძირითადი საკითხთაგანი, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის სწორი შეფასება, არის საკითხი ეხლანდელი ეპოქის კანონშეწონილებათა შესახებ.

მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონები. მაგრამ მარქსის ეპოქა იყო სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქა. მას შემდეგ დადგა მონოპოლისტური კაპიტალიზმის ან იმპერიალიზმის ეპოქა. ამ ეპოქის კანონშეწონილებანი შესწავლილი და უაღრესად ზუსტად აქვს ჩამოყალიბებული ლენინს, რომელმაც განაგრძო მარქსის და ენგელსის საქმე და გამოიყენა მათი მოძღვრება კაპიტალიზმის განვითარების ახალი ეტაპისათვის.

უქანასკნელ წლებში ბევრი ცდილობს „ვაღარმავოს“ მარქსის და ენგელსის მოძღვრება და შექმნას ახალი თეორია „კაპიტალიზმის დაცემის ეპოქისა“. ამგვარი ცდა დავპირდა, მაგალითად, ამხ. ვარგამ, რომლის შეხედულებით ომის შემდეგ, კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპი, უკვე ვერ თავსდება ვერც მარქსის მიერ აღმოჩენილ სამრეწველო კაპიტალიზმის ზოგადი კანონების ფარგლებში და ვერც ლენინის მიერ გარკვეულ იმპერიალიზმის ზოგადი კანონების ჩარჩოებში. ამავე დროს არათერი არ არის იმაზე უფრო შემცდარი და კუროიზული, ვიდრე ამგვარი ახალი „თეორიების“ შეთხზვა იმპერიალიზმის შესახებ, ლენინის თეორიის გარეშე და მიუხედავად. მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ლენინის მიხედვით, უაღრესად გააწვეავებს კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას და თვით წარმოშობს საერთოდ კაპიტალიზმის გაბრწყინისა და დაცემის ეტაპს. ლენინი ტყუილ-უბრალოდ არ სთვლიდა იმპერიალიზმს — კაპიტალიზმის უქანასკნელ საყებურად. „კაპიტალიზმის დაცე-





შის\* არავითარი თავისებური ეპოქა, რომელიც შეეცლის იმპერიალიზმს, (და სწორედ ასე სვამდა საკითხს ანზ. ვარგა) არ არის და არც შეიძლება იყოს. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს განვითარების მხოლოდ და მხოლოდ ის კანონები, რომელიც აღმოაჩინა და ჩამოაყალიბა მარქსმა და ლენინმა. კომუნისტური თეორია სრულიადაც არ საჭიროებს ახალ ზოგადი კანონების აღმოჩენას თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების მოვლენათა ანალიზისათვის. ანზ. ვარგას დამშვიდებულ სინდისით შეუძლია უარი სთქვას „ახალი ეპოქის“ კანონშეწონილებათა აღმოსაჩენად და შესასწავლად დასახულ შრომისაგან. მეორე მხრით, შეცდომა იქნება (და ამ შეცდომას უშვებს ყველა ანზნავი, რომელიც ზემეტად ვატაკებულობს ანზ. ვარგას „თეორიის“ კრიტიკით), რომ ვერ გავარჩიოთ სხვა და სხვა ეტაპი და საფეხური იმპერიალისტური ეპოქის შიგნით. ამ ეპოქის ზოგადი კანონები ძალაში რჩებიან, ხოლო მათი მოქმედება, განვითარების სხვა და სხვა ეტაპზე გამოიხატება თვისობრივად სხვადასხვა ფორმებში. 1914 წ. ომით დაიწყო ახალი ერა, ერა თანამედროვე მსოფლიო რევოლიუციისა. იმპერიალისტური თეორიის საერთო თვისებების გამო, რომ ვერ დაინახო ძირითადი განსხვავება ომამდე არსებულ და ომის შემდგომი კაპიტალიზმის მდგომარეობათა შორის,—ეს ნიშნავს მარქსიზმის კარიკატურას, რაშიაც თავის დროზე ლენინი ამტყუნებდა პ. კიევსკის (პირატაკოვს). იმპერიალიზმს შესეცლის პროლეტარული დიქტატურის ეპოქა. ამ პერიოდისთვის უცხოა ყოველგვარი საშუალო „ეპოქა კაპიტალიზმის დაკემისა“. იმპერიალიზმი, ომამდე არსებულ, უაღრესად განწყავებულ წინააღმდეგობებში შეიკავა დინამიკის საკმაო რაოდენობას, სოციალური აფეთქებისათვის, რომელიც უშხადებს ნიადაგს მუშათა კლასის ბატონობას. ომის შემდეგი დროის კაპიტალიზმიც არ არის, და არც შეიძლება იყოს ისე რაც ომამდე არსებული კაპიტალიზმი, სწორედ იმიტომ, რომ 1914 წ. იწყება სოციალურ აფეთქებათა ერა, ერა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისა.

მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. დედა-მიწის ერთი მეექვსედი ჩამოცილდა კაპიტალისტურ სისტემას; მისში გამაგრდა მუშათა კლასის დიქტატურა. ევროპის კაპიტალიზმმა მოახერხა კომუნისტური რევოლიუციის პირველი ტალღის აშორება, 1914-18 წ. წ. ომის დროს. ევროპის კაპიტალიზმი ყოველგვარად ცდილობს შეინარჩუნოს და გაამაგროს დაკავებული პოზიციები. ბურჟუაზიული ევროპის გამაგრებას და ეკონომიურ-აღორძინებას, ქარიშხლიან რევოლიუციონურ წლების შემდეგ უაღრესად არა თანაბარი ხასიათი აქვს, მაგრამ ეს გამაგრება და აღორძინება თვალსაჩინოა. ამ აღდგენითი პროცესის შედეგით ევროპის საწარმოო ძალებმა მიაღწიეს თითქმის ომამდე არსებულ დონეს. გამოირიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ ეს განვითარება გაუსწრებს ომამდე არსებულ დონეს. მე-XV პარტკონფერენციამ სისტემატად გააკრიტიკა ევროპის კაპიტალიზმის აუცილებელი ავტომატიური დაკვის თეორია, რომელიც ამას წინად წამოაყენა ანზ. ტროცკიმ (იხ. მისი მოხსენება „ევროპა და ამერი-



კა“) და რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო მოვლენათა ლენინური შეფასებასთან.

მაგრამ ამ დარგში ევროპის კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობის აღიარება სრულიდაც არ ნიშნავს რევოლუციონური პრესპექტივის უარყოფას. რევოლუციონური სიტუაცია აუცილებლობით გამოიძინარეობს თვით ევროპის კაპიტალისტური მეტონეობის სტაბილიზაციის ბუნებიდან. „სტაბილურმა“ ევროპამ აღადგინა უაღრესად მწვავე ფორმებში იმპერიალისტური ეპოქის უველა წინააღმდეგობა. სტაბილიზაციის პროცესი მიმდინარეობს ისეთი უთანაბრობით, რომელიც არ ახსოვს ომამდე არსებულ კაპიტალიზმს. ინგლისის ჩამოკვეთება, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის აგრარიაზაცია, საინფლიაციო კრიზისი საფრანგეთში—იი ის ფონი, რომლის ნიადაგზე სწარმოებს ევროპის ცალკე ქვეყნების აღდგენა (პირველ ყოვლისა გერმანიის აღდგენა). ამ უთანაბრობაში, ისე როგორც ამერიკასა და ევროპის შორის არსებულ ანტიკონიუმში, დაფარულია გიგანტური სამეურნეო და სოციალური რყევის აუცილებლობა.

მეორე მხრით, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ევროპაში ჰქმნის მუშათა კლასის ფართო მასების უაღრეს გაღატაკებას, მუშათა კლასის ფართო ფენები რჩებიან „რაციონალურ“ წარმოების გარეშე; ამის ეხგავსი ხომ არ ახსოვს ომის წინა დროის კაპიტალიზმის ისტორიას. ამ გარემოებას მუშათა კლასი აუცილებლად მიჰყავს რევოლუციისაკენ. თუ კი ამ ფაქტორებს კიდევ დაუმატებთ: 1). სოციალისტურ საბჭოთა კავშირის ზრდასა და განმტკიცებას, 2). ჩინეთის დიდ რევოლუციას, რომელიც ძირს უთხრის ევროპის იმპერიალიზმს და 3) კლასების გიგანტურ შეჯახებას ინგლისში, რომლითაც იწვევება ახალი ფურცელი ევროპის რევოლუციონური ბრძოლისა,—მაშინ ცხადი გახდება, რომ კაპიტალიზმის შესვენება არ არის შუკიცე, რომ იგი ხანმოკლეა და სუსტი.

კონფერენციაზე ამხ. სტენმა სრულიად მართებულად გააკრიტიკა ამხ. ლაპინსკის „ზეოროგინალური“ თეორია (იხ. „ბოლშევიკი“ № 17), რომლის მიხედვით ომის შემდეგ:

—„სამეურნეო მდგომარეობის უშეგავსობა, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ერთი ქვეყანა უაღრესად დამოკიდებულია მეორესაგან,—ამ შემთხვევაში შეიქმნა რევოლუციონური მოძრაობის შეფერხების მიზეზად.

ამხ. ლაპინსკი აღიარებს, რომ ლენინი კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობას სთვლიდა რევოლუციის ერთ-ერთ ფაქტორად.

მაგრამ ომის შემდეგ ბუერეზაიული ევროპის სამეურნეო დაცემისა და დაშლის პერიოდისათვის, ლაპინსკი უარყოფს ამ ფაქტორის მოქმედებას იმის გამო, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ლენინი კაპიტალიზმის განვითარებას არასოდეს არ სცნობდა როგორც პროცესს უცვლელ დადებითი ნიშნით. ომის შემდეგი დროის ქაოსი იყო კაპიტალიზმის განვითარება უარყოფითი ნიშნით, რომელმაც ბრწყინვალედ დაამტკიცა ლენინის შეხედულება არა განვითარების კანონის მოქმედებაზე. ლაპინსკის მიხედვით კი გამოდის, რომ ევროპის გაღატაკება და ევროპის პროლეტარიატის მიერ თავისი „ნაციონალური და სამეურნეო უძღუ-



ქართველთა  
წიგნების კავშირი

ბუნების შეგნება იყო მთავარი მიზეზი ევროპის რევოლუციონის და მარცხებისა. ლაპინსკის ხელში კაუცკი ბდება „პაუპერების და ლაუპენპროლეტარების სოციალიზმის“ წინასწარმეტყველად. შეუძლებელია წარმოვიდგინოდ რამე უფრო შევცდარი და აბნეული ვიდრე ამხ. ლაპინსკის ეს თეორია. ამხ. სტენი სრულიად მართალი იყო, როდესაც განაცხადა კონფერენციაზე:

— „რომელი დროიდან არის, რომ რევოლუციონერი მარქსისტები მასათა ვალატაქების ტენდენციას რევოლუციის უმთავრეს საჭმეთ აცხადებდნენ. ამი განცხადება ნიშნავს ბერნშტეინის შეხედულების პირწმინდათ მიღებას. საკითხის ამ გვარად დაყენება, ყოველგვარ პასუხისმგებლობას აკლის სოციალ-დემოკრატიის, როგორც რევოლუციის უმთავრეს მუხრუქს და ეს პასუხისმგებლობა გადააქვს „გახრწნილ ისტორიულ პროცესზე“.

მართლაც რად ღირს მხოლოდ ის, რომ კაუცკი აღიარებულია ლემპერ-პროლეტარული სოციალიზმის წინასწარ მეტყველად, ის კაუცკი, რომელიც ყველაზე ტიპური წარმომადგენელია ბურჟუაზიულ ჭაობში ჩაფლული მუშათა კლასის ზედა ფენისა—მუშათა არისტოკრატიისა. მიუხედავათ ამისა ამ მდგომარეობიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყენება, რომ თითქო მასების ვალატაქება აუცილებლად დაკავშირებულია საწარმოო ძალთა დაშლის განუწყვეტელ პროცესთან. „კაპიტალიზმის პერმანენტული ნგრევისა“ და მისი ერთგვარი ნამავალი პროდუქტი განვითარება, თავის დროზე, იყო იმ დამოკიდებულებათა შედეგი, რომელიც შეიქნა ევროპაში, უშუალოდ, ომის შემდეგ. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის და განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქის მთელი გამოცდილება იმას მოწმობს, რომ მშრომელთა ფართო მასების ვალატაქება აუცილებელია არა თუ კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა დაკუმის დროს, არამედ მისი ზრდისა და განვითარების პირობებშიაც. უკანასკნელი წლების გერმანია არის ამის საუკეთესო მაგალითი და დამამტკიცებელი უაჭტი. უდიდესი შეცდონა იქნებოდა ზედმეტად დაგვეფასებია თანამედროვე ევროპის ეკონომიური ზრდის მნიშვნელობა. ამ შეცდომას უშვებს ცნობილი პოლონელი კომუნისტი ჭალი ამხ. კოსტრევეა, რომელსაც კაპიტალიზმის თანამედროვე მდომარეობა ასე წარმოუდგენია:

— „რა გამოსავალი არსებობს კაპიტალიზმისათვის, რომელსაც არ შეუძლია თავი დაახწიოს იმ ჯადოსნურ წრეს, რომელიც იქმნება საწარმოო ძალთა ფანტასტიური განვითარებით და რომელსაც არ ძალუქს ახალი ბაზრების მოპოება მოხმარების შემცირების პირობებში.“

როგორც შემდგომი ახსნა-განმარტებიდან სჩანს ამხ. კოსტრევეს მხედველობაში აქვს არა განუყვანებელი კაპიტალიზმი, არამედ თანამედროვე ევროპის კაპიტალიზმი. მაგრამ თანამედროვე კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა ფანტასტიური განვითარების შესახებ ლაპარაკი ნიშნავს მის ფანტასტიურ გაზვიადებას. ამხ. კოსტრევეს ეს შეცდომა, თავის-თავად ცხადია, ემყარება იმ თეორიას, რომელიც გააკრიტიკა ამხ. ბუბარინმა მე-XX კონფერენციაზე და—„ამტკიცებს რომ ომის დროს, სახელმწიფოში სწარმოებს კაპიტალის უდიდესი დაგროვება, საწარმოო პარატის უდიდესი ზრდა“.

საერთაშორისო

პოლიტიკა

ამ თეორიის თვალსაზრისით, ამბობდა ბუხარინი, კაპიტალისტური წარმოების თანამედროვე კრიზისი სულ აიხსნება, ომის დროს ნეომარქვეზების კაპიტალი სწრაფად იზრდებოდა ისე როგორც მათი საწარმოო აპარატი. შემდეგ ომი დასრულდა, ეს საწარმოო აპარატი დაჩნა. ამ აპარატს საქმე არ გაიზნდა და ამ რავად წარმოიშვა მისი ქარბი წარმოება; აქედან — კრიზისი. მაშასადამე ეს კრიზისი არის, ასე ვსთქვათ, სამხედრო აყვავების შედეგი.

ამხ. ბუხარინი ამბობს რომ კონუნისტები ამ თეორიას ამყოებენ ამხ. როზა ლიუქსენბურგის შემცდარ შეხედულებახე.

თავის-თავად ცხადია რომ ეს არის მიზეზი ამხ. კოსტრევეს შეცდომისა. ომის დროს მართლაც სწარმოებდა საწარმოო აპარატის ზრდის პროცესი სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში. მაგრამ საერთოდ, როგორც ეს ბუხარინში დაამტკიცია, ომში გამოიწვია ევროპის საწარმოო ძალების უდიდესი შემცირება და განადგურებაც კი. ამ ეამად ბურჟუაზიული ევროპა მხოლოდ უახლოედება საწარმოო აპარატის განვითარების ომამდე არსებულ დონეს. თანამედროვე ევროპის პირობებში ლაპარაკიც ზედმეტია კაპიტალიზმის საწარმოო ძალების რაიმე ფანტასტიურ განვითარებაზე. კაპიტალიზმის თანამედროვე კრიზისი, ომამდე არსებულ კრიზისთან შედარებით განისახლერება შემდეგით: საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერების, ან უკეთეს შემთხვევაში, მისი მიწიმაღურ განვითარებასთან ერთად, უაღრესად დაეცა მახების მყიდველობითი უნარიანობა, შემცირდა მოხმარება და უაღრესად შეეწროვდა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის საშინაო ბაზარი. ამ წინააღმდეგობაში იფარება ყველაზე დიდი დაბრკოლება კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებისათვის: განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული მეურნეობის „რაციონალიზაცია“ არა თუ სუსტდება, არამედ ძლიერდება და იმწვაებებს ამ წინააღმდეგობას. ერთად-ერთი განოსავალი ამ მდგომარეობიდან, შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუტცია. უაღრესად საინტერესოა კამათი გაიმართა კონფერენციაზე კაპიტალიზმის არა-თანაბარი განვითარების კანონის შესახებ. ვიდრე ამ კამათს შეეხებოდეთ ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თვით ამ საკითხის რაობის შესახებ.

ლენინი თავის წიგნში „იმპერიალიზმი“, სწერდა: რომ კაპიტალიზმის დროს აუცილებელია ცალკე წარმოების, მრეწველობის ცალკე დარგების არა თანაბარი განვითარება და ნახტომები.

არა თანაბარი, განვითარება და მახების ნახევრად შიმშილით ცხოვრება არის ძირითადი და აუცილებელი პირობა კაპიტალისტური წარმოებისათვის.

—ყოველი მარქსისტი და ყოველი ადამიანიც კი, რომელიც გაცნობილია საერთოდ თანამედროვე მეცნიერებას, — სწერდა ლენინი 1919 წ. („მე-III ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“), — თუ მას შეეცოხებებით: საეგებისოა თუ არა თანაბარი, ანუ ჰარმონული და პროპორციული გადასვლა პროლეტარულ დიქტატურახე, — აუცილებლად უარყოფითად გვიპასუხებს: არც თანაბრობა, არც პროპორციულობა და არც ჰარმონიულობა კაპიტალიზმის სამყაროში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თვითველი ქვეყანა ანვითა-

ოებდა განსაკუთრებით თვალსაჩინოთ, ხან-ერთ და ხან მეორე მხარეს კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობისა. განვითარების პროცესი სწარმოებდა არა თანაბრად.

მოყვანილ ციტატებიდან (და ასეთი ციტატები კი შეიძლება უამრავი მოვიყვანოთ) უკვე აშკარად სწანს, თუ როგორ ესმოდა ლენინს კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების კანონი. ეს კანონი არის კაპიტალიზმის განვითარების იმ ზოგადი დიალექტიკური კანონის გამოხატულება, რომელიც აღმოაჩინა მარქსმა.

კაპიტალიზმი არის საქონლის მეურნეობა, რომელმაც მიიღწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, როცა თვით მუშა-ხელიც საქონლად იქცა.

ეს დებულება გამოიყენა ლენინმა კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების კანონის დასაბუთებისათვის. (იხ „იმპერიალიზმი“) საქონლის მეურნეობის ანარქია, კაპიტალისტური საზოგადოების ბრმა სტატიკური კანონები, რომელიც გზას იკაფავს ყოველგვარ რყევის და გადაბრის პირობებში, აი სად არის კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების საფუძველი, რომ კაპიტალიზმი ვითარდება არა სწორი აღმავალი ხაზით, არამედ ნახტომებით და კრიზისებით, რომ შრომის პროპორციული განაწილება მუდმივად ირღვევა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომ ეს პროპორციულობა თვით უაღრესად არა პროპორციულია, რომ კაპიტალისტურ სამყაროში არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე ჰარმონია, გეგმა შეწონილობა, — ყოველივე ეს შეადგენს მარქსის მოძღვრების ანბანს. ტყუილად კი არ ამბობს ლენინი, რომ ყოველი მარქსისტი უარყოფითად უპასუხებს შემდეგ კითხვას: შეიძლება თუ არა განხორციელდეს ჰარმონიულობა და პროპორციულობა კაპიტალისტურ სამყაროში.

მით უმეტეს ვასაკვირია, რომ ისეთს სწავლულ ეკონომისტს, როგორც არის ამხ. ვარგა, უდიდესი არეუ-ღარევა შეაქვს არა-თანაბარი განვითარების კანონში.

— „არა თანაბარი განვითარების კანონის წმინდა ეკონომიური დასაბუთება, — ამტკიცებს ამხ. ვარგა („კომუნისტური ინტერნაციონალი“ № 6), არ არის მოცემული მარქსის „კაპიტალში“-ო.

ეს ერთი ფრაზაც საქმარისია იმის დასაანახავათ, რომ ამხ. ვარგას უშთავრესი ვერ გაუგია „კაპიტალში“. ამხ. ვარგა ამტკიცებს თავის აზრს შემდეგნაირათ:

— „მრავლი გამოსავალ წერტილათ იღებს მოვლენას მთლიანად, კაპიტალიზმის ეკონომიურ თეორიაში ის გამოდის იმ წინამძღვრიდან, რომ არსებობს ერთიანი მსოფლიო კაპიტალიზმი“....

(ასეთი უხეში ფორმით ეს მტკაცება სრულიად შეეცდარია. მარქსი იკვლევს „კაპიტალში“ კაპიტალიზმის კანონებს მისი წმინდა საბით, აბსტრაქციულად იმ საზოგადოებრივ ფორმაციათა ელემენტებისაგან, რომელთაც ადკლი აქვს ყოველ კონკრეტ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ, როგორ ვერ შეამჩნია ამხ. ვარგამ, რომ სწორედ წმინდა კაპიტალიზმისათვის, ე. ი. „მოვლენისათვის მთლიანად“, მარქსი უარყოფს ყოველგვარ გეგმასწავნილ ჰარმონიულ განვითარების შესაძლებლობას? — ვ. ლ.). მსოფლიო კაპიტალისტური ბაზ-

საერთაშორისო  
პოლიტიკის

რის არსებობის პირობებში, არა თანაბარი ეკონომიური განვითარება ნიშნავს იმას, რომ ცალკე წარმოებას ან ქვეყანას რაიმე (I) მიზეზების გამო შეუძლია დაამზადოს სიკონკრეტული უფრო იაფად, ვიდრე მათ კონკურენტებმა, და ამიტომ შეუძლია უფრო ჩქარი ეკონომიური განვითარება.

ვარგა ამტკიცებს, რომ ეს გარემოება, რომელიც დაკავშირებულია კონკურენციის მოძღვრებასთან, მარქსმა ვერ მოასწრო გამოერკვია. ამხ. ვარგას მიერ მარქსიზმის ასე უხეშად დამახინჯება საკმაოა მხოლოდ ვაჩვენოთ თითოთ. იმის თქმა, რომ მარქსმა ვერ მოასწრო გამოერკვია თუ რა არის მიზეზი, რომ ერთი სარეწავო უფრო იაფად ამზადებს საქონელს ვიდრე მეორე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეშარიტად რეკორდი აიღო მარქსიზმის „ვალრმაფებაში“. საქმე უკეთ არ არის ამხ. ვარგას მიერ ლენინიზმის „ვალრმაფებაშიც“.

— „ლენინი რამოდენიმეჯერ იმეორებს და ასაბუთებს ამ ფორმულიროგის (კაპიტალიზმის არა თანაბარ განვითარებას. — ე. ლ.), თუმცა არ გვაძლევს თავისი კანონის ეკონომიური მოქმედების ფაქტიურ გამოხატულებას“.

ამასთანავე — ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი“, თუ არ ვილაპარაკებთ მისი სხვა ეკონომიურ და პუბლიცისტურ შრომებზე, არის მხოლოდ კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების კანონის „მოქმედების გამოხატულება“.

რადაც საშინელი აპერაციის გამო ამხ. ვარგას ეს ვერ გაუგია, ნძელი წარმოსადგენია რაზე უფრო საცოდავი და შემცდარი, ვიდრე ამხ. ვარგას ცდა დამოუკიდებლად ნახოს არა თანაბარი განვითარების კანონის „ეკონომიური დასაბუთება“. მზგავსად ვულგარულ ბურჟუაზიულ ეკონომისტებისა ამხ. ვარგა ეძებს ამ კანონის საფუძველს არა საზოგადოებრივ პირობებში, არამედ ბუნებრივ პირობებში, ბუნებაში, სადაც მოიპოვება ნედლეული. ძნელი წარმოსადგენია უფრო მეტად გამასბრება და დამახინჯება მარქსისა და ლენინის დიდი მოძღვრებისა.

ვერაფერი ვერ ვაიგეს კაპიტალიზმის არა თანაბარი განვითარების კანონის შესახებ, აგრეთვე ამხ. ამხ. ტროცკიმ და ზინოვიევიმა, ამხ. ტროცკი გამოვიდა კონფერენციაზე ამხ. სტალინის წინააღმდეგ და განაცხადა შემდეგი:

— „კაპიტალიზმი, უღვევლია, უაღრესად არა თანაბრად ვითარდება ამ ეამათ ყველა ქვეყნებში, მაგრამ მე-XIX საუკუნეში ეს არა თანაბრობა უფრო ძლიერი იყო ვიდრე მე-XX საუკუნეში. მაშინ ინგლისი იყო ქვეყნის მფლობელი და იაპონია, მაგალითად, უფროსი შთამომავლობის სლოენაში, იყო ყრულ ჩაკეტული ფეოდალური ქვეყანა. ჩვენში ბატონ-ყმობის დაკემასთან ერთად იაპონია უერთდება კაპიტალისტურ ცივილიზაციას. ჩინეთს ეძინა მკვდარივით და სხ. და სხ. ამ პერიოდში კაპიტალისტური განვითარების არა თანაბრობა იყო უფრო ღრმა და მკაფიო. მარქსმა და ენგელსმა ჩვენზე ცუდათ არ იცოდა კაპიტალიზმის ეს უთანაბრობა. სწორედ იმიტომ რომ საფინანსო კაპიტალი არის უფელაზე უფრო მოძრავი და მოქნილი ფორმა კაპიტალიზა, სწორედ იმიტომ, რომ იმპერიალიზმი უფრო ანვითარებს „გათანაბრების“ ტენდენციებს, ვიდრე წინა ფინანსიური კაპიტალიზმი“.



საქართველო

საქართველოს

იგივე უფრო პოპულიარულად გაიმეორა ამ. ზინოვიევიც. ოპოზიციის ლიდერებმა ამ შემთხვევაში ჩაიდინეს ყველაზე ცუდი ცოდვა, იმპერიალიზმის ამოღობა.

მართლაც საკმარისია გადახედო მსოფლიოს ებლანდელ ეკონომიურ რუქას, პოლიტიკურზე რომ არ ვილაპარაკოთ, რომ დაეინახოთ თუ როგორ გაძლიერდა უთანაბრობა და უპროპორციულობა მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებაში, მე-XX საუკუნეში—მე-XIX შედარებით და ომის შემდეგ—ომამდე არსებულთან შედარებით. ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალზე ჩამორჩენილია თავისი ეკონომიური განვითარებით. ინგლისმა დაკარგა თავისი ჰეგემონია მსოფლიო ბაზარზე. ეს ჰეგემონია გადავიდა ამერიკის ხელში. გერმანია, რომელიც ერთ-დროს კინალამ გამარჯვებულ-სახელმწიფოთა კოლონიად არ იყო ტყუილი, დღეს სწრაფად ვითარდება და ავიწროებს თავის კონკურენტებს. ომის შემდეგ გადაკეცილებული სამყარო ასე გამოიყურება.

— მილიარდ მეოთხედი (მოსახლეობის.—ვ. ლ.) ჩაგრული კოლონიალური ქვეყნებისა, რომელსაც ცოცხლად ჰყოფენ, როგორცაა. მაგ., სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი,—ქვეყნები, რომლებიც დამარცხებულია და ჩაყნებულია კოლონიების მდგომარეობაში. მილიარდის მეოთხედზე ნაკლები მოსახლეობა—ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც შეინარჩუნეს წინანდელი მდგომარეობა, მაგრამ ისინი ყველა ეკონომიურად დამოკიდებული შეიქმნენ ამერიკისაგან... და ბოლოს აოსებობს მეოთხედი მილიარდი მოსახლეობა, სადაც მხოლოდ ზედაფენებმა, მხოლოდ კაპიტალისტებმა ისარგებლეს დედა-მიწის დაყოფით“ (ლენინი — შობსენება კომინტერნის მე-II კონგრესზე).

„მე მინდა გაგახსენოთ თქვენ მსოფლიოს ეს სურათი,—ამბობდა ლენინი,—რადგან კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ყველა ძირითადი წინააღმდეგობანნი, რომლებიც რევოლიუციას იწყებენ... დედამიწის მოსახლეობის გაყოფასთან არის დაკავშირებული“.

აი ასეთი „გათანაბრება“ და „პარმონიულობა“ შეიტანა მსოფლიოში „მოქნილ“ ფინანსიურ კაპიტალის ბატონობამ. და თუ ეს სურათი 1920 წლიდან ზოგიერთ წერილშიაში შეიცვალა, ისიც მხოლოდ არა თანაბრობის გაძლიერების შერივ.

ჯერ კიდევ 1915 წელს ლენინი სასტიკად დასცინოდა კაუტცკის სწორედ იმისათვის, რომ—„კაუტცკის ლაპარაკი „ულტრა-იმპერიალიზმის“ შესახებ იმპერიალიზმის ამოღობებზე წყალს უსხამს წისკვალზე, და ათავაშებს მათ ღრმად შემცდარ აზრს, რომ ერთიანი ფინანსიური კაპიტალის ბატონობა ახუსტებს მსოფლიო შეურწმობის შინაგან წინააღმდეგობებს, და არა თანაბრობას, მაშინ როდესაც ფაქტურად იგი მხოლოდ აძლიერებს მათ „(ლენინი — იმპერიალიზმი)“.

როგორ მოხდა რომ ლენინის „იმპერიალიზმის“ 11 წლის შემდეგ ამ. ტროცკი და ზინოვიევი მივიდნენ ისეთ აზრამდე, რომელიც იმპერიალიზმის ამოღობებზე წყალს უსხამს წისკვილზე. ოპოზიციის ასეთი თეორეტიკულ და-



ცემის ერთად ერთი მიზეზი მდგომარეობს მასში, რომ სოციალისტურ კლას ქვეყანაში გამარჯვების თეორიის წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებული, რადიკალური ბელადები იძულებულნი იყვნენ მისულიყვნენ ამ თეორიის საფუძვლის—კაპიტალიზმის არა თანაბარ განვითარების კანონის უარყოფაზე. ამნაირად რადიკალიზმის შემცდარი ხაზი მთლიან თეორეტიულ სისტემაზე იქცა. საუბედუროდ ეს სისტემა—ლენინის საწინააღმდეგოა, იგი სოციალ-დემოკრატიულია. დისკუსია კაპიტალიზმის არა თანაბარ განვითარების შესახებ გამოდის აბსტრაქტულ თეორიის ფარგლებიდან.

ამ პრობლემასთან, რომელიც პირველი შეხედვით განყენებული თეორეტიული პრობლემაა, დაკავშირებულია არა მარტო ძირითადი პოლიტიკური დევიზი—სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ, არამედ მეტად დიდი საკითხი,—კაპიტალისტურ ევროპის განვითარების ტრენდის შესახებ.

ა.ხ. ბუხარინი შეჩერდა თავის მოხსენებაში ამ საკითხზე, მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს საერთაშორისო კარტელების და ტრესტების წამოშობასთან ერთად, ბურჟუაზიის ზოგერთ წრეებში, და განსაკუთრებით ევროპის სოციალ-დემოკრატიის რიგებში ხელახალ აყვავებას განიცდის „ულტრა-იმპერიალიზმის“ თეორია. ამ მოვლენამ თავი იჩინა „ჰან-ევროპიული“ მოძრაობაში, რომელმაც თავი გვამცნო საშინელ ხმაურით უკანასკნელ თვეებში.

პაციფისტურ ხასიათის ბურჟუაზიული ეკონომისტები და მე-II ინტერნაციონალის ბელადები ერთხმად აღიარებენ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანების აუცილებლობას. ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა იუწყება ახალი ხანის დასაწყის, რომელშიდაც არ იქნება კაპიტალისტურ წარმოების არც ინტერნაციონალური და არც ნაციონალური ანარქია; არც ახალი ომები, თუმცა კაპიტალისტური წესწყობილება ხელშეუხლებელი დარჩება. მთელი ეს ხმაურობა, რომელიც ატყდა ლოკარნოს ხელშეკრულების დროს, განსაკუთრებით გაძლიერდა მის შემდეგ, რაც გერმანია შევიდა ერთა ლიგაში და დაარსდა ევროპის ფოლადის ტრესტი. რას ემყარება „ჰან-ევროპიული“ მოძრაობა ან პროპაგანდა „ულტრა-იმპერიალისტურ ეტაპის, რომელშიდაც შედის მსოფლიო მეურნეობა? იგი ემყარება პირველად ყოვლისა ბურჟუაზიის მიერ მასსების მოტყუებას, რადგან ბურჟუაზიისათვის პაციფისტური ლაყბობა საუკეთესო საშუალებაა, ნამდვილ მიზანთა და მისწრაფებათა დასამალავათ; მეორეს მხრით—წვრილ ბურჟუაზიის ილიუზიას, რომელთა პოლიტიკური სიბუციის გამო, 1914-18 წლის იმპერიალისტური ომის გაცუთილები მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მაგრამ ასეთ შესაძლებლობის და ახ. ტრენის მტკიცების შორის, რომ ევროპის გაერთიანება ამერიკის წინააღმდეგ არის, ან შეუძლია გახდეს განვითარების ძირითად ტენდენციათ, დიდი განსხვავებაა.

ამ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების და მე II ინტერნაციონალის ბელადების „ჰან-ევროპიული“ ლაყბობის გავლენის ქვეშ, და პაციფისტური ტყუილი, რომელიც ბრუნვაში გამოუშვა ბურჟუაზიამ, მან ნამდვილ ფულად მიიღო. რა საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის ხანგრძლივი გაერთიანება ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ?—ზოლოდ კერძო კაპიტა-





ქართული  
საბჭოთაო

ლისტორ საკუთრების წესწყობილების მოსპობის საფუძველზე, რომელიმაც მოასპობა ევროპის ჩამორჩენილ სახელმწიფოების წინააღმდეგობანი, რაც პარდაპირი შედეგია კაპიტალისტურ წარმოების საშუალების. მაგრამ ეს არაა ის პერსპექტივა, რომელზედაც ანხ. ტრენი საუბრობს. ეს — პროლეტარულ რევოლიუციის პერსპექტივაა ევროპაში და კომინტერნის ლოზუნგის განხორციელება: — „შეერთებული შტატები ხოციალისტურ ევროპის“.

თანამედროვე ევროპის პრობლემაში. ცენტრალური ადგილი უკავია გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებას. 1914-18 წ. ომში დამარცხებამ გერმანიას უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები მოუტანა, მანამდე ასეთი იმპერიალისტურ სახელმწიფოს. გერმანიამ არა თუ დაკარგა თავისი გაბატონებული მდგომარეობა ევროპაში, კოლონიები აფრიკაში და აღმოსავლეთში, არამედ თვით ის გადაიქცა გამარჯვებულ სახელმწიფოების ნახევარკოლონიად. გერმანიის განიარაღება, ის უდიდესი შევიწროებანი, რომელიც დააღდა მას ვერსალის ხელშეკრულებამ არმიისა და სანხდრო ფლოტის შექმნის საკითხში დიდი ხნით მოუსპო მას აგრესიულ პოლიტიკის წარმოების საშუალება. მეორეს მხრით, გერმანია 1924 წლამდე განიკლიდა სამეურნეო დაცემის ხანს, რომელიც ხანდახან სრულ კატასტროფას უახლოვდებოდა (1923 წ. შ. მოდგომ.). ესაა გერმანიის მდგომარეობა საგრანობლად შეიცვალა. დამარცხებული იმპერიალისტური სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსები, რომ შეგნებულად ეწევიან კაპიტალის სასარგებლოდ წვირლ ბუქუაზის პოლიტიკურ უმეკრების და პაციფისტურ ილიუზიების ექსპლოატაციას, ეს ყველასათვის ნათელია. ამისათვის კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ ფართო საავიტაციო კომპანიის ჩატარება ამ საკითხის გარემო, უსათუოდ სერიოზულ მორიგ ამოცანას წა-მოაღვენს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ კომუნისტურ რიგებშიაც ყოველგან არ არის სრული გარკვეულ ბა ამ საკითხის გარშემო.

გაურკვეველობის კონკრეტი მაგალითია (ხოლო არა ე-თად ერთი) ანხ. ტრენის პოზიცია, რომელიც მან დაიკავა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ კონგრესზე, კაპიტალიზმის განეთარების ტენდენციის საკითხში. ანხ. ტრენი შემდეგ დებულებას იცავდა: თუ ევროპის რევოლიუციონერი განვითარება ნელი ტემპით წაეა წინ, მაშინ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგობანი ადგილს დაუთმობს ევროპისა და ამერიკის ძირითად წინააღმდეგობას. ამის შემდეგ ევროპა შექმნის მთლიან კომუნისტურ ფრონტს ამერიკის წინააღმდეგ. ანხ. ტრენი განვითარების დღევანდელ საფეხურზედაც აღიარებს „ევროპის კაპიტალიზმის სოლიდარობის ზრდას“ (იხილე ტრენის წერილი „ბოლშევიკ“-ში № 19-20). ამ ს შემდეგ რაც უნდა გვარკმუნოს ანხ. ტრენმა, რომ მისი იგის მიუღებელია „ულტრა-იმპერიალიზმის, თეორია, იგი მაინც ამ თეორიის საფუძველზე რჩება, და სწორედ ამისათვის შემკდარია მისი პოლიტიკური პერსპექტივები. პირველად ყოვლისა, არ შეიძლება ევროპის რევოლიუციის პრობლემის უყორადლე ოდ დატოვება, როდესაც ეხილავთ ანტაგონიზმს ევროპისა და ამერიკის შორის. თუ გეოგეორობით ევროპის რევოლიუციის ტემპი შენელებულია იგი უსათუოდ გაახრდება, როდესაც ამერიკა დააწ-


 ენციკლოპედია

ვება ბურჟუაზიულ ევროპას. ევროპაში რეგოლიუციონერულ მოქმედებებშია პირობა იმერიკის გამარჯვებულ იმპერიალიზმის შემოტევა კაპიტალისტურ ევროპის პოზიციებზე. მეორეს მხრით, ევროპის შინაგანი წინააღმდეგობანი არ შეიძლება შეიცვალოს ერთი მთლიანი ფონტით, და ისიც იმ სახით, როგორც ეს ახ. ტრენს წარმოუდგენია, თუ გინდ იმ მიხედვების განო, რომელზედაც 1915 წ. უთითებდა ახ. ლენინი, როდესაც იგი ებრძოდა ახ. ტროცკის: „ევროპის, შეერთებული შტატების“ ლოზუნგს.

— ევროპის შეერთებული შტატები—წერდა ლენინი—კაპიტალიზმის დროს უდრის შეთანხმებას კოლონიების გაყოფისათვის. მხოლოდ, კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია გაყოფის სხვა პრინციპი თუ არა ძალა. მილიარდებს არ შეუძლია კაპიტალისტურ ქვეყნის „ნაციონალური შემოსავალი“ სხვა ვინმეს გაუყოს, თუ არა „კაპიტალის“ პროპორციის მიხედვით. (და კიდევ საქიროა დანამატიც, რათა მსხვილმა კაპიტალმა მიიღოს მეტი, ვიდრე მას ეკუთვნის). კაპიტალიზმი კერძო საკუთრებაა წარმოების საშუალებებზე და იმავე დროს წარმოების ანარქია. და ლაპარაკი შემოსავლის გაყოფაზე ასეთ „სამართლიან“ პრინციპის მიხედვით,—პრუდონიზმი, უპკუობა, მკშნობა და ფილისტერობაა. გაყოფა შეიძლება მხოლოდ „ძალის“ მიხედვით. ძალა კი იცვლება ეკონომიურ განვითარებასთან ერთად. კაპიტალისტურ სახელმწიფოს ნამდვილ ძალის განიჯვა კი, მხოლოდ იმით შეიძლება. იმით არ ეწინააღმდეგება კერძო საკუთრებას, იგი მხოლოდ მისი არსების გაგრძელებაა. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია დრო გამოშვებით დარღვეულ თანაზწრობას აღდგენა, თუ არ კრიზისებით მრეწველობაში, და იმით პოლიტიკაში. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია თანაბარი ეკონომიური ზრდა ცალკე მეურნეობათა და სახელმწიფოების.

ასეთი შესანიშნავი თავისი სიღრმით და ძლიერებით მსჯელობა საბოლოოდ არღვევს ყოველგვარ „ულტრა იმპერიალისტურ“ თეორიას და ყოველგვარ საუბარსაც ევროპის კაპიტალიზმის სოლიდარობის ზრდის შესახებ.

ლენინი, მართალია, უშვებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დროებითი შეთანხმების თეორეტულ შესაძლებლობას. ამ გავებით ლენინს შესაძლოთ მიაჩნდა ევროპის სახელმწიფოთა დროებითი კომბინაცია ამერიკის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მაგრამ იგი ყოველთვის ამტკიცებდა ასეთ კომბინაციის რეაქციონერ ხასიათს.

სახელმწიფო თანდათანობით ასწორებს მძიმე დანარცხების შედეგებს. მისი შემდეგი განვითარება დაკავშირებულია ახალი ბაზრების საკითხთან. გერმანიის სავაქო ბრუნვა ყოველწლობით იზრდება; როგორც წარმოების ისე გაცვლა-გამოცვლის სფეროში, გერმანია განიცდის კაპიტალის სიჭარბეს და არა მის სიმცირეს. ასეთი მდგომარეობა იმუქრება მოგების ნორმის დაწვეით, თუ უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფილი არ იქნება კაპიტალის გაზიდვა. მაგრამ ბაზრები, როგორც საქონლის აგრეთვე კაპიტალისათვის უცვ დაკავებულია. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გაიყვეს ბაზრები ასე, რომ გერმანია უბაზროდ დარჩა. ბურჟუაზიული გერმანია „მშვიდობიან“ ეკონომიურ კონკურენციის სა-



გერმანიის  
კომუნისტური

შუალებით სცდილობს, ყოველგვარ ოინებს ხმარობს, რათა უზრუნველ ჰყოთ თავისი თავი მსოფლიო ბაზარზე იგი აწარმოებს ჯერ არ ნახულ სისწრაფით წარმოების კონცენტრირებას. საზღაპრო სისწრაფით წარმოიშვა უდიდესი მონოპოლისტური გაერთიანება. მიმდინარეობს წარმოების, როგორც ორგანიზაციული, აგრეთვე ტექნიკური „რაციონალიზაცია“. ამ მარცხ გერმანია უკვე ასწრებს თავის ევროპულ კონტრენტებს, და ეწყევა ამერიკას.

გერმანიის ეკონომიკური ძლიერების შეუსაბამობა მის საერთაშორისო მდგომარეობასთან იძულებს, რათა მან აწარმოოს აგრესიული პოლიტიკა, მხოლოდ რომელიც მისთვის ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, სანამ იგი გაკრულია ვერსალის ხელშეკრულებით. იმპერიალისტური მისწრაფებანი უკვე განსაზღვრული ფაქტორია გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკის. ამ გაგებით შესაძლებელია და აუცილებელიც ლაპარაკი გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინების შესახებ. ეს მდგომარეობა თავის გამოსახულებას მასში ნახულობს, რომ გერმანია ცდილობს მშვიდობიანად შეითანაშრომოს მსოფლიოს ხელაბალ გადაყოფაზე მსხვილი იმპერიალისტები, რათა მათთან ერთად მასაც ერგოს მისთვის შესაფერისი ადგილი.

აქედან „დასავლეთის ორიენტაცია“ გერმანიის, მისი ერთა ლიგაში შესვლა, კოლონიების დაბოუნების კდა საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის მსხვილი სჩქერების მიცემის საშუალებით, კარტელების ორგანიზაცია და მრ. სხ. ზემო ნათქამიდან „ევრობის კაპიტალიზმის სოლიდარობის ზრდის“ შესახებ უკვე ნათელია, რომ გერმანიის სურვილი, რათა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს მისთვის სასიცოცხლო საკითხები, განწირულია დაპარტებისათვის. ასეთი საკითხები კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადაიჭრება მხოლოდ ძალით. და რომ საკუთარი თავი უზრუნველყოს ძალის მოხმარებით, ბურჟუაზიულ გერმანიას არა აქვს სხვა გამოსავალი, ვაღდა კავშირისა გაბაზრებულ სახელმწიფოთა ერთ ნაწილთან (საფრანგეთი) შეოწმეთა წინააღმდეგ (ინგლისი). ამ გზით შეუძლია გერმანიას მოახდინოს საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების რეალიზაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკური რევოლიუცია მისცემს ევროპას ბურჟუაზიას ამისათვის საკმარის ვადას.

გერმანიის კომუნისტურ პარტიისათვის, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გერმანიის კაპიტალიზმის განვითარების საკითხს, თუ გინდ მხოლოდ იმისათვის, როგორც ეს აღნიშნა ანბ. ბუხარინმა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულია გერმანიის მუშათა კლასის დამოკიდებულება სამშობლოს დაცვის ღობულთან, მომავალ გერმანიის ომში, ყოველ კომუნისტისათვის ნათელი უნუნდა იყოს, რომ რევოლიუციონერმა პოლიტიკარებმა პორაქვენცული პოზიცია უნდა დაიკავოს თუ ვინიციობაა დღევანდელი გერმანია ომში მონაწილეობას მიიღებს. გერმანულ კომუნისტების ამოცანა, ყოველგვარ ომში, როელშიაც მონაწილეობას მიიღებს დღევანდელი ბურჟუაზიული გერმანია, მდგომარეობს მასში, რომ მან იმპერიალისტური ომი აქციოს სიმოქალქო ომით. ანბ. ბუხარინი სასებით მართალი იყო როდესაც მან ამ მომენტს ბაზი გაუსვა პარტკონფერენციაზე.

საქართველო  
საზოგადოებრივი

გერმანიის კომპარტიამ ფართო კომპანია უნდა აწარმოოს სოციალ-დემოკრატიის, სოციალ-პატრიოტების პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელიც მუშათა კლასის ხალხში ჩათრევას ნიშნავს უმზადებს.

რადგან წყრილის ფარგლების გამო, არა გვაქვს საშუალება ცოტა უფრო დიფერენციით შევჩერდეთ მთელ რიგ საინტერესო მომენტებზე ამხ. ბუხარინის მოხსენებაში, ან დისკუსიაზე მის მოხსენების გამო, ჩვენ დასკვნისათვის მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარ დებულებებს.

ამხ. ბუხარინმა დიფერენციით გაარჩია ჩინეთის ამბები. განსაკუთრებით საინტერესოა ამხ. ბუხარინის მიერ დასმული აგარაულ-გლეხობის საკითხი, რომელსაც ვადაამუცვეტი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის დიდ რევოლუციისათვის. კომინტერნის აღმ. კომ. უახლოესი პლენუმი უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ამ პრობლემას, რომლის სწორ გადაჭრისგან დასოკიდებულია ათეულ და ასეულ მილიონ გლეხობის ბედი. ამხ. ბუხარინი ამტკიცებდა, რომ ჩინეთში გლეხობის მოძრაობას, რომელიც საბოლოო ანგარისში ყველაფერს სწვევს, შეუძლია ავიდეს უფრო მაღალ საფეხურზე, თუ კომპარტია და გომიდანი ხელთ აიღებენ აგრარულ რეფორმის გატარებას. ამის შემდეგ ცხადია, აუცილებელია ზოგიერთი არა მაინც და მაინც უმნიშვნელო ფუნების ჩამოცილება, არა მარტო მსხვილი, არამედ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისაც მთლიან ანტი-იმპერიალისტურ ფრონტიდან, მაგრამ ჩინეთის რევოლუცია საბოლოო ანგარიშში მაინც მოიგებს, რადგან გლეხობის უხარმაზარი მასსებრიდან იგი მიიღებს უდიდეს დახმარებას. ასეთივე ამოცანა სდგას კომპარტიისა და გომიდანის წინაშე საგადსახადო სისტემის შეცვლის საკითხში, რომელიც საშინელ სიმძიმედ აწევს გლეხობას. კომპარტიისა და გომიდანის მიერ ჩინეთის მრავალ მილიონიან მასსების სწორ ხელმძღვანელობას ეხლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩინეთის ამბები ერთი იმ სამ მთავარ ღართაკანია, რომელშიაც დღეს იშლება მსოფლიო რევოლუცია. მეორე ღარია—ინგლისის მუშათა მოძრაობა, და მესამე,—ანგარიშით, და არა მნიშვნელობით სოციალიზმი, რომელიც იზრდება საბჭოთა კავშირში. ამ სამ მთავარ მიმართულებით—ამბობს ამხ. ბუხარინი—მიღის დღეს რევოლუცია.

ტაქტიკის საკითხებიდან ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ პროფინტერნის აქტიობის გაძლიერებას, რომელიც ცოტაოდენ შესუსტდა უკანასკნელ დროს, რამდენადაც ს. ც. პ. კ. ს. უბედობდა დამოუკიდებლად გამოხედა მთელ რიგ საკითხებში საერთაშორისო ასპარეზზე. ეს აუცილებელი საფეხური იყო ბრძოლაში პროფმოძრაობის საერთაშორისო გაერთიანებისათვის. ეხლა რუსეთის პროფკავშირების წინაშე სდგება ამოცანა:

—უფრო მკიდრით დაივარაზოთ პროფინტერნის გარშემო, და მიმართულება იქით ავილოთ, რომ პროფინტერნში, მაგალითად ივივე როლს ვასრულებდეთ, რასაც ს. ც. პ. კ. ს. ასრულებს კომინტერნში“.

ეს ცხადია—ამბობდა ბუხარინი—იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გამოვიდეთ რეაქციონერ პროფკავშირებიდან, განხეთქილება შევიტანოთ შიგ და სხ.. ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ უნდა ვაწარმოოთ უფრო ენერგიული



მუშაობა, რევოლუციონური ძალების შემჭიდროება პროფკავშირებში, და მათი ცენტრალისტური ხელმძღვანელობა საერთაშორისო მაშტაბით."

ოპოზიციის ლიდერ ბი, რომ ლნიც სულ ახლო ხან ავტოლებდნ უზრო ჭორებს, რომ ვითომც ზენე პარტიის ხელმძღვანელთა შორის იყო მიმდინარეობა, რომელიც მიისწრაფის პროლინტერნის ლიკვიდაციისაკენ (ასეთი მიმდინარეობა მართლაც არსებობდა მედვედევ-შლიაპნიკოვის ჯგუფის სახით თვით ოპოზიციონერ ბლოკში) იძულებული იყვნენ ელა ანხ. ზუხარინის განცხადების შემდეგ „ქარგი სახე ეჩვენებიათ ცუდი თამაშის დროს“. ანხ. ზინოვიევი „მინესალმა პროლინტერნის აქტობის გაძლიერებას და ისიც გვამცნო, რომ ეს გაკეთდა ოპოზიციის გავლენის ქვეშ. მაგრამ ამ სისაცილო პრეტენზიის არავითარი საფუძველი არა აქვს. რევოლუციონური პროფკავშირების საერთაშორისო ტაქტიკის შეცვლა გამოწვეულია, ამა ოპოზიციის ისტერიული ყვირილით პარტიის წინააღმდეგ, არამედ ობიექტურ გარემოს შეცვლით. (ინგლისს გაფიცვები, ინგლისის პროფკავშირული ბიუროკრატის ლიად რიაქციონურ პოლიტიკაზე გადავლა, პროფმომბრობის, როგორც შინაგან, აგრეთვე ინტერნაციონალურ საკითხებში.)

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა კომინტერნში ს. კ. პ. დელეგაციის პოლიტიკური ხაზი, და ვანსაკუთრებით ხაზი გაუსვა ანტრლეწინურ გადახრებთან ბრძოლის ზოლომდე მიყვანას, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებს კომინტერნში. როგორც უკვე ზევიერ ვთქვით, ეს ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის განვითარების ამ საფეხურზე ბოლშევიზმისაგან სოციალ დემოკრატიულ ოპორტუნისტულ გადახრაზე და წერილი-ბურჟუაზიულ რევოლუციონერობაზე, ღებინის ხაზის სრული განარჯვებთ დამთავრდა. ს. კ. პ. ოპოზიციონერი ბლოკი თავისი არსებობის ფაქტით, საკუთარი პოლიტიკური პლატფორმით და თავის უშუალო ფრაქციული კავშირით „მემარჯვენე“ და „ულტრა-მემარცხნე“ ჯგუფებთან კომინტერნში გამოიწვია რამოდენიმედ მათი ზოქმედების გამოცოცხლება. ამასთან, ოპოზიციურმა ბლოკმა ისეთი ძალები გამოაცოცხლა, რომელსაც უკვე თვით ველარ დიქერს პარტიის ფარგლებში. XV კონფერენციის საპასუხო წერილში გერმანიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ ნათქვამია, რომ ჩვენი გაერთიანებული ოპოზიციის დეები მოხდათ გერმანულ ულტრა-მემარცხნე ნიდაგს, დასრულებულ სოციალ-დემოკრატიულ ხაზით იქცა. იგივე ითქმის საერთაშორისო მემარჯვენეებზე (ჟევირინცები საფრანგეთში, და უკიდურესი ოპორტუნისტები ჩეხოსლოვაკიაში.) მაგრამ ანტილენინურ მიმდინარეობათა ასეთმა ევოლიუციამ, მხოლოდ დაეხმარა კომუნისტ მუშების დიდ უმრავლესობის შემჭიდროება, ბოლშევიკურ დროშის ქვეშ.

საერთაშორისო ოპოზიციის რეგები—როგორც მარჯვნიდან, აგრეთვე „ულტრა მარცხნიდან“ თანდათან ქრებიან. როგორც ვეროპის, აგრეთვე მსოფლიოს მუშებმაც სწორად გაიგეს ჩვენი შინა პარტიული ბრძოლის არსი: დავა შემდგომე არსებობს, შენდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოებთ თუ კაპიტალიზმი, ჩვენი რევოლუციო გადაგვარდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადატრიალებათ, თუ იგი გრძელდება მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნის ნიშნის ქვეშ. ამ ხაზით წავიდა დისკუსია კომუნისტურ ინტერნაციონალში, და ამ ხაზით დანაწილდა იქ ძალები. ერთის მხრით—უმნიშვნელო რაოდენობა მეწყევთა, დელილთა, რომელნიც მიყვებიან რენეგატების და ნახევრად სოციალდემოკრატების დემოკრატიულ ფრაზულოგიას, მეორეს მხრით კი—საუკეთესო რაც გაჩნდა მსოფლიო მუშათა მოძრაობას—ეს არის ძირითადი პოლიტიკური კადრი კომუნისტური ინტერნაციონალისა.

## ჩვენი სათავაზრო პოლიტიკის შესახებ\*

საბჭოთა ხელისუფლების სათვალვედ პოლიტიკა ორგანიზაციულად უკავშირდება კომუნისტური პარტიის მიერ გამოქვეყნებულ პრინციპებს მხატვრული ლიტერატურის პოლიტიკის სფეროში. ამ პრინციპებს განსახილველად ის ზოგადი დებულება, რომელიც გამოსთქვა ანხ. ნ. ბუხარინმა პოპულარული ლიტერატურის შესახებ: „არ უნდა გვაიწყებოდეს, რომ კულტურული პრობლემა მით განსხვავდება მებრძოლ პრობლემისაგან, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია დაკვირვებით და საზოგადოთ, — შექანიკურ მალდატანებათა საშუალებებით. ის უნდა გადაწყდეს კომბინირებულ მეთოდით, რომელიც შეესაბამება საღ გონივრულ კრიტიკას; ამ მეთოდში კი მთავარი „კონკურენციაა“. აქედან დასკვნის ავტორი და ლაპარაკობს: „პროლეტარული ლიტერატურის დაღუპვის უდიდესი და საუკეთესო საშუალება არის თავისუფალ ანაოქიულ კონკურენციის უარისყოფა“ (К вопросу о политике Р. К. П. в художественной литературе).

ასეთი საბჭოთა ლიბერალიზმი განსახილველად ჩვენს სათავაზრო პოლიტიკასაც. ამ პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს თეატრალური კულტურის გაჯანსაღების და საზოგადოთ ახალი თეატრის შექმნის საკითხში.

მთავარი, რაც ახასიათებს ჩვენს სინამდვილეს და თეატრალურ სინამდვილეს კერძოთ — არის ახალი მაცურებელის გაჩენა. ეს მაცურებელი შედის თეატრში; ახალი მსოფლ-მხედველობით და ახალი განცდებით. თეატრში ამ უდიდეს ფაქტორს — მაცურებელს განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაჭარბავს თავის მომხმარებელს, და მით დასცემს თავის მხატვრულ ღირებულებასაც. თეატრი ორი ორგანიზული ელემენტის შემკველია: ერთის მხრივ მაცურებელი და მეორეს მხრივ ყველაფერი ის, რაც სცენას ახასიათებს: დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი. ამ ორი ელემენტის ურთიერთობაში მხილდება თეატრის მხატვრული მთლიანობა: ემოციონალური ზემოქმედების საშუალებით სცენა იჭრობს მაცურებელს, ხოლო მხატვრულ ფორმებში მოცემული ხალი იდეების გამო ახალი მაცურებელი ითვისებს და განიცდის სცენას. ამ საკითხთან დაკავშირებულია როგორც რეპერტუარის საკითხი, ისე თვით თეატრის კრიზისის ფაქტორი. თეატრის კრიზისი იწყება სწორედ მაშინ, როცა ირღვევა ურთიერთობა მაცურებელსა და სცენის შორის, როცა არსე-



ქართული

ბული მხატვრული ფორმები აღარ აკმაყოფილებს მაცურებელს მხატვრული იდიოლოგია თეატრისა კი წარპართავს მას ფსიხიკას და გრძნობებს უარყოფითი მიმართულებით. ყოველივე ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ეპოქა წინ უსწრებს თეატრს, როცა ის ჰქარავს მხატვრული შემოქმედების უნარს და როცა მისი ადამიანური შემადგენლობა (დრამატურგია, რეჟისორი, მახინობი) წარმოადგენს მეტის მეტად მოსაწყენ და უსიცოცხლო ეპიკონების კორპორაციას: პრინციპიალურ ეპიკონობას თეატრში უნოყიერდება ნიადაგა მხოლოდ მაშინ, როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ვერ პოულობს თავის მხატვრულ გამოხატულებას დრამატურგიაში და როცა ახალი ადამიანის ინსტინქტები და განცდები გაუგებარი და უცხოა თეატრალური იდეოლოგიისათვის.

მაცურებლის დაბურობა თეატრში ერთ ერთი გარანტიაა თეატრის კრიზისის ძლევისათვის. აქედან: მაცურებლის შესწავლა, მისი განცდების შეთვისება, მისი მსოფლმხედველობის გაგება — სათეატრო მეშაობის აუცილებელი მომენტებია. ლინინგრადის და მოსკოვის თეატრებში ასეთი იდეაცია დაბადებული, რომ თეატრში აუცილებელია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შეშოლება, რომ მაცურებლების შესწავლა მეცნიერულ საფუძვლებზე სწარმოებდეს.

ამ რიგად მაცურებელზე ორიენტაცია ზრდის თეატრს, როგორც მხატვრულათ, ისე იდეოლოგიურადაც. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთი ორიენტაცია იმ შემთხვევაში იპოვის მყარ ნიადაგს, თუ თეატრის მხატვრული ფორმები ემოციონალურ კავშირს გააბავს რამპასა და მაცურებელს შორის და თეატრის იდეოლოგია გააღრმავებს მაცურებელში სიცოცხლისა და ბრძოლის ინსტინქტებს. თეატრის რეპერტუარიც ამავე პრინციპზე უნდა აშენდეს. რასაკვირველია ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თეატრი ყოველთვის უნდა დაუმორჩილდეს თავის მაცურებელს: თეატრმა უნდა აღზარდოს თავისი მაცურებელი, თეატრმა უნდა შეუქმნას მხატვრული გემოვნება მაცურებელს, ამაშია მისი აღმზრდელი მნიშვნელობა. ამიტომაც უნდა დამყარდეს გარკვეული მოდუსი იმ ურთიერთობისა, რომელიც უნდა გაიშალოს მაცურებელსა და სცენის შორის, ამ მოდუსის შექმნა თეატრის მხატვრული საქმიანობის ერთ უმთავრეს მომენტათ უნდა იქნეს მიჩნეული.

თეატრის იდეოლოგიაც, რომელმაც თავისი თავი ნაწილობრივ რეპერტუარშიც უნდა გამოამჟღავნოს, მაცურებლის აღზრდის უნდა ენახებოდეს. ახალი ადამიანის პრობლემა — აი რა უნდა გახდეს თანამედროვე დრამატურგიის ცენტრალურ პრობლემათ: ახალ ადამიანში პროლეტარიატის სულისკვეთებაა მოცემული; პროლეტარიტი ჰქმნის ახალ ყოფა-ცხოვრებას, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, რომლითაც სიცოცხლობდა ბურჟუაზიული მსოფლ-მხედველობა, და რომელმაც თავისებური განათება მიიღო ინდივიდუალისტურ ფილოსოფიაში, პროლეტარიატმა რეალისტურათ გადასჭრა: სიცოცხლის აზრი მან განააზღურა ბრძოლის იმ ინსტინქტებით, რომლებიც ბუნებრივათ იბადებიან როგორც შემოქმედების სფეროში,

მარქსიზმი

საქართველო

ისე ბუნების საიდუმლოებათა ძლევის პროცესებშიაც. სიცოცხლის პირობების ასეთი გადაჭრით, პოლიტიკაობა სძლია სიკვდილის პირობებშიც და მით ყოველგვარ ნისტიკას იმ თავითვე გამოაცალა ნადაგი.

აი ყველა ის თემატიკური ნომენტები, რითაც უნდა განსაზღვროს დრამატურ-გმა თავისი შემოქმედება. რასაკვირველია, ეს იქნება იმ არ ნიშნავს კლასიკებისა და ყოფა-ცხოვრების პიესების უარისყოფას. ერთიც და მეორეც თანამედროვე მაყურებლისათვის აუცილებლათ საჭიროა: კლასიკები იძლევიან სურათს ადამიანის ვნებათა ბრძოლისას (შექსპირი) და ამ გაუმოგებას მსახიობისათვის გახუბო-მლი მნიშვნელობა აქვს; მსახიობი აქ ამგვარებებს თავის შინაგან შემოქმედებით პოტენციას; ამით იხსნება ის ფაქტი, რომ მოსკოვის ყველა სამხატვრო სტუდიები თავის მუშაობას იწყებენ კლასიკებით: კლასიკებზე ისინი ზრდიან მს ხიობს, რადგანაც აქ ის სწავლობს ადამიანის შინაგან სულისკეთების, მის ვნებათა ბრძოლას, ურომლისოდაც მსახიობის შემოქმედებითი კულტურა ვერ შეიქმნება.

ამასთანავე კლასიკების შემოქმედება წარმოადგენს ძველი კულტურის უდიდეს მიღწევას მხატვრულ ლიტერატურის დარგში; საბჭოთა იდეოლოგია კი ძველ კულტურას ერთის ხელის მოსმით, თავის თავად ცხადია, არ უარყოფს; ის დებულობს ამ კულტურაში ყველა იმ ელემენტებს, რომელთაც შერჩათ მხატვრული ლიტერატურა და რომლის ტენიკის შესწავლა აუცილებელია ახალი კულტურის შექმნისათვის. შექსპირის, გიოტეს და პუშკინის უნივერსალური მნიშვნელობა უდაოთ ცნობილია ახალი კულტურის მშენებლობის პროცესშიაც, იმის და მიუხედავათ, რომ მათი შემოქმედება და ამ შემოქმედების იდეები დაცილებულია თანამედროვეობისაგან საგრძნობი ხანით. წინააღმდეგის მტკიცება ბუნებრივლ მემარტებნობათ არის მიზნული, მაგრამ მეტის მეტი გატაცება თეატრში კლასიკებით არ ვარკა, რადგანაც იდეოლოგიურათ კლასიკები არაფერს ეუბნებიან თანამედროვე ადამიანს: აბა რა უნდა უთხრას თანამედროვე მაყურებელს ჰამლეტის ფილოსოფიურმა მსჯელობამ სიცოცხლის შესახებ, მისმა ცნობილმა მონოლოგმა. „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი თანამედროვე ადამიანისათვის არ არსებობს; ის დროშმუნეულია მეცნიერულადაც ძველი ქვეყნის უდღეურობაში, ის ებრძვის ამ ქვეყნას შეგნებულათ და რწმენით ახალი ქვეყნის გამარჯვებაში, ამიტომაც მისთვის ყოფნა არა თუ სასურველია, აუცილებელიცაა, რადგანაც მისი „ყოფნა“ შესძლებს „არყოფნის“ ძლევას. რევოლიუციონური ინსტიტუტი, მეცნიერული რწმენა და ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის რომანტიული სიმშვენიერე-ჰქმნის თანამედროვე ადამიანში საღ ოპტიმიზმს, რომლის ფსიქოლოგიურ ფონზე სიცოცხლეს ჰკარგავს ჰამლეტისებური პესიმიზმი.

ყოფა-ცხოვრების პიესებს ის მნიშვნელობა აქვს თანამედროვე თეატრისათვის, რომ იქ მხატვრულათ ნათელი ხდება ყველა ის მომენტები, რაც ახასიათებს ფართო მასების ყოფას და ზნე-ჩვეულებას.

ამ მხრივ ჩვენი დრამატურგია საგრძნობლათ მოიკოვლებს: დღევანდლამდე





ქართველთა

მწიგნობართა კავშირი

ერთი სახეირო პიესა, ახალი ყოფა „ცხოვრებ“-ს ამსახველი, არ არის შექმნილი. ეს იმ დროს როდესაც ეფმეტოური მასალა ამისათვის აუცილებლათ მოიპოვება.

თანამედროვე მაცულებელს ერთი სპეციფიური მოვნიტი ახასიათებს: ის ეძებს თეატრში საღ სიცილს, საღ იუმორს. მოსკოვის თეატრებში ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით კარგია: მათ აღლო აულეს თანამედროვე მაცურებლის სულსკვეთებას და სკდოლოზენ ამ მიპართულპბით ააკონ თავისი რეპერტუარი. „მანდატი“—მეიერხოლდის დადგმით ნამდვილი საბჭოთა კომედის შექმნის რეალური დასაწყისია. ჩვენში საბჭოთა კოქედია მარტო „დებურტირკა“-თი შენოიფარგლა, თუ არ მივიღებთ მხდვლობაში არა საბჭოთა კომედის „ამერიკელი ძია“, რომელიც, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ძველი, მეტის მეტათ მოსაწყენი ვოდდეილის შთაბეჭდილებას სტოვებს; (განსაჯუთრებით გაქიანურებულია მესამე აქტი.) ამ რიგათ: თანამედროვე მაცურებლისათვის საჭიროა როგორც კლასიკები, ისე ყოფა-ცხოვრების კომედები, თავის-თავად ცხადია, ასეთ რეპერტუაში ცენტრალური იდელი უნდა დაიკავოს ნამდვილმა, მხატვრულათ გამართლებულმა რეკოლოუკიონურმა პიესებმა.

როგორია ამ მხრე მდგომარეობა ჩვენში?

უნდა ითქვას რომ სახელმწიფო დამის რეპერტუარი წელს აუცილებლად დამაკმაყოფილებელია. „ზაგმუკი“, „ბანჯღვლიანი მიიმინი“, „ილიალე ჩინეთო“, „ლამარა“, „ვილქელმ ტელი“, „მარკნინე საქესაქენ“ და სხვ. სახეებით აქმაყოფრებს იდეოლოგიურათ თანამედროვე მაცურებლის მრავალ ფეროვან შოთხოვნილებებს. მაგრამ ამ რეპერტუაშ მინც ერთი დიდი ნაკლი აქქს; სახელდობრ ის, რომ საბჭოთა კომედია მარტო „დებურტირკით“ არის წარმოდკინილი. რას კვირეულია თეატრი აქ არაფერ შუაშია, რადვანაც ეს არის პირდაპირი მოვალეობა ჩვენი დრამატურგების, რომლებიც საუბედუროთ მჭერმეტყველორათ სდუნან.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენ აკადემიურ ოპერაში. საზოგადოთ საოპერო ხელოვნება მეტის მეტად კონსერვატოროული ნოვლენია. საუკუნეობით ოპერის რეპერტუარი ერთფეროვანია: იგივე „ფაუსტი“, იგივე „იდა“, იგივე „ტრავიატა“, „ღვგენი ონეგინი“ და სხვა. მეტის მეტათ მოსაწყენი ამბავია. მოსკოვში, სადაც იქედება მსოფლიო კულტურა და მსოფლიო ხელოვნება, მდგომარეობა თითქმის იგივეა. მაგრამ იქ რიდაც მიდრკილებას რეკოლოუკიონურ ოპერების შექმნისაკენ მინც ვანჩნევთ. აქ კი ჩვენი კომპოზიტორები ვანავრძობენ ძველი გზით სიარულს. რასაკვირველია ჟდიდესი მიღწევა ჩვენს მუსიკალურ კულტურაში ზაქ. ფალია შვილის და დ. არაყიშვილის მუსიკალური შემოქმედების ფაქტები. „აბესალომის“ და „შოთა რუსთაილის“ იშვიათი მუსიკა, და აგრეთვე ბალანჩივიძის „თამარ ცბიერი“, რომელიც წარმოადგენს ხალხური მელოდიებს სისტემატრზაციას განსაზღვრულ ლიბრეტოს ჩარჩოებში, აგრეთვე სხვა მათი ნაწარმოებნი, თავის თავად ცხადია, ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ ჩვენს ვოკალურსა და ინსტრუმენტალურ მუსიკის ქვეყნას, მაგრამ საუბედუროთ მათმა მუსიკალურმა შემოქმედებამ, ვერ იქნა და ვერ იპოვა შესაფერისი ლიბრეტო: თითქოს ჩვენი სინამ-

ქართული  
კომუნისტური

დვილისათვის უცხო იყვეს რევოლუციონური მოძრაობა! რასაკვირველია, ლიბრეტოს საკითხი უშეალოთ დაკავშირებულია მხატვრული ლიტერატურის მდგომარეობასთან. ამ უკანასკნელის თემატიკური ვაჯანსაღებით, ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენ კონკრეტორებსაც დაეზადებათ ბოლოსა და ბოლოს სურვილია კარგი ლიბრეტოს ძებნისა, რაიც ორგანიულად ვაამალიანებს მათ შემოქმედებას: ფორმა იპოვის თავის შესაფერისს შინაარსს. ასეთი ტენდენცია რიალურად უყვე სწ.ნს ახალგაზრდა კომპოზიტორების შემოქმედებაში (შ. თაქოაქიშვილის ახალი ოპერა).

რეპერტუარის მრავალფეროვნებამ ბუნებრივით თავის თავი უნდა გამოამყლენოს მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებაშიაც. საბჭოთა თეატრალურმა სინამდვილემ უშთაყრესად ორი ძირითადი მხატვრული მიმართობა იცის: წმინდა პირობითი და ნატურალისტურ-ყოფითი დადგმები. მოსკოვის სახმატვრო თეატრი ინერციით ვანავრძობს ნატურალისტური გზით სვლას. მეორე სახმატვრო თეატრს ეწინვეა „მარცხნით“ გადახრა, ხოლო მეიერხოლდმა კი აკრომატული და ცირკული ელემენტების შეტანით თეატრში სრულიად ახალი ვანათება მისცა თეატრის მხატვრულ ფორმებს. მაგრამ არცერთ თეატრში, როგორც მოსკოვის ისე ლენინგრადის ისე შეათიოდ, ისე ვარკვევით და ისე მხატვრულად არ დაკმაყოფილებულა მაცურებლის მხატვრული სულსკვეთება, როგორც ვახტანგოვის სტუდიაში. თქვენ ისმენთ და ხედავთ „პინკესა ტურანდოტ“-ს... თავიდან ბოლომდის პირობითი დადგმა, —კიდევ მტკი: თეთრი წყურების ვაგივრად თქვენ ხედავთ დიდ პირსახოკებს, ქალაქ პეკინის ნაცვლად თქვენ ამჩნევთ მხოლოდ წარწერას: „Нерка“. ფარდა იხდება და თქვენ ხედავთ მხოლოდ ვაპიშვლებულ სცენას და უკვირთ აქტიორებს თავის ჩვეულებრივ კოსტიუმებში. მაგრამ ამ დროს მაცურებელთა წინაშე იდგნება დეკორაციები, ეწყობა სცენა და მსახიობებიც ეზადებიან შესაფერისად; თქვენ გაოცებული რჩებით იმ აბსოლიუტუზი რიტმით, რითაც დ ხასიათდა ეს დადგმა. ამ დადგმით ვახტანგოვმა მსოფლიო რეჟისოროს სახელი მოიხვეჭა, ხოლო ვისმა სტუდრამ — სრულიად თეატრის კრიზისი. მეორე დადგმა მათი აოის სეიფულინას ეირინეა. სრულიად საწინაღმდეგო დადგმა: თავიდან ბოლომდის ნატურალისტური დადგმა: თავიდან ბოლომდის ნატურალისტური ხაზები. თქვენ ხედავთ იქ დამფუძნებელ კრების არჩევნებს. თითქოს ამ რალისტურ ფაქტორს უნდა მოეხდინა პუბლიცისტ-კის შთაბეჭდილება და მით ვაენიაუბინა დადგმის მხატვრული ღირებულება; მაგრამ ყოველი მომონენტი დამფუძნებელი კრების არჩევნებისა მხატვრულად, ისე ძლიერად იყო ძლიერი, ყოველ ტოპში ისეთი არაჩვეულებრივი ვულწრფელობა ისპოდა, რომ სააოლოო ანგარიშში ჩვენ მივიღეთ სრული მხატვრული ილიუზია და ვანეიცადეთ თეატრის ბრწყინვალე გამარჯება.

რასაკვირველია, ყოველივე ამის უშთაყრესი პირობა არის მსახიობის კულტურა, რაიც ვახტანგოვის სტუდიაში თავის ჟღარქსობას აღწევს.

ქართული სახელმწიფო დრამა ამ გზას ადგია: პირობით დადგმებთან ერთათ, ის, დრო ვამოშვებით რეალისტურ დადგმებსაც იძლევა.

აუცილებელ უდიდეს მიღწევად უნდა ჩათვალოს ჩვენი სახელმწიფო

დრამის მუშაობაში „ზაგმუკ“-ისა და „ლამარა“-ს დადგმები. როგორც პირველ-ში ისე მეორეში მკაფიოდ გამომეტყველდა ყველა -ს დიდი შესაძლებლობა, რაიც გააჩნია ჩვენს მსახიობებსა და რეჟისორებს. „ლამარას“ კონცერტული შექრუ-ლება, და „ზაგმუკ“-ს ბრწყინვალე დადგმა ჩვენ სრულ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იმ იშვიათ მხატვრულ საქმიანობაში, რომელსაც აწარმოებს ქართული დრამა ჩვენ მივიღებთ მსახიობის იმ დიდ კულტურას, უროპლისოდაც ახალი თეატრის შექმნაზე ლაპარაკი უნიადაგო ოცნებათ მოგვეჩვენება.

ამავე პრინციპებზე უნდა გაიშალოს მუშათა თეატრის მხატვრული საქ-მიანობაც. აუცილებლად ყალბი და შემცდარია ის შეხედულება, თითქოს მუშა-თა თეატრში მთავარი იყვეს იდეოლოგია, ხოლო მხატვრული ფორმები კი მეორე ხარისხიანი როლს თამაშობდნენ. ამ გზას ადკა ჩვენში წითელი თეატრი, რის გამოც მან ბრწყინვალე გაკოტრება განიცადა. ნამდვილი მხატვრული კულტურის ნაცვლად იქ ვითარდებოდა ყოველად მახინჯი თეატრალური კულტურა: მტრის მტკად უღაზათო ღრიალი, დაბნეული სიარული სცენაზე, ცრუ-კლასი-კური პათოსი, ერთი სიტყვით მხატვრული სიყალბის დემონსტრაცია; ამ რა ახასიათებდა იქაურ დადგმებს. მახინჯი ხელოვნება, ხელოვნება არ არის, ამი-ტომაც პროლეტარიატი მას უარყოფს. მუშას უნდა ნამდვილი ხელოვნება გა-მართლებული მხატვრულად და იდეოლოგიურადაც. ხელოვნების და იდეოლო-გიის დაყოფა თეატრში პრაქტიკულად დიდი სახიფათო მოვლენაა, ვინაიდან თეატრი, როგორც მოვლენა მხატვრული მთლიანობაა ფორმისა და შინაარსის.

მუშათა თეატრების რეპერტუარი აუცილებლად ისეთივე მრავალფეროვა-ნი უნდა იყოს, როგორც აკადემიური თეატრების. შემცდარია ის შეხედულება, თითქოს მუშა-მეყურებელს მარტო აგიტა სპიროდეს: მას — როგორც აგიტაციური პიესები, ისე ისეთიც, სადაც მოცემული იქნება პროპაგანდა (თუ გინდ ლირი-ულ ფორმებშიაც) ახალი ადამიანის და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთ-ობის. მუშათა თეატრის რეპერტუარში აუცილებლად უნდა შევიტანოთ კლასი-კები, მაგრამ დიდი სიფრთხილით, ვინაიდან კლასიკების სცენიურ დამუშავებას სჭირია იშვიათი მხატვრული ინტელიცია და ასეთივე პორიზონტა.

მუშათა თეატრმა უნდა აღზარდოს თავისი მყურებელი მხატვრულად, ის უნდა გახდეს ნამდვილი მხატვრული ტრიბუნა მუშათა იდეოლოგიის. ამას ნიად-წევს მუშათა თეატრი შესაფერისი რეპერტუარით და ნამდვილი ხელოვნებით.

## კინო-გრაფიკული გორივი აზოხანები

ახლოვნების ყველა დარგთა შორის, ჩემის  
აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია კინო.  
ლენინი.

ყოველი სოციოლოგიური ეპოქა ხელოვნებაში გამოსახავს თავის მორალურ პიკიურ ყოფას. ეს ყოფა თუ საბოლოო ანგარიშში ემყარება მოცემულ ეპოქის პატერიალურ კულტურას, თვით მისი გამოსახვა ხელოვნებაში განისაზღვრება ეპოქის ტექნიკური საშუალებით, რომლის ფარგლებში იშლება მხატვრული შემოქმედება. ეპოქის სტილი, რიტმი, სტატიკა თუ დინამიკა მოცემულ ტექნიკურ პირობებს ჩარჩოშია ჩასმული. ბეტხოვენიის და ვერდის მესიკას ვერ მოვისმენდით, თუ საორ ესტრო ინსტრუმენტთა სახელოსნოები ვერ მოგვემდინა განსაკუთრებულ მუსიკალურ ბგერათა შესაძლებლობას. ამერიკის ორმოცსართულიანი შენობები ვერ აღიშარებოდა, ხუროთმოძღვრებას რომ მექანიკის კანონები არ მიშველბოდა. თანამედროვე თეატრიც შეუმღებელი იქაბოდა, ელექტროს ძალა რომ არ ამოძრავებდეს სცენის მექანიკურ პოოცესებს და რომ სცენას ელექტრო ლამპითა და პოოექტორების საშუალებით არ ანათებდეს.

დღეს, სოციოლოგიური ეპოქათა მიჯნაზე, როდესაც ვერ კიდევ ს. ვსუბით არ დაძლეულა ძველი მორალური-პიკიური ყოფა, ძველი მატერიალური კულტურა და მის ნაცვლად არ მოსულა ახალი, ხელოვნებაც განიცდის ხეტი-ალს ოიტმისა და სტილის, ფორმისა და შინაარსის ძიებაში. ვერ მონხელი არ არის არც ახალი მორალურ-პიკიური ყოფა და არც ის ტექნიკური მომენტები, რომელიც საჭიროა ახალი ხელოვნებისათვის. ვერჯერობით, ახალგაზრდა ხელოვნებამ, უტყუმა და მოძრავმა, ყველას ენას მეტყუელმა და თავის წრეში მთელი ორგანიული და არა ორგანიული ბუნების დამტყუმა—კინო, დამყარებულმა ფიზიკასა, ქიმიასა და დღევანდელ ტექნიკის მიღწევებზე შესძლო ეპოქის რიტმის გაცევა თავის შემოქმედებაში. ჩვენ აქ მიზნათ არ ვისახეო კინო-ხელოვნების თეორეტიულ საკითხთა გარჯევას; აღვნიშნავთ მხოლოდ რომ კინო მოდის, როგორც ახალგაზრდა წვერი ხელოვნების ოჯახისა და მოითხოვს შესაფერ ადგილს, რადგან მას უსმენს უფრო მეტი რაოდენობა მათე-ლიოსი, ვიდრე რომელიმე ხელოვნების დარგს უსმენდა კაცობრიობა ისტორიის



განვითარებაში. კინო-ხელოვნების უპირატესობა იმაშია, რომ ის იყენებს ეპოქის ტექნიკურ-მეცნიერულ მოღწევებს და მიდის ფართო მასებში, როგორც კოლექტიური შემოქმედება.

კინო 30 ასაკით მოდის. ჩვენს კინოს მხოლოდ 5 წლის ისტორია აქვს. ცხადია, ხუთი წლით არ შეიძლებოდა ყველა საკითხის მოვარება, დღესაც ჩვენი კინო მრეწველობის წინაშე მეტად დიდი ამოცანები სდგას.

ჩვენი სამხატვრო და სამეურნეო ცხოვრების საკითხები სისტემატიური განხილვისა და შესწავლის საგნით არიან გამზადარი. ლიტერატურის, თეატრის, საზოგადოთ ხელოვნების საკითხთა გარშემო იმართება დისპუტები, ლექციები, მოხსენებები, იწერება მრავალი წერილები და ვრცელდება პერიოდულ გამოცემათა საშუალებით. სამეურნეო ცხოვრების საკითხთა ირგვლივ იმართება ყრილობები, თაბორები, იქმნება კანონმდებლობა და ლიტერატურა, მზადდება სპეცები. კინო-მრეწველობის გარშემო კი დღემდე არ გამართულა არც ერთი თაბორი (ჩვენის ინიციატივით გაიმართა მხოლოდ ერთი დისპუტი), არ დაწერილა არც ერთი ფელეტონი და მით უფრო არ გამოცემულა არც ერთი წიგნი. ხელოვნების მუშაკებიც და ეკონომისტებიც სიტყვს არ სძიოვენ კინო-მრეწველობის შესახებ, თითქოს კინო არც ხელოვნება იყოს და არც მეურნეობა. სინამდვილეში კი კინო სრულიად ახალი სახის ხელოვნებაა, რომლის პრობლემები ამიერიდან საჭიროებენ დამუშავებას, ამავე დროს ის მეურნეობის ახალ და თავისებური დარგია, რომელიც მოითხოვს წმინდა ეკონომიურ-კომერციულ შეწყველას სამეურნეო ინტერესის მიხედვით. ორივე დარგი კი მოითხოვს შესწავლას და სპეციალისტების მომზადებას.

ეს დღემდე კინოს შესახებ იმ ვარკომებით იხსენება, რომ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ კინო-მრეწველობის საკითხებს, ჯერ კიდევ კინოთი გატაკების პერიოდში ვიმყოფებით, როდესაც უკვე დძლეული დაბრკოლებება და ტექნიკური მიღწევანი გვაინტერესებს, რომლებშიც მხაზმარეულად არიან მოცემული უკუბრუნების სურათებში. ამას ერთეის ერთგვარი უბეზულობა ეკონომისტთა და ხელოვანთა წრეში. ეკონომისტები ვერ ბედავენ კინო-მრეწველობის შესახებ მსჯელობას, რადგან კინო არა მარტო მრეწველობაა, არამედ თავისებური ხელოვნებაა, რომლის შესწავლა ეკონომისტების ძალ-ღონეს სკილდება. ხელოვნების წარმომადგენლები გაუბიან კინო-მრეწველობაზე კამათს, რადგან ეს ხელოვნება მრეწველობის სახით არის მოცემული, სადაც მოხარებულაი ფიზიკის, ქიმიის და ტექნიკის მიღწევება, რაც იღვპატება ხელოვნების წარმომადგენელთა აზროვნების სფეროს.

ჩვენთვის აუცილებელია, დაძლეულ იქნეს ეს დაბრკოლებანი და სერიოზულად უნდა მოვიკიდოთ ხელი კინო-მრეწველობის შესწავლას. ჩვენ გვაქვს ყოველგვარი პირობა ამ მრეწველობის განვითარებისათვის და ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალებანი და ძალები კინო-მრეწველობის სამხატვრო და სამეურნეო აღორძინებისათვის.

ჩვენში ჯერ კინო-მრეწველობაში უმათერესად სამ პიროვნებას ვცნობთ: რეჟისორს, ოპერატორს და მსახიობს. ეს კინო-მრეწველობისათვის ცოტაა.


 ქართული

საქართველო

დასავლეთის კინო ასე უცქერდა მოვლენებს ამ 30 წლის წინათ, როდესაც კინო პირველად იღვამდა ფეხს, როდესაც რევისორათ გადაღები აპარატის პატრონი იყო, ხოლო მსახიობათ—ყოველგვარა შემთხვევითი ელემენტი. დღეს ევროპისა და ამერიკის კინო-მრეწველობის დარგში მუშაობს არა მარტო რევისორები, ოპერატორები და მსახიობები, არამედ კინო-ეკონომისტები, კინო-სოციოლოგები და კინო-თეორეტიკოსები, რომ არ მოეხსენიოთ ყველა ის ვიწრო სპეციალისტები, რომლებიც ათასობით მუშაობენ დიდ ატელიებში. ამ მხრივ ჩვენ მიაღწიეთ საჭირო არის მუშაობა. ჩვენში დიდია კინო-მანია. ყველას სურს კინოში მუშაობა რევისორათ და მსახიობათ, მაგრამ არ არის არც ერთი დარგი კინო-მრეწველობის, რომლის სერიოზულ შესწავლას ჩვენ ვაჩაჩოვებდეთ, არც ერთი კადრი კინო-მუშაების, რომლის მომზადებისათვის ვზრუნავდეთ. ჩვენი სამოქმედო პროგრამა უნდა იწყებოდეს—კინო-მანიის გარდაქმნა კინო საქმიანობათ.

კინოს მნიშვნელობა იმდენათ დიდია, რომ სხვა და სხვა ერთ ცდილობს შიითეისოს კინოს გამოგონების ავტორობა. ფრანგების აზრით კინო ლუკერის გამოგონებაა. ამერიკელები ამ საპატიო სახელს ედისონს მიაკუთვნებენ, ბელგიელები პლატოს. ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ამ საკითხის ისტორია. ფაქტის აღნიშვნას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ კინო იმდენათ იქცა მასიური ყუადღების საგნათ, უდიდეს ხელოვნებათა და უდიდეს მრეწველობათ, რომ მის გამომგონის სახელის მისაკუთრებას სცდილობენ კულტურული ერები.

კინოს მნიშვნელობა, როგორც აღმზრდელი თი და განმანათლებელი საშუალების მტად დიდია. ხელოვნების არც ერთი დარგი საოყენეთა გასწვრივ, ისე ახლო და ფართოდ ვერ შეატარა მასებში, როგორც კინომ. ამერიკაში, სადაც კინოს წილად ხედა დიდი განვითარება, ყოველდღიურად კინოში დადის 15 მილიონი მაყურებელი. კინომ მასებში ბევრით გაასწრო არა მარტო ხელოვნების სხვა დარგებს, არამედ ის ხდება ყოველდღიური გახეთის კონკურენტათ. ვის ხელშიაც არის კინო და გახეთი, მის ხელშია მასების თავის იდეურ გაველენის ქვეშ მოქცევის უძლიერესი იარაღი. ამ იარაღით შეიძლება მასების დაზღუნება და აღზრდაც, კლასობრივი და საზოგადობრივი შეკვნების შესუღბ სტებაცა და განვითარებაც.

კინოს დიდი მნიშვნელობის შესახებ ჩვენ გვაქვს როგორც ლენინის, ისე პარტული ყრილობების აზრები. ჩვენს მიერ კინო მიჩნეულია მასების ზღზრუდიდეს იარაღათ.

ბუ-ეუზიამ დიდათ გამოიყენა კინო თავისი მიზნებისათვის. ომას დროს საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და იტალიეთის კინო-ფილმები ასობით ამზადებდენ სამხედრო და ნაციონალისტური ტენდუციის სურათებს, რომლითაც ხელს უწყობდენ საზოგადოებრივი აზროვნების ამუშავებას იმპერიალისტურ ომში საკუთარი ქვეყნის გამარჯვებისათვის.

ომის შემდეგ, რევოლუციის საშიშროების პირობებში, ბურჟუაზია როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში ანეითარებს მხატვრულ სურათებს კონტრ-რევოლუციონური შინაარსით. აქ გვხვდება იდეალიზაცია ზოგად კეთილდღე-



ობისა, მშვიდობიანობის, ქრისტიანულ სიყვარულის, საოჯახო ბედნიერების, და შით გვერდით ჯარები და ინსინუაციები რევოლუტციონური ქვეყნების მიმართ. აღსანიშნავია ერთი გარემოება — ბურჟუაზიამ მეტად მოხერხებულად გამოიყენა კინო. იქ აშკარათ, ხელშესახებათ და ტლანქათ არა სჩანს ბურჟუაზიული ინტერესი კინო-სურათში. ბურჟუაზია იმდენათ გონიერია, რომ ის ხშირათ არ მიმართავს აგორაციას კლასობრივი ინტერესის სიშიშკლით. ის ჰქმნის მხატვრულ სურათებს, უდიდესი მიხვევებით და ატარებს ისეთ იდეებს, რომელიც შეუძინველად ჰქმნის მაყურებელში ბურჟუაზიულ სულისკეთებას, ფსიქიკას.

დღეს დღეობით არ არის არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც კინოს არ მიეღწიოს მასებამდე. ჩამორჩენილ ქვეყნებში კინო გახეთსაც უსწრებს. გახეთი ლოდიერი არგუმენტაციით სცდილობს მკათხუელის დარწმუნებას ამა თუ იმ მიმართულებით. გახეთის მკითხველი უნდა იყოს ცოტადენი ცოდნით მაინც, რომ წაიკითხოს ის და გაერკვას წაკითხულში. კინოს უკუერის წრაკიხეთის უკოდინაროც, იღებს ამა თუ იმ აზრს მხატვრულ სახეებით, რომელიც არ შორდება მის მეხსიერებას. აზიტომ არის, რომ მასკაში ჩვენ მოგვაქვს გახეთი ვთხოვთ ხელის მოწერას, გავრცელებას, მასები კი ჩვენთნ შორბიან კინოში, იღებენ გართობასთან ერთად ცოდნას, სიამოვნებასთან ერთად განვითარებას.

ამ-ტომ საბჭოთა კავშირში, სადაც მასები გამოდიან საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელათ, ხოლო მათი განვითარება შედარებით არ არის მალალი და მხოლოდ ეხლა იქმნება საშუალება ნამდვილი ცოდნის მიღებისა და კულტურული ამაღლების, კინო უნდა გახდეს ერთ უძლიერეს იარაღათ მასების აღზრდი ათე-ს.

კინო გააძვევებს ეკლესიას, კინო მოჰკლავს რელიგიას, კინო განდევნის არაყითა და ღვინით გართობის ჩვეულებას, კინო მისცემს გლეხს აგრინომიულ, სანიტარულ და საზოგადოებრივ ცოდნას.

კინოს მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. კინო გამოაღვევია მეცნიერების ყოველ დარგში. ბიოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, მედიცინა, და ფსილოგია, მატემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, ქიმიკა, მინერალოგია, გეოგრაფია, ეტნოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა და სხვა მრავალი დარგები როგორც თავის კვლევის დროს, ისე მათ შესასწავლათ დიდათ გამოიყენებენ კინოს. „კინო-სახელმძღვანელო“ უვეე ლეპარაკობენ დღეს. პედაგოგიურ მიებაში, რომელიც ეხლა დიდ ყურადღებას იქცევს, კინო უძველად დაიქვრს მნიშვნელოვან ადგილს.

კინო ინტერნაციონალური ხელოვნებაა. კინო სოციალური აზრდის იარაღია. კინო კვლევის მეთოდია. კინო სწავლებელ საშუალებაა.

კინო-ლიტერატურაში ვერ ვხდ ბით კინო-სურათების სწორ კლასიფიკაციის კლასიფიკაცია შეიძლება აშენდეს სურათის სიუჟეტის წყობის, შინაარსის მიხედვით (ტრაგედია, დრამა, კომედია ტ. ს. ხ.) შეიძლება იგი ავაგოთ გარევეან ჩარჩოების, სურათის გაშლის ფონის მიხედვით (ისტორიული, ეზნოკრაფიული, სოციალური კლასების ყოფა-ცხოვრების) შესაძლებელია კინო-სურათების დაყოფა სიუჟეტის

სპეციალური შინაარსის მიხედვით (სისხლის სამართლის და სენსაციონური დრამა თუ კომედია, თავგადასავლურ მომენტების დრამა და კომედია და სხ.)

ერთი სიტყვით, კინო-სურათების კლასიფიკაცია მეტად მწელია. სხვადასხვა საკლასიფიკაციო საფუძვლის ერთმანეთზე გადაშრავლებით ჩვენ მივიღებთ ასობით სურათის სხვადასხვა ტიპს. როგორი სურათები შეიძლება დაიდგეს ჩვენს მიერ? ამ საკითხზე პასუხს ვანსაზღვრავს ერთი მხრივ ჩვენი კინო მრეწველობის ფინანსური შესაძლებლობა, მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სოციალური პირობები კინო-მრეწველობისათვის.

როგორია ჩვენი კინო-მრეწველობის ეკონომიური ძალა მსოფლიო კინო-მრეწველობის მიმართ? ცხადია, მეტად მცირე. როდესაც საფრანგეთში ძმები პატეს მიერ პირველად დაარსდა 1898 წელს კინო-ფილმი მისი ძირითადი კაპიტალი 1 მილ. ფრანკს უდრიდა. დღეს ევროპისა და ამერიკის მრეწველობაში მილიარდები ითვლება. 1922 წ. ამერიკის კინო-მრეწველობაში მოთავსებული იყო 1,250 მილიონი დოლარი. მას შემდეგ კიდევ გაიზარდა ამერიკის კინო-მრეწველობა. გერმანეთშიაც კინო-მრეწველობამ უდიდეს მამულებს შეიქმნა. ბერლინის ატელიე „სტაიენის“ სივრცე 12.000 კვ. მეტრია 45 მეტრის სიმაღლიდან დახურული. ამ ატელიეში 10 მსოფლიო სურათი დაიდგმება ერთსა და იმავე დროს. აქ შეიძლება ყოველგვარი შეაობის, მოედნის, კლიმატის, პეიზაჟის, სხივებისა და განათების მოცემა. ბერლინის მახლობლად არის სპეციალური კინო-ქალაქები გადაღებისათვის (ნეიბამალსბერი, ტემპელგოფი და სხ.).

ამერიკაში გიგანტიური ტექნიკური მიღწევები აქვს კინოს. ლოს-ანჯელოსის მახლობლად, სადაც კინო-მრეწველობის ცენტრი იმყოფება, კინოსათვის სპეციალური ქალაქია გაშენებული უნივერსალ-სიტის სახელწოდებით. ქალაქი იმ გვარით არის აგებული, რომ რეჟისორის სურვილის მიხედვით შეიძლება მსოფლიოს თითქმის ყველა დედა-ქალაქის სახე მიიღოს საკუთარი სტილით და ამ რიგით შექმნილია სხვადასხვა სტილის ქუჩები. ეს ცნობებიც კმარა იმის ნათელსაყოფათ, რომ ჩვენი კინო-მრეწველობის მუშაობა არ შეიძლება მიზნით ისახავდეს ისეთი ტიპის სურათების დადგმას, როგორსაც სდგამს ევროპისა და ამერიკის კინო-მრეწველობა. ამისათვის ჩვენ არა გვაქვს არც მხატვრული და არც ტექნიკური საფუძვლები. თუ დიდია კინოს მნიშვნელობა საერთოდ და კერძო ჩვენთვის, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ? რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე? რა გვაქვს კინო წარმოებისათვის და რა უნდა შევიძინოთ ამიერიდან? არის დამაკმაყოფილებელი ჩვენი პროდუქცია თუ არა?

ჩვენი პროდუქცია აშკარათ ატარებს პროვინციულურ-კუსტარული კინო-მრეწველობის იერს. ჩვენი სამხატვრო პროდუქცია არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ გადაუჭარბებლად უნდა ვსთქვათ, ჩვენმა კინო-მრეწველობამ ან უნდა გადასტრას მის წინაშე აღმართული სამხატვრო ამოცანები, ან უნდა დაიხსნას მისი არსებობის საკითხი.

რა პირობებია საჭირო კინო-მრეწველობის არსებობისთვის? საჭიროა ბუნებრივ-სოციალური და სამხატვრო ტექნიკური პირობები.





ქართველთა

მწიგნობართა კავშირი

რა პირობები უწყობს ხელს ჩვენში კინო-მრეწველობას? ჩვენ უდიდესი უპირატესობა გვაქვს: 1) მზის სხივების სიუხვე წლის განმავლობაში, 2) ბუნების მრავალფეროვნება, 3) სოციალური ყოფის მრავალმხარეობა, 4) ტიპების შერჩევის შესაძლებლობა. ამერიკაში უადვილდებოდა ტიპების შერჩევა იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის ემიგრანტული შედგენილობა იძლევა პსიქო-ფიზიკურ ტიპთა მრავალფეროვნებას. ჩვენი ქვეყანაც და საერთოდ კავკასია ეტნოგრაფიულ სიჭრელის გამო, იძლევა დიდ შესაძლებლობას ტიპების შერჩევისათვის. ეს საკითხი ერთი ძირითადი საკითხია კინოსთვის, რადგან კინოში მსახიობის ამპლუას სიფიწროვა და ნიღაბის გარდაქმნის შეუძლებლობა.

მაშასადამე, ყველა გარეგანი პირობა გვაქვს კინო-წარმოების აღორძინებისათვის.

რა უნდა დადგათ? როგორი უნდა იყოს ჩვენი რეპერტუარი?

საჭიროა რეპერტუარის საფუძვლიანი შეცვლა: 1) ეტნოგრაფიული დატვირთვის შემცირება, 2) ყოფის სწორი გაგება, 3) იდეოლოგიური მოდუსის დაცვა და 4) სურათების ტიპთა მრავალფეროვნების გაფართოება, როგორც სოციალური მხრივ ისე ეპოქის, ეტნოგრაფიის, სურათის ფორმალური მეთოდის და სხვა.

**სურათების კლასიფიკაცია.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კინომ არ იცის სურათების მტკიცე კლასიფიკაცია, როგორც ჩვენ გვაქვს თეატრში. კინოს შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების ყოველ ფორმის გამოყენება, სადაც კი მოიპოვება მოქმედება მოცემული ფაქტთა მოძრაობაში. (დრამა, რომანი, პოემა, მოთხრობა, ლეგენდა, ზღაპარი და სხვ.) ამიტომ მტკიცე კლასიფიკაციის წინასწარი გამოიმუშავება ძნელია. შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ჩარჩოების მონახვა—სხვადასხვა საკლასიფიკაციო საფუძველთა მიხედვით.

**სურათები შინაარსის ხასიათის მიხედვით.** დრამა. საერთოდ უდიდეს ნაწილს, როგორც საერთოდ კინოში, ისე ჩვენს კინოშიაც, დაიჭერს დრამა, რომელშიც კინო გულისხმობს უფრო ფართო შინაარსს, ვიდრე თეატრი. აქ დრამაში შედის ყველა ნაწარმოები, რომელსაც აქვს დრამატიული შინაარსი (დრამა, რომანი, პოემა და სხვ.)

**კომედია.** ჩვენს რეპერტუარში, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შევიტანოთ კომედიები. კომედიაზე მოთხოვნილება დიდია. კომედიის დადგმაც კინოში გაცილებით ძნელია დრამის დადგმაზე. კინო-კომედია შეიძლება იყოს ორი სახის: 1) დამყარებული კინო-კომიკზე (ჩაპლინი, ლინდგრი, კიტინი, ფატი და სხვ.) და 2) დამყარებული კომედიურ სიუჟეტზე. ჯერ ჩვენ კინო-კომიკი არა გვაყავს. მაშასადამე, საჭიროა კომიკური სიუჟეტების ეანრის კომედიების დადგმა. რამდენადაც მეტად შეუძლებელი კომედიების დადგმას, იმდენათ უკეთეს პირობებს შევქმნით ჩვენი წარმოებისათვის.

**სურათები დროს მიხედვით.** ისტორიული სურათების დადგმა დღეს დიდ ინტერესს არ იწვევს. იტალიის კინოს მიერ დადგმულ რამდენიმე გრანდიოზულ ისტორიულ სურათს დიდი ბაზარი არა აქვს. ამასთან ერთად ის იწვევს დიდ ხარჯებსაც. ამას გარდა საქართველოს ისტორიის თავისებური პირობები, სათ-

მარ და დამონებულ მდგომარეობაში ყოფნა ჰქმნის ერთგვარ დაბრკოლებებს ისტორიული სურათების დადგმისათვის იდეოლოგიური მხრივ. საომარი მდგომარეობა ასუსტებდა შინაგან კლასობრივ უთანხმოებას, აქედან ისტორიული სურათი მოგვეცემს თავადაზნაურობის იდეალიზაციას, რომელიც მხედრობას წინ უძღოდა მტრებთან ბრძოლაში. დამონებული მდგომარეობა ასაზრდოებდა ნაციონალურ შულსს. აქედან ისტორიული სურათები მოგვეცემს მეზობლებისადმი დღესაც ისტორიულ ანგარიშებზე შულსის ვალეფიებას.

ამის გარდა, ისტორიული სურათების დადგმა მოითხოვს ისტორიისა და ენტოგრაფიის აღდგენას, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

ამ მოსაზრებათა გამო ისტორიული სურათები შეიძლება იქნეს ჩვენს დადგმებში გამონაკლისის სახით.

**თანამედროვე.** თანამედროვე სურათებში უნდა ვიგულისხმოთ მე-19-20 საუკუნე, რომელიც არ საჭიროებს ისტორიულ სტილიზაციას. აშკარაა ჩვენი სურათების უმრავლესობა უნდა ეყარებოდეს ამ ხანას.

**სურათები მხატვრული შემოქმედების ფორმის მიხედვით.**

**რეალიზმი** სურათების დიდი რაოდენობა უნდა იყოს რეალისტური ფორმის. რეალიზმი კინოს შემოქმედების შინაგანი მოთხოვნაა.

**ნატურალიზმი.** ნატურალიზმი უმკველად უარყოფილი უნდა იქნეს. ნატურა, მოცემული თავის-თავად, როგორც ამას იძლეოდა საბჭოთა რუსეთის კინო თავის დასაწყისში არა თუ ხელოვნებაა, არამედ ესთეტიური განცდა. დამახინჯების უტყუარი გზაა. **ნატურალიზმს** მიუყვებათ კინო-მსახიობის შემოქმედების უარყოფამდე, რაც მიუღებელია.

რაც შეეხება სხვა ფორმას, კონსტრუქტივიზმი, ზღაპრული სტილი და სხვა ეს დამოკიდებული უნდა იყოს თვით რეჟისორის შემოქმედების თავისებურებაზე. აქ არ უნდა შევზღუდოთ ძიების ფარგალი.

**სურათები ლიტერატურულ ნაწარმოებიდან და სცენარებიდან.** კლასიკების და დგმისათვის საჭიროა სწორად და სავსებით აღუადგინოთ კლასიკი თუ ის მისაღები იქნება იდეოლოგიურად და კინემატოგრაფიულად, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიკის თავისუფალი შესწორება პრინციპიალურად დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ (მაგ., ყაზბეგის დამახინჯება ჩვენ მიერ. გოგოლის—ლენინგრადის კინოს მიერ) უცხოეთის კლასიკების დადგმა პრინციპიალურად უარყოფილ უნდა იქნეს დადგმის სიძნელის გამო.

**თანამედროვე ლიტერატურა.** რამდენადაც შეიძლება ლიტერატურული ნაწარმოები უნდა გამოვიყენოთ სურათისათვის, ამას გვიკარნახებს სცენარისტების სიღარიბე.

**სცენარები.** სცენარები იმისდამხედვით უნდა მივიღოთ—აკმაყოფილებს თუ არა ის საერთოდ ჩვენს პირობებს და წარმოადგენს თუ არა ის მართლაც სცენარს და არა მის სუროგატს, როგორც გვაქვს უმრავლეს შემთხვევაში.

**სურათები მეტრაჟის მიხედვით.** მცირე მეტრაჟიანი სურათები. ისეთი სურათები დღის უმეტეს ადგილს იკავებს კინოში. სერიებისადმი მისწრაფებას



თავი გაიანება ამერიკის კინომაც და ასეთი სურათების შესახებებმა (პირლ უაიტი) ჩვენ არც შესაძლებლობა გვაქვს სერიების პრინციპის განხორციელებისათვის. ჩვენი დადგმების უმრავლესობა უიკველად უნდა ემყარებოდეს მცირე მეტრაჟიან სურათებს. ამასთან ერთად ჩვენ წარმოების რეპერტუართან მკიდროთ დაკავშირებულია ჩვენი პროდუქციის ბაზრის საკითხი კინო-თეატრების რიცხვის გაზრდებით საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში. თუ ჩვენ შევძლებთ ჩვენი სურათების თვითღირებულების მიღებას, მაშინ მტკიცე-მატერიალური საფუძველი ექნება მცირე-მეტრაჟიან სურათებს.

**დედი დადგმები.** ჩვენს რეპერტუარში, სეზონში ორი ან ერთი დიდი დადგმა უიკველად უნდა შედიოდეს. ეს დადგმები უნდა წარმოადგენდეს ჩვენი წარმოების მარკის და ფართო საექსპლოატაციო ნაწარმოებს.

**რეპერტუარის განაწილება რეჟისორთა შორის.** რეპერტუარის შესრულება, რომ იქნეს მიზანშეწონილი გზა რეჟისორის ხელში, საჭიროა რეჟისორებს მოეთხოვოთ მათი მუშაობის საერთო მიმართულების გამოკვეთვა. რეჟისორებმა უნდა გამოარკვიონ: ყოფის მასშტაბი (რომელიც ყოფა იცის რეჟისორმა და სურს მასი გამოყენება), იდეოლოგიური მოდუსი (სურს რევალიუციონური, ემოციალური, თუ ფსიქოლოგიური სურათი), სურათის ციკლი (დრამა, კომედია და სხ.), სურათის ეპოქა (ისტორიული, თანამედროვე), შესრულების ფორმალური მეთოდი (რეალიზმი, კონსტრუქ. სხ.).

ამ ვზით ჩვენ მოვალეწევთ რეჟისორთა სპეციალიზაციას გარკვეულ სურათთა ციკლზე და შეგვეძლება მიზანშეწონილად შევექმნათ რეპერტუარი რეჟისორისათვის, რადგან გვეცოდინება მათი მუშაობის პირობები. როგორ უნდა დავდგათ სურათები? როგორი უნდა იყოს ადმინისტრატიულ-მხატვრული და ტექნიკური პერსონალი?

რა ღონისძიებანია საჭირო კინო-მრეწველობის განვითარებისათვის? საჭიროა კინო-მუშაკების მიუღი კოლექტივის კვალიფიკაციის ამაღლება.

**ხელმძღვანელი კადრის კვალიფიკაცია.** კინო-მრეწველობა მეტად სპეციალური და რგია, აქ მეცნიერულ-ტექნიკური, იდეოლოგიურ-მხატვრული და ფინანსიურ-ადმინისტრატიული პროცესები ერთმანეთზეა გადახლარული. ამიტომ უპირველესი ამოცანაა მოვაშადოთ ხელმძღვანელი კადრები ყოველი დარგისათვის. საჭიროა ხელმძღვანელი კადრის მტკიცე ჩამოყალიბება, რაც შექმნის ამ კადრისათვის საქმის გაცნობისა და დახელოვნების გარანტიას.

**რეჟისორები.** რეჟისორის საკითხი მეტად მწვავედ სდგას. საბჭოთა კინოში უკვე ახალი, სრულიად ორიგინალური რეჟისორული მიღწევაა (ეიზენშტეინი, პუდოკინი და სხვა). ჩვენ ჯერ ტრაფარეტს ვერ გავცილდით. ჩემის აზრით, საჭიროა ერთი ცნობილი კინო-რეჟისორის მოწვევა. საჭიროა ჩვენს რეჟისორებს შეუქმნათ პირობები საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მიეცეთ დრო და შესაძლებლობა ახალ გზების ძიებისათვის. ზოგი მათგანი, რომელიც გამოიჩინს მიზდინარე დადგმებში თავის მხატვრულ ღირებულებას, და რომელიც კარგად ვერ იცნობს კინო ტექნიკას, უიკველად მივლინებულ უნდა იქნენ უცხოეთში კინო-ტექნიკის შესასწავლად.



ქართული  
ენისწილობა

ამას გარდა, ჩვენ დღეს გვყავს ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებსაც ჯერ არ დაუსრულებიათ თავისი დადგმები. მათ შორისაც, შესაძლებელია გამოჩნდეს ისეთი ელემენტი, რომლის მომზადებას ექნეს აზრი ჩვენი მრეწველობისათვის. საჭირო იქნება მათი მივლინებაც კინო-საქმის შესასწავლათ.

დღემდე ჩვენს წარმოებაში ახალი რეჟისორების მომზადებას არ ექცეოდა ყურადღება. რეჟისორის თანამშემწეთა თანამდებობაზე მუშაობდნენ შემთხვევითი ელემენტები, რომელთა მოვალეობა არ სცილდება ტექნიკურ მუშაობას და რეჟისორის დახმარებას არა მხატვრულ მომენტებში. ძირიანად უნდა იქნეს შეცვლილი ეს მდგომარეობა. ჩემის აზრით, შემოღებულ უნდა იქნეს ასისტენტების ინსტიტუტი, რომელთა თანამდებობაზე უნდა მოვიწვიოთ მხოლოდ ისეთი პირი, ვისაც აქვს საერთო განათლება და განვითარება და რომლის საბოლოო მიზანია კინო-რეჟისორის დარგში მუშაობა.

**ოპერატორები.** ჩვენ კარგი ოპერატორები გვყავს, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ არის. ჩვენ გვყავს ახალგაზრდა ოპერატორებიც, რომლებიც პირველად იღებენ სურათს. რამდენადაც სიანს, ისინი იძლევიან იმედს. აუცილებლად საჭიროა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა.

ოპერატორის მუშაობა მკაფიოდ არის დაკავშირებული მის მხატვრულ წონასთან. ოპერატორი მხატვარი უნდა იყოს ჯერ და შემდეგ აპარატის მცოდნე და მმართველი. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ოპერატორების მომზადების დროს აყვანილ იქნენ ოპერატორების თანამშემწეებად ახალგაზრდა მხატვრები, საშხატრო აკადემიის მოწაფენი, რომლებიც იჩენენ აშკარა ნიჭს და სურვილი აწვთ შეისწავლონ ოპერატორის სპეციალობა.

**სცენარისტები.** ჩვენ კავშირი დავიჭირეთ ლიტერატურულ ძალებთან, რომელთა მუშაობა უქველად ჩამოაყალიბებს სცენარისტების კადრს. ამას გარდა საჭიროა ავიყვანოთ რამდენიმე სცენარისტი, რომლებიც შესძლებენ სცენარების დამუშავებას, როგორც ორიგინალურ ნაწარმოებიდან, ისე შემოსულ მასალიდან.

**მხატვარი.** კინო — უპირველესად სანახაობაა. მისი ძირითადი მომენტი მხატვრული კომპოზიცია, მოცემული პლასტიურ განფენილებაში. ამიტომ მხატვარს უდიდესი ადგილი აქვს კინოში. ამერიკის კინომ იცის მხატვრის სპეციალიზაცია (მსახიობების განაწილება აპარატის წინ მხატვრული სიმეტრიით ნივთების დალაგება და სხვ.), ცალკე მუშაობს დადგმებზე ხუროთ მოძღვარიც. ჩვენთვის მინიმალურად საჭიროა, რომ ერთი მხატვარი მაინც იცნობდეს კინოში მხატვრულ მუშაობას. შემდეგ საჭიროა მისი საშუალებით მოვამზადოთ სხვა მხატვრებიც კინო-მუშაობისათვის.

**სამხატვრო-იდეოლოგიური ხელმძღვანელობა.** სამხატვრო-იდეოლოგიური ხელმძღვანელობა შესაძლებელია მაშინ, როცა ხელმძღვანელს, გარდა საერთო იდეოლოგიურ მოდულსა და მხატვრული გემოვნებასა აქვს ცოდნა: 1) რეჟისორის მუშაობის, 2) ოპერატორის მუშაობის, 3) წარმოების ტექნიკური პროცესის. ამიტომ სათანადო პირის მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ პროცესების შესწავლა.



ქართული

მეცნიერებათა

**ლაბორატორიული მუშაობა.** ყოველივე ზემოდ აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭიროა საცდელ-ლაბორატორიული მუშაობის წარმოება როგორც ტენნიკურ დარგში, ისე მხატვრულ დარგშიაც. რეეისორებს, ასისტენტებს, ოპერატორებს უნდა მიეცეს მატერიალური საშუალება მოახდინონ სათანადო ცდები და ეძიონ ახალი გზები კინოს მუშაობისათვის. ამისათვის საჭიროა ექსპერიმენტალური ლაბორატორიის შექმნა კინო-წარმოებაში, რომელიც იქნება სკოლა მუშაკების აღზრდისათვის.

**ვიწრო სპეციალისტები.** მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კინოში ვიწრო სპეციალისტების მუშაობას. გრიმიორმა უნდა იცოდეს კინო-აპარატის თვისების ტენნიკური საიდუმლოება. თეატრის გრიმიორი გამოუსდევგარია კინოში. გრემის პრინციპები თეატრსა და კინოში აბსოლუტურად განიჩნევა ერთმანეთისაგან. ჩვენ ვერ არა გვყავს გრიმიორი, მკოდნე კინო-ტენნიკის, ფირის („პლიონკი“) საიდუმლოების. ასევე ითქმის კოსტუმების შესახებ. კოსტუმების ფერების შერჩევა კინოსათვის სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

**საერთო დასკვნა.** ჩემის აზრით, მანამდე ჩვენ ვერ ავსწევთ ჩვენი პროდუქციის მხატვრულ ღირებულებას, ვიდრე იმ დონეზე დარჩება ჩვენი წარმოების მუშაკთა კვალიფიკაცია, როგორზედაც დღეს სდგას. მაშასადამე, ძირითადი საკითხი კვალიფიკაციის ამაღლებაა, ეს იმას არ უდრის, რომ წარმოება სკოლათ ვაჭკიოთ. წარმოება ერთსა და იმავე დროს შესძლებს მიმდინარე მუშაობასაც და კადრის კვალიფიკაციის ამაღლებასაც, თუ ეს გეგმიანათ და მიზანშეწონილად იქნება დაყენებული.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეატრის მზგავსად, კინოც კოლექტიური მოქმედებაა. თეატრში თუ ხელოვნების სხვა და სხვა დარგი შედის, კინოში მას ემატება მეკნიერებისა და ტენნიკის დარგებიც. ლიტერატურული შემოქმედება (სცენარი), რეეისორის, მსახიობის, ოპერატორის, მხატვრის, ხუროთმოძღვარის, მუსიკოსის (ვადაღების მომენტში სულიერი განწყობილების შექმნა და შემდეგ ვადაღებულის მუსიკალური ილიუსტრაცია) ელექტრო-ტენნიკის, გრიმიორის, კოსტუმერის, დეკორატორის, ლაბორანტის (ნეგატივისა და პოზიტივის გამოყვანა და ბეჭდვა) მონტაჟისტის და სხ. წვრილი სპეციალისტების საერთო მუშაობა ჰქმნის კინო-სურათს. სხვა საკითხია—ვინ არის აქ შემოქმედების ძირითადი სუბიექტი, საერთო ნების და მხატვრული სახის მიმცემი სურათში. ეს წმინდა თეორეტიული საკითხია, ხოლო ფაქტია ის გარემოება, რომ საკმაო ამ კოლექტიურ შემოქმედებაში, რომელიმე ნაწილის შემარულებლის მოუმზადებლობა, რომ დაირღვეს სურათის მხატვრული მთლიანობა, დაცეს მისი მხატვრული ღირებულება და გაუჭმდეს იმ ელემენტის შემოქმედების ეფექტიც, რომლებიც თავიანთ ადგილზე იდგენ, როგორც შესაფერი ცოდნისა და ნიჭის მქონენი. ამიტომ, კინო-მრეწველობისათვის ძირითადი საკითხია მთელი სამხატვრო-ტენნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

# გზლიობრაფია

ნოე ზომლეთელი. „ლექსები“. სახელგამი 1926 წ. ტირაჟი 2.000. ფ. 1 მ.

ზომლეთელი საქმაოდ ცნობილი პროლ. პოეტია და მკითხველს სრული უფლება აქვს ელოდეს მისგან დამაკმაყოფილებელ წიგნას. ნ. ზომლეთელს მოპოვებული ჰქონდა პატივისცემა უმთავრესად შავი რევოლუციის პერიოდში, თავისი რევოლუციონერი და იმედიანი ლექსებით. მაშინ, როდესაც უმოაღიფსობა ევდოშვილის სკოლის დემოკრატიულ-რევოლუციონერ მწერლებსა პასიურ ცუმლებს ავუქვედენ ქვეყნისა და მშრომელი ხალხის ტანჯული მდგომარეობის შესახებ. — ზომლეთელი პირიქით, რევოლუციონერ პოეზიას ჰქენიდა. ნ. ზომლეთელი ასედა იმ საინზარ რენეგატობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციონერ ინტელიგენციის ფენ. ბში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. იგი ასედა ევდოშვილის მახინჯ ნაციონალიზმს, არ გაჰყვა თავის მასწავლებელს. იგივე ზომლეთელი განაგრძობდა აქაც წერეთლის მებრძოლი ლირიკის ტრადიციების პროლეტარიზაციას. ამით აიხსნება ის, რომ ზომლეთელი მწერევიერ საქართველოშიაც შეოჩა კომუნისტურ მიმართულებას და გამოვიდა როგორც პოეტი კომუნისტი.

მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ნ. ზომლეთელი მაინც გაუფენოდა „დემოკრატიულ პოეტია“ წყებას, ამ ვარუთებამ საშარ უარყოფითი გავლენა იქონია ზომლეთელის შემოქმედებაზე. ჯამას ადასტურებს ამ სარეკენიო წიგნაკში წარმოდგენილი ლექსები.

დავიწყით პირველი ლექსით: „უშკინის ხსოვნას“. ამ ლექსში პუშკინი წარმოდგენილია, როგორც „მომლორალი“ და სრულიად დავიწყებულია პუშკინის ლიტერატურულ-სახოგ დოებრივი სახე. ასეთი განუენებული, ესთეტიური ხილვა დამახასიათებელია „დემოკრატიული წყების“ პოეტისათვის. ქრისტიანულ-ჰუმანიური, მე ვიტყვოდი —

ობივატელური სოციალიზმის განწყობილებანი აშკარად გამოსჭევიის ლექსში „ქრისტე-აღსდგა!“... „საიდგომო კვე ცხ“-ში, სადაც ვკითხულობთ:

„ქრისტე აღსდგა. გესმით? აღსდგა ქვეყნის მხსნელი, მოველ, რომ გაბარო ეს დღე სანატრელი...!“

წერილ-ბურჯუაზიულ სახეს ვღებულობთ იქ, სადაც პოეტი ქალებზე სწერს:

„ხან ვარდია და ხან რა, ლამაზი და ხან მორცხვედი, და ხან კიდევ ფრთა-შესხმული, მოლოდენი ნაზი მტრედი.

ხან ძველია, გულ ცბიერი.

ხან ასპილი საშიზარი,

ხან გრძნობის ზღვა ჯანუ-დაკრული,

შემოდგომის ცივი ქარი“.

აქ არ არის მოცემული პროლეტარული იდროლოგია. ყველა ქვეყნის და ყველა ერის მეზნანებისთვის დამახასიათებელია ქალის ასეთი „გველური ცვალებადობის“ თვალსაზრისით გაგება, თითქოს პრინციპიალურად დედაკაცი მამაკაცისგან განირჩეოდეს.

შესამე უარყოფითი გავლენა, რომელიც შეჩენია „დემოკრატიულ“ პერიოდის ლექსებში ზომლეთელს. — სენტიმენტალურ ჰუმანიზმში მდგომარეობს. თუმც მისი ლექსების უმრავლესობა ოპტიმისტურ მებრძოლი ტონისაა, მაგრამ ხშირია „შეცოდება“, ხეიდან მოწმის თვალით ხალხიანური მებრალეობა, „ხალხი სიარული“ („хождение в народ“). ასეთი ტიპის ლექსებია: „ორი კუბო“, „ქარი კი...“, ნაწილობრივ „შეგობარს“, „ბრძოლის ველზე“.

ასეთია უარყოფითი მხარეები ზომლეთელის შემოქმედებაში. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ეს უარყოფითი მხარეები გადაგვეტანა მთელ მის შემოქ-



მედებაზე. მთავარი მნიშვნელობა, როგორც ესაბჭივით, ეკუთვნის რეაქციის პერიოდში დაწერილ რევოლუციონურ ლექსებს.

„დედი! ნუ სტორი: ის მოკვდა, თავისუფლების ზეარაი, მოგიცვდა პურის მკამელი. შესუსტდა ჩვენი ბანაკი; მაგრამ გახსოვდეს: მტარფალთა ვანზრახვა-განაპირები მაინც ვერ გავა: ჩვენს ბანაკს ბევრი ჰყავს კიდევ გმირები!“

ანუგეშებს პოეტი რევოლუციონერთა დედებს ერთ-ერთ ლექსში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ზომლეთელის შემოქმედებაში შრომის მოტივები. ამ მხრივ მის პოეტურ „Credo“-თ უნდა ჩაითვალოს ლექსი „პოეტა“ (1913 წ.). აქ ზომლეთელი თავს შრომის პოეტათ აცხადებს და მართლაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხატვროვლად, ძლიერი პათოსით არის დაწერილი ის ლექსები, რიგგარეშე მოცემულია კონკრეტული სურათები შრომისა და ბრძოლის. ასეთებია: „სოფლის პატარა ქალი“, „ბრმა მეფანდურე“ და სხვ.

საჭიროა აგრეთვე „გეოგრაფიული“ ზომლეთელის ნა ერების: ქალაქისა და სოფლის თემების მიხედვით. ზომლეთელი, როგორც ქალაქის პოეტი, თითქმის ვერაფერს ვერ დასტოვებს ღირსშესანიშნავს ქართულ ლიტერატურაში, ერთი ლექს „ქალაქი“-ს მეტს. ეს იმიტომ ხდება, რომ, როგორც ზემოდ ვსთქვით, ზომლეთელი შემოქმედებით სოფელში აღზარდა. შეუდარებელი ძლიერია პოეტი სოფლის სურათებში. აქ მას აქვს მხატვრული სიძლიერე, კონკრეტულობა და მხატვრული სიმართლე. ქალაქის თემებს კი იგი რიტორიულად აშუშავებს. მაგალითად მეორე ხარისხის რიტორიკა ქალაქის დილა“.

„და ჰა, უცრად თითქოს ის ამ დროს,

ელექტროს სიმშაყ ასტება „ვაი“

შორბის და მოსდევს რონოდი —რო-

ნოდს

და ამოძრავდა ყველა ტრამ „ვაი“.

ან კიდევ ლექსი მოსკოვზე:

„წითელ ქალაქს გეძახიან და ხარ მთელი ქვეყნის კივი, შენ გიყურებს: ნილოს, კონგო, ვანგი, პო და მისისიპი“.

ნ. ზომლეთელს არ მოეგონება სახეები ქალაქის სუათების შესაქმნელად. იგი არ იცნობს ქალაქს ისე, როგორც სოფელს, ამიტომ მიმართავს მდარე ხარისხის რიტორიკას, გაკენებულ მარშებს, ასეთ შემთხვევებში პოეტი ამბობებს ლექსებს ფუჭა სიტყვებით, და მიმართავს ისეთ შედარებებს, როგორც არის „კივი“. უკეთეს შემთხვევაში იგი ქალაქს წარმოიდგენს სოფლის სახეებში.

მაგალითად ლექსი: „ჩვენს ასოთ აწყობებს“:

„როცა საერთო ჩვენი საქმისთვის მე შემოვდივარ ამ ჩვენს სტამბაში, მაშინვე თვალწინ წარმომიდგება აზვითებული ფუტკრები ხკაში“.

აქ სტამბა შედარებულია ფუტკრების სკასთან. ეს მოწმობს, რომ ზომლეთელს აქვს მხოლოდ სოფლური სახეების მარაგი. ასეთი მაგალითები მრავალია. ზემოჩამოთვლილ მიზეზების გამო სუსტია ლექსები ქალაქის თემებზე: „საპირველ მაისო“, „ჩვენს ქალაქს“, „ჩვენს ასოთ აწყობებს“, „წითელ მოაკოვს“, „ფეიქრები“, „ქალაქის დილა“, „ოქტობრის მოწოდება“, „ღმერთთა პარადი“, „რატაციონი“ და სხვ.

სამაგიეროდ ძლიერია ზომლეთელი სოფლის სურათებში. ამ მხრივ სანიშნავია „დედის წერილი“, რომელიც მან ესენინის გაკლენით დასწერა და კიდევ დასტამბა პირველათ გახ. „პროლეტარა“-ის № 2-ში. აქ მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ თემა ესენინისაა, მთავარია, რომ ეს საერთო თემა ქართულ სოფლის კალორიტუს, გურიის სოფლისთვის დამახასიათებელ სახეებში მოგვცა. ყოველი სახე, ყოველი სტრიქონი აქ სუნთქავს გურიის სოფლის პრიმიტივით, ვერც ერთ სიტყვას ვერ იპოვით აქ ყალბს მოცემულია ჯერ კიდევ ძველი სოფ-

ქართული  
მიზლითგრაფია

ლი: მომავლადი, მაგრამ ლამაზი პრი-  
მიტივობით. მშვენიერია ადგილები:  
„ნაჯღაზნი როგორც მზაჟუცის სახე“,  
„ბელელში თავი უსაქმოდ დიდრწის,  
სასიმიინდში კბილებს კრეკს ჳერი...  
სალომეს ბავში მოუყვდა რვა წლის,  
და დანარჩენებს ჯანს აცლის ბღე-  
რი“.

კარგია ასეთივე ტიპის ლექსები:  
„შემოდგომა“, „სოფელი ღამით“ და  
სხვ.

ჩვენ განზრახ გამოვეყვით სპეცია-  
ლურ დახასიათებისათვის ზომლეთე-  
ლის მოზაიკური სურათები. ეს მოზაი-  
კური სურათები ზომლეთელის ორიგი-  
ნალური მიღწევია ჩვენს ლიტერატურა-  
ში. აქ იგი ყველაზე უფრო ძლიერია,  
და ამ ლექსებით მან კართულ ლიტე-  
რატურაში, მის ფორმალურ საღა-ომი  
განსაზღვრული ღირებულებაში შეიტანა,  
რომელიც საკმარისია პოეტის სახელის  
შესანარჩუნებლად. ჩვენ აღვნიშნეთ,  
რომ პოეტს განსაკუთრებით ეხერხება  
კონკრეტული სურათების ასახვა, კონ-  
კრეტულ აზრების მოყოლა, სოფეტრი-  
ანი ლექსის შექმნა. ეს უკანასკელი  
ღირსება მით უფრო ღირებულა, რამ-  
დენადაც ჩვენს პროლეტარულ ლიტე-  
რატურაში ხაყლებათ მოიპოება სოფე-  
ტრიანი ლექსები ყველა ეს თვისებები  
ზომლეთელმა გააღრმავა მოზაიკურ სუ-  
რათებში. ზომლეთელის მოზაიკა იძლე-  
ვა საგანს განსაზღვრულ მოზაიკობა-  
ში: საბეებში და აღწერებში, მშვენიე-  
რი რიტმით, ალიტერაციით და, რაიც  
მთავარია, საგნის მთავარ დამახასიათე-  
ბელ თვისებების ჩამოთვლით.

ასეთია ლექსები: „საქართველო“, „გუ-  
რია“ და სხვ.

„ტურფა ზაფხული და გაზაფხული  
შემოდგომა კი მუდამ მტრალი,  
ზამთარი თეთრ-ქუდ-ჩააოფაფხული  
და სახიფათო ხასიაქრალი“ (გუ-  
რია).

ჩვენი დახასიათება ზომლეთელის  
შემოქმედების მხატვრული ფორმის  
იქნებოდა ცალმხრივი, რომ არ აღგვე-  
ნიშნა დიდათ სამწუხარო და მნიშვნე-  
ლოვანი ნაკლი, რასაც უდაოდ აქვს

ადგილი. ზომლეთელის ბევრი ლექსი  
შექმნ ღია თუ „თამარიანის“ არა, მე-  
ცხრამეტე საუკუნის სტილით. არ არის  
წინსვლა. ამაზ ხჯებს აგრეთვე ნ. ზომ-  
ლეთელი ზაღბური ჳაირის ფორმებსაც.  
თუ მივიღებთ რუსეთის „მემარცხენე-  
ბის“ თერძინოლოგიას „ფორმალური  
კონტროველიუციის“ შესახებ, მაშინ  
ზომლეთელი თითქმის მთლიანად რეა-  
ქციონერი იქნებოდა. მაგრამ უდაოა  
ისიც, რომ მწერალი არ ფასდება მხო-  
ლოდ ფორმის მიხედვით. ავღნიშნოთ  
მაინც ზოგიერთი მთავარი ნაკლი:

1. არქაიზმი: „ეს გული იადონია“,  
„დილა იყო იანი, იდგენ გულმკერდი-  
ანი“ და სხ.

2. საეკლესიო საბეები: „პირველი  
მცნება“, „ნეტარი“, „გუნდრუჳათ  
იწვის“, „მირიხტებული“, „ენბაზი  
ქრისტეს მცნების“.

„ოქტომბერი...  
ყველგან წითელი ფერი!..  
ეს არის ცეცხლით ნათლის ღება“  
(ხაზი აეტრისა).

3. პროვინციალიზმი: „ყირამალა“,  
„თვალი უქნა“, „აგი ქუჩა“ და სხვა  
მრავალი. და ეს პროვინციალიზმი  
გვკვდება არა დიალოგებში, არამედ  
თვით ავტორის სიტყუვაში.

4. უადგილოდ ნახმაო უცხო სიტყ-  
ვები: „სტრავა“, „ოპტიმატები“,  
„რეფლექსიურად“, „სბორნიკი“ და სხვ.  
სუსტია ზემლეთელი განსაკუთრებით  
საბეებში — „ელექტრონის ოცნება“,  
„ქანდაკებრივი სტიქია მოისა“, „ცეცხ-  
ლის მფრკვევი თაიგული“, და სხ.

ერთ ლექსში ნ. ზომლეთელი ახალ  
ქალს „ზღაპრულ მერსაც“ კი ადარებს,  
მაშინ, როცა ეს მერი მართლაც  
ზღაპრია ძველი რომანტიკოსების.  
შედარებით ძლიერია ნ. ზომლეთელი  
რათებში. ადგანაც იგი იმ პოეზიაზე  
აღზრდილა, სადაც მთავარ მხატვრულ  
ილემენტად რითმა იყო აღიარებული.  
მაგრამ აქაც გვხვდება მეტის მეტად  
გაცვეთილი რითმები: „იანი. იანი“,  
„ითა“ „ითა“, „ია“ „ია“ და სხვ.

ასეთია მთავარი მასალები, რასაც  
იძლევა ზომლეთელის ეს წიგნი. მიზე-





ზი იმისა, რომ ამ წიგნში ბევრია ცუ-  
დი ლექსი მდგომარეობს იმაში, რომ  
ზომლეთელს მოუნდომებია ტუცრობი,  
მაგრამ ცუდი ლექსების მკითხველისა-  
თვის გაცხობა, მას უნდა გამოეცა რჩე-  
ული ლექსები.

საერთოდ, ნ. ზომლეთელის წიგნის

გამოცემა დადებითად უნდა შეფასდეს ქარ-  
თულ ლიტერატურისათვის.

გამოცემის ტენიკა კარგია. კორექ-  
ტურული შეცდომები საკმაოაა. უსი  
შედარებით ძვირია.

3. ქიქოძე.

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი. ტექსტი ბედიესი. თარგმანი ფრანგუ-  
ლით გერონტი ქიქოძისა. ზ. 5x8, გვ. 180. ფასი 18. 50გ.

„მიჯნური შმაგსა მიქვიან არაბული-  
თა ენითაო“—ამბობს პოეტი. სწორედ  
შინავე სიყვარულის, მიჯნურობის ამბა-  
ვია მოთხრობილი კელტების მიერ ძვე-  
ლიად (8—10 ს.) შექმნილ ლეგენდაში  
ტრისტანისა და იზოლდას შესახებ. შა-  
თი სიყვარული საშუალო საუკუნეთა  
ევროპიელ რომანისტებისა და ტრეპა-  
დურებისათვის საუკეთესო, მიმზიდველი  
საგანი იყო. ამიტომ ტრისტანისა და  
იზოლდას ამბავი მრავალმა მწერალმა  
გამოიყენა სიფუტყად, უფრო მეტმა კი-  
დეე პირვანდელი ტექსტი თავისებურად  
შესცვალა. ის მრავალი ვერსია, ტრის-  
ტანისა და იზოლდას შესახებ რომ არ-  
სებობს, იმდენად განსხვავდება ურთი-  
ერთ შორის, რამდენადაც ის ეპოქები,  
როდესაც მათ ჰქმნიდნენ. ზოგნი ამ ლე-  
გენდაში გასაოთხობს ეძებდნენ. მათს ყუ-  
რადღებას ტრისტანის რომანტიული  
თავგადასავალი უფრო იპყრობდა და  
მიჯნურობის აღწერაში მათ რეალის-  
ტური ტონი შეჰქონდათ. ზოგნი, პი-  
როქით, ტრისტანისა და იზოლდას სი-  
ყვარულს აიდევალებდნენ, მათს ერთგუ-  
ლებას უსვამდნენ მახს. დანტე თავის  
„ჯოჯოხეთში“ ტრისტანსა და იზოლ-  
დას ასახელებს, როგორც სიყვარულისა  
და ერთგულობის საუკეთესო წარმომად-  
გენლებს, ხოლო რიპარდ ვაგნერმა მათი  
მიჯნურობა თავის ოპერაში ასკეტურად  
მოკაჩუნა—ფრანგი მწერალი ბედიე  
ცდილა რომანის პირვანდელი ტექსტი  
აღედგინა. გერონტი ქიქოძის სწორედ  
ეს ტექსტი უთარგმნია და უთარგმნია

მშვენივრად. უფველია, ეს არ არის  
სიტყვა-სიტყვით თარგმანი, რაც ბევრს  
სწვევია. მთარგმნელი ცდილობს ქართუ-  
ლი თქმით (ზოგჯერ წვენი კლასიკური  
ლიტერატურულითაც) გადმოგვიცეს ის  
ეფექტი, რომლის მოხდენაც ავტორს  
სურს. ეს მეთოდი სავსებით სწორი და  
მისაღებია: თარგმანი უნდა გადმოგვეცე-  
დეს თვით ბუნებას და არა ასოებს.

ახლა ორიოდ სიტყვა თვით რომა-  
ნის შესახებ. გასაოცარია, რამდენი რამ  
საერთო აქვს მას აღმოსავლეთის და  
კერძოდ ქართულ როგორც ხალხურ, ისე  
სალიტერატურო შემოქმედებასთან! ურ-  
ჩხულისაგან (გველეშაპისაგან) უცხო  
ქვეყნის დახსნა, მერე იქაური ხელმწი-  
ფის ქალის, მზეთუნახავის შეყვარება,  
ჩიტების საუბარი, იადონი და სხე.—  
ვის არ გაუკონია ქართულ ზღაპრებში?  
ბოლო ხომ თითქმის იგივეა რაც აბე-  
სალომისა და ეთერის თქმულებში.

ტრისტანსა და იზოლდას, რომელთაც  
სიცოცხლეში ესოდენი ტანჯვა გამოი-  
რეს, დამარბავენ სამლოცველოს სხვა-  
დასხვა მხარეს, ურთიერთისაგან ცოტა  
დაშორებით: „ღამით ტრისტანის საფ-  
ლავეზე მშვიანე ტოტი ამოვიდა, ზშირი  
ფოთოლი და სურხელოვანი ყვავილები  
მოისხა, სამლოცველოს ზევიდან გადაუ-  
არა და იზოლდას საფლავეში ჩაექლო“  
(გვ. 178). შტოს ჰრიდნენ ხოლმე, მაგ-  
რამ იგი კვლავ ამოდიოდა. მოიგონებთ  
ახლა აბესალომის და ეთერის ამბავი,  
რომელნიც ტრისტანისა და იზოლდასა-  
ვით ერთმანეთს დააკედნენ:

მეზღვრული

მეზღვრული

მათ საფლავს ია და ვარდი ფოთლო-  
სამც გადაშლიანო...  
ორგულ ვეზირის საფლავზე ეკალნიმც  
იქმნიდნანო...  
ია და ვარდი რა ურთერთ მოხვეწნად  
იხრებინანო,  
ეკალ-ნარიშყა განდების და შუა იყო-  
ფიანო.

მაგრამ უფრო მეტი მსგავსებაა „ვეფ-  
ხის-ტყაოსანისა“ და განსაკუთრებით  
„ვისრამიანთან“. კაპერდინი—აქთან-  
დლის მოგვაგონებს თავის იდეალური  
მეგობრობით, ხოლო ველად გაჭრილი  
ტრისტანი—ტარიელს. ტრისტანიც ამ  
უკანასკნელივით მოუაყვება კაპერდინს  
(ტყეში) თავდადსაველს და იმჟამითგან-  
ვე იწყება მათი თავგანწირული მეგობ-  
რობა. შემდგომ იგივე მებნა დაკარგუ-  
ლი სატრფოსი, თავდადება და სხვ. მა-  
გრამ უფრო საოცრად შვება ტრისტა-  
ნისა და იზოლდას რომანი—„ვისრამი-  
ანს“. მეფე მარკოზი უმეველად მოაბადს  
მოგვაგონებს რამინისა და ვისის ხრი-  
კები, ერთმანეთთან შეხვედრის მიზნით  
მოაბადის მრავალჯერ მოტყუება, სა-  
შუალო საუკუნეთა რომანის ეს ჩვეულ-  
ბრივი ატრიბუტები—თითქმის სვესე-  
ბითა საერთოა. ვისისენეთ აგრეთვე მოა-  
ბადის თიერ ვისისაგან ცუცხლზე დაფი-  
ცების მოთხოვნა და იზოლდას განკათ-  
ხევა გახურებული შანთით! საერთოა აგ-  
რეთვე სატრფოსადმი ლალატი რამინი-

სა და ტრისტანისაგან: გაოცდებულნი  
რამინი გულდის შეირთავს, ტრისტანი  
კი თეთობლებიან იზოლდას, თუმცა  
პირვანდელ სიყვარულს ვერც ერთი ვერ  
ივიწყებს და სხვ. საზოგადოდ წინამდებ-  
ბარე რომანმა ისეთი შთაბეჭდილება  
დასტოვა, რომ საშუალო საუკუნეთა  
სალიტერატურა ნაწარმოებთა შორის  
საოცრად დიდი მსგავსებაა, სულ ერთ-  
თია, სად ჩასახლდა იგი პირველად,  
იღმოსავლეთ სპარსეთსა თუ ევროპის  
დასავლეთ ნაწილში. წაკითხვის შემდეგ  
უნებურად წამოვიძახე: ახლა კი ღრმად  
დავერწმუნდი, რომ „ვეფხის-ტყაოსანის“  
ორიგინალობის საკითხის წამოყენება  
ზედმეტია-მეთქი, საერთოდ, შემოსე-  
ნებული მსგავსების გამოკვეცა, ფრიად  
საინტერესოა და სასურველია. მეოდნე  
პირობი მას დეტალურად გამოიყვლევინ-  
ე. უმეველად მადლობის ღირსია მთარ-  
გმნელი, რომელიც ისეთი საყვარულით  
მოპყრობია საქმეს, რომ ტრისტანისა  
და იზოლდას წიგნს სიამოვნებით წაი-  
კითხავენ არა მარტო მისი სიუჟეტისა-  
თვის, არამედ იმკარგი, საამო ქართუ-  
ლისათვისაც, როგორითაც იგი თარგ-  
მლია. წიგნი კობტად არის გამოცე-  
მული და ფრიად სამწუხაროა, რომ  
შიგ კორექტურული შეცდომები საქმა-  
ოდ მოიპოვება.

ქ. რ — ლი

ვახტანგ კოტეტიშვილი. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ მე-19 საუკუნე-  
ნაწ. II, გამოშტ. „მეცნიერება საქართველოში“, 1925, 291 გ. ფასი 2 მანეთი

ვ. კოტეტიშვილის ისტორიის მეოთხე  
ტომიც იმავე თვისებებით არის აღ-  
ჭურვილი, რაც პირველ ტომს ჰქონდა:  
ეპოქის დაპახასიათებულ მიმოხილვითა  
ხეხურობა და ლტობისებური სურა-  
თის მოცემა, ზოგიერთი მწერლის შე-  
მოქმედების დაკვირვებით და სიყვა-  
რულით გაშუქება, ზოგიერთების და-  
ფასებაში კი მიუტყვევებელი აზრე-  
ბა და კიდევ ლუბოკი. უკანასკნელი  
თვისება უსათვლად ჰარბობს ამ ტომში.

გასულ საუკუნის 50 წლები ჩვენი  
გაბოლვიძების დასაწყისად ითვლება,  
60 წლების მოძრაობის აქ ჩაეყარა სა-  
ფუძველი. კოტეტიშვილიც საერთოდ  
თანახმა ამაში, მაგრამ მისი დასაბუ-  
თება მოწაფური ვარჯიშობის შთაბე-  
დილებას ტოვებს მას არა აქვს მოცე-  
მული ქართველი ხალხის ეკონომიურად  
აღორძინების და განვლილ უბედურო-  
ბათა შემდეგ ფიზიკურად მოსულიერე-  
ბის სურათი. რაც შეეხება ლიტერატუ-



ქართული

რულ ფაქტებს, მათი აღნუსხვა და გადმოცემა კოტეტიშვილს საკმაოდ ესტუმბება და ამ ღირსებას ვერც ამ შეთხვევაში წაეგარტმევთ. მაგ., დაკვირვებულს ხელით არის აღდგენილი მელანიო მამაკაშვილ-ბადრიძის ლიტერატურული ფიზიონომია; ესავე ითქმის რჩეულიშვილის და განსაკუთრებით ალექს. ორბელიანის შესახებ, თუმცა უკეთესი კი იქნებოდა, რომ კოტეტიშვილს სიტყვა უფრო მეტად ორბელიანისათვის დაეთმო და ცოცხლის უპირატესობით არ ესარგებლა ამ სინტერესო მიცვალებულის წინაშე.

60 წლების შესახებაც ამას ვიტყვით, რომ ჩვენს ავტორს საშინელი მარცხი არ განეკადა ილია ქავჭავაძისა და განსაკუთრებით აკაკი წერეთლის შემოქმედებათა დაფასებაში. ქავჭავაძე რომ დიდი მწერალია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ მარტო ამ სიტყვების გამეორება დღეს არ ემარა. სრულიად უმნიშვნელოა ის ნარკვევი, რომელიც ვერ დაგვისაბუთებს, თუ რისთვის არის ილია დიდი მწერალი. კოტეტიშვილს სწორეთ ეს ხაკლი სტანჯავს: მის ნარკვევში აზრს ფრაზა უსწრებს, დებულება დებულებაზე მიყრილი და საბუთების მაგიერ სიტყვათა კორიანტელს უხედავთ. არა სჩანს ილიას სოციალური პროგრამა, რომელიც ნაკონალური პროგრამის განუყრელ ხაზილს შეადგენს, არ სჩანს ილიას კონსერვატიზმი. პირობით, იგი სოციალისტათაა მონათლული; ავტორმა ვერ შეამჩნია კონსერვატიზმზე დამყარი გლების ნაოღნიგელი იდეალიზაცია და მრავალი სხვა განა ილიას დახასიათების დროს შეიძლება მისი ცნობილი „ნუთუა“-ს გვერდის ავლა? კოტეტიშვილი არსად არ იხსიენებს ამ დოკუმენტს და საერთო ფრაზებით კმაყოფილდება. ასეთი ნარკვევი ილიას შესახებ მისაუბრი იქნებოდა 20—30 წლის უკან, დღეს კი არავის არაფერს არ ეუბნება. ახალ მკლევარს ახალი სიტყვა მეთხოვება.

მეორე საშინელი მარცხი კოტეტიშვილმა აკაკის დაფასებაში განიცადა-

აქ ვერ გამოზდა ვერაფერი ჩვენადმისებურ ცნობილ დაფასებას და თავისებური სიტყვათა ქუზილიც შემოვლილსაშავიეროთ აი რა სტრიქონები უძღვნა მან აკაკის:

„აკაკი წერეთლის ნაწარმოებში რასაკვირველია, არ არის ის, რისთვისაც შესაძლებელი ყოფილიყო კეთისრისებური სიკოცხლემივე გაღმერთება არც გარემოებით აიხსნება, რადგან იმავე პირობებში და იმავე დროს სცხოვრობდენ ილია ქავჭავაძე, ყაზბეგი, ვაჟაფშაველი. ეს უფრო იმ საჯარო ცხარეებით აიხსნება, რომელსაც ჩვენი პოეტი ეწევოდა, იმ ბოქმის ბელგახსნილობით და სიმახვილით, რომელიც ჩვენს ერს უუყვარს.“ (გ. 165,—66) მე არ მინდა ამ სიტყვებზე რაიმე დემაგოგია ავაშენო, თუმცა მისი ავტორი ამის ღირსი კი არის, მაგრამ აშკარად ვიტყვი, რომ ის კრიტიკოსი, რომელიც აკაკის შესახებ ამ სისულელის თქმას ბედავს, დიდი კადნიერი უნდა იყოს, ნათქვამია: ვინაც მზეს ტალახს ესერის მასვე დაეცემა.

კოტეტიშვილმა კარგად იცის, რომ აკაკის გაბიაბოუების დროს მის განუსაზღვრელ პოპულიზრობასაც უნდა გაუყოოს ანგარიში და ამიტომ დიდ პოეტათაც ხშირად იხსენიებს მას, მაგრამ სადაც კი მოუხერხდება, თავუზნი ყველგან კუპრს აწვეთებს. ვალაპარაკოთ თითონ ავტორი: „რა პოეტრიაც აკაკი წერეთელს ჰქონდა, ის რომ მეტი დაფასებით დაეხარჯა, და რომ დახარჯული ენერგიის კვლავ აღდგენისათვის ცდილიყო, ჩვენ მივიღებდით გრანდიოზულ პოეტურ შემქვიდრობას, ბევრად უფრო თვალსაჩინოს, ვიდრე აკაკი წერეთლის პოეზია არის“; ასე ლაუბობს ჩვენი კრიტიკოსი, რომელიც გვარწმუნებს, რომ აკაკი არსად არ იცა თავის შესაფერ სიმაღლეზე, თურმე ჩვენმა პოეტმა, სატირის ხმალის მოქნევაში წონასწორობა ვერ დაიცვა და მალალი პიედასტალიდან დაბლა გადმოიქნა. დიდი და ზოგადი კითხვების გარედა მეტად წერილმან და პირადულ შურისძიებასაც შეაღია თავისი

დიდი ნიჭი, რამაც დიდად შეამსუბუქების შერეობების წინა\*. აკაკის ლექსის ფორმაც კოტეტიშვილის აზრით მიქარება და სხვა არაფერი, ილას ლექსები თურმე უფრო კეთილ ხმოვანია: „აკაკი წერეთლის ლექსის ტენიკა, ინსტრუმენტალობა... ჩვენს ძველ პოეტებთან შედარებით, მისი ლექსის მოქნილობა და მერხობა ნაკლები ღირსების არის“ და სხვა.

კოტეტიშვილის აზრების დარღვევას ჩვენ აქ ვერ შეუდგებით. ვიტყვით ხოლოდ იმას, რომ აკაკის ასეთნაირად დაფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც არც კრიტიკული ალყის ნატამალი გაანია და არც აკაკის დროინდელ ქართველ საზოგადოებას იცნობს. შეიძლება ისიც იყოს, რომ ჩვენს ავტორს რაიმე მოსახრებით არ უნდოდეს ამ თვისებათა გამოჩენა აკაკის შესახებ?

რა სიტყვა შევჩაღებ, როგორ სიტყვა და როდის სიტყვა? აი, რა საკითხებით უნდა მიუდგეთ ყოველ შემომხმედს. აკაკის ენით მთელმა ქართველმა ხალხმა გულის სიღომიდან ამოიტროთ თავისი ხაციონალური უბედურება, რომელიც თავს დაატყბა თვითმკობელობის ორთაფიანი არწივის ბრქვალებმა; ეს სიტყვა აკაკიმ თავის დროისთვის უაღრესად მოახზალა, მსუბუქ და ხელოვნურ ფორმებში და სიტყვა სწორეთ მან, როდესაც ქართველი ხალხი ცოტათი მოსულიერდა, განვიღო უბედურობათ თავი დაახწია და ფაზი ღირად მოლონიერებულმა გონებრივი აქმაობაც დაიწყო. აი, აქ არის აკაკის გვირგვინოსნობის სათავე და არა დიდებული მკონის ავარულ ცხოვრებაში, როგორც ე. კოტეტიშვილის ჰგონია.

რაც შეეხება გიორგი წერეთლისა და ანტონ ფურცელაძის დაფასებას,

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით კოტეტიშვილს, მხოლოდ ნიკო ნიკოლაძის სოციალისტათ გამოცხადება ისეთივე ამსურდია, როგორც ილია ჭავჭავაძის ამ ეპიტეტით შემკობა. როგორ შეიძლება ცხოვრება ასეთი არევა! ან და რა საქმეა ესან ილიასთვის ან ნიკოლაძისთვის?

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა: სამოციან წლებში, როდესაც ჩვენში მთავრობა გლეხთა განთავისუფლების საქმე იწყებოდა, წინასწარ გებულობდა თავად-აზნაურობის აზრს ამ საკითხზე. გაიძარტა რამდენიმე თათბირი, ჩვენც თავად აზნაურობამ სასტაკი პროტესტი განაცხადა ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგ და ბოლოს, რაკი მთავრობა მაინც არ ეშვებოდა, ასეთი აზრი გამოთქვა: თუ განთავისუფლება აუცილებელია, დეე, გლეხები უმიწოთ განთავისუფლდნო. ამ აზრის წინააღმდეგი იყო ორი თავადი: მამაცაშვილი და ჭავჭავაძე.

ათულ წლის უკან ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ეს ჭავჭავაძე ჩვენი დიდი მწერალი, ილია არის, ვინაიდან იგი უაღრესად პროგრესული მოღვაწე იყო. ამავე აზრს იმეორებს დღეს კოტეტიშვილიც. ვინც ილიას მოღვაწეობას ჩაუყვირდებოდა, მისთვის აშკარა იყო, რომ ის ჭავჭავაძე არ შეიძლება ილია ყოფილიყო, ამ აზრს ადგა სხვათაშორის პ. გელეიშვილიც. დღეს უკვე გამოირკვა, რომ ის ჭავჭავაძე ილია კიარა, ნიკოლოზ ყოფილა, ტფილისის მოსამართლე. გრიგოლ გიორგაძის მიერ აღმოჩენილ საბუთიდან ეს დოკუმენტალურად დაბტკიცდა\*)

ვარლამ ხუროძე.

\*) იხ. მისი „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“, გვ. 211.



ქართული

მედიცინის

მ. ჯავახიშვილი. მოთხრობები: „ტყის კაცი“ 56 გვ. „მართალი აბდულლაჰ“ 4 გვ. „ჩანჩურა“ 24 გ. და „ეშმაკის ქვა“. გამოცემა „პრო-მა“-სი, 1926 წ. ტ. 3000.

მ. ჯავახიშვილის სახელს ზოგიერთი უკაცშირებს ქართული პროზის რენესანსს. ეს ვარემოება ბევრს ავალდებს მას. ჯავახიშვილი რომ ნიჭიერი მწერალია ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ცხადია ისიც, რომ ჯავახიშვილმა თავის უკანასკნელი მოთხრობებით ერთგვარი ინტერესი გამოიწვია მკითხველებში და ქართულ პროზას ფართე აუდიტორია შეუქმნა. სხვა რომ არა იყოს, რა მწერლისთვის თვის ესეც დიდი მიღწევაა. მაგრამ ჩვენ მართლაც ამით ვერ დაკმაყოფილდებით. ჩვენ გვინდა, რომ იგი მართლა იქნეს პიოველი მერცხალი თანამედროვე ქართული პროზის აყვავების.

მხოლოდ ამისთვის საჭიროა უფრო მჭიდროდ მისვლა ჩვენ თანამედროვეობასთან, სინამდვილესთან, რომელთანაც დაკავშირებულია უდიდესი აღმშენებლობა, ეპოქის ახალი მაჯის ცეხა. ამას გარდა, საჭიროა ტენზიური სიძნელებების გადალახვა, სრული დაბყრობა ფორმის, რომელიც მუშავდება ბრინჯაოსა და მარმარილოსგან.

ბელეტრისტი ერთს და იმავე დროს უნდა იყოს არქიტექტორი, მუსიკოსი და მოქანდაკე. სამივე თვისება სჭირდება მას მისთვის, რომ მან მოგვეყოს მხატვრული პროზის შედევრი. სიტყვა იძლევა დიდ შესაძლებლობას, თუ კი მას სათანადოთ მოვიხმართ.

ჯავახიშვილი — წერის მანერით, რეალისტია. არც ერთი მიმართულება არ უდგება პროზას ისე, როგორც რეალიზმი და ჩვენ ვიცით, რომ პროზის უდიდესი ოსტატები სწორედ ამ სკოლას ეკუთვნიან. ჯავახიშვილის ნიჭს ყოველთვის ახასიათებს ორიგინალობა და სიუფეტის ბოლომდის დაწურვა. ეს შეეხება უფრო მის პატარა მოთხრობებს (უკეთეს — ნოველებს), როგორცია, მაგალითად. „ტყის კაცი“, „მართალი აბდულლაჰ“, „ჩანჩურა“ და სხვ.

„ტყის კაცს“ ჯავახიშვილის, პატარა მოთხრობებში პირველი ადგილი უჭირავს აქ მოცემულია იდილიური ცხოვრების ერთ-ერთი ტრაგიული მომენტი. ტყის მცველი პავლე, — რომელსაც გარდაცვალა საყვარელი მეუღლე, — გადასახლდა ტყეში და ახალ სიმოსახლოზე გააჩალა საოჯახო მეურნეობა. ბედმა აქაც უმუხთლა პავლეს, ორი ახალგაზდა ვაფი სრულებით შემთხვევით ერთი ეგორეზე დაეღუპა.

ყოჩაღი, კვიციანი და ცოლშვილის მოყვარული პავლე, ცხოვრებისაგან ასე სასტიკად გაუბედურებული, ყოველთვის იწვევს გულწრფელ თანაგრძნობას.

მოთხრობაში ავტორი იძლევა ტყის საუცხოო პეიზაჟს (გვ. 12, 13), პარდაპიო შეუდარებელია ტყის აღწერა აედრიან დამით (16 გვ.) და ზაფხულში შეადლისას (17 გვ.); შეიძლება ამ ადგილის ქრისტომატიკაში შეტანა. რაც შეეხება სტილს — აქა იქ ემზავება ეპიტეტების სიღარიბე. მაგ. ტყის აღწერაში ეპიტეტი უზარმაზარი — ეკუთვნის როგორც ტყეს, ისე მის შემადგენელ ერთ ხაწილს — მუხას: „იფნიანის უუზარმაზარი ტყე“ და იქვე ქვემოთ: „უუზარმაზარი, დაბურული, შეიდადლიანი მუხა“ (გვ. 13). არის აგრეთვე ხანდახან საგნის განმარტებაში მეტის მეტი გადაჭარბება, სიტყვაშარბელობა — მაგალ. ტყის მცველ პავლეს ამხაირ თვისებებით ვეიდგენს ავტორი: „პავლე იყო მუყადი, ერთგული, ბეჯითი და ჩემი მუშაკი... ახოვანი ტანის ვეაკაცი იყო, წელში მოხრილი, დათვივით ლინიერი და მოღზეშავი, სიტყვა პასუხში და ურთიერთობაში ჩემი, გულჩახვეული, უკმეხი. პირდაღვრემილი და წარბშეკრული, მაგრამ პირდაპირი, პირიანი და სამართლიანი“.

✓ მეორე მოთხრობა: „უმრალო აბდულლაჰ“ — თუ არ ვცდებით, პირველი მოთხრობაა ბორჩალოს ცხოვრებიდან.



ავტორი ზედმიწევნით იცნობს ბორჩალოს ცხოვრებას, მის მკვიდრთა ზნეწვეულებას, თუმცა ყოფა-ცხოვრების მოცემას ხსენებულ მოთხრობაში ავტორი არ ისახავს თავის პირდაპირ მიზნად. საინტერესოა თვით ამ მოთხრობის კომპოზიცია, ასე არქიტექტონულად მოზომილს ნაწარმოებს იშვიათად შეხედებით ქართულ მწერლობაში—კლასიკური პროზის გარეშე. მოთხრობის ერთიგა მეტად ბუნებრივ ხაზებშია განვითარებული და ფორმალურადაც აქ მეტი მოკვებითობაა ვიდრე, ვთქვათ, „ტყის კაც“-ში.

„ჩანჩურა“-ში ავტორმა დაგვიანება საბრალო და ზებედური ადამიანის მდგომარეობა. არავინ იცის ვინ არის ეს ჩანჩურა. თავის არსებით იგი უფრო პირუტყვის ჩამოგავს, ვიდრე ადამიანს. საბედოდ ხომ ასეთი ჰქვია მას—ჩანჩურა! რაოდენი სიმბრალულით გვესებათ გული, როდესაც ეცნობით ამ, ხახვევად პირუტყვის, ადამიანის სულიერ მარტოობას.

„ეშმაკის ქვა“-ში, ისე, როგორც „ჩანჩურა“-შიც, მოცემულია ბრბოს დახასიათება, იმ განსხვავებით, რომ ბრბო „ჩანჩურა“-ში აღებულია იმ მომენტში, როცა იგი ცნობის მოყვარეობით არის გატაცებული. „ეშმაკის ქვა“-ში კი—როცა ბრბო აეაზაკის მოსამართლედ გამოდის, აქ ბრბო იმდენათ გაბოროტებულია, რომ თვით „სოფლის ანგელოზათ“ ცნობილი, ყველასათვის საყვარელი სოფიოსკ კი ვერ ამშვიდებს მას დითონაც (სოფიო) იმუღებულა აბობოქრებულ ბრბოს შეუერთდეს და სხვებთან ერთად ქვეით ჩაქოლოს აეაზაკი—დათა.

სამივე წიგნაკი სუფთად არის გამოცემული, შერეულია ლამაზი უდიდ და იაფიკაა.

ილმელი.

დემნა შენგელაია „სანავარდო“, რომანი, სახელგამი, 199 გვ. 1926 წ. ფასი 80 კაპ.

ეს რომანი ეწინააღმდეგება „მნათობში“ დაიბეჭდა და დღეს ცალკე წიგნათ გამოდის. მისში ავტორმა უკვე მიიქცია ყურადღება და, უნდა მართალი ითქვას რომ საკმაო იმედებსაც იძლევა. ამის უპირველეს თავდება ავტორის მხატვრული აღლო და სურათების თავისებური ხატვა, თუმცა აქვე უნდა ითქვას რომ მთლიანი ნაწარმოების შესაქმნელად შენგელაიას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა დააქირდება. „სანავარდოს“ ცალკე ნაწილები არ არის ერთი მეორეებთან ორგანიულად შედგენილი. ამიტომ ეს ნაწარმოება ხანდახან ფელეტონებს მოგავჯონებს და ცოცხალი სურათები პრეისკურ ნტივით არის ჩამოლი. ამ გზით ავტორი ხშირად მიზანს აღწევს და მისთვის სასურველ შთაბეჭდილებას უსათურად ქმნის, მაგრამ ეს ოქმობრივობა ხახვისაან მინიქ უკიდულდურისობამდე მიდის.

რომანის მთლიანობის ხელს უშლის სიუჟეტის სისუსტე. ვნახოთ რას შეიცავს იგი: განთქმულ და სახელოვან თავადი შვილს-ყარამანს, რომლის ოჯახში მაგრათ მოუდგამს ფეხი უკერნებელ სენს და დეკენერაიკას, ყავს დასწეულეებული ცოლი—ციკინო და ფიზიკურად მიშლილი. წამბდარის სისხლით და ავბორცობით დაავადებული შვილი—ბონდო. თავადი ვაჟს სასწავლებლად გზავნის პეტერბურგში, საიდანაც ის დაავადებული ბრუნდება. მალე დედამისი კედება და ბონდოც საგვარეულო სენის მსხვერპლი გახდება. მას ცხოვრება არ შეუძლია, უნაყოფოა, უნებისყოფი, მისი შთამომავლობა მოაპოვია. მამა მისიც ამ გზაზედა: მას ყავს უკანონო შვილი—კრეტინი გუჯუ, რომელშიაც ბონდოც დიდ ნათესაეობას ხედავს. რომანში მოცემული თანდათანობრივი სიკვდილი, გადაგვარება



ქართული

განმარტოვანი

და ამოკლებს. პიროვნებათა ტრაგედიის გვერდით მთელი კოლექტივის — სოფელ სანავარდოს ყველა მცხოვრებთა უბედურებაც სჩანს.

შეითხველი ამჩნევს, ალბათ, რომ აქ ყარამანის და ბონდოს თავგადასავალი სადღაც გამოიკარგა და რაღაც უკუღო ამბავი შეგვრჩა ხელში. ასეა რომანშიც, სადაც სიუჟეტის სისუსტეს ხანდახან მაინც ავტორი გადაადგები ღირბში სცვლის. შეითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ აქ ერთგვარ გაორებასთან გვაქვს საქმე: ვისი ტრაგედიაა ამ რომანში მოცემული — თავადობის, როგორც გადაგვარებული წოდების, თუ სოფ. სანავარდოს ყველა მცხოვრებლების?

პირველად ისე სჩანს, რომ თითქო მარტო თავადის ოჯახის ტრაგედია იშლება. შემდეგში კი, მეორე ნაწილში, დადავლმყოფებული კარბიადმო ყველას მოსპობისკენ მიაქანებს. მაშ რა საქმე იყო რომანის პირველ ნაწილში მარტო თავადის ოჯახის ტრაგედიის წინ წამოყენება? მეორე გაურკვეველობა: რა არის ამ დეგენერაციის მიზეზი: ორპირის მიდამოების სნეული მიწა-წყალი, თუ თითონ თავადთა წოდების სოციალურ არსებობაში ჩაქსოვილი ბიოლოგიური სნეულება? ავტორს ეტყობა ამის ჩვენება უნდოდა. მაგრამ დამპალ სანავარდოში ვინ გადაჩნება? აქ გლეზობაც დაავადებულია. მეორეთ ისმის საკითხი: რათ ვაუსვა ავტორმა ხაზი მარტო თავად ყარამანის უბედურებას?

ამ გაურკვეველობაში, ერთგვარი ტენდენციურობის საშიშროებაა ჩამარბული და ავტორი აქედანვე უნდა შეებრძოლოს ამ ვარემოებას.

შენგელაია საქაოდ განიციდის წარმავალ ლიტერატურულ ჯგუფების გავლენას, მაგრამ მისი წერის მანერის უბრალოება, ვარკვეულობა და სიმარტივე იმის თავდებია, რომ იგი მალე წამოყალიბდება და მკვიდრად მოიდგამს ფეხს. ლიტერატურულ მოდის უნდა მიეწეროს ის შეუსაბამო და ნერვიული ამოძაბილები, რომელსაც ავტორ-ავტორ შეხედებით რომანში. მაგ, ვერ გავგვიდა რა გემოვნება ასეთ შედარებაში: „შაბიამანის ფერი მთავარე უზარმაზარ მუწუკავით გამოჩანდა ცაში, სხივებს ყვითელ ბაღლამივით დაღვრულა და სხვა.“ „სანავარდოს“ კითხვის დროს გრანობ, რომ ავტორი ჯანსაღი რეალისტი, მაგრამ ზოლოს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი თითქოს განგვმე კარდება გამოუვალ ნატურალიზმის ბრწყალეში და ცალმზრივ უიშედობის სურათს იძლევა. ჩვენი ავტორი რომ რეალისტური ობიექტობისა და ცხოვრების დიალექტიკას თვალსაზრისზე დამდგარიყო, მაშინ იმ დამყაუნებულ ადგილებშიაც კი რაღაც ჯანსაღ და სასიცოცხლო ელემენტს აღმოაჩენდა. ამის უნარი მას უსათუოდ შესწევს. რაც შეიძლება მეტი ჯანსაღობა და ნაღები ავადმყოფური, — აი საითკენ უნდა მიისწრაფოდეს ავტორი. კიდევ ერთი შნიშვნა: ქართულმა ლიტერატურამ უკვე განელო ეტონოგრაფიული მითხრობების ხანა და დღევანდელი რომანი საერთო ნაცოხნალურ სინთეტიურობაზე უნდა გადაიშალოს.

წიგნი ლამაზათა გამოკემული და ფასიც ზომიერია.

ვინბან,  
პ.ს.ს.ს.ს.  
ნ.ბ.

აკაკი წერეთელი. რჩული ნაწერები. ტომი მე-2. ს. გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქციით. სახელგამის გამოკემა. ზ. 6x10. გვ. 352. ფასი 2 მან.

აკაკი წერეთლის თხზულებათა წინამდებარე ტომში მოთავსებულია მგონის პოემები (ერთიკ დრამატიული პოემა — „თამარ ცბიერი“). საზოგადოდ

ფრიად გავრცელებულია აზრი, თითქოს აკაკი უფრო ძლიერი იყოს ლირიკაში. ვინც ამ ტომს გადაათვალიერებს და მგონის პოემებს ერთად გადაიკითხავს,

ადვილად დარწმუნდება, რომ ზემოხსენებული აზრი თუ შემცდარი ანუ, გადაჭარბებული მანძი არის, აკაკის პოემებში ლირიკაც საქმია, მაგრამ ჩვენის აზრით, აქაც იგი ისეთივე ძლიერი და მომზიბლავია, როგორც სხვა თავის ნაწარმოებებში.

აკაკის, როგორც პროზის, ისე პოემითა უმეტესობა საქართველოს წარსულს ეხება. პირდაპირ ვასაოკარია ის რომანტიზმი, რომლითაც ვამსქველულია მგოსნის ნაწარმოებში ამ მხრით. მისი გმირები ყველაფრით უნაკლონი არიან და თითქმის ყველგან—სიკეთესძლევეს ბოროტებას. მონაგოლთა ნოინი ქართველი გმირის ცოტნე დადიანის თავდადების წინაშე მორჩილად ქედს იხრის და თავისი ხალხის ინტერესებს იფიქრებს; თამარ ცბიერი თავის მუხანათ ცხოვრებას კეთილშობილი სიკვდილით გამოისყიდის და სხვ. და ყველაფერი ეს დაწერილია ისეთი მომზიბლავი ლექსით, ისეთი გულწრფელობით, რომ გჯერა: ასეთი გულწრფელობა შეიძლება იყოს ან ბავშვი, ან გენიოსი!

აკაკის მიერ წარსულის იდეალიზაციას თავისი გამართლება აქვს. ეს იდეალიზაცია მგოსანს სჭირდება თავისი დროის სიდუხჭირისადმი დასაპირდაპირებლად, აწმყოს ნაკლთა რელიეფურ ნათელსაყოფად. ამ მხრით აკაკის რომანტიზმი პროგრესულად შეიძლება ჩაითვალოს. აკაკის პოეზიაც ბოლომდის დარჩა „ტეილენციოზური“.

წარსულისადმი განუსაზღვრელი სიყვარული მგოსანს ხელს არ უშლიდა,

ზოგიერთ შემთხვევაში მომავალი განეკრიტა. ცხადია, აკაკი იყო და თავის სიკოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დარჩა იმად, რაც მისი ამბანავები (მესამოციანნი) იყვნენ:—ნაციონალური ლიბერალიზმის მომხრედ. მაგრამ ზოგიერთი მისი ბოლომდელი ლექსი მოწმობს, რომ იგი ვრძნობდა ახალი საქართველოს მაჯისცემას. ლექსში: „საქართველოს დღეგანდელი საბუ“ (1902 წ.) აკაკი დასტირის თავის ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობას, სადღადავით აღმაშენებელი, ან თამარ მეფე, რომ ჩვენი ქვეყანა აღადგინოს? ვის შეუძლია მათი მაგიერობა გასწიოს, ნუთუ არის ასეთი ძალა? სასოწარკვეთილებით კითხულობს პოეტი. მაგრამ თვითვე უპასუხებს ამ კითხვას მტკიცედ—არისო.

მაგრამ ვხედავ მომავალში  
გამოსულა მუშა ერი,  
ერთმანეთთან შეთანხმებით  
ძლიერი და ბედნიერი—

წინამდებარე ტომში მოთავსებულია აკაკის ბიოგრაფია, ს. გოგაძის მიერ შედგენილი და მისივე ზეიშვნები და ბიბლიოგრაფია, რაიც მკითხველს გაუადვილებს აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობას. წიგნს დართული აქვს აგრეთვე მგოსნის ორი სურათი, კობტად არის გამოცემული, პირველ ტომისაზე უკეთეს ქალღმერთ დაბეჭდილი და მისი ფასი—ორი მანეთი არ შეიძლება ძვირად მივიჩნიოთ.

რანი.

რედაქტორი—მ. კახიანი.



# შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა.

## საბარტემლო

გვ.რ.

1. ი. მოსაშვილი — მტკვრის სიკვდილი . . . . .	3
2. კონ. ლორთქიფანიძე — სიცოცხლისთვის . . . . .	5
"          "          — კომუნარ ქალს . . . . .	
3. ნ. ზომლეთელი. — ფიჭვი სოფელზე . . . . .	6
4. ვ. გაბესკირია — თქვენდამი . . . . .	7
5. მიხ. ჯავახიშვილი — მესამე . . . . .	9
6. ე. პოლუშოვი — ვერცხლის ქამარი . . . . .	33
7. მიხეილ მრეველიშვილი — ინონ (გაგრძელება) . . . . .	49

## კუსეთი

8. ბ. ლავრენიევი. — იტლის რესპუბლიკის დამსხვრევა — თარგმანი გ. ცეცხლაძის . . . . .	113
9. ა. ბერკოვიცი. — მარგარიტა — თარ. ი. ალაბაძის . . . . .	141

## კრიტიკა მხატვრობა კულტურის სფეროში

10. რ. კალაძე — ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვიტარება . . . . .	159
11. მ. კახიანი — XV კონფერენციის შედეგები . . . . .	188
12. ბ. ლომინაძე — საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები . . . . .	215
13. შ. დუდუჩავა — ჩვენი სათვალრო პოლიტიკის შესახებ . . . . .	231
14. ხ. ამაღლობელი — კინო-მრეწველობის მორიგი ამოცანები . . . . .	237

## ბიბლიოგრაფია

15. პ. ქიქოძე. — ნოე ზომლეთელი. — „ლექსები“ . . . . .	247
16. კ. რ-ლი. — „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ — (თარ. გ. ქიქოძის)	250
17. ვ. ხუროძე. — ვ. კოტეტიშვილი. — ქართული ლიტერატურის ისტ. <span style="float: right;">რკ</span>	251
18. ილმელი. — მ. ჯავახიშვილი „მოთხრობები“ . . . . .	254
19. ვინჩან. — დემნა შენგელაია. — „სანავარდო“ <span style="float: right;">რკ</span>	255
20. რანი. — აკაკი წერეთელი. — „როზელი ნაწერები“ ტ. 2. . . . .	256

# 1926 წელს ქურო. „გნათოგ“-ში დაბეჭდილი მასალები

კ რ მ ზ ი ა.

- გორგაძე ვ. „ძირულის პირას“ № 5—6 (25—26), „ცა ტაშისკარის“ № 8—9 (28—29).
- გვეტაძე რ. „წვიმიან დღეს“ № 2 (22).
- გაბესკირია ბ. „ხატიჯე“ № 1 (21), „სიტყვა გემიდან“ № 5—6 (25—26), „თქვენდამი“ № 10—11 (30—31).
- ევდოშვილი ი. „ღეღა“ № 4 (24).
- ზომლეთელი ნ. „ფიჭვი სოფელზე“ № 10—11 (30—31).
- კალაძე კ. „ნახტომი გულიდან“ № 2 (22).
- ლორთქიფანიძე კ. „სიცოცხლისთვის“, „კომუნარ ქალს“ № 10—11 (30—31), „მე ისევ ვდგევარ სადარაჯოზე“ № 5—6 „ბარათი ნოე ჩიკვაძეს“ № 8—9 (28—29).
- მაშაშვილი ა. „პატარა“ № 1 (21), „მე და ბარათაშვილი“ № 8—9 (28—29), „ვიდაბრა მთვარისკენ“ № 3 (23).
- მიწისფელი ნ. „გარდაცვალება“ № 2 (22).
- მოსაშვილი ი. „გამოთხოვება სოფელიან“ № 4 (24), „საუკუნის გადასახედ-ზე“ № 5—6 (25—26), „მტკვრის სიკვდილი“ № 10—11 (30—31).
- ტაბიძე ვ. „პოემა ვეფხისა“ № 1 (21), „კოსმიური ორკესტრი“ № 7 (27).
- ქუთათელი ა. „ღოუბლები“ № 1 (21), „ქუთაისი“ № 2 (22).
- უურული ზ. „გულით სოფლისკენ“ № 1 (21).
- პავტავაძე ი. „აჩრდილი“ (მეორე ვარიანტი) № 3 (23).

პ რ მ ზ ა

- კლდიაშვილი დ. „ჩენი ცხოვრების გზაზედ“ № 1 (21).
- კახრაძე ს. „ქალაქის კუკი“ № 3 (23).
- ლორთქიფანიძე, კ. „ხავსი“ № 7 (27).
- მალაქიაშვილი, ვ. „სამნი“ 1 (21), 2 (22), 3 (23), 4 (24), 5—6 (25—26), 7 (27).
- მარეღიშვილი მ. „ინონ“ (რომანი) № 8—9, (28—29), № 10—11, (30—31);
- მეტრეველი ლ. „დარღვეული მიწა“ № 7 (27), 8—9 (28—29).
- რობაქიძე ვ. „გველის პერანგი“ (რომანი) № 1 (21), 2 (22), 4 (24) 5—6 (25—26).
- პოლუმორდინოვი. „ლურჯი სუფრა“ 5—6 (25—26); „ვერცხლის ქამარი“ № 10—11 (30—31).
- სუღიაშვილი დ. „მეორე დღეს“ № 3 (23).
- ტატიშვილი ი. „ღეღა-კაცის ბედი“ № 8—9 (28—29).
- შანშიაშვილი ა. „ამბოკარი“ № 4 (24).



გაგანიშვილი მ. „თეთრი საელო“ № 1 (21), „არსენა მარტოვილი“ № 3 (23),  
 „ხუთის ამბავი“ № 7 (27), „მესამე“ № 10—11 (30—31)

**დაბადიური ლიტერატურა**

შოთაშვილი ნ. „მთის ზღაპარი“ № 5—6 (25—26).

**თარგმნილი ლიტერატურა**

ბაბელი ა. „ტენ-არშია“ (თარგმ. დ. შენგელიასი) № 1 (21).  
 ბერკოვიჩი კ. „მარგარიტა“ (თარგმ. ი. ალაძისა) № 10—11 (30—31).  
 ლავრენიევი ბ. „იტლის რესპუბლიკის დამსხვერუვა“ (თარ. გრ. ცუცბლაძის)  
 № 10—11 (30—31).  
 ხინკლერი უ. „მეფე ნახშირი“ (თარგ. კ. ჭიჭინაძის) 2 (22), 3 (23), 4 (24),  
 5—6 (25—26), 7 (27).  
 გუზიიდე ხაბრი. „მუნევერ“ (თარგმ. მ. აბაშიძის) № 8—9 (28—29).

**კრიტიკა მხატვრობა მშუარაბი**

ამალღობელი ს. „კინო მრეწველობის მორიგი ამოცანები“ № 10—11  
 (30—31).  
 გორგაძე ს. „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“ 5—6 (25—26).  
 გელეიშვილი პ. ი. ჭაქვაძის „არღილი“-ს ახალი ავტორაფი № 3 (23).  
 დუღუჩაძე შ. „ესეგ ფორმალისტურ პოეტის შესახებ“ № 4 (24), 7 (27).  
 „ჩენი სათეატრო პოლიტიკის შესახებ“ № 10—11 (30—31).  
 ზანდუკელი მ. „გრ. ორბელიანის გამოუტყვენებელი ლექსები“ № 5—6  
 (25—26), „გრ. ორბელიანი და მისი შემოქმედება“ № 8—9 (28—29).  
 კალაძე რ. „ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვითარება“  
 № 10—11 (30—31).  
 მახარაძე ფ. „მიმდინარე მომენტი და ქართული მწერლობის ამოცანები“ № 2 (22).  
 ელენტი ბ. „ფორმალისში და ხელოვნების კლესის მეთოდოლოგიური პრობლე-  
 მები“ № 4 (24).  
 რონდელი დ. „ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი“ № 4 (24).  
 ქუთათელაძე ნ. „კლესითი მეთოდის შესახებ ლიტერატურაში“ № 4 (24).  
 ჭელიძე ა. „წერილები სპარსეთიდან“ № 1 (21), 2 (22), 3 (23), 4 (24).  
 ჭყონია ა. „კრიტიკული შენიშვნები ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე“ № 2 (22).  
 ფარშაკიანი ბ. „თანამედროვე ქართველი მხატვარი“ № 5—6 (25—26).  
 ხუროციანი ვ. „შოი ფრავისპირელი“ № 1 (21).  
 ყაზბეგი ე. „დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები“ № 1 (21)  
 (დასასრული).  
 ყარიბი. „რევოლიუცია და ხელოვნება“ № 5—6 (25—26), 7 (27).

**მეცნიერება და პუბლიცისტიკა**

გელეიშვილი პ. „ჩენი ახლო წარსულიდან“ № 8—9 (28—29).  
 ვოგაბერიძე მ. „ფრ. ენგელსი თანამედროვე ბუნებათ მეცნიერების სამსჯავ-  
 როს წინაშე“ № 8—9 (28—29).



- დევიდარიანი გ. „კაბიტალის დაგროვებისა და იმპერიალიზმის თეორია“ რ. ლიტესენბურგისა\* № 3 (23), „მეორე ინტერნაციონალის წარმოშობის სათავეებთან“ № 4 (24).
- კახიანი მიხ. „მე 15 პარტკონფერენციის შედეგები“ № 10—11 (30—31).
- ლოშინაძე ბ. „საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები“ № 10—11 (30—31).
- მაზარაძე ფ. „საქართველო მე 19 საუკუნეში“ № 2 (22), 3 (23).
- ნუცუბიძე შ. „შპენგლერიდან კაიზერლინგამდე“ № 3 (23).
- ქავთარაძე ხ. „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები“ № 7 (27).
- ხუნდაძე ს. „ეროვნული პრობლემის გარშემო“ № 5—6 (25—26) 7 (27).

**ბიბლიოგრაფია**

- ამხანაგი ი. სტალინი—„ლენინიზმის საკითხებისათვის“ № 5—6 (25—26).
- გორგაძე ვ.—„ვოლტ უიტმანი“ № 3 (23), „არმაზის მსხერევა“ ვ. ბარნოვის № 8—9 (28—29).
- გელეიშვილი პ.—„ქართული მწერლობა“ № 5—6 (25—26).
- გოგიბერიძე შ.—ს. დანელია—„ქსენოფანე კოლოფონელი“ № 5—6 (25—26).
- ვ. ილ—ი.—ს. მგალობლიშვილი „რჩეული მოთხრობები“ № 8—9 (28—29).
- თ.—კ. მაყაშვილი. „ეშააკი საქართველოში“ № 8—9 (28—29).
- შ. ბ.—შ. ჯავახიშვილი „პატარა დედაკაცი“, „ორი განაჩენი“ № 4 (24), „თერთრი საყულო“ № 7 (27).
- რ.—გროხი. „ხელოვნება განსაცდელშია“ № 8—9 (28—29).
- ქ. რ.—ლა.—„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ № 10—11 (30—31).
- ჩანი.—აკაკი წერეთელი. „რჩეული ნაწერები, ტომი მე-2“ № 10—11 (30—31)





მიიღება ხელის მოწერა

1927 წ.

ყოველთვიური  
სამხატვრო  
სალიტერატურო  
სამუშაოთა ჟურნალ

# „მნათობ“<sup>-ზე</sup>

„მნათობი“ გამოდის ამხ. მიხ. კახიანიძის რედაქტორობით.  
გამოცემა საქართველოს ს. ს. რ.  
სახელგამისა.

ხელის მოწერის პირობები: მთელი წლ. — 16 მან.  
ნ თვით 8 „  
ცალკე ნომერი 2 „

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის მთავარ წიგნის მაღაზიაში,  
რუსთაველის გამზირი № 29. აგრეთვე სახელგამის ყველა  
განყოფილებაში და სათანადო მანდატებით  
ალკურვილ აგენტებთან.

ნოელ დასავლეთ საქართველოში „მნათობის“ ვაერცელება ფავალებული აქვს  
ამხ. შიტროფანე ვალდავაძეს.

„მნათობის“ რედაქცია სთხოვს 1926 წ. ხელის  
მომწერლებს, მათზე დარჩენილი დავალიანება  
შემოიტანონ დაქვარებით.

## სახელმწიფო გამომცემლობის ახალი გამოსვანი:

იყიდება ყველა მაღაზიებში.

- გ. დევდარიანი. — იმპერიალიზმი და პროლეტარული რევოლუცია.  
ფ. 1 მ. 40 კ.
- პ. ინგოროვა. — რუსთველიანი, ვეფხისტყაოსანის თარიღი. შოთა  
რუსთველის ენაობა. ფ. 3 მან.
- ქ. რაჭველიშვილი. — საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია.  
ფ. 1 მ. 30 კ.
- ს. შაკალათია. — ახალწელიწადი საქართველოში. ფ. 30 კ.  
აბესგაური და პროტასოვი. — პოლიტკოდნა. ფ. 3 მან.
- დ. გვაზავა. — პოლიტკოდნა. ფ. 2 მ. 40 კ.
- გრიშინი. — პოლიტკოდნა. ფ. 3 მ.